ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

5

1984



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

323

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

5

მაისი

1984

თბილისი

სსრ. კა ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკპ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია და პროზა

3. კოლაუ ნადირაძე — მხოლოდ სიუვარულს შეკდავს. ლექსი
4. თამაზ გიგილური — შვიდი ხმისა და ტოროლასათვის. რომანი. გაგრძელება
43. ბორენა ჯაბვლიანი — ლექსები
45. ტაიფ აჯბა — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა ჯანო ჯანელიძემ
46. რუსუდან კაიშაური — ლექსები
48. რეზო ჭეიშვილი — ცაიმე, ჩემო ვენახო. მოთხრობა
97. ალექსანდრე ტაბატაძე — ლექსები
99. სილოვან ნარიმანიძე — ლექსები
100. ნოდარ ნარსია — სალამი შენდა ახალგაზრდობავ! ლექსი
101. ჯემალ დვდლიანიძე — შემოგრჩენება. რომანი. გაგრძელება
111. გიძინა გინდაძე — ლექსები
112. ჯაბა ასათიანი — ლექსები

სამამულო ომის ეკო

114. დავით ქორიძე — იმედი. მოთხრობა
121. ზურაბულ გოდერძიშვილი, ზერა რომანაძე, გიორგი გინდიაური — ლექსები

ინტერვიუ

125. დღევანდელი და ხვალინდელი..

სიმონ ჩიქოვანი — 80

135. რევაზ ჯაფარიძე — ნათელი ადამ
137. ზურაბ დარასელიძე — „ადამიანი ჭეშმარიტების მოძღვარი“

წერილები

140. ალეკო გაბელაია — მხილოდ ფიქრი
143. კავლე თოფურია — ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების ისტორიიდან
149. ზვიად გამსახურდია — გორეტის მსოფლმხედველობა ანთროპოსოფიური თვალსაზრისით

რეცენზიები

158. დურმიშხან ცინცაძე — ქართველი დიპლომატი კოლონელთის სახელმწიფოს სამსახურში
159. დარეჯან მოსალეიშვილი — „ვარდის კვირა“

მთავარი რედაქტორი

ჯანსულ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო გეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ შანგხიკიძე
გორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატბაძე
ავთანდილ ჩიქავიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
გაფრი ჯოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

კოლაუ ნადირაძე

მხოლოდ სიყვარულს უკვდავს

გვიან ქარიშხლის მშფოთვარე ხმაზე,
ჩანს, აუწყვიათ სულის სიმები!..
მე მხიბლავს ღამე მეხთ ცეცხლით ცაზე,
დილა, მზის შუქით ნაგვირგვინები!

ეგებ განგების მლოცველი გავხდე,
კერპის წინ თავი რომ არ დავხარო?
სჯობს, ისევ, ისევ ოცნება მკლავდეს,
თუ ტრფობის ნაცვლად, ბოღმით
ვიხაროო?

ვის სურს სიყვარულს წონა დაუდოს,
მხოლოდ მისხლობით ვაფასოთ ივი?
ანდა მას წესი, ვით მკვდარს, აუგოს,
ან დაუდგინოს დაღუპვის რიგი?!

ეს განცდა მწველი მე რად მაწვალებს,
რატომ ვათვრებ ამისთვის ღამეს?
დარდს საწუთროზე მე ვინ მავალებს,
ან ფიქრი ჩემი გამოცელის რამეს?

მაგრამ, მე მტკივა! და... ვეძებ შველას!
თითქოს მომელის კოცონზე დაწვა...
ტანჯვით გავლილი ეს წლები ყველა
არ მიპირებენ შველას, ან დაცვას!

ცრემლი ხომ ხშირად კურნავს იარებს,
მაგრამ არ შველის ერთ ჩემ დარდობას:
ვერ ვუპატრონე, ვერ მოვუარე
ყრმობას ჩემსას და ახალგაზრდობას!

როცა მომესმის ოხვრა გრიგალთა,
რის წვიმა ცრემლებს ჩემ სარკმელს
აფრქვევს,
ვგრძნობ — ეს კვნესაა ადამიანთა,
და კრძალვით ვხვდები გრიგალს და
ავდრებს...

ო, ეგ ასეა! მაგრამ სამყარო
თითქოს სიგიჟით არის გართული —
ქვეყნად სიკვდილი რომ დაამყაროს,
რომ ჩაიდინოს ჯოჯოხეთური!

რომ გაჰქრეს წუთში და იქცეს
ფერფლად
წმინდაწმინდათ რაც მიგვაჩნია,
და ამ სიგიჟის შეიქნეს მსხვერპლად
სიცოცხლის დაღი რასაც აჩნია!

ისიც კი, რამაც სიცოცხლე დაძრა,
რაც ელვარებით ამკობს სამყაროს,
შთაინთქას ცეცხლში, გადიქცეს ნაცრად,
სიკვდილის ფრთებმა მიწა დაფაროს!

მე კი, მკითხველო, ვინ მკითხავს
განსჯას,
ოთხმოცდაათს რომ ვუახლოვდები?!
საკუთარ ტანჯვად მოძმეთა ტანჯვას
რომ მივიჩნევ და ამით ვჯერდები?

მხოლოდ სიყვარულს უკვდავს, გულისა,
პირთა ზღვები რომ გადაულახავს,
მას შესწევს ძალა სასწაულისა!
ის გვიხსნის მარად და შეგვინახავს!!

ისევე მტევნებს დაისხამს ვაზი,
ტყის პირას თვალებს გაახელს ია...
კვლავ მოგვესმება ბავშვთა ხმა ნაზი,
და ისევ დილებს ვიხილავთ მზიანს!!!

გვიან ქარიშხლის მშფოთვარე ხმაზე,
ჩანს, აწყობილა გულის სიმები!...
მე მიყვარს ღამე მეხთ ცეცხლით ცაზე,
დილა მზის შუქით ნაგვირგვინები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვიდი ხმისა და ტოროლასათვის

რომანი

თავი მეხუთე

პროტის სიკვდილი

ქალაქი ურჩხულს ჰგავდა, რომელსაც არც თავი უჩანდა, არც ბოლო. ეს ურჩხული ბორგავდა, თავის ხორკლიან სხეულზე მიწებებულ ადამიანებს არ იშორებდა და ადამიანებიც, ერთმანეთს თვალებში ზიზღით უცქერდნენ... ეს გაიფიქრა ლელა ღუდუშაურმა, როგორც კი ქალაქში ჩამოვიდა და ამოდენა ვეშაპს ზემოდან გადახედა. დედაკაცს ძველი, მოჩითული კაბა, ჰრელი წინდები და წაღები ეცვა, შავი მოსახვევი ეხვია, და შვილს გვერდით მდგარი სხვა ქვეყნიდან თუ სხვა სამყაროდან უბოდიშოდ შემოჰრილს ჰგავდა. შვილს უნდოდა, რომ დედას მოსწონებოდა ქალაქი, დედაკაცმა კი გაიფიქრა, რომ აქ ერთ დღესაც ვერ გასძლებდა და ხვალვე, ხვალ თუ არა მაშინ მაინც, როგორც კი დროს იხელთებდა, აქაურობას გაეცლებოდა და თავისი ჩალაურის გზას დაადგებოდა. რა პური აძღობს ამდენ ხალხსო, — ფიქრობდა დედაკაცი და გამვლელ-გამომვლელს თავადაც თვალს არ აშორებდა. დამორცხვებული შვილი ხალხს თითქოს ბოდიშს უხდიდა, დედას შემწყნარებლური ღიმილით უქცერდა და იმ წუთზეღა ოცნებობდა, როდის მიედოდნენ შინ, როდის დალაგდებოდნენ და როდის მიეჩვეოდა დედა აქაურ ცხოვრებას. შვილმა არ იცოდა, რომ დედამ, იმ წუთში, როგორც კი ქალაქში ფეხი დადგა, თავის ჩალაურზე დაიწყო ფიქრი. ეს ფიქრი დედის გონებიდან აღარასოდეს ამოვა, ჩალაური იქნება მუდამ მისი დარდი. ჩალაურზე ფიქრით გაატარებს აქაურობაში მრავალ წელს და ბოლოს მაინც ჩალაურის გზას დაადგება. ამ წუთში დედაკაცმა ეს არ იცის. ეს რომ იცოდეს, ღრიალით აიკლებდა აქაურობას და ახლავე უკან გაბრუნდებოდა. ამ გამვლელთაგან ვინმემ რომ უთხრას, ასე მოხდებაო, დედაკაცი გიჟს დაარქმევს და შეშინებული გაეცლება. ჯერ მხოლოდ დაიწყო ყველაფერი და დედაკაცს, ამ ჰრელ ჩითებში გამოწყობილ, მზისგან გაქერეჭებულ ლელა ღუდუშაურს სჯერა, რომ ზღაპარი დაიწყო და როგორც ყველა ზღაპრის ბოლო, ამისი ბოლოც კეთილი იქნება. ხვალვე, ხვალე თუ არა, ერთი-ორი დღის მერე მაინც, ლელა ღუდუშაური კვლავ თავისი ჩალაურის გზას დაადგება და ამ ურჩხულივით აბორგებულ ქალაქს სიცილითღა გაიხსენებს.

— ეს ჩვენი სახლია... — თქვა შვილმა.

ლელა ღუდუშაური ფიქრიდან გამოერკვა. მის წინ რძალი იდგა და ღიმი-

---

გაგრძელება, დასაწყისი იხ. ცისკარი № 2, 3, 4.

ბოდა. რძლის უკან — შვილიშვილი, პატარა, ლამაზი ბიჭი.

— ამისთვის ჩამოგიყვანე, დედი, ეს უნდა მიქციო კაცად...

მაგრამ ლელა ლუდუშაურს აღარაფერი ესმოდა. ოთხ კედელშია მოქცეული ერთი კუდის მოქნევა იდგილი, რომელსაც შვილმა სახლი უწოდა, დედაკაცის ფიქრში არა და არ იყო სახლი. სახლი სხვა რამ იყო, ის, რომელიც ჩალაურში დარჩა, რომელსაც ახლა ალბათ აწვიმს და ისიც, პატრონის ღალატით განცვიფრებული, სახეჩამოღვენთილი ტირის...

არა, ლელა ლუდუშაური აქ ვერ გაძლებს. აქ სხვებმა იცხოვრონ, ალბათ ბედნიერები არიან. ალბათ უყვართ ერთმანეთი და უერთმანეთოდ ან გაეძლებათ. ალბათ ლელა ლუდუშაურმა მათ თვალებში პირველად ტყუილად ამოიკითხა ზიზღი. უსიყვარულოდ აქ რა გააძლებინებთ? რამ უნდა შეუყაროს ამ ერთ ადგილზე ამოდენა მილეთის ხალხი?

დედაკაცი ფეხზე იდგა და თავისთვის უცხო რძალსა და შვილიშვილს თვალს არ აშორებდა. შვილს უნდოდა, რომ დედას გაეღიმა. დედას შეეძლო ღიმილი, — ეს კარგად იცოდა შვილმა. რძალმა კი იფიქრა, რომ ალბათ ასეთი იყო დედამთილი, კუშტი და მიუკარებელი. გაუცინარი და გამომცდელად მზერალი. ბიჭმა კი... ბიჭისთვის ჯერ ყველაფერი სულერთი იყო, დედაკაცი კი, არა და არ იღიმებოდა, შვილისა კი არა, უცხო ვიღაცის სახლში მოსულიყო. რძალი და შვილიშვილი ხო, მაგრამ შვილიც სხვა ვიღაცას ჰგავდა. ეს არ იყო ის ბიჭი, რომელიც ჩალაურში ლაღად ამოდიოდა და იქაურობას აცოცხლებდა. დედის წინ ოდნავ წელში მოხრილი, ავადმყოფის მსგავსი ვიღაც იდგა და დედაკაცს თითქოს ისღა დარჩენოდა, რომ ეთქვა, მაპატიეთ, მე ჩემს შვილთან კი არა, სხვა სახლში მოვსულვარო, ახლავე გავბრუნდები უკან და ჩემი ფეხი აქ აღარ იქნებაო.

ვერ გაბრუნდა.

აქ დარჩა. წლების მერე, მდინარის პირას, შვიდთა თემში მოსულ ლელა ლუდუშაურს რომ ჰკითხოთ, რატომ დარჩიო, თვითონაც ვერ გეტყვით ვერაფერს. ყველაფერი თავისით მოხდა. ეტყობა ის ქალაქი, ლელა ლუდუშაურს რომ ურჩხულად მოეჩვენა, მართლა იკრავდა თავის სხეულზე ადამიანებს და აღარად უშვებდა. ზოგჯერ, როცა კარგად დაფიქრდებოდა და ქალაქში თავისი დარჩენის მიზეზს ეძებდა, ლელა ლუდუშაური ფიქრით მაინც შვილიშვილთან მიდიოდა. შვილიშვილი ხომ არ იყო ის მიზეზი, ფეხი რამაც შემიბორკა და მხოლოდ მაშინ იყო, რომ ამ შვილიშვილს ამაყად გადახედავდა, როგორც გადახედავს შემოქმედი თავის ქმნილებას, თუკი მასში ოდნავ მაინც გაცხადდა ის, რასაც ჩანაფიქრის დროს ხედავდა და რაზეც წელთა მანძილზე იმტკრევდა თავს.

ხო, ლამაზი ბიჭი დადგა ზაზა ლუდუშაური.

ლუდუშაურების ოჯახში ყველანი თითქოს ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ოჯახში ყველაფერი რიგზე იყო. ხმას არავინ აუწევდა. ერთმანეთი უყვარდათ. დიდედა პატივს სცემდა ყველას და ყველანი — დიდედას. მაგრამ მაინც მამა ცალკე იყო, დედა — ცალკე. შვილიშვილი — ცალკე, დიდედა ხომ მარტოც ცალკე. ყველასაგან გარიყული, თავის ფიქრში წასული. თითქოს აქ, ამ ქალაქურ სახლის რომელიღაც სართულზე კი არ ცხოვრობს, თავისი ჩალაურის გზაზე თუ ბილიკზე დამდგარა, მიდის, მიდის, ეს ბილიკი კი არადა აღარ მთავრდება, ჩალაური უფრო და უფრო შორს რჩება და ალბათ დედაკაცი ისე მოკვდება, თავის საოცნებო ჩალაურამდე ვერასოდეს მიაღწევსო. ქალაქი მართლა არ არსებობდა. ქალაქი თავისთვის იყო, ლელა ლუდუშაური — თავისთვის. იყო მხოლოდ ჩალაურს მიმავალი ბილიკი, რომელიც ამ ჯოჯოხეთიდან იწყებოდა და ვერა და ვეღარ დასრულებულიყო. იყო ბილიკი და იყო კიდევ გზააფხული. მთელი წელიწადი სწორედ გზააფხულის მოლოდინში გა-

დიოდა. ლელა ღუდუშაურს სჯეროდა, რომ ჩალაურისკენ აუცილებლად გაზაფხულზე უნდა წასულიყო. გაზაფხულს უნდა შეეცვალა ყველაფერი — როგორც ცვლიდა ხოლმე იქ, შორეულ ჩალაურში, როცა მთიდან დაიძვრებოდნენ ზვავები, თოვლი დაიწყებდა დნობას და გუგულები გასძახებდნენ ერთმანეთს. მაგრამ ერთი გაზაფხული ისე მოდიოდა და მიდიოდა, ოთხ კედელში გამოკეტილი დედაკაცი ვერაფერს იგებდა. მერე მეორე გაზაფხულის მტანჯველ მოლოდინში გავიდოდა მთელი წელი და ახალი გაზაფხულიც, წინასვით ჩუმად რომ შემოდიოდა, დედაკაცისთვის არაფრის მომტანი არ იყო. მაშინ შეეშინდა ლელა ღუდუშაურს. მაშინ მიხვდა, რომ ეს ამოდენა ქალაქი თუ ქვეყნიერება მის გაჯულეტას ლამობდა, არსად არ უშვებდა და ალბათ კიდევ ბევრი გაზაფხული გავიდოდა, ვიდრე თავის ფიქრში დახატულ ბილიკს დაადგებოდა. ამგვარი გაზაფხული კი ბოლოს და ბოლოს აუცილებლად უნდა დამდგარიყო. ეს მტკიცედ სჯეროდა ლელა ღუდუშაურს.

ქალაქში ჯერ ჩაცმულობით გაიცნეს: დედაკაცს საკუთარი ხელით მოქსოვილი უხეში, მაგრამ ლამაზად მოჩითული კაბა ეცვა. ამ კაბის გამო ზოგი შორიდანვე უყურებდა და მერე თვალს გააყოლებდა, ზოგიც მოურიდებლად აჩერებდა, დიდხანს ათვალიერებდა, ხელით სინჯავდა და მერე ისე გაეცლებოდა, თითქოს დედაკაცი ვალდებული იყო ამდენი ხანი მდგარიყო და თავისი ხელით ნაქსოვი კაბა ვიღაც ცნობისმოყვარე მანდილოსნის წინაშე გამოეფინა. ეს რა უნახავები არიან, კაბა არ უნახავთო? — ფიქრობდა გაკვირვებული და კაბას მაინც არ იშორებდა. მის კაბაზე შვილის მეგობრების ცოლები ამბობდნენ, „ნამდვილი ხელოვნების ნიმუშიაო“. მერე ვიღაც გამხდარი მხატვარი მოვიდა, მთიელთა ყოფის ნივთებს, ფარდაგებს, ნოხებს, ხურჯინებსა და წინდებს ვაგროვებო. სპილენძის თუნგიანებიც თუ გაქვთ, იქნებ დამითმოთ ან მომყიდოთო, ლელა ღუდუშაურის კაბაზე სულ გადაირია, მაგრამ მხატვრის დედაკაცმა ცივი ღიმი უთხრა. ფოლკლორისტმა ბერდია ღუდუშაურმა (სწორედ ამ ტიტულით იცნობდა მხატვარი ამ ქალის შვილს) მობოდიშებით გაუღიმა და გაისტუმრა. მერე სხვა კაცი მოვიდა, გამოფენას ვაწყობთ და კაბა ზუსტად ორი კვირით გვათხოვეთო. ის კაციც ცივი უარით გაისტუმრეს. მერე ტელევიზიიდან ვართო. ლელა ღუდუშაურს ერთი საათით მანქანაში ჩავსვამთ, ქალაქგარეთ კლდის ფონზე გავატარებთ და ისევ უკან მოვაგრიალებთო, მაგრამ დედაკაცი აბაზანაში ჩაიკეტა და სანამ დაუპატიჟებელი სტუმრები არ გაისტუმრეს, გარეთ აღარ გამოსულა. სტუმრების წასვლის მერე კი შვილსა და რძალს შავი დღე დააყენა, რა ქვეყნის სამასხრო გამხადეთ, მართლა მეტი არაფერი გინახავთო? მთელმა ქალაქმა მარტო ამ კაბისთვის მოიცალაო? და ამის შემდეგ სახლში იმ ჭრელ, მოჩითულ კაბაზე აღარაფერი თქმულა. ლელა ღუდუშაურმაც იფიქრა, ეტყობა, ამ კაბის დარდი ამოდენა ქალაქს ძილშიც არ ასვენებსო, თავისი ხელით ნაქსოვი, მოჩითული კაბა სამუდამოდ დაივწყა და რძლის ნაჩუქარი ერთი თალხი კაბა გადაიცვა. ის დღე იყო და ლელა ღუდუშაური ამ ქალაქში თითქოს ყველამ დაივწყა. განა არა, ეზოშიც ჩავიდა (ეზოში კი მართლა გაოცებით გადმოხედეს მეზობლებმა და დედაკაცს შეეშინდა, ახლა ამაზე არ დამიწყონ ცქერა, რატომ ის კაბა არ გაცვიაო), გარეთაც გავიდა, ქუჩებიც ჩამოიარა, მაგრამ ზედაც არავის შეუხედავს. ამ დედაკაცისაკენ მიმართული ყველა ცნობისმოყვარე თვალი ჩამქრალიყო, მთელი ცნობისწადილი ქალაქისა, იმ კაბასთან ერთად ტანსაცმლის კარადის უჯრაში, ნაფტალინის სუნში ჩაკეტილიყო.

რძალმა იმ დღეს თქვა, ახლა კი მართლა დავისვენებო და ის კაბა აღარც გახსენებია. მაგრამ ლელა ღუდუშაური უნდო ქალი იყო. სულო ცოდვილო და,

სწორედ რძალს არ ენდობოდა, თუმცა რძალი ყველასთან ამბობდა, მიყვარს ჩემი დედამთილი და ზედ ვეკაფებიო. მოჩითული კაბის პატრონი, დღე ისე არ გავიდოდა, ჩუმად არ მისულიყო კარადასთან, ის უცნაური სუნით აქოთებული უჯრა არ გამოეღო და თავი არ დაეშვიდებინა, რომ ის კაბა, ის ერთადერთი, შორეულ და აწ უკვე მიუწვდომელ ჩალაურთან რომ აკავშირებდა, ისევ აქ იყო, არსად წაეღოთ და არც თავად გაეპარულიყო. გაპარვისა კი მართლა სჯეროდა ღელა ღუდუშაურს. ამგვარი ხილვები ჩალაურიდან გამოჰყოლოდა. ეს სწორედ ჩალაურის ხილვები იყო და დედაკაცი მართლა ფიქრობდა, რატომაც არ შეიძლება, ეს კაბა, ეს მოჩითული, ჩალაურში მოქსოვილი, ჩალაურული კაბა, ერთ ბნელ ღამეს მართლა წამოდგეს და იქ გაიპაროს, საიდანაც დაუკითხავად, ძალით წამოიყვანეს. ამგვარ ფიქრებში კაბა აღარ იყო განცალკევებით, კარადის უჯრაში გამომწყვდეული კაბა ისევ ცოცხლობდა, პატრონს ტანზე ერგებოდა და ფეხადგმული ეშურებოდა ჩალაურისკენ.

რძალს ამგვარი მისტიკისა არ სჯეროდა და არხეინადაც იყო. რძალს თავისი ქმრის მისტიკური ხილვები უფრო აშინებდა, სწორედ ის ხილვები თუ ის გარინდება, რაც დროდადრო ეწვეოდა ხოლმე და რაც უკვე მოზრდილ ზაზა ღუდუშაურში, მამისადმი რაღაც აუხსნელ სიახლოვეს და თანაგრძნობას იწვევდა.

ბავშვობა უკან დარჩა და ზაზა ღუდუშაურმა კარგად არც კი იცოდა, უყვარდა თუ ეცოდებოდა მამა. რა თქმა უნდა, ამ ორი გრძნობიდან სიყმაწვილეში პირველი ჯობნიდა მეორეს. შეცოდების გრძნობა მერე გაჩნდა, როცა მამა იმგვარად დაინახა, როგორიც ნამდვილად იყო. ეს მოხდა ერთ დღეს, როცა ყრმა ღუდუშაური ეზოში გამოვიდა და, ვიღრე ავტობუსი გამოჩნდებოდა, სათნესთან თავმოყრილ ხალხს შეავლო თვალი. სათნეში ლავაში ცხვებოდა. ლავაში ალბათ სამყოფი არ იყო და იქ მუდამ ტრიალებდა ხალხი. დედამბრის წვიმიანი საღამო იყო. წვიმა წვიმა შიშინებდა და გარშემო ყველაფერს აუხსნელი სევდის ბურუსში ხვევდა. თითქოს ბურუსიც სადღაც ახლოს იყო და საცაა ზლაზვნით გამოვიდოდა მოსახვევიდან, რათა აქაურები, ეს სახლებიც და გაშიშვლებული ხეებიც, ეს ტალაზში მოსცრილი მანქანებიც და აბაუზული ხალხიც, თავისი ნებისთვის დაემორჩილებინა. სათნესთან ხალხი იდგა და ზაზა ღუდუშაურიც ალბათ განსაკუთრებულ ყურადღებას არაფერს მოაქცევდა, იმ ხალხში საკუთარი მამა რომ არ დაენახა. მამა იყო, მაშ ვინ, წელში ოდნავ მოხრილი, აწყრწყილი, გამხდარი, შეშინებული; მხოლოდ მამამისს შეეძლო ასე დგომა, წელში ასე მოხრა და ისე ცქერა აქეთ-იქით, თითქოს მარტო ამ ხალხისა კი არა, მთელი ქვეყნიერების წინაშე რაღაც დიდი დანაშაული მიეღოლდა და ახლა ყველაფერზე ერთად იხდიდა ბოდიშს.

მაშინ შეაჩერა რაღაც ძალამ ზაზა ღუდუშაური და ჩამომდგარ ავტობუსში არ შევიდა. რომ გეკითხათ, ვერც გეტყოდათ, რა სურდა, რისთვის გაუშვა ავტობუსი და რისთვის დაუწყო მამას თვალთვალი, რომელიც ამ წუთში მამა სულაც აღარ იყო, იყო მხოლოდ უცხო კაცი, მეტად კოლორატული პიროვნება, რომლის თვალთვალიც, უკვე ბევრი წეგნის წამკითხველი ბიჭისთვის აუცილებელიც კი იყო. ეს უცხო კაცი გარშემო არავის ჰგავდა. თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი ემოსა, მაგრამ სამოსთან არ ჰგავდა ვინმეს. მთელი თავით მაღალი იყო სხვებზე, მაგრამ რაღაც განგებით, ყველას მაინც ქვემოდან შესცქეროდა. ყველასთვის ერთნაირად წვიმდა, მაგრამ წვიმა ამ კაცის მოძველებულ ფეტრის ქუდს და ნაცრისფერ საწვიმარს მაინც სხვებზე მეტად ასველებდა. სხვები წრიალებდნენ, ნერვიულობდნენ, ემდუროდნენ ცასა და მიწას, შოფრებს თუ ხაბაზებს, ეს კაცი კი მშვიდად იდგა, თითქოს მისთვის სულერთი იყო, დასველებდა თუ არა წვიმა მის შალახულ სა-

წვიმარს, დროზე გამოცხებოდა თუ არა პური და დროზე გასწვედა თუ არა შინისაკენ, სადაც ყველა ვარაუდით თუ ბრძის რწმენით, ამ კაცს და მის შიო პურს მოუთმენლად ელოდნენ. მაშინ მოუნდა ბიჭს მისულიყო მამასთან თუ ამ უცხო კაცთან, და ეთქვა:

— გამარჯობათ, პური მე ავიღებთ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, არც მისულა და არც ეს სიტყვები უთქვამს. სამაგიეროდ ფიქრში სხვა რამემ გაუელვა, რაც ორიოდ წუთში აუცხადდა კიდეც და რამაც საბოლოოდ განუმტკიცა სიბრალული ამ აწოწილი, გამხდარი და საწყალი კაცისადმი, რომელიც მამა იყო მისი: თუ ამდენ ხალხში ვინმე უპუროდ დარჩა, აუცილებლად მამაჩემი იქნება,— და ის იყო, ლავაშიც გამოიტანეს.

ხალი კარებს მიაწყდა. მამა თუ ის უცხო კაცი, სადღაც გაქრა. ბოლოს კი, როგორც იქნა, გამოჩნდა. გაბრწყინებულ ხალხს ხელში ცხელი, სურნელოვანი ლავაშები ეჭირა, ის უცხო კაცი კი, რომელიც მამა იყო ჰაბუკი ღუდუშაურისა, ხელცარიელი იდგა, ხალხისგან განაპირებული, დაბნეული და გაოცებული.

ბიჭი გაცოფდა, ჩამომდგარ ავტობუსს შეახტა და წავიდა.

ზაზა ღუდუშაურმა იმ დღეს მამა პირველად დაინახა. პირველად შეძლო მამის რაღაც ნაკლზე გაებედნად ეფიქრა— პირველად მიიხედ-მოიხედა და სცადა, მამა სხვა თვალით, აწ უკვე სიჰაბუკეში შესული ადამიანის „გარეშე“ თვალით დაენახა.

ხო, მორცხვი კაცი იყო ბერდია ღუდუშაური. ყველაფრისა ერიდებოდა. სასწავლებლის სპორტფესორობა ისე შეიხედავდა, თითქოს ეშინოდა, ვინმემ არ დაუყვიროს, ეს საიდანღა გამოჩნდაო?! ბალღობაში ბიჭს მამა მხოლოდ უღიმოდა და ბიჭისთვისაც მამა იყო ყველაფერი. მერე და მერე, უმცროსმა ღუდუშაურმა რომ მიიხედ-მოიხედა, მოეჩვენა, მოეჩვენა კი არა, აშკარად დაინახა, რომ მამა ყველგან იჩაგრებოდა. მშობელთა კრებაზეც კი, სადაც ყველაზე უფრო გოჩა კერესელიძის დედა ემუქრებოდა ქვეყნიერებას, თავად კი, კაცმა რომ თქვას, სრულიადაც არაფერს წარმოადგენდა, მარტო შინ იჯდა და ალბათ ჭამის მეტს არაფერს აკეთებდა, მამა, უნივერსიტეტის დოცენტი, მორიდებით იჯდა სულ უკანა მერხზე და ორიოდე სიტყვას მაშინაც ძლივს იტყოდა, როცა რამეს ეკითხებოდნენ.

მერე დაჰბაბუკდა ზაზა ღუდუშაური და უკვე ყველაფერი იცოდა, ისიც, როგორ ჩამოვიდა შორეული მთის სოფლიდან მამა, როგორ შეიდება უმაღლეს სასწავლებელში, როგორ გახდა კანდიდატი და როგორ უშლიდნენ ხელს მოშურნეები, თორემ აქამდე (ეს უკვე დედის აზრი იყო) დოქტორიც გახდებოდა; თუმცაო, ამბობდა დედა, მარტო მოშურნეებს რა დავაბრალო, თვითონ არი გლახაკი, მთელი ქვეყნიერებისა ეშინია და ნასუფრალივით გადმოგდებული კანდიდატის ხელფასი მილიონი ჰგონიაო.

მამის ასპირანტურაში დატოვებას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ცნობილ ფოლკლორისტს, აწ უკვე განსვენებულ მედეა კალაძეს უმადლოდნენ და მისი სურათიც, ახალგაზრდა ასპირანტთან გადაღებული, სადაც ქალბატონ მედეას ჰაბუკისათვის ხელი დედაშვილურად გადაეხვია, ღუდუშაურების სასტუმროო ოთახში, ყველაზე საპატიო ადგილზე ეკიდა. ბიჭმა ისიც უკვე იცოდა, რომ ეს ნაწილი ბერდია ღუდუშაურის ცხოვრებისა, სავსე იყო ტყუილითა და მართლით, ჭორითა და ცილისწამებით, რასაც „საზოგადოება“ მთიელ მორცხვ ჰაბუკსა და მის მფარველზე თხზავდა. აი, დიდედამ კი არაფერი იცოდა. აბა საიდან ეცოდინებოდა დიდედას, რომ მისი შვილის გამეცნიერებას, ანუ ჩალაურიდან სამუდამო ჩამოსახლებას და ამ ვეშაპი ქალაქის ზურგზე ჩამოკიდებას ერთი მეცნიერული თეორია ედო საფუძვლად: პროფესორ მედეა კალაძის აზრით, ფოლკლო-

რისტიკაში მხოლოდ იმგვარ ახალგაზრდებს უნდა ემუშავათ, რომელნიც შორეული მთებიდან თუ არა, ქალაქის გარეუბნიდან მაინც იყვნენ ჩამოსულები; ფოლკლორის სპეციალური მხოლოდ მთაში იყო და სადოქტორო დისერტაციაც ამ თემაზე დაიცვა: „სამგორო ეპოსი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“. დიახ, პროსპექტზე გაზრდილი ჰაბუკები (სწორედ ჰაბუკები, რადგან ქალბატონი მედეა თავს ფოლკლორისტკაში გამონაკლისად თვლიდა), ფილოლოგიური მეცნიერების ამ დარგს ვერაფერს შემატებდნენ.

მათი (მეცნიერის და სტუდენტის) გაცნობა პირველი კურსის პირველ სექტემბერს, ეურნალის პირველი ამოკითხვისთანავე მოხდა. ლექტორი არც ერთი სტუდენტით არ დაინტერესებულა, არც ერთ გვარს მისთვის არაფერი უთქვამს, მარტო სულ ბოლო რიგში მორიდებით მჯდარ ქერა ჰაბუკს, რომელიც თურმე ღუდუშაური ყოფილა, ჰკითხა, სადაური ღუდუშაური ბრძანდებით, ჰაბუკო. სტუდენტმა დაუსახელა სოფელი (ეს სადღაც გადაკარგული ჩალაური) და ქალბატონ მედეას სიამოვნებით შეეფაკა ღაწვები. მაშინ, სექტემბრის იმ პირველ ლექციაზე, ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელთაგან ვერავინ მიხვდებოდა, რომ ქალბატონ მედეას ჩალაურთან ფოლკლორისტკაც აკავშირებდა და უფაქიზესი გრძნობებიც. იქ შეუყვარდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერს პროფესორი ჩიხლაძე და თუმცა ბატონი პროფესორი ცოლშვილიანი იყო და ახალგაზრდა მედეა კალამსაც დიდი იმედები მაინცდამაინც არ ჰქონდა, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ რაც კი რამ ძვირფასი გააჩნდა, პროფესორს უძღვნა და თავადაც სამუდამოდ გაუთხოვარი დარჩა.

მერე და მერე, აწ უკვე თავად პროფესორი მედეა კალაძე, ხშირად გადმოხედავდა ხოლმე ბერდია ღუდუშაურს, ამ „მთის შვილს“, როგორც თავად უწოდა და რამდენიმე ფოლკლორული ვარიანტის უძველეს ნიმუშებსაც სწორედ იმ სოფლიდან იმოწმებდა, იმ შეურეული ჩალაურიდან, საიდანაც გაწაწყლების მისაღებად ჩამოსულიყო „მთის შვილი“ და თავად რექტორსაც უგამოცდოდ ჩაერიცხა, იქნებ ეს მაინც ქალაქში არ დარჩეს და ჰალსტუხი არ გაიკეთოს, იმ გადაკარგულ ჩალაურში დაბრუნდეს და ოთხწლედი მაინც გაბსნასო.

სასწავლებელში ქერქილებდნენ, რომ რექტორის ეს კეთილშობილური თუ შორს გამიზნული ვარაუდი პროფესორმა მედეა კალაძემ ერთის დაკვრით დაამსხვრია. „მთის შვილს“ პირველი კურსიდანვე მომავალი ასპირანტი შეარჩევა (და ასე ეძახდნენ ჩუმ-ჩუმად ამხანაგები) და იმდენი ქნა, თავისი გაიტანა: არაფრად ჩააგდო კათედრის სამეცნიერო საბჭოს რამდენიმე წევრის აზრი, რომელთა თქმით, ამ ერთი საშუალო სტუდენტის უპირატესობა მხოლოდ ის იყო, რომ შორეული ჩალაურიდან ჩამოსულიყო და გვარადაც ღუდუშაური გახლდათ, მეცნიერების კარს კი მის გამო უკეტავდნენ „პროსპექტზე გაზრდილ“ მართლაც ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელსაც მხოლოდ ერთი ნაკლი ქონდა— ქალაქელი იყო, სხვაფრივ კი უზადო და მართლაც მეცნიერებისათვის დაბადებული გახლდათ. მაშინ მოიშველია პროფესორმა მედეა კალაძემ თავისი ფუნდამენტური თეორია, შესახებ იმისა, რომ ქართული ფოლკლორის მთავარი და მძლავრი ფესვები საქართველოს მთიანეთშია და ვინ უნდა განავითაროს და ახალ სიმაღლეზე აიყვანოს ფოლკლორისტკამ, თუ არა ისევ მთის შვილებმა, რომელთაც შეიძლება გერმანული კი არა, რუსულიც ჯერ კარგად არ იცოდნენ, მაგრამ თავიანთი უდავო ნიჭიერების და თანდაყოლილი გონებრივი სიცქვიტის გამო, ორიოდე წელიწადში შეუძლიათ გადალახონ სოფლური აღზრდით ჩამოყოლილი ნაკლი... თუკი ეს ნაკლი საერთოდ არსებობს ბუნებაშიო, დასძინა მეცნიერმა და კათედრის სხდომაც ამით დამთავრდა, რადგან ფოლკლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისტიკის კათედრა თავად მედეა კალაძე იყო.

ზაზა ღუდუშაურმა ისიც კარგად იცოდა, რომ სიჭაბუკეში ბერდია ღუდუშაურის ოცნება მეცნიერება სულაც არა ყოფილა და მისთვის რომ ვინმეს რაიმე ეკითხა, ხვალვე მართლაც დაიხურავდა ქუდს და თავისი ჩალაურის ბილიკებს დაადგებოდა. იქ ეგულებოდა დედა, მამის ხსოვნა, მეზობლები— ჯურხა და წაქა, იქ ეგულებოდა თავად ჩალაური, რომელზე ფიქრიც ვერარა ძალამ ვერ ჩაუკლა, მაგრამ ქალბატონ მედეას მომშუშებული ძალის წინაშე ოცდასამი წლის მორიდებული ჭაბუკი მართლაც რომ უძლური გახდაო,— იცინოდა სასწავლებელი. ქალბატონ მედეას არაფრის გაგონება არ სურდა თურმე. ბოლოს ტირილი დაიწყო და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თავს ხება მისცა და დაარღვია განსვენებული პროფესორის (შემდგომში უკვე აკადემიკოსის) ხსოვნისადმი მიცემული წმიდათაწმიდა ფიცი, ქერა ცისფერთვალება ჭაბუკი შინ „საბოლოოდ“ დაიბარა, ალერსით გული გაუთბო და თვალები დაუკოცნა, ჭაბუკმა პატივი სთხოვა და პროფესორმაც იქვე დიდსულოვნად ანატრა.

პროფესორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მორიდებული მთის შვილისადმი ეს პლატონური თაყვანისცემა ბოლომდე უმწიკვლოდ შეინარჩუნა, თუმცა იმოდენა სასწავლებელში მხოლოდ სულთა ახლობლობისა ერთ კაცსაც კი არა სჯეროდა და ჩუმ-ჩუმად, ეშმაკმა უწყის, რას არა ჩურჩულებდნენ... რაღას არ იტყვის ყველაფრის მთქმელი ქალაჭი, მაგრამ უტყუარი მანც ის იყო, რომ იმ დაუვიწყარი ღამის შემდეგ ჩალაურელმა ჭაბუკმა თავის თავს „მთის შვილის“ პეშმარიტი რაინდობით უთხრა: ვირი უნდა იყო, რომ ამ ქალის ცრემლები არაფრად ჩააგდო და მართლა სამე წაბვიდეო,— და ერთხელ და სამუდამოდ დარჩა. დისერტაციის თემა ადვილად გამოიძებნა („სამი მოყმის ბალადის“ უძველესი ვარიანტები სოფელ ჩალაურში“) და დაცვამაც, თუ თვითონ მედეა კალაძე დავუჯერებთ, ბრწყინვალედ ჩაიარა, საზოგადოების თქმით კი, ერთი ჩვეულებრივი დაცვა იყო, რომლის მსგავსიც თითქმის ყოველდღე ეწყობოდა. სწორედ ეს ჩვეულებრივობა არ იყო საშინი. საშინი ის იქნებოდა, არაჩვეულებრივი რომ ყოფილიყო, რადგან სასწავლებლის თუ კათედრის არსებობის მანძილზე სულ რამდენიმე დაცვა ჩავარდა და ისიც იმის გამო, რომ ნაშრომი ან სხვათაგან გამორჩეული იყო, ან ძალზე უბედური, რომლის მსგავსიც მეცნიერების ისტორიას ჯერ არ ახსოვდა.

ასაღლეგებელი რომ არაფერი იყო, ამას სხვა გარემოებაც უწყობდა ხელს: ჩვეულებრივი ასპირანტი ბერდია ღუდუშაური, კარგ, მომხიბლავ ბიჭადაც ითვლებოდა, არავის სძულდა და კენჭისყრამაც მშვიდობიანად ჩაიარა. არავის საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. ის პროფესორიც კი, რომელიც ყველა დაცვაზე გამოდიოდა და აუდიტორიას სიცილით ხოცავდა, აქაც გამოვიდა, მაგრამ მისი იუმორი უწყვინარი გამოდგა. ახალგაზრდა მეცნიერის მიმართ მასაც ისეთი არაფერი უთქვამს. რაც სიცოცხლის ბოლომდე ლაქად უნდა გაჰყოლოდა. ერთი-ორი თავისი ტოლი კოლეგა გაკენწლა, ხალხი გაიცინა და კათედრიდან, ისე რომ არაფერს დაუცადა, პირდაპირ შინ წავიდა. კენჭისყრის შედეგებიც არ იყო ურიგო. ურიგო კი არადა, სასიხარულოც ეთქმოდა: ყველა მომხრე იყო, ერთის გარდა. იმ ერთმა „ჩააგდო შავი“ და ჯაუა რომ ჰქონოდა, იმასაც არ უნდა ექნა, რადგან, ჯერ ერთი, მარტოდ დარჩა და თითით საჩვენებელი გახდა, მეორეც, ყველამ ადვილად დადგინა მისი ვინაობა და მესამეც, ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს „შავი“ ახალგაზრდა სოფლელ ბიჭს კი არ ჩაუგდო, არამედ მის მფარველ ანგელოზს, პროფესორ მედეა კალაძეს, რომელსაც თვალის დასანახავად ვერ იტანდა და ამას თითქმის არცა ფარავდა. ხო, ეს იყო პროფესორი ვარლამ

ხაჯაპურიძე, რომელიც ქართული ამერანის და პრომეთეს მითის შეპირისპირებით ანალიზით იყო გართმული. და კაიეტრის გამგედაც საკუთარი თავი უფრო წარმოედგინა, ვიდრე ეს ვილაც მედეა კალაძე, კაცმა არ იცის, ვისგან და რა გზით გაპროფესორებული. და მედეა კალაძემაც, იქვე, კენჭისყრის შედეგების მოხსენებისას გადაულაპარაკა დოცენტ ირინე რამიშვილს: რა თქმა უნდა, ხაჯაპურიძეაო. სცხვენოდესო,— თავის მხრივ ჩაიჩურჩულა რამიშვილმა და არ შეიძლება არა ვთქვათ, რომ იგივე გაიფიქრა ყველამ, ვინც იმ დღეს დაცვას ესწრებოდა და ვინც მერე მართლაც წრფელი გრძნობით კოცნიდა აწ უკვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ბერდია ღუდუშაურს.

ბედნიერი იყო ბერდია ღუდუშაური. იმ ბედნიერებას ისევ და ისევ ქალბატონ მედეას უმადლოდა, მაგრამ ბედნიერ წუთებშიც კი, მთიდან ჩამოსული ჰაბუკი მეცნიერი სულ სხვა თემაზე ოცნებობდა: „ვაჟა ფშაველა, როგორც მთის შვილი“. ეს უნდა ყოფილიყო ის წიგნი, რომელშიც მთელ თავის ცოდნას, ნიჭსა და, რაც მთავარია, მთის სიყვარულს ჩააქსოვდა. მაგრამ გავიდა ხანი და, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ვერც ეს წიგნი დაიწერა. ამ წიგნის დარდი დოცენტმა ბერდია ღუდუშაურმა სამარეში წაიღო.

ბედნიერ წლებს ეძახდა იმ წლებს ბერდია ღუდუშაური და ეს უფრო ცოლის გასაგონად იტქმოდა. გულში სცარიელეს გრძნობდა. იმ დღეების გამოფიტული და დამრეტილი ვნება სირცხვილის გრძნობას ჰბერავდა. და თუ ბოლომდე მართალი იქნებოდა, ბედნიერი მხოლოდ მაშინ იყო, როცა ათასში ერთხელ თავისი ჩალაურის გზას დაადგებოდა.

ჩალაურში ასვლისთანავე ახლდებოდა ცხოვრება. ყველაფერი დავიწყებას ეძლეოდა. გაწყვეტილი ძაფი ისევ მთელდებოდა და თავადაც გამთლიანებული, ეძლეოდა იმ ნეტარებას, რასაც ადამიანი მხოლოდ იქ პოულობს, საიდანაც მოდის და სადაც განიცადა ქალწულების ხელის პირველი სითბო.

სულ სხვა იყო „ჩალაური“, საოცნებო და მარადიული, რომლის ფონზეც სხვა დანარჩენი ფერმკრთალდებოდა, დროებითი და წარმავალი ხდებოდა. ჩალაური კი იყო, არსებობდა და მის არსებობას არც არაფერი აკლდებოდა, არც არაფერი ემატებოდა. ასე ფიქრობდა ჰაბუკი, ასე მკვიდრად იდგა მის ხსოვნაში ჩალაური და ის წლებიც, რომლებიც იქ გაეტარებინა; ჩალაური, საიდანაც ომში წყვიდა მამა, სადაც ცხოვრობდა დედა და სადაც იწყებოდა და მთავრდებოდა მთელი სამყარო. იქ, ბაზზე, დედა იჯდა, როგორც მჯდარა მრავალი წელი და შორეული ბილიკისკენ თვალმიჩერებული, მაშინაც წამოდგებოდა, თუ ბილიკზე ვინმე გამოჩნდებოდა, ან ქვეთით, ან ცხენით მავალი. დედაკაცისთვის ეს ბედნიერი მოლოდინის წუთები იყო, რომელიც უმეტესად იმედის გაცრუებით მთავრდებოდა. ვინ არის ის მგზავრი, ცხენს რომ მოაჯენებს, ან ის მგზავრი, ფეხით რომ მოუყვება ჩალაურის ვიწროებს, ვინმე ჩვენიანია თუ სტუმარი, უცხო ქვეყნისკენ მიმავალი თუ აქ დამრჩომი? რად მორბის, რა ეჩქარება, ან თუ ნელა მოდის, რატომ არ ჩქარობს, რატომ არ უნდა მალე ამოიაროს ჩალაურის ბილიკი და თავისი სახე გვიჩვენოს? მაგრამ მგზავრი მაინც მგზავრი იყო, უცხოდ მავალი, და როგორც უცხოს შეჰფეროდა, თვალს სწრაფად ეფარებოდა. დედაკაცის მოლოდინი კლავდ გრძელდებოდა. დედაკაცი იჯდა ბაზზე და არ იცოდა, რომ მისი შვილი უკვე დოცენტი ღუდუშაური იყო, რომ ბინა მიიღო სასწავლებლიდან ასიოდე ნაბიჯზე და ჰა და ჰა, საცაა დაოჯახდებოდა. ამაოდ წუხდა დედაკაცი შვილის ბედზე. მისი ბედი უკვე ცაში იყო გადაწყვეტილი, ანუ, თუ უფრო მართლები ვიქნებით, ღუდუშაურის სტუდენტის — მადონა კოტრიკაძის გულში გადაწყვეტილიყო და ეს იმგვარი მტკიცე გადაწყვეტილება იყო, რომელსაც ვერარა ძალა წინ ვეღარ აღუდგებოდა. ბერდია

ლუდუშაური, ბანზე მჯდარი შვილის მომლოდინე დედაკაცის ერთადერთი შვილი, კლავ თავის „მომავალ წეიგნზე“ ფიქრობდა. მომავალ ოჯახზე კი — მხოლოდ ის ქალი, ვინც ამ ოჯახის დიასახლისი უნდა გახდარიყო. ქალი თუ გოგო მეხუთე კურსის სტუდენტი იყო. მერე, როცა უკვე დოჯახდნენ, ბერდია ლუდუშაური ცდილობდა წარმოედგინა, როგორი იყო ეს გოგო პირველ კურსზე, როცა თავადაც პირველად შევიდა ლექციის წესაკითხად, მაგრამ ვერა და ვერ გაიხსენა. თითქოს ბედის დაცინვით, ყველა სახე ახსოვდა, ყველა თვალება, შაშვივით დაღებული ყველა პირი, ყველა აზრიანი, უაზრო, უტიფარი თუ ვნებიანი, ან სულაც მტრული და ირონიული გამოხედვა, მაგრამ ამ გოგოსი, რომელიც თურმე პირველი კურსის ფრიადოსანი სტუდენტი მადონა კოტრიკაძე იყო, ვერაფერი გაიხსენა: ვერც ის, სად იჯდა, ვერც ის, წესიერი სტუდენტი იყო თუ უწესო, და ვერც ის, რაში და რატომ დაუწერია ხუთიანი.

მეხუთეკურსელმა მადონა კოტრიკაძემ გაიმარჯვა და ამ ბანზე გადმომდგარი დედაკაცის რძალი გახდა.

ბანზე გადმომდგარი დედაკაცის მოლოდინში კი დღეები და წლები გადიოდა. ჩაიკროლებდა ცხენი ბილიკზე, მაგრამ ეს არ იყო ქალაქიდან ამოსული შვილი. გამოჩნდებოდა ვიღაცა, მაგრამ ახლოს მოსულიც ვიღაცა იყო და დედაკაცის გულს უფრო მეტი სევდით ავსებდა. ბოლოს კი, და ეს, ცხადია, გაზაფხულზე მოხდა, მართლაც გამოჩნდა ვიღაცა და ამ ქალის გუმანმა მაშინვე თქვა, რომ ეს „ვიღაცა“ სწორედ ის იყო, ვისაც დღედაღამ ელოდებოდა. შვილი იყო, ოდნავ წელში მოხრილი, ჭოშინით მომავალი! დედაკაცი წამოდგა და ეზოში ჩავიდა. ეზოდან გასვლა არ უნდოდა. აქ უნდა მდგარიყო, აქ უნდა შეხვედროდა ქალაქიდან ამოსულ შვილს, რომელიც საცაა ფერდობიდან ამოვიდოდა და დედის წინ გამოცხადდებოდა.

— ბევრი ვიფიქრე და უნდა წაგიყვანო, — თქვა მაშინ ბერდია ლუდუშაურმა.

— ბედნიერია მამაშენი, რომ ომში მოკვდა და ამ დღეს გერ მოესწრო, — უთხრა დედაკაცმა. მერე შინ შევიდა და კარგა ხანს ბანზე აღარ გამოსულა. შვილმა იცოდა, რომ დედაკაცი შინ იყდა და ტიროდა. ისიც იცოდა, რომ ბოლოს მაინც ცრემლს შეიმშრალებდა, თავის თავს რაღაცას უბრძანებდა და გამოვიდოდა. დედაკაცი გამოვიდა და შვილი მიხვდა, რომ ყველაფერი გადაწყდა. დანარჩენის გახსენება აღარც ამ დედაკაცს უნდოდა, აღარც შვილს. ჩალაური თითქოს ნელ-ნელა ნისლში ჩაიძირა (მართლა ნისლიანი დილა იყო და ქედზე შეფენილი სახლებიც ჩალაურისა ნისლებში ხან იძირებოდნენ, ხან ისევ გამოჩნდებოდნენ), მერე სულ შორს და შორს დარჩა და რაცა ქალაქს მიუხლოვდნენ და გადმოხედეს, სწორედ მაშინ იფიქრა ლელა ლუდუშაურმა, რომ აქაურობაში, რომელსაც ქალაქს ეძახიან, ერთ დღესაც ვერ გაძლებდა...

გაძლო!..

ჩალაური მისტიკად იქცა...

ლელა ლუდუშაურის „მისტიკური ხილვებიდან“ (როგორც რძალი უწოდებდა) ოჯახში ყველაზე უფრო წელიწადის დროთა ცვალებადობის ვნებიანი განცდა ბორგავდა. დედაკაცი ჩაიოდა, რომ ქალაქში გაზაფხული გაზაფხულს არ ჰგავდა, შემოდგომა — შემოდგომას, მაისის ბოლოს შეხედავ ეზოში გაფოთლილ ჭადარს და მაშინღა მიხვდები, რომ გაზაფხული კარგა ხანია დამდგარა კი არა, საცაა გავაო. ყველაფერს ჩუმად და შეუმჩნეველად გაუვლია! დედაკაცის თქმით, შემოდგომაც ამგვარი იყო ქალაქში, ფოთოლს ხეირიანად ჩამოცვენს არ აცლიან, იმ წუთში მოხვეტავენ და სანაგვე ყუთისკენ მიარბენინებენო.

დედაკაცს ყველაზე უფრო შვილი-შვილის დარდი ჰჭონდა, ოთახის ყვავილს არ დაემსგავსოსო და შვილს ეჩხუბებოდა: ეს ბიჭი სადღაც წაიყვანე, ან ზაფხული ნახოს, ან ზამთარი, ვერა ხედავ, შენც ამოგიღიმდა თვალები და

ამასაცო. ყველაზე უფრო გაზაფხული იყო შფოთიანი, დიდედას გაზაფხული, როცა აუცილებლად უნდა შეცვლილიყო რაღაცა, როცა მისტიკური ჩალაური უფრო მეტად ახლოდებოდა და ღუდუშაურების ოჯახში ცოცხალივით შემოდიოდა.

გაზაფხულზე მამა ჩაიცვამდა თბილ ჯუბას, თავზე სვანურ ქუდს დაიხურავდა, ბიჭსაც ამგვარად გამოაწყობდა და გაზაფხულის სანახავად წავიდოდნენ. წასვლისათვის მზადება ათასგვარი ოცნებებით და გაურკვეველი სიხარულით იყო სავსე. მთელი ოჯახი მოუსვენრობას შეეპარო. დედა ამბობდა, ეს გაზაფხულის სანახავად წასული იმდენად ჩვეულებრივი ამბავი გახდა (ჩვენს ოჯახში მაინცო), რომ ამდენი დავიდარაბა მართლაც სასაცილოა, ამას გიჟობთ, დილადარიანად ადგეთ და გაიპაროთო. დიდედა ვერ ისვენებდა, მარტო ამ წასვლაზე ლაპარაკობდა და თან უმატებდა, ნეტავი მეც წამიყვანა, ჩალაურში სწორედ ამ დროს იწყებს თოვლი დნობას და მთიდან ზვავები ჩამოდიანო. გამოვეფინებოდით ეზოში, ჩამოვსხდებოდით მზიანში და სულ წინასწარ ვიცოდით, რომელი ფერდობიდან რა დროს წამოვიდოდა ღმუილით ზვავი. ის დრო მაინც სხვა იყო. გაზაფხულსაც მადლი ჰქონდა და ზამთარსაცაო.

საგზალი უკვე მზად იყო, თუმცა მამა ამბობდა, რა საგზალი გვინდა, მთელი გზები რესტორნებით არის მოფენილი, დავიღლებით, დავიჭანცებით, მერე ჩამოვჯდებით სადმე, „ფეჩოან“ ახლოს, მე და ჩემი ბიჭი, მოვტანინებთ ცხელ მწვადს, ლობიოს და მწნილს, ზედ ერთ ბოთლ საფერავსაც მივაყოლებთ და თქვენს სადღეგრძელოს ვიტყვითო. ეს ბიჭი არ დაათაროო, — გამოვარდებოდა სამზარეულოდან დედა. ეს ბიჭი ღიმნათს დალევს, იმ ბოთლს მე გამოვცლი და მერე ღიღინით ჩამოვალთ ქალაქშიო... ახლა ამაზე ატყდებოდა ამბავი, ერთი ბოთლი ღვინო ბოლოს მოგიღებს, სადმე არ ჩაგეძინოს და ბიჭი არ შეეშინოსო.

ამ შფოთში, ამ დარიგებასა და დაბარებაში, როგორც იქნებოდა, გავიდოდნენ სახლიდან და გაზაფხულისკენ მიმავალ გზას დაადგებოდნენ (დღედაც ბედნიერი იყო). მთის გზას აივლიდნენ ავტობუსით. მერე იქიდან ქვეითად დაუყვებოდნენ, ვიდრე მართლა არ დაიღლებოდნენ, ვიდრე სადმე სასადილოში არ გადაუხვევდნენ და ცხოვრება მართლა ერთი დღით მაინც არ გაათამამებდათ. იქ სწორედ იმგვარ სუფრას გააშლებინებდნენ, როგორითაც სახლში, თავისიანებთან იწორებდნენ თავს, როცა უკვე უკან იყო მოტოვებული გაზაფხულის გზა, ტოტებზე შემჭკნარი შარშანდელი ასკილებიც უკვე ენახათ, ლილოჭრელზე თავამოყოფილი ენძელებიც და ბუჩქების ქვეშ (თოვლს რომ არც ჩაეღწია) მოდებული ყოჩივარდებიც; მდნარი თოვლებიდან წამოსული ამღვრეული რუებიც გადაელახათ და ბუჩქებში აფრთხიალებული გულწოფელა ჩიტებისთვისაც მოესმინათ, ჯერ რომ მხოლოდ თვითონ იყვნენ, მარტონი დაპატრონებოდნენ იქაურობას, მარტოებს გადაეტანათ მთელი ზამთრის გაჭირვებაც და მარტონი შეხვედროდნენ გაზაფხულის მოსვლას. მერე, კარგა ხნის მერე გაივსებოდა აქაურობა ჩიტებით თუ ჩიტბატონებით. მერე მოვიდოდნენ, მწვანეში და აყვავებულში, მერე ვეღარ გაარჩევდი, ვინ სად და, რომელი რა ჰანგზე მღეროდა. მართლა გაზაფხული ეხლა იყო, ცოტა სითბოთი, ცოტა ყვავილებით და ცოტა გალობით... იქდა მამა-შვილი სასადილოს ფანჯარასთან, მადიანად შეექცეოდა საშველს (ამ დროს ყველაფერი გემრიელი ჩანდა), ხან ერთმანეთს ადღეგრძელებდნენ, ხან დედას და ბებოს და გულიანად იცინოდნენ, თვითონაც არ იცოდნენ, რაზე იცინოდნენ. მათი ბედნიერების შემხედვარე კუთხეში მიმჯდარი დედაკაცი კი ოხრავდა და მამა-შვილმა არ იცოდა, რაზე ოხრავდა დედაკაცი. ათასში ერთხელ

დახლიდარიც გამოიხედავდა და ისიც გაიფიქრებდა, ეს რანაირი მამა-შვილია, ძმაკაცებს უფრო ჰგვანან და, ღვთის წინაშე, იმასაც მოუნდებოდა იმ დიდებულ სუფრასთან ჩამოჯდომა, ერთი სადღეგრძელოს თქმა და უფრო და უფრო მეტად იმის გაგება, ეგრე გულიანად რაზე იცინიანო. ხო, ამგვარი იყო გაზაფხული.

ზაფხული უფრო მეტი შიშით დგებოდა, ბებომ არ გამოიღოს თავისი ძველი, მოჩითული კაბა და ჩალაურში წასვლა არ გადაწყვიტოს, აწ უკვე მტკიცედ და საბოლოოდ. მაშინ ბებოს— ლელა ღუდუშაურს წინ მეფე ერეკლეს ლაშქარი რომ დასდგომოდა, მაინც წავიდოდა. მაგრამ ბებოს დაჯერებას ჯერ მაინც ახერხებდნენ, აბა რა დროს ჩალაურია, ეს კაცი ფიქვნარში რომ არ წავიდეს, არ შეიძლება (მაშინ უკვე ჰქონდა მამას იმ ავადმყოფობის ნიშნები, რამაც მერე, სულ მალე ბოლო მოუღო), ბიჭიც ბანაკს უნდა გავაყოლოთ, სხვა თუ არაფერი, სკოლა მოითხოვს ამასო. სახლის მარტოკა დარჩენაც არ გვინდა, ხო იცი, რა დრო დადგა, გუშინაც მესამე სადარბაზოს მეორე სართულზე სამოთახიანში შესულან და თეფშებიც კი წაუღიათო. ამ მიზეზთა წინაშე ბებო უკან იხევდა, მაგრამ მათ მიღმა მაინც სხვა, ცოტა არ იყოს, ვერაგული ჩანაფიქრი იმალებოდა: ჩალაურში ყველას უნდოდა წასვლა, განსაკუთრებით მამა-შვილს, დედაც აჰყვებოდა იმათ აღტაცებას, რათა ერთხელ მაინც ენახა საკუთარი თვალით ეს მართალი თუ მოგონილი ჩალაური, მაგრამ საშიში სხვა რამ იყო — ვაი, თუ დიდი ხნის მონატრებულ ჩალაურს ისე მოეწუსხა ლელა ღუდუშაური, რომ ვეღარა ძალით იქიდან ვეღარ ჩამოეყვანათ, ვაითუ მშობლიური კუთხის სიყვარული შვილისა და შვილიშვილის სიყვარულზე უფრო ძლიერი გამომდგარიყო? ამის გაფიქრებას ოჯახი ჩალაურისკენ კი არა, სულ სხვადასხვა გზით მიჰყავდა და ჩალაურიც, იმ ზაფხულს, როგორც წინა და იმისწინა ზაფხულები, კვლავ მიუწვდომელ ოცნებად დარჩა.

შემოდგომაზე უფრო ტყეებს რჩეობდნენ. ტყეშიც ავტობუსით ავიდოდნენ, მერე ქედ-ქედ გადაივლიდნენ, იქიდან ან ციცაბო ბილიკებით ჩამოვიდოდნენ, ან ტყე-ტყე გამოჰყვებოდნენ და გზაზე დაღამებულზე გამოაღწევდნენ. ამ დროს სახლში უკვე შიშობდნენ და თან ერთმანეთს ამშვიდებდნენ, არ იცი იმათი ამბავი, მთელი გზები ზეპირად იციან, არ დაიკარგებიან და საცაა კარს შემოაღებენო. თუ ტყეში არა, რომელიმე ძველ მონასტრამდე ავიდოდნენ, იქ საგზალს გაშლიდნენ, კარგა დანაყრდებოდნენ (გამოსძახი, ბიჭოო? — მამა იკითხავდა) და უკვე დასვენებული და ძალამიცემული, გზისკენ გადაეშვებოდნენ. ტყეები სავსე იყო კუნელით, კვრინჩხით, შინდით და ზღმარტლით. ასკილებს გადაეწითლებინათ გზები. აქა-იქ მაყვლებიც ისევ მწიფობდნენ. წითლად ანათებდა ძახველი. ტყეს ცოტა ყვითელი ფერიც ედო და ბიჭი მამას ეძახდა, მამა, შემოდგომა ვიპოვეო! აბა სად არიო? აი, აქ არი, განაბული, ყვითელ ფოთლებშიო! იყოს, თავი დაანებეო, შემოდგომას მარტო ყოფნა და ფიქრში წასვლა უყვარსო. გაზაფხულივით კი არ არი, ხესა და ქვას რომ ედება და ყველას უნდა გააგებინოს, აი, მოვედი, რა ლამაზი და ახალგაზრდა ვარო... შემოდგომას რაღა ადარებენო? ზამთრის მოლოდინიო, სიკვდილის და გაქრობის შიშიო. აი ეგ ყვითელი ფოთოლი სწორედ სიცივის შიშითა თრთის, სხვა ფოთლებს ეკვრის, შეელას იმათგან ითხოვსო. მაგრამ ყველანი წავლენ, ერთად კი არა, თანდათან, ზოგი დღეს, ზოგი ხვალე, ბოლოს მაინც ყველანი წავლენო. ბოლოს დარჩება ერთი და იმასაც იმე მოსწყინდება მარტო ყოფნა (ხო იცი, მარტო ყოფნა რა ძნელია), ღმერთს შესთხოვს, ღმერთს კი არა, გზად გამოვლილ ქარს, რა გამიძალე სიცოცხლე, რა მარტო დამარჩინე,

ხომ ხედავ, ყველა წავიდა, მორჩი და მეც წამიყვანეო. ქარს შეეცოდება, ჯერ ეტყვის, ნუ გეშინია, გაბა ისე ძნელია, შენ რომ გგონიაო და ფოთოლიც მოსწყდება რტოს, თვალებს დაბუშავს და შიშით გათანგული ძირს, დამჭკნარ ფოთლებში ჩაეცემა. მეორე დღეს ისიც უკვე დამჭკნარი იქნება, ან სულაც აღარ იქნებაო... მამი, აბა აქეთ გადმოდით რა იყო, რა დაინახეო? ეს დათვის კვალი არ არიო? დათვისა კი არა, მელიისაა, კუდით მიწა უგვია, დათვის კვალი სხვანაირია, უფრო ბრტყელი და გამოკვეთილიო. მერე მზეს შეჩედავენ და ეე, რა დრო გასულა, მზე უკვე ქვედის წვერზე ბრიალებსო... აქ არ დაგვიღამდეს, მამიო. დაგვიღამდეს რა, ერთი ასანთი, კარგი კოცონი და მისი ჯანიო! საგზალი ხო დაგვრჩაო? როგორ არა, მეფე ერეკლეს ლაშქარსაც ეყოფაო! მაშ რა გვენაღვლებაო? შინ რომ შეეშინდებათო? ხო, შინ კი შეეშინდებათო... მაშინ რაღა დაგვრჩა, აგერ ჩვენ და აგერ გზაცო... მერე სულ სირბილით დაეშვებოდნენ იმ გზამდე და ის იყო სულზე მოვუსწარითო, ავტობუსიც გამოჩნდებოდა, მგზავრებით სავსე ავტობუსი. მგზავრები მიიწ-მოიწევდნენ და ისინიც შევიდოდნენ, გაღურჯებულები და დაღლილები. სიიდან მოდენილხართო? — იკითხავდა ვიღაც ბერიკაცი. ეგრე, მთა-მთა გადმოვჭერითო. მაშინ უფრო მიიწ-მოიწევდნენ და ვიღაცა ამ „მთის გმირებს“ ადგილსაც დაუთმობდა. მამა-შვილი ჯერ იუარებდა, მერე მაინც, გაწვდილი ჰიჭისა არ იყოს, უარს ვერ იტყოდნენ და ჩამოსხდებოდნენ. იდგა ავტობუსში საამო სითბო და დუმილი. ფანჯრებს გადაღმა გარბოდნენ შემოდგომის ტყეები, მთელი ავტობუსი კი ამ მამა-შვილს უცქეროდა, თვალს არ აშორებდა, როგორც „სხვა ხალხს“, სხვა მხრიდან თუ სხვა ქვეყნიდან მოვლენილებს. ხო, ამგვარი იყო შემოდგომა...

ზამთრობით დათოვლილ ტყეებში მიდიოდა მამა-შვილი, სადაც ყველაფერი გაშიშვლებულიყო და თვალის მთელ გადასდევარზე მხოლოდ თეთრ თოვლზე ამოწვდილი მაღალი ხეები მოჩანდა. დაბურული ბუჩქები სადღაც გამქრალიყვნენ, თოვლქვეშ თავი წაეხარათ და წინ იმოდენა სივრცე იყო გაშლილი, ტყე ნამდვილი კი არა, მხატვრის ტილოზე დახატული ჩანდა. მამა-შვილი, რაკი გაშლილ სივრცეში ყველაფერი ცხადად ჩანდა, აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდოდნენ და მერე ერთმანეთს ეძახდნენ საამდღეოდ შენახულ დიდი ხნის წინანდელ სიტყვებს: თევდორეე! ჰეე! იპოვე? ვერა-ვერაა! საპოვნი არაფერი იყო. ეს ძახილი მამა-პაპათა დიალოგის გათამაშებას წარმოადგენდა და მამა-შვილს დიდ სიხარულს ჰგვრიდა. ყველაზე დიდი სიხარული მაინც ის იყო, თუ ამ გაშლილ ტყე-ღრეში, სადაც ზაფხულობით ორ ნაბიჯზეც არაფერი ჩანდა, სადმე მატონებულ ეკლესიას აღმოაჩენდნენ. გახუნებული, ჩამონგრეული და წვიმებისგან ჩამორეცხილი ბაზილიკის დანახვაზე მამა სადმე თოვლში გადაწვენილ ხეზე ჩამოჯდებოდა, ბიჭს დაუძახებდა, მოდი აქ, ცოტა ხანს შენც დაისვენეო, პაპიროსს ხველებ-ხველებით გააბოლებდა, და თან განგებ ხმამაღლა ინატრებდა, ეეხ, ნეტა ახლა მეხუთე საუკუნის ბაზილიკა გვაპოვნინა, თანაც ხელუხლებელი, ჯერ უნახავი, თანაც ზედ კარის თავზე ერთი ძველთაძველი წარწერით და მთელი ქვეყანაც ჩვენზე ალაპარაკდებოდა, აიო, მამა-შვილიო, დამთხვეულები რომ გეგონათო, ტყუილად კი არ დადიოდნენ ტყე-ტყე, ბაზილიკა იპოვეს და თანაც წარწერითაო, თანაც რა წარწერითო, მეხუთე საუკუნეზე ადრეულად თარიღდებაო. ამ ოცნებაში მამა უცებ იტყოდა, ბიჭოს, აი, იქ რა მოსჩანსო? აბა სადაო? აი, აქვე, ჩვენ თვალწინ! რაღა ძებნა და ნატვრა გვინდა, აქა ყოფილა და ეგ არიო! მართლა აქა ყოფილაო! დასცემდა ბიჭი ყიჟინას და იმ მუხლამდე თოვლში უცნობ ბაზილიკამდე სულ ყიჟინით ჩავიდოდა. აქ არი, მამი, აქ არი! — დაიძახებდა ბიჭი, მაგრამ მისი ყიჟინა ერთბაშად ჩაჭრებოდა. ბა-

ზილიკის მხოლოდ წინა კედელიღა იდგა, ჩამონგრეული კარებით და ორი ვიწრო სარკმლით. კედლის უკან სიცარიელე იყო, წარწერა კი, ის უძველესი, მეხუთე საუკუნეზე ადრეული წარწერა, არა და არ ჩანდა. ბაზილიკა ჰგავდა სცენაზე დადგმულ დეკორაციას, სადაც მხოლოდ ერთი კედელი იყო საჭირო, სწორედ ის, მაყურებელი რომ ხედავდა, სადაც ყველაფერი მუყაოზე იყო გამოკვეთილი და დახატული, უკან კი მარტო შავი კულისები იგულისხმებოდა, ცარიელი სივრცე, რომელიც ყველაფერს მაყურებლის წარმოსახვას ანდობდა. მამა-შვილი იქვე ქუდს მოიხდიდა, როგორც მამა-პაპათა ძველ სასფლაოზე. მერე მამა იტყოდა: მარტო მტერს ნუ დავაბრალებთ, ბედთვლათები, ეტყობა, ძველადაც გვყავდნენ. არ გაუფრთხილდნენ, ჩვენკენ ალარ გამოიხედესო. მერე ქუდებს დაიხურავდნენ და ისევ ხმაურით გააგრძელებდნენ გზას, ახლა სხვა მხრივ და სხვა აღმოჩენათა მოსახილველად. ბოლოს კი დღე ტყეში დანთებული კოცონით მთავრდებოდა, სციოდათ თუ არ სცოდათ, ეს კოცონი მაინც უნდა დანთებულიყო და, კაცმა რომ თქვას, შეიძლება სულაც ამისთვის წამოსულიყვნენ. კოცონი ნელა, წვალებით ინთებოდა. თოვლში განედლებული ფიჩხები ჯერ შიშინს იწყებდნენ და კვამლით ავსებდნენ მთელ ტყეს, მერე ალი ნელნელა თავს ამოჰყოფდა, ჯერ იქ, ჯერ აქ და ბოლოს ერთბაშად გაძლიერდებოდა, კვამლი მინელდებოდა და ტყის შუაგულში დანთებული კოცონი გაათბობდა ხელებს, გულ-მკერდს და მუხლებს. დასვენებულ წინდებსა და „ბათინკებსაც“ ოხშივარი აუვიდოდათ და იდგა ერთი სითბო... სად იყო და სად არა, იქვე ხეზე ციყვიც გადმოხტებოდა, თოვლს ჩამოჰყრიდა და კოცონს გადმოსცქეროდა. მამა-შვილი რომ შეხედავდნენ და მოიპატიჟებდნენ, მობრძანდი, რისი გერიდება, რაცა გვაქვს, იმით გაგიმასპინძლდებით, ცეცხლზე მაინც გაითბე ეგ თათებიო, ციყვი შეშინდებოდა და სკუპ-სკუპით და ტოტებზე კონწიალით უცებ მთელ იმ გასადევარს გადალირბენდა. საღანღალ გულყვითელა ჩიტიც გამოჩნდებოდა, ისიც ჩამოყრიდა ორიოდე ფთილა თოვლს, იწიწკნებოდა, იწიწკნებოდა, ისიც ცეცხლის აღს გადაუფრენდა ანდა სხვების დასაძახებლად წიფლიანებში გადაეშვებოდა. ბოლოს ყვავებიც დაიყრანტალებდნენ და ცეცხლის ზემოთ, უკვე მოქუფრულ ცაში მისვლა-მოსვლას დაიწყებდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მამა-შვილი შინისკენ უნდა დაშვებულიყვნენ. ღამდებოდა და გზაზეც თუ მალე არ ჩაედოდნენ, აღარაფერი შეხვდებოდათ. მაშინ ერთი წყაროსთანაც შეჩერდებოდნენ, ყველსა და პურს შეჭამდნენ, წყალს დააყოლებდნენ და დაეშვებოდნენ ფერდობზე. ამგვარი იყო ზამთარი...

●

მერე რაც მოხდა, იმას ვერავინ ვერაფერი გაუგო და, კაცმა რომ თქვას, გაგებასაც არავინ ცდილა: ბერდია ღუდუშაური თავის თავში ჩაიკეტა! ყველასაგან განდგომილს მარტოდმარტო ყოფნას არაფერი ერჩია. ის დაემსგავსა სპექტაკლის წამყვანს თუ ჭოროს, რომელიც მოქმედებაში ჩარევას სულაც არ ცდილობდა, სევდიანად ადევნებდა თვალს ამბავს და ათასში ერთხელ, თითო რეპლიკით თუ გაამეტყველებდა, რომ ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა, ყველაფერს კარგად ხედავდა, მაგრამ თავის პოზიციას დუმილით გამოხატავდა.

შვილს თავს დატეხილ ამბავს მხოლოდ დედა მიხვდა, ანუ ამ ამბავსაც საკუთარი ახსნა მოუძებნა: ვიცოდი, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, ხეს რომ გადარგავ, ადრე თუ გვიან გაბმებაო, თანაც ნერგს კი არა, დიდ ხეს, უკვე გაფოთლილს და წამოზრდილსო. ყოფილიყო იმ ჩალაურში, ემწყემსა ძროხები, ჯანსაღად მაინც იქნებოდაო. რძალმა იფიქრა, ყველაფერს მე მაბრალებსო და დედამთილს საყვედური დაუწყო, შენი შვილი უბედური კი არა, ბედნიერია, კარგი ოჯახი აქვს, ხალხიც

აფასებს, სტუდენტებს უყვართ, მეტი რა არის საჭიროო? უბედური მაშინ იქნებოდა, იქ რომ დარჩენილიყო, იმ გადასაკარგავ ჩალაურშიო. ამაზე დედაკაცმა ცახცახი დაიწყო: გადასაკარგავში რათ არიო? აბა ერთხელ მაინც აგეხედა, თუ უკანსკნელ გამობრუნებულიო...

ხო, ოჯახში ახალი ამბავი დატრიალდა და ამისი მაუწყებელი იყო ეს უსიამოვნო ლაპარაკიც, რომლის მაგვარიც ადრე არავის გაუბედავს. ბერდია ღუდუშაურმა თვალი მოარიდა მოჩხუბრებს და თავისთვის თქვა: არ მიყვარს ოჯახში რომ ჩხუბობენ, სადაც ჩხუბი დაიწყება, იქ უცვე ოჯახი აღარ არი, იქ მარტო მოვალეობისთვისღა ცხოვრობენ ერთადო. ამის თქმაზე ყველანი გაჩუმდნენ. დიდედამ ცრემლები მოიწმინდა და იქვე დაიფიცა, ხმის ამომდენი აღარა ვარო, და ეს ფიცი მართლაც პირნათლად შეასრულა. მაშინ ცოლმა ბოდიში მოიხადა, უკანასკნელად მარტო იმას ავუხსნი ჩემ დედამთილს, თუ რამე გვკალია, თუ ზოგიერთივით ხუთოთახიან ბინაში არა ვცხოვრობთ და აგარაკიც არა გვაქვს, ჩალაურიდან წამოსვლა არაფერ შუაშია, ყველაფერი მაინც მაგისი შვილის ხათრისა და მორიდების ბრალიაო, ვერავისთან ვერ შეიყვარ, ვერაფერს ითხოვნინებაო... ეს იყო და ეს... მამა იმ დღიდან „თავის ოთახში“, ანუ სამოთახიანი ბინის ერთ ოთახში შეიკეტა.

ბერდია ღუდუშაური დილით გამოვიდოდა საკუთარი ოთახიდან, ლექციებზე წავიდოდა და შინ მობრუნებული ისევ ოთახს მიაშურებდა.

რა მოხდა, ვის ეჭირვებინა... ვერავინ წაიკითხა ის ფიქრები, რაც ბერდია ღუდუშაურს დღე და ღამ აწამებდა. ვერავინ შესძლო ოდნავ მაინც გამოეყვანა ეს კაცი „თავისი ოთახიდან“, ანუ საკუთარი ნებით შემოზღუდული სამყაროდან, სადაც, არავინ იცის, მარტო თვითონ იყო თუ ათასი სხვა ვინმეც, ვისთან მარტო დარჩენაც თავადვე ისურვა.

სასწავლებლიდან მუდამ შემკრთალი, წელში მოხრილი და დარცხვენილი ბრუნდებოდა. შიში და ეჭვი დასჩემდა. შვილს მუდამ იმას ჩასჩიჩინებდა, რაც გინდა ის გამოდი, ოღონდ შენი საკუთარი ადგილი იპოვეო. აი, მე, მაგალითად, სულ იმისი შიში მაწუხებს, სხვის ადგილს ხომ არ ვიკავებო. იქნებ ის სხვა ჩემზე უკეთესი იქნებოდა და ახალგაზრდებს უკეთესად ასწავლიდაო.

ახალგაზრდების ხსენებაზე დოცენტი ღუდუშაური უფრო იცვლებოდა, უფრო ბერდებოდა, სახე უჭკნებოდა და უფრო თრგუნებოდა, კეხიანი ცხვირი უგრძელდებოდა, ცისფერ თვალებში ის ოდნავ დარჩენილი სხივიც უქრებოდა, რაც სიცოცხლის ნიშანწყალად ჩანდა. მისი სახიდან ამ დროს მხოლოდ უბრალო რჩის სათვალეღა იმზირებოდა. აუდიტორიაში შესვლა უკვე აღარ შეიძლება, სულ სხვა ახალგაზრდობა მოვიდა, აღარაფერი სწამთ, აღარაფერი სჯერათო. ერთი ნაწილი თავხედია, სიტყვას ვერ ეტყვი, ნაშანს ვერ დაუკლებ, მაშინვე აიჭორრება და ათჯერ მეტს მოითხოვს, ვიღრე ეკუთვნისო. მეორე ნაწილი სრულიად უვიცია, ვაჟა-ფშაველაც კი არა აქვს წაკითხული და მარტო იმისი სირცხვილი და გაოცება გკლავს, როგორ დაიჭირა ასე მკაცრი გამოცდები და როგორ შემოძვრა სასწავლებელშიო. უბედურება ის არის, რომ ვერც იმას დაუწერ ცუდ ნაშანს, შეიძრება ქვეყანა, გამოგიძახებენ დეკანატში, მოგიგზავნიან ყველაზე ახლობელ მეგობრებს, ეს იმისი შვილია, ეს იმისი დისწული, ეს იმისი მეზობელი და ბოლოს, იმისი შოფრის შვილიო. გესმით, სადამდე მივედით, მავანისა და მავანის შოფრის შვილიაო! ახლა დედის ხმაა: რად გიკვირს, რომელ დაწესებულებაშიც გინდა მიდი, ყველა უფროსის შოფერს და პირად მდივანს ეფერება, საქმის დაჭერას იმათთან ცდილობს და ზოგჯერ იფიქრებ, მფელ დაწესებულებას მდივანი და შოფერი განაგებენო. უბედურებაც ეგ არისო, — ჩიოდა მამა და ჩივილს ბოლო არ უჩანდა.

ახლა ნიჭიერები? იმათიც ეშინოდა მამას! ნიჭიერები ის ხალხი იყო, მთელი ასი კაციდან ხუთნი, ბევრი-ბევრი ათნი

რომ გამოირჩეოდნენ. მამის ღრმა რწმენით, ამ ხალხისთვის კი მართლა ღირდა მუშაობა... დედა შენიშნავდა, ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება, ჩვენ დროს ასე არ იყოო? მთელ კურსზე სწორედ ათნი ვსწავლობდით. დანარჩენები მხოლოდ საგნებს ამარებდნენ. რაში გამოვიყენე ჩემი სწავლა, ამოდენა გზაზე, ნავთლუღში დავდივარ, რომ იქაურ იდიოტებს ან-ბანი მაინც ვასწავლო და ამისი სწავლაც არ უნდათო. უბედურებაც ეგ არისო, — კვლავ ოგრძელებდა მამა, მე კი იმ ათიოდე ნიჰიერისა იმიტომ მეშინია, რომ საკუთარი განათლების ხარვეზებს ვერა ვფარავო. ერთი კი არა, ორ-ორი უცხო ენა იცით, რუსულზე აღარაფერს ვამბობ. ჩვენს ყველა ლექტორზე მეტი აქვთ წაკითხული, ისეთ ავტორებზე გეკამათებიან, სირცხვილით ვიწვი, მერე მივდივარ სამკითხველოში და, შენც არ მომიკვდე, იმათი ჰაეზანებაც არ არის, ბოლოს აღმოჩნდება, რომ ამ ავტორებს ორიგინალში კითხულობენო. ეს უნდა გვიხაროდეს! — შესძახებდა მამა და დაუმატებდა: მიხარია კიდეც და მწყინს კიდეც, ეჰჯი უფრო მიძლერდება, ვაითუ ჩემს ადგილზე არა ვარ-მეთქი... მაშ ვინ არის თავის ადგილზეო? გაცეცხლდებოდა ამ დროს ოჯახის დედა, — პროფესორი ხურცილავა? რატომ ის არ იტანჯავს თავს ავადმყოფური ეჭვებით, ის რად შედის აუდიტორიაში ცხვირწაწეული, რატომ იმას არ ეშინია სტუდენტებისაო? ის არასოდეს არ ედავება სტუდენტებს, შენიშნავსაც არ აძლევს, დგას და ლაპარაკობს თავისთვის. აუდიტორიაში, ჭვეყანა რომ დაიქცეს, ხმას არ აუწევს და ფეხს არ მოიცვლის, სანამ ზარი არ დაირეკებაო. მაშ ვისა ქენჯნის სინდისიო? მაგრაქველიძეს, ლექციის ნაცვლად სტუდენტებთან ღლაბუცსა და კოლეგების ლანძღვა-გინებას რომ უნდებაო? აბა ნახე, რა მშვენივრად ფარავს თავის უმეცრებას და მარტო იმასღა ფიქრობს, აკადემიკოსი როდის გახდესო... გახდება კიდეცო!.. — კვერს უკრავდა ბერდია ღუდუშაური და მაინც თავისას ამტკიცებდა, — დედაჩემი ისეთი ქალია, თუ ჩალაურში გაიზარდე, ჩალაურშივე უნდა მოკვდე.

გაწამებული ბერდია ღუდუშაური თავის თავს ეუბნებოდა: ნეტავ რა იქნება, რომ მივატოვო ყველაფერი, ერთ მშვენიერ დღეს დედაჩემს ვუთხრა, ჩაიცვი შენი ძველი კაბა, ჩალაურში მივდივართო და მართლა გავუდგე ჩალაურის გზასო. რად უნდა იყოს ეს სიგიჟეო? თუ ჩემს ცოლს მართლა ვუყვარვარ, ერთი წუთითაც არ დაფიქრდება, დაკეტავს აქაურობას და წამოვაო. ბიჭი ხომ წამოვა და წამოვაო (ასე ეგონა მამას, მაგრამ ბიჭი უკვე თვლისა და ხელს შუა იზრდებოდა. საკუთარი, სხვათათვის ჯერაც უცნობი სურვილები უჩნდებოდა და მისთვის ჩალაური მხოლოდ შორეული ზმანება იყო, სადაც უკვე ამდენი წელიწადია მიდიოდნენ და ვეღარ წავიდნენ დიდედა და მამა). მერე იქ გაეხსნით სკოლას, მოვაგროვებთ ბავშვებს და, რაც კი შეგვეძლება, ყველაფერს ვასწავლითო. იმ წუთში ოცნებით მამა მართლა იმ სკოლაში იყო. ეს ნეტარი წუთები იყო და ამგვარ ფიქრში ხელს არავინ უშლიდა. დილით ადგებოდა სკოლის მასწავლებელი თუ გამგე ბერდია ღუდუშაური და პირდაპირ იმ პატარა, დერეფნიანი ოთახისკენ გასწევდა, რომელსაც სკოლა ერქვა და სულ რაღაც ხუთი მერხი იდგა. მოსწავლეებიც ცხრანი თუ ათნი იქნებოდნენ. ყველა ერთი იქნებოდა, ერთი სურვილით მოსილი. აქ ვერავის დაყოფდი ვერც თავხედებად და ზარდილებად, ვერც უმეცრებად და განათლებულებად. განათლება ყველასთვის შენ უნდა მიგეცა. ხო, იმ ერთ ოთახში დაახლებდა ღუმელს, მერე გავიდოდა და მდინარეზე, წინა ღამით გადებული ხიდის ნაცვლად (ეს ხიდი ერთი ხის გრძელი მორი იყო), რომელიც ადიდებულ მდინარეს უკვე წაეღო, ახალ ხიდს გასდებდა. ამ ხიდით უნდა გადმოსულიყვნენ სკოლაში მისი მოსწავლეები. მერე მოვიდოდნენ ხუთნი. ოთხნი კი არსად ჩანდნენ და მასწავლებელს გაახსენებოდა, რომ სწორედ წუხანდელი წვიმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო, ის ოთხნი ვერ ჩამოვიდოდნენ. მათ სოფლამდე კი კარგა ხუთი კილომეტრი იქნებოდა. მაშინ მასწავლებელი ბერდია ღუდუშაური ჩექმებს ჩაიცვამდა, ბავშვებს ეტყოდა, ჩემს მოსვლამდე არსად წახვიდეთ, აქვე ითამაშეთო და ბილიკს იმ ოთხის მოსაყვანად დაადგებოდა. ხუთი კილომეტრი იქითობაზე, ხუთი აქეთ... მაგრამ ოთხივეს მაინც უკლებლივ ჩამოიყვანდა. მერე გაკვეთილებს ჩაატარებდა. მერე, დღის ბოლოს იმ ოთხს ისევ შინამდე გააცილებდა და უკან მარტოკა გამობრუნდებოდა. ასე იქნებოდა მთელი წელიწადი, სექტემბრიდან მაისამდე, მაისში კი თბილისში ჩამოვიდოდნენ, ქალაქში, სადაც ათასგვარ რამეს ნახავდნენ და მოისმენდნენ, რადგან იმ ათიოდე მოსწავლის მასწავლებელსაც სჩირდებოდა განათლება, ყველაფრის ნახვა, გაგება და სწავლა.

ნაცვლად ამისა, მეორე დღეს, ზუსტად დილის ცხრის ნახევარზე, დოცენტი ბერდია ღუდუშაური აიღებდა თავის უკვე მოძველებულ პორტფელს, თაგზე დაიხურავდა იმავე მოძველებულ ფეტრის ზლაპას („მამა, ახლა ვინღა დადის ასეთი ქუდით...“) და ლექციის ჩასატარებლად გასწევდა...

რა თქმა უნდა, ამ კაცის შვილი და ამ დედაკაცის შვილიშვილი, ზაზა ღუდუშაური უკვე ქალაქელი იყო და მამის „სოფლური ხილვებიდან“ და დიდედას ნოსტალგიიდან ბევრი რამ კარგად არ ესმოდა. ბიჭთან თავს იყრიდნენ ამხანაგები. აქ მათ ხვდებოდათ თავისუფალი ოჯახი, სადაც დედა ხშირად შინ არ იყო, მამა თავის ოთახში ჩაკეტილიყო, ეგზოტიკური დიდედა კი მხოლოდ ართობდათ. აქ უკრავდნენ გიტარას, აქ მოჰქონდათ ნაირნაირი „დისკები“ და „კასეტები“. ამ პატარა ლოჯის კედლებიდან იმზირებოდნენ მთელი დედამიწის პოპმუსიკის ვარსკვლავები — თმაგაჩეჩილები, თვალებმობნეულები, გაბრაზებულები თუ მოღვენთილები. და რომ არა ბერდია ღუდუშაურის უმწიკვლო რეპუტაცია, მეზობლები ჩხუბსაც დაიწყებდნენ ღუდუშაურების ბინიდან გამოსული არაადმიანური კვნესის, ბღავილის, ჩურჩულისა და ვედრების გამო, რაც მსოფლიოს მრავალი მომღერლის პირით იფრქვეოდა.

თავის ოთახში ჩაკეტილი ბერდია ღუდუშაური ამ დროს ისევ ვაჟა-ფშაველას კითხულობდა და შეძრული იყო იმ ჰარმონიით, რაც ვაჟას კოსმიურ სამყაროში სუფევდა. ღუდუშაური თავის უკანასკნელ და მთავარ წიგნზე ფიქრობდა, რომელსაც „ვაჟა, როგორც მთის შვილი“ უნდა ჰქმეოდა, თუმცა ამას წინათ, ხელნაწერზე წასწრებულმა შვილმა პირდაპირ უთხრა: მამა, მე შენ ადგილზე პირდაპირ ვაჟა-ფშაველას დავარქმევდი, ეს მთის შვილი რაღა უბედურებაო? შენ ჯერ არ გესმისო, — უთხრა მაშინ მამამ. დიადება მესმისო, — პოეტები რომ ასე დავყოთ, მაშინ ბაირონი რაღა გამოდის, ველისა თუ ზეგანის შვილიო? მამას გული ჩასწყვეტა შვილის ნათქვამმა. ეს შემზარავი სიტყვები იყო და მამა გაწითლდა. მაგრამ სიტყვებმა, რომელთაც გააწითლეს, სიამაყეც მოჰგვარა: ბიჭი მართალი იყო! ბიჭი ერთბაშად მიხვდა იმას, რასაც ამდენი ხნის მანძილზე მამა ვერა და ვერ მიმხვდარიყო, სხვა დრო დადგა, — გაიფიქრა მამამ. — სულ სხვა ახალგაზრდობა მოდის. სიყალბე სძულთ, ყველაფერს თავის სახელს არქმევენ... ვინ იცის, რას მოგვიტანს ეს, კარგსა თუ ცუდს, ყველაფერს თავდაყირა დააყენებენ, თუ ასაკში შესვლისთანავე ესენიც შემგუებელი გახდებიან. ჩვენ კი რამდენ რამეს შევეგუეთ, რამდენ რამეზე არ ამოვიღეთ ხმა...

რაკი ღუდუშაური უჭკუო კაცი არ იყო, საბოლოოდ ხელი აიღო იმ წიგნის წერაზე, რომელსაც „ვაჟა, როგორც მთის შვილი“ ერქვა, თუმცა ვაჟაზე კი არა! ძველებურად მუდამ ვაჟა ეჭირა ხელში, კითხულობდა და ახალ სიღრმეებს ეძებდა. ეს სიღრმეები კი სწორედ ჰარმონიისკენ მიდიოდა... რატომ არ მღერით, მთებო, ნეტა ისე არ მომკლა, თქვენი სიმღერა გამაგონა, — მთებს ადამიანებივით შესჩიოდა ვაჟა. რამ შე-

მჭმნა ადამიანად, რად არ მოვედი წვიმადაო. — ჩიოდა მეორეგან, მაგრამ ამ ჰარმონიას, რასაც ვაჟა ქმნიდა და ეძებდა, ერთი დარტყმით არღვევდნენ რომელიმე ინგლისელი მედფდდაფე ან საქსაფონისტი, მომღერალი ან პიანისტი. ისინი ყველაფერს თავდაყირა აყენებდნენ, დაუნდობლად ამსხვრევდნენ მელოდიას, რომელიც ჰარმონიის პრინციპზე უნდა ყოფილიყო აგებული, ჩხუბობდნენ, გაჰყვიროდნენ და იმ ბავშვებს ჰგავდნენ „კუბიკებით“ აშენებული სახლები ერთბაშად რომ დაანგრიეს და მერე ამ ნანგრევებში ყიჟინით და ჭრიალოსით დაიწყეს ქინიანი ცეკვა. ვისზე თქვეს, ასეთი ხელოვნება სამყაროს აღსასრულის წინა დღეს თუ გამოდგება, უფრო სწორად, მეორე დღესო? ბერდია ღუდუშაურს არ ახსოვს. ეს უთხრა სტუდენტმა, მეხუთე კურსზე რომ ჰყავს და კიფკას ორიგინალში კითხულობს. იქნებ ესენი არიან მართლები? იქნებ ვაჟა შეცდა და ტყუილად იფიქრა, ბუნებაში ყველაფერი ჰარმონიულია და რაც უნდა მოხდეს, მაინც ლამაზია, მაინც სიტურფით ჰყვავისო? ამის გაფიქრებაზე ბერდია ღუდუშაური უფრო და უფრო იბნეოდა და თავის თავს საყვედურობდა, რომ მაინც ღრმად შეტოპა და იმაზე დაიწყო ფიქრი, რისი გადაწყვეტის თავიც მართლა არ ჰქონდა. ირგვლივ კი ძალზე უბრალო რამ ხდებოდა: თვითონ, თავის ოთახში ვაჟაფშაველას კითხულობდა, გვერდით ლოჯიაში კი მისი შვილი, მეგობრებთან ერთად, ინგლისელ მომღერალს უსმენდა, ეს იყო და ეს, ბეჯი არაფერი... მეტის რკვევას მხოლოდ ტანჯვა მოჰქონდა და კითხვის ნიშანთა მთელი ჯამი მოჰყვებოდა. მარტო ერთხელ გაბედა, ახალგაზრდებთან გამოვიდა და რაც კი შეეძლო, იმ ღრიანცელში, ხმამაღლა და ღიმილით თქვა:

— მოცარტი? აღარ არსებობს მოცარტი?

ყველაზე ტანმორჩილმა ბიჭმა კასეტები გადაქექა:

— მოცარტიცა გვაქვს!

ინგლისელ მომღერალს ხმა ისევ შიდ ჩაუწყვიტეს.

ოთახში მოცარტი შემოიჭრა. მაგრამ აღარც ეს იყო მოცარტი. აქაც ყველაფერი თავდაყირა იდგა. მშვიდი, გამჭვირვალე მოცარტი, გაგიჟებული საყვირითა და საქსაფონით, ფორტეპიანოსთან და, რაც უფრო საშინელი იყო, ათასგვარ დოლთან და ზანზალაკებთან ერთად, თავაწყვეტილი მოჭიროდა სადღაც, არ ვიცი უდაბნოში, არ ვიცი ბროდვეის მაცდურ ავენიუებში.

— გმადლობთ...

ბერდია ღუდუშაური ისევ თავის ოთახში ჩაიკეტა.

მერე ნანობდა, დიდხანს ნანობდა ამგვარ „მუსიკალურ მეტიჩრობას“ და მთელი თვე ისე გავიდა, ბიჭებს თვალითაც აღარ დანახვებია, თუმცა ამჯერადაც ცდებოდა: მოცარტის ამბავი ბიჭებს ხუთ წუთში დაავიწყდათ და თავს ახლა იმაზე კამათით ირთობდნენ, ღირდა თუ არა უკვე მოძველებული ჯო დასენის და ადრიანო ჩელენტანოს მოსმენა.

ბიჭი უკვე ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო და ცოტა-ცოტა ყველაფერი იცოდა, მთლიანად კი — ჯერ არაფერი. ბიჭი უფრო გარეთ ცხოვრობდა და შინ სტუმარივით შემოდიოდა. დიდედა მარტო იმისთვის არსებობდა, რომ შუაღამისას ენახა, ერთი-ორი სიტყვა ეთქვა და ისევ გამქრალიყო. მთავარი მაინც მამა იყო, მამაზე ფიქრი ბიჭის არსებას რაღაც უსიამო მოლოდინით ავსებდა.

ზოგჯერ, შუაღამისას, მამა ლოგინიდან დგებოდა და, რაც კი შეეძლო, ფეხაკრებით გადიოდა გარეთ, მაგრამ მეუღლის ყურს ვერაფერს გამოაპარებდა და დედა ბიჭს აღვიძებდა, ადექი, მამაშენი გარეთ გავიდა, შორიახლოს გაჰყე, არავინ გადაეკიდოსო. ბიჭს, რა თქმა უნდა, ეზარებოდა თბილი ლოგინიდან წამოდგომა და გარეთ გასვლა, მაგრამ მამისადმი შერჩენილი თაყვანისცემა მაინც თავისას ითხოვდა: ბიჭი დგებოდა, იცვამდა, მამას შორიახლოს მისდევდა და

თან ძილად წასულ იდუმალ ქუჩას უსმენდა, სადაც ამ ორის, ამ მამა-შვილის გარდა, აღარავინ დადიოდა.

მარტო ერთხელ, არხეინად მოსეირნე ღამის მორიგე მილიციელს გადაეყარა და მილიციელმაც მკაცრად ჰკითხა:

— რას დადიხარ?

— აი, იმ კაცსა ხედავ? მამაა ჩემი.

— მერე რას დადის, მთვრალია?

— ისე, თავისთვის დადის.

— გიქები ყოფილხართ... — თქვა მილიციელმა და ბიჭს ისე გაეცალა, თითქოს მის წინ მართლა გიჟი იდგა, ამ გიჟის მამა კი, ისიც გიჟი, სადღაც შორიახლოს მდიოდა.

ის იყო მამაც მოვიდა:

— გამარჯობათ, ჩემო ბატონო.

მილიციელი დაიბნა. მის წინ სრულიად ჩვეულებრივი და, მილიციელის აზრით, ბატივსაცემი პიროვნება იდგა.

მამამ ზაზას ხელი გადახვია და მილიციელს უთხრა:

— მშვენიერი ღამეა.

მილიციელმა ვერაფერი გაიგო, მაინც თავი დაუქნია და სახლისკენ წასულ მამა-შვილს თვალი გააყოლა.

უცნაური და ბიჭისთვის არცთუ ისე იოლად გასაგები რამ კი მაშინ მოხდა, როცა მამამ თქვა, ერთი კვირით თელავის ინსტიტუტში მგზავნიან ლექციების ჩასატარებლადო. დედას გაეხარდა, თელავი ჯანმრთელი ქალაქია სასტუმროსაც არა უჭირს რა, წავიდესო. მერე შესთავაზა, მეც წამოვალო, მაგრამ მამამ მტკიცე უარი განუცხადა. დედას არ სწყენია. სხვების თვალში, თუ არ ჩავთვლით მამის განსაკუთრებულ მდგომარეობას (ავადმყოფობას), მაინდამაინც არ იქნებოდა ლამაზი, რომ ლექციების ჩასატარებლად მოვლინებულ ლექტორს ცოლიც თან ხლებოდა. მარტო დიდედამ თქვა ის სიტყვები, რასაც მაშინ განსაკუთრებული ყურადღება არავინ მიაქცია, და რაზეც (ახლა კი ცხადად ახსოვს ზაზა ღუდუშაურს) მამა აშკარად შეიდრკა: თუ ჩალაურისკენ გაიარო, იჭაობა დამიკოცნე...

ეს მართლაც დიდედას ჩვეულებრივი სიტყვები იყო, რადგან, მისი ღრმააღრწმენით, ყველა, ვინც კი ჭალაჭიდან ერთი დღით მაინც გავიდოდა, ან ჩალაურში მიდიოდა, ან გზად მაინც გაივლიდა ჩალაურს. რძალმა უსაყვედურა კიდეც, აბა რას არ იტყვი, სად თელავი და სად ის ჩალაურიო. ამით დამთავრდა კამათი, რადგან მამას სწორედ კამათი სძულდა და შორ გზაზე მდგარი კაცის კამათით გაცილება მკრეხელობად მიაჩნდა.

ორი დღის მერე სასწავლებლიდან დარეკეს და მამის ჯანმრთელობა აკითხეს. დედა შეშფოთდა. მამის მეგობარი, დოცენტი იორამაშვილი მოვიდა და თელავის ინსტიტუტში მისი მივლინების შესახებ არაფერი სმენოდა. დედამ მაინც თავი დაიმშვიდა, ხომ იცით მისი ამბავი, ისე წავიდოდა, თავის მეგობრებსაც არ ეტყოდაო და შეიძლება მეტი აღარც ეფიქრა, ისევ იმ მეგობარს რომ არ ეთქვა, ამაზე ადვილი რა არის, მოდით, დავრეკოთ კათედრაზეო. კათედრის გამგე არ იყო, ლაბორანტებს კი დოცენტ ბერდია ღუდუშაურის თელავის ინსტიტუტში მივლინების თაობაზე არაფერი სმენოდათ. ახლა კათედრის გამგეს დაუწყეს ძებნა და ისიც ქალაქიდან გასულიყო. ალბათ ერთად წავიდნენო, თავი დაიმშვიდეს და ყველაფერი კვლავ ბერდია ღუდუშაურის უთქმელი ხასიათით და უხმაურო ბუნებით ახსნეს. მერე ისევ მეგობარმა მოიფიქრა და თქვა, ესეც ადვილია, მოდით, შევკვეთო მივცეთ და თელავის ინსტიტუტში დავრეკოთო. ორიოდე საათის შემდეგ აწკრიალდა ზარი და ინსტიტუტიდან, როგორც მზის სისტემის გარეთ მდებარე რომელიღაც სხვა სამყაროდან, ძლივს მოღწეულმა ხმამ ღუდუშაურების აფორიაქებულ ოჯახს აცნობა, რომ მსგავსი ლექტორი არამც თუ არ ჩამოსულა, არც კი მოუწვევია ინსტიტუტსო.

მაშინ ისევ დიდედამ თქვა სიტყვები, რომელიც ყველას დაამახსოვრდა:

— ჩალაურში იქნება...

დედამ ვეღარ მოითმინა და დაიყვირა:

— რას გააწყალეთ გული ამ ჩალაურით! სულ ჩალაური და ჩალაური!

დიდედამ თითქოს ვერც ნათქვამი გაიგო და ვერც ყვირილის აზრი, მეორედაც, ისევე, როგორც პირველად, მშვიდად თქვა:

— ჩალაურში იქნება...

ორმა დღემ ტანჯვის მოლოდინში გაიარა. მესამე დღეს მამა გამოჩნდა. ის დიდხანს იდგა კარებთან, როგორც დატუქსვის მომლოდინე დამნაშავე, რომელმაც ჯერ არ იცის, მიუხვდნენ თუ არა დანაშაულს. მაგრამ მის გამოხედვაში იყო სხვა რამეც: იდუმალება და ზეიმურობა! ეს ზეიმურობა ფარულად, სიღრმეში ბუტბუტად, მაგრამ მისი დამალვა, როგორც ყოველთვის, მამას არა და არ შეეძლო. მამა იდგა კართან და პატიებას თუ თანაგრძნობას ითხოვდა. მისი მზერა ნელა გადადიოდა ცოლიდან შვილზე, შვილიდან დედაზე და ნელ-ნელა ხვდებოდა, რომ საიდუმლო, რომელიც ამ წუთში მას ტანჯავდა თუ ახარებდა, საიდუმლო აღარ იყო. შვილს შეეცოდა მამა და არ იცოდა რა ექნა, ოღონდ ეს დუმილი, მამისათვის ესოდენ მტანჯველი, როგორმე დაერღვია. მაგრამ შვილი ვერაფერს გახდა. მამის დაბნეული, დაღლილი და გატანჯული სახის წინაშე მხიარულება, თანაც ზერელე და უბრალო, შეუძლებელი გახდა.

— როგორ ჩატარდა ლექციები? — მშვიდად იკითხა დედამ.

მამა საბოლოოდ მიხვდა, რომ უკვე ყველაფერი იცოდნენ. მიჩვეულიც იყო ამას: სხვები ყველაფერს მოხერხებულად ფარავდნენ, მისი კი, წვრილმანით დაწუწებული და მსხვილმანებით დამთავრებული, ყველამ ყველაფერი იცოდა. მაშინ მამამ თქვა:

— ჩალაურში ვიყავი...

დიდედამ ტირილი დაიწყო.

მამა თავის ოთხში ჩაიკეტა.

დიდედა დიდხანს ტიროდა. შვილის ოთახის კართან მივიდა და კარგა ხანს უძრავად იდგა, თითქოს შვილი ჩალაურის ამბავს მოუთხრობდა, ის კი დაბაბული უსმენდა. ბიჭი მივიდა და კართან მდგარ დიდედას მოეხვია. დიდედამ გაბედა და შვილიშვილს ჩურჩულით უთხრა:

— აკი ვთქვი, ჩალაურში ყოფილა...

უმცროსი ღუდუშაურის თვალში ეს რაღაც არარსებული ჩალაური უფრო დიდი მისტიკური საბურველით შეიმოსა. მამა, ვინც დღითიდღე უფრო ღრმად იკეტებოდა თავის იდუმალ სამყაროში, ადგა და ჩუმად იმ შორეული ჩალაურისკენ გაიპარა. რას აკეთებდა მამა იმ ჩალაურში? რა არის ეს ჩალაური? მართლა არსებობს თუ ზღაპარია და, ამდენად, მოგონილიც, როგორც ყველა ზღაპარი? მართლა ჩალაურში იყო მამა თუ ესეც მოგონილია? ან თუ იყო, რად იყო, რა ჩამოიტანა, რად წავიდა უმზრახვივით, რატომ არა თქვა, რომ სწორედ იქ, ჩალაურში მიდიოდა? ეს კითხვები თითქოს თავისთავად შეიპარნენ მამის ოთახში და ყველაფერი, რაზეც ბიჭი წუხდა, უკლებლივ მოახსენეს. მაშინ მამამ დაუძახა ჭაბუკ ზაზა ღუდუშაურს, თავის ერთადერთ მემკვიდრეს და გადაწყვიტა, ყველაფერი ეთქვა. ოთახში მდგარ თავჩაქინდრულ შვილს, ოდესღაც ასე შეხუმრებულს და შეთამამებულს, ვისთან ერთადაც მიდიოდა გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის მოსახლეულად, ვისთან ერთადაც ლაღობდა, ხარობდა, ხუმრობდა და იცინოდა, მორიდებით, სვენებ-სვენებით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა:

ჩალაური მოგონილი არ არის. ჩალაური არსებობს და იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს კაცთა მოდგმა.

ჩალაური ყველაფერია: ჩვენი ხსოვნა, ჩვენი მოგონება, ჩვენი წარსული.

ვიდრე ჩალაური გვახსოვს, არაფრისა არ უნდა გვეშინოდეს.

სიკვდილისაც კი...

ყველას თავისი ჩალაური აქვს, ყველანი ჩვენი ჩალაურიდან მოვდივართ.

მოვდივართ არხეინად, გალაღებულნი და არის ერთი დრო, სიჭაბუკის დრო, როცა აღარც კი გვახსოვს, რომ ჩალაურიდან წამოვედით.

ეს ხანმოკლე დროა... ვიდრე ერთბაშად ისევ მძიმრად არ გაგვახსენდება, რომ სადღაც არის ჩვენი ჩალაური და იმ ჩალაურიდან ვართ წამოსულნი.

გადის ხანი და უფრო და უფრო შეიფრდება სურვილი იმ ჩალაურში დაბრუნებისა.

რაც უფრო ვბერდებით და წუთისოფელს ვემშვიდობებით, ჩალაური ჩვენი ხსნა გვგონია.

ბოლოს ყველანი, ფიქრით მაინც, აუცილებლად ისევ ჩალაურში ვბრუნდებით. ამგვარია ჩვენი ჩალაური...

ბიჭი უხმოდ გამობრუნდა.

შვილის ოთახის კართან ქალაქ იდგა დიდედა და ტიროდა.

— ჩალაურზე ხომ არაფერი გითხრა, შვილო?

— არაფერი უთქვამს,

— მეც მეშინია, რამე ვკითხო...

— ახლა ნუ, მერე, სხვა დროსა ჰკითხე...

ბებო ისევ ატირდა:

— სხვა დროს როდისღა?

ბიჭი ლოჯიაში გავიდა. ამ წუთში ხსნას იქით ელოდა. მაგნიტოფონი ჩართო. „წუთისოფელი სასაცილოა...“ მოსთქვამდა ვიღაც ინგლისელი ბიჭი.

●

ყველაზე გასაკვირი კი, მაინც მამის გადასხვაფერება იყო. ბერდია ღუდუშაური თითქოს ერთბაშად გამოვიდა თვლემიდან და ის გამბედაობა მიეცა, რის უქონლობასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ძალზე მწვავედ განიცდიდა. ამგვარი ფერისცვალება სხვებზე ადრე თვითონვე შენიშნა, როცა საკუთარი თავი ხმამაღლა ფიქრში დაიჭირა. ეს პირველად სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მოხდა: ღუდუშაურმა რომელიღაც კოლეგას ხმამაღლა უთხრა: „სისულელეა“. კოლეგა შეკრთა და დაიჩურჩულა: „რა არის სისულელე?“ „ყველაფერი, ისიც კი, რომ მე და თქვენ აქ ვსხედვართ და ამდენ უხამსობას ვისმენთ“. კოლეგას შეეშინდა და, საშუალება რომ ჰქონოდა, ალბათ მოშორებითაც გადაჯდებოდა, მაგრამ დარბაზი სავსე იყო, თავისუფალი ადგილი არსად დარჩენილიყო, თუმცა არც ოპონენტს, არც დისერტანტს არავინ უსმენდა, ყველა თავისთვის იჯდა და ან ხმას არ იღებდა, ან მეზობელს ესაუბრებოდა. „სისულელეა“,— თავისი არ დაიშალა ავადმყოფმა ღუდუშაურმა და დარბაზიდან გავიდა. ეს მაშინ არავის გაუგია, გარდა იმ მეზობელი კოლეგისა, რომელიც დიაღაც შეძრწუნდა ღუდუშაურის საქციელით და, როგორც ამ არცთუ ორდინალურ საქციელს შეჰფეროდა, იმავ დღესვე მთელ სასწავლებელს მოჰფინა. ბერდია ღუდუშაურს დასაკარგავი აღარაფერი აქვს,— დინჯად შენიშნა პროფესორმა ხაჭაპურიძემ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თუ საკუთარი შვილების მომავალზე არაფერს ვიტყვით, თვითონ ხაჭაპურიძესაც აღარაფერი ჰქონდა დასაკარგავი. სხვებმა ბერდია ღუდუშაურის საქციელი გაბოროტებას მიაწერეს, ერთბაშად მიუტევეს და კოლეგისადმი თავიანთი დამოკიდებულება თითქმის არ შეუცვლიათ. „ხმამაღლა ფიქრს“ კი ბერდია ღუდუშაური ისევე განიცდიდა, როგორც ადრე თავის გაუბედაობას და უთქმელობას. მთელი ღამე არ ეძინა, ვიდრე არ გათენდა და ერთ ათეისტს სახლში არ ეწვია ბოდიშის მოსახდელად, თუმცა ბოდიში თითქმის ვერ მოიხადა, ათეისტი უფრო საგონებელში ჩააგდო და ისიც კი აფიქრებინა, ალბათ ისევ დასაცინად მოვიდაო.

წინა დღეს ამ ათეისტმა საღამოს გაზეთში ანტირელიგიური სტატია დაბეჭდა. როგორც მოსალოდნელი იყო, სტატია წყალწყალა და ზედაპირული იყო. ბედად, ბერდია ღუდუშაურს სწორედ მაშინ გადაეყარა, როცა გულში ფიქრობდა, რომ დღეს მთელი ქალაქი მისი სტატიით იყო გაბრუებული და თუ ტელევიზორის წინ არა, სადილის დროს მაინც მასზე ლაპარაკობდნენ. ამ ტკბობის ჟამს გადაეყარა ბერდია ღუდუშაურს სასწავლებლის ბაღში და იმანაც, აქეთ-იქით არც კი მიიხედ-მოიხედა, პირდაპირ მიიხალა: ისე ლან-

ძღვამ ქრისტეს, თითქოს გუშინ კათედრის სხდომაზე შეხვდით...

ათეისტმა გაიღიმა, მაგრამ ბერდია ღუდუშაური ისე იყო შუბლშეკრული, ათეისტს ისღა დარჩენოდა, პირიანივით გასცლოდა.

ღუდუშაურმა თავის თავს სიტყვა მისცა, რომ ამიერიდან საზოგადოებაში პირს აღარ გააღებდა, გულიც აღარაფერს გაივლებდა და არაფრით დაარღვევდა იმ თვითკმაყოფილების მომთვინთავ ბურუსს, რაც გარშემო სუფევდა და რასაც თვითონ, ბოლო ხანს მაინც, ცხოვრებას აღარ ეძახდა. მაგრამ ეს აღთქმაც ისევე ცაში გამოკიდებული დარჩა, როგორც სხვა რამ და, მეორე დღისვე, ბერდია ღუდუშაურმა, ცხვირაპრეხილ ქუდუნა წერაძეს, ურითმო ლექსის პრობლემებზე რომ მსჯელობდა და ინგლისური პოეზიის მაგალითებს იშველიებდა, ყველას გასაგონად უთხრა: „თითქოს ინგლისურ პოეზიას ორიგინალში კითხულობდეთ". „არც თქვენ კითხულობთ!" — გაცეცხლდა ქუქუნა წერაძე. მაგრამ ბერდია ღუდუშაური მშვიდად იყო: „სამაგიეროდ მე მარტო ვაჟა-ფშაველაზე ვლაპარაკობ..."

მაგრამ ეს ყოველივე წვრილმანი იყო იმ მთავართან, რაც მოხდა: ბერდია ღუდუშაურმა სიკვდილის წინ ის შეიძინა, რაზეც მუდამ გული სწყდებოდა და რაც მთელი ცხოვრების მანძილზე აკლდა: გამბედაობა! ამას კი მთელი მის ირგვლივ მყოფი საზოგადოება გამბედაობას კი არა, „მომაკვდავი კაცის გაბორტებას" ეძახდა.

ბერდია ღუდუშაური მოულოდნელად მოკვდა.

ამგვარად ჩაიწერა ნეკროლოგში, თუმცა ეს სიკვდილი მოულოდნელი თითქმის არავისთვის ყოფილა.

მას სულ უფრო ალიზიანებდა მავანთა მეტიჩრული ლაპარაკი, მსჯელობა იმაზე, რაზეც არაფერი უწყოდნენ, მოჩვენებითი კმაძილი იმ წიგნებზე, რაზეც ხელი არ მიუწვდებოდათ. ის გაოცებული შესცქეროდა გალეშილ ორატორს, რომელიც ყოველ დისკუსიაზე გამოვიდა და თანამედროვე პოეზიიდან მთავარის გაძვეგების მოითხოვდა, ბულბულებს კი სტვენას უკრძალავდა. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ მეოცე კი არა, მეოთხეოც საუკუნეც რომ დამდგარიყო, ვერარა ძალა და ვერარა აღმოჩენა ვერ მოკლავდა ადამიანში პოეტს. მისი რწმენით, ყოველი ადამიანი სწორედაც რომ პოეტი იყო, მაგრამ ყველამ არ იცოდა ეს და თავი მხოლოდ შოფრებმა, მხვნელებმა, კონდუქტორებმა ან მეცნიერები ეგონათ. სჯეროდა, რომ ვიდრე ამოდიოდა მთვარე, მთვარის ამოსვლა მუდამ ზეიმი იქნებოდა, სულ ერთია, იზეიმებდა თუ არა ამას ყველა ადამიანი და ბულბულიც მუდამ იგალობებდა ნამდვილ ლექსებში, როცა არ უნდა დაეწერათ ეს ლექსები. ახსენდებოდა თავისი სოფელი, თავისი კბილა ბიჭი, რომელიც მერე, როცა უკვე წამოიზარდნენ, როცა თვითონ უკვე სტუდენტი გახდა, ის ბიჭი კი კვლავ სოფლელი ბიჭი იყო და მეტი არაფერი, როგორ წაიყვანა ერთ დღეს უღელტეხილზე და ქვემოთ, ცისფრად გადაშლილ ხეობაზე გადახედა. ის ბიჭი ამ უღელტეხილზე მრავალჯერ ყოფილა და ხეობისთვისაც ალბათ ათასჯერ გადაუხედავს. მაგრამ ახლა, როცა გვერდგვერდ დაჯდნენ, როცა ბერდია ღუდუშაური ჯერ გარინდებული ჩასცქეროდა ხეობას (ბიჭმა იცოდა, რომ ის აქ ამისათვის ამოვიდა), მერე კი ბიჭს უთხრა, რომ კარგად დაჰკვირვებოდა ხეობის აქეთ-იქით აყუდებულ მთებს, რომელთაც ცისფერი, ანუ დაბინდული ქლიავის ფერი ედოთ, რომ არსებობს პოეტი, რომელმაც ამგვარი ხეობა დაბინდულ ქლიავს შეადარა, რომ ამ მთებს უკან გადაშლილი ღრუბლები კი იმ ცისფერის გვერდით თეთრად, მაგრამ მაინც რაღაც მოცისფროდ ქათქათებენ, ბიჭმა პირი გააღო, გაირინდა, თითქოს მართლა პირველად აღმოაჩინა ეს ხეობაც, ეს უსაზღვროებაც და ეს ფერებიც. თვალმოუშორებლად ჩასცქეროდა ხეობას, ბოლოს კი თქვა:

— მართლა ლამაზია ეს ოხერი...

ეს სიტყვები ბერდია ღუდუშაურს მუდამ ყურში ესმოდა და როცა ყველაზე უფრო გააოცებდა ადამიანთა სიბრმავე, თავს მუდამ ამ სიტყვებით იმხნევებდა და სურდა დაეჯერებინა, რომ ეს სიტყვები შეიძლება ათქმევინო დედამიწის ზურგზე ყველა ადამიანს, თუ ერთი წამით მაინც თვალს აუხელ და იმ უცხო სამყაროს დაანახვებ, რაც პოეტისათვის ნაცნობიცაა დ ზოგჯერ მობეზრებულიც, იმ ადამიანს კი არასოდეს უნახავს. ხო, ყოველ ადამიანში მოცარტი იმალებოდა. ბერდია ღუდუშაურს წამით ავიწყდებოდა მისთვის ჩვეული მოკრძალება და ლამის ხმამაღლა ამბობდა: ხო, ჩემს მხარეზეა ეკზიუპერი...

ზაზა ღუდუშაურს მკვდარი მამის დანახვა არ შეეძლო. თავის ოთახში განმარტოებულს, თვალწინ ედგა ზამთრის მოხილვის ძველებური სურათი: ისინი მიდიოდნენ დათოვლილ ტყეში და ტოტებად ტოტზე მოკონწიალე ციყვები მამა-შვილს თავზე თოვლს აყრიდნენ. ან მამა-შვილი ერთმანეთს უხმობდა. ან მეხუთე საუკუნეზე ადრინდელ ბაზილიკას პოულობდნენ — ძველთაძველი წარწერით, კოცონს ანთებდნენ და სიცივისაგან მობუზულ ჩიტებს სითბოში ეპატიჟებოდნენ... ბიჭს ეშინოდა მკვდარი მამის დანახვისა და რას არ იზამდა, ოღონდ აჭაურობას გასცოლდა და მაშინღა მობრუნებულიყო, როცა ამ ოთახებში ისევ ჩვეული სიჩუმე ჩამოდგებოდა, თვითონ კი თავს მოიტყუებდა, თითქოს მამა კვლავ ოთახში იყო ჩაკეტილი და ვაჟა-ფშაველას კითხულობდა, ან თავის ჩალაურობაზე წასულიყო. მაგრამ გაქცევა არ შეიძლებოდა და ზაზა ღუდუშაურიც ღია კართან გახევებული იდგა.

მეორე დღეს კუბო მოიტანეს, მამა შიგ ჩაასვენეს და ბიჭს უთხრეს, მოდი, *ნახეო. ბიჭი არ შეევდა და* ვიღაცებმა დაიწყეს, წესია ასეთი, ერთხელ მაინც დახედე, რომ მერე, წლები რომ გაივლის, სანანურად არ გექცესო. ბიჭმა დახედა და ერთბაშად ისევ ამ ერთ გამოვარდა: ამგვარი მამის დამახსოვრება არა და არ უნდოდა. იდგა და გულში ყველას აგინებდა, ვინც ძალით შეაგდო კუბოსთან და მამის დაფლეთილი და ნაწამები ახრდილია აჩვენა. რად უყვარს ამ ხალხს, რომ შენი ფიქრი არაფრად ჩაგდოს და მაინცდამაინც საკუთარი მოგახვიოს?— ბიჭი ფიქრობდა და უკვე ყველაფერზე და ყველაზე ღიზიანდებოდა. ნერვებს უშლიდა ეს ამოდენა ხალხი, წარამარა რეკვა სასწავლებლიდან, დაწვრილებითი ანგარიში, რამდენი კაცი დაესწრებოდა ქელეხს, რამდენი კილო ღობიო იყო საჭირო, რამდენი — ბრინჯი, რამდენი — თევზი და ძროხის ხორცი... ნერვებს უშლიდა თვით ეს ხალხი, — ათასგვარი გამოხედვა და ათასგვარი აზრი დაკრძალვის რიტუალზე, რათა ყველაფერი იმგვარად გამოსულიყო, როგორადაც განსვენებულის ნათელ ხსოვნას შეჰფეროდა. ნერვებს უშლიდა ეს გაუთავებელი კოცნაც: ნაცნობი თუ უცნობი, ყველა ერთნაირად კოცნიდა და ანუგეშებდა, მერე კი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ და ჩუმად, ჩირისუფალს რომ არ გაეგო, კალათბურთის მატჩის შედეგებს ეკითხებოდნენ. აღიზიანებდა თვით დედაც, რომელიც საოცარი სიმშვიდით აკეთებდა ყველაფერს, იღებდა მოსამძიმრეებს, იძლეოდა მითითებებს, იწუნებდა შავ ხავერდს, რომელიც კედელზე უნდა ჩამოფარებინათ, ეძებდა მამის ფოტოსურათებს...

სწორედ აქ მოხდა ის, რამაც ყველაზე უფრო გააოცა ხალხი... განსვენებულის ფოტოსურათი არსად არ არსებობდა. მას შემდეგ, რაც ჭაბუკობას დაემშვიდობა, საწყალ ბერდია ღუდუშაურს სურათი არ გადაეღო... აქაც ისევ იმან უშველა, განსვენებულმა პროფესორმა მედეა კალაძემ! ყველას მხსნელივით გაახსენდა ის სურათი, რომელიც კედლიდან იცქირებოდა და მომსვლელს თუ წამსვლელს, ძველ კეთილ დროს ახსენებდა. სურათი, საიდანაც თავის სათაყვანო პროფესორთან მი-

ხუტებული ჯაბუკი ასპირანტი იმზირებოდა. საგანგებოდ მოყვანილმა ფოტოგრაფმა სწორედ იმ სურათიდან „ამაიღო“ სახე დოცენტ ბერდია ღუდუშაურისა, რომელიც ორი დღის მერე ნეკროლოგთან ერთად უნდა დაბეჭდილიყო.

მამას რომ სცოდნოდა ასე მოხდებაო„ საიდანღაც ძალას მოიკრებდა და კიდევ დიდხანს იცოცხლებდა.

ვაზეთში ოფიციალური ნეკროლოგი გამოქვეყნდა, სადაც ქვეყანას ეუწყებოდა, რომ მოუღოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ფოლკლორისტი ბერდია ღუდუშაური. შემდეგ მოდიოდა განსვენებულის ცხოვრების მთავარი დეტალები: დაიბადა ამა და ამ წელს, სოფელ ჩალაურში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ამა და ამ წელს შევიდა უნივერსიტეტში. წარმატებით გაიარა ასპირანტურის კურსი და ასევე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სამი მოყმის ბალადის უძველესი ვარიანტები...“ და რომ მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩებოდა მეგობრებისა და ამხანაგების გულში... ფოტოსურათიდან კი ჯაბუკი ღუდუშაური იმზირებოდა.

ამაზე მამა ნამდვილად გაგიჟდებოდა!

სასწავლებელში ნეკროლოგი არ მოეწონათ და ახლა იმის რკევეას შეუდგნენ, ვის კალამს ეკუთვნოდა ეს მშრალი, არაფრის მთქმელი ნაჯღაბნი. ავტორს ვერ მიაგნეს. ყველა ერთმანეთს აბრალებდა და გაჯირდა დადგენა, კალამი ვის ეჭირა ხელში, როცა ეს კოლექტიური აზრის გამომსახველი ნეკროლოგი იწერებოდა. მაშინ რამდენიმე მანდილოსნისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელსაც ლაბორანტი მარიკა ჭირაქაშვილი ხელმძღვანელობდა, სასწავლებლის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორს მიეჭრა, ეს უსამართლობა შენ მაინც უნდა გამოასწორო, შენი პირდაპირი მოვალეობაა და თუ არ გინდა მთელი კოთედრა გადაიკიდო, გვერდი უნდა მისცეო. შენნაირ მოაზროვნე კაცს ეს არ უნდა გაუჭირდესო — დასძინა დელეგაციამ და სწორედ ამ სიტყვებმა მოალბო რედაქტორი.

მრავალტირაჟიანი გაზეთის გვერდი წერილებით გაივსო. ყველა წერილი ერთმანეთზე უკეთესი იყო, მაგრამ მათში მაინც ლაბორანტ მარიკა ჭირაქაშვილის წერილის დასასრული გამოირჩეოდა, რომელმაც მთელი კათედრა კი არა, მთელი სასწავლებელი აატირა: „შენ მთის ღაღი არწივი იყავი, მთის წყაროსავით ანკარა და მჩქეფარე. ამ წყაროს ჩვენ, ყველანი, ხარბად ვეწაფებოდით და ვაგლახ, რომ ამიერიდან ეს წყარო დაშრა... მის წკრიალა ხმას ვეღარ გავიგონებთ. ვეღარ დაგინახავთ შენ, და ვეღარ ჩაგვეღვრება სულში წმიდათაწმიდა ნათელი. საუკუნო იყოს ხსენება შენი!“ მერე მოდიოდა სხვა წერილები და სხვა სათაურები: „დაუჯერებელია!“ „და მაინც...“ „მაგრამ სულით ნუ დავეცემით...“ „მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით...“

მამა ნამდვილად მეორედ მოკვდება სამარეში...

ყველაზე უფრო ფატალური და ჯაბუკი ზაზა ღუდუშაურისათვის გაუგებარი კი, მაინც დაკრძალვის დღეს, ზედ ცხედართან მოხდა, როცა საფლავის თავთან, ამაღლებულ ადგილზე პროფესორი ხაჭაპურიძე შედგა, ჯიბიდან ქაღალდები ამოიღო, სათვალე გაიკეთა და სიტყვა წაიკითხა. მამა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არავინ სძულებია, მარტო ერთხელ, ერთ კაცზე წამოსცდა აუგი და ის ერთი კაცი პროფესორი ხაჭაპურიძე იყო. ბიჭს ცხადად გაახსენდა მამის ნათქვამი, სიკვდილისა არ მეშინია, მარტო იმისი მეშინია, რომ ჩემ საფლავზე პროფესორ ხაჭაპურიძეს არ ათქმევინონ სიტყვაო.

მამის ცხედართან სწორედ პროფესორი ხაჭაპურიძე ამბობდა გამოსათხოვარ სიტყვას... იმ წუთში ის მოხდა, რაზეც მერე მთელი სასწავლებელი ლაპარაკობდა. უმცროსმა ღუდუშაურმა ხელი გაჰკრა გვერდზე მდგარ თავის მეგობრებს, შეტრიალდა, მოჯარული ხა-

ლი გაარღვია და შინისკენ გაიქცა. შინ ის ელოდა, ვინც ყველაზე მეტად უნდა ხსომებოდათ და ვინც იმ დღეებში ყველამ დაივიწყა. არა, ბიჭს არაფერი დავიწყებია! როცა ცხედარი სახლიდან გამოჰქონდათ, კართან დიდედა იდგა, დამჭნარი, მოტეხილი, დათრგუნული ლელა ღუდუშაური. ტანზე ის თავისი ხელით მოქსოვილი კაბა ემოსა, რითაც ოდესღაც მთელმა ქალაქმა გაიცნო. დიდედა მშვიდად დაყრდნობოდა ჯოხს, თითქოს რაც ხდებოდა მის შვილს კი არა, სულ სხვა ვინმეს ეხებოდა. მარტო მაშინ, როცა კუბო კიბეზე ჩაატარეს, შვილიშვილს დაუძახა და ჩუმად ჰკითხა:

— ჩალაურში მიგაქვთ, შვილო?

— ხო, ბებო... — თქვა ბიჭმა.

მერე, კიბეზე ჩასულს წვიმოეწია დიდედას ხმა:

— რაღაზე ვიტირო, მეც ჩალაურში არა ვარ წვმისელი?

— შინ შედი, ბებო! — დაუყვირა ბიჭმა.

დიდედა შინ შევიდა.

●

ლელა ღუდუშაური, ამ ბიჭის დიდედა, კაჟივით ქალი გამოდგა. თითქოს შვილი მართლა ჩალაურში გაისტუმრაო, წელში გასწორდა და უბედურება, რომელიც თავს დაატყდა, თვითონვე დაჯაბნა. ჯერ ქალაჭი დაიპყრო. ყველაფერზე ერთბაშად იძია შური და მალე მაღალ, შავ, პირხმელ და ცერპ დედაკაცს კარგად იცნობდნენ საფუნთუშეში, გასტრონომში, ხილბოსტნეულის მაღაზიაში, ბაზარში, პოლიკლინიკაში, აფთიაქში თუ ფოსტაში. ყასაბები ურიგოდ ეპატიჟებოდნენ და კარგ ნაჭერსაც ურჩევდნენ, აფთიაქრები ურეცეპტოდ აძლევდნენ წამალს. პენსია მუდამ თავის დროზე მოსდიოდა და ფოსტალიონი ბოდიშსაც კი უხდიდა, რომ თვეში ერთხელ და ასე ცოტა კი არა, ორჯერ-სამჯერ და თანაც ათი ამდენი არ მოჰქონდა. რად მეშინოდა ამათი, ამათ ეშინოდეთ ჩემიო,— თავის თავს უთხრა ლელა ღუდუშაურმა. მაგრამ შემაძრწუნებელი თუ მისტიკური სურვილი ოდესმე ჩალაურში დაბრუნებისა, წამითაც არ ნელდებოდა, ნელდებოდა კი არა, მთელი ცხოვრება ამ ერთი დღისთვის მზადება გახდა, რომელიც ერთხელ მართლა აუცილებლად დადგებოდა და ლელა ღუდუშაური სამუდამოდ დატოვებდა მეექვსე სართულის ოთხ გამოკეტილ კედელს. მანამდე კი ორი რამ უნდა გაერკვია, ორი რამ უნდა გამხდარიყო ნათელი: რას იზამდა რძალი, რომელმაც ქმარი, დედამთილის ფიქრით, არცთუ ძნელად გამოიგლოვა და რას იზამდა ბიჭი, შეელეოდა აქაურობას და წაჰყვებოდა თუ არა ჩალაურში. რძალს ადვილად დათმობდა ლელა ღუდუშაური, რძალი მაინც რძალი იყო, თავისი ცხოვრება ჰქონდა და დღითიდღე სულ უფრო უცხოვდებოდა. ბიჭს კი, რომელიც შვილი იყო ამ დედაკაცის განსვენებული შვილისა, რომელსაც თვალები ჰქონდა მისი, ვერა და ვერავის დაუთმობდა. ამიერიდან ბიჭი დიდედას საკუთრება გახდა, მისი განძი, რომელსაც იმ მოხატული კაბა-სავით ათასში ერთხელ კი არ ნახულობდა, ხომ არავინ წაიღო ან თავად ხომ არ აიდგა ფეხი და გაიპარაო, არამედ ყოველ წუთსა და წამში. ბიჭი სულ დიდედას თვალწინ ტრიალებდა, ან თუ არა, დიდედა მხოლოდ მასზე ფიქრობდა, რათა დაეცვა ამ მატყუარა ქალაქისაგან, რომელმაც იმაშიც კი მოატყუა, რომ უთხრა, შენი შვილის ცხედარი ჩალაურში მიგვაქვსო და თურმე აქეთ, ქალაქგარეთ ჩადო მიწაში.

ზაზა ღუდუშაური შიშით ელოდა იმ გაზაფხულს. მოდიოდა დრო, როცა დიდედა საბოლოოდ უნდა ამდგარიყო და ჩალაურის გზას დასდგომოდა. ბიჭის თვალში ეს ისევე აუცილებელი იყო, როგორც თვითონ გაზაფხული მოსვლა. ბიჭმა არ იცოდა, როგორი იქნებოდა ის დღე, როგორ წვიდოდა დიდედა, მარტოდმარტო თუ სხვასთან ერთად (ვინ სხვასთან?), მალულად თუ ცხადად, ლაცვა-ჯურთხევით თუ წყეველით. ბიჭს ეშინოდა ამ დღისა და, ნებით თუ უნებ-

ლიედ, დიდედა მუდამ თვალწინ ჰყავდა. მის ყოველ ნაბიჯს მღელვარე მოლოდინით აკვირდებოდა. მაგრამ მოახლოვდა გაზაფხული, სახლის წინ მდგარი ერთადერთი ხე გამოიკვირტა, ქალაქმა ქურქი გაიხადა. დიდედას კი თითქოს არაფერი შეუნიშნავს, არც ის ხე, არც გარეთ შილიფად გამოფენილი ქალაქი. ზაზა ღუდუშაურმა ამაში დიდედას განზრახვა დაინახა: ის მარტო ადგებოდა და მარტო დაადგებოდა ჩალაურის გზას, რათა ისევე ერთბაშად გამქრალიყო, როგორც მოეკლინა ამ ქალაქს (თუ ამ ოჯახს), აჭაურობაში კი ხსოვნის პატარა ნაფლეთიღა დაერჩინა.

ყველაფერი ცხადი მაშინ გახდა, როცა შუაღამისას, დიდედა ჩუმად დაადგა თავზე, გააღვიძა და თქვა:

—უკვე დრო არი, შვილო...

—რისი, ბებო?

— წავიდეთ და წვავიყვანოთ... მამაშენი... იქ, ჩალაურში...

ბიჭი წამოხტა. დიდედას კარგა ხანს უყურა. მერე პირქვე წაემხო ლოგინზე და ჩუმად თქვა:

—ეს არ შეიძლება, ბებო.

—ვითომ რატომაო?

—ეს ქალაქია... ქალაქში ეგრე არ ხდება.

—მაშ სადა ხდება?

—არ ვიცი, მაგრამ ქალაქში არა.

—მაშ ვეღარასოდეს წავავიყვანია...

— ვეღარასოდეს, ბებო... მაგაზე გულში ნუღარაფერს გაიკლებ.

—მაშ რაღად მინდა თავი ცოცხალი...

—წადი, ბებო, დაიძინე, ვერა ხედავ, მთელ ქალაქსა სძინავს.

—რა დამაძინებს.

—წადი, ბებო, დაიძინე...

ზაზა ღუდუშაურმა არ იცოდა, როგორ ათენებდა ღამეებს დიდედა. როგორ უსმენდა გაწამებული მძინარე ქალაქს, როგორ ებრძოდა საკუთარ თავს, რომ არ წამომდგარიყო და გარეთ, ქუჩაში არ გასულიყო, თანაც ისე, რომ არც კი სცოდნოდა სად და რისთვის მიდიოდა. დიდედას ვიღაცა არ აძინებდა და ჩასჩურჩულებდა:

გადი, სანამ მთელ ქალაქს სძინავს... აღვიძე ეს ბიჭი, ამოთხარეთ განსვენებულის ცხედარი და განთიადისას ისე გაიტანეთ ქალაქიდან, ჯაჭანებამ ვერავინ გაიგოსო. ქალაქი კი არა და არ იძინებდა. თითქოს ეძინა და არც ეძინა. ჩამოდგებოდა მძიმური სიჩუმე და ამ სიჩუმეს ერთ წამსაც არ გაეგლო, ქუჩაში გრიალით ჩაელიღი მანქანა დაარღვევდა. მერე ისევ ჩამოდგებოდა სიჩუმე და ახლა ვიღაცა ღრიანცელით მოადგებოდა სახლს. ვიღაცას დაუძახებდა, რაღაც ჯანდაბას ამცივებდა და ღამეც თითქოს სადღაც გაქრებოდა, ვიდრე ისევ არ ჩაიწყვეტდა ხმას ქალაქი, ისევ არ ჩამოვარდებოდა ნამდვილი ღამის სიჩუმე და დიდედაც ისევ არ იფიქრებდა, ახლა კი მართლა ღამე დადგა, გავღვიძებ შვილიშვილს და წვავლთო. გაღვიძა! წასვლა კი ადვილი არა ყოფილა... და დიდედა ოთხ კედელს შუა გამოკეტილ ნადირს დაემსგავსა. ტყიდან რომ ძალით ჩამოიყვანეს და სამუდამოდ ჩაკეტეს.

მეორე დღეს ათასგვარი ფიქრი აწვალებდა დიდედას. მისთვის ამბავი უკვე დაწყებულიყო, — შვილის წაყვანის ამბავი და ახლა ვეღარაფერი გააჩერებდა. ჯერ რძლის ოთახში შევიდა, ლოგინთან დაუჯდა და კარგა ხანს უყურა. ამ ოთახში დიდედა ხშირად არ შემოდიოდა და რძალი მიხვდა, რომ რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული, რაღაც ახალი უნდა ეთქვა, რაც ამ ოჯახში მოჩვენებითად ჩამომდგარ სიმშვიდეს ისევ დაარღვევდა და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყებოდა.

— უნდა წვავიყვანო... ჩალაურში უნდა წვავიყვანო...

რძალი ვერაფერს მიხვდა.

— ჩემი შვილი ჩალაურში უნდა წვავიყვანო...

რძალი წამოდგა, შალი მოიხურა და ფანჯარასთან მივიდა:

— ეს რაღა სიგიჟეა?

დიდედას ეწყინა:

— სიგიჟე რათ არი?

— ახლა ამითი მოვჭრათ კაცს თავი...

დიდედამ ზურგი შეაქცია და ოთახიდან გამოვიდა.

ვიღაცამ ურჩია, აღმასკომში წადიო. აღმასკომში არც კი მოუსმინეს, გაიი ეგონათ და თანაგრძნობით, ოღონდ მკაცრად უთხრეს, სხვა დროს ამაზე აქ აღარ მოხვიდეო. ისევ იმ ვიღაცამ ურჩია, მილიციაში წადიო. მილიციაში ერთმა ლამაზმა, ღვთისნიერმა ბიჭმა ოთახში შეიყვანა, სკამზე დასვა და მოთმინებით აუხსნა, აბა ეს რა საქმეა, ბებო, რაც იყო, იყო, შვილს ვერც იქ წაუებით ეშველება რამე და ვერც აქ დარჩენითო. განა ჩვენ კი ცოტა საქმე გვაქვს, დღე და ღამეს ვასწორებთ, მარტო წუხელ ორი ბინა გატეხეს, სამ ქალს დახვდნენ და თითიდან ბეჭდები მოხსნეს, ერთი სამოცი წლის კაცი კი, არც ცოლთან რომ იყო ნაჩხუბარი, არც შვილებთან, ხელფასიც რომ კარგი ჰქონდა და დაფასებაც არ აკლდა, მერვე სართულიდან გადმოხტა და თავი მოიკლაო.

დიდედა აკანკალდა:

—საწყალი კაცი...

დიდედას რაღაც ახალი უთხრეს: ამოდენა ვეშაპივით ქალაქს ღამით მკვდრის ძილით კი არ ეძინა, ათასი ამბავი, ძალადობა და მამაძაღლობა ხდებოდა და ეს ლამაზი ბიჭიც დაღლილი იყო ყველა ჯურის ავაზაკების დევნით. დიდედას შეეცოდა ბიჭი და უთხრა, წადი, ჩემი ფეხი აქ აღარ იქნებაო. მეორე დღეს დიდედა ეკლესიაში წავიდა.

ეკლესია გოგო-ბიჭებით იყო სავსე. დავიჯერო ჩემოდენა ხალხს ღმერთი აღარა სწამთო? — გაიფიქრა და იქვე, კარებთან მიიყუჟა. მღვდელი რაღაცას ქადაგებდა, მაგრამ დიდედას ერთი სიტყვაც არ ესმოდა. გოგო-ბიჭები ხმაურობდნენ, ერთმანეთს რაღაცას ელაპარაკებოდნენ, იცინოდნენ და აფრთხილებდნენ, მალე გამოვა ის ახალგაზრდა, ლამაზი მღვდელი, გუშინ რომ ვნახეთო. დიდედას შერცხვა, იარა, იარა და წინ წავიდა. გოგო-ბიჭები წინაც იყვნენ, მაგრამ აქა-იქ მორწმუნენიც დაინახა, ალბათ ისინი, ხატებთან რომ იდგნენ და სანთლებს ანთებდნენ. ერთი სანთელი მეც მომეცითო, სთხოვა დიდედამ იქვე მდგარ დედაკაცს. დედაკაცმა თითი გაიშვირა, ნათხოვარი სანთლის დანთება არ შეიძლებაო, აგე, იქით, ჭალი რომ დგას, ისა ჰყიდის და გამოართვიო. დიდედა გაძვრა, სამი სანთელი იყიდა და ჭალსა ჰკითხა, სად უნდა დავანთოო. ვისთვისა გნებავთ, ვის სახელზე ანთებთო? განსვენებული შვილისა და ცოცხალი შვილიშვილის სახელზე, ღმერთმა რომ დიდხანს მიცოცხლოსო. მაშინ ერთი იმ ხატთან დაანთე და ორი იქითო, დაანახა ჭალმა. დიდედა, როგორც ასწავლეს, ისე მოიქცა და გაიფიქრა, განა არა, გულზე შვება ვიგრძენიო. მღვდელი ისევ ქადაგებდა, მაგრამ არავინ უსმენდა. მერე მღვდელი გაჩუმდა, ის ოქროსფერ ჯაჭვებზე ჩამოკიდებული პატარა ჯამი რომ ეჭირა, გაავან-გამოავანა და ეკლესიაში რაღაც საამო სუნი მოიფრქვია. ეს საკმევლის სუნიაო, — ჩასჩურჩულეს დიდედას. საკმევლის სუნი კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა და როცა უფლის სახელზე გუნდმა „მრავალჟამიერ“ დაიგუგუნა და ეკლესიის მაღალმა თაღებმა ბანი მისცეს, დიდედამ გაიფიქრა, ხვალაც დილიდანვე მოვალ და აქ ვიქნებიო.

ხალხმა წასვლა-წამოსვლა დაიწყო და ეკლესია მალე დაცარიელდა. მარტო ორიოდე ბებერიღა იჯდა ბნელ კუთხესთან მიდგმულ დაბალ სკამებზე და ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა. დიდედამ ახლოა მოავლო თვალი იქაურობას. თაღიდან მაცხოვრის თვალები ყოვლისმხილველივით გადმოსცქეროდნენ და დიდედამ გაიფიქრა, აი, ვინ გაიგებს ჩემ ტანჯვასო. იქით ჯვარცმა იყო და დიდედას შეეცოდა ჯვარზე გაკრული ქრისტე. ვაი, შენს დედას, უბედურსო,— გაიფიქრა და ახლა ნათლისღებისაკენ წავიდა: ღმერთო, თუ სადმე ხარ, გაანათლე ჩემი ბიჭის სულიო. მერე ოქროსფრად მოჭედილი კარი გაიღო და მღვდლები გამოვიდნენ. მათ

შორის დიდედამ ერთი, ყველაზე ახალგაზრდა, შავწვერიანი და შავთვალწარბა მღვდელი ამოარჩია და გვერდით ამოუდგა.

ბიჭს არ მოუხედავს, რაღაცას წყნარად ელაპარაკებოდა თავისსავე ტოლ მღვდელს.

—გამოცხადებული ქრისტეა, თუ ვეტყვი, ამას ვეტყვი ყველაფერსო,— გაიფიქრა დიდედამ და ახალგაზრდა მღვდლის წინ თავდახრილი გაჩერდა.

მღვდელმა გაუღიმა.

დიდედამ მიიხედ-მოიხედა და მღვდელი მიხვდა, რომ ამ გამშრალ და დაბნეულ დედაბერს მარტოდ დარჩენა და რაღაცის თქმა უნდოდა.

მღვდლებმა ისევ ის მოოქროვილი კარი შეაღეს. დიდედა და ის ახალგაზრდა, ჯვარზე გაკრულ ქრისტეს რომ ჰგავდა და თაღიდან მზიარალი მაცხოვრის თვალები ჰქონდა, მარტო დარჩნენ.

დიდედამ ჩუმად უთხრა:

— შვილი მომიკვდა, გეცოდინება, ალბათ,

მღვდელი დაიბნა.

— აქ დავმარხეთ. მთელი ქვეყანა იქ იყო. შენც ხო არ იყავი? ნეტა ჰყოფილიყავი... იქნებ იქ წაეღოთ...

— სად გინდოდა წაეღოთ, დედი?

— ჩალაურში... ზევით, მთაში როა... ახლა იქ მინდა წავიყვანო, ჩალაურში... ყველანი უარს მეუბნებიან.

—ეგ ნუ გაწუხებს, დედი...

—როგორ თუ ნუ მაწუხებს...

—იმისი სული უკვე ცაშია. სიკვდილი ხორცთაგან განსვლაა სულისა...

დიდედა იდგა და ბიჭს შესცქეროდა. უცებ დაიჩოქა და მუხლებზე მთხვევა უნდოდა.

ბიჭმა ერთბაშად წამოაყენა და შუბლზე აკოცა.

დიდედა კანკალებდა:

—რა ლამაზი ხარ... როგორც ის, ჯვარცმული... თვალები სულ იმისი გაქ...

დიდედამ თაღიდან მზირალი მაცხოვრისკენ გაიშვირა ხელი.

მღვდელმა თავი დახარა:

—ჩვენ, ცოდვილნი იმას ვერ შევხედრებით...

დიდედამ მაცხოვარს უყურა, მერე ისევ ახალგაზრდა მღვდელს მიაჩერდა და გაუცინა:

—იცი, კიდევ ვისა გევხარ?

—ვისა, დედი?

— ჩემ შვილიშვილს...

მღვდელსაც გაეცინა და თქვა:

—ყველანი ღვთის შვილები ვართ, დედი...

●

ეკლესიიდან დამშვიდებული წამოვიდა. გზაზე სულ იმ ახალგაზრდა მღვდელზე ფიქრობდა, ქრისტეს და თავის შვილიშვილს — ზაზას რომ ჰგავდა. ყველაზე უფრო იმ სიტყვებმა დაამშვიდეს, შენი შვილის სული უკვე ცაშიაო. ჩალაურიც ცაში არ არი? — გაიფიქრა და ფეხს უფრო აუჩქარა. მაშ იმისი სული ჩალაურში წასულა. აქ მარტო ძვლებია და სხვა არაფერი. ამისი გაფიქრება იყო და დიდედამ თავის თავს უთხრა: ჩალაურში უნდა წავიდე და თანაც მალეო.

თან მივიდა და ყველაფერი შვილიშვილს უამბო.

ისიც უთხრა, რომ მღვდელი მას ჰგავდა, უფრო გამოცხადებულად კი მაშინ, როცა ბიჭი წვერს არ იპარსავდა.

ბიჭმა გაიცინა.

დიდედა შესცქეროდა და ფიქრობდა:

— არ ეწყინა... რათ უნდა სწყენოდა?

შვილიშვილმა სთხოვა, ხშირად ნუ გახვალ შინიდანო. დიდედას გული დაწყდა, გავიდე, ვის რას ვუშავებო. რა დიდი დროღა დარჩა, მორჩა, უკვე ჩალაურში ვართ წასასვლელებიო. მაშინ შვილიშვილმა ის უთხრა, რამაც დიდედა მთელი ღამე კვლავ არ დააძინა, მეორე დღეს კი დილაადრიანად წამოადგა და ბაზარში წაიყვანა:

—იქნებ ის ჩალაური აღარც არი, ბებო?

— ჩალაური აღარ არიო?

— იქნებ ყველანი სადღაც წავიდნენ?

— სად წავიდოდნენ?

— რა ვიცი, ქვეყანა დიდია.

— არავინ არ წავიდოდა.

— ჩვენ ხომ წამოვედით?

— ჩალაური ალარ არიო? ეს რა მითხარი?

ბაზარი თრთოდა, ბორგავდა და ყაყანებდა. წვერებიან ქურთს ყუთებით სავსე ურიკა მოჰქონდა და ყვიროდა: „ხაბარდა! ხაბარდა!“. ეს „ხაბარდა“ რაღა არიო, გაიფიქრა დიდედამ და ვიღაცამ ხელი სტაცა: იქით გაიწი, დედი, ვერა ხედავ, როგორ მოდის, წაგაქცევს! ხმაჩახლეჩილი ქალი რადიოში მთელი ბაზრის გასაგონად აცხადებდა: ყასაბი ალი ყურბანაოვი გამოცხადდეს დირექციაში! მერე „მრავალჟამიერს“ მღეროდნენ. სიმღერა წყდებოდა და ქალი ახლა სხვას აცხადებდა: ოთხი წლის ტოლია სმირნოვი იმყოფება მილიციის განყოფილებაში, მშობლებს ვთხოვთ, მოაკითხონ! მერე ისევ მღეროდნენ და დიდედა ფიქრობდა, ოთხი წლის ბიჭი თუ დაიჭირეს, ნეტა რაღა ამღერებთო. ბაზარი ბზუოდა, იკლაკნებოდა, ფუვდებოდა, ისევ იკუმშებოდა, ან ისევ ზღვასავით ბორგავდა; ხან იქით აწყდებოდა, ხან — აქეთ, ბოლოს კვლავ მშვიდდებოდა და წმინდ შეწყვეტილი სიმღერის მერე რადიო აცხადებდა: ნაპოვნია მოქალაქე ზაუტაშვილის პასპორტი. მოქალაქე ზაუტაშვილს ვთხოვთ გამოცხადდეს ბაზრის დირექციაში. აჰ, ეტყობა, ყველა რაღაცას კარგავსო, — გაიფიქრა დიდედამ და ჯიბეზე ხელი მოისვა. თუმცა ნინი ისევ იქ იყო და დამშვიდდა. დაკარგავენ, მაშ რა იქნება, ამ ჯგლეთაში რა მალებივით დარბიანო! მერე გამოჩნდნენ ბოშები. თითო ბალღი ხელში ეჭიროთ, თითო ზურგზე მოკიდებულ ბოხჩაში ეკრათ, სამ-სამი კი გვერდზე მოჰყვებოდათ. იმათ, ვინც გვერდზე მოჰყვებოდათ, ხელში ტომრები ეჭიროთ და, სადაც დედა ანშნებდათ, დაუკითხავად იღებნენ და ყრიდნენ იმ ტომრებში ყველაფერს, რაც ხელთ მოჰყვებოდათ. ბაზარში ღრიანცელი ატყდა. ბოშების დანახვაზე ყველამ ასი ყური და ასი თვალი გამოიბა. ვიღაცამ პამიდორი გამოისროლა, ვიღაცამ — დამპალი ჭარხალი. ბოშები მაინც არავის ეპუებოდნენ, ტომრებს ავსებდნენ და თან იმგვარი სიამაყით აპობდნენ ხალხის ტალღას, თითქოს მათი და მათი შვილების ხელით საქვეყნო საქმე კეთდებოდა. მერე ჰმა დაირხა, მილიცია მოდისო და ბოშები გაიქცნენ. ბიჭბუჭებიც თან მიჰყვნენ. იდგა ერთი ღრიანცელი, ხარხარი და ყვირილი. დიდედამ გაიფიქრა, ალბათ მეც უნდა გავიქცეო და გაიქცა... მე რაღა მიმარბენინებსო, — გაიფიქრა, დამშვიდდა, ისევ მობრუნდა და ბაზარს ზემოდან გადახედა. ეხლა დიდედა იმაზე ფიქრობდა, საიდან, რომელი მხრიდან დაეწყო, რომ ყველგან მისულიყო, ყველა დახლი სათითაოდ ჩამოევლო და ეკითხა, ჩალაურელი ხომ არა ხართ ვინმეო, და, კაცმა რომ თქვას, კითხვა რად უნდოდა? დიდედა ყველა ჩალაურელს თვალის მოკვრითაც იცნობდა...

ჯერ მაწვნებთან მივიდა და ჩუმად იკითხა, ჩალაურელი მაწონი ხომ არავისა გაქვთო. ქალებმა ერთმანეთს გადახედეს და იკითხეს, ჩალაურელი მაწონი ვისა გაქვთო? ეს ჩალაური საღღაო? არც კი გაგვიგიაო, სადღაც, მთაში ყოფილაო! აბა მთიდან ვინ ჩამოვიდოდა, ჯერ ეხლა გაზაფხულდაო... მერე დიდედამ იქით გადაუხვია, სადაც ყველსა ჰყიდდნენ. ყველის გამყიდველები თითრები იყვნენ და ამ დედაკაცს რა უნდოდა ხეირიანად ვერავინ გაიგო. მერე დიდედამ ფქვილებს ჩამოუარა, მაგრამ ჩალაურელი კი არა, ისეთიც ვერავინ იპოვა, ეს სოფელი ოდესმე რომ სმენოდა. დიდედას მოუბოდიშეს, არ ვიცით ეგ ჩალაური, არც გვინახავს და არც გვსმენიაო. მერე ბროწეულებთან ჩაიარა. ბროწეულებსაც თითრები და სომხები ჰყიდნენ და დიდედა მიხვდა, ამათთან ჩალაურზე ლაპარაკი არა ღირსო. მერე კარტოფილებისკენ წავიდა, აქ კი იქნება ვინმე, ჩალაურული კარტოფილი როგორ არ ეცოდინებათო, იქაც თითრები და სომხები დახვდნენ. მარტო ერთი დედაკაცი ჰგავდა ქართველს

და დიდედაც სწორედ მასთან მივიდა. დედაკაცმა ჩალაურისა არაფერი იცოდა, არც გზად გაეგლო და არც სახელად სმენოდა. ეგეთი სოფელი არ გამიგიონა.

— მოუბოდიშა ქალმა და ჰკითხა, კარტოფილს ხომ არ იყიდიდიო. დიდედას კარტოფილი არ სჩირდებოდა, დიდედას ჩალაურელი უნდოდა ვინმე და ბაზრის ყაყანში ხმამაღლა თქვა: იქნებ მართლა აღარ არი ჩალაური! იქნებ არა ტყუის ჩემი შვილიშვილი? იქნებ ჩალაური გაკრა, ჩალაურელები სადღაც წავიდნენ! სულის მოსათქმელად ბეტონის ბოძს მიეყრდნო. ბოძის პირდაპირ ერთი გაცრეცილი, შავ თავშალში გამოხვეული დედაბერი ვაშლსა ჰყიდდა. თუ ეცოდინება, ამან უნდა იცოდეს, თუ არადა, ჩალაური მართლა მომკვდარა, მართლა გამქრალა და აღარავის აღარაფერს ვკითხავო, — გაიფიქრა დიდედამ და შემცივნულ დედაბერთან მივიდა.

ჩალაურიო? — დედაბერმა არაფერი იცოდა, იდგა და ამ ჩალაურის მაძებარ ქალს თვალმოუშორებლად უცქერდა.

მერე დედაბერმა ერთი წითელი ვაშლი აიღო და მიაწოდა:

— აიღე, პირი გაისველე.

დიდედამ უარი უთხრა;

— აიღე...

დიდედას გული რაღაც ჩასწყდა:

— მათხოვარი ვეგონე.

დედაბერს ზურგი შეაქცია და კიდევ არაფერი დამიძახოსო, ჩქარი ნაბიჯით ბაზრიდან გამოვიდა.

ვიდრე ჭიშკარს გამოვლიდა, კვლავ წმოეწია ჩახლეჩილი ხმა:

— ყასაბი ყურბანოვი გამოცხადდეს დირექციაში.

ამ ხმამ წამით კვლავ შეაჩერა და გაიფიქრა, მოდი, მივალ, შევეხვეწები და ეს რადიო მთელი ქვეყნის გასაგონად დაიძახებს, ჩალაურელი თუ ვინმე ხართ, გამოდით, ბაზრის ჭიშკართან ღელა ღუდუშაური დგას და გელოდებათ, როგორ არ გახსოვთ, თხუთმეტი წლის წინათ თავის შვილს რომ გამოჰყვა ქალაქში და ახლა აღარ იცის როგორ დაბრუნდესო. აპატიეთ რაც დააშავა, ყველაფერი იმან ქნა, იმ წამოსულმა, იმ შარმთმა ყველა უბედურება იმიტომ დაატეხა. ახლა აქ არი, ბაზრის შესასვლელში, თქვენ გელოდებათ და აბა თქვენ იცითო... იცის, თუ ჩალაურლები აქა ხართ, ერთ წუთში იმასთან გაჩნდებით და თან წაიყვანთო... მაგრამ ამის გაფიქრებაზე საკუთარი თავიც დასწყევლა და ეს ამოდენა, ადუღებული ბაზარიც, დიდ ქვაბში რომ აღარ ეტეოდა და აქეთ-იქით გადმოდიოდა. დიდედას თავისი უბედურების ქვეყნის ყბაში ჩაგდებისა შერცხვა და ჭიშკარს გაეცალა.

— ხაბარდა!

დიდედამ მოიხედა. მის უკან ისევ ის დიდულვაშა ჭურთი იდგა და რაღაც ყუთს მოაგორებდა.

— შენ რაღას გადამეკიდე, კაცო!

ჭურთმა დაუყვირა:

— რა გინდა, დედაკაცო!

— არაფერი, იარე, გზა დიდიაა...

ზურგიდან ტრამვაის წკრიალი გაისმა. დიდედასთან პატარა გოგო მივიდა და ხმადაბლა უთხრა:

— გვერდზე მიდექით, ბებო, ტრამვაიმ არ გაგიტანოთ.

დიდედამ მადლობის თქმაც ვერ მოასწრო, გოგო გაქრა.

ყველას სადღაც ეჩქარება... გაიფიქრა და თვითონაც აჩქარდა. ერთი ხანობა ფეხით იარა. მერე მაღაზიასთან გაჩერდა: მაღაზიაში ხორცს ჰყიდდნენ და აყაყანებულ ქალებსა და კაცებში ვერ გაიგებდი, ვინ პირველი იყო და ვინ უკანასკნელი... აქაც მარტო იმიტომ შემოვიდა, კიდევ იმ რაღაცის იმედი ჰქონდა, — როგორ იქნება, ამოდენა ხალხში, თუ მართლა კიდევ არი და მართლა არ გაქრა, ჩალაური ერთხელაც არავინ ახსენოსო. თქვენ დგეხართ, დედი? — იკითხა ვიღაც კაცმა და დიდედამ უკან დაიხია. ხალხი გასართობად დადის, — ჩაილაპარაკა კაცმა და დიდედას წინ წადგა, მერე ისევ მოიხედა და რამდენჯერმე თავით-ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა ეს მაღალი, პირხმელი, კერპი ქალი.

ხორცის რიგი ყაყანებდა: ის მსუქანი ქალი იდგა? არ იდგა! ის ლურჯპალტოიანი? არ ვიცი, მე რომ მოვედი, ის მსუქანი კაცი იდგა, ის მეორე, გაზეთს რომ კითხულობს, გამხდარი ქალი და ის ჯინსიანი ბიჭი... ამათ სულ ბიჭები ელანდებათ! სად მიძვრებით, ბოლოს და ბოლოს სირცხვილია! ინვალიდი ვარ, ქალბატონო... ინვალიდი ჩემი ქმარია, ფეხი არა აქვს და ხელი... გაოხრდა ქვეყანა! რა ამათი ბრალია? ორ კილოს ვიღებ და ისიც ძვლიანი წავიღო? ორ კილოზე მეტი არ გასცეთ! რაც ჩავდექი, სულ მეათე ვარ... ის პირნაყვაველარი კაცი ახლა მოვიდა და მაინც მიძვრება! აბა მე აქ დავდგები და დედამისის შვილია, ვინმემ ურიგოდ აიღოს! რას უწუნებ ქალო, ამ ორკილს. ეს სხვას მიეცით! სხვებმა რაღა დავაშავეთ? ეს ფეხმძიმე ქალი მაინც გაუშვით... მე სახლში სამი ბავშვი დავტოვე! მე სამსახურიდან ვარ გამოქცეული! ყველანი სამსახურიდან ვართ გამოქცეულნი და ყველას გვეჩქარება! ნეტავ რომელი საათია? რომელი საათია? ვისა გაქვთ საათი? რომელი საათია, ქალბატონო?

არა, აქ ჩალაურზე არავის არაფერი სმენოდა.

ქართული ლავაშის ღუქანში შევიდა. სათონედან პურის საამო სუნი გამოდიოდა და დიდედას დღეს პირველად გაახსენდა, რომ ნაწილი მოწყალება არ ჩასვლოდა პირში. საპურეშიც რიგი იდგა და, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩალაური ეხსენებინა, დიდედამ მთელი ხალხის გასაგონად თქვა:

— ოთხი ლავაში მომეცი, ჩალაურში მივდივარ.

— ორზე მეტს არ ვიძლევით, — თქვა გამყიდველმა.

— ჩალაურში მივდივარ შვილო... იქ უნდა წავიღო.

ხალხი აყაყანდა: ორზე მეტს თუ არ იძლევით, ნუ მისცემთ, თუკი მაგას მისცემთ, მაშინ ჩვენც მოგვეცითო!

— ჩალაურში მიდენილა, — მოიბოდიშა გამყიდველმა.

ხალხი უფრო აყაყანდა.

— თავი დამანებეთ, ერთიც არ მინდა! — თქვა დიდედამ და უკან გამობრუნდა.

ხალხი ახლა ამაზე აყაყანდა, ისეთი რა გითხარით, ქალბატონო, რომ ლავაში სახეში მოგვახალეთო. აქ ყველანი ნერვებმოშლილები ვართ, თორემ პურს როგორ დავუპერთ ერთმანეთსო. მობრუნდით, თუ მართლა სადმე მიგაქვთ, რამდენიც გნებავთ, იმდენი წაიღეთო. მაგრამ დიდედა აღარავის უსმენდა.

კარებში გასულს ქალების ხმა წამოეწია:

— ეს ჩალაური სადღაა?

— არ ვიცი, სადმე იქნება...

დიდედა გარბოდა. გაახსენდა შვილიშვილის სიტყვები, ხშირად ნუ გახვალ შინიდანო და შერცხვა, თავი დამნაშავედ იგრძნო. ამ ჯანდაბით უფრო მალე მივალო, — გაიფიქრა და ავტობუსში შევიდა. ავტობუსშიც ჯგლეთია იყო: წაიწიეთ, წინ წაიწიეთ! აღარ შემიძლია, დავიხრჩობი... თუ იხრჩობით, ტაქსით იარეთ... ქალბატონო, წინ წაიწიეთ, ვერა ხედავთ, ცარიელია ავტობუსი! სიცარიელეს სად ხედავთ? მობრძანდით და თქვენ წაიწიეთ! გაუხეშდა ხალხი... ამ ჯგლეთაში დავდივარ ყოველ დილა-საღამოს... უნივერმაღში დღეს ფეხსაცმელები გამოიტანეს. ეგ ყავა სად იყიდეთ, ქალბატონო? გავიხედე და ის დეგენერატი სახლთან არ დამხვდა? რა უთხარი? მოუსვი-მეთქი, რას ვეტყოდი? ჯინსები სამასი მანეთი გახდა, ბიჭო... დაყარონ ეს ჯინსები და გააჩუმონ ეს გოგო-ბიჭები, ბოლოს და ბოლოს რა გახდა ასეთი? თეატრში ხვალ პრემიერაა... თეატრი მოდიდან გადავარდა! დამშვიდდით, ქალიშვილო, ისევ შემოსული მოდაში... ვიცი ეს ახალი პიესები, გაკიცხავენ სიმდიდრეს და შეაქებენ პატიოსან სიღარიბეს. ან ვიღაც ბიჭი მეორე ბიჭს მოკლავს და იმ მკვლელობასაც მაყურებლებს დაგვაბრალებენ. თეატრი მაშინ იყო... ხვალ ხელფასის დღეა... ჯანეტა და ლამარა პარიზში მიბრძანდებიან... წაიწიეთ, წინ

წაიწიეთ! გუშინ ვენერას დახვედრიან პადიეზდთან. მერე? ბრილიანტის ბეჭედი, საყურეები და ძეწკვი წაურთმევიათ... სადღაა წესრიგი? წესრიგი ჩვენ უნდა დავიცვათ... ვინ ჩვენ, აკადემიკოსებმა დაიჭირონ ყაჩაღები თუ არტისტებმა? აბა თუ ერთმა მაინც აიღოთ ბილეთი!

დღე იწურებოდა.

ბიჭი შინ იყო.

რძალი არსად ჩანდა.

— მოხვედი, ბებო?!

— რა იყო?

ბიჭი იცინოდა:

— არაფერი... მერცხლები დაბრუნდნენ.

დიდედა აივანზე გავიდა.

მერცხლები მართლა დაბრუნებულიყვნენ.

მთელ სახლს ჟივილ-ხივილით უვლიდნენ გარშემო.

დიდედა იდგა და მერცხლებს თვალს არ აშორებდა:

— გრძელი გზა აქვთ გამოვლილი.

აივანზე ბიჭი გამოვიდა.

დიდედამ ბიჭს გაუცინა:

— დაბრუნდნენ...

მერცხლები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ღუდუშაურების აივანზე დაბინავებას არც ერთი არა ფიქრობდა. მერცხლებმა არ იცოდნენ, რომ ეს პირქუში დედაკაცი, აივანზე რომ იდგა, თხუთმეტი წელია, ეპატიჟებოდათ. ბუდეს კი მაინც სხვაგან იშენებდნენ. ცხოვრებაც ეგრეა, იქ კი არ მიხვალ, სადაც მართლა გელოდებიან, დადიხარ და ხესა და ქვას ედებიო, — ფიქრობდა დედაკაცი, — ახლა ჩალაურში გველოდებიან, იქნება ჩამოვიდნენ და ბუდე ისევ ააშენონო, ჩვენ კი აქა ვართ... ყველაფერი მაინც იმ ბუდის მოშლამ ქნა. ამით დაიწყო უბედურება. იქიდან წამოვიდნენ და უბედურებაც აედევნათ, მაშინვე აეედევნათ, როგორც კი საკუთარი ეზოს ბილიკს გადმოსცდნენ...

მერცხლების დაბრუნებამ უფრო ააფორიაქა დიდედა. კარგა ხანს ფეხი არ მოუცვლია აივნიდან, იდგა და მერცხლებს თვალს არ აშორებდა. ზაზა ღუდუშაური იდგა და დიდედას შესცქეროდა. რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, — გაიფიქრა ზაზა ღუდუშაურმა და დიდედა მარტო დატოვა. დედაკაცი კი შინ შემოსვლას მაინც არა ჩქარობდა. ნეტა რას მოიტანს ეს გაზაფხული? დასრულდება თუ არა ჩალაურის მისტიკა? როდის წავა დიდედა, რას იტყვის წასვლის წინ? გადაკოცნის დედას თუ ზედაც არ შეხედავს? — ეს კითხვები ისევ ირეოდნენ ბიჭის გონებაში. დიდედა კი პასუხს არ იძლეოდა. დიდედას ვერაფერს ჰკითხავდი. ყველაფერი მაშინ ხდებოდა აშკარა, როცა დიდედა მოქმედებას იწყებდა. როდის დაიწყებდა ეს მოქმედება? ამ წუთში, როცა დიდედა შინ შემოტრიალდება თუ ამადამ ან ხვალ დილაზე? დაწყებით კი მალე დაიწყება... მე მაინც არ მიტყვის რაიმეს? — წვალობდა ბიჭი, — ხო, მე აუცილებლად მეტყვის.

მაგრამ არც მეორე დღეს დამდგარა დიდედა ჩალაურის გზაზე. მეორე დღეს იმ სახლისკენ წავიდა, რომელიც ღუდუშაურების სახლის პირდაპირ, იატაკად შემორჩენილ, ბოსტნებით დაფარულ კორპუზზე იდგა გამმარტოებული და დიდედა ხშირად, დილიდან საღამომდე, თვალმოუშორებლად გასცქეროდა. დიდედამ იმ სახლზე ყველაფერი დაწვრილებით იცოდა. დიდედას თვალში ამ სახლთან ქალაქი მთავრდებოდა, მერე ნაძვნარი იწყებოდა და ნაძვნარს იქით რა იყო, დიდედამ აღარ იცოდა, რადგან შორს მხოლოდ ცისფრად დაბინდული ქედები მოჩანდა. კორტოხზე მდგარი სახლი ერთი ბეწო იყო, თავისი ეზოთი და ბაღჩით, ამოდენა ქალაქის ხახას სასწაულად გადარჩენილი. ვიღაცები ეზოში ფუსფუსებდნენ, ცეცხლს ანთებდნენ, აივანზე ადიოდნენ და რაღაც ნივთები შეჰქონდათ და გამოჰქონდათ, ბარავდნენ და თოხნიდნენ, სხლავდნენ და გაზაფხულზე მთელი ეზო თეთრად იპენტებოდა. რანაირია ეს ქალაქი, აქვე, ცხვირწინ არის ეს სახლი და ვერ მივსულვარ და ვერ მით-

ქვამს, მე თქვენი ყველაფერი ვიცი, მე ის ქალი ვარ, აიმ სახლში, მეექვსე სართულის აივანზე რომ ზის ხოლმე და თქვენ ეზოს გადმოსცქერისო, — სწუხდა დიდედა.

ღამღამობით სახლი ბნელში იძირებოდა და მარტო ერთი ვარსკვლავისხელა შუქილა ბჟუტავდა. ყველაფერი, რაც იმ ოჯახში ხდებოდა, და დიდედას აზრით, სიკეთის მეტი რა უნდა მომხდარიყო, ამ ვარსკვლავის იღუმალი შუქით იყო განათებული. ეს შუქი დედაკაცს თავისკენ უხმობდა და მხოლოდ სითბოს და სიკეთეს სთავაზობდა. ერთხელ მაინც გადავალ, ხო არ გამომგდებენო, — გადაწყვიტა დიდედამ, აპრილის მზიანი დღე იყო. ეზოში გამოსული ოჯახი საბოსტნეს ბარავდა და ალუბლებს სხლავდა. დიდედამ აღმართი აიარა, პატარა ბილიკზე გადაუხვია და დაიღალა. დავბერებულვარო, — გაიფიქრა და იქვე, ბილიკზე დაჯდა. ქალაქი სადღაც დარჩა. ახლა შორიდანღა ისმოდა იმისი გაურკვეველი ზუზუნი.

დიდედა კარგა ხანს იდგა ჭიშკართან.

— გამარჯობაო...

ღიპიანმა კაცმა, რომელსაც ფეხებზე ფოსტლები ეცვა და ხელში შლანგი ეჭირა, გაოცებით გადმოხედა.

ქალი ჭიშკრისკენ წამოვიდა.

ოციოდე წლის ბიჭმა ბარვა შეაჩერა და მოულოდნელ სტუმარს გადმოხედა.

ქალმა დედაკაცი ვერ იცნო და დაიბნა.

— ვინა ბრძანდებით, მობრძანდით...

დედაკაცმა არ იცოდა, რა ეთქვა:

— მე იმ სახლიდანა ვარ...

ქალს რაღაც გაახსენდა და გაუცინა:

—ყვავილების მიწა ხო არა გნებავთ?

ღიპიანი კაცი ისევ გაშეშებული იყურებოდა.

ბიჭსაც ხელი ბარის ტარზე შერჩენოდა და სტუმარს თვალს არ აშორებდა.

— ვხვიარ ხოლმე და გიყურებთ...

კაცი დიდედასკენ წამოვიდა.

— მერე, რო იყურები ხოლმე?

დიდედა დაიბნა:

— მერე, არაფერი...

ბიჭმა ბარვა განაგრძო.

კაცი გაბრუნდა. დიდედამ ქალს შეხედა და სხვა ვერაფერი მოახერხა:

— ვიფიქრე, გადავალ და მივეშველები-მეთქი.

ქალმა გაუღიმა.

კაცმა შორიდან დაიძახა:

— ერთი ბეწო ბოსტანია, ჩვენც ავუდივართ.

დიდედამაც ხმამაღლა თქვა:

— ხო, თქვენც ეყოფით.

ეზო უცხო გახდა. აქ რამ მომიყვანაო, გაიფიქრა და უკან გამობრუნდა.

აივანზე გოგო გამოვიდა და ფერდობზე დაშვებულ დიდედას გოგოს ხმა წამოეწია:

— ვინ იყო, რა უნდოდა?

— რა ვიცი...

— მაინც რა მინდაო?

— ჩვენც კარგად ვერ გავიგეთ.

ქალების ნათქვამზე ბიჭმა ხმამაღლა გაიცინა:

— აიმ სახლში ვხვიარ და გიყურებთ ხოლმეო!

— რამდენი მოცლილია ქვეყანაზე...

ეს იყო და ეს. ის პატარა კუნძული, რომელსაც დიდედა უცქერდა და საიდანაც ღამღამობით ერთი მბჟუტავი შუქი კრთოდა, ერთბაშად ბნელში ჩაიძირა. ან მართლა მე გავგიჟდი და ან ამათ დაუკარგავთ ყველაფერიო, — თქვა დიდედამ და ახლა აივანზე გასვლისა ეშინოდა, იქით არ გავიხედო და ისინი არ დავინახო, იმასაც რომ ვერ მიხვდნენ, რისთვის მივედი და რა მინდოდაო. აქ მართლა უმზრახად უნდა იარო, არავის არაფერი შესჩივლო, თორემ მარტო დაგცინებენ და ყველაფერი ამით გათავდებაო.

დიდედა შინ მობრუნდა. მეორე თთახიდან ღრიანცელი ისმოდა. ბიჭი უკვე მოსულიყო და ამხანაგებიც მოეყვანა. რაღაცა ბრაგუნობდა. რაღაცა ღრჭიალებდა და სწორედ ის ბიჭი ჰყიოდა, ვისი ხმაც დიდედას უკვე მესამე წელია ესმოდა. აღარ მოსწყინდათ? — ფიქრობდა დიდედა და ელოდა, როდის დაიღლებოდა ის ბიჭი, როდის ჩაუწყდებოდა ხმა, რათა ისევ თავიდან დაე-

წყო ყველაფერი და დიდედასაც ისღა დარჩენოდა, რომ ეფიქრა: აქ, ამ ქალაქში, არაფერი იცვლება, დრო ერთ ადგილზე დგას და არც შემოდგომაა, არც ზაფხული და არც ზამთარი. ოთხ კედელშია გამოკეტილ ხალხს სხვა კი არა, ერთმანეთიც არ უნდათო. მაშინ გადაწყვიტა დიდედამ, რომ დარჩენილი სიცოცხლე თუ ორიოდე დღე, როგორც თვითონ უწოდა, არამც და არამც აქ არადა, ჩალაურში გაეტარებინა, ისევ იქ დასრულებულიყო ყველაფერი, სადაც დიდი ხნის წინათ დაიწყო. მაგრამ ვიდრე ამას საბოლოოდ და უსიკვდილოდ გადაწყვეტს, ვიდრე დიდედა თავის მივიწყებულ კაბას ყუთიდან ამოიღებს, ვიდრე ჯოხს მოძებნის და შვილიშვილს უბრძანებს, ახლა კი წავიდეთო, რამდენიმე იმგვარი ამბავი უნდა მოხდეს, რაც წასვლის დღეს უფრო დააჩქარებს და რაც დიდედას ათქმევინებს, რომ თუ მართლა ღმერთის წინაშე წარდგომა უწერია, ეს აქ კი არ უნდა მოხდეს, ღმერთს იქ უნდა მიეახლოს, იმ შორეულ ჩალაურში, რომელიც მაღლაა, ზეცასთან ახლოს და საიდანაც ღმერთთან მისასვლელადაც დიდი გზა აღარ დასჭირდება.

●

ჭაბუკი ზაზა ღუდუშაურისათვის ჩალაური მხოლოდ აბსტრაქტული და არარსებული რაღაც იყო, რომელსაც იგონებდა მამა, რომელსაც ახლა დიდედა იგონებს, დედა კი მის ხსენებაზე ერთსა და იმავეს დაუფარავად, ხმამაღლა ამბობს: ღმერთო ჩემო, სულ ჩალაური და ჩალაური, ვინმემ რომ გაიგოს, ალბათ გიჟები ვეგონებით, ვინ დაიჯერებს, რომ აქ, დედაქალაქში, თოთხმეტსართულიანი სახლის მეექვსე სართულზე, დილიდან შუაღამემდე მარტო ერთი სიტყვა ისმის: ჩალაური და ჩალაური...

ბიჭს ეს სიტყვა არაფერს ეუბნებოდა. იყო მხოლოდ პატივისცემა მამის ხსოვნისა, რომელიც, თავის მხრივ, დღითიდღე შორეული და ბინდში ჩაძირული ხდებოდა. ზაზა ღუდუშაური აღარ წუხდა, როცა მათი სახლიდან გოგოების კისკისი, ბიჭების ხორხოცი და უცხოელი მომღერლების წივილ-კივილი გადიოდა. ეს ხმები გამდიოდა ყველა ბინიდან და მეზობლები ერთმანეთს საყვედურს ვერ ეტყოდნენ. ამ ხმებში, შორეული და არარსებული ჩალაური ან მართლა სულ არ არსებობდა, ან ისე ქვემოთ, ისე ღრმა სიბნელეში იძირებოდა, რომ მისი ამოყვანა ვერარა ძალას ვეღარ შეეძლო.

ერთმა მეგობარმა, რომელიც ფერწერას სწავლობდა, დიდის ამბით მოიტანა მოზრდილი ტილო, ქაღალდი შემოაცალა, კედელზე გააკრა და თქვა: „ჩალაური“! მერე დიდედას დაუძახეს, კედლის შორიახლოს გააჩერეს და უთხრეს:

— ეს ჩალაურია, ბებო...

დიდედას თვალები გაუბრწყინდა:

— აბა კარგად დამანახეთ...

სურათის შუაგულში დიდი ყვითელი ფოთოლი ეგდო თუ ეკიდა. გადასწვრივ ფოთლისა მამლის თავი მოჩანდა ცისკენ აღერილი. ზემოთა მარცხენა კუთხეში ობობას ქსელი იყო გადახლართული, ქსელის ძაფები ქვემოთა მარცხენა კუთხეში ჩამოდიოდა. შავი ცის ფონზე ყვითლად ენთო ორი ვარსკვლავი. ქვემოთ მარცხენა კუთხეში ჯამფილა, ხის ჩამჩა და ურმის ტაბიკი ეგდო. ყვითელი ფოთლის უკან ერთადერთი, ვეება, შავი თვალი იმზირებოდა.

დიდედამ შორიდან შეხედა, ახლოსაც მივიდა, კარგა ხანს თვალიერა და თქვა:

— ეს რა ჩალაურია...

მხატვარი დაიბნა.

ბიჭებმა გაიცინეს:

—მხატვრის თვალშია ამგვარი, ბებო...

— ეს ჩალაური არ არი...

დიდედა ოთახიდან გავიდა.

ამის მერე დიდედას იმ ნახატისთვის აღარ შეუხედავს, მაგრამ იმ ჩალაურმა, მხატვარმა რომ დახატა, მაინც თავისი ქნა, დიდედას უფრო გაუმძაფრა ჩალაურისკენ გაჭცევის სურვილი და შვილიშვილმაც საბოლოოდ დაიჯერა, რომ

ეს ჩალაური არ შეიძლებოდა მარტო ცარიელი სიტყვა ყოფილიყო, ჩალაური ნამდვილად არსებობდა...

ამბავი კვლავ შუაღამისას დაიწყო: ზაზა ღუდუშაურმა ჯერ საწოლის ჭრიალი, მერე კი კარის ხმაური გაიგო. ბიჭი იწვა და დაძაბული ელოდა. რაღაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო. ბიჭი ფილოლოგიის სწავლობდა და კომპოზიციის კანონებშიც უკვე საკმაოდ გარკვეულმა, კარგად იცოდა: როცა ერთ სიტყვას ამდენჯერ ახსენებ, არ შეიძლება ამას რაღაც არ მოჰყვეს, რაღაც არ მოხდეს. სიტყვა ერთ ადგილზე გაყინული არ არის. ის ცოცხალია, მოძრაობს, იწყება, ვითარდება, მიდის, ან ისევ ბრუნდება. „ჩალაური“ ასეა. ერთ დღეს ფეხი უნდა აიდგას და მარტო იმასღა არ დასჯერდეს, სიტყვა ვარო. სიტყვა მოქმედებად უნდა იქცეს. ამას ფიქრობდა დაძაბული ზაზა ღუდუშაური, როცა ბებო შემოვიდა, როგორც ამას წითათ, ბიჭის საწოლთან მივიდა, გაფართოებული თვალებით დახედა და უთხრა:

— სუუ... ჩუმად...

ბიჭი შეშფოთდა:

— რა იყო?

— არ გესმის?

— მანქანამ ჩაიარა, ბებო...

— არა, მგლები ყმუიან.

ბიჭი ლოგინიდან გადმოვიდა, თეთრ პერანგში შემოსილ ბებოს ხელი მოჰკიდა და თქვა:

— წამოდი, ბებო, დაწექი.

— შენა გგონია, ვტყუი?

— არა, არა მგონია.

— ვიცი, გულში ამბობ, მოეჩვენაო.

— მოგეჩვენა, ბებო... ძილში წაბავდი და ამ დროს მანქანამ ჩაიქროლა. მანქანა ღმუოდა...

— ეს არ შემეშლება.

— მანქანა იყო... დაწექი და დაიძინე.

— მგლები ყმუოდნენ. ქედზე გადმოდგნენ და ყმუოდნენ.

— დაიძინე, ბებო...

— ამ დროს იციან, შუაღამისას... მთვარეს უჯავრდებიან..

ბიჭმა დიდედა თავის ოთახში ყვანა, დაწოლაში მოეხმარა და დაიჩურჩულა:

— ღამე მშვიდობისა.

დიდედამ სიბნელიდან დაუძახა:

— დაიძინე, ნუ გეშინია, ძალი ვარ, არაფერი მომივა. თუ კიდევ დაიყმუვლებენ, არ შემეშინდება...

— არ დაიყმუვლებენ.

ლელა ღუდუშაური ძილის მოლოდინში მიყუჩდა. ძილი არ მოდიოდა და დიდედას უხაროდა, რადგან ძილში იმ სიზმრისა ეშინოდა, რომელსაც ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ხედავდა და რომელსაც მუდამ ერთნაირი დასასრული ჰქონდა. ამ სიზმარს ვერა და ვეღარ გაექცა ლელა ღუდუშაური და ამანაც გადააწყვეტინა, რომ ბოლოს და ბოლოს სიზმარი ცხადად ექცია, რადგან, მისი რწმენით, ცხადი და უკვე არსებული საშინელება იმდენად აღარა გვრიდა შიშს, როგორც მოლოდინი საშინელებისა. ეს სიზმარი მუდამ ერთნაირი იყო, ერთნაირად იწყებოდა და, რაც მთავარია, ერთნაირად მთავრდებოდა. მცირედენ განსხვავებას ან რაღაცის გადაადგილებას მნიშვნელობა არ ეძლეოდა. ლელა ღუდუშაური ისევ ჩალაურში მიდიოდა, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა და სადაც (ახლა უკვე ღრმად იყო ამაში დარწმუნებული) ბედნიერი იყო. ჩალაურში ყველაფერი ხელუხლებლად ხვდებოდა: იგივე სახლი, იგივე ღობე, იგივე შარა, მაგრამ ყველაფერი ცივი, უცხო და უკარება ჩანდა. ქალი დადიოდა ყორე-ყორე, ეძებდა ნაცნობ სახეებს, ეძებდა იმას, რაც შორიდან ბედნიერებად ჩანდა, მაგრამ ვეღარაფერს პოულობდა. ყველაფერი მტრული ხდებოდა. მერე კი იწყებოდა ის საშინელება რაც დედაკაცს ხმაურით აღვიძებდა და რძალს კი მეორე ოთახში სიბრაზეს ჰგვრიდა: ღამდებოდა (ეს დღამება სიზმრის უცვლელი დასასრული იყო). დადიოდა კარდაკარ დიდედა და კარს არავინ უღებდა. იძახდა და მისი ხმა არავის ესმოდა. სოფე-

ლი მკედარი იყო, ან არსებობდა, მაგრამ ყრუ იყო და ბრმა. ბოლოს დიდედა თავის სახლ-კარს მიადგებოდა. მაგრამ აქაც იმედის საშინელი გაცრუება ელოდა. უფლება არ ჰქონდა ჰიშკარს მისწრლოდა და ეზოში შესულიყო. საკუთარი ჰიშკრის გაღება ეკრძალებოდა. დიდედა იტანჯებოდა. სურდა ეყვირა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოდიოდა, სურდა ეტირა, მაგრამ აღარც ტირილი შეეძლო. ბოლოს ვიღაც უცხო კაცს, ყრუსა და გაბევებულს, ეძახდა და ამ ძახილში ესმოდა შვილ'შვილის ჩუმი ხმა:

— ბებო, ბებო, გაიღვიძე...

ამ დროს ქუჩაში ისევ მიჰკროდა მანქანა.

სხვა მანქანა ღრჭიალით შემოვარდებოდა ეზოში.

მერე გაბმული სიგნალი ისმოდა და ვიღაცა ღრიალებდა ქვემოდან:

—კახა!

კახა ხმას არ სცემდა. კახას ეძინა.

—კახა!

მეთერთმეტე სართულზე კახა ბოლოს და ბოლოს იღვიძებდა.

—ერთი „მალბორო“ გადმოაგდე!

მანქანა მაგნიტოფონისა და საყვირის ღრიანცელით, ღმუილით გარბოდა მიძინებულ ქალაქში.

— რა ამბავია? — კითხულობდა მეორე ოთახიდან დედა.

—არაფერი, —ეძახდა შვილი.

ხო, ამ სახლში აუცილებლად რაიმე უნდა მომხდარიყო. ამბავი, რომელიც კარგა ხანია დაიწყო, ყოველგვარი სიუჟეტური კანონით, თავის განვითარებას და დასრულებას ითხოვდა. ბიჭი ამბავში ბოლოს შეეიდოდა და ამით ყველაფერი დასრულდებოდა. მაგრამ სახლში კვლავ დუმილი იდგა. ღუდუშაურების სახლი ლაპარაკს გადაჩვეულიყო. ის კი არა, ბოლო ხანს ბიჭის მეგობრებიც არ მოსულან. თითქოს ყველა სადღაც გადაიკარგა, ქალაქი დაცარიელდა და ეს სიცარიელე, პირველ ყოვლისა, აქ, ამ ოჯახში შემოიჭრა. ზაზა ღუდუშაური ყველას და ყველაფერს ელოდა, მაგრამ არც არავინ მიდიოდა, არავინ რეკავდა. ზარი კი უნდა დარეკილიყო, როგორც რეკდა წლების მანძილზე. მაშინ ბიჭმა გამოსავალი იპოვა, უფრო სწორად — საქმე, რომელმაც მთლიანად მოიცვა მისი არსება. ეს საქმე დიდედა იყო, ანუ დიდედას თვალთვალი. დიდედა აუცილებლად რაღაცას ჩაიდენდა. ბიჭმა არ იცოდა, რა იქნებოდა ეს „რაღაცა“, მაგრამ აუცილებლად რომ იქნებოდა, ამაში უჭვი არ ეპარებოდა. დიდედას თვალთვალი თავისთავად დიდი საქმე გახდა და დაძაბული ბიჭიც ამ საქმეს ზღვაში გასული ხომალდივით მიეწდო. ხომალდი თავისთავად, ტალღებს თუ ქარს მინდობილი, ბედის ამარად თუ უეალქნდ მიდიოდა და არავინ უწყოდა ხვალ რას უმზადებდა ბედი: რომელ კუნძულს მიადგებოდა, სად გაირიყებოდა ან სულაც სად ჩაიძირებოდა.

ბიჭს ყველაზე უფრო ის გაუკვირდა, რომ გაზაფხულმა მშვიდობიანად ჩაიარა და დიდედა არსად წასულა. წასულა კი არა, სულ კლიტე დაიდო პირზე და ჩალაური ერთხელაც არ უხსენებია. დადგა ზაფხული და უფრო უცნაური რამ მოხდა: დიდედამ მეზობლებში დაიწყო გასვლა.

ბიჭი ახლა იმით დაინტერესდა, მაინც ვისთან შედიოდა დიდედა. სიტყვა „მეზობელი“ თავისთავად არაფერს ამბობდა. „მეზობელი“ მრავალგვარი იყო და ბიჭს სურდა გაეგო, ვის გადაუშალა დიდედამ გული, ვის სთხოვა დახმარება.

ლიზიკო! რა თქმა უნდა, ლიზიკო!..

ლიზიკო ქვემო სართულზე ცხოვრობდა. თავის სიცოცხლეში ერთ დღესაც არ უმუშავებია. ოჯახს ვაჭრობით არჩენდა. არჩენდა კი არა, მის შვილებს მთელ სახლში ყველაზე მოდურად ეცვათ, კიტრსა და პამიდორს კი (ამას უკვე მეზობლები ამბობდნენ) იანვარშიც არ იკლებდნენ. ლიზიკო თაგვს ჰგავდა, მაგრამ სიკეთით სავსე ქალი იყო. უყვარდა, როცა ვინმეს გამოადგებოდა და ზოგჯერ ხმამაღლაც ამბო-

ბდა. მე რომ არ ვიყო, ნეტა ამ სახლს რა ეშველებოდაო. დადიოდა სახლმმართველობაში, გათბობისა და კანალიზაციის ტრესტებში, აღმასკომში და რედაქციებში. ჩხუბობდა, დავობდა, საჩივრებს წერდა და ბოლოს და ბოლოს უმიზეზოდ დაჩაგრულ სამართალს აღადგენდა. სამართალთან ერთად ლიზიკოც ზეიმობდა და მთელი სახლიც. ამიერიდან, ერთი წლის ვადით მაინც, ლიზიკოს ყველაფერი ეპატიებოდა და ამ უფლებით მართლა გვარიანად სარგებლობდა.

რა თქმა უნდა, ლიზიკო...

მერე მოხდა სხვა უცნაური რამ: ბიჭმა დიდედას ხელში თავისი მოჩითული კაბა დაუნახა, რომელიც აქამდე დამარხულივით იდო სკივრში. ბიჭის დანახვაზე დიდედა შეკრთა და კაბა ზურგს უკან ამოიფარა. ალბათ გაპარვა უნდა, — გაიფიქრა ზაზა ღუდუშაურმა და იმ წუთიდან მოსვენება საბოლოოდ დაკარგა.

მაგრამ დიდედას გაპარვა არ უცდია და ზაზა ღუდუშაური ცოტა დამშვიდდა. მერე, როცა დიდედა კვლავ გავიდა მეზობლებში, ბიჭი ჩუმად შევიდა მის ოთახში, გააღო სკივრი, სადაც ის კაბა ეგულებოდა და სახტად დარჩა: კაბა იქ აღარ იყო! გაყიდა... — გაუელვა ზაზა ღუდუშაურს. კვალი, რა თქმა უნდა, ლიზიკოსკენ მიდიოდა.

ქალმა კეთილად მიიღო, გაუღიმა და თქმაც არ დასჭირვებია, თვითონვე დაიწყო ლაპარაკი: ხო, კაბა მომიტანა და რაღაც ბრყყვაილა ყელსაბამიო. ახლა ესეთი რამეები მოდაშია და გამოვართვი, შენ თავს ვფიცავარ და ჩემ ვახტანგის, გაყიდვა არც მიფიქრია, შენთან ვაპირებდი ამოსვლას და თქმასო. ფული კი, შემეცოდა და მივეცი...

ორიოდე დღის მერე ისევ სადღაც გადიოდა დიდედა და ბიჭი ისევ ლიზიკოს მიადგა. ვიცოდი რომ მოხვიდოდი, — თქვა ქალმა, — ნურაფრისა შეგეშინდება, მამაშენის საფლავზე დავდვართ, მეც, ხო იცი ჩემი კეთილი გულის ამბავი, უარს როგორ ვეტყოდი, რა მენაღვლება, სუფთა ჰაერზე გაგასეირნებ აქ რა სამსახურში მავვიანდება, ან რა ძვირი იქ წასვლა გვჯდება, ათი კაპიკი იქით, ათი აქეთო.

ბიჭს ისევ შეეცოდა დიდედა და მიხვდა, რომ ამ კაბის გაყიდვას და სასაფლაოზე სიარულს სხვა, უფრო დიდი რამ უნდა მოჰყოლოდა. და სწორედ ამ „უფრო დიდი რამის“ მოლოდინში გაილია რამდენიმე დღე.

მესამე დღეს ის მხატვარი მოვიდა, ვინც ოდესღაც ჩალაური დახატა და დიდედას კი ვერ მოაწონა. მხატვარს უკვე წვერი მოეშვა, თვალები ჩაღამებოდა და ცოტა უსუფთაოდაც გამოიყურებოდა. ზაზა ღუდუშაურს მხატვრის მისვლა ისე გაეხარდა, როგორც რამ მხსნელისა. მაგრამ მხატვრის მოსვლის მიზანი დიდედას პორტრეტის დახატვა გამოდგა და ამ მიზანმა საგონებელში ჩააგდო ზაზა ღუდუშაური. დიდედა ახლა ყველაფერზე დათანხმდებოდა, მხატვრის წინ ჯდომაზე კი არა და არა!

ზაზა ღუდუშაურმა დიდედას ავადმყოფობა მოიგონა, სტუმარი გაართო, გაეხუმრა, დიდედას ნაცვლად მე დამხატეო და ის იყო მხატვარი მართლა შეუდგა ესკიზების მოხატვას, რომ ოთახში დიდედა შემოვიდა. მხატვარი ცას ეწია. ზაზა ღუდუშაური სკამიდან წამოაგდო და დიდედას ახარა, უნდა დაგხატოო... ნეტა მოგაცლიათ, — თქვა დიდედამ და თავისი ოთახისკენ გაბრუნდა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა და ზაზა ღუდუშაურს ისღა დარჩენოდა, რომ მუსიკა ჩაერთო.

მხატვარი წვადდა და ახლა, სწორედ დაბარებულივით, რეჟისორი მოვიდა. რეჟისორი მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულიყო და თავისი სადიპლომო ფილმისთვის ტიპაჟს ეძებდა: ბოლოს გამახსენდა ბებიაშენი და გავგიჟდიო. მხატვარისა არ იყოს, რეჟისორიც თავისი ფილმის მთელ იმედს დიდედაზე ამყარებდა. ფოტოპაპარატიც თან ჰქონდა და როცა ოთახში შემოვიდა, მაშინვე გააჩხაკუნა. დიდედამ მწყრალად გა-

მოხედა და ამ გამოხედვაში ზაზა ღუდუშაურმა სწორედ ის ამოიკითხა, რაც მართლა ეწერა: ესეც მოცლილი ჩანსო.

ბოლოს და ბოლოს რეჟისორიც წამოდგა, მთელი იმედი კვლავ დიდედას აჭტირულ ნიჭზე დაამყარა და კარი გაიხურა. ოთახში ის სიჩუმე ჩამოდგა, რომელიც ასე აშინებდა ზაზა ღუდუშაურს და რომელიც ისევ მონატრებოდა.

სიჩუმე დიდედამ დაარღვია:

— რა უნდოდათ, შვილო?

— არაფერი, ბებო...

დიდედა უკან გაბრუნებას მაინც არ აპირებდა.

— ჩემზე ხო არ გაბრაზდნენ?

— კარგი ჭალიაო, მითხრეს.

— მომატყუე, მომატყუე...

დიდედა გავიდა, მოლოდინი კი კვლავ გაგრძელდა.

ღუდუშაურების ოჯახი სამ ნაწილად გაიყო: ცალ-ცალკე ოთახში ჩაკეტილი რძალი და დედამთილი... მესამე კი — ბიჭი, რომელიც ამ დაბზარული ოჯახის გამთლიანებას ცდილობდა. მთელი სახლი გეშს ჰგავდა, რომელიც ჩუმად, ტაატით მიდიოდა უცნობ კუნძულთა შორის და ეშინოდა სადმე წყალქვეშა რიფს არ დასჯახებოდა. სახლი ამბის მოლოდინში იყო. ამბავი კარგა ხანია დაწყებულიყო. ეს ამ სახლში ყველამ იცოდა. დარჩენილიყო მხოლოდ ფინალი, რომლის ხმაც აფეთქებასავით უნდა დარხეულიყო. ამ აფეთქების მოლოდინში სახლი დაძაბულ დუმილს შეეპყრო. კედლებს შორის სიცარიელე იდგა და რაღაც განგებით სწორედ ეს სიცარიელეღა ამთლიანებდა აჭაურობას. ამ სიცარიელეში იჯდა სამი ადამიანი და „რაღაც ამბის განვითარებას“ ელოდა ტუსაღივით. სამივენი ამ ამბის მონაწილენი იყვნენ, მაგრამ არც ერთმა არ იცოდა პირველად რომელს ერგებოდა დიდი ხნის წინათ დაწყებული ამბის გაგრძელების პატივი. სამივეს ეშინოდა. სამივე ერთმანეთს უთვალთვალებდა, ერთმანეთისგან ელოდა რაღაც ნაბიჯის გადადგმას და ამ მოლოდინი მეც დიდხანს დღეები. კედლები გვყოფს, მაგრამ შინიც ერთად ვართო, — ფიქრობდა ზაზა ღუდუშაური. — არც ერთმა არ ვიცით, პირველად რომელი გააღებს კარს, ვინ დაარღვევს ამ დუმილს, რომელიც ბოლოს და ბოლოს აუცილებლად უნდა დაირღვესო.

კარი მაინც დიდედამ გააღო, დუმილი დიდედამ დაარღვია: ჯერ რძლის ოთახს მიადგა და ძებნა დაუწყო. რძალი სადღაც წასულიყო და დიდედა იმგვარ სასოწარკვეთილებას მიეცა, თითქოს რძალი აღარასოდეს დაბრუნდებოდა, თითქოს ახლავე, ამ წუთში უნდა გადაწყვეტილიყო ის, რაც ჩაიფიქრა და რაც მოქმედებად უნდა ექცია. მეზობლებთან გავიდა. ისევ მალე მობრუნდა და მაშინვე ისევ რძალს დაუწყო ძებნა. დედა არ ჩანდა. ბიჭმა არ იცოდა სად წასულიყო და არც დიდედას ეკითხებოდა, რად გინდა მაინცადამაინც ამ წუთში, რატომ არ შეგიძლია საღამომდე მოთმენაო. დედის შინ არყოფნა არც ბიჭს უყვარდა. როცა დედა შინ არ იყო, სახლი მართლა ცარიელდებოდა. ბიჭი შინ მოუსვენრად წრიალებდა. ახლა ეს მოუსვენრობა დიდედას გადასდებოდა და ბიჭმა არ იცოდა სად მოეძებნა დედა, რათა ბოლოს და ბოლოს ყველაფერი გარკვეულიყო: დიდედას ეთქვა, რა უნდოდა და საითკენ ისწრაფოდა მისი დაძაბული ფიქრი. დედა კი არ ჩანდა. რეკდა ტელეფონი. ბიჭი იღებდა ყურმილს. დიდედა იდგა და უცდიდა, რძალი ხომ არა რეკავსო. რძალი არ რეკავდა. დიდედა აივანზე გადიოდა და გზას გასცქეროდა. არც გზაზე ჩანდა რძალი და დიდედა ისევ შინ შემოდიოდა. ამგვარ ლოდინში გავიდა დღე, ამგვარ ლოდინში დაღამდა და დედა მაინც არ ჩანდა.

დიდედა კართან იდგა და ფეხს არ იცვლიდა:

— რა მოგვიდა, ბებო?

— არაფერი... თქვა დიდედამ და კარს მოსცილდა. ოთახში შევიდა. მაგ-

რამ იჭაც კართან დადგა და შვილიშვილს ესმოდა, როგორ ოხრავდა დიდედა, როგორ ელოდა ზარის ხმას, რათა ისევ შემოსასვლელში გამოსულიყო და რძლისთვის ის ეთქვა, რის გამოც ალბათ ღამე გაათია და რის გამოც დილიდან დაღამებამდე ელოდა რძალს.

საღამომ ძლივს გაიარა.

შუაღამე წამოვიდა და დედამ კარი შემოაღო.

არავის არაფერი უთქვამს.

დედა ოთახში ჩაიკეტა.

ახლა დიდედა უნდა ამდგარიყო და რძლის ოთახში შესულიყო.

დიდედა არ ჩჩარობდა. თითქოს დაავიწყდა, მთელი დღე რომ რძალს ეძებდაო, მისი ოთახიდან ხმა არაფრისა ისმოდა და ბიჭი დამშვიდდა კიდეც. მთელი დღის ამბავი დიდედას ახირებად ჩათვალა და რადიომიმღებს დაუწყო წვალება. სწორედ მაშინ, რადიომიმღების ხრიალში ადგა დიდედა და რძლის ოთახში ფეხაკრებით შევიდა.

მერე ნანობდა ზაზა ღუდუშაური, რომ ოთახის კართან მივიდა და ის სიტყვები გაიგონა, რაც დიდედამ რძალს უთხრა და რასაც ბიჭი არა და არ ელოდა. ხმამაღლა კი მხოლოდ ის სიტყვები გაისმა. სხვა სიტყვები თითქოს არ თქმულა. სხვა სიტყვები არა ყოფილა.

— შენ უკაცოდ ვერ გასძლებ...

ზაზა ღუდუშაურმა ყურებზე ხელი აიფარა და რადიომიმღებისკენ გაიქცა.

ვიღაც ბიჭი აღმოსავლურ ბაიათს მღეროდა. ხმა თითქოს უდაბნოში ისმოდა, მავედრებელი და ღმერთამდე მისაწვდენი.

მომღერალს ხმა ჩაუწყვიტა და დაძაბული სმენა ისევ დედის ოთახს მიაპყრო.

— იმ წუთში ისევ დიდედას სიტყვები მოისმა:

— რა ვიცი, ჩვენ როგორ გავძელით...

ოთახიდან მეტი ხმა აღარ გამოსულა. ბიჭს კი სურდა, სურდა კი არა, აუცილებელი იყო, რომ დედა აღშფოთებულიყო, კივილით შეეძრა სახლი, ან თუ ეს არა, უბრალო რამე მაინც ეთქვა. ეთქვა, რომ მისი ქმრის ხსოვნას ამგვარი რამ არ ეკადრებოდა, რომ დედამიწაი ერთი უბრირი, შეუსმენარი, ჩალაურიდან ჩამოსული კერპი დედაკაცია და მხოლოდ ჩალაურზე მოლაპარაკე. სხვა არაფერი იცის და არც უნდა რომ გაიგოს. მაგრამ დედა არ აღშფოთებულა. ოთახიდან ყვირილი კი არა, ჩურჩულიც არ გამოდიოდა. ბიჭი იდგა და ელოდა. დუმილს კი არაფერი არღვევდა. ეს დუმილი კი არ იყო მხოლოდ დუმილი. დუმილი გაგრძელება იყო იმისი, რაც უკვე ითქვა. გაგრძელება თუ გაღრმავება... გაღრმავება თუ დადასტურება ჩალაურიდან წამოსული დედაკაცის როყიო სიტყვებისა. ბიჭს თავზარი დაეცა და ერთბაშად მთელი სახლი შეირხა. ახლა სხვა სახლებიც შეირხნენ და ერთმანეთისკენ გადაიწიეს. ქალაქმა მოღრეცილი სახე მიიღო. ფორმადაკარგულ ქუჩებში ფორმადაკარგული სხეულები მიდიოდნენ. მანქანები ღმუოდნენ. თითქოს ყველა ეშურებოდა მალე გასცლოდა ამ გადაქცევამდე გადაღუნულ სახლებს, ამ გადათხრილ ქუჩებსა და ტროტუარებს. კანალიზაციის მილი გახეთქილიყო, ღვარსაშვებებიდან ბინძური სუნი ამოდიოდა, პატარა გოგო პურს მოარბენინებდა. ვიღაც კაცს ჟანგბადის ბალონი მიჰქონდა. სადღაც მიჰქროდა მილიციის მანქანა. მანქანების დაღვლარჭნილ გორგალში სასწრაფო დახმარების სირენები გზას ითხოვდნენ. გაოფლილი ახალგაზრდა ლეიტენანტი ამაოდ იქნევდა კვერთხს და მანქანებს გეზს აძლევდა. ყველაფერი ერთმანეთში აზელილიყო. შეკრულ გორგალს თავსა და ბოლოს ვეღარავინ უპოვიდა. დო- რე- მი- ფა- სოლ- ლა- სი- დო! დო- სი ლა- სოლ- ფა- მი- რე- დო! — ასმოდა მეზობლის გოგონას ხმა. ტელევიზორის ეკრანზე ცნობილი განგსტერი ქალაქის პოლიციის პრეფექტთან საუზმობდა. კახა, გია, მამუკა და აჩიკო სადღაც გარბოდნენ. რეკდა ტელეფონის ზარი.

რეკდა კარის ზარი. ტორტმანებდნენ რვასართულიანი, ათსართულიანი, თოთხმეტსართულიანი სახლები და ერთანეთს მაინც არ ეჯახებოდნენ, ყველანი ერთ ადგილზე იდგნენ, როგორც დგანან ვარსკვლავები და მაინც ყველანი ერთად საიაკენროც გარბოდნენ...

ზაზა ღუდუშაურმა კარი გაიჯახუნა.

კიბეზე დაეშვა.

ქუჩაში გავარდა.

შორეული და არარსებული ჩალაური ბოლოს და ბოლოს ნამდვილი ჩალაური გახდა. სიტყვამ, რომელიც აქამდე ბიჭის თვალში რაღაც შორეულს, უაზროს და უშინაარსოს გამოხატავდა, ერთბაშად აზრი შეიძინა. ჩალაური აღარ იყო მარტო სიტყვა. ჩალაური არსებობდა. და როგორც მამამ უთხრა ერთხელ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ენის ბორძიკით, დამორცხვებით და მორიდებით, ჩალაური მოგონილი აღარ ჩანდა. ჩალაური თურმე მართლა არსებობდა. ჩალაური თურმე ყველაფერი ყოფილა— ხსოვნა, მოგონება, წარსული... რომ ყველას თავისი ჩალაური ჰქონია; რომ ყველანი ჩალაურიდან მოვდივართ და ბოლოს, ფიქრით მაინც აუცილებლად ჩალაურში ვბრუნდებით, და ვიდრე ჩალაური გვეგულება, არაფრისა არ უნდა გვეშინოდეს.

გარშემო ქუჩა ცარიელი იყო.

მარტო ქვემოთ, ჭადრის ბნელში სამი ბიჭი იდგა.

— ნეტავი მცემდნენო, — გაიფიქრა ზაზა ღუდუშაურმა.

თითქოს ხმამაღლა თქვაო, ერთი ბიჭი წამოვიდა და ზაზა ღუდუშაური თავით-ფეხამდე ჩაათვალიერა:

— პაპიროსი მომე, ძმაკაც...

ზაზა ღუდუშაურმა პაპიროსი მისცა.

ბიჭი წავიდა და ახლა მეორე ბიჭი წამოვიდა.

— პაპიროსი გექნება, ძმაკაც...

იმ მეორესაც მისცა პაპიროსი და გაიფიქრა:

— ახლა მესამეც წამოვა.

როცა მესამე მოვიდა, ზაზა ღუდუშაურმა სილა გაარწია.

ბიჭი წაიქცა.

ორნი გაიქცნენ.

სადღაც მილიციელმა სასტვენს ჩაბერა.

ზაზა ღუდუშაურმა თითქოს რაღაც ტვირთი მოიხსნა, ნელი ნაბიჯით წავიდა, კიბე აიარა და თავისი ბინის კარს მიადგა. კარი ისევ ღია იყო.

— არაფერი გაუგიათ... ოთახში შევიდა. ისევ რადიოს წყარო წვალება. ისევ ის ბიჭი მღეროდა, ისევ უდაბნოში და ისევ ღმერთს უხმობდა გახელებული.

რადიო გამორთო და სიჩუმე ჩაჭრო.

დაძინება სცადა.

ვერ დაიძინა.

იწვა და ელოდა.

ლოდინმა დიდხანს არ გასტანა.

ოთახის კარი ფრთხილად შემოაღო დიდედამ.

დიდედას თავისი ჩრელად მოხატული კაბა ეცვა, ის კაბა, რომლითაც ქალაქში ჩამოვიდა. თავზეც მაშინდელი თავშალი ეხურა. ხო, წასვლის დრო სამოსოროდ დამდგარიყო და დიდედამ თქვა:

— ჩალაურში მივდივარ, შვილო... ბიჭი ადგა და დიდედასთან მივიდა.

დიდედამ ტირილი დაიწყო.

ბიჭი მოეხვია:

— დარჩი, ხვალე ერთად წავიდეთ...

დიდედამ ცრემლები მოიწმინდა და მტკიცედ უთხრა:

— არ მიღალატო, იცოდე...

— არ გიღალატებ...

სახლიდან დილაადრიანად გამოვიდნენ. დედა კართან იდგა. არაფერი უთქვამს. ყველაფერი ისედაც გასაგები იყო. „მისტიკურმა ხილვებმა“ ფეხი აიდგეს და ჩალაურის გზას დაადგნენ.

●

„მდინარის პირას გაკრულ სურათზე“ ახლა უკვე ექვსნი არიან:

პირქუში აბრაა მახაური;

ტყიდან გამოვარდნილი გოგო;

შეშინებული ნელი ირხევა. კოშკოზიციას იცვლის, სიცოცხლეს იძენს;

ბოლოს კი ორნი — პირხმელი, მაღალი, დაღარული დიდედა და მისი შვილიშვილი ჭაბუკი ზაზა ღუდუშაური.

— ღმერთო, რა ლამაზია, — ფიქრობს გოგო და ბიჭს გასცქერის.

— გამარჯობათ, — ამბობს ღელა ღუდუშაური და გოგოს თვალწინ ეფარება.

ცოტაც და ის მეშვიდეც უნდა მოვიდეს...

დასასრული იქნება

არ მინდა ამ ლექსს გამოჰყვეს სევდა,
სიხარულისთვის ვწერდი და ვრთავდი...
ვწერდი და ვრთავდი, და მაინც, ვხედავ,
ყოველ სიტყვიდან მოჯონავს დარდი.

მიდიან... დღეებს ოქროცურვილი
შემოვლებია შენზე ოცნება...

კენჭივით ფსკერზე გდია სურვილი
და ჩემი მხრები ლოდინით თბება.

ეს სექტემბერიც გადავა მალე,
ჩამოიღვრება თაფლივით დარდი
და ნაღვლიანი ფერები თვალებს
გაახსენებენ — როგორ უყვარდი...

შენც ამ ბალახივით ამოჯეჯილდები
სულო, სხეულიდან ამოხვალ როცა.
მერე გაზაფხულზე, ყოველ დიდმარხვაში,
ღამე-მთვარიანში იდგები ლოცვად.

მე თუ გამიხსენებ, ანდა სასახლეში
სევდიან ლექსებით მისტუმრებ განა?
გამოვრჩი გაზაფხულს, ყვავილი
დაცვივდა,
აღარც მობიბინე მინდვრები ჩანან.

მკაცრი წლების იარებით
ქალის შუბლი იფარება.
სდუმან ადამიანები
ტკივილი არ იმალება.
გახსენება ჩნდება სიზმრის,
ედარება ელვის ქრთომას.

არსაიდან ხმა არ ისმის,
არც მე ველი ამიტომაც.
ხშირად, როცა მელანდები
ქარს ვუკოცნი ფერმკრთალ ხელებს...
ხშირად ისე მენატრები,
როგორც ადრე, წინათ, მერეც...

მარინა ცვეტაევას გახსენება...

წავიდა ყველა და გაზაფხულმა
ვარდისფერ კაბით ჩაიშრიალა...
ახლა ივლისით ცა დაზაფრულა,
ივლისისფერი მთვარე წრიალებს.

მშვიდობით! როცა აგვისტოს თაღებს
გადაევლება სულის კენაპტრით.
მშვიდობით! შენი დაღლილი სახე
ვერ დავივიწყე დღემდე ვერაფრით.

წავიდა ყველა... ვისაც ოდესღაც
გაღიმებულით ვხვდებოდი სახით...
მე შემიძლია აქ ვიყო დღესაც
მოგონებათა თეთრი ზამბახით.

მშვიდობით! ქარი ალვის კენწეროს
სანთლის ალივით აჰყვება ცამდე...
მშვიდობით, თანაც ჯვარი გეწეროს
აწ და მარადის, უკუნისამდე.

დაემშვიდობე წვიმის სარკეებს

დაემშვიდობე დეკემბრის ბაღებს,
ქარის მანდილებს, სარკეებს წვიმის.
დაემშვიდობე ოცნების თაღებს
და მიაგებე ალერსი ცივი.

დაემშვიდობე ფერმკრთალ ხეივანს,
სადაც ხელკავით დაჰყავდი მთვარეს.
დაემშვიდობე ბებერ ხეიბარს —
ღამეს, უფსკრულის გახელილ თვალებს...

გადაიფრენს ცაზე ჭორი
თავის გზას და საგალს...
მომწყინდება მეც სიშორე
სიზმრივით წაველ.

აღარ გამოვგზავნი შენსკენ
წერილს წითელ ბანტით...

მოგიწონებს ცოლი ლექსებს
და მოგართმევს სადილს...

მერე მშვიდად გაიხსენებ
ცაზე ელვის კრთომას...
სადღაც ქარმა შეისვენა,
გზა განაგრძო ქარმა.

მშვიდია შებინდება...

მშვიდია შებინდება...
სიხარულიც აღარ აწყდება
ჩიტივით ფანჯრებს.
დაისვენეს თვალებმა
ივლისის ღამეებისგან,
მონატრებით რომ ვარვარებდნენ.
აღარც სიზმრებში მოიპარება
მაღალი დღეების ოცნება.

მშვიდია შებინდება...
ტაძრის გუმბათთან
შემომსხდარი მტრედები —
საღამოები, — უშფოთველად
მიიმღოვრებიან...
შვილივით ნალოლიავები
მოლოდინი კი
ჩრდილებად აკრეფილა.
სამყაროს თავისი წარსული არ
აშფოთებს.

მშვიდია შებინდება...
საამბოროდ დახრილი ბაგეებით
მეწყდება წყვდიადი...
და ღამის ბასრი ეკლებიდან
გამომყავს სიზმრები,
რომლებიც ქალწულებივით
თრთიან ჩემი მომაკვდავი
სურვილების მკლავებში.

მშვიდია შებინდება...
ამ დროს ადამიანის სული
გამოჭვაბულის სიცარიელით ივსება
და ღამის ჯადოსნური ფრთებით
იფარება მიწა.
ყველაფრის დასაწყისი —
სიხარული კი
მოკლეს დახრილმა ჭუთუთოებმა.

მშვიდია შებინდება...
იქ მავიწყდება ვინა ვარ,
მავიწყდება ასაკი, რომელიც
რაც წლები გადის
უფრო მძიმდება. მავიწყდება
სიყვარული — მხოლოდ იმისთვის
რომ მიბოძეს — არასდეს მჭონდა!
და შევდივარ უზარმაზარ სიცარიელეში.

მშვიდია შებინდება...
აქ როგორღაც უფრო ვეგუები
იმას, რაც შენთან დარჩა,
და რაც არასდროს, არასდროს
დამიბრუნდება.
აქ უფრო ვაკვირდები სიტყვებს —
სხეულების მნიშვნელობას რომ იძენენ—
და რამდენი სიტყვაც წამომცდება
იმდენი ადამიანია ჩემს სიცარიელეში.

მშვიდია შებინდება...
და ჩემი ეფემერული სარკოფაგიც
ივსება ღრუბლების სიმშვიდით...
დარდის ღრუბელი ყოველთვის
ფარავს სიხარულის ღრუბელს.
ორივე კი მე მმალავენ,
რომ არ გაიგოს სამყარომ
როგორ გაზრდილა მომაკვდავი ფიქრი.

მშვიდია შებინდება...
ჩემი თითები უმოძრაოდ ღელავენ.
მოჩვენებასავით დავფარფატებ:
სიზმრიდან — სიზმრამდე,
სიტყვიდან — სიტყვამდე,
სურვილიდან — სურვილამდე,
სიყვარულიდან — სიყვარულამდე —
სამყაროს კი თავისი წარსული არ
აშფოთებს.

მშვიდია შებინდება...

გაზაფხულის მაცნე*

ჩუ! მოძახილი არის პირველი,
ჩუ! მდუმარეა სხვა მოძახილი,
ელის ბუნება ბრძნული იერით,
ელის ყინვით და თოვლით დაღლილი.

ის ერთადერთი არის ძახილი,
ცაზე ოქროს ფრთებს ისწორებს
მთვარე,
ჰყვავის ენძელა თოვლქვეშ წახრილი
და წამს კვირტები ახელენ თვალებს.

ხეებში ნელა იღვიძებს წყალი,
პატარძალივით ირთვება ხევი,
მაგრამ მამალმა დახუჭა თვალი,
თითქოს საკუთარ სიკვდილზე მღერის.

ეს კარგად იცის და მაინც ბედავს,
რადგან ბუნება ელის მის ძახილს,
იმ მამალივით მეც ერთხელ ნეტავ
ვიყო პირველი და ვიყო ნაღდი.

სალამოთი

დაღლილი და ქანცგაცლილი,
როცა სახლში ვბრუნდები,
აივანზე ვჯდები მშვიდი,
დამცქერს ვარსკვლავთ გუნდები.

თვალი ხარობს ციურთ ჭვრეტით,
სიო შუბლზე მეხება,
მთვარე ლამაზ ზღაპრებს მეტყვის,
რომ უამბეს ვერხვებმა.

გავცქერ ცაზე ვარსკვლავთ ციმციმს,
მიყვარს გორა მაღლივი
და ზეიმობს, როგორც ფიცი,
ჩემი სული დაღლილი.

და ვგრძნობ, ჟამი თეთრად მბარდნის,
ფიქრს მივყვები ისევე,
ვინც არ იცის დაღლის მადლი,
ვერც მოისვენებს.

ვერ იბოგინებს სიცრუე დიდხანს,
ბედნიერება ისხამს ყვავილებს,
სიმართლევ, თუმცა შენ ჩუმად ზიხარ,
წყალობას მაინც უხვად არიგებ.

ერთხელ იქნება, ვიცი, გავქრები,
უძლეველია სიკვდილი თითქოს,
მაგრამ რჩებიან თავად საქმენი,
თავად სიკვდილი სიცოცხლეს ითხოვს.

სიტყვა და საქმე, საქმე და ფიცი,
არა, არ მოდის ქვეყნად თავისით,
რისთვისაც მე დღეს ვწვალობ და
ვიღწვი,
ვიცი, აღმართავს ის ძეგლს ხვალისთვის.

ვერ აღისრულებს სიკვდილი სურვილს,
მე სულ სხვაგვარი მელის ფინალი,
უკვდავი არის პოეტის სული,
ცას რომ ვარსკვლავად შერჩა მღიმარი.

* არის თქმულება, მამალი, რომელიც გაზაფხულს პირველი მიეგებება ყივილით, იმავე გაზაფხულზე კვდება.

საით ვიჩქარო! მივალ გულმშვიდად,
გადავიხადე ერთი ქორწილიც,
იყო ზეიმი გულშიაც, სულშიაც
და თვით კუთვნილზე შევსვი ორწილი.
შევსვი თასები სავსე პირთამდე,
თვით ლამაზმანის ღიმილნარევი,
ო, თუმცა ღვინით ვერ დავთვერი,
მე დავთვერი შენი თვალებით.
ასე გათავდა ის ღამე თეთრი
და ახლა შენზე ვმღერი, თვალებო,
დაჯერებული, რომ მაღლა — ღმერთი
და მე კი დაბლა — ვართ და
ვბრძანებლობთ.

აფხაზურიდან თარგმნა ჯანო ჯანელიძემ

რუსუდან კაიშაური

მე კარგადა ვარ! — მზეს ვეუბნები
დილით ოქროსფერს რომ მიღებს
ჭიშკარს.
სიყვარულისკენ ხვალ შევბრუნდები,
ჩემს გადარჩენას რადგან ეს ნიშნავს.

ვით მუზეუმში, ვირჩევდი დიდხანს
ჩემი ცხოვრების წესსა და კანონს.
ქვეყნად რა ჯობდა — ვერავინ მითხრა
და ჩავლილ წლებზე ვწუხვარ და
ვნანობ.

რა ადვილია სამყაროს წაშლა,
ღამე დაგეფარავს მე და ჩემს აზრებს,
გმადლობ, რომ ღამეს ვერ ვგრძნობდი
შარშან
და ვმათხოვრობდი მხოლოდ დღის
კარზე.
ლუკმა-ჯურს, ოქროს ვუყოფდი
ცოდვილთ,

არ მიუციათ, რაც მათთვის ტაძრებს
და ეწოდება ცხოვრება ლოდინს,
რომელიც მუდამ თავსატეხს მაძლევს.
სადღაც დაკარგულ ნახევარს ვძებნი,
ჩემზე მეტი რომ ექნება ძალა.
ვიდრე დღე-ღამეს ვალმერთებ ნებით
მე ორად ვცოცხლობ — კაცად და
ქალად.

მოკვდა ზამთარი, გულით ვიგლოვე,
მზემაც იტირა ბაღში ქალივით.
ოთხი დრო ჩემთვის გამოვიგონე,
გავერთობი და წყენა გამივლის.
ვთამაშობ მზის და მთვარის სენაკში,
სამყარო ბნელი წუთით ნათდება.
ქვეყანას დღე და ღამე შევარქვი,
გავიადვილე გამოსათქმელად.

ბრძნულია ჩემთვის მისი წესრიგი,
და საიდუმლო, როგორც სამყარო,
მხიარულობენ, ტკივათ ჩემს იქით,
მე მათთვის ბევრი სისხლი დავღვარე.
ათასი დარჩა კიდევ გაროშმო
ჩემზე გამწყრალი, ჩემთვის მლოცველი.
ბედისწერაა, რომ დავამშვენო,
სრულყო ქვეყანა ჩემი ოცნებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მოვწყდი ხეებს, მზისფერად
ქცეულს.
მაღლობის თქმისაც არ მქონდა ნიჭი.
ბალახში ვწევარ ისე, ვით ცელი
და ფოთლის ნიშანს ტანიდან ვიჭრი.
ამიერიდან ყველა მე განმსჯის
ყვავილთა მეფე და მცველი ეკლის,

ვიდრე სხვებს ირგვლივ ავუწყობ
ნაბიჯს
და დავიღლები დღეებთან ცეკვით.
თავს, როგორც ისარს დავუწყებ
ცქერას,
ორად გაყოფილს რწმენით და დარდით,
ხანდახან ვიტყვი — აი, ეს მე ვარ,
აი ეს მე ვარ, უცხო რომ დადის.

გადავიკეცავ ოქროსფერ კალთებს,
ავედევნები მარულას მწვანეს.
სიცოცხლეს თაფლის ბოლო წვეთს
ვართმევ,
დღენი ზაფხულის კოცონზე მწვავენ.
ვიდრე მე ისევ მზის სხივი მქვია,
გავიპარები ცეცხლიდან ველზე.

ყველაფერს ირგვლივ დავუწყებ
ქირდვას,
რომელიც მარად დასასრულს ეძებს.
როს გარდაუვალ სიმშვიდეს იგრძნობს
სული, ცხენივით შებმული ცეცხლში,
კვლავ შემოდგომას ან ზამთარს ვიძმობ
და სასიკვდილო განაჩენს შევცვლი.

ჰმუნვაა ჩემი ახალი საქმე,
მე სიხარულით ვიარე დღემდე.
საღამოს ჩემს თავს მზესავით ვაქროობ,
რომ მივაშუროო სალოცავს შემდეგს.
ვისვენებ, გვერდზე სიკვდილი მიწევს,
ღამეს უსაზღვრო ალერსით ვათევ.
დილით კვლავ სტუმრად ვეწვევი მიწას
და მას მივუძღვნი მზეს —
ოქროს სანთელს.

ცხოვრება ჩემი მარტივი გახდა,
გამოსავალი მსურს ვპოვო საღმე.
წავშლი ხანდახან დღეებს ვით ნახატს
და ღამის უშნო აჩრდილებს დავდევ.
ვერ გავექცევი გაყოფილს ფარდით
მზიან ზეცას და საფლავებს ძვლიანს.
ამ არჩევანში დღე-ღამე გადის,
კიდევ კარგი რომ ერთმანეთს ცვლიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

ვაიმე, ჩემო ვენახო

მოთხრობა

პატივცემულო ბატონო სვიმონ! თქვენხელა პოეტი და საზოგადო მოღვაწე ახლა არცაა ჩვენში; საკაცობრიო და საერო საქმეებზე ფიქრში გიღამგითენდებათ, ვიცი, მაგრამ გავკადნიერდები, წაგართმევთ დროს, დაგაკარგვინებთ ძვირფას წუთებს, ნამეტანი რომ ესაჭიროება გრიგოლ ხანძთელის, შოთა რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, ცოტნე დადიანის, პატარა კახის, სამასი არაგველის, თევდორე მღვდლის, ცხრა ძმა ხერხეულიძეების მშობელ ერს. გემუდარებით სოფლის მეურნეობის ყოფილი მუშაკი, სინდისგარეცხილი ვასო სერგოს-ძე კულონბეგიშვილის მეზობელი, სამართლის მაძიებელი, პატიოსანი მოქალაქე გიორგი რაჟდენის-ძე თაბორიძე.

ვცხოვრობ ხანთაძის ქუჩის ცხრა ნომერ ნახევრად ორსართულიან, ნახევრად სამსართულიან, ეზოიან, კერძო, ერთ სახლში. აღნიშნული სახლის ორსართულიანი ნაწილი აღრინდელი აღრიცხვით ხუთი, გვიანდელი აღრიცხვით ექვსი, ფაქტიური მდგომარეობით ექვსი ოთახი ვასო სერგოს-ძე კულონბეგიშვილის საკუთრებაა, ხოლო სახლის სამსართულიანი ნაწილი (თითო ოთახი თითო სართულზე) მეკუთვნის მე, — გიორგი რაჟდენის-ძე თაბორიძეს. კულონბეგიშვილის კუთვნილ ბინაში ცხოვრობენ: ცოლი მარო მაყაშვილი-კულონბეგოვისა, გაუთხოვარი ქალიშვილები ნორა და ჩიორა, ფიქტიურად ჩაწერილი შვილიშვილი, ვითომ იქ მცხოვრები კახა ბერაძე. ჩემს კუთვნილ სამსართულიან ბინაში (თითო ოთახი თითო სართულზე) ვცხოვრობთ მხოლოდ და მხოლოდ მე, ჩემი მეუღლე თინო მანაგაძე-თაბორიძისა და ქვედა სართულში დროებით (ფართის უფლების გარეშე) შეკედლებული გვყავს რამდენიმე სტუდენტი ანაზღაურებისა და საპასპორტო ზედამხედველობის საერთო წეს-კანონის შესაბამისად.

სახლი (ხანთაძის №9) აღრიცხულია როგორც ერთი ერთეული, ერთ ნახაზში ოთახების ერთიანი გადანომვრითაა აგეგმარებული, აქვს ერთი საკანალიზაციო სისტემა და სამი ფეხისადგილი, ფეხისადგილები განაწილებულია ასეთი თანამიმდევრობით: პირველი ფეხისადგილი მდებარეობს ზედა სართულზე, მეორე ფეხისადგილი მიმდებარე ტერიტორიით (ამჟამად სააბაზანოთი) ძევს ქუჩიდან მეორე, ეზოდან პირველ სართულზე, მესამე ფეხისადგილი კი ეზოდან ოდნავ (ოთხი საფეხურის ჩაგდებით) ქვევით, ქუჩიდან ოდნავ ზევით, ფაქტიურად ეზოშია ჩადგმული. სახლის შუა ნაწილი (ქუჩიდან ზემორე, ზევიდან ქვემორე) ჩემი საცხოვრისის თვალთახედვით მეორე, კულონბეგიშვილის თვალთახედვით პირველი სართულია. ქუჩიდან პირველი კი ეზოდან ქვედაა, ეზოდან ზედა ქუჩიდან მესამეა, რაც იმ უბნის გეომორფოლოგიური ტევტონიკითა და ხანთაძის ქუჩის

არაპროპორციულობით არის გამოირიბებული. ქუჩიდან შუა სართულის, ხოლო ეზოდან პირველი სართულის ფეხისადგილი იურიდიულად (აქვე გირდგენთ სათანადო დოკუმენტს) მეკუთვნოდა და მეკუთვნის მე— გიორგი რაჟდენის-ძე თამარიძეს, ქუჩიდან მესამე, ეზოდან მეორე სართულის ფეხისადგილი იურიდიულად (აქვე გირდგენთ სათანადო დოკუმენტს) მეკუთვნოდა და მეკუთვნის მე— გიორგი რაჟდენის-ძე თამარიძეს, ქუჩიდან მესამე, ეზოდან მეორე სართულის ფეხისადგილი კი ჩემი, ჩემი მეუღლის, სერგო კულონბეგაშვილის და შესაბამისად (ფიქტიურად ჩაწერილი შვილიშვილის ჩათვლით) ოჯახის დანარჩენი წევრების საზიარო საკუთრებას წარმოადგენდა. ოთხი საფეხურის ჩაგდებით ეზოდან ოდნავ ქვევით და ქუჩიდან ოდნავ ზევით მდებარე ქვედარე ფეხისადგილი იყო საერთო და დარჩა კიდეცაც კოლექტიურ სარგებლობაში.

ხანთაძის ქუჩაზე მდებარე სახლი ნომერი ცხრა თავის დროზე შეუძენია ვინმე პოლკოვნიკ კობიევს, რომლის გარდაცვალების შემდგომ კობიევის ქვრივს— ერმოლინსკაიას იგი მიუსხვისებია ქუთაისი ქირთავასათვის. ომის დაწყებიდან რამდენიმე თვით ადრე სახლის ორსართულიანი ნაწილი ქუთაისის ძემ ნორმანი ქირთავამ მიყიდა კულონბეგაშვილს, ხოლო ომის დამთავრების შემდგომ ნორმანის ძემ—ვალტერ ქირთავამ სახლის სამსართულიანი ნაწილი დამხმარე სათავსოებით, მდგმურებით შუა სართულზე, ნახევარი ეზოთი და ფეხისადგილებით მომყიდა მე. მდგმურების (ცოლ-ქმრის), კობზიანიძეების გარდაცვალების შემდგომ გათავისუფლდა შუა სართული და ფეხისადგილი მიმდებარე მცირე ფართობით. აღვირახსნილმა კულონბეგაშვილმა, იმ საბაბით, რომ გამოთავისუფლებული დამხმარე ფართი ჩემს ტერიტორიაზეა, ხოლო ფეხისადგილის ფეხის ქირას კობზიანიძეები მიხდიდნენ მეო, ცრუ მოწმეებისა და ყალბი საბუთების მოშველიებით მიისაკუთრა ჩემი მდგმურების, უფრო სწორად, ჩემი კუთვნილი ფეხისადგილი, გადააკეთა და რაღაც გაურკვეველი მინაშენის სამაგიეროდ გამოიწყო მშვენიერი საბაზანო. ზედა, ქუჩიდან მესამე, ეზოდან მეორე სართულის ფეხისადგილის დაადო ბოქლომი და ამიკრძალა შიგ შესვლა, ხოლო ქვედა დაიტოვა ზიარად. ასე ამრიგად, პატ. ბატ. სვიმონ, სამიდან ერთი ჩემი იყო საკუთრად, ერთის მენახევრე გაწლდით და მესამეს საზიაროდ ვიყოფდი. აღვირახსნილმა კულონბეგაშვილმა წამართვა საკუთარი, წამართვა საზიარო და საზიაროდ მიისაკუთრა საზიარო. დამტოვა ფაქტიურად უფეხისადგილოდ. დამმცირა, აბუჩად ამიგდო. გარდა ამისა, მოთარეშე კულონბეგაშვილმა მოითვისა ჩემი სათავსო, ეგრეთ წოდებული სარაია (4 კვ. მეტ.), გააფართოვა შუშაბანდი შუა სართულზე (ეზოდან პირველზე), შემოვიწროვა კიბესთან მისასვლელი საცალფეხო ბილიკი, დამიპატარავა ისედაც პატარა ეზო და გადმიგდო ფეხის საწმენდი ტილო საერთო კიბის ზედა ბაქნიდან.

დიდად პატივცემულო ბატონო სვიმონ, საქართველოს სასიქადულო, უმაღლესო საზოგადო მოღვაწეო და პოეტო, უსამართლობით დაჩაგრული, გაცამტვერებული, მარტოხელა მებრძოლი ადამიანი საჭიროებს თქვენს მორალურ და სამხრივ შემწეობას. მეორე ათეული წელი იწურება, პატ. ბატ. სვიმონ, სამართლიანობისათვის ომში. დამეხმარეთ კანონიერების აღდგენაში, პრინციპისათვის ბრძოლაში, საერთო კიბის თავზე ფეხის საწმენდი ტილოს გაფენაში, ფეხისადგილების ხელახლა გადანაწილებაში. გაითვალისწინეთ, რომ ამ ბრძოლაში ჩამოვშორდი სოფლის მეურნეობას, სასურსათო პროგრამისათვის დამკვრელური შრომის მეტად საჭირო უბანს, მთელი ჩემი დიდი ხნის ჯაფითა და შრომით მოპოვებული დანაზოგი მივალიე სასამართლოებს, სხვადასხვა, ზემდგომ და ქვემდგომ ინსტანციებს. პენსიას მთლიანად და ქვედა სართულის ბინის ქირას ნაწილობრივ ვახმარ განცხადებებს დატელეგრა-

რეზო ჭეიშვილი
ვაიმე, ჩემო ვენახო

მებს, სხვადასხვა ინსტანციებში, მათ შორის გაერთიანებულ ერებსა და მსოფლიო მშვიდობის საბჭოში გაგზავნილი ტელეგრამების სიტყვების საერთო რაოდენობამ სამიცი ათასს გადააჭარბა. პატ. ბატ. სვიმონ, ვსაუბრობ თქვენს გადაუდებელ დახმარებას, თქვენს გავლენას და უზარმაზარ ავტორიტეტს, რამეთუ აღმასრულებელი ორგანოების დადგენილებები, გადაწყვეტილებები შუქს ვერ ფენენ ჭეშმარიტებას. საქმის ნამდვილ არსს. აღვირახსნილი კულონბეგაშვილი, ორგანოს ყოფილი მუშაკი, ამჟამად საპარფიუმერიო გაერთიანების რომელიღაც ქვეგანყოფილების მმართველი და მისი ხელისშემწყობნი, ანუ დამჭაშნი დაცინიან, აბუჩად იგდებენ საბჭოთა კანონებს, ლაფში სვრიან უმწიკვლო პასუხისმგებელი მუშაკების სახელებს, ავიწროვებენ, აშკარად ჩაგრავენ პატიოსან მოქალაქეებს; დღისით, მზისით თავის ნებაზე დათარეშობენ თ. მეფის, დ. აღმაშენებლის, ე. კახის, მღ. თევდორის, 300 არაგველის, 9 მძა ხერხეულიძეთა სამშობლოში. ვასო კულონბეგაშვილის ხელისშემწყობნი ამტკიცებენ: აღნიშნული ფეხისადგილები კულონბეგაშვილის ბინის დღევანდელ ტერიტორიაზე მდებარეობენ და ამიტომ კულონბეგაშვილის საკუთრებასვე წარმოადგენენ. თითქოს კულონბეგაშვილის სახლი იყოს სხვა, ჩემი სამსართულიანი (თითო ოთახი თითო სართულზე) სახლი იყოს სხვა. სახლი ხანთაძის ქუჩაზე თავის დროზე ეკუთვნოდა პოლკოვნიკ კობიევს, გარდაცვლილი პოლკოვნიკის ქვრივმა— ერმოლინსკაიამ სახლი მთლიანად მიყიდა ვიწმე ქუთარი ქირთავას. ქუთარის შვილმა ნორმანი ქირთავამ ქუთარის გარდაცვალებისთანავე ერთი ნაწილი თავადვე გაყიდა, ხოლო მეორე ნაწილი გაასაღა მისმა შვილმა ამჟამად გალში, პოლარულ გზატკეცილზე მაცხოვრებელმა ვალტერ ქართავამ. იქიდან გამომდინარე, რომ სახლი ნაწილ-ნაწილ გაყიდეს და დამოუკიდებლად შეჯამეს მამამ და შვილმა ქირთავებმა, არ იმოქმედა საბაბს იმისა, რომ ერთიანი ორია. მთელის ნახევარი მეორე ნახევრის ტოლფარდს და რეალური მთელის ერთ ნაწილს არ შეადგენდეს თითქოს. ამტკიცებენ: სამსართულიანი (თითო ოთახი თითო სართულზე) სახლი მიდგმულია ორსართულიან საცხოვრებელზეო. როგორ შეიძლება, პატ. ბატ. სვიმონ, სახლი იყოს მიდგმული სახლზე. მიდგმა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ საგნისა საგანზე, რომელიც გადაადგილებას ექვემდებარება. შეიძლება სკამი მივადგათ მაგიდას ან ტახტი კედელს, საწოლი მივადგათ საწოლს, კიბე მივაყუდოთ სახურავს და ასე შემდეგ. სახლი სახლს არ ედგმება, სახლი სახლს აშენდება და მთლიანდება. რის გამოდგმაც არ შეიძლება, იმის არც მიდგმა შეიძლება. ხანთაძის № 9 სახლი გატარებულია ტეხნივენტარიზაციის ბიუროში ერთ საცხოვრებლად, აქვს ერთი გეგმა-ნახაზი, ერთი მისამართი, ერთი ეზო, ერთი ელგაყვანილობა, ერთი ჰიშარი, ერთი შემოსასვლელი, ერთი საკანალიზაციო სისტემა და ოთახების რაოდენობის აღმნუსხველი ერთი ნუმერაცია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახლის ერთიანობას ამჟამად ამოკლილი საზიარო კედლის კარებებიც ადასტურებს. რა გამოდის, პატ. ბატ. სვიმონ, ორი დამოუკიდებელი სახლი ერთმანეთს უკავშირდებოდა განის კარებებით? ერთი დამოუკიდებელი სახლიდან შედიოდნენ მეორე დამოუკიდებელ სახლში და მეორე დამოუკიდებელი სახლიდან გამოდიოდნენ პირველ დამოუკიდებელ სახლში?

დიდად პატივცემულო, ბატონო სვიმონ, უმორჩილესად გთხოვთ, გაეცნოთ განცხადებას თანდართული საქმისა და დოკუმენტების ასლებს, სათანადო შეხედულების შემუშავებისა და ობიექტის ადგილობრივი დათვალიერების შემდგომ გაკეთოთ სათანადო დასკვნა დამნაშავე პირების (იქნებ მე ვარ ასეთი) გამოვლენისა და პრესის საშუალე-

ბით სააშკარაოზე გამომზეურების მიზნით.

●

ცხონებულმა ბაბუა ქუთარიმ, მამის სახელი არ მახსოვს, რისთვისაც ვიხდი ბოდიშს, სახლი იყიდა პოლკოვნიკ კობეევის ქვრივისაგან ქ. თბილისში, საქართველოს სსრ. ხანთაძის ქ. №9. ომის დაწყებას აღარაფერი აკლდა, როცა ბაბუა ქუთარი გარდაიცვალა და ცხონებულმა მამაჩემმა სახლის ერთი მხარე, ექვსი ოთახი სათავსოებით, მიყიდა კულონბეგიშვილს, ვასო სერგოსძეს. ნაწილი ამ თანხისა საწყალმა ნორმანიმ წააგო ნარდში, ნაწილი ქუთარის დამარხვას, ნაწილი კი ჩვენ მოგვახმარა ომისა და საყოველთაო სიღატაკის დროს. სახლის მეორე მხარეზე, სამსართულიან (თითო ოთახი თითო სართულზე) ნაწილში დამხმარე სათავსოებითა და მდგმურებით, დავრჩით ჩვენ, ვსარგებლობდით რა ზედა სართულის ფეხისადგილით, საერთო აივნით, საერთო შემოსასვლელით და ფეხის საწმენდი საკუთარი ტილოთი. საკუთრივ გვეჭირა, უფრო სწორად, ჩვენს მდგმურებს კობზიანიძეებს (ქმარი ეკონომისტი) ეჭირათ ქვედა ფეხისადგილი მიმდებარე სათავსოთი და ბუხრითურთ, სადაც ადრე პოლკოვნიკ კობეევს სამზარეულო ჰქონია. ჩემს მახსოვრობაში შეშის სინაკულოს გამო (მოგეხსენებათ, ომი იყო), კობზიანიძეები ბუხარს აღარ ახურებდნენ და სამზარეულოს სახარახურედ იყენებდნენ.

ნეტარხსენებული ნორმანის გარდაცვალებისთანავე სამსართულიანი სახლი (თითო ოთახი თითო სართულზე) სათავსოებით, მდგმურებით, ზიარი ფეხისადგილით ზედა სართულზე, საკუთარი ფეხისადგილით ქვედა სართულზე, ბუხრით, მიმდებარე სახარახურით და სარაიით მივყიდე (ნასყიდობის სიგელი №12604) გიორგი რაჟდენის-ძე თაბორიძეს. ამ თორმეტიოდე წლის წინ ერთმანეთის მიყოლებით გარდაცვლილან ჩემი ყოფილი და თანამედროვე რიძის კუთვნილი მდგმურები კობზიანიძეები (ქმარი ეკონომისტი) და მათი საცხოვრებელი შუა სართული დარჩენია მის კანონიერ პატრონს— თაბორიძეს, რომელსაც ასევე უნდა დარჩენოდა კობზიანიძეების დროებით გამგებლობაში მყოფი უძრავი ქონება, კერძოდ: ოთახი, ფეხისადგილი სათავსოთი, სადაც პოლკოვნიკ კობეევს სამზარეულო ჰქონია (მე არ მოვსწრებივარ), და ბუხარი ხარახურის გარეშე, რასაც ვადასტურებ შრომის ვეტერანი, ამჟამად პენსიონერი, მცნოვრები გალში, პოლარულ გზატკეცილზე, ვალტერი ნორმანის-ძე ქირთავა.

●

ოდა სახლიდან ჩოჩქოლით გამოიყვანეს მიცვალებული და უსწორმასწორო ეზოში არეგებულ-ჩარიგებული ხალხის თვალწინ დასვენეს გაუკრეფავი ხურმის ქვეშ.

— რას შვებით? — იკითხა თაბორიძემ.

— წესია, ბატონო, ასეთი! — აუხსნა მაღალმა კაცმა, გაბუნებული, მოკლე პალტო და სრული ჩექმები რომ ეცვა; ძირსდაუხედავად მოლაყუნებდა აყაღოთი მოლიპულ ბრუნდ მიწაზე, დიდი ჯიბეებით მოაჩხარუნებდა სამარილეებს და ცალ მუხლში იკეცებოდა შეუმჩნევლად.

„სადაური წესია, ნეტავი?!“

მოქუფრული დღე იყო. წყლით გაჯირჯვულ სქელ ღრუბლებს თქორში და ნისლში გაეხვია გორები, იზაბელას ფოთოლმიღნობილი ლერწებით დახლართული თხმელისა და გაუკრეფავი ხურმის ხეები.

—მიტინგს გახსნილად ვაცხადებ!— გარკვევით თქვა ვიღაცამ.

„რა მიტინგს?!“

სიტყვა მოითხოვა წვრმოსადგემა მამაკაცმა,— ზოგადი ნიშნებისდამიხედ-

რეზო ჭეიშვილი
ვაიმე, ჩემო ვენახო

ვით ამ რაიონიდან წასულმა და გაქალაქებულმა პირმა. ცას ახედა, საწვიმარი გაიძრო, გადაიკიდა მკლავზე და ზოლებიანი მატერიის კოსტუმში დარჩენილმა ჩაახველა რამდენჯერმე. თაბორიძე მიცვალებული დედის დაბებედან წასულ ხელებს დააჩერდა და მზერა გადაიტანა ცრემლჩამდენილ ცაზე, რომელსაც სასიკეთო პირი არ უჩანდა, თუმცა უცბად გაავების ნიშნებიც არ ეტყობოდა.

„არ მოწვიმოს მაინც!“

ორატორი მიცვალებულის ღირსებადამსახურებას შრომისმოყვარეობაში, შვილების აღზრდასა და ძირითადად სიცოცხლის ხანგრძლივობაში ხედავდა. ამდენი ხანი მოათია, მართალია (იქამდე ვიცოცხლოთ ჩვენ ყველამ), მაგრამ სიმწარეც ბევრი ნახაო, სიცოცხლე ძირტკბილაო, ქვევით თაფლია, ზევით პირშუშაო, მაგრამ მთავარია, ელისაბედივით ლამაზად ვიცხოვროთ, ღვთით ბოძებული დრო სიმშვიდეში გავატაროთო.

„ვინ არი, ნეტავი?“

დასაფლავებისასაც არ გაწვიმებულა. ფარფატით ჩაუშვეს თითქოს ცარიელი კუბო სამარეში. თაბორიძემ დაკვირვებით ჩაიხედა ქვევით და ერთი მუჭა ფხვიერი მიწა დააყარა კუბოს, დაიხია, ჩამოცდა ნაყარ ბორცვს და ხუჭუჭმიან კაცს დაადგა ფეხი ფეხზე, არაუშავსო, ღიმილით უთხრა ხუჭუჭმიანმა, სანამ თაბორიძე ბოდიშის მოხდას მოასწრებდა. თაბორიძემ მკლავში ხელი მოკიდა დაზარალებულს, ღიმილით მიაჩერდა სახეში, მაგრამ არაფერი უთქვამს; შეისან დებს, ხელკავით რომ მიყავდათ უკან, გააყოლა თვალი, მოულოდნელად შეტრიალდა და მარტო წავიდა. ალაგ გავერანებულ, ალაგ დაგვილ-დასუფთავებულ საფლავებს ჩაუარა, ჩაჟანგულ გალავნებსა და ბირკვამოდებულ, ნარეცხლებგადარებულ ნაბილიკარს გაყვა.

— გიორგი!.. — ღრმად ამოისუნთქა ვიღაცამ სულ ახლო.

ცოლი მოყვებოდა თურმე უკან. გალუმპულ ბირკვებში, ნარეცხლებში მობორძიკობდა გაშლილი ქოლგა. საფლავებსა და საფლავებსშუა მაქოსავით მოძრომიალე ქმარს მიჩერებოდა საყვედურიანი მზერით, ხომ ხედავ, ვერ მოვდივარო.

„...წასულიყო იქით, საითაც სხვები წავიდნენ, რას მობოდიალობს ამ უგზოზე. რატომა აქვს ქოლგა გაშლილი?.. ხომ ხედავს, არ წვიმს. იცის, არ წვიმს, ხედავს, არ წვიმს, ქოლგა მაინც გაშლილი უჭირავს, რად უნდა გაშლილი ქოლგა, როცა არ წვიმს, რომ წვიმდეს, კი, მაგრამ არ წვიმს. როცა წვიმს, გასაგებია... როცა არ წვიმს?!“

ზოლებიან კოსტუმში გამოწყობილი კაცი სეფაშიაც საპატიო ადგილზე იჯდა. წკიპად, თუმცა გაუჩერებლივ ჭამდა. თამადას რომ უსმენდა უგულისყუროდ, მაშინაც ტუჩებს აცმაცუნებდა. მექელეხეთა ყურადღებას გრძნობდა და თამადის სიტყვებზე აქნევდა თავს დასტურისა და თანხმობის ნიშნად; ლაპარაკით კი აღარ ლაპარაკობდა, თითქოს იმ მიტინგის მონაწილეს ხმის ამოღების თავი აღარ უნდა ჰქონებოდა წესით.

უკანასკნელმა მობინადრემ დატოვა ეს კარმიდამო და აწი აქეთ მომბრუნებელი აღარაა არავინო, ამბობდა თამადა.

—სამაგიეროდ ორმოცს აქ გადავიხდით... —თქვა შავი ნაჭრით შუბლშეკრულმა ანუსი თაბორიძემ, თავდახრილი რომ დასცქეროდა ჯამს და დანის წვერით ქიშმიშს ბრინჯისაგან ანცალკევებდა მისდაუნებურად. — საწყალი დედა აღარაა და ვის უნდა აქუარობა, მე ფეხზე ვეღარ ვდგები, ჩემი დაც აღარაა ამქვეყნად, ესაა და (ძმისკენ გაიხედა) ასეა... ჩემს შვილებს კიდევ ჯოხით ვეღარ ჩამორეკავ, ძალიან რომ მოინდომო...

—ასეა... —დაასკვნა ვიღაცამ.

თაბორიძე დუმდა, თქორში და ნისლში გახვეულ შებინდულ გორებს. გაცრიატებულ ჰაერში წითლად გამოჭიატებულ ხურმის ხეებს შეჰყურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსმენდა უკვე ამ კარ-მიდამოს მფლობელ მეპატრონეს, გახუნებული, ოდესღაც ლურჯი ფერის, მოკლე პალტოთი რომ იყოდა სუფრასთან. დავარღვევ ამასო, ამბობდა მეპატრონე სვენებ-სვენებით, თამბაქოს ბოლით ამომწვარ ხორხში გუდავდა მაოლ ხმას, კარ-ფანჯრებად და ლამფა-პოლად მეყოფა ან არ მეყოფა, რაც დროებით აგებულ შესაწვიმებელ ქოხს გადარჩებაო. ბლოკი და არმატურა ამოტანილი მაქვს და ამ გაზაფხულზე, თუ მშვიდობა იქნა, წამოვიწყებ კიდევაც ნამდვილ სახლსო.

თბორიძე თავქვეშ ხელებამოდებული იწვა ჩაბნელებულ პატარა ოთახში. არ ეძინა შეზარხოშებულს. წვიმის ხმას, ზალაში და ტალახით მოსცრილ აივანზე მოფუსფუსე ქალების ყაყანს უგდებდა ყურს. წვიმდა უკვე გაბმულად. ოჯახთოში წყალი წვეთავდა მძიმედ. ქალების ხმა და წვეთვა ერთმანეთში არ ირეოდა. ერთი ერთი მხრიდან მოდიოდა, მეორე—მეორე მხრიდან. „ახლა მესმის, წვიმს და გაშლილი კოლგოთაც შეიძლება სიარული; თუ წვიმს კი, მარა თუ არ წვიმს!“ უკანასკნელად თვეზედ აღმათ აქ ღამეს დიდი ხნის უკან ამ სოფლიდან წასული თაბორიძე. წაბლის ხის გაცრეცილი ტიხრის გაგლუვებულ გამირს უთათუნებდა ხელს და ხის სითბოს გრძნობდა. ამ სახლიდან წავიდა ომში ორმოცდასამი წლის წინ. ელოდა დედა, დამიბრუნდებაო, ფიქრობდა. წერილი არ მოსდიოდა, ამბავი არავის ჩამოჰქონდა და იმედს მაინც არ კარგავდა. ხანდახან სასოება ელეოდა და გულდაწურული ტიროდა, სადა ხარ, ჩემო მოსწრება ბიჭოო. მზესუმზირის ქვეშ. გრილ, შავ მიწაზე იწვა მისი შვილი მთვარიან ღამეში. ტაპორიძე, ქომმ მით, გეენ ვარ, ქომმ მით. ქომმ მით. ტაპორიძე, ვო ბისტ დუ დენ. ტაპორიძე, ქომმ მით, ვრშისენ დიპ, ტაპორიძე! ნაჩქარევად შეგროვილი ალალით ტოვებდნენ ხუტორს, ხრიალ-ხრიალით მიჰქრობდნენ მოტოციკლები და სპარგო მანქანები დასავლეთისაკენ. ჯაბიანი მინდორებიდან შორს. რაიონის ცენტრში დაშვილიშვილებულმა დებმა დედის სამკვიდრო ცხლეშივე გაყიდეს სახლი, აიღეს ბე და კარგა ხანს ელოდნენ დარჩენილ თანხას. ას წელს მიღწეული, ოთხად გაკეცილი დედაბერი ისევ დახახხალებდა იმ ბარობაზე და არ იცოდა. სახლი თუ გაყიდული ჰქონდათ შვილებს. „საწყალი დედა, როგორი დაიბედებული ხელები ჩაჰყვა სამარეში, დედის სურნელი ადის აქ ისევ ყველაფერს, თუნდაც ამ ტახტს, ამ ქვეშაგებს, ამ კედელს... ორმოცამდე დაიცდის ალბათ ის კაცი. შემდეგ სახლს დაარღვევს, ცხადია, ბლოკის შენობის კარ-ფანჯრებად და ლამფა-პოლად (თუ ეყო) დახერხავს, გადარჩენილ ნაგვერდულებს ნალიის და ფეხისადგილის ფიცრად გამოიყენებს...“

...დაშლის და დაარღვევს... ყველაფერსა აქვს დასასრული, ყველაფერი ირღვევა და იშლება ბოლოს და ბოლოს... ფერფლად და ნაცრად იქცევა და იფანტება სამყაროს უსმენარ ქარში ყოველივე.

დიდად პატივცემულო, ბატონო სვიმონ, ვიცი, გაწუხებთ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. ხელმეორედ მოგმართავთ აღვირახსნილი კულონბეგიშვილის მეზობელი, სოფლის მეურნეობის ყოფილი მუშაკი გიორგი რაჟდენის-ძე თაბორიძე. ადრე გწერდით და მოგახსენებდით, როგორ მიიტაცა სინდისგარეცილმა კულონბეგიშვილმა ვასო სერგოს-ძემ ჩემი კუთვნილი ფეხისადგილები, როგორ გადამიგდო ფეხის საწმენდი ტომარა, როგორ ამიგდო აბუჩად, როგორ გამომწარა სიცოცხლე. გატყობინებდით, როგორ ითელებოდა და თელება ითელა წლების განმავლობაში კანონები, ადამიანის იურიდიულ-მორალური უფლებები ხანძთე-

რეზო ჭეიშვილი
ვაიმე, რემო ვენაო

ლის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, პატარა ერეკლეს, ცხრა ძმა ხერხეულიძეთა და სამას არაგველთა ქვეყანაში. ბატ. ბატ. სვიმონ, თქვენგან არც პასუხი მიმიღია, არც შეტყობინება. შეიძლება იმის გამოც, რომ ასაკგადაცილებული დედის დამარხვასთან დაკავშირებით ეს დღეები თბილისში არ გახლდით...

ჭიშკარმა გაიჭრიალა. ძალიან ნელა გაიღო და მიიხურა ვიღაცის ზურგსუკან კუტი კარი. ამ ეზოს ბინადარნი ამნაირად არ აღებდნენ და არ ხურავდნენ ჭიშკრის კუტ კარს. უცნო ადამიანის მოზომილი ნაბიჯების ხმა ამოდიოდა კიბიდან აივანზე. თაბორიძემ სათვალე მოიხსნა. წერას თავი მიანება, წამოდგა და ფანჯარას მიადგა. სტუმარმა კიბე ამოათავა ამასობაში, ყავისფრად შეღებილ სვეტთან და ბირკვილთან გაჩერდა, მიაჩერდა ფანჯარას, რომლის შუშაზეც მწვანედ არეკლილი დაღარული სახე, ჟღალი, ჯაგარა ჭოჭორი და ჯიუტი, თმისფერი თვალები დაინახა. სიძველისაგან სიყვითლეშეპარულ თეთრ ფარდაზე და ბობრ სახეზე ასხლტილი, აცისკროვნებული ჯაობისფერი შუქი კაცის გამოსახულებას აორმაგებდა და მოსული, რომელსაც ჩალისფერი სწვივიმარიდან ზოლებიანი კოსტუმი მოუჩანდა, გარკვევით ხედავდა კაცსაც და ლანდსაც. ცოტა ხანი იჯვნეული მზერით უყურებდნენ ერთმანეთს. ალბათ ის არიო, გაიფიქრა ბოლოს თაბორიძემ, სათვალე ჯანგისფერი პიჟამოს ჯიბეში შეინახა, შეინძრა და გამოსახულებაც გამოლიანდა შუშაზე. ეს იქნებაო, დაასკვნა მოსულმაც და აივანზე გამოსულ მასპინძელს შეეგება. თაბორიძემ ხელი ჩამოართვა, შეაყოვნა, გაიბრუნა. მიიყვანა ტიხართან და უთხრა: აი, აქ მედო ფეხის საწმენდი ტილო, რომელიც შემდეგ კულონბეგიშვილმა გადამიგდო.

—ვინ გადაგიგდოთ?

—კულონბეგიშვილმა ვასომ, შეიძლება რომელიმე ქალიშვილთაგანმაც, არ იკადრებდნენ, მე თქვენ გეტყვით... მიგდებენ იმ სიბაბით, რატომ შენს ტილოზე არ დებო. ჩემი ფანტიკები იქიდან შემოვდივარ, იქიდან შემოხვედით თქვენც. სხვა შემოსასვლელი ამ ბინას არა აქვს და ტილო ცოტა იქით გაჩოჩდება თუ აქეთ გამოჩოჩდება, რა მნიშვნელობა აქვს, თოკით ვერ დავამაგრებ, ვიღაცასი არ იყოს... აქ იყოფა ჩვენი გზები, ეს საზღვარია, ეს ჩემი კარია, წინ ადგილიც არაა დარჩენილი, გვერდზე ნუ დებო, სად წვიღო?.. შიგ დადევიო. ტილო, პატივცემულო, კარის წინ უნდა იდოს თუ კარის უკან, მითხარით... ფეხს ვიწმენდთ შემოსვლისას და არა გასვლისას. გასვლისას რომ ვიწმენდდეთ, ასეც ხდება ხანდახან ალბათ, მაშინ აქეთ დავდებდი. ასეც შეიძლება, კაცმა რომ თქვას, მაგრამ რატომ უნდა გავატანინო კულონბეგიშვილს თავისი, თავი რატომ უნდა ავაგდებინო, მითხარით, პრინციპის საკითხია, სხვა თუ არაფერი. აი, ეს არის, ჩემო ბატონო, ის სადაო ფეხისადგილი.

—რა არის?

— სადაო... თქვენ აქ პირველად ხართ?

—სამწუხაროდ, პირველად... ეს არი, არა? — მოსულმა თვალი დაადგა საყარაულო ჯიხურივით გამორჩეულ ნაგებობას და ეტყობოდა, ვერაფრით დაინჯრა (მართლაც ძნელი დასაჯერებელი ჩანდა), რომ ეს იყო ფეხისადგილი და ისიც სადაო. არ ეტყობაო, თქვა კიდეც, თუ ამდაგვარი დაწუსებულებაა შიგო. მართალი ბრძანდებით სავსებითო, დაეთანხმა მასპინძელი, თუმცა კარგად ვერ გიგო, რა დაწესებულებაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი.

—...სადაო, ახლა თქვენ ისე არ გიგოთ, თითქოს შიგ ვზივართ და ვდაობთ ყოველდღე... უბრალოდ, არ მიშვებს.

—სად არ გიშვებთ?— სულ დაიბნა მოსული.

—შიგ. —მოკლედ უპასუხა თაბორიძემ.

—აბა რას შვრებით? —შეწუხდა და უიმედოდ მოათვალიერა იქაურობა.

ქართული ლიტერატურა

—არის კიდევ ქვევით ამდაგვარი, თქვენ რომ ბრძანეთ, დაწესებულება, რომელიც ამჟამად კულონბეგიშვილის მიერაა კონფისცირებული, იმას ქვევით კიდევ არის საზიარო და გაყიდვართ რაღაცნაირად, ამჟამად ამაზე არცაა ლაპარაკი. ეს ფეხისადგილი, ცოტა ხნით კიდევ გაგაჩერებთ, მართალია, ჩემს ფართში არ შემოდის, მაგრამ ჩემს ფართზეა მობჯენილი, როგორც ხედავთ.

—უნდა ვაიძულოთ და გადავატანინოთ!

—რატომ! — სწრაფად მოტრიალდა და სტუმარს მიაჩერდა შიგ თვალებში.

„მართლა რატომ?“

—... ჩემიცაა, ჩემი რომ არ იყოს, კი ბატონო, გადაიტანოს, არ გადაიტანს, რასაკვირველია, მაგრამ მაინც... მე სხვა რამეს ვითხოვ: თუ კულონბეგიშვილს არ სურს მის ფართზე ვიარო, მაშინ მომცეს უფლება და ჩემი მხრიდან შემაბმევინოს ჩემი კარი. აქედან მე ვივლი, იქედან ისინი ივლიან...

—ერთდროულად რომ მოგიწიოთ შესვლა?..—შეეკვეთა ზოლებიან კოსტუმში და ჩალისფერ, გარედან მიკრებულ დიდ ჯიბეებიან საწვიმარში გამოწყობილი მაღალი კაცი.

—ეს შეიძლება მოხდეს ათასში ერთხელ, შეიძლება არც მოხდეს, თუმცა მოსახდენს ვერ გამოვრიცხავთ. შეიძლება გამაფრთხილებელი ნიშნების ხმარება, ჩახველება... სხვა სიგნალებიც არსებობს, ზარებია, ჩემო ბატონო და ათასი ელექტრო-ფოტო სინთეზური საშუალებანია... მთავარია ნებართვა, თქვენ რას გვეტყვით.

— მე ვერაფერს, ეგ მე არ მეხება.

—შემობრძანდით მაშინ შინ, მე კი გაცანით, რასაკვირველია, თუმცა, მოგეხსენებათ, ხანი, როგორც იტყვიან, ასაკი, დრო თავისას შვება, მეხსიერება ქვეითდება, რასაკვირველია, აღმასკომიდან ბრძანდებით, უკაცრავი პასუხია?..

—არა, როგორ გეკადრებათ! —ქუდი მოიხადა, მელოტ თავზე გადაისვა ხელი, აქა მშვიდობაო, თქვა ოთახში შესვლისას და ტანსაცმლის ჩამოსაკიდებელს დაუწყო ძებნა თვალდათვალ.

—აბა თქვენ ვისგანა ხართ, ბოდიშს ვიხდი?..

—არავისგან, ჩემგანა ვარ.

მასპინძელს გრძელი ნაოჭები ტერასებად დააჯდა შუბლზე. ცალწარბაწეულსა და მოღიმარს გაუშვშდა ყრუნი თვალები. ამ პოზას კი, რომლისთვისაც მასპინძელსაც არ მიუნიშებია მნიშვნელობა, სტუმარზე არავითარი ეფექტი არ მოუხდენია. ჩალისფერი საწვიმარი გაიხადა აუჩქარებლად და ზოლებიან კოსტუმში დარჩა. მართალია, არავისგან არ იყო წარმოგზავნილი, მაგრამ უმიზეზოდ გამოცხადებულს აშკარად არ ჰგავდა და მასპინძელი ისევ გამოცოცხლდა, საწვიმარი და ქუდი ჩამოართვა, დკიდა და, ვალტერ ქირთავას ახსნა-განმარტებას გაცცნობთ ახლავეე, დაპირდა.

—ვის ახსნა-განმარტებას, ბატონო?

—ვალტერ ქირთავას... —შეყოყმანდა თაბორიძე.

— კეთილი და პატიოსანი... — ისევ ორივე ხელი გადაისვა მელოტ თავზე, რა გაისწორა და გადაიქაჩა ქვექვრისაკენ, თაბორიძემ ვერ გაიგო.

—ესე იგი, თქვენგანა ხართ?

—დიახ. —ოთახის მოთვალიერება მოასწრო და საწერ მაგიდას დააჩერდა. თაბორიძემ პოეტ სვიმონისადმი მიწერილ უსტარს მოუნაცვლა უნებურად ადგილი, თუმცა სტუმარი ნაწერებით აშკარად არ დაინტერესებულა. წარმოშობით მეც თქვენებური ვარო, თქვა, დაჯდა, შარვლის ცალი ტოტი აიწია და ფეხი ფეხზე გადაიდო.

—მხოლოდ, თქვენი არ იყოს, დიდი ხნის წამოსული ვარ მეც, ერთხელ შევხვდით ერთმანეთს ქორწილში...

—აქ?

—არა, იქ. იმხელა ყანწი დალიეთ, რომ მთელი საზოგადოება გადარიეთ,

ამ გამხდარ კაცს რა მუცელში ჩაუვიდა ამდენიო, ხალხი იძახოდა, როგორ დალიეთ იმხელა ყანწი?

—წარმოდგენა არა მაქვს, მაგაზე მაშინ არც მიფიქრია. მართალი გითხრათ, არც მახსოვს, როდის დავლიე... არ მაგონდება რატომღაც. საერთოდ, ღვინოს არ ვსვამ, არც ახალგაზრდობაში ვეტანებოდი მაინცდამაინც, მაგრამ ჩავარდებოდა და... იყო მსგავსი შემთხვევებიც, თუ ჯობნაზე წავიდოდა საქმე, რატომაც არა... ისე ყანწი არ მახსოვს, ვერ ვიხსენებ... აი, ეს არის, ვალტერ ჭირთავას გამოგზავნილი ოფიციალური დოკუმენტი, ახსნა-განმარტება, სადაც შვით თეთრზე სწერია ყველაფერი, ამას სად წაუვლენ, გეკითხებით ახლა მე თქვენ, ქვედა სართულშიო, ასე სწერია, ქვედაშიო, და სწორიცაა, იმიტომ, რომ ვისაც ამქამად ის ფეხისადგილი უჭირავს იმისთვის ქვედაა, ჩემი შუანაა, ამაში არაა საქმე. ფეხისადგილთან, აქ სწერია, ყოფილა ბუხარი, მეც ვიცოდი ანკარად, მხოლოდ არა დაბეჯითებით, გადმოცემით ვიცოდი, ბუხართან ყოფილა კობიევის სამზარეულო. ჩემმა მდგმურებმა კობზიანიძეებმა რაღაც მიანგრ-მოანგრიეს, რაღაცის მიშენება დააპირეს, ვერ მოახერხეს და სამზარეულოდ გადააქციესო... რა წერია აქ, ერთი წუთით, სათვალეს გავიკეთებ, გადააქციესო სახარახურედ... ადრე კი, როგორც მოგახსენეთ, როგორც აქაა აღნიშნული, ყოფილა სამზარეულო...

—ვისი?

—კობიევის, რასაკვირველია, შემდეგ ჭირთავების, შემდეგ ჩემი, ჩემი მდგმურების კობზიანიძეების. მოხუცებულები იყვნენ ეს კობზიანიძეები და გარდაიცვალნენ, დამიცალეს შუა სართული ძალაუნებურად, მაგრამ ფეხისადგილი და დამხმარე ფართი მიტაცა კულონბეგიშვილმა, ჩემი ტერიტორიააო, ჩემ სახლშიაო, მაგის ქირას მე ვიღებდიო. ერთ სახლში ორი დამოუკიდებელი სახლი გამოიყვანა, აქეთ სხვა სახლია ვითომ, იქით სხვა სახლი, წარმოგიდგენიათ... ბრძანდით თუ შეიძლება, ნახეთ ეს კედელი, დააკვირდით, თუ არ შეწუხდებით. იქით კულონბეგიშვილია, აქეთა ვართ ჩვენ. ამ ბზარებს ამჩნევთ? თავისთავად დასკდა და დამრგვალდა, განგებ არ ვარემონტებ. რა უნდა ყოფილიყო აქ?

მაღალი კაცი წამოდგა. ზოლებიანი კოსტუმის ჯიბიდან ამოიღო სათვალე, გაიკეთა, დააკვირდა კედელს, სათვალე მოიხსნა, მარცხენა ხელში დაიჭირა გაწელილად და ოვალურ ბზარს მარჯვენა ხელის მტევნის შუანა, ზემო ფალანგთან ოდნავ ამბეკილი თითი აუსვა და, აქ კარი ყოფილაო, თქვა.

—სად გადის მერე ეს კარი, პატივცემულო?

—ეს კარი გადის კულონბეგიშვილის, რა ქვია, ვასო, არა? კულონბეგიშვილის ბინაში. სახლი ერთია, ცხადია, მივხვდი კიდევაც შემოსვლისთანავე... — აბზეკილ, კირით მოსვრილ თითს სული გაუბერა, გაწელილი სათვალე დაკეცა, გულისჯიბეში შეინახა კვლავ. მართალია, ამ საქმიდან არაფერი გამოვაო, განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ, მაგრამ ამ ნაკარებებს უნდა ჩავეჯიდოთ როგორმე ჩვენო.

—ქვევითაც ასეა...

—მითუმეტეს.

—პირველად ნახეთ და იქვე მიხვდით, არა?

— პირველად, დიახ, აქაც პირველად ვარ. მე დედათქვენის დასაფლავებისას მიტინგზე წარმოვთქვი სიტყვა.

—ნუ ლაპარაკობთ!

—დიახ, ას მანეთს ვიღებ ხოლმე ერთ სიტყვაში.

„საწყალი დედა, ცარიელი ხელებიღა იყო დარჩენილი. მშრომელი ქალი იყოო, ნიადაგ საქმიანობდა, ფუსფუსებდა, გაჩერებულს ვერ ნახავდიო, ამან თქვა. დაზარდა შვილებიო, შვილშვილებიო, დიდი ხანი იცოცხლაო, ამდენ ხანს გაგვეძლოს ჩვენცო. მშვენივრად ილაპარაკა, სხვათა შორის, კიდევ კარგი, მეტი არ მოითხოვა... თუმ-

ცა ას მანეთს ვიღებ, მეტს არაო. ჩემს დებს ხომ არ გამოართვა ნეტავი? რას მიცემდნენ... ჩემი დები არაფერს მიცემდნენ!"

თუ გეძინებათო, განაგრძო მოსულმა, შეგიძლიათ სულაც არ გადამიხადოთო. ხვნაში არ გაგრიგებენთ და სამკალში ვერ შეგეზიარებითო. ნება თქვენია, გინდა გადაიხადეთ, გინდა— არა, თქვენ კარგად იყავით, მეც კარგად ვიქნებიო. ასი მანეთი კიო, დღევანდელ დღეს, თქვენც მოგეხსენებათ, არაფერი არაა, ფული არ ფულობს, ეს ერთი... ამას დაუმატეთ გზის ხარჯები, სიტყვაც ხომ უნდა მოამზადო, გაიკითხო, გამოიკითხო. თანაც მარტო ვმოღვაწეობ, კაცისშვილი არ მეხმარებაო. ნუ ლაპარაკობთო, წუხდა თაბორიძე. მარტო ამა რას. აუხვალთ ამხელა საქმეს, ყველას რანაირად გაწუდებითო.

—ყველგან არც დავდივარ, მხოლოდ ჩვენს რაიონს ვემსახურები და იმასაც ნაწილობრივ... სხვაგან არც იციან მიტინგობია, ერთხელ შევხვდით ჩვენ ადრე ქორწილში ერთმანეთს, სადგურში ვმსახურობდი და იქედან მახსოვს.

—ოზურგეთის სადგურში?

—არა, თბილისის... მაშინ სულ არ გვქონდათ მუცელი, გითხარით მგონი, სად ჩაუვიდაო, ხალხი იძახოდა.

—უანწყნო ამბობთ? რაღაც არ მახსოვს... საერთოდ არ ვსვამ, არც ადრე ვეტანებოდი მაინცდამაინც, თუმცა თუ ჩავარდებოდა, თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, რა მინდოდა მეთქვა, ქართავს ხელწერილი გაგაცანით, არა? ჰო, გამახსენდა, ფული არა მაქვს...

— თქვენ კარგად იყავით, მეტი დარდი არ მოგეცემოდეთ.

—დაბრუნდება ჩემი მეუღლე სადაცაა სოლიდან და მოგართმევთ. ფული მასთან ინახება ყოველთვის. სახლი გავყიდეთ სოფელში, რაღაც შემხვდა, ნაწილი, რასაკვირველია. მუქთად გავყიდეთ, შეიძლებოდა შენარჩუნება, მაგრამ ვერ ვქნენი. ვერც მოვიცალე, ქალაქიდან ვერ გაველი, გადავყევი ამ საქმეს, ჩემს ძირითად საქმესაც ჩაეძირა შორდი, ახლაც უპროფიოდ ვმუშაობ. ღამის დარაჯად ვარ გაფორმებული ლიტერატურის ინსტიტუტში. დღისით ვერ ვიცლი, ამ საქმეზე დავრბივარ. თორმეტი სასამართლო წვაგე და ერთი იმდენი ჩავშალე, მაგრამ არ დავმარცხებულვარ, მეცა მყავს ჩემი მომხრეები, ისე არ არი საქმე, ზოგიერთებს რომ გონიათ... ახლა აგერ სენსაციური დოკუმენტი მიჭირავს ხელში. ამას სადღა წაუვლენ. მომცა იმ კაცმა.. ააშენა იმის ოჯახი ღმერთმა. ცოცხალი აღარც კი მეგონა ვალტერ ქირთავა. ომში დაიღუპაო, ასე მითხრეს, არც წასულა თურმე... ვეძებე. აღმოვაჩინე.

— დოკუმენტი?

—არა, ქირთავა.

—თქვენ თვითონ იყავით?

—გალში?

—არა, ომში.

—ომში კი, ვიყავი, როგორ არა...

—სად მუშაობს?

—ქირთავა?

— არა, ეს! — ცალი ბეჭი აწია და გვერდზე გადახარა რაღაცნაირად.

— კულონბეგიშვილმა, რომელიღაც საპარფიუმერიო გაერთიანების მმართველია, სიძე ორგანოში მუშაობს, თავადაც იქ მსახურობდა ადრე, ცოლი დიასახლისია, ჩემო ბატონო, გათხოვილი ქალიშვილი ადრე მუსიკას ასწავლიდა, ახლა რას შვრება, არ ვიცი. შვილიშვილი კახა ბერაძე ფიქტიურად ყავს ჩაწერილი, რა გაიზრდება ის ბავშვი, კაცმა არ იცის, ნორა და ჩიორა, გაუთხოვარი ქალიშვილებია, აღმასკომში მსაჯურობენ დაბალ თანამდებობაზე...

—გასაგებია... შენ ვერ მოერევი მაგათ.

—თქვენი სახელი?

—ბიკენტი.

—კანონ-სამართალს ჩვენს ქვეყანა-

ში ვინ გაჭკეცვია, პატივცემულო ბიკენტი... ერთხელ შეიძლება გახვიდე ფონს, ერთხელ გაგიმართლოს შეიძლება, ორჯერ შეიძლება. ვთქვათ სამჯერ. მაგრამ შეითხუე სად მიდიხარ, შეიძლება გაგივიდეს მეოთხედაც... მეხუთედ. მეექვსედ. მეშვიდედ. მერვედ. მეცხრედ. მეათედ. მეასედ. მეათასედ. მერე რას შეარებ?! სამართალი პურს ჭამს ყოველთვის!

—ესეცაა. კი! —ამოიოხრა ბიკენტიმ.

—რატომ უნდა შევარჩინო ჩემი კუთვნილი ფეხისადგილები კულონბეგოვს, მითხარით, რატომ, თუ არა, კი!.. რატომ უნდა ავაგდებინო თავი, პატივცემულო ბიკენტი, რატომ უნდა ვთქმევინო. გავიმარჯვე! — ისევე მოულოდნელად გაჩუმდა, როგორც გაცხარდა, მიაჩერდა სტუმარს, რომელიც წოლებიდ იატაკს მოწყვნილი და ყბებმოკუმული დაჰყურებდა იმ წუთას. გვიანი შემოდგომის ირიბულად შემოჩრილ მზის სხივებს მიკეცილ დარაბებსა და ფარდებს შორის გაებათ გამჭვირვალე ქსელი, მომთენთავი სითბო ჩაებუდებინათ ფანჯრასთან და კაცებთან ახლო.

„ხომ არ ჩაეძინა, ნეტავი!"

— და! — შეფხიზლდა სტუმარი, იატაკიდან კედელზე, კედლიდან გობელენზე და ფოტოსურათებზე გადაიტანა მზერა. თაბორიდე წამოდგა, გობელენთან მივიდა. ეს დედა გახლავთ ჩემიო, თქვა.

— ვიცი, ბატონო, მახსოვს... — წამოდგა, სათვალე გაიკეთა და მასპინძელს ამოუდგა გვერდით.

— ...ეს მამაა, რაჟდენი, ეს ბიძაა, თეოფილე, ესეც ბიძაა, ოლიფანტე, მზარეულად მუშაობდა ტუფისში, ეს, ბატონო, შვილია, ოთხი წლისა გარდამეცვალა დიდი ხნის წინ. —გაჩუმდა. ოთხი წლის შვილი მოიგონა. სცადა და ვერ აღიდგინა ხატება ბავშვისა, დროით გაფერმკრთალებული, განელებული, მაგრამ სამუდამოდ გაქვავებული ტკივილი ვეღარ იგრძნო.

—...მას შემდეგ შვილი არ გვყოლია. აღარ ინება ჩემმა ქალბატონმა, ბუნებამაც არ შეგვიწყო ხელი... თქვენ რამდენი შვილი გყავთ?

—სამი.

—არ გეპატიებათ, ნამდვილად არ გეპატიებათ!..

—რატომ, ბატონო?— სათვალე შეინახა ჯიბეში.

—ერთი შვილიო, ნათქვამია, ძმა არ უნდა იმ ერთს, და არ უნდა?..

—ყავს...

—ყავს?.. სულერთია, მაინც არ გეპატიებათ, ორი შვილი არაფერი არაა...

— სამი შვილის პატრონი ვარ, ბატონო...

—მე ერთი გავიგონე, სამიც...

—მეოთხე მომიკვდა. ცხრამეტი წლის დამეღუპა...

— უკაცრავად...

— და... — ისევ ამოიოხრა ჰონორარის მომლოდინე სტუმარმა. — ძნელია, ბატონო, ძნელი!.. — რა იყო ძნელი. აღარ თქვა და მასპინძელსაც აღარ ამოუღია ხმა.

ღამით დაიწყო წვიმა. უდროო დროს იჭექა მეხმა, ელვამ გაანათა მანამდე ქუჩიდან მესამე და ეზოდან მეორე სართულის ფანჯრები. შემოდგომის წვიმა წამოვიდა შხუილით. „ახლაა საჭირო ქოლგა. როცა არ წვიმს, რად გინდა გაშლილი ქოლგა?.. თუ წვიმს, კიდევაც უნდა გაშალო ქოლგა. ქოლგა კალოშები ხომ არაა, იქნებ გაწვიმდესო და ვინიცობისათვის რომ ჩაიცვა. ვიღასა აქეს ახლა კალოშები. რამდენჯერ მომპარეს ოშის დაწყებამდე. ცალ-ცალი კალოშითაც გადავსულვარ სოფლიდან სოფელში. ქოლგა მაშინ იყო საჭირო, თუ იყო..." კლავ განათდა ხანთაძის ცხრა ნომერი სახლის აივნის ყავისფრად შეღებილი სვეტები და რიკულები, ისევ იჭექა მეხმა ყრუდ. შეშფოთებულმა თაბორიძემ კულონბეგიშვილის წილ აივანზე ვალტერ ჭირთვა დაინახა. პერანგზე პალტო ჰქონდა მოხურული, გალი-

ფე შარელის ხვანჯარი ეჭირა ხელში და წაბრილი ჩადიოდა ქვეყნით. წმინით გაილანდა ფანჯრიდან და აივნის ტიხრის ღია კარს იქით გაქრა. წელზევით გამოჩნდა და თაბორიძე მაინც მიხვდა, ნასკებისაკენ რომ ჩადიოდა ვალტერი კიბეზე. თვალები დახუჭა ელვის შუქზე, მეხის ტეხაზე გაახილა კვლავ და, ფუი ეშმაკსო, თქვა ხმამაღლა, მოჩვენების შეუკურთხა და გვერდი იცქირა. ვერ მოისვენა. ბიკენტის რჩევა-დარიგება გაიხსენა. მართალია ის კაციო, გაიფიქრა. მთავარია, ასე თქვა, განის კარებებიო, ჭირთავს ახსნა-განმარტების დედანი, რომელიც ხელთა გაქვსო და ომის მონაწილის სახელიო. რა აუცილებელი იყო ეს ომი? გარბოდნენ. ფაცხაფუცხით ტოვებდნენ ოკუპირებულ ჯაობნარს კაკაჩა ღამეში. ელავსავით ანათებდა დროდადრო პროექტორი გადახვსილფერებულ მინდვრებს, მთვარის ბლონდით მოვარაყებულ მზეს-უმზირის ყვითელ დისკოს. ქომმ მით, ტაპორიძე, ქომმ მით, გეენ ვირ, ქომმ მით, ქომმ მით, ტაპორიძე, ვო ბისტ დუ დენ, ტაპორიძე, ქომმ მით! გარკვევით ესმოდა მზესუმზირის ძირას შავ მიწაზე თავდაღმა დამხობილს ხელის რუპორიდან გამოვარდნილი ეს ხმა. ელავდა, ჭექდა, სველი, ყავისფერი სვეტების გასწვრივ პერანგზე პალტომოხურული, ხელხვანჯრიანი ქირთავა მოდიოდა ნასკების ამარა და კულონბეგიშვილის ბინისაკენ უხვევდა. ფუი, ეშმაკს, ყასიდად აფუთხებდა თაბორიძე, საბანში ეხვეოდა, ხუთის ხის ქვეშ დასვენებულ კუბოს ხედავდა. კუბოში დედა იწვა. ხანით დალეული ქალისათვის შეუფერებლად დიდი ხელები ჰქონდა. ხის ცენდერზე შემდგარი, ზოლებიან კოსტუმზე ყაბალახმოგდებული კაცი მიტინგს გახსნილად აცხადებდა. ვო ბისტ დუ დენ, ქომმ მით, ვრშისენ დიპ, ბიკენტი!

●

ტექნიკურიზაციის საქალაქო ბიუროს № 90074-ის მიმართვაზე გატყობინებთ: ჩვენი აღრიცხვით, ხანფოძის ქ. №9-ში მდებარე სახლი წარმოადგენს ერთ ნაგებობას, სადაც ომამდელი (5 VI 39 წ.) დაბნარიშებით იყო რვა (8) საცხოვრებელი ოთახი 171,37 კმ.მეტ. ფართით. ომისშემდგომი დაბნარიშებით ცხრა (9) ოთახი 182,65 კვ. მეტ. ფართით დამხმარე სათავსოების გარეშე. საცხოვრებელი ფართობისა და დამხმარე სათავსოების ომამდელი და ომისშემდგომდროინდელი აღრიცხვების შეუსაბამობის გამო არ ხერხდება ეზოს ფართის იმდროინდელი მდგომარეობის აღდგენა და მიწის რენტის ზუსტი განსაზღვრა, ხოლო შესაბამისად რომელი აღრიცხვა ედება ან არ ედება სახლის მთლიანად გასხვისების ნასყიდობის სიგელს, გაურკვეველია.

ბიუროს ჩანაწერების მიხედვით № 332, № 392-ით გაცნობებთ: ხანთაძის ქუჩის № 9 სახლის სამსართულიანი ნაწილი (თითო ოთახი თითო სართულზე) დამხმარე ნაგებობებისა და სათავსოების ჩათვლით № 332-ის მიხედვით 91,23 კვ. მეტ. და № 392-ის მიხედვით 87,20 კვ. მეტ. საერთო ფართობი ეკუთვნის გოორგი რაჟდენის-ძე თაბორიძეს. სახლის ორსართულიანი ნაწილი კი № 332-ის (5 VI 39) აღრიცხვით 134,24 კმ. მეტ., ხოლო № 392-ის აღრიცხვით ხუთი (5), № 392-ის მიხედვით ექვსი (6) ოთახი, რეალური ვითარებით (6) ოთახი, ადრინდელი აღრიცხვით 137,30 კვ. მეტ. გვიანდელი აღრიცხვით (სანოტარო საბუთი №50111) 145,20 კვ. მეტ. ფართი ნასყიდობის ფურცლის № 344-ისა და № 390-ის შესაბამისი სახესხვაობით ეკუთვნის ვასო სერგოს-ძე კულონბეგიშვილს.

ამასთანავე ვატყობინებთ: საბუთების უმრავლესობისა და საცხოვრებელი ოთახების შებრუნებული ნუმერაციისა, სართულების არათანაბარი განლაგების, მინაშენებისა და მინანგრევების ხარჯზე ეზოს დაპატარავების თუ გაზრდის დაუდგენლობის გამო

რეჯო ჯეიშვილი
ვაიმე, ჩემო ვენახო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ მეპატრონეს რომელი დამხმარე ნაგებობა ეკუთვნის ან ეკუთვნოდა, ვერ გიპასუხებთ.

ამასთანავე გაცნობებთ: თუ მთელი სახლის № 332-ის მიხედვით რვა (8), № 392-ის მიხედვით ცხრა (9) ოთახის საერთო ფართი № 332-ის თანახმად უდრის 225,47 კვ. მეტრს, № 392-ის თანახმად 279,20 კვ. მეტრს, ხოლო მიწის რენტის მიხედვით შიდა მიწის დღეგანდელი ზომა (სანოტარო საბუთი № 50110) მხოლოდ და მხოლოდ 198,60 კვ. მეტრს შეეფარდება, შეუსაბამობა ნაგებობასა და მიწას შორის თვალნათლი იქნება. არსებული მასალების საფუძვლით კი სახლი № 9 (გეგმანახაზზე) გადაცილებული უნდა იყოს ხანძაძის ქუჩის, არსენიძისა და კუბიშევის ქუჩების გადაკვეთაზე უნდა იყოს გადადებული. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისიც, რომ ოთახების რეალური მეტრაჟის ნამრავლის ჯამი არ ემთხვევა ზემოთ ნახსენებ არც ერთ მონაცემს; შენობა არ ედება ბალავერს, ეზო-მიწას და სახლის ორი მონაკვეთის იდენტურობის, გინდაც მათი სხვადასხვაობის დადგენა ზემოთ მითითებული სიძნელეების გამო, ექსპერტიზის გარეშე შეუძლებელია. ■

თავმჯდომარე — გადამდგარი პოლკოვნიკი ამხ. გენადი ქათამაძე, წევრები — ინჟინერი არჩილ მოზდოკელი და საქალაქო საბჭოს დეპუტატები ცაცა ქანდარიძე, გალინა კალომელეწავიშვილი.

საფეიქრო მრეწველობის მოწინავე მუშებს ცაცა ქანდარიძესა და გალინა კალომელეწავიშვილს მდოგვისფერი, თხელი პალტოები ეცვათ იმ მზიან სიცივეში. წარბებამდე ქუდჩამოწეული და წელში გამართული გადამდგარი პოლკოვნიკი გენადი ქათამაძე დამხვდურებს გაჯგიმული ეგონათ, თუმცა დიდი ხნის წრთობით გამომუშავებულ და იოლად მიტოვებულ არმიულ დგომას და მოძრაობას სხვაგან შეუყვანია შეცდომაში. წელზე ხელებდაწყობილი იხედებოდა იმჟამად ზევით, მეორე სართულის აივნის ყავისფერ სვეტებს და ფანჯრებს უყურებდა. შინ არიან თუ არაო, ეკითხებოდა მოზდოკელი კულონებეგიშვილის უმცროს ქალიშვილს, გაცვეთილი, გაფიჩხული ცოცხით რომ გვიდა თავის წილ ეზოს სტუმრების შემოსვლამდე. ძველმსხვილსა და ბეჭგანიერს სათვალის შუშებიდანაც ეტყობოდა სიბეცე. სქელ მაჯაზე ეკეთა საათი, დაგრეხილი სამაჯურიც და, თითქმის საგარეოდ გამოწყობილი, სულ არ ჰგავდა მხვეტელს ან დეკემბრის მზიან დღეს ეზოში სამუშაოდ ჩამოსულ თავგამოდებულ დიასახლისს. ბეჭებზე თავშალშემოხვეული, წელზე შალშემოხვეული ჯორფლიანი სახის პატარა ქალი გამოვიდა პირველი სართულიდან.

—დედა, გეძახიან! —უკანმოუხედავად უთხრა ნორამ. ტუჩაბზუებულმა მაყაშვილის ქალმა მდუმარედ დაუქნია თავი სტუმრებს, თავშალი გაისწორა და ცნობისმოყვარე თვალებით მოათვალიერა დელეგაცია.

საყელოაქაჩული სვიტერით მოადგა მეორე სართულის აივნის დასტანდაზს უფროსი ქალიშვილი ჩიორა, ჯიპი მიადო რიკულის სამხობს, გაჩერდა და წამწამები დაუშვა ეზოსაკენ. ცოტა ხანი ასე იდგა, შემდეგ იდაყვები დაალაგა სამხობზე, იდაყვებზე დადო დიდი მკერდი და წელში გახრილს ქვედაწელ ვიწრო კაბაში გამონაკვეთული მკერივი გაჟა გაექცა გვერდზე. კარგა ხანი იხედებოდა იგი ძირს და ახლად შეღებილ თმას გალინა კალომელეწავიშვილის პალტოს ფერს უდარებდა. გულს ეყრებოდა თანდათან, ნელნელა, ზანტად იმართებოდა თუ იზომრებოდა და შორდებოდა ბირკვილს. ოთახში შებრუნდა, მიაშურა სარკეს, ფოფორილ, მოყვითალო-მოჩაღისფერ თმაზე გადაივლო დიდი სავარცელი. დამშვიდდა, სვიტერისამარა

გამოვიდა კლავ აივაზე. რბილი, მაღალი მკერდი დაეცა დასტანდაზზე და მკვრივ გავამოქცეულს გაუფუქდა ისევ გუნება გალინას პალტოს დანახვაზე.

ჩვენ აღმასკომიდან გახლავართო, ეს არის კომისიის თავმჯდომარე ამხანაგი ქათამაძე, ეს არისო ციალა ქანდარიძე, ესო, გალინა კალომელწყაროშვილო, აცხადებდა არჩილ მოზდოკელი.

—თქვენ თავად რა გვარი ხართ?— ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ იკითხა სახეჭორფლიანმა, გვარიანად თმაშეთხელებულმა მარო მაყაშვილმა.

—მოზდოკელი. —უხალისოდ უპასუხა, ამ შეკითხვას არ ელოდა და მომდევნო რეპლიკისათვის სმენა გაიმახვილა, მაგრამ თავშლებში გახვეულ პატარა ქალს მეტი აღარაფერი უთქვამს. კომისიის წევრების ჩამომავლობას ეფექტი არ მოუხდენია და სტუმრების შინ შეპატიჟებაზეც შეიკავა თავი. მეუღლე სახლში არ გახლავს, გვიანობამდე არც იქნება და ხვალ თუ მობრძანდებით, უმჯობესიაო.

—არა უშავს, ქალბატონო, ჩვენ სახლი უნდა შევამოწმოთ, მეუღლე კი არა!—პოზა შეიცვალა გადამდგარმა პოლკოვნიკმა, ქუდი მოიხადა, ღიერაღერად გვერდზე გადაწყობილი თმა გაისწორა ფრთხილად.

თაბორიძემ წერას თავი დაანება, სათვალე მოიხსნა, ნაჯაფი კალამი გადადო, მძლავრად დაჭერილი კალმით აზნეკილ-ჩაზნექილი თაბახის გვერდები მიაქუჩა, ჟანგისფერი პიჟამოს ფართო საყელო აიწია, გავიდა გარეთ, ჩაიდა კიბეზე და სათითაოდ ჩამოართვა სტუმრებს ხელი. ამ საქმეს რომ მორჩა, გვერდზე გადგა და მოწმესავით გაჩერდა. გადამდგარმა პოლკოვნიკმა ქუდი დაიხურა მოწიწებით, წინაფრა წარბებამდე ჩამოიწია, ტანზე კარგად მორგებული პალტოს ზედა ღილი გაიხსნა, ზევით აიხედა, გამჭვირი მზერა გაატანა სხვენ-სახურავში, უკან დაიხია, აქედან უფრო კარგად შევხედავო, სრულიად მოულოდნელად აუცურდა ფეხი ქვაზე, თუმცა ისე სწრაფად შესხმარტალდა და გასწორდა. თაბორიძემ ხელის შეშველებაც ვერ მოასწრო.

ეზოდან ორი, ჭუჩიდან სანახევროდ სამსართულიანი არქიტექტურულად მშვიდი სახლის ციცქნა ეზოს მოპირდაპირე შენობის აგურის ყრუ კედელი ჩრდილავდა. კიბე, ზედა და ქვედა, შეხურული და შეუხურავი აივნების წინა მხარე, ფანჯრები, რიკულები და ყავისფერი სვეტები იყო მხოლოდ დეკემბრის მზით განათებული. მოკუმულებულ გადმოსაკიდლებქვეშ მოქცეულ გრძელ აივანს პირობითად თუ შეიძლებოდა წოდებოდა საერთო, რადგან, კიბე არა მარტო ორ არათანაბარ ნაწილად ყოფდა მას, არამედ იქვე დებდა სამანს და ერთი ასასვლელით მოსარგებლე ორ მობინადრეს აცალკევებდა კიდეც. კიბის თავთან ბოქლომით კარჩაჩაზული, თაბორიძის ბინისაკენ ზურგშექცევით მდგარი ფეხისადგილი ჩანდა საყარაულო ჯიხურივით. ტიხრის კარი კი ისე იყო გადმომჯდარი ორად გატოტვილ კიბეზე, რომ ფეხის დასაბიჯებელი ადგილიც აღარ ჩანდა ზედა საფეხურზე. აი აქ მეღო ფეხის საწმენდი ტომარა, ეგრეთ წოდებული, ტილოო, ფეხსაცმლის ჭვინტით ხაზავდა წრეს კულნბეგიშვილის ფეხისადგილის წინ ხელგაშვერილი თაბორიძე. აქ მეღო და გადამიგდეს ეზოშიო.

— ამოიტანეთ? — დაინტერესდა მოაჯირთან მზეში თვალწაჭუტული, მთვლემარებაში წასული ქათამაძე.

—რა, ბატონო?

—ტილო, ტომარა, რა გადაგიგდეს, რა ვიცი...

— ამოვიტანე, კი, მაგრამ რამდენჯერაც ამოვიტანე, იმდენჯერ გადამიგდეს...

—კი მაგრამ, გიორგი ბიძია,— ეზოდან დაიძახა ხელცოცხიანმა ნო-

რეზო ჯეიშვილი
ვაიმე, ჩემო ვენახო

რამ, —ფეხის საწმენდ თქვენს ტილოს თქვენს აივანზე ვერ გაფენთ?!

—ჩემს აივანზე ვფენ, გენაცვალე, მხოლოდ კარწინ და არა კარუკან...

—შედი შენ სახლში! — უთხრა დედამ ნორას.

—აქ საფეხურია, ტილო არ ჩერდება, თანაც საფეხურზე რა უნდა ტილოს?!

—დაგეტოვებინათ მაშინ ადგილი, ანდა გადაწიეთ კარი.

— მე გადავწიო, არა?! გაღმა შეედავე და გამოღმა დაგრჩებათ, ასეა ამათი საქმე. — თავისთვის ჩაილაპარაკა თამბორაძემ. დეპუტატმა ქალებმა კი, რომელთაც სხვადასხვა თარგის, მაგრამ ერთნაირი ფერის, მდოგვისფერი პალტოები ეცვათ, შესასვლელი მოათვალიერეს და ფეხის საწმენდი ტილოს შესაფერი ადგილიც შეარჩიეს თვალდათვალ. მათი აზრით (ეს აზრი და შეხედულება აღარ შეუცვლიათ), შეიძლებოდა ოპტიმალური წერტილის მოძებნაც, სადაც დაიდებოდა ტილო, რომელიც ერთ მობინადრეს მოემსახურებოდა და მეორეს არ შეაწუხებდა, თუმცა გარკვეულ სიძნელეებს შექმნიდა მაინც. თამბორაძე უფრო შორსაც წავიდა, ფეხისაწმენდის კარის შებრუნება, ბაქნის გამოთავისუფლება მოითხოვა, მაგრამ დელეგაციის წევრებს, მით უმეტეს მამაკაცებს, ამ საკითხზე მეტი ყურადღება აღარ შეუჩერებიათ, რადგან ისინი თურმე ჯერჯერობით მხოლოდ სახლის მთლიანობის თუ სხვადასხვაობის დასადგენად ყოფილიყვნენ მოსულნი. ქალებს კი მათი პომპეზური ვიზიტით აღძრული ინტერესი გაუნელდათ. მე ძალიან გთხოვთო, მიაძახეთ ქალბატონმა მაყაშვილმა, ჩემი ქმრის გარეშე დასვენა არ გამოიტანოთ, რადგან სახლების (ასე აღნიშნა — სახლების) სხვადასხვაობის დამადასტურებელი საბუთები მასთან ინახებაო.

— აბა ჩვენ აქ, ქალბატონო, იმისთვის ხომ... — წამოიწყო ქათამაძემ, აუცურდა ფეხი, აბორძიკდა და საშინელი ბრახაბრუხით შეიკავა თავი რამდენიმე საფეხურით ქვევით.

„ნალები აქვს, მე მგონი, ისევ ფეხებზე!“ გაიფიქრა მოზდოკელმა, ფერფლისფერ კარგულ ქალებს გადახედა და პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა გადაიარა მოკლე დერეფანი, ტიხრიდან ოთახის კარამდე მივიდა, მინაშენებს და სათავსოებს დააკვირდა.

დელეგაციის წევრებს ეზოში შემოსვლამდეც დაეთვალიერებინათ სახლის ფასადი და ანფასი ქუჩიდან. ჩემს ფანჯარასთან იდგნენო, უთხრა თინას მეზობლის ქალმა მეორე დღეს, იდგნენ და თქვენი სახლის აგურებს ითვლიდნენო. კარგა ხანი მდგარან მართლაც არსენიძის ჩასახვევში და მობინადრეთაგან შეუმჩნევლად, თუმცა დამალვა არც უცდიათ, შეეფასებინათ სახლი ნომერი ცხრა იმ წყნარ, მზიან ზამთრის დღეს და თამბორაძის ყელგადაგდებულ მტკაცებას, ქუჩიდან შეხედეთ და დარწმუნდებით ჩემს სიმართლეშიო, შედეგი არ მოყოლია. კომუნალური მეურნეობის ინჟინერი, ამხანაგი მოზდოკელი კი, გარდა იმისა, რომ აშკარად კარგად ერკვეოდა ძველებური ნაგებობების წყობა-კონსტრუქციებში, ამ შენობასაც არ ხედავდა თურმე პირველად და ზედმეტ კონსულტაციებს, ახსნა-განმარტებებს აღარ თვლიდა საჭიროდ. მოკლედ და გასაგებად ამტკიცებდა: სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მასალით აშენებული ორი სახლია, თუმცაო, ერთი ბინათმფლობელის, ერთი ხუროთმოძღვრის ნახელავსაც ჩამოგავსო. თამბორაძე მაინცადამაინც არ ეწინააღმდეგებოდა თითქოს, თუმცა სიტყვა ორს განსაკუთრებული ინტონაციით წარმოთქვამდა და უმატებდა: ორი ერთმანეთზე მიდგმული, თუ მიდგმა არ გაგმაყოფილებთ, მიკერებული სახლია და ნაკერიც თვალთათლივ ჩანსო, მართალია, შენობა ერთ ქობაშია მოქცეული, მაგრამ სახურავი ორია, აგურები სხვადასხვაა, სარტყლების, ფანჯრის გარეწირთხლების წყობაში ხელშესახები სახესხვაობააო, რაც მთავარია, სხვანაი-

რად არც შეიძლებოდაო, აგურები არ არის გადაბმული და შვეული მზარი, ალბათ ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათი წლის უკან რომ გაჩნდა, ორსახლოვანების ყველაზე საუკეთესო დადასტურებაო, ხოლო ქობის უნაკერობა და უბზარობა მისი გვიანდელობის ბრალიაო. რაღა მაინცდამაინც, ეპასუხებოდა თაბორიძე, ერთ ქობაში (ეს სიტყვა პირველად გაიგონა და ძალიან მოეწონა) მოაქცევდნენ ორ სახურავს, რაღა მაინცდამაინც მისაკერებლად გაიხდიდნენ საქმეს, როცაო, თუკი ორი სახლის აშენება სურდათ, გადასაბმელი აგურების შეერილებად დატოვებაც შეიძლებოდაო. ამდენს ვერ მოიფიქრებდნენო, ეღიმებოდა თაბორიძის განსწავლულობით გაკვირვებულ მოზდოკელს, მასპინძელი კი თავისას არ თმობდა, ძირითად არგუმენტს ბოლოსათვის ინახავდა და მოთმინებით კითხულობდა, კედლების სისქის ზომა მითხრითო, რაღაი ყველაფერი იცით, ესეც გეცოდინებათო. როგორც ყველაფერი არ ვიცი, ასევე მაგ კედლების ზუსტ ზომაზე არა მაქვს წარმოდგენა, თუმცა მიახლოებით, თვალდათვალაც შემიძლია მოგახსენოთო.

— კეთილი და პატიოსანი, მე ზუსტად გეტყვით: გარე კედლები სამოცდათერთმეტს, ტიხრის კედლები კი ოცდათერთმეტ სანტიმეტრს უდრის, მილიმეტრებს აღარ ვანგარიშობ...

— ადვილი შესაძლებელია... — დაეთანხმა მოზდოკელი. — ზომაზე სჭელია, მაგრამ იმ დროს აშენებული, ამ ტიპის სახლებისათვის სავსებით დასაშვები ნორმაა.

— აგაშენათ ღმერთმა. ამ ორი (ორს განსაკუთრებული ბგერითი ელფერი მისცა) სახლის ზიარ კედელსაც, აი ამ კედელსაც ტიხრის სისქე აქვს, ოცდათერთმეტი სანტიმეტრი, მილიმეტრებს აღარ ვანგარიშობ.

— ცხადია, ასე იქნება... — აშკარად დაიბნა მოზდოკელი.

— ერთი კედელი აქვს ორ სახლს?

— როგორ ერთი კედელი?

— ეს სახლები ხომ ცალ-ცალკე აგებულნეს?..

— დიახ.

— მერე დამოუკიდებელ სახლს ჩრდილო-დასავლეთით, ქარიან-წვიმიან მხარეს უფანჯრებო, ტიხრის თხელი კედელი დაუტანეს?..

— რასაკვირველია, მეორე სახლის მიშენება ჰქონდათ განზრახული და ყველაფერი ჰკვიანურად გაითვალისწინეს... — ამჟამად შეუფერხებლად, გულგრილად, უპასუხა მოზდოკელმა. — მე ხომ ავიხსენით, ადვილი შესაძლებელია, წინასწარ დაგეგმარებასთან გვქონდეს საქმე-მეთქი...

ყოფილი პოლკოვნიკი ქათამაძე პატარა მაგიდასთან იდგა ამ ლაპარაკის დროს და იაფფასიან ბროშურებს ათვალიერებდა. მარცხენა ხელი წელზე ჰქონდა შემოდებული, წინ გაწვდილ მარჯვენაში ბროშურა ეჭირა, შორიდან უყურებდა თავსართებს და სტუმარ-მასპინძლის თავაზიან ლაპარაკსაც უგდებდა ყურს.

მოზრდილი, უფრო ღარიბულად, ვიდრე სადად გაწყობილი ოთახის კუთხეში, სავანგებოდ დამაგრებულ ფიცრის ზედაგარზე ღვთისმშობლის მოზრდილი ხატი იყო დასვენებული. ზედსადგარზე ხატის ჩარჩოსთან სანთლის ნამწვავები და ბზის ფოთოლშედნობილი წკირები იდო. გადამდგარ პოლკოვნიკს პეტტიით აწყობილი სტრიქონები და მწკრივები გაურბოდნენ თვალთაგან, ტყდებოდნენ, იბრიცებოდნენ, იმსხვრეოდნენ, იფანტებოდნენ სტრიქონები სხვადასხვა მხარეს და ერთად ძვირად ქუჩდებოდნენ. პოლკოვნიკი ქათამაძე ატკივებულ თვალებს ატრიალებდა ხატისაკენ და პატარა ხნით ხატზევე აჩერებდა მზერას. შემდეგ ერთ ბროშურას დებდა, მეორეს ძირსდაუხედავად იღებდა, ახველებდა თუ ხიხინებდა მოურიდებლად. ცაცა ქანდარიძე და გალინა კლომლეწვაიშვილიც გადახედავდნენ ხოლმე დროდადრო ხატს,

რეზო ჭეიშვილი
ვაიმე, რემო ვენახო

შემოსვლისთანავე რომ მიიპყრო მათი ყურადღება. სანამ დიასახლისს არ გაეცნენ და ხმადაბლა არ გამოელაპარაკნენ, მანამდე ვერ დაადგინეს, რა საერთო უნდა ჰქონოდა იმ სახედაღარულ, ჟღალ, ნახევრად უძრავი თვალების პატრონ, გაცხარებულ ადამიანს ხატთან და იმ აუხსნელ სიმშვიდესთან, ბნელ კუთხეში სანთლის ნამწვებთან, ბზის წკირებთან რომ იყო დასადგურებული. დაწყებითი სკოლის, გონებაგაუხსნელი ბავშვების პედაგოგმა თინა მანაგაძემ ლმობიერი ღიმილით და ხვეწნით — პალტოები გაიხადეთ, დაბრძანდით, მოისვენეთო — მოინადირა დეპუტატების გული და რამდენჯერმე, შეიძლება მისდაუნებურად, გადაუსვა ნაჭერი ხატს, ზედსადგარიდან ჩამოიღო ასანთის ნამწვი, გადაწია თხელი ფარდა და ცალი მხარე გადაუბერა დრო და ჟამისაგან გაცრეცილ, თითქოს ცრემლჩამოდენილ ღვთისმშობელს.

— ბზობაა დღეს, ქალბატონო? — ჩუმად იკითხა ცაცამ.

— ბზობა?.. არა მგონია, ბზობა გაზაფხულზე უნდა იყოს...

— რა დროს ბზობაა, შე კაი ქალო!.. — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გალიანამ და მოღრეცილი კისერი შეაბრუნა, ნიკაპი მიადო მდოგვისფერი პალტოს ამომრგვალებულ საყელოს.

ერთი ჭობა რომ აქვს შემოყოლებული სახურავს, შემთხვევით არააო, თავისას არ იშლიდა თაბორიძე. ორი სახურავი ბოლოს და ბოლოს, სილამაზეზე რომ არაფერი ვთქვათ, პრაქტიკული თვალსაზრისით არის გამართლებულიო. აბა სად ნახულა, ორი დამოუკიდებელი სახლი ერთმანეთს განის კარებებით და საერთო აივნით უკავშირდებოდესო, კარგი, მოვეშვათ ამ ჭობას (თვითონ არ ეშვებოდა), აივანს მივაქციოთ ყურადღება, გვიანდელი მინაშენიაო, თქვენ ამბობთ, რის საფუძველზე ამტკიცებთ აივნის მინაშენობას და გვიანდელობას, რას აშენებდნენ ამნაირს, კოშკს? ეს კედელიც გვიანდელია?!

ბოლო შეკითხვაზე კომისიის თავმჯდომარემ გაბმულად ჩაიხითხითა და ყურადღება მიიქცია. წყალსაც უნდა მივაწოდოო, გაიფიქრა დიასახლისმა, მაგრამ ქათამაძე ხიხინს მორჩა, ცხვირსახოცით მოიწმინდა ტუჩები და, რამდენადაც ვიცით, თქვენც ომის მონაწილე უნდა ბრძანდებოდეთო, უთხრა თაბორიძეს.

— დიახ... რატომ მკითხეთ?

— ისე... ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს... — პალტო ჩაიცვა და აივანზე გასულ მოზდოკელს გაყვა. ერთმანეთის მიყოლებით გავიდნენ ყველანი. ჩვენო, დაიბარა ინგინერმა, შევამოწმებთ ბალავერსაცო; მართალია, სურათი ნათელია, თუმცა ბალავერიც ჩასახედია, წესით და რიგით, ყველა გარეგანი მონაცემების მიხედვით ბალავერიც ორი უნდა აღმოჩნდეს, მაგრამ ერთიც შეიძლება დავგიხვდეს და ეს მაინც არაფერს არ გამორიცხავს, არაფერს ახალს არ დაადასტურებსო. რაც შეეხება სამზარეულოსა და ბუხრის არსებობა-არარსებობას, დაუმატა ქათამაძემ, საკვამური მილის ყოფნა-არყოფნა მოჰფენს ნათელს და უნდა მიაკითხოთ საქალაქო საბჭოს საბუხრე მეურნეობას, რომელიც თქვენი მოხოვნის შემდეგ სათანადო დასკვნას წარუდგენს კომპეტენტურ ორგანიზაციასო. ამ სიტყვის, უფრო სწორად, ბოლო მარცვლების იასო-ს დამთავრება და ფეხის აცურება ერთი იქნა, ბრახანითა და ხელების ფართხალით აბორძიკდა კიბეზე, მოაჯირს წაატანა ხელი და თავი სასწაულებრივ შეიკავა.

— რა ხდება, ვერ გავიგე... — ჩაილაპარაკა გულაფრიალებულმა კალომღვაშვილმა.

მარო მაყაშვილი და მისი გაუთხოვარი ქალიშვილები ეზოში იდგნენ, კიბეზე აყაყანებულ კაცს უყურებდნენ და დელეგაციის ჩავლას ელოდებოდნენ აშკარად. სათვალის მინაზე მზის ცივსხივაბრჭყვიალებულ, ქვედაწელს, ლურჯ კაბაზე ჩასახსნელმოშლილ ნორას ისევ ცოცხი ეპირა ხელში, თუმცა აღარ ხვეტავდა. მაყაშვილის ქალმა ხელმეორედ, ამჯა-

მად უადგილოდ, განაცხადა: მეუღლე შინ არ არის, დასკვნების გამოტანის უფლება არა გაქვთო და ამით აიმხედრა მდოგვისფერი მატერიის პალტოების დიდ საყელოებში ნიკაშემალული მუშები, ისედაც ამრეზით რომ უყურებდნენ კულნობეგიშვილებს. დიდი ხნის წინ ჩამოშორებოდნენ ისინი ძირითად საწყმოინობას, თუმცა საზოგადოებრივ სარბიელზეც ვერ გამოეჩინათ სათანადო ფხა ბუნებით მომადლებული ეკთილი ზნის, ხათრიანობის გამო. გულგრილად, თანაც დამცინავად მაცქერალი და მოლაპარაკე ადამიანების გამოწვევაზე (ასე მოეჩვენათ) შეპასუხების აუცილებლობის ქალურმა ინსტინქტმაც იჩინა თავი და რისი უფლება გვაქვს და რისი არა, ეს ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცითო, განაცხადეს თითქმის ერთხმად. თანაც, სიტყვა ჩამოართვა თაბორიძემ, რომ წუხდებით, იმოდენა საქმეს რომ ცდებით ჩვენი გულისთვის, ეს ვითომ არაფერიო, სიკეთისათვის სიკეთე ვის უქნია, მაგალითისათვის, მეო, უსასყიდლოდ, ყოველგვარი ანგარების გარეშე საკუთარი სარჩოა მივეცი ამათო.

— რა სარჩოა მოგეცი, გიორგი ბიძია? — წყნარად იკითხა ჩიორამ, ყავისფერი სვიტერის გადაკეცილი სახელოები ჩამოუშვა და შეიეებული მაჯები დაიფარა სქელი შალით.

— არ იცით, რა მოგეცით?.. — ლაპარაკის საღერღელი ჰქონდა აშლილი, მაგრამ სტუმრების მიმოფანტვის ეშინოდა და მომსვლელ-დამხვდურს ერთდროულად უგდებდა ყურს. მოზდოკელს ალაყაფის პიშპრის ღია კუტი კარის სახელური ეჭირა უკვე და ქალებს ელოდა. გადამდგარი პოლკოვნიკი ქათამაძე კარისაკენ მიიწევდა და თვალდათვალ ზომავდა ეზოს, მეტროებად ყოფდა და კვადრატულად ამრავლებდა გუნებაში.

— სად არი, გიორგი ბიძია, თქვენი მოცემული სარაია? — ნამეტანი მშვიდად კითხულობდა მოღიმარი ნორა.

— სად უნდა იყოს. შვილო, ვერ მოუარეთ და აღარც არი, ჩვენი ბრალია, რომ ვერ მოუარეთ?! — აივნებდა ჩამძახა თინ. მანაგაძემ.

— რას ვერ მოვუარეთ, თინა დეიდა, რას ვერ მოვუარეთ... — ხელები გაშალა ჩიორამ. — ჩვენ ვერ მოვუარეთ... თქვენ დაწვით და ჩვენ ვერ მოვუარეთ?!

— კი მაგრამ, ნამუსი არა გაქვთ, ნამუსი სად დაკარგეთ?!.

— არავის სახსენებელი არაა ჩემი ნამუსი, ყველამ თავის ჩასვრილ საქმეს მიხედოს!

— ხედავთ, რას კადრულობს!..

— აბა რა ნამუს-სინდისზეა აქ ლაპარაკი! — ხმას აუწია მაყაშვილის ქალმა და ერთხმად აკაკანდნენ დანარჩენებიც. ახლა კი დროაო, გაიანგარიშა გადამდგარმა პოლკოვნიკმა და მოზდოკელის გაღებულ კარში წელზე ხელებდაწყობილმა და თავდახრილმა გაიარა, თითქოს შეეშინდა, არ გაგედოო ჭიშკრის კარბას, მეორე სართულის სარტყელთან რომ იყო გათანასწორებული. გალინა ადრევე გასულიყო და ჩამორჩენილმა ცაცამ უკუსვლით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათო, დაიძახა და მისდაუნებურად აიქნია შავი პორტფელი, უკანმოუხედავად შებრუნდა, არ წავიქცეო,შეეშინდა და ინჟინერ მოზდოკელს ჩაფრინდა მაჯაში, თუმცა უმალვე გამოაფრინდა, სხვანაირად არ გაიგოს ამ კაცმაო, შეშინდა. ინჟინერმა მოზდოკელმა შეთავაზებული მკლავი გაამაგრა, მეორე ხელი იღლიის ქვემოთ შეწია, ცერი მკერდისაკენ გაიპარა, მაგრამ ქალმა გვერდი შეუბრუნა ერთი წამით, არა უშავს, მე თვითონო, დაიძახა, მსუბუქად გადმოაბიჯა ზღურბლს და სქელი ზამბარით დამაგრებული კარიც მოიხურა ჯახანით. სტუმრებს ადევნებული თაბორიძე ნაგვის კასრს წამოედო ამასობაში, მუხლი იტკინა და გაბრაზებულმა დაიძახა, კიდევ აქა დგას ეს ხომო, კიდევ აქა დგას ხომო. კასრის გვერდზე გაჩო-

ᲠᲔᲖᲝ ᲮᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲕᲐᲜᲘᲛᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ

ჩება დაეპირა, სიჩქარეში ვერ მოზომა, წაექცა კალი, ძირს დაყრილ ნაგავს დახედა, ესეც ასეო, თქვა, ვითომ კი არ წამექცა, თქვენს ჯინაზე წავაგიეო. ამის შემხედვარე ნორამ გაფიჩხული ცოცხი შეაბრუნა და ტარით ხეთქა თავში გიორგი ბიძიას. გამხმარი, მაგრად გადაწნული ტარი თავზე დაეცურდა და სიცივისაგან გალურჯებული ყური ჩამოაფოცხა. სიმწრით ჩაიკეცა, თავზე და ყურებზე იტაცა თავდაპირველად ხელები. ქმარი მომიკლესო, იკივლა აივნიდან თინა მანაგაძემ. ეს ხმა მანქანაში ჩამსხდარი დელეგაციის ყურთასმენას მიწვდა მოტორის ხრიალში.

— რა ხდება?.. — გალინასაკენ შეტრიალდა ქათამაძე და სპირტის სუნი ამოუშვა პირიდან.

— საით? — იკითხა მოზდოკელმა და ცხვირაბზუებულ გალინას გახედა.

— წინ! — ჩუმად თქვა ქათამაძემ, ქუდი გადაიძრო, ღერა-ღერა გადალაგებულ თმასა და ალაგ-ალაგ აქერცლილ თავის კანს შეხედა სარკეში, ქუდი დაიხურა ფრთხილად, შექანდა და წინაფრა წარბებამდე ჩამოიწია აძერისთანავე.

გონს მოვიდა თუ არა თამოიძე, ცოცხში ეცა ნორას, წავართმევ და გადავუგდებო, სხვა არაფერი განუზრახავს თავდაპირველად, მაგრამ ნორამ ცოცხიანად დაიჭნია, დააბარბაცა, მიაწვა და კიბის ქვედა საფეხურზე ჩააჯინა, თავი ვეღარ შეიკავა თვითონაც და მუხლებზე დაეცა. ცალ ხელში ცოცხი ეჭირა, ცალ ხელში საყურემოტეხილი სათვალე, ბეცი თვალებით დაჰყურებდა კიბის საფეხურის ყავისფერ ფიცარს, რომელიც მიწა ეგონა და წამოდგომას ვეღარ ახერხებდა. ჩიორამ დედას გამოასწრო, თმაში სწვდა თამოიძეს და კისერი მოუღრიცა დედის მოსვლამდე. დას აშორებდა და თავად ეკვროდა, სახეში მკერდით, გვერდებში შიშველი მუხლებით აწვებოდა და თამოიძეს სულ ახლოდან სცემდა ის თავზარდამცემი სუნი, რომელსაც კარგა ხანია აღარ შეეწუხებინა. გრძნობდა, როგორ უდგებოდა სითბო ხერხემალში და ებერებოდა შარვლის უბე. ცოლი ადგა უკვე თავზე კიბის ფალანგებში ფეხებდაბნეულ და მარტო მიტოვებულს. ადექით, ემუდარებოდა ცოლი. ვერ დგებაო, ეგონა. თამოიძეს კი წამოდგომის რცხვენოდა, გაბერილ შარვალზე იფარებდა ხელს და ცალ თვალს ახარებდა იმისკენ, ვინც ეს უკადრისი ჩაადენინა. ცოლის გულმოვარდნილ კრძენაზე კი შარვლის უბე ეფუშებოდა, ძველებურად ეჩვარებოდა. ცოცხით ჩამოღლეტილი ყური ტკივილით ახსენებდა თანდათან თავს, სიბრაზე და ბოღმა ცვლიდა დამთრობელ სურნელს და სითბოს, ხოლო მკერდსავსე, სახეახურებული პირი, კმაყოფილი რომ იმკლავებდა სვიტერის სამაჯურებს, ისეთივე საზიზღარი იყო, როგორც ბავშვობისას, — ცხვირში რომ თითს იკრიტნებდა.

●

მე მოვითხოვდი ხანთაძის ქუჩის №-9-ში ქუჩიდან მესამე, ეზოდან მეორე სართულზე მდებარე ზედა ფეხისადგილისათვის მეორე კარის შებმის ნებართვას და შესაბამის დასკვნას ამგვარი კარის შებმის ტექნიკური შესაძლებლობის თაობაზე. ხოლო თქვენი განკარგულება, რათა დასახელებულ ორგანიზაციას წარმოდგენა ცნობა ფეხისადგილის ვარგისიანობაზე, ადრესატს არ ჩაბარებია. იგი აღმოჩნდა მომიჯნავე დაწესებულების კანცელარიაში სხვა ნომრით. აღნიშნული მიმართვა საჭიროებს ხელახალ რეზოლუციას და რეესტრის ნომრის შეცვლას. ამასთანავე, თქვენი მითითების საფუძველზე, თურმე პირადად უნდა მიმემართა საქალაქო საბჭოს საღუმელე სამმეროს ქვეგანყოფილების გამგე ამხ. ე. ი. ზალდასტანიშვილისათვის. რადგანაც მსგავსი ორგანიზაციის არსებობაზე წარმოდგენაც არ მქონდა, მივმართე წყალთა მეურნეობის რაბების ჩამკეტი განყოფილების ინჟინერ ი. ე. ზალდასტანიშვილს. ი. ე. ზალდასტანიშვილმა მითხრა,ეს საქმე წესით მე არ მეხებაო და, რადგანაც წყალთა მეურნეობის რაბების ჩამკეტი

განყოფილების ინჟინერმა ი. ე. ზალდასტანიშვილმაც არ იცოდა ქალაქის საბჭოს საღუმელე სამმართველოს არსებობა, მიმართვა დაუბრუნა კომუნალურ მეურნეობას, რომლის სარემონტო-სამონტაჟო განყოფილების უფროსმა მახათაძე კარლომ მიმართვა დააწერა ინჟინერ მარგიევს. მარგიევი შეებულებაში აღმოჩნდა. ვკისრულობ რა საქმის გაჭიანურების პასუხისმგებლობას, გირდგენთ ცნობას ჯანმრთელობის შესახებ და მოვითხოვ ხელახალ განკარგულებას ამხ. ე. ი. ზალდასტანიშვილის სახელზე. ვითხოვ, ქალაქის საბჭოს საღუმელე სამმართველოს ქვეგანყოფილებამ გამოყოს კომისია პაპალონ კუპრიჩიშვილის საერთო ზედამხედველობით, რათა ჩვენდამი რწმუნებულ ხანთაძის ქუჩის ნომერ ცხრა სახლის ეზოდან მეორე სართულზე აღმოჩენილ იქნას საკვამლე მილისა და ბუხრის ნაშთები ან გამქვარტლული აგურების ნარჩენები.

●

ამხ. კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკის! გთხოვთ, არა უგვიანეს ამა წლის თებერვლის შვიდისა გადმოგვგზავნოთ დასკვნა ხანთაძის ქუჩის ცხრა ნომერი სახლის კანალიზაციის ვარგისიანობაზე და საერთო ეზოდან მეორე, ქუჩიდან მესამე, ზევიდან პირველი სართულის თაბორიძისა და კულონბეგიშვილის (მცხოვრებნი ხანთაძის № 9-ში) სადაო-საბინაო ტერიტორიის საზღვარზე არსებული საპირფარეშოს გამტარუნარიანობაზე.

ა. აქვაყოფილებს თუ არა აღნიშნული საპირფარეშო სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებებს. თანაბედროვე გაგებით.

ბ. მუშაობს თუ არა სიფონი მთელი დატვირთვით და იწვევს თუ არა სანიტარული ავზი წყლის გადახარჯვას, ხმაურს მოსაზღვრე სართულის მობინადრის საგარანტიო იზოლაციის შესაბამისად.

გ. შეიძლება თუ არა (გამტარუნარიანობის დადგენის შემდეგ) აღნიშნულ საპირფარეშოს შეებას მეორე კარი არსებული კარისაგან დიამეტრულად საპირისპირო მხარეს.

დ. რა ტექნიკური საშუალებებით შეიძლება აღნიშნულ საპირფარეშოს ნაწილობრივი ავტომატიზაცია. კერძოდ: ფართობის გადიდების ან გადაადგილების გარეშე ერთი კარის გაღება და მეორეს ჩაკეტვა მექანიკურად.

— თაბორიძე! — წყნარად დაიძახა ეზოში შემოსულმა უცნობმა კაცმა დღის თორმეტ საათზე. უსტაცოცხლო მზე ანათებდა და აშრობდა მოპირდაპირე სახლის აგურის სველ კედელს, რიყის ქვით მოკირწყლულიყო, ხურდაშითა და ხრიგლებით გავსებული პატარა ეზოს ცალ კუთხეს.

— რა გნებავთ? — იკითხა საჩეჭში გაჩერებულმა, წელზე სქელწალმოსხვეულმა მაყაშვილის ქალმა.

— თქვენ ხართ თაბორიძე?

ქალმა შეიძლება იფუქრისა თაბორიძეობა, ყოველ შემთხვევაში, შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. იდგა თავაწეული, ხმას არ იღებდა და მუშტისტოლა ჭორფლიან სახეზე უცილაებდა გადაღმა ქუჩაზე მდებარე სახლის ფანჯრის შუშადან ასხლტეული სხივი. ვერ გაეგო, ვინ იყო, რა საქმეზე უნდა ყოფილიყო მოსული ეს ყბამოქცეული, შავი კაცი.

— იძახოდით თქვენ?

— როდის?

— სანამ გარეთ გამოვიდოდი, იძახოდით?

— მე? — გვერდზე შეაბრუნა რაღაცნაირად ამოთეთრებული გუგები და ისევ თაბორიძე იკითხა. ქალმა თაბორიძის ადგილსამყოფელი აჩვენა ნიკაპით, მხედავს თუ არაო, დაინტერესდა თან. შავი კაცი კი ჭიშკრისაკენ წავიდა.

— აქეთ, კაცო, სად მიდიხარ!

— ვიცი, ვიცი.

ჭიშკართან გაჭვარტლული ვედრო დაეტოვებინა და იმას მიაკითხა. საკვამურისა და ბუხრის ნაშთის აღმოსაჩე-

რეჯო ჯეიშვილი
ვაიმე, ჩემო ვენახო

ნად ყოფილიყო მოსული. რაღა მაინცდამაინც შუადღით, სამუშაო საათებში, როცა არავინ არ არი შინ, მოდახარ ხოლმეო, საყეფურით უთხრა ქალმა. პირველად ვარ, ქალბატონო, წაიღიღინა ვედროსთან თავდახრილმა კაცმა, მაგრამ ქალს ამ სიმღერისათვის ყური არ გაუმჟღავნებია და არც ქალს გადაურაზია შესასვლელი, კაცმა რომ თქვას. იგი ისევ გარეთ იდგა და იცდიდა. მებუხრე კარგა ხნის გადაშენებული ეგონა და თუმცა სციოდა, ცნობისწადილი, ნამდვილია თუ არაო, შებრუნების ნებას არ აძლევდა.

ეზოდან მეორე სართულის ფანჯარასთან გაჩერებულ თამბორიძეს ჭანგისფერი პიჟამოს ჯიბეებში ჰქონდა ხელები ჩაწყობილი, იხედებოდა ქვევით და უყურებდა მებუხრეს, ვედროში რომ რაჩხანით გორკლავდა რკინებშებმულ, გაჭაობლულ თოკს.

ფეხაუჩქარებლად ამოვიდა აივანზე და პირდაპირ თამბორიძის ბინას მიაშურა, ვედროს სიმძიმით ცალბეჭმომგდებული გაჩერდა კარსა და ფანჯარას შუა, ჯერ სილუეტს, შემდეგ კი გაშუქისფერებული კაცის პროფილს შეხედა. დაღარული სახე, გახეხებებული ყნლი თმა და თმისფერივე თვალები გაარჩია. ცოტა ხანი უყურებდნენ ისინი ერთმანეთს ცივ სინათლეში. მზე ამამდე ვერ ატანდა, მაგრამ სახურავის ღართან და მოკაუჭებულ გადასაკიდებლებთან ეშვებოდა წყალისფრად და გვერდულად მდგარი მებუხრის ცალხაზიანი რვეულის ფურცელივით ამოთეთრებულ თვალებს ანათებდა. თვალის ფოსოს ძვლებისა და ამობურცული ყვრიმალების მოყვანილობის მიხედვით ხვდებოდა თამბორიძე, როგორი იქნებოდა დაახლოებით ამ ელამი კაცის თავის ქალა უხორცოდ.

— თამბორიძე! — დაიძახა მოწყვეტით. ისე ამოაგდო სიტყვა პირიდან, ტუჩი ტუჩისათვის არ გაუშორებია.

— რა გინდა? — კარი გამოაღო მასპინძელმა.

— საკვამურები უნდა შევამოწმო, ნათლია! — თამორიძე ხართ თუ სხვა ვინმეო, აღარ უკითხავს.

— მარტო მოდი, მერე?! აპალონ კუპრიჩეიშვილის ხელმძღვანელობით უნდა შემდგარიყო ატტი...

— აპოლონი მოკვდა.

— მოკვდა? მერე შენ უნდა ახვიდე სახურავზე?

— აბა, აპოლონი ველარ ავა აწი... მე უნდა გავიდე, ნათლია... — წაიმღერა მებუხრემ. თამორიძე გაყუჩდა და მებუხრემ იფიქრა, მეღოდია მოეწონაო. მასპინძელმა კი ცოტა ხნის შემდეგ უთხრა, კი არ უნდა გახვიდე, უნდა ახვიდეო, გადიან ბლის ხეზე და არა სახურავზეო.

— მართალია, კი, ბლის ხეზეც გადიან და ლეღვის ხეზეც.

— მოიცა, მოიცა, კიბეს ამოვიტან და მივაყუდებ ანდა მივადგამ, კიბის მიდგმა შეიძლება, კიბე გადაადგილებას ექვემდებარება და იმიტომ, ასე არ არი?

— ასეა კი, ნათლია.

— აქაცაა კიბე, საქათმეზე გვქონდა ადრე მიყუდებული, ახლა სარეცხის თოკს ვუბიჯგებთ, სხვენს წვდება, მაგრამ ვერ გავიძლებს...

— სხვენიდან არის გასაძრომი?

— არის კი, მაგრამ ამ კიბეზე ვერ ახვალ.

— მე ვერ ავალ? — გულზე მარცხენა ხელი დაიდო ელამმა, მარჯვენა ვედროსთვის არ გაუშვია და თამორიძემ იმწამსვე იგრძნო „ვერ ახვალ"-ის უადგილობა, თუმცა იქვე დაუშვა მეორე შეცდომა, როცა მებუხრეს უთხრა: ამ ვედროს გამოგართმევ და ხელსაც შეგაშველებ მაშინო. ელამმა გვერდულად გაიცინა ამ სიტყვების გაგონებაზე, ზანტად, მაგრამ შეუფერხებლად ვედროიან-თოკიან-გირებიანად ავიდა თითქმის შვეულად მიყუდებულ ბეწვა

კიბეზე, დაბალ სხვენში შეძვრა და საღღაც იქვე ახრიგინდა კოჭებსა და ლარძაყინებს შუა. ცოტა ხანში კი სახურავის თუნუქი აჯლაყუნდა, თუნუქის ჯლაყუნს მებუხრის ხმა ჩამოყვა, შემდეგ გირი ჩამოფხოკიალდა თაბორიძის ზედა სართულის კედლის ღუმელში. აქ არა, აქ არაო, გაბმულად დაიძახა რამდენჯერმე აივანზეით გადმოყუდებულმა, კისერზევით აღრეცილმა და ხელისგულებში პირ-ბაგე მოწყვდეულმა თაბორიძემ. თაბორიძეს მაყაშვილის ქალი ჰყვა. ქალი რომ გაჩერდა, მებუხრემ ჩამობერა, ბოლოს ყველანი გაჩუმდნენ, თუნუქის ჭრიალიც მიწყდა და საკვამურში გირის ფხოკიალიც.

ხანთაძის ქუჩის ცხრა ნომერი სახლის სახურავიდან თავდაღმართად დაშვებული ვიწრო ქუჩები და ძველი სახლების ყავისფერი სახურავები ჩანდა. ქუჩები ბილიკებად ეშვებოდნენ მთავარ გზაშარებზე, მოედნებსა და ხიდებზე. გატოტვილი კაპილარებიდან შეუმჩნევლად ივსებოდა, იბერებოდა, იკუმშებოდა და ხმაურობდა ქალაქი. დანაწევრებული ხმები ერთმანეთში იწნებოდნენ, მოიწევდნენ ზევით, იმსხვრეოდნენ გზადაგზა და ნაწილ-ნაწილ ცვიოდნენ სახურავზე. მუქად შეღებილი, სხივდაყრილი თუნუქი მაინც ისე ხურდა, რომ სახსრებში ჩაკეცილი, ბალიშებში ბრჭყალებშემალული კატა ჩრდილს ეძებდა ჩაჟანგულ, ჩახმელ-ფოთლებულ ღვარსადენში.

„... რა უბედური ცხოველია, გამაგებინა, რას ფიქრობს და მომკლა თუ გინდა მერე!“

— რას აკეთებ, კაცო, აქ?! — კითხულობდა სხვენის სამერცხლედან გამოყოფილი თაბორიძის თავი. გოცებული, ჟრუნი თვალები მიჩერებოდნენ საკვამურთან მხართეძოზე წამოწოლილ მებუხრეს.

— მზეზე ვთბები, ნათლია.

— ხომ არ მოკვდაო?ვა, კინაღამ გადავირიე, ჩემი ხმა არ ამოდიოდა, აქ?

— შენიც იყო ალბათ, რა ვიცი...

— მერე მე სხვა საქმე და სანაღვლო არაფერი მაქვს, თუ იცი?! ვინალიბეს

— რა გაქვს სანერგიულო, ნათლია... ამ სახურავზე ხომ არავინ გედავება, ჯერჯერობით, წამოწექი აგერ საკვამურთან, ზამთარში თბილა. ზაფხულში გრილა, იყიდე ერთი დურბინდი და დღე ქვევით იყურე, ღამე ზევით, ანდა პირიქით...

— ჩამო, ჩამო, თუ კაცი ხარ!..

საქმის მასალებით, ადგილობრივი დათვალიერებით, ტექნინვენტარიზაციის ბიუროსა და საგანგებო კომისიების დასკვნებით დადგენილია: ხანთაძის ქუჩაზე მდებარე ცხრა ნომერი კერძო საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ორ და სამ სართულიან არქიტექტორულად და იურიდიულად ორ დამოუკიდებელ, ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმულ ნაგებობას: ერთი ეზოთი, ერთი შესასვლელით, ერთი პიშვრით, ორი სახურავით, რამდენიმე დამხმარე სათავსოთი და სამი საპირფარეშოთი. აღნიშნული სახლი ნომერი ცხრა ზემოთ ჩამოთვლილი ატრიბუტებით (აშენებლისა და თავდაპირველი მფლობელის ვინაობა დაუდგენელია) შეუძენია მეფის არმიის ოფიცერს ვინმე კობიევს. კობიევის გადაყარგვის შემდეგ (დაიღუპა ემიგრაციაში) კობიევის ქვრივ ერმოლინსკაიასაგან 1922 წელს სახლი მთლიანად შეუსყიდია ჭუთარი ქირთავს, რომლის შვილმა ნორმანიმ ომის დაწყების წინ აღნიშნული სახლის ორსართულიანი ნაწილი მოისხვისა ვასო სერგოს-ძე კულონბეგიშვილს. ომის დამთავრების შემდეგ ნორმანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვალტერ ნორმანის-ძე ქირთავამ სახლის დარჩენილი სამსართულიანი მხარე ანუ ნაწილი ზიარი საპირფარეშოთი, დამხმარე სათავსოებით, მდგმურებით მიჰყიდა გიორგი რაჟდენის-ძე თაბო-

რაჯო ჟღენტი
ვაიმე, ჩემო ვენახო

რიძეს. ეზოდან პირველ, ჭუჩიდან მეორე სართულზე მდებარე სადაო საპირფარეშო, რომლის გამოთავისუფლებასაც მოითხოვს თამრიძე, მართალია, ეკუთვნოდათ თამრიძესაც და მდგმურებს კობზიანიძეებს, მაგრამ იგი (საპირფარეშო) მდებარეობდა და მდებარეობს ამჟამადაც ორსართულიანი სახლის ფართში. თუმცა ამხანაგმა თამრიძემ სახლი იყიდა მდგმურებიანად, მაგრამ ნასყიდობის სიგელში საკუთარ საპირფარეშოზე, მითუმეტეს მის მიმდებარე ტერიტორიაზე, არაფერია ნათქვამი. უფრო მეტიც, დადასტურებულია, რომ საპირფარეშოს ფეხის ქირას კობზიანიძეები უკანონოდ (რისთვისაც თავის დროზე კულონბეგიშვილს მიეთითა კიდეც) უხდიდნენ ორსართულიანი სახლის მეპატრონეს. კობზიანიძეების გარდაცვალების შემდეგ სართული დარჩა თამრიძეს, საპირფარეშო და საკუჭნაო, რომელიც შემდეგ გაფართოვდა სასადილო ოთახის ხარჯზე და გადაკეთდა სააბაზანოდ, დარჩა მის კანონიერ მფლობელს — კულონბეგიშვილს. ბინის აღრინდელი მფლობელის ვალტერ ქირთავას განცხადება კი — აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა სამზარეულოსა და ბუხარსო — სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან მითითებული ალაგის შვეულ ანათალზე საკვამური მილის ან ბუხრისდამაგვარი მინაშენის კვალი არ აღმოჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სადაო ფართი მდებარეობს შუა სართულზე, რომელსაც ქირთავა ქვედას უწოდებს. ქირთავასათვის ქვედა სართული ახლაც ქვედაა და იგი მდებარეობს ჭუჩიდან პირველზე, ხოლო თამრიძის ზემოთ განცხადება — ქირთავა ქვედას უწოდებს შუანას, შუანას უწოდებს ზედას და ზედას ქვედასო — მისი არასერიოზულობის გამო მხედველობაში არ მიიღება.

ტექინვენტარიზაციის ბიუროს მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი აღრიცხვის შედეგად გამოვლენილ ზედმეტ ოთახს, ოთახების შებრუნებულ გადანომვრას, ცალკეული სადგომების, კვადრატული მეტრების ზომისა და ქირის რენტის ჯამის სხვაობას საპირფარეშოების გადანაწილებასთან საერთო არა აქვს.

ქალაქის საბჭოსთან არსებულ წყალსანტექნაყვანილობის სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილის მდივნის ბაგრატიონის დასკვნის და კულონბეგიშვილის უარის მიხედვით, აგრეთვე ჩვენს ხელთ არსებულ ტექნიკურ საშუალებათა უკმარობის გამო ზედა საპირფარეშოსათვის საპირისპირო მხარეს მეორე კარის შებმა მიზანშეუწონელია. ყველა აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგია ადრინდელ გადაწყვეტილებებს და დადგენილებებს ტოვებს ძალაში.

უწმინდესი მამაო თადეოზ, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამსახურებულო მოღვაწეო, გათხსრებული კულონბეგიშვილის მეზობელი გაწუხებთ კვლავ. ერთი ორიაო, მარწმუნებენ პატივცემულო მამაო, ერთი თუ ორია, ორი სამი იქნება, სამი ოთხი აღმოჩნდება და ასე შემდეგ და სანამდე წავალთ, თქვენ თავად მიხვდებით. ხალხზე ზრუნვით შეწუხებულს, სადა გაქვთ ან დრო, ან მოცალება, მაგრამ იქნებ ორიოდე სიტყვა შემაწეოთ საზღვარგარეთის მართლმადიდებელ ცენტრებში, უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანის სახელით მიშუამდგომლოთ იქნება, რათა მფარველობის კალთა გადაფაროს გიორგი რაჟდენის-ძე (ცოლი მორწმუნე) თამრიძეს, თუ არა და მაშინ თქვენ ამიხსენით: თუ კულონბეგიშვილის ფართში (როგორც მომტკიცებენ, დამოუკიდებელ სახლში) მოქცეული ჩემი საკუთარი ფეხისალაგი კულონბეგიშვილის საკუთრებაა, თუ იმავე ფართში დარჩენილი ზიარი ფეხისადგილი ისევ კულონბეგიშვილის საკუთრებაა, ჩემს ფართში, ჩემი საცხოვრებელი ბინის წინ და ქვეშ მოქცეული ზიარი

ფეხისალაგი რატომ არის მაინცდამაინც ზიარი და არა — ჩემი?.. რა დღეში ვარ, მამაო, შემხედეთ... ჩემი საკუთარი ფეხისალაგი სხვას უპირავს და სხვასში მეპაიჟი ვარ ჩამდგარი. ამაზე მეტი, ამხანაგო თადეოზ, დამცირება, ქართველი კაცის აბუჩად აგდება იქნება...

საწერ მაგიდასთან ჩაყვინთა და საკუთარმა ხვრინვამ გამოაფხიზლა ცოტა ხნის შემდეგ. მიიხედა, მოიხედა კალამი მოიმარჯვა კვლავ და მიხედა, ძილს თავს ვეღარ წაართმევდა. იღრუბლებოდა, ჩანდა, წვიმას აპირებდა, რადგან სახსრები ტკიოდა, კვირისთავები უხურდა. ცოლი აუთოებდა და ტელევიზორს მიჩერებოდა თან. გაყიდოთ, გიორგი, გაყიდოთ, წავიდეთ აქედანო, იმეორებდა მომაბეზრებლად. უგდებდა თუ არა ვინმე ყურს უთოობითა და ტელევიზორის ყურებით გართულს, არ აინტერესებდა. სად წავიდეთო, ამთქნარებდა თაბორიძე და მძლავრად დაჭერილი კალმით კიდებაპრეხილ თაბახის გვერდებს თავდაღმა აწყობდა. მიმოწერას ცოლთან არ ათანხმებდა, დაფარვითაც არაფერს ფარავდა, მაგრამ ამ ეპისტოლეს მალავდა და სწორადაც იქცეოდა. ღვთისმოსავი ქალი, მართალია, ხარებას ბზობისაგან ვერ ანსხვავებდა, მაგრამ მამაო თადეოზის შეწუხებისათვის ქმარს უეჭველად საყვედურს ეტყოდა, თუ უარესს არ მოიმქმედებდა.

დაწვა და ალარ დაეძინა. გუნებაში აღრმავებდა, ახალ-ახალ არგუმენტებს უმატებდა წერილს და რატომ ალარ მეძინებაო, ბრაზობდა. ტელეგადაცემები დამთავრებულიყო. ნამიანი და ცხელი თეთრეულის სასიამოვნო სუნი ალარ მოდიოდა ოთახის კუთხიდან. ცოლი ხატს მიჩერებოდა, პირჯვარს იწერდა და ბუტბუტებდა. „წამდეს მაინც, ჭოლგის არ იყოს“, ნერვები ეშლებოდა თაბორიძეს. „რა იყო ის, არც წვიმდა, არც მზე აცხუნებდა და გაშლილი ჭოლგით მოდიოდა. თუ წვიმს, კი, მესმის, თუ არ წვიმს, ჭოლგა რად გინდა?! სად მჭონდა ჭოლგა მაშინ, ცალ-ცალი კალოშითაც თხლაშუნია ჟვაში და ტალახში... სანამდე უნდა მეწანწალა სოფლიდან სოფელში?.. გაფახულებდნენო, ხალხს უყვარდიო. ვუყვარდი, მართალია, მაგრამ რა შრომის, რა ჯაფის, რა წანწალის ფასად. ჩემს ფუძეზედ დამკვიდრებაც შეიძლებოდა, მაგრამ ჩემს უჯიათ დებს შენ შეასმენ რამეს?! დედაჩემი ცას ხომ არ გამოეკერებოდა, დაგეტოვებდა ადრე თუ მალე, ცხადი იყო. გვინახა და გვინახა იქაურობა, დავბრუნდებოდი ეგონა, როგორ დაპატარავდა საწყალი. როგორ დარგეს ერთ დღეს მეურნეობის მუშებმა უკუღმა ხეხილი, რატომ გამიკეთეს? რატომ ჩაიდინეს?..“ თავსხმა წვიმა წამოვიდა უცბად ჩამოიქცა ცა ამ ადრიან გაზაფხულს. „...მერე რა, ამხაირ წვიმაში და თავსხმაში მივლია?!“ თავდაღმა დარგული, ტოტებჩაფლული და ფესვებაშვერილი ხუთასი ნერგი ქანაობდა ქარში. „...ეს იყო საქმე!.. ის ბავშვი რომ არ გამოგეცლოდა ხელიდან, სხვანაირად აეწყობოდა / ჩვენი ცხოვრება“. ორმოცდახუთი წელი გასულიყო მას შემდეგ, ორმოცდახუთი. ქამიდან ქამზე დახედავდა შვილის საფლავს რაიონში. გარდასულ მოგონებასავით შორეული ხდებოდა და მოგონებასავით ფერმკრთალდებოდა არა მარტო ბავშვის ხატება, არამედ საფლავიც, ყოველ ჩასვლაზე რომ მოკლებული ეჩვენებოდა. ქვაშემოყოლებული სამარე, აფერდებული მარმარილოს წარწერიანი ფილა უფრო და უფრო ეფლობოდა მიწაში, იაუჟებოდა ბალახებში და ბუნდოვანებაში. ფოთოლგაცვენილი ხურმის მოზრდილი ხე გადაფარებოდა ცხედარს. უფოთლო ტოტებზე შერჩენილ, გადამწიფებულ, გვერდებამოკენკილ ხურმის ნაყოფს მოყავისფრო ფერი დაეფინა ნარმის სუდარაზე. წვიმდა. აწვიმდა დანგრეულ საყდარს, საფლავებს, უკუ-

ღმა დარგულ ნერგებს. თხმელის ხეებზე აბღოტებულ აზაბელას მიდნობილ ლერწებს. ჯურმის ნაყოფი ჭვიოდა სისველეში. მთვარის სხივების ბლონდი ეფინა მზესუმზირის ყვითელ გულს. ქომმ მით ტაბორიძე, გეენ ვირ, ქომმ მით, ქომ მით, ვო ბისტ დუ დენ, ტაბორიძე, ქომმ მით!.. წვიმა ასხამდა მზესუმზირის ყელგადახრილ ყანას, წყალი მოთხლიშნობდა ღვარსადენებიდან, ქარშიშხარი ეხლებოდა ყავისფერ, ალაგ-ალაგ აქერცლილ აივნის სვეტებს. ჭუჩაში ელექტრონის მავთულები ტკაცუნობდნენ და ნაპერწკლებს ისროდნენ. ქრებოდნენ და ინთებოდნენ ჭუჩაში ნათურები. პიჯაკმოხურულ ვალტერ ჭირთავას ხვანჯარი ეჭირა ხელში, წელქვევით ნიფხვისა და ნასკებისამარა დარჩენილი ამოდიოდა კიბეზე, ფეხაკრეფით უხვევდა კულონბეგიშვილების ოთახებისაკენ. „ზედა ფეხისადგილში ვერ შევა?!“ უკვირდა საწოლში წამომჯდარ, მძინარე თაბორიძეს. „ჩაკეტილი დარჩათ ალბათ, იღბალი რომ არ გექნება!“ ქარშიშხარის ხმაურზე, ელექტრონის ნაპერწკლების ტკაცან-ტკაცანზე განათდა და გაქრა ვალტერ ჭირთავას სოლივით სახე. ფუი, ეშმაკს, იძახდა მძინარე თაბორიძე წვიმის ხმაზე, საბანში ეხვეოდა და ბორგავდა.

●

„ეს მართლა აქ ყოფილა!“

მზე ამოდიოდა, ნაწვიმარ ასფალტს ნისლივით შორდებოდა სისველე. ჭიშკარგადაღმა ხესთან იდგა და მუნდშტუკში აკვეხებდა სიგარეტს. იალკალზე ამდგარი თვალებდაწითლებული ახველებდა და იფურთხებოდა. შეეტყო, არ ელოდა ამ დილადაღიან თაბორიძეს. ძნელი მისახვედრი არ იყო, სხვას უცდიდა და სხვას გადააწყდა. წინ და უკან თავზე გადამჯდარი ვიწრო ქუდი ეხურა გრძელ პალტოში და ჩექმებში გამოწყობილ თხელ კაცს. ხელი ჩამოართვა თაბორიძეს, სიგარეტი გააკვეხა გლარჯის მილში როგორც იქნა.

— როგორ ბრძანდებით, პატივცემულო ვიორგი?! — დაიხარა, ხის ძირას სველი მიწა მოზომა და მონიშნულ ალაგს დააფურთხა, ჩაიწმინდა ხმა, ტუჩები მოიმშრალა ცხვირსახოცით. თქვენ თავად როგორ ბრძანდებით, ღიმილით ჰკითხა თბალმისწორებულმა თაბორიძემ, როდის ჩამობრძანდითო.

— გუშინ ჩამოვედი ფაქტიურად...

— გუშინ?

— აბა?

— ადრეც ბრძანდებოდით, თუ არ ვცდები...

— ადრე ვიყავი კი, ათი წლის წინ ვიყავი...

თაბორიძემ უნდოდ გაიღიმა და წასვლაც დააპირა, თუმცა არ აჩქარებულა.

— ...არ მომეშვა წუხელი მაგი, მომკლა კინაღამ, მერე აქეთ წამომვუყვანივარ, ვეცდი ახლა. რა მინდოდა აქ, როცა ნომერი მაქვს მშვენიერი სასტუმროში, შენი სახლი ნახეო, სახლი არაა სასტუმრო?.. ჩემი ის მუშაობს იქ ადმინისტრატორთან, ნომერი კარგი. დამაგლო ხელი, მაინც წამომაყვანა, ნახეო, შენი სახლიო... ასე იცის თურმე მაგან. არ იფიქრო, გიორგი... არ მოდის ჯერ, ნუ გეჩქარება, არ იფიქრო, ეს ამბავი რამეს ნიშნავდეს, არ გეგონოს, ჩემი სიტყვისა და ჩემი დაწერილი ქაღალდის უკან წაეებას ვაპირებდე, სიმართლეს არ ვუღალატებ, გიორგი, მამის სულს გეფიცები...

— ნორმანი, აცხონოს ღმერთმა, პატიოსანი კაცი იყო, ვალტერ!

— იყო კი, რატომ მეუბნები, გიორგი, მაგას?.. არ ქონდათ კარგი სიგარეტი რესტორანში, ეს არ ვარგა... ცხონებული ნორმანი პირიანი კაცი იყო, კი... შეხსენება არ მჭირდება, გიორგი. მერე რა, ჩემზე მეტს რომ სვამს, ჯერ ერთი ახალგაზრდაა ჩვენთან შედარებით... მე აგერ, შენი არ იყოს, სამოცდაათს მივაბჯინე. ისე იმ ხელწერილში ცოტა ზედმეტი მომივი-

და, გიორგი, გენდე, დაგიჯერე, რაც არ მახსოვდა, ის გავიხსენე, ნორმანის სულს გეფიცები. ეს არაფერს არ ნიშნავს მაინც. როგორ არი ქალბატონი ირინა? ვერ შეგხვედით ერთმანეთს, და ვიცი მე, რომ არ ვარგა ასე... სხვა რა ამბავია აქეთ? ჩემზე მეტს სვამს და რა გინდა ქნა!.. ჩვენზე ახალგაზრდაა და ამა რა იქნება... ჩემი წინა ფული აქვს ჯიბეში და მაინც არაფერს არ ნიშნავს ეს, გიორგი, მე სხვანაირი კაცი ვარ, ნორმანის სულს გეფიცები, იცი შენ ეს, გიორგი...

●

თამბორიძის დამცველი, ადვოკატთა კოლეგიის ნამდვილი წევრი ოთარ ლობჟანიშვილი რომ ლაპარაკობდა, მოსამართლე ეზეკია ვალტერ ჭირთავას ხელწერილს კითხულობდა.

— როდის დაწერეთ ეს თქვენ? — ჭირთავას მიაჩერდა მოსამართლე, ხელწერილი ასწია და დაანახა მსაჯულ ჭალს, მელიის ბეწვის საყელოიანი პალტოთი გაბუტულივით რომ იჯდა. მსაჯულმა ჭალმა ცალი თვალით დახედა ხელნაწერ გვერდს, კარგად მიხვდა, უნებურად რომ გამოუწია თავმჯდომარემ.

— ეს ფაქტიურად მე დავწერე გუშინ... — ფეხზე გადადებული ფეხი ჩამოიღო პირველ რიგში მჯდარმა, მხრებზე პალტომოხურულმა ვალტერ ჭირთავამ.

— როგორ, გუშინ?.. აჰ აწერია თორმეტი მესამე თვე, თუმცა სწორია, მესამე თვეა. დაბრძანდით, თქვენ გაგაგრძეთ! — ლობჟანიშვილს მიუბრუნდა ლაშა ეზეკია, ჭირთავას ჩვენება შეინახა და ახალი ხელწერილი გამოაძრო „საქმიდან“. მსაჯულმა ჭალმა, მელიის ბეწვის საყელოიანი პალტო რომ ეცვა, თავი გადაწია და მაგიდასთან წახრილი თავმჯდომარის ზურგსუკან მსაჯულ კაცს ჰკითხა, თუ იცით, შენობას ათბობენო?

— გაზაფხულდა უკვე, ქალბატონო, კალენდრით... — უპასუხა წითელთმიანმა კაცმა.

— რა ბრძანეთ? — ხელნაწერი გვერდის კითხვით ამოღომებულ თვალებში მოისვა ხელი თავმჯდომარემ, განაგრძეთო, უთხრა ვეკილს და ისევ ჩაღრმავდა.

●

დიდი სამამულო ომის მონაწილის, სოფლის მეურნეობის თვალსაჩინო მუშაკის, ამჟამად დამსახურებული პენსიონერის გიორგი.რაჟდენის-ძე თამბორიძის მომართვით დაიწერა დახასიათება, რომელსაც, იმედია, ყურადღებით გაეცნობით. მოჭალაქე თამბორიძე ხანთაძის ცხრა ნომერი სახლის სადაო კომუნალური თუ ადმინისტრაციული, ადრე მსჯავრგამოტანილი საკითხების ხელახლა გადასინჯვას ითხოვს კანონიერების ფარგლებში. ჩვენ გულდასმით გავეცანით მოჭალაქე თამბორიძის თხოვნა-მომართვას, ობიექტის ადრინდელი დათვალიერებით შეგისწავლეთ დოკუმენტური (რაზეც ხელი მიგვიწვდა) მასალა და გამოვიტანეთ ზოგადი ხასიათის დასკვნები. ხანთაძის ჭუჭის ცხრა ნომერ სახლში, თუ მდგმურებს და-ძმა ბიძაშვილ სტუდენტებს არ ჩავაგდებთ სათვალავში, ცხოვრობს მხოლოდ ორი ოჯახი, რომელთა შორის მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. კულონბეგიშვილის ოჯახის მრავალრიცხოვანი წევრები, რომელთაც გარე მეზობლების უმრავლესობა უჭერს მხარს (სამწუხაროდ, სტუდენტი მდგმურების პოზიცია ვერ დავადგინეთ), აშკარად ჯაბანან თამბორიძე-მანაგაძის ალიანსს ა რ ა მ ა რ ტ ო ძ ა ლ თ ა ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი ს დ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ. დავა აღნიშნულ ოჯახებს შორის, წლების განმავლობაში რომ გრძელდება, ზენტშია და მისი ადმინისტრაციული ზედამხედველობით ჩაჭრობა ყოველდ

რეზო მჟავანაძე
ვაჟიშვილი, ჩემო ვენახო

შეუძლებელია. ჩვენი დაკვირვებით, საჭიროა პარტიული და პროფკავშირული ორგანოების აქტივობა, პრესისა და მხატვრული ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენელთა ქმედითი ჩარევა სამართლიანობის დადგენისა და აღდგენის მიზნით.

უმაღლესი განათლების მქონე, სოფლის მეურნეობის (აგრონომი) დამსახურებული მუშაკი გიორგი თაბორიძე ამჟამადაც საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. ომის დროს მუშაობს ლიტერატურის ინსტიტუტში და ხელყოფისაგან იცავს ლიტერატურულ საგანძურს, ლიტერატურულ მემკვიდრეობას. პატიოსანი შრომითა და გარჯით (სხვებზე ამ სიტყვების ხმარება გაჭირდება) შეძენილი აქვს კერძო სახლი, რომელსაც შეძენიდან დღემდე ბევრი არაფერი შემატებია არც შიგ (ავეჯის სახით), არც გარეთ, რასაც ვერაფრით ვერ გიტყვით მენახევრე, მოდავე მეზობლის ბინაზე. ამხანაგი თაბორიძე სოფლის მეურნეობაში, საომშენებლო საქმეში, განსაკუთრებით პოლიტიკაში გათვითცნობიერებული პიროვნებაა, განვითარებული აქვს თავაზიანი ჩვევები და მანერები, რასაც მოპირისპირე დაჯგუფების წევრები ჯერჯერობით არ ამჟღავნებენ. ცოლი თ. მანაგაძე ჭაუხაკალული, შრომისუნარმოკლებული ბავშვების აღმზრდელი, საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს პედკოლექტივში და ჭკუასუსტ აღსაზრდელებში. ზრდილი, ლმობიერი და თავშეკავებული პიროვნება დიდი ხნის დავისა და ჩივილის გამო დათრგუნული, ფიზიკურად და სულიერად გატეხილი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს, ვერ იტანს უწესრიგობას, უსუფთაობას, ხმაურს და შვებას არარაელურ, არარსებულ, ჩვენი ჯანსაღი საზოგადოებისათვის მიუღებელ სამყაროში ეძებს.

გთხოვთ, საქმის მსვლელობის დროს გაითვალისწინოთ ზემოთჩამოთვლილი დებულებანი და ყურადღება მიაქციოთ ხაზგასმულ წინადადებებს.

გ. კლომძლეწავიშვილი
ც. ჭანდარიძე

●

მამაჩემი ნორმანი ქუთაისის-ძე ქირთავა, სოციალური წარმოშობით გლეხი, ყარაულად მუშაობდა სახერხში. ქუთაისი ქირთავა სოფლის დიაკვნის შვილი გახლდათ ახალი სენაკის მაზრიდან. ცხონებულ ქუთაისის დაწყებითი სწავლა ხონში მიაღებინა მამამ. ხონის პირველდაწყებითი რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდგომ ამხანაგმა ქუთაისმა მუშაობა განაგრძო ხონისში. ბევრი იმუშავა და თავისი დანაზოგითა კომბიევის ქვრივისაგან 1922-სა წელსა ერმოლისკაიასაგან იყიდა სახლი ხანთაძის ჭუჩაზედა დამბარე ნაგებობებითა, სათავსოებთა. ჭუჩიდან სამი სართულითა, ეზოდან ორი სართულითა, მდგმურებითა და ფეხისადგილებითა. ქუთაისის გარდაცვალების შემდგომ ნორმანიმ, ე. ი. მამაჩემმა, ნაწილი სახლისა ექვსი ოთახითა და სხვა დამხმარე სათავს-ნაგებობანითა გაასხვისა კულონბეგი შვილზედა ვასო სერგოს-ძეზედა. დარჩენილ სამსართულიან ნაწილში (თითო ოთახი თითო სართულზედა) ომის ძლევამოსილად დამთავრებამდე ცხრა ვრცელი ოჯახი ჩვენ მდგმურებიანად. ნორმანი რომ მოკვდა (ჩემი ძმა ფრონტზე იბრძოდა და დაიჭრა), დედაჩემის სურვილისდამიხედვით სამსართულიანი სახლი სათავსოებითა, მიწითა და ეზოთი გაყვანილობით მივასხვისეთ თაბორიძეს და რადგანაც იგი გადაფორმებული იყო ჩემზედა სანოტარო საბუთისა ძალითა, ნორმანის გარდაცვალების წინა პერიოდში დამტკიცებული ვიქმენი მემკვიდრის უფლებით, რაზედაც არსებობს სამოქალაქო-სამემკვიდრეო წიგნები. მოქალაქე თაბორიძეს მდგმურებ-კობზიანიძეებიანად (ქმარი ეკონო-

მისტი) ეჭირა აღნიშნული სამსართულიანი სახლი, რომელიც არის ორსართულიანი სახლის ნაწილი და შეადგენს ერთი სახლის მეორე ნახევარს ერთი მესამედი წილის შეფარდებით, ერთნახევარზე ცოტა მეტით სიგრძეში, ერთნახევარზე ცოტა ნაკლებით სიფართეში სიმაღლის გათვალისწინების გარეშე. რასაც ხელმოწერით ვადასტურებ.

●

—ეს თქვენ დაწერეთ თუ დააწერინეთ ვინმეს? —ისევ იკითხა ლაშა ეზეკიამ, ქალაქის აღრე გაუწევია. საგანგებოდ შეკერილი შავი კოსტუმიდან რძისფერი პერანგის მაღალი საყელო და ბუსუსებიანი, ლურჯი ყელსახვევი მოუჩანდა, ჩამცმელ კაცს გავდა და, მიხვრა-მოხვრაზე ეტყობოდა, ეს სამოსიც კარგა ხნის გაშინაურებული ჰქონდა.

—ეს მე დავწერე ფაქტიურად კარნახით...

—ნუ წამოდგებით, ადგილიდან მიპასუხეთ, უკაცრავად, ბატონო ოთარ, თქვენ განაგრძეთ...

„რანაირად განვაგრძო!" წაიხარა და სქელი ხელსაცულები დაიბერტყა მაგიდას.

—კარნახითო, ბრძანეთ, უკარნახეთ თუ გიკარნახეს!?..

— ასეც იყო და ისეც... ერთი შეხედვით...

— ვერ გაიგეთ, როგორც ვხედავ, დააწერინეთ თუ დაგაწერინეს?

— მე დავაწერინე, რასაც ვადასტურებ...

— გასაგებია, გასაგები... — ხელნაწერს ჩააჩერდა. — თქვენ განაგრძეთ, ბატონო ვალტერ, არ შეგიძლიათ უფრო გასაგებად რომ დაწეროთ?

—როგორ არა!

—მაგალითად, აღრინდელ ხელწერილში, რომელიც თქვენ თაბორაძეს მიეცით, წერდით: ქვედა სართულზე იყო სპირფარეშო და მომდებარე ტერიტორია, სადაცა, პოლკოვნიკ კობიევს (კობიაშვილი იყო სხვათა შორის კაცი) ჰქონდაო სამზარეულო, თქვენ გინახავთ ის სამზარეულო?

—ნახვით არა, მაგრამ მახსოვს.

—როგორ გახსოვთ?

—ბუნდოვნად.

—მოითმინეთ, ბრძანდებოდეთ, ნუ ადგებით, თუ არ გინახავთ, როგორ შეიძლება გახსოვდეთ ან ცხადად, ან ბუნდოვნად?

— გადმოცემით ძირითადად.

— აქ არ წერია, რომ გადმოცემით გახსოვთ...

— არა, ხომ?

—უფრო მეტიც: საექსპერტო ძიებით, ქალაქის საბჭოს საღუმელე სამჭროს განყოფილების დასკვნით და ადგილზე დათვალიერებით, მითითებულ ტერიტორიაზე საკვამლე მილი და ბუხრის არავითარი ნაშთი არ აღმოჩნდა.

—არ აღმოჩნდა?— წამოდგა ჭირთავა.

მესტენოგრაფე ქალმა ისარგებლა რა მოულოდნელი პაუზით, ჭირთავას „არ აღმოჩნდას" შვიდი კითხვის ნიშანი დაუსვა, მართალია, ექვსი წამალა, მაგრამ ამ ინტონაციას ზუსტად ამდენი და ამნაირი სასვენი ნიშანი ჭირდებაო, დაასკვნა და მისმა ფონეტიკურ-ლინგვისტურმა ინტუიციამ განაცვიფრა თავადვე.

—თქვენ ამბობთ,— გვერდზე გაყოფილი, ოდნავ დატალღული თმა გაისწორა, — უფრო სწორად, წერთ, კი არ ამბობთ, ქვედა სართულის საპირფარეშო გვეკუთნოდა საკუთრივე ჩვენო, რას გულისხმობთ ქვედა სართულში?

— რასაც თქვენ, იმას... რასაც ბატივცემული სასამართლო გულისხმობს...

—გასაგებია, მაგრამ თუ თქვენი ყოფილი ბინით ანგარიშობთ, თქვენი ქვედა ჭუჩიდან პირველია, ხოლო კულონბეგიშვილების ქვედა ჭუჩიდან მეორეა. ასე არ არი?

—ასე არი, ნამდვილად...

რეზო ჭეიშვილი
ვაიმე, რემო ვენახო

—სად იყო თქვენი საკუთარი საპირფარეშო, ქუჩიდან პირველ სართულზე, ეზოდან პირველ სართულზე თუ ქუჩიდან მეორე სართულზე?

— ქუჩიდან მეორე სართული იყოვე შუა სართულია ქუჩიდან, ზევიდან პირველზე, უფრო სწორად, ზევიდან პირველი ერთით ქვედაა ეზოზე ანდა ეზოდან...

—თქვენ საკუთრებას რომელი წარმოადგენდა — ეზოდან პირველი თუ ქუჩიდან პირველი?

— როგორ?

— ეზოდან პირველითქვა, სასამართლო გეკითხებათ, თუ ქუჩიდან პირველი?

— სხვადასხვაა მაგ, ეზოდან პირველი ზევიდან მეორეა და ქუჩიდან პირველი...

— დაწერეთ, თუ შეიძლება.

— გასაგებად?

— დიახ, გასაგებად. დაწერეთ გარკვევით ეზოდან (ქუჩას დავანებოთ თავი) რომელ სართულზე მდებარეობდა თქვენი საკუთარი საპირფარეშო. იყო თუ არ იყო, გახსოვთ თუ არ გახსოვთ, გინახავთ თუ არ გინახავთ კობიევის ყოფილი სამზარეულო და ბუხარი, შეგიძლიათ გაბრძანდეთ, აი იქით, მოსაცდელში, უკაცრავად, ბატონო ოთარ, თქვენ ხომ არა გაქვთ შეკითხვები?

— როგორ არა, — ხელები გაიშალა ლობჟანიშვილმა. — ახლაც შეეკითხები და ჩემი სიტყვის დასრულების შემდეგაც.

მოსამართლემ თავი დაუქნია, მაგრამ მისკენ აღარ გაუხედია, ხელწერილი ფურცელი გამოაძრო ისევ დანომრილი საქაღალდედან და კითხვა დაიწყო.

— პატივცემულო ნორმანი. — ქირთავასკენ შებრუნდა ვეკილი.

— ვალტერი.

— უკაცრავად, ვალტერი, პატივცემულო ვალტერი, ზედა საპირფარეშო, ზედა ნიშნავს იმას, ზევით რომ აღარ არი არაფერი....

— გაგვიგია, კი.

—ესე იგი, ზედა, ამჟამად კულტურული გაშვილის მიერ მითვისებული და ჩაბოქლომებული საპირფარეშოთი სარგებლობდით თუ არა, ნუ აჩქარდებით, დაფიქრდით და მოახსენეთ სასამართლოს.

—მე ვსარგებლობდი თუ არა?

— თქვენ და თქვენი ოჯახი, სარგებლობდით?

— ნაწილობრივ, რასაკვირველია.

— რას ნიშნავს ნაწილობრივ?

— როგორ რას ნიშნავს? — უკან მიიხედა ქირთავამ, ცარიელი დარბაზი მოათვალიერა, ბეჭებზე მოსხმული შავი პალტო გაისწორა, ჯიბიდან დაკეცილი ცხვირსახოცი ამოიღო, აუჩქარებლად გაშალა, მოისვა ენაზე და ლობჟანიშვილს მიაჩერდა.

— ნაწილობრივო, ამბობთ თქვენ: ნაწილობრივ მე ასე მესმის... შედიოდით აღნიშნულ საპირფარეშოში, გადიოდით, გამოდიოდით, როცა გინდოდათ, ასეა?..

— დაახლოებით. — ცხვირსახოცი დაკეცა და ისევ ჯიბეში ჩაიდო.

—შედიოდით თუ არა შიგ, მოკლედ რომ ვთქვათ, საპირობის შემთხვევაში?

— ვინ დამიშლიდა თუ არა, კი... — ისევ უკან მიიხედა რატომღაც. — ჩემი რომ ყოფილაყო, მე დავუშლიდი საპირობის შემთხვევაში თუ რა, არ გვქონია ჩვენ გლახა მეზობლობა, ყოველ შემთხვევაში...

— მეტი შეკითხვა აღარა მაქვს.

— გაბრძანდით და დაწერეთ. — თავი წამოწია მოსამართლემ.

— კი ბატონო.

— ბატონო ოთარ, თუ შეიძლება დაამრგვალეთ, ექვსი საქმე მაქვს დღეს გასარჩევი, სახელმწიფო ბრალმდებელს ხომ არა აქვს შეკითხვა?

— არა. — თავი გააქნია გვერდულად მჯდარმა, მაგიდაზე ირაყვებით დაბჯენილმა ფორმიანმა კაცმა, იუსტიციის პირველი რანგის მრჩეველმა კოტე სანთელაძემ.

ფეხზე რბილად მომჯდარი ჩექმების

სუსტი პრაქუნით გადიოდა გალტერ ქირთავა ღია კარში. ისე ფრთხილად მიაბიჯებდა, ფეხის ჩქამის გაღების ეშინოდა, დარბაზში დარჩენილთ იმდენად არ ერიდებოდა, რამდენადაც მოსაცდელში (ცარიელი იყო) თავმოყრილი ხალხის შეწუხებას უფრთხოდა თითქოს.

●

დიდად პატივცემულ მოსამართლე ივზეკიას!

მამაჩემმა ნორმანი ქუთარის-ძე ქირთავამ, სოციალური წარმოშობით გლეხმა, სოც-რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პოლკოვნიკ კობიევის ქვრივისაგან იყიდა სამსართულიანი და ორსართულიანი ერთი სახლი ქ. თბილისში ხანთაძის ქუჩაზე, ნომერ ცხრაში. ვინაიდან ქუთარიმ სახლი ვერ გადაიფორმა და მამაჩემი ნორმანიც ჩაწერილი იყო სახერხი ქარხნის ბინაში, ორსართული და სამსართულიანი ერთი სახლი გადაფორმდა ჩემზე და ვინაიდან ვიყავი არც მთლად სრულწლოვანი, მეურვე-მეთვალყურედ დამენიშნა ნორმანი (ეხონებული მამაჩემი) და როცა გავხდი სრულწლოვანი და როცა შევირთე ცოლი, ერთი სახლის მეორე სახლი, კერძოდ, ორსართულიანი, ჩემი თანხმობის გარეშე მიყიდა კულონბეგიშვილს ვასო სერგოს-ძეს, სამსართულიანი სახლი კი, ფაქტიურად ერთი სახლის მეორე ნაწილი დამრჩა მე და მამაჩემის გარდაცვალებამდე ვცხოვრობდი მამასთან ერთად იქვე. ავრეთვე ძმასთან (შემდეგ ომში წვავიდა), დედასთან, ავრეთვე ცოლთან, შვილი არ გვყავდა და მდგმურებთან— კობზიანიძეებთან ერთად. ვინაიდან მამაჩემი გარდაიცვალა და დედაჩემი დარჩა და ჩემი ძმა ჩამოვიდა, არ ისურვეს თბილისში (ცოლის გარდა) ცხოვრება, ამიტომ სამსართულიანი სახლი ელექტროგაყვანილობით, სპარფაქრეშოთი, დამხმარე ნაგებობანით, მდგმურებით (ქმარი ეკონომისტი), სარაიით და ნახევარი ეზოთი მივყიდეთ ფაბრიციუს გიორგი რაფდენის-ძეს. ვინაიდან კობზიანიძეები გარდაიცვალნენ, არნინწყლი სართული გადაეცა ბინის დღეგანდელ მფლობელ თამორიძეს. ვინაიდან კუთვნილი სპარფაქრეში ერთთანი სახლის გაგებით იყო შუაში, კულონბეგიშვილის თვალთახედვით იყო ქვევით, ქუჩიდან მეორე, ეზოდან პირველი, ზემოდან ქვედა დარჩა იმავე ალაგას თავის მინაშენით, რომელიც შემდეგ გადაკეთებული სამანაო ოთახად. ოთახი ნომერი ექვსი ჩემ დროს იყო ხუთი და ეკუთვნოდა კულონბეგიშვილებს. რაც შეეხება ბუხარს, მე იგი ბუნდოვნად მახსოვს საკამერო მილის მიხედვით, თუმცა კვამლი შეიძლება ამოდიოდა შუა ოთახის კედლის ღუმელიდან და, ვინაიდან იმ ღუმელს ჩვენ არ ვხმარობდით, ვფიქრობდი, კვამლი კობზიანიძეებიდან ამოდისთქვა. ვინაიდან კობზიანიძეებს (ქმარი ეკონომისტი) შეშა არ ჰქონდათ და ელექტროენერგიას იპარავდნენ, შეიძლება იქედანაც არ ამოდიოდა და, ვინაიდან კობზიანიძეებს ბუხარიც არ ჰქონიათ, ვფიქრობდი, კობიევს დარჩა ბუხარითქვა, რომელიც ბუნდოვნად მახსოვდა ან არ მახსოვდა გადმოცემის მიხედვით და ვინაიდან ბუხარი არ აღმოჩნდა არც ზევით, არც ქვევით, არც კობზიანიძეებისას, არც კულონბეგიშვილისას და არც თამორიძის გეგმა-ნახაზზე, შეიძლება იგი არც არსებობდა საერთოდ, თუმცა შეიძლებოდა ყოფილიყო ბუხარი უქუხნოდ ანდა ქუხნა უბუხროდ, ვინაიდან კობიევის ქვრივი ფაქტიურად ხმარობდა რუსულ ფეჩს. აქედან გამომდინარე, კობზიანიძეების დაცლილი სართული და ქვედა სპარფაქრეში ზიარად ეკუთვნის თამორიძეს, ვინაიდან იგი გვეკუთვნოდა ჩვენ გაყიდვამდე, ცხონებული ნორმანის გარდაცვალებამდე. ვინაიდან კულონბეგიშვილი იღებდა სპარფაქრეშოს ფეხის ქირას (ჩვენ არ გადა-

რევაზ ბეიშვილი
ვაიმე, ჩემო ვენახო

გვიხდია) და მდებარეობს ახლაც (თუ არ ვცდები) და მდებარეობდა მისი კუთვნილი ტერიტორიის ნაწილში, ახლაც იქ მდებარეობს რამდენადაც ვიცი. სახლი ნომერი ცხრა კი წვიმში ჩემ დროს გატარებული იყო ერთი საერთო ნომრით, ოთახების მარცხენა გადანომვრით, ერთი კანალიზაციით და ორი სახურავით. იგი აღრიცხული იყო როგორც ერთი ნაგებობა, მაგრამ ვინაიდან შედგებოდა ცალ-ცალკე აღებული ოთახების ჯამისაგან, ორსართულიანი და სამსართულიანი სახლების ნაერთისაგან და შეადგენდა ერთს, ორ სხვადასხვა ნაწილისას, რასაც ხელმოწერით ვადასტურებ.

●

— ამას თითქოს არა უშავს — უიმედოდ ჩაილაპარაკა თავმჯდომარემ — ერთი მითხარით, იეზეკია რატომ დაგიწერიათ, იქირთავა ხართ თქვენ! ახლა გვარიც გადამიკეთეთ? — ი წაშალა. დაფიქრდა და ეზეკიასაც გადაუსვა ხაზი, არ არი საჭიროო, დაასკვნა და ქირთავას ხელწერილი საქადაღლეში ჩადო, ბობრი სახე შეეკუმუხნა, ტუჩზე, ნიკაპზე და საულვაშეზე მიიდო თითები ერთდროულად, მიაჩერდა ვექილს, ხელებგაშლილი რომ ამტკიცებდა, ეს საქმე ოცდაერთი წელია უკვე ძიებაშიაო.

— ოცი! — დაუზუსტა სახიდან ხელის ჩამოუღებლად.

ადვოკატთა კოლეგიის ნამდვილი წევრი ოთარ ლობჟანიშვილი მოულოდნელად გაჩუმდა.

— რატომ უმატებთ ერთ წელს! — გასწორდა მოსამართლე, პიჯაკის გარეთა ჯიბეზე დაიდო ხელი, წამით გაყუჩდა, თითქო გულისძგერას მიაყურა, როცა ჯიბეში მოსაკლისებული საგნის არსებობაში დარწმუნდა, ისევ ლობჟანიშვილისაკენ გაიხედა, რატომ არის გაჩუმებულიო, გაუკვირდა.

— მე მადლობელი ვარ სასამართლოს თავმჯდომარის! — განაცხადა გრუზათმიანმა, ფერხორცოვანმა ცქრქილში.

— რისთვის მიხდი მადლობას? შეუმჩნევლად გაიღიმა მოსამართლემ.

— ასე საფუძვლიანად რომ გაქვთ საქმე შესწავლილი, წვრილმანებშიც რომ ეკვეთით!

მარჯვნივ მჯდარმა წითურმა მოღუშულმა მსაჯულმაც გახსნა სახე ბოლოს და ბოლოს, სასამართლოს აგრძნობინა. ამდაგვარ ნიუანსებში სხვაზე ნაკლებ არ ვარ გათვითცნობიერებული და მოსამართლის ყურადღებაც მიიპყრო. მსაჯულს მიაჩერდა იგი და ვექილს უთხრა, ბანგრძეთო. რა გვნვაგრძოო, ვერ მიხვდა მსაჯული. პატივცემულ ოთართან მაქვს შეკითხვაო, ამოღერღა ამჰსობაში პროკურორმა.

— ბრძანეთ, ბატონო! — გაეხარდა რატომღაც ლობჟანიშვილს, სჭელი ხელისგულებით დაებჯინა ისევ მაგიდას და სუსტი ფეხები შეასვენა ცოტა ხნით.

— მე მაინტერესებს, — წამოდგა პროკურორი, — მთელი ამ ხნის, როგორც ახლა დააზუსტეთ, ოცი წლის განმავლობაში ერთხელ მაინც თუ უსარგებლია ზედა საპირფარეშოთი თქვენს მოსარჩლე თამორიძეს?

— შეეკითხეთ, ბატონო, აგერ არის თამორიძე, ის ისეთი კაცია, თქვენც გეცოდინებათ, ბატონმა ლაშამ იცის უეჭველად, მანდა გაქვთ დახასითებები სოფლის მეურნეობის სამმართველოდან, წყალთა მეურნეობიდან, ცნობა ვეტერანთა საბჭოდან და დეპუტატ კლიმლეწავიშვილისა და დეპუტატ ქანდარიძის გულისხმიერი, ბევრისმთქმელი და ბევრისმიმწნებელი დახასიათება. თუ უსარგებლია, იტყვის, ვისარგებლეო, არ დაფარავს...

—რა აქვს დასაფარავი?!

— არის კი ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საჭიროო?..

— უპასუხეთ! — თამორიძისაკენ გაიხედა თავმჯდომარემ.

— მე არ შემიძლია ზუსტად გიპასუხოთ... — წამოდგა სკამებსა და სკამებშუა გაჭედილი, განაყდეს მჯდარი თამორიძე. — ვისარგებლე, არ

ვისარგებლე და რამდენჯერ ვისარგებლე. თუ არ მისარგებლია, მით უარესი კულონბეგიშვილისათვის. ახლა თქვენ თავად წარმოიდგინეთ. ჩემი ზიარი ფეხისადგილის სარგებლობის რა დრო მაქვს დაკარგული. ამას რითღა ავინაზღაურებ? ყოველ წუთს რომ შევიდე შიგ, აღარაფერი გამომივა... თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ მატარა ზევით და ქვევით ეს დროული კაცი, ძირითადად ზედა სართულში ვართ ხოლმე.

— ძირითადში რომ ქვედაში ყოფილყავით და შესვლის უფლება არ გქონოდათ ჩამორომეული, ძალიან გაგიჭირდებოდათ...

— ბატონო?

— ქვევიდან ზევით სიარული დროული კაცისათვის, მე მგონი, უფრო... — აღარ დაამთავრა.

— ბატონო? — მაინც ვერ გაიგო.

— ესე იგი, მეორე შეკითხვაზე გადავედი...

— დიახ.

— ოცი წლის წინ სახლის შეძენიდან დავის დაწყებამდე თუ გისარგებლიათ აღნიშნული სპორტფარეშოთი?

— ბატონო?

— თუ სარგებლობდით-მეთქი სადაო სპორტფარეშოთი სანამ თქვენი მეზობლური ურთიერთობა გამწვავდებოდა, გასაგებია შეკითხვა?

— გასაგებია. მისარგებლია თუ არა მანამდეო, მეკითხებით, დიახ... მე ბატონო, რაიონში ვმსახურობდი, როგორც მოგეხსენებათ, თბილისში იშვიათად ჩამოვდიოდი მანამდე...

— მეტი შეკითხვა აღარა მაქვს.

— დაბრძანდით! — ქირთავას ჩვენება ისევ ხელში ეჭირა მოსამართლეს.

— რიცხვი დაუსვით, ბატონო ვალტერ, თუ შეიძლება, და ხელი მოაწერეთ გარკვევით. — ქალაღდი მსაჯულს გადასცა. მელიის ბეწვის საყელოიან პალტოში გახვეულმა მსაჯულმა ქალმა ქაღალდი მესტენოგრაფეს გადააწოდა, მესტენოგრაფემ გაუშვირა ქირთავას, მხრებზე მოხურული პალტოს სწორებით რომ წამოვიდა მათკენ.

პატარა სპარიკმახერო სტალინისა და ნახევრად შიშველი ქალების ფერადი სურათებით იყო აჭრელებული. დალაქი მგელიკა ხმიკაურო წვერს პარსავდა ვასო კულონბეგიშვილს, ერთ დროს გაფუმფულებულ, ახლა გვარიანად შეღამაბებულ ლოყებს უზელდა უკნიდან. ზელვას რომ მორჩა, მაკრატლის წვერით დაიწყო ცხვირიდან ბალნების გამოხშირვა. ტკაპტკაპით ამოჰქონდა ფართო და ღრმა ნესტოდან მოკლე და შავი ბალანი. სარკეში კულონბეგიშვილის არც მთლად კმაყოფილი მსხალთავა პორტრეტი ჩანდა. სქელ წარბებს შეფარებული ორი მრგვალი თვალი მიჩერებოდა ახლად გაპარსულ, აფუებულ ლოყებს, ვიწრო შუბლს, ნახევრად მელოტ თავს, საფეთქლებთან შებურბუშალებულ თმას.

— წყალისგან ნელსაცხებელი? — იკითხა მგელიკა ხმიკაურმა და ნელსაცხებელს რამდენიმე მახვილი დაუსვა უადგილოდ.

— არა, არ მინდა, არა, ხომ იცი, ხომ იცი, არ ვიცხებ... — დაიქსტინა, კულულებზე გადაისვა რბილი თითები, თავი გადაწია, ცალი თვალი წაუტა და ღია თვალით სარკეში გაჭვრიტა წყვილი ნესტოს უსასრულოდ გრძელი, ამოშავებული მღვიმეები, ხომ არ დარჩენილაო შიგო ბალანი.

პატარა, სუფთა, სურათებით აჭრელებული სპარიკმახერიდან, დიდი შენობის ვესტიბიულიდან, რომელშიაც იგი იყო ჩადგმული, ქუჩა და მომცრო ბაღი ჩანდა. თოვდა. გზაკვალაბნეულ ფიფქებს ატრიალებდა ქარი და სახეში აყრიდა გამვლელ-გამომვლელთ, მანქანების პარპაშებს აფიფქავდა. სპარიკმახეროს კუთხეში იჯდა ბეჭგანიერი, ულვაშა შოფერი ქორა გენძეხაძე და კედლზე გაკრულ რამდენიმე სურათს ფარავდა ზურგით. რიგს კი არ

რეზო ჭეიშვილი
ვაჩიმე, ჩემო ვენახო

ეროვნული ბიბლიოთეკა ვიბლია

ელოდა დალაქთან, საკუთარ დირექტორს უცდიდა და კულონბეგიშვილის ყურებით ერთობოდა, მოფარფატე თოვლის ფიფქებსაც აყოლებდა დროდადრო თვალს, როგორ მოიქნია ზამთარმოკუდი, აურია მაინც მარტმა მარტულადო, დარდობდა და დუმდა.

— რას შვება თქვენი მეზობელი, ვასო ძია, ჩივის კიდევ? — იკითხა მგელიკამ და გენძეხაძეს თვალი ჩაუკრა, ნახმარი წინსაფარიც დაკეცა ამაოსობაში საგულდაგულოდ.

— ჩივის, კაცო, ჩივის, კიდევ ჩივის... — სარკეს ჩაულაპარაკა ვასო კულონბეგიშვილმა და წამოდგა.

— ჩივის კაცო, სულ ჩივის, აწუხებს თანამდებობის პირებს, დღეს იყო, მგონია, კიდევ ერთი სასამართლო, უზენაესი, თოვს მგონია... — კოჭლობით, მაგრამ რბილად გავიდა ვესტიბიულში, გვერდით დერეფანში მიიკარგა უხმაუროდ.

— ფული მოგცა? — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ იკითხა ჟორა გენძეხაძემ, ბეჭებით რომ ფარავდა რამდენიმე ფოტოს და ყვითელ-წითელ აფიშას.

— ფულს იქეთ რომ არ მართმევს, მადლობელი არა ვარ?! — სარკესთან დაჯდა, საფეთქლის კანზე გამოსული ფერისმჭამელი მოძებნა.

— რატომ, კაცო, შენ მაგას ხომ არ ეკუთვნი?

— არ ვეკუთვნი, მართალია, ჯერ ერთი, ვის ეკუთვნი, ისიც არ ვიცი და მეორეც, ეს შენობა მაგისია, მგონია... — ფერისმჭამელი ამოიგდო, როგორც იქნა, ოდეკალონში დაასველა ბამბის ნაკუწი და გამონაწინწკლი სისხლი მოიწმინდა.

— ჟორა, გინდა კულონბეგიშვილის ფული გქონდეს? — იკითხა, როცა ბამბა გადააგდო.

— არა.

— რატომ, ბიჭო?

— რა შავ ქვად მინდა, მაგასაც ოხრად დარჩება მალე. ან ესენი წაართმევენ, ან აფერისტი სიძე გამოაჭამს, ბიჭი მაგას არ რჩება და გვარის გამგრძელებელი, იმ გოგოებს ვინ ითხოვს.

— მასე გეგონოს შენ!

— გაზაფხულდა მეგონა და არ მოთოვა!

— მოთოვაკი, და, თუ ღმერთმა ფული მოგცა, უარი არ თქვა, გაფიცებ ყველფერს!

— მე ვინ რას მომცემს!..

●

მოსარჩლე თამბორიძე გიორგი რაჟდენის-ძე, მცხოვრები ქ. თბილისში, ხანთაძის ქუჩა № 9, ითხოვს აღნიშნული სახლის საპირფარეშოებით სარგებლობის უფლების გადამოწმებას; საერაუდო სამზარეულო ფართის დაბრუნებას, შევიწროებული შემოსასვლელის გაფართოებას, არარსებული დამხმარე ნაგებობის (სარაიის) აღდგენას, ფეხის საწმენდი ტილოს საერთო შესასვლელთან გაფენას.

მოსარჩლე გიორგი რაჟდენის-ძე თამბორიძის მოთხოვნა სწორია ნაწილობრივ.

კერძოდ:

ფეხის საწმენდი ტილო უნდა იდოს აივნის ტიხართან, მაგრამ არა გარედან კარს იქით, როგორც მოქალაქე ვასო სერგოს-ძე კულონბეგიშვილი ამტკიცებს, არამედ შიგნიდან კარის წინ, სადაც იდო ადრე, სადაც მობინადრე თამბორიძე მიათითებს.

დადასტურებულია, რომ ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე სარაია (4 კვ. მეტ. ფართი) თავის დროზე უსასყიდლოდ გადაუცია მოქალაქე გ. რ. თამბორიძეს მოქალაქე ვ. ს. კულონბეგიშვილისათვის. განსხვისებიდან რამდენიმე წლის თავზე სარაია დანგრეულა და ნანგრევები ზემოთ ნახსენებ პირებს გ. რ. თამბორიძეს და ვ. ს. კულონბეგიშვილს ერთობლივად დაუწვიათ ერთ ზამთარს. სარაია (4 კვ. მეტ.) ვეღარ დაუბრუნდება მოსარჩლეს, რადგან იგი აღარ არსებობს, ხოლო აღდგენის უფლება ეზოს სიახლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავის, სახაზინო უშიშროების უგულებელყოფის გამო მოქალაქე ვ. ს. კულონბეგიშვილს არა აქვს.

თავის დროზე კულონბეგიშვილს ვასო სერგოს-ძეს (მცხოვრები ხანთაძის ქ. № 9) პირველი სართულის შუშაბანდის გაფართოების ხარჯზე მართლაც შეუფერხებია შემოსასვლელი საერთო აივნის ქვემოთ, მაგრამ ეს მომხდარა მდგმურების ე. ი. დ. ვ. კობზიანიძეებისა და თვით მოსარჩლე თამარიძის გ. რ. თანხმობით. ერთისა და მეორის ხელწერილის დედნები ინახება მობინადრე ვ. ს. კულონბეგიშვილთან, ხოლო ასლები თან ერთვის აღნიშნული საქმის მეცხრე ტომს.

საგანგებო კომისიების, ექსპერტიზების, ტექინვენტარიზაციის ბიუროს ცნობათა მიხედვით დადგენილია: ხანთაძის ქუჩის ცხრა ნომერი სახლი წარმოადგენს ერთ სახლმმართველობას. თანახმად ლიტერ „ა“-სი სახლის სამსართულიანი ნაწილი (თითო ოთახი თითო სართულზე) დამხმარე სათავსოებით, ვ. ნ. ქირთავასთან დადებული ყიდვა-შესყიდვის (რეესტრის № 20020) ხელშეკრულების საფუძველით ეკუთვნის გ. რ. თაბორიძეს, ხოლო ორსართულიანი ნაწილი ლიტერ „ბ“-ს თანახმად ხუთი ოთახით, დამხმარე სათავსოებით, აღურიცხავი მეექვსე ოთახით ნასყიდობის ხელშეკრულების (№ 450041) საფუძვლის მიხედვით ეკუთვნის ვ. ს. კულონბეგიშვილს.

სექმეში წარმოდგენილი ტექინვენტარიზაციის ბიუროს მიერ (ს. ფ. № 183) და თანდართული სხვა საბუთებისა და მასალების მიხედვით ხანთაძის ქუჩის ცხრა ნომერი სახლი ერთია და აღრიცხულია ცალ-ცალკე ლიტერ „ა“-დ და ლიტერ „ბ“-დ. იგი აშენებულია ერთი ბინათმფლობელისა და, შესაძლოა, ერთი ხუროთმოძღვრის, მიერ სხვადასხვა დროს, რაც სხვადასხვა საამშენებლო მასალით, ფანჯრების შვერილების, სარტყლების, დეკორირებული კუთხეების, აფსიდების ნარჩენების სხვადასხვა წყობით, ორი სახურავითა და ატმოსფერული ნალექების არაერთგვაროვანი სადინარებით დასტურდება. ამასთან ერთად, დადგენილია, რომ სახლი გააყიდა ორ დამოუკიდებელ ნაწილად „ა“ და „ბ“ ლიტერების პირობითი სახელწოდებებით.

შუა სართულებზე, ე. ი. ეზოდან პირველზე, ქუჩიდან მეორეზე, ზემოდან ქვედა სართულზე მდებარე საპირფარეშოს წინა ფართი, ამჟამად საამბაზონი, ქალაქის საბჭოს საღუმელე სამმართველოს დასკვნით არასოდეს წარმოადგენდა სამზარეულოს და სახლის წინანდელი მფლობელის, მოქალაქე ვ. ნ. ქირთავას მტკიცება — ბუხარი გვქონდა ქვედა სართულზეო, გაურკვეველია. მისი ყოფილი ბინის ქვედა სართული ქუჩიდან პირველია, სადაც არც სამზარეულოა, არც ბუხარი და თუ იგი ჯერ არ ჩანს და გამოჩნდება, გადაცემა მობინადრე თაბორიძე გ. რ.-ს.

შუა სართულის საპირფარეშო და საკუჭნაო, ამჟამად საამბაზონო, მართალია, ეჩივრათ მოსარჩლის მდგმურებს ე. ი. დ. ვ. კობზიანიძეებს, მაგრამ იცოდნენ რა, რომ სარგებლობდნენ სახლის ორსართულიანი ნაწილით, ქირას (საკუჭნაოსას და არა ფეხისდგილისას, როგორც მოსარჩლე ამტკიცებს), უხდიდნენ მოქალაქე ვ. ს. კულონბეგიშვილს (იხ. მეთორმეტე ტომს თანდართული ქვითრები). მართალია, ვ. ნ. ქირთავასა და გ. რ. თაბორიძეს შორის დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მოქალაქე გ. რ. თაბორიძემ სახლი შეიძინა მდგმურებიანად, მაგრამ იმავე ხელშეკრულების თანდართულ სანოტარო (№ 30004) ჩაღალდში არაფერია ნათქვამი საპირფარეშოზე და მის მომდებარე ფართზე. მოსარჩლის განცხადება, ამდაგვარი მუხლი არც ვ. ს. კულონბეგიშვილ-ნ. ქ. ქირთავას ყიდვა-შესყიდვის ხელშეკრულებაშიაო, სინამდვილეა, მაგრამ რადგა-

რაჯო ჟვანია
ვაჟიშ, ჩემო ვენახო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაც ნასყიდობის სიგელით (ლიტ. „ა", № 329) ორსართულიანი ნაწილი სახლისა მთლიანად მიესხვისა ვ. ს. კულონბეგიშვილს, მისხვისებულ ფართშიც შემავალი ყველა სათავსო ბუნებრივად დარჩა მიმსხვისებელს.

ზედა სართულის სპირფარეშო, რომელიც მოსარჩლის ბინის საზღვარზე მდებარეობს და მოპასუხის ბინის ფართზე ძევს, მოსარჩლის განცხადებით არის სადაო, მოპასუხის მტკიცებით—უდაო. იურიდიულად და ფაქტობრივად იგი ყოველთვის ეკუთვნოდა კულონბეგიშვილებს და სარგებლობდნენ თუ არა მომიჯნავე სახლის ადრინდელი (ქირათვები) და ახლანდელი (თაბორიძეები) მფლობელები ოდესმე აღნიშნული სპირფარეშოთი, დამტკიცებული არ არის (იხ. თაბორიძის ჩვენება, ვ. ნ. ქირთავას ჩვენება, ხელწერილები და ახსნა-განმარტებანი № 104, 105, 106, 211, 212, 213, 214 ტ. 22). რაც შეეხება ქვედა, ფაქტიურად ეზოს სპირფარეშოს, საქმის მასალებიდან გამომდინარე, იგი ყოველთვის იყო ზიარი და თუმცა კულონბეგიშვილები იშვიათად იყენებდნენ მას, დარჩა ზიარი. მოსარჩლის მტკიცება, იგი ჩემს ტერიტორიაზე მდებარეობსო, არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან ზიარი სპირფარეშო მდებარეობს ეზოდან რამდენიმე საფეხურის ჩაგდებით, მართალია, თაბორიძის სახლის მხარეს, მაგრამ № 9 სახლის (იხ. ქალაქის საბჭოს სარემონტო-სამონტაჟო კონტრუქციებისა და ლიფტების მართვისა და კოორდინირების სამმართველოს განყოფილების დასკვნა ს. ფ. № 1010) საერთო სარდაფში. მიუხედავად ამისა, ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე ზიარი სპირფარეშო საერთო სარდაფში შეიძლება გახდეს მოქალაქე გ. რ. თაბორიძისა ან ვ. ს. კულონბეგიშვილის პირადი საკუთრება ბინათმფლობელობის საერთო კანონმდებლობის საფუძველზე.

დ ა დ გ ი ნ დ ე ს:

რადგანაც მოსარჩლე გ. რ. თაბორიძის საჩივრისა და თხოვნის დაკმაყოფილება კანონიერია ნაწილობრივ, მოქალაქე გ. რ. თაბორიძის, მცხოვრები სსრკ. ქ. თბილისში ხანთაძის № 9 სახლში, სარჩელი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

1. დაუყოვნებლივ იქნას გაფუნილი ფეხის საწმენდი ტილო, ტომარა გ. რ. თაბორიძის კარის წინ, საერთო შესასვლელთან და აეკრძალოს (ჩამოერთვათ ხელწერილი) კულონბეგიშვილებს მისი ხელის ხლებისა.

2. აივნის ქვემოთ საჩეხის ერთი ნაწილის გაშუშაბანდებასთან დაკავშირებით შევიწროვდა საერთო შესასვლელი, მაგრამ მობინადრე ვ. ს. კულონბეგიშვილი არ არის ვალდებული აღადგინოს მისი თავდაპირველი სახე, რადგან საჩეხის გაფართოება და გზის შევიწროება მოხდა რაიაღმასკომის მითითებით და გ. რ. თაბორიძის თანხმობით.

3. სარაია, რომელიც თავისთავად დაინგრა, გააზრებულად დაიხერხა, და დაიწვა შეშად, ნაცრისგან ველარ აღდგება. ხოლო ახალი სარაიის აშენების უფლება ზემოთ ნახსენები (გვ. მე-3-მე) მიზეზების გამო ცხრა ნომერი სახლის მობინადრეებს არ მიეცათ.

4. რადგანაც ხანთაძის ქუჩაზე მდებარე ცხრა ნომერი სახლი არის ორი, სხვადასხვა დროს აშენებული, ორსახურავიანი, ატმოსფერული ნალექების სხვადასხვამხრივ საღვრელი ორსართულიანი და სამსართულიანი სახლი, ორსართულიანი სახლის სათავსოები დარჩეს ორსართულიანი სახლის მფლობელს, სამსართულიანი სახლის სათავსოები დარჩეს სამსართულინი (თითო ოთახი თითო სართულზე) სახლის მფლობელს. კერძოდ:

ა. ზედა სართულის საკუთარი სპირფარეშო ვ. ს. კულონბეგიშვილს—საკუთრად.

ბ. შუა სართულის საკუთარი სპირ-

ფარეშო ვ. ს. კულონბეგიშვილს—საკუთრად.

გ. ქვედა სართულის ზიარი საპირფარეშო ვ. ს. კულონბეგიშვილს ზიარად.

განაჩენი საბოლოოა.

●

—...მაინც მგონია, იმ ქირთავამ შეგვყვანა შეცდომაში, აქ არავითარი ბუხარი და სამზარეულო არ ყოფილა, როგორც ვხვდები... — ლაპარაკობდა ვეკილი ლობჟანიშვილი და სუსტი ფეხებით ამოჰქონდა დიდი ტანი კულონბეგიშვილისა და თაბორიძის ზიარ კიბეზე. სქელძირიანი ფეხსაცმელების ცალ მხარეზე გადაცვეთილი ქუსლები ებრიცებოდა ფლანგებზე, დიდი ხელით ებჯინებოდა მოაჯირს და ენაჩავრდნილ გიორგი თაბორიძეს მოჰყვებოდა.

—... ფეხისადგილებს უნდა მივწოლოდით ძირითადად. იმ სამზარეულომ და ბუხარმა აგვრი-დაგვრია, თვარა სხვანაირად შეიძლებოდა შეტრიალებულიყო საქმე, ფეხისადგილებს უნდა მივწოლოდით, რაღა თქმა უნდა.

—ჩინეთში უნდა გადავაგზავნო მასალები.

—ჩინეთში უფრო ერკვევიან ფეხისადგილების საქმეში? —დაინტერესდა ვეკილი.— კარგი რა, გიორგი, შენც უცნაური კაცი ხარ, არ უნდა ლაპარაკი... ქალბატონი თინა შინ ყოფილა. ტილო უკვე შეგვიძლია აქ დავდოთ, ერთბაშად არ კეთდება ყველაფერი.

—ვიცოდი, ვიცოდი, რა ცოდნა და მიხვედრა უნდოდა, ასე მოხდებოდა, ვგრძნობდი... — იმეორებდა სქელი ნაჭრით თავწაკრული თინა მანაგიძე-თაბორიძისა.— შემობრძანდით, აქვე დაიწმინდეთ ფეხები, არა უშავს, არ არი სავალდებულო ჯერ, ეს მაინც აღარ გადარჩება და მოვისვენებთ ყველანი, ესეც მოისვენებს, ისინიც მოისვენებენ, ჩვენც მოვისვენებთ...

—ფეხის საწმენდი ტილო, ქალბატონო თინა, შეგვიძლია უკვე აქ გავფინოთ, ხელს ვეღარ ახლებს ვერავინ... —გაუბედავად თქვა ანერვიულებული ქალის დანახვაზე ვეკილმა ოთარ ლობჟანიშვილმა. თვალებაპრიალებული თაბორიძე ადგილზე გაბევდა, ცივი, მშრალი ჰაერი შეისუნთქა და უაზროდ მიაჩერდა აივნის სვეტებთან მოფარფატე უდღეურ ფიფქებს, რომლებიც იქვე ტრიალებდნენ განდაგან, მიწას ვეღარ აკვდებოდნენ, ხეს და რიყულს ვეღარ ედებოდნენ ხრილად. მოკვდება, შეეცოდა ქმარი ცოლს. მოისვენებს და მადლიაო, დაუმატა, თუმცა კარგად იცოდა, ამდაგვარ მოსვენებას ჯერ რომ არ აპირებდა ეს უბედშემუხვნილი, თვალებგაშებერი კაცი.

—...ყველაფერი გასაგებია,— გამოერკვა, ქუდი მოიხადა, ბამბის ქსოვილის კაშნე მოიხსნა. —ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მაინტერესებს 197 კვადრატულ მეტრ მიწაზე როგორ დაეტია 211 კვადრატული მეტრი ფართის მქონე ორი სახლი ეზოიანად?

—კარგი რა, გიორგი! —ყბა მოეგრა ლობჟანიშვილს.

—კულონბეგოვის ფართში მდებარე ფეხისადგილი არ შეიძლება იყოს ზიარიო, გასაგებია, ჩემს ფართში მდებარე ფეხისადგილი ზიარი უნდა იყოს აუცილებლად, ესეც გასაგებია, მაგრამ საიდან აღმოაჩნდა ამ ორ დამოუკიდებელ სახლს ერთი სარდაფი, ეს ვერ გავიგე...

—კარგი რა, გიორგი, ასე ააშენა იმ ოჯახდაქცეულმა ვილაცა იყო... — პირზე ხელი დაიფარა ლობჟანიშვილმა, რატომ ამთქნარებდა ამ სიცივეში, თაბორიძემ ვერაფრით ვერ ახსნა.

—მერე იმ ოჯახდანგრეულმა, როგორც თქვენ ბრძანეთ, როცა ერთი სახლი ააშენა, რაღა მაინცდამაინც ამ მხარეს დაუტანა უფასწრებო თხელი კედელი?

რეზო ჭეიშვილი
ვაიმე, ჩემო ვენახო

—მეორე სახლის მიშენებას აპირებდა, ჩაფიქრებული ჰქონდაო.

—სად გაჭრა ჩემი მოთხოვნა და კოლეგიის მომართვა დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ? რატომ არ შეამოწმეს ფუნდამენტი, რატომ არ გაპურღეს ბალავერი დაპირებისამებრ, ორი საძირკველი აქვს თუ არა, როდის დაადგინეს?

—არაფერს არ შეცვლიდა მაინც...

— არ შეცვლიდა, ცხადია, საძირკველი არის მიდგმული საძირკველზეო, იტყოდნენ, საძირკველი შეიძლება მივადგათ საძირკველს?!

— ისე მელაპარაკები, თითქოს ეჭვი მეპარება შენს სიმართლეში, მართალი ხარ და დავუშვათ, ისიც მართალია, მაგრამ ამაში ხომ არაა საქმე...

—აბა, რაშია?

— შენც კითხულობ...

გიორგის დისწული თემური მოვიდა ბავშვით და ბიცოლამისს ჰკითხა, როგორ არის საქმეო. როგორც კითხულობ, ისეო, უპასუხა ბიცოლამ და გოგონას მიეფარა. თემურის ხმა აღარ გაუღია, ისედაც ყველაფერი იცოდა და ამ პასუხმაც დააკმაყოფილა. აქამდე მაინც რატომ არ გამოჩნდიო, უსაყვედურა ქალმა ამჯერზე დაუფარავად.

— დაკავებული ვიყავი, ხომ იცოდით, ჩავაბარე, როგორც იქნა, ის ობიექტი, მიღებაზე ხელი მოაწერეს და აწი დანგრეულა და დამწვარა იქაურობა, მაგ მე არ ვიდარდო. არ არი დასრულებული, იძახდნენ ისედაც, აწი რაც უნდათ, ის უთქვიათ...

— შენ რას შვები, ბებია, დედაშენს არ ეკადრება აქ მოსვლა?

— დედამისი საღამოს ცვლაშია, დღეს მუშაობს...

— როცა არ მუშაობს, კისერს იმტვრევს აქ მოსვლაზე, ადი ზევით, ნახე ბიძაშენი.

— რას შვრება?

— არგადარჩენას!

— ლობჟანიშვილია თუ ვიღაცა, წავიდა?

— მაგი წასულიყოს მოუსვლელში, გია რატომ არ წამოიყვანე?

— გია ხელბურთზეა. — გარკვევით თქვა გოგონამ.

— რაზეა?... ხედავ ამას, როგორ ამოიდგა ენა, რაზეა, ბებია?

— ხელბურთზე...

— გაყიდეთ ეს სახლი, გაყიდეთ... — თქვა თემურიმ.

— ასე უნდა ვქნათ. — მოიწყინა ქალმა.

— თუ არა და ეს შუა სართული გაყიდეთ, რომელია ეს? შუაა, ქვედაა თუ გვერდითია? ერთ-ერთი გაყიდეთ, ვის უნახავთ? გაყიდეთ და იმ ფულით გამოიწყვეთ ტუალეტი, აბაზანა, საბილიარდო და ერთი მეჭისე დაიქირავეთ დარჩენილი თანხით.

— საბილიარდო გვაკლია ზუსტად.

— რაც გაკლიათ, ის გაიკეთეთ.

— იმას უთხარი, მე ნუ მელაპარაკები.

სხვა ნათესავებიც მოვიდნენ და ბოლოს ზედა სართულში მოიყარეს თავი, ჯერ წყნარად, შემდეგ გაბმულად ალაპარაკდნენ. გაყიდეთ ერთი სართული, ვის უტოვებთო, იმეორებდა თემური ღიმილით და გოგონას, სტუმრების სკამის საზურგეებზე რომ ჭანაობდა, უჭავრდებოდა დროდადრო. ბიძამისსაც რომ აღიზიანებდა ბავშვითობა და უადგილო ლაპარაკით, ხვდებოდა, მაგრამ თავს ვეღარ იკავებდა. თაბორაიძეს კი ნერვები ეშლებოდა მართლაც. ძმისშვილს, ვისაც მისი (და არა ცოლის) აზრით იქაურობა უნდა დარჩენოდა, ამნაირი უდარდელი და არაფრისმთქმელი ლაპარაკი არ ეკადრებოდა. თავი ტკიოდა ისედაც. ლითონის ძაფი ჩარჩენოდა ნათხემში ქალასა და ტვინსშუა. იკიდებდა კიდეც შიგადაშიგ თავზე ხელს, თითებს იჭერდა ნათხემზე, ლითონს უწვრილესი ძაფის ამოგდება უნდოდა. ცოლი ამბობდა, სხვისი სწავლება რად მინდა, უნდა გაყიდოთ აქაურობა, ამნაირ ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნიაო. ბავშვის საფ-

ლავს იფიცებდა, ან გავყიდი, ან თავს მოვიწამლავო.

— გადაცვალეთ, თუ არ გაყიდით, მე თქვენ გეტყვით, არ გაგიცვლიან, სად არი ამნაირი ალაგი თბილისში...

— კი, მაგრამ, მაინც... — ხმადაბლა შეეხმიანა თემურის დედაბეგიანი მაყვალა. — ვერ წარადგინა ბიძაჩემმა ომის მონაწილის ცნობა? დახასიათება უნდა მიეტანა თურმე ვეტერანთა საბჭოდან, ნამდვილად უნდა მიეტანა. რომ იცოდეთ თქვენ.

ლობჟანიშვილი მაყვალას მიჩერებოდა ამ ლაპარაკის დროს, ღრანჭებზე იჭერდა ხელს, ყბებს კუმავდა, რათა როგორმე მთქნარებას გამკლავებოდა.

— არ გამაყიდვინებს... — მოულოდნელად თქვა თბილოიძემ.

— რაო? — იკითხა მაყვალამ.

დანარჩენებმა ერთმანეთს გადახედეს.

ლობჟანიშვილიც გამოფხიზლდა.

— არ გამაყიდვინებს, სანამ არ გამომჭამს, არ გამიშვებს აქედან.

— მაგისი ყოფილა აბა ქვეყანა!

— არ იცით, რა!..

— მაგ სიქმე მე მომანდეთ! — ახლა უკვე დაუფარავად დაამთქნარა ლობჟანიშვილმა, მეორე დღეს კი ახალი, საუწყებათშორისო კომისიისადმი წარსადგენი განცხადების პროექტი მოიტანა. ალარ თოვდა, მაგრამ სუსხავდა. ცაზე აჭრილი ღრუბლები რიალობდნენ და მზით გაბრწყინებული ზღვისფერი ცის ნაჭერი გამოჩნდებოდა ხანდახან ღრუბელსა და ღრუბელსშუა. თაბორიძეს დაბამბული, დალიანდაგებული ქუთუკი ეცვა და მწვანე, ფოჩიანი ჩაჩი ეხურა. მობუზული იდგა შუა ეზოში, სახლს მიჩერებოდა თავაწეული. ეზოში შემოსულმა ვექილმა იფიქრა, ვერ მხედავსო, მაგრამ თაბორიძემ ამოიოხრა და კარგა ხნის წინ დაწყებული საუბარი განაგრძო თითქოს:

— ამ აგურებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ, ვინ იცის, რას იტყოდნენ, ჩემო ოთარი...

— მოვიტანე განცხადების პროექტი, შეიძლება შემოვხედო, მარა ალარაფრის დამატება ალარ დაჭირდება პრინციპში...

კარგა ხანი იდგნენ ისინი ეზოში გადაბერებული, დაკონებული თუთის ერთადერთ ხესთან. გავყიდი, არ გავყიდი — საკითხის ერთი მხარეაო, ლაპარაკობდა თაბორიძე, ვინ არ იყიდის, ვინ არ გამიცვლის, მაგრამ არ წვავლ, ჩემსას არ დავთმობო, არც ჩინეთს დავტოვებ, არც გაერთიანებულ ერებს, არც მშვიდობის მსოფლიო საბჭოსო.

— ...პრინციპის საკითხია, სხვა თუ არაფერი, რომ მომეგო, სიმართლეს რომ ეზიმა, სხვანაირად მოვიქცეოდი, არ მინდოდა მეთქვა და შენ გაგიტყდები: ავდგებოდი და ამ ფეხის-ადგილებს მივაყრიდი სახეში, ჰა, შე მათხოვარო, შენი იყოსთქვა, ვეტყოდი. აწი აღარ, აწი მე ვიცი. გამოვძებნი მე გზებს. ომი და ვეტერანთა საბჭო არ მჭირდება. ომში ისიც კია ნამყოფი.

— წარმოადგინა კიდეც ვეტერანინვალიდის ცნობა.

— დაჭრილი გგონია? — ხმას დაუწია და ლობჟანიშვილს გაუშტერა ჟოლო თვალის კაკლები. — გაყინულ დნესტრში ჩაყო ფეხი მელიას კუდივით, ჩააცივა და ჩაყინა ფეხი მდინარეში, ძლივს ამოუძვრიათ ყინულიდან, არ იცოდი, სომ?.. ტრიბუნალს გადასცენ, გამომძრა, ვერ დაუმტკიცეს, თავი გადაირჩინა, მაგრამ იმ ფეხს კინაღამ გადაყვა მერე. რამდენი ოპერაცია გაიკეთა, ღმერთმა არ იცის. ისე ერთი მგლისკენ თქვი, ომი არც უწევდა, პასპორტი ჰქონდა სამსახურისათვის გადაკეთებული და უკრეს ომში თავი პასპორტის მიხედვით, თუმცა რა, მეც ხომ სხვის მაგივრად წამიყვანეს...

●

იმ ღამითაც შფოთავდა. ტვინსა და თავის ქალას შორის გაჩხერილი რკინის ძაფიც აწუხებდა. ჩათვლემდა და ეღვიძებოდა. ლობჟანიშვილის დაწერილ

რეჯო ჯეიშვილი
ვაიმე, ჩემო ვენახო

განცხადებას ასწორებდა, ახალ-ახალ პუნქტებსა და პარაგრაფებს უმატებდა. გალუმპული ნარცენცხლებით დაფარულ სასაფლაოს, ახლად მოსწორებულ დედას სიმარეს ხედავდა.

ძილგატეხილმა ცოლმა ფაჩუნეზე გაახილა თვალი და დაინახა, როგორ ბუჯერობდა ქმარი საწმალე უჯრაში. რას შვებაო, გაოცდა და ძილს თავი ვერ წაართვა. ცელოფანის ქაღალდის ტკაცუნმა მოჰკრა ყური. რას აწლაპუნებ პირსო, იკითხა ეგონა, ხმა რომ არ ამოუვიდა პირიდან, ვერ მიხვდა. ქმარმა კი წამალს წყალი დააყოლა და დაწვა. ცოლმა დარია დაინახა. პეპლის ფრთისფერი, თხელი კაბა ეცვა ომის დროს ჭლექით გარდაცვლილ უფროს დას. იდგა დარია ჭიშკართან და გიორგი თაბორიძეს კითხულობდა.

კიდევ კარგი, მე არ მეძებსო, უხაროდა თინას და გულისძგერას ვერ ანელებდა. არადა, რა უნდოდა ბავშვობაში გარდაცვლილ დარიას თბილისში. ჭალაჭში არც კი იყო ნამყოფი და, როგორ მოგვაგნოო, უკვირდა. არ არი, დარია, გიორგი სახლში, რატომ მოხველიო. ვიცი, რომ არ არი, ამიტომ შენ უნდა წამომყვეო. გიორგის სახლი ვიკითხე, გიორგის არც ვეძებდიო. შეშინებია, ძალიან შეშინებია მანგაძის ჭალს. მალე დავაბრუნებო, დაუთმედებია დას. დატოვებია თეორ, იისფერ ხაზებიან თავსაფარში გამოკრული ფრიალო თეფში, რომელზედაც გარეცხილ ბერეტს ჭიმავდა ხოლმე და წასულა. მკვდარს რომ რაიმე მიაქვს, არ ვარგა, თუ რაიმეს ტოვებს, არა უშავსო, გახსენებია და წაყოლია. გადასულან თვალუწვდენელ, ხასხასა მინდორში. წითელ-ყვითელი ყვავილები პიატნძენენ თურმე აქა-იქ, წვიმად წყლები დიოდნენ და ერთ ალაგას ერთი ცხვარი ბალახობდა. უცანია თინას ეს ცხვარი. მეზობელმა რომ დედის წლისთავზე თოხლი დაკლა, ის ყოფილაყო. ერთი უცნაურად მწვანე ხე დაუნახავს. იმ ხის ქვეშ დედაბერი მჯდარა. დარიას უთქვამს, გიორგის დედა არისო. დაკვირვებია და ... მთილი უცვნია, თუმცა არც სახით ჰგავდა დედამიწს და არც თვალტანდობით. საკურთხი არ მოაქვენ, სანთლებს არ მინთებენო, დაუჩივლია დედაბერს. უკან როგორ გამობრუნდა, მწვანე მინდვრიდან ჭუჩაში, ჭუჩიდან სახლში როგორ მოხვდა, ვერ გაიხსენა. დარია ეზომდე მოყოლია, უკვე სამშვიდობოსა ხარო, უთქვამს და გამჭრალა. ჭალს გამოღვიძებია, თავსაფარში გამოკრული ბერეტის გადასახმი ფრიალო თეფში უძებნია, ოთახიდან ოთახში გასულა, დიდ დარბაზში მოხვედრილა, სადაც ნავთის უზარმაზარი ლამფა ეკიდა და სამოლოდ გაღვიძებია, მაგრამ კარგა ხანი ვერ გამოფხიზლებულა. რაღაც უბედურება მოხდება ამ სახლში ამ დღეებშიო, უთქვამს შუადღით, სამსახურში წასვლის წინ. ღიესვე სანოლებს დავანთებ დედაშენის სახელზეო, დაუბარა ქმარს. წამდეს მაინცო, გაიფიქრა თაბორიძემ და ჭიშკრამდე ჩაყვა. მიკროავტობუსის მომლოდინე ჭალს ეკლესია და სანთლები გადაავიწყდა, ჩკუსუსტ, შრომისუნარმოკლებულ მოსწავლეებთან უსიამო შეხვედრაზე ფიქრში ჭიშკართან გაჩერებული ქმარი დაინახა. გაოცებული შემობრუნდა და, რატომ დგეხარ აქო, იკითხა. ჩამოგაცილეო. ახლა გაცილებაც დამიწყეო, გაეღიმა.

— შედი, არ გაცივდე, რად მინდა შენი გაცილება...

— გასაღები ვერ ამომაქვს კიბიდან, მარცხენა ხელი დამიბუქსა, ძალა გამომელია. — არ გაუმხელია, რამდენიმე წუთის წინ საზიარო კიბეზე რომ ჩაყწყდა ძაფი თავში. — მაჩვენე, რა დაგიბუქდა — გულმა რეჩხი უყო ჭალს. შავი ჩანთა, პორტფელიც რომ ედო შიგ, ხესთან დადო.

სანამ ცოლი ხელს ამოუღებდა, მანამდე მიხედა, მხრიდან მაჯამდე რომ ჰქონდა მკლავი მოწყვეტილი. დილით, ადრევე უნდა ჩავსულიყავი ეკლესიაშიო, გაიფიქრა შეშინებულმა ცოლმა

და, თუმცა მოახდენი მაინც მოხდებოდა, არაფერი შეიცვლებოდაო, დაასკვნა იქვე.

თაბორიძე საავადმყოფოში წაიყვანეს. პროფესორმა თქვა, ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენებიო. ავადმყოფმა კი მეორე დღესვე გააძრია ხელი, სამ დღეში გამართა, თუმცა თითებს ძალა ვერ დაატანა. კვირის თავზე, უშალეს, არ დაიშალა და საწოლზე წამოჯდა. ასე მალე რომ მოიხედა, უარესიაო, განაცხადა პალატის ახალგაზრდა ექიმმა ყოვლად უპასუხისმგებლოდ.

●

მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი ვასო სერგოს-ძე კულონბეგიშვილი, ხანთაძის ჭუჭის ცხრა ნომერ საკუთარ, დამოუკიდებელ ორსართულიან სახლში მცხოვრები ვაძლევ თანხმობას იმავე სახლის დამოუკიდებელი სამსართულიანი ბინის მფლობელ გიორგი რაჟდენის ძე თაბორიძეს მასზედაც, რომ მე არავითარ პრეტენზიას არ ვაცხადებ სხვის, მითუმეტეს დამოუკიდებელი სახლის ფართობზედა. მეზობელ თაბორიძეს გიორგი რაჟდენის-ძეს უფლება აქვს გაუღიოს ჩემგან დამოუკიდებელი სამსართულიანი (თითო ოთახი თითო სართულზე) სახლი მთლიანად ანდა ნაწილობრივ, — როცა სურს, ვისზედაც სურს, რასზედაც ხელს ვაწერ.

სახალხო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ფრიდონ კლიმაშვილი კულონბეგიშვილის ხელის მოწერის სინამდვილეს ვადასტურებ, ხელსლარგვა მოხდა ჩემი თანდასწრებით.

●

— ა, ნახე, გიორგი, რა გახარო! — ხმამაღლა თქვა თინა მანაგაძემ საავადმყოფოს საერთო პალატაში შესვლისას, ქმრის საწოლთან ჩაიმუხლა და ჩანთიდან, რაშიც ფანქრები, საწერები, გასაღებები და ათასი წვრილმანი ნივთი ეყარა, ნეილონის ხუფით თვდაცობილი, ბულიონით სავსე ქილა ამოიღო. რა უნდა მახაროსო, ფიქრობდა ჭერში თვალებმიბჯენილი, მწოლიარე თაბორიძე. ცოლმა ხელწერილი მისცა. გაოცებული კაცი თავსასთუმლისკენ აჩოჩდა, შტამპიანი ქაღალდი ფანქრისაკენ გაწია და ჟილეი თვალებით დააჩერდა ხელწერილს. წაიკითხა, კიდევ უფრო გაუშეშდა თვალები, ხელმეორედ წაიკითხა, ღრმად შეისუნთქა პაერი, ხელწერილი დადო სკამზე ცხელი ბულიონით დაორთქლილ ქილასთან, კედლისკენ შებრუნდა და აღარ განძრეულა. იქნებ შემწვარი ქათამი ესიამოვნოსო, უთხრა თინას გვერდით მწოლმა ახალგაზრდა ავადმყოფმა, რომელსაც გიორგი ბულიონით განაწყენებული ეგონა.

— არა, შვილო, მადლობთ, არც მაგას დააკარებს პირს! — ამოიოხრა ქალმა. მუხლებზე ჩანთადადებული გაშეცვედ გამზადებული ქაღალდით იწმა ცოტა ხანს, წამოდგა, უფროს ექთანს ელაპარაკა მოლიავებულ კარში და წავიდა.

საღამოს ძმისშვილმა მოაკითხა გოგონასთან ერთად. ავადმყოფი ჟანგწისფერი პიჟამოთი იყო უკვე მხართეძოზე წამოწოლილი და გაზეთს კითხულობდა.

— როგორა ხარ, ბაბუ? — წამოჯდა, გაზეთი გადადო, მოეფერა გოგონას, საწოლის რკინის რიკულებზე რომ ეკიდა ორივე ხელი და სხვაგან იხედებოდა. აქეთ შემობრუნდიო, ეუბნებოდა მამა, მაგრამ არაფრით თავს არ ატრიალებდა.

— იყოს, არა უშავს...

თაბორიძეს გოგონა არ უყვარდა და განიცდიდა. უხეოდა უყვარებოდა, მაგრამ არა გამოუდიოდა რა. გოგონა დედას ჰგავდა და თაბორიძეს, სამისო საფუძველი ჰქონდა, დედამისიც არ ეხატებოდა გულზე. ბავშვის შეყვარე-

ბას ვერ ახერხებდა, თორემ დედის დარდი არ ჰქონია. სამაგიეროდ, გოგონას დედა პრინციპულად ვერ იტანდა ქმრის ნათესავებს და ზოგიერთი, რა საკვირველია, მაგრამ, სძულდა კიდეც.

დავაწერინეთ, როგორც იქნა ხელწერილი და დამამტკიცებინა კიდეც ბიცოლაჩემმა ნოტარიუსსო, მიახარა თემურიმაც.

— რა ხელწერილი?! — ყასიდად იკითხა თაბორაძემ და ტუჩზე მომდგარი დუჟი მოიწმინდა.

— ხელწერილი....

— რაზე იცინან?

— ვინ იცინის, კაცო, სახლის გაყიდვის უფლების ხელწერილი დაუწერია... — უადგილო ღიმილი კი იცოდა მართლაც.

— მერე, ვინ ეკითხება მაგას ჩემი საკუთარი სახლის ყიდვა-არგაყიდვას! — თავი ველარ შეიკავა კაცმა.

— მოზიარეა და შეუძლია თურმე არ გაგაყიდვინოს, — დაიჩურჩულა თემურიმ, იქნებ ამანაც დაუწიოს ხმასო. — როცა ერთ სახლში ორი მობინადრე ცხვრობს, წესი ყოფილა ამნაირი, მე არც ვიცოდი...

· — რა წესი, რის წესი, მინდა გავყიდი, მინდა არ გავყიდი, თვითონ იგონებენ მაგნაირ წესებს და კანონებს!.. როცა გინდათ ერთი სახლია, როცა გინდათ, ორი!

— ასე მითხრა ბიცოლაჩემმა.

— ბევრი იცის ბიცოლაშენმა.

— რა ვიცი, ჭირი ქე მოჭამა იმ კაცს...

— ბიცოლაშენი... ბიცოლაშენი საყვარელი იყო ვასო კულონბეგიშვილის, თუ მართალი გინდა!

— რა იყო?! — მოეყურა, ეგონა.

— საყვარელი.

ენაჩავარდნილმა თემურიმ პალატა მოათვალიერა, ხომ არავინ გვისმენსო, დაინტერესდა. თავთავიანთი საქმითა და საწუხარით იყვნენ გართულნი, არ უსმენდნენ, მაგრამ ესმოდათ. ბიცოლაზე იყო აშკარად ლაპარაკი, მაგრამ თუ ეს პატიოსანი კაცი საკუთარ ცოლს სხვის საყვარლობას წამებდა, რამდენიმე დედებიდნენ. გოგონა საწოლის რიკულებს ეჭიჩებოდა ისევ და ცალ ფეხზე ხტუნავდა. ჩერდებოდა, ათვალიერებდა პალატას. ბინადართ და ისევ ხტუნვას იწყებდა. უცნობები იჭაურები ეგონა და ეს ბაბუამისი (ასე ასწავლიდნენ, ბაბუაო) რას აკეთებდა აქ, ვერ გაეგო. წევსო, ეუბნებოდნენ, რომ მოყავდათ. ჯერ ერთი, კი არ იწვა, იჯდა, მეორეც, თუ დაწოლა აუცილებელი იყო, სახლში დაწოლილიყო, რაღა აქ მოდიოდა.

— მერე ამ ბავშვს და არ უნდა, ძმა არ უნდა, ბევრს რომ ლაპარაკობ! — წამოწვა და თავქვეშ ამოიდო ხელები გაბრაზებულმა.

— როგორ ძმა არ უნდა? — გაშტერდა თემური.

— როგორ და კარგად, სანამდე უნდა იყო ერთი შვილის ამარა!

— ერთი შვილი მყავს მე?

— აბა რამდენი?.. — შეყოყმანდა. შუბლი შეეჭმუხნა.

— აბა გია ვინ არი?

— გია? ჩვენი გია? გია კი... რა არი მერე ორი შვილი?.. არაფერი არ არი, ჩვენ გაჭირვებას მაგ უშველის, რომ წაგვლეკავენ, მერე გამოფხიზლდებით, არ ზრუნავთ, არ ფიქრობთ, არ უკვირდებით, ორი შვილი, რა არი ორი შვილი... — ერთი ნაკლებ საწუხოს და ნაკლებ დამაჯერებელი არგუმენტიც მოიყვანა მრავალშვილიანობის აუცილებლობაზე და გაჩუმდა, მეტი აღარ ულაპარაკია, ცოლი რომ მეზობლის საყვარელი იყო, ისიც აღარ გახსენებია არც იმ დღეს, არც სხვისის. ყოველ შემთხვევაში, თემურის თანდასწრებით ამნაირი აღარაფერი უთქვამს.

პატივცემულო ისიდორე, თქვენნაირ პოეტი და საზოგადო მოღვაწე იშვიათია ახლა ჩვენში, შავთელისა და ბარათაშვილის სამშობლოშიც. ყველამდე ხართ პირად და საზოგადო თ
სასამახურო საქმეებში ჩაფლული, ვიცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაინც გავკადნიერდები და მოგმართავთ თხოვნით უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანი, სამამულო ომის მონაწილე, ავიარახსნილი კულონბეგიშვილის მეზობელი, სოფლის მეურნეობის ყოფილი მუშაკი გიორგი რაჟდენის-ძე თაბორიძე. თუ შეგიძლიათ გამომაყვანოთ გარკვეული დრო და მომისმინეთ ახლახან საავადმყოფოდან გამოსულ ადამიანს. წაგართმევთ სულ 35 წუთს და მოგითხრობთ თუ როგორ გამომგლიჯეს ფეხისადგილები, ბუხარი, სარაიი (4კვ. მეტ.), სამზარეულო და სხვ. მოგახსენებთ, როგორ იჩაგრება, პატივცემულო ბატონო სვიმონ, პატიოსანი მოქალაქე ხანძთელის, აღმაშენებლის, ცოტნე დადიანის, პატარა გრეკლეს მშობელ ქვეყანაში. პატივცემულო ისიდორე, გთხოვთ აღნიშნულ მისამართზე (ხანთაძის № 9) მაცნობოთ, როდის, რა დღეს, რომელ საათზე და რამდენი წუთით მიმიღებთ. თქვენ იმხელა პოეტი ბრძანდებით, ბატონო სვიმონ, რომ ვგრძნობ, ვხვდები, არ გამაწბილებთ, არ გადამიწუნებთ საბოლოო იმედს და სასოებას. მარად თქვენი ერთგული და პატივისმცემელი თაბორიძე გიორგი რაჟდენის-ძე.

ისიდორემ გულდასმით წაიკითხა სვიმონის სახელზე დაწერილი და მის სახელზე გადაკეთებულ-გადასწორებული თხოვნა და პირველი შემთხვევა ხომ არააო, გაიფიქრა გვარიანად შეფიქრიანებულმა. ზარს თითი დააჭირა, ძღივანი იხმო, რემინგტონზე გადაბეჭდილი, კორექტურული შეცდომებით სავსე თხოვნა გადასცა, თუ ვინიცობაა ამის დამწერი გამოჩნდეს, შემოუშვიო, უთხრა.

●

ქუჩიდან მეორე, ეზოდან პირველი სართულის ზამთარ თბილ, ზაფხულ ცრილ დიდ ოთახში წამლების სუნი იდგა. ძველი კარადის თაგზე და განიერი უჯრები შუშებითა და კლოფებით იყო გამოტენილი. ქმრის ავადმყოფობისას დიასახლისმა ახალი წამლების ეკრანული მოტანა დაიწყო. წამალს წამალს უმატებდა და ძველის გადაყრას ვერ ახერხებდა. რაში დამჭირდება, ვინ იცის. შუშა შუშას, კოლოფი კოლოფს, ამპულა ამპულას ედებოდა. მეზობელი ნევროპათოლოგი, რამდენიმე შეხსენების შემდეგ რომ გადმოაკითხავდათ ხოლმე და, რისი გერიდებათ, რატომ ხშირად არ დამიძახებთო, იქით რომ ქსაყვედურობდათ, გადაძველებული წამლების სუნზე აცმაცუნებდა ნესტოებს, არაფერს ამბობდა, თუმცა ზუსტად იქით იხედებოდა, საიდანაც ეს სუნი მოდიოდა. ნევროპათოლოგს ახალგაზრდა ალარც ეთქმოდა, თუმცა სპორტული ჩაცმა-დახურვისა და თავის მოვლა-პატივის მოყვარულს ხანიც არ ეტყობოდა. დაბადებით მკურნალი ვარო, ვერ იტყოდა. პირიქით, უფრო შემთხვევითობით შეიძლებოდა ახსნილიყო მისი ექიმობა, ვიღრე მოწოდებით, და მაინც მიეღწია გარკვეული წარმატებისათვის. იმ ალაგას, სადაც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. დიაგნოზის დასმა მაინცდამაინც არ უჭირდა, პაციენტებს ძირითადად სწორად მკურნალობდა კლინიკაში, მაგრამ ავადმყოფობის ხანგრძლივობას ვერ უძლებდა და ხშირად ნაჩქარევად ხურავდა ისტორიას. გიორგის კი ყველაფერთან ერთად გარეთ ყოფნას, ხანგრძლივ სეირნობას ურჩევდა და თაბორიძეც ამ ბოლო დარიგებას უფრო ერთგულად ასრულებდა. დრო მაინც ბევრი რჩებოდა, ათვალიერებდა სახლს ეზოდან, ქუჩიდან, გადიოდა და გამოდიოდა კედელ-ყორის გასწვრივ. შემდეგ გაუნძრეველად, უმოქმედოდ იჯდა ფანჯარასთან და ქუჩაში კი არ იყურებოდა, ეკლის ხეებში, სახლებსა და სახლებშუა ატარებდა გაყინულ მზერას. შესაღამოვებულს გავიდოდა ისევ ქუჩაში, მიიარ-მოიარდა პატარა უბანს, დაუყვებოდა ბოლოს კარგარეთელის შარას და მეტროს სადგურთან ელოდა სამსა-

რეზო ჭეიშვილი
ვაიმე, ჩემო ვენახო

ხურიდან დაბრუნებულ მეუღლეს. ზუსტად. პუნქტუალურად, ერთსა და იმავე დროს დაიწყობდა ხელებს წელზე, გვირაბიდან ამოსულ ხალხს თვალიერებდა და ამ სახელდახელოდ შემუშავებულ წესსა და რიგს მისდაუნებურად ჩვეული ზარდიდა. ერთ კვირა დღეს პალტო ჩაიცვა, მიატოვა სტუმრები (მათ შორის ცოლიც), გადავიდა ჭიშკარგადაღმა და კარგარეთელის შარით ჩავიდა მეტროს სადგურამდე. შეაგვანება და მოიკითხეს სეირნობსო, ვიღაცამ თქვა. ამდენ ხანსო, გაუკვირდათ. მოვა სადაცააო. არ მოვიდა. საათს დახედა, ჩაიცვა და უთქმელად გავიდაო, გაახსენდა ბოლოს მაყვალას. ნამდვილად ჩემს დასახვედრად წყვიდოდაო, მიხვდა ცოლი. ნუ დაიზარებო, თხოვა თემურის, ჩადი მოედნამდე, იქნებ მართლაც მეტროსთან დგასო. თემური ჩაჯდა მანქანაში და მეტროს სადგურთან მანქანიდანვე დაინახა ძველ პალტოში გაბეღული ბიძამისი, დაკვირვებით რომ მიჩერებოდა გამვლელ-გამომვლელთ. ვის ელოდებიო, ჰკითხა მანქანიდან გადმოსულმა.

— თინას.

— თინა ხომ სახლში დატოვე, თანაც კვირაა დღეს...

— კვირაა?

— მერე ეს პალტო რად გინდა, რატომ გაცვია, ჰიჯაკები გაიხადა ხალხმა...

— ხალხს არ ვუყურებ, შენ გეცინება და მე არა.

ეცინებოდა თემურის მართლაც, მაგრამ გულზე რაღაც სიმძიმეც აწვებოდა ძველ, სრულ პალტოში დპატარავებული კაცის შემხედვარეს.

კვლავ განმეორდა ამდაგვარი სცენა რამდენიმე დღის შემდეგ. ერთხელ მეტროს ვერ მიაგნო, მეორეხელ — სახლს. რა მემართებაო, უკვირდა ყოველი მხრის ცვლაზე. ნუ მხვდები, არ არის საჭირო, აწი აღარავინ მომიტაცებსო, საყვედურობდა ცოლი და მაინც უხაროდა ეს ყურადღება. სახლთან დაწინაურებული კაცი ჭიშკარსაც უღებდა, მარჯვენა ხელით იჭერდა ზამბარით დამაგრებულ კუტ კარს და დანაბეჭური მარცხენის თითებით ძრავებდა, ძალას იმოწმებდა: ჯიბეში ხელებჩაწყობილი კმაყოფილი იერით მიყვებოდა კიბეზე ამავალ მეუღლეს ზიარ აივანზე; ახველებდა, კულონბეგიშვილის საპირფარეშოსთან გაფენილ ტილოს მარჯვნივ წევდა და ნორას ოთახის კართან იწმენდდა ფეხსაცმელებს საგულდაგულოდ; იქვე ტოვებდა ტილოს, რომელიც მეორე დილით გადმოჩოჩებული ხვდებოდა. ერთ ნაწვიმარ საღამოსაც გადაწია სველი ტომარა ნორა კულონბეგიშვილის ოთახის კარისაკენ, გაიწმინდა ტალახიანი ფეხები და ნორას სათვალის ორმა უზარმაზარმა მინამ აირეკლა ჩამავალი მზის მოყვითალო სხივი. უყურა ნორამ ფეხისგამწმენდელ კაცს, უყურა, აცალა შებრუნება, აიღო დასცრილი ტომარა და ფერთხა კიდეც ზურგზე. ამ ამბავს შემთხვევით შეესწრო მაყვალა, ქმართან წალაპარაკებული მთრიგი, არცთუ მთლად იდილიური სცენის დამთავრების შემდეგ ჯერ დადებადასაყოლებლად რომ მოდიოდა ბიძა-ბიცოლასთან. რას შვრები, შე გათახსირებულო, მიაძახა ნორას; კიბეზევე შეჩერდა, მოაჯირზე მიჭედჭყილმა გადაწია თავი და ჰაერში ავარდნილ მტვრის ბუქს მოარიდა სახე. გათახსირებულის ხმა მესმისო, სიტყვა შეუტრიალა ნორამ, დოინჯი გაიკეთა და სათვალის შუბებში გააშტერა წყლისფერი, ბეცი თვალები.

— ავადმყოფ კაცს დასვრილი ტომარა ესროლე, აღარც უფროსი იცი, შე უპატრონო, აღარც უმცროსი?!

ატყდა ყვირილი, ყაყანი. თემურის გოგონამ ისტერიული ტირილი დაიწყო ამ ხმაზე და მოვალეობის მოხდის მიზნით წამოსულმა თემურის ცოლმაც უცხოსავით რომ იჯდა მანამდე ოთახში, გამოიდო თავი. მდგმურები ამოძვრნენ ქვედა სართულიდან, გარემებობლები შემოვარდნენ ეზოში, გამვლელებმა შემოიხედეს უკითხავად, კულონბეგიშვილის გათხოვილი ქალიშვილი და

სიძე, შემთხვევით იქ რომ აღმოჩნდნენ, გამოვიდნენ მოგვიანებით ასპარეზზე და თინა მანაგაძემ გაიფიქრა, თავს მოვიწამლავო. თვითმკვლელობა ერთადერთი გამოსავალი ეგონა. არც ჩანაფიქრის რეალობაში, არც თავის გულწრფელობაში დარწმუნებული არ იყო, მაგრამ რაღაც იმდაგვარს რომ აუცილებლად მოიმძიმებდება, ხვდებოდა და შიშისაგან და სიბრაზისაგან ვარდებოდა ტრანსში, თუმცა ოთახში შემოსულ აქლოშინებულ მაყველასაც ხედავდა, მინელებული ყაყანიც გარკვეით წვდებოდა ყურთასმენას. საწამლე უჭრა ჰქონდა გამოწეული და ზედიზედ, არც მთლად განურჩეველად, თუმცა რაოდენობის დაუდგენლად, ყლაპავდა აბებს. რას შვრები, ბიცოლა, რას შვრები, შეიშალე შენ, შეიშალე, შე ქალო? ესმოდა მაყველას კივილი. თვალთ უბნელდებოდა, სმენა ეხშობოდა დროდადრო და ეგონა, ძალად ვიხდი ცუდად თავს, ყველაფერს ვიგონებ, წამაი ასე უცბად არ იწამებედაო. ხასწრაფო დახმარების ექთნები ურეცხავდნენ კუჭს, გალურჯებული, სუნთქვაშეკავებული, ცივოფლდადენილი ისევ წყალს ითხოვდა. აღარაა, მე მგონი, მეტი საჭიროო, ყოყმანობდა ექიმი. მოგეცით, კიდევ დავლევო, ხელით ანიშნებედა ავადმყოფი, მთავარია, არაფერი ჩამრჩეს მუცელში და გადავრჩებიო, ანგარიშობდა. სტაციონარში უნდა გადავიყვანოთო, ამტკიცებდა ექიმი — ტანმორჩილი გოგონა, რომელიც მობუზული იჯდა მაგიდასთან და, ცოტა არ იყოს, ექთნების საქმიანობას ქედმაღლურად ადევნებდა თვალს. თინა მანაგაძეს ბარემ თავადაც უნდოდა საავადმყოფო, დავისვენებ მაინცო, ფიქრობდა, მაგრამ ქმრის დარდი მიყვებოდა. მკვდარი მკვდარს ავეკიდოთ და ერთად ვიყოთ, ჯობია ცალ-ცალკე სხვების ყურებასო. ძნელი იქნებაო ნათესავების, მითუმეტეს ქმრის ნათესავების იმედად დარჩენაო, არც თუ უსაფუძვლოდ სჯიდა ძიძებურანში მიგდებული და წყაყანაზე უარს აცხადებდა. დიდხანს საკმაოდ გულგრილად და გაუგებრადაც ლოცულობდა მეორე დღეს ხატის წინაშე. ხატის გაწყობა, გასუფთავება და სანთლების ანთება მეტ შვებას ანიჭებდა, ვიდრე ლოცვა, თხოვნასა და გამორჩენასაც რომ უდრიდა მისი მიხვედრით. სწამდეს მაინცო, ფიქრობდა ხატის წინ მობუტბუტე ცოლის შემხედვარე, ფანჯარასთან გალურსული, ეკლის ხეებსა, სახურავებსა და სახურავებს იქით მზირალი, მზეს აფიცხებული გიორგი თაბორიძე. ხმას საერთოდ აღარ იღებდა იმ დღეებში, გაშეშებული იჯდა საათობით და ფიქრობდა თუ არა, ესეც ძნელი დასადგენი იყო. ერთ დღეს კომუნალური გადასახადების გადახდილი და გადასახდელი ქვითრები ამოქექა, ნაშუადღევამდე იანგარიშა გუნებაში და საანგარიშოზე და ცოლს უთხრა, ბარემ კულონბეგიშვილს ბინის ქირაც ჩვენ გადავიხადოთო.

— რა ვქნათ?! — ყურებს არ დაუჯერა ქალმა.

— კულონბეგიშვილის ბინის ქირა, ვასოსი, გადავიხადოთ, რაღა იქნება წლის ბოლომდე დარჩენილი... გადავიხადოთ, რა მოხდა, მეზობლები ვართ, რაც არ უნდა იყოს!

თუ სასწრაფოდ სამსახურში არ გაეყვედი, შეიძლება შევიწამლოო, გაიფიქრა სასოწარკვეთილმა ქალმა. სუსტად იყო. ჯერ კიდევ გულის რევის შეგრძნებები და თავის ბრუალი აწუხებდა, მაგრამ ბიულეტენის დროზე ადრე დახურვა გადაწყვეტა. წოლამ და წამლებმა მიმოსა და დამასუსტაო, ფიქრობდა. სულ ძილი უნდოდა მართლა, საქმე-საქნარს გულს ვერ უდებდა, წეგნის კითხვას დაიწყებდა და წამსვე რული ედებოდა, თავს წუდებდა და ეძინებოდა. სათვალეს რატომ არ იხსნინო, ეკითხებოდა ქმარი გაღვიძებისას. რას გიშლის შენ ჩემი სათვალეო, უკვირდა ქალს. ძილში რატომ გიკეთია ბაბო.

რეზო ჭეიშვილი
ვაიმე, ჩემო ვენახო

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას გიშლის, კაცო?!

— მე კი არ მიშლის, შენ გიშლის. დღისით კარგი, გასაგებია, კითხვის დროს მესმის, მაგრამ ძილში რად გინდა, უსათვალოდ ვერ დაიძინებ?!

მიაცივდა და მიაკვდა კაცი სათვალეს. დაიწყო და აღარ დაამთავრა. არადა დღითიდღე აკლდებოდა ქალს თვალთ. უსათვალოდ მწვანილს ვეღარ არჩევდა, კითხვისას სინათლე არ ყოფნიდა; ძილბურანში წასულს, ნავადმყოფარს და მისუსტებულს მოხსნის თავი აღარ ჰქონდა მართლაც. მოიხსნას და ისე დაიძინოსო, არ იშლიდა ქმარი. როგორც უნდა, ისე დაიძინებს, ძილში მოიხსნის თუ სიფხიზლეში, შენი რა საქმეაო, უჯავრდებოდნენ დისწულები. განგებ შვებაო, ამბობდა კაცი, ჩემს ჯიანზე აკეთებსო.

— რად უნდა მძინარეს სათვალე, ძილში რას ხედავს, სიზმარს?.. უსათვალოდ სიზმარს ვერ ნახავს?!

ქალი მართლაც დროზე ადრე გავიდა სამსახურში. კაცმა თქვა, უკეთესიაო, მარტოობა მირჩევნიაო, მუშაობაში ხელი აღარ შემეშლებაო, მასალები უნდა გადავიმუშაო, მოსკოვში უნდა გადავზავნოო. ბეჭებს ათამაშებდა უცნაურად, მარჯვენა ხელის მტევანს მარცხენას უჭერდა, ამ სიტყვებს რომ ამბობდა.

— დღეის სწორს ბინის ქირას უხდიდი, ახლა მოსკოვს მიდიხარ?!

— შავი სამარის ფულს გადავუხდი, ვის ვუხდიდი ბინის ქირას?.. რა ბინის ქირას, რის ბინის ქირას?! — წამოხტა, მკვირცხლად გავარდა და მოკუზული შემოვიდა ცოტა ხანში. დაბნეულმა ქალმა ვერ გაიგო, გადთქვა თუ ადრინდელი ვერ გაიხსენა.

●

ბატონ შევიშმელაშავიშაშვიშვილს, მოგახსენებთ, რომ თქვენი განკარგულების თანახმად მიმიღო უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის სამადგილ სექტორის გამგემ ამხ. კიტა ვეშაპაძემ და გულახდილად მესაუბრა. საუბარმა ვერ დამაკმაყოფილა, მაგრამ გთხოვთ, აღნიშნული საქმე გადაუგზავნოთ ამხანაგ ფედორენკოს ვ. ს. სათანადო რეზოლუციით. მოვითხოვდი და ახლაც მოვითხოვ, დამინიშნონ საზოგადო სასამართლო რომელიმე (უმჯობესია დიმიტროვის სახელობის საავიაციო) ქარხნის ეზოში. რათა მრავალათასიანი მუშათა კოლექტივის წინაშე სახალხოდ დავამტკიცო ჩემი სიმართლე. თუ არ გავმართლდები, უყოყმანოდ ვთანხმდები სასჯელის უმაღლეს ზომაზე თქვენი მხრიდან და ხალხის რისხვაზე და ჩაქვავებაზე ხალხიდან. გაცნობებთ აგრეთვე, რომ უკანასკნელ ტელეგრამაზე ტელეგრამების სიტყვების საერთო რაოდენობამ 70000-ს გადააჭარბა, კანცელარიიდან შეტყობინება არ მიმიღია.

●

ღმერთი რომ არა გწამს, ვიცით, სხვათა შორის უთხრა ერთ დღეს ბიძას თემურიმ, მაგრამ სხვა რაიმე თუ გწამს, ვთქვათ სული?

— რა სული? — ვერ გაიგო თაბრიძემ.

— აი მაგალითად, — პირდაპირ თქმა ვერ გაბედა, — უკვდავება სიკვდილის შემდეგ?

— რომელი სიკვდილის შემდეგ? საით მიიარაკებ?

— შენ ჯვარი გწერია, ზოგადად ვლაპარაკობ, აღარაფერი აღარაა იმას იქით?

— რის იქით?

— სიკვდილის იქით?

— აღარაფერი.

— სულ?

— სულ! — ისე უპასუხა, თითქოს ნედლი ბელტი ჩააგდო ღია სამარეში.

— არც ქვევით, არც ზევით?

— ზევით კვამლი, ქვევით მტვერი, ნაცარი და მიწა...

დღეები გაერთფეროვანდნენ ამის შემდეგ. დისწულებმაც მოუკლეს სიარულს. ცოლის ენერგიული პროტესტის მიუხედავად, კაცი ისევ მეტროს

სადგურთან იდგა სამუშაოს დამთავრების შემდეგ. კარგარეთელის ქუჩით ჩადიოდა მოედნამდე და უხვდებოდა ცოლს კვლავინდებურად. რამდენჯერმე ასცდნენ ერთმანეთს და ერთხელ გიორგიმ სახლს ვეღარ მოაგნო. ადიოდა და ჩამოდიოდა თურმე მთაწმინდის დასახლებაში. დაკვირვებულად ათვალიერებდა სახლებს, ეზოებს, ჯიშკრებს, ბრუნდებოდა უკან, ისევ იმავე გზით ეშვებოდა და იმავე სახლების მისამართებს მიჩერებოდა. მეზობელი გადაწყდომოდა სრულიად შემთხვევით. კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი ყველაფერს მიმხვდარიყო, მაგრამ თაბორიძისათვის არა უგრძნობინებია რა. ვერ მიცნოო, გონებია და შალვა ხარო? უკითხავს თაბორიძეს. ხელი გამოედო თვითონვე და ლაპარაკით წამოყოლოდა. მშვენიერ ხასიათზე ყოფილიყო ისედაც. ხალისიანად მოსაუბრეს ახალი ანეკდოტი ეთქვა და კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი კინაღამ სიცილით გაეგუდა. ასე არ ჯობიაო, ფიქრობდა გიორგის შეხედვარე შალვა და ანეკდოტს გახსენებაზე ეცინებოდა. ეს ოხერიო, ფიქრობდა თურმე, იმ ინსტიტუტში ანეკდოტების მეტი არ ვაკეთებთ არაფერს და ამან ჩვენზე ადრე სად გაიგონაო.

●

მშვიდობიანად დამთავრდა თაბორიძის მთაწმინდის ვოიაჟი, მაგრამ იმ დღის შემდეგ გარე-გარე სიარული შეეზღუდა. უმეთვალყურეოდ აღარ უშვებდნენ და მეთვალყურეც აღარ ჰყავდა. მარტო დარჩენილს ცოლი საძილე წამლების მოზრდილ დოზას უტოვებდა. თაბორიძე მორჩილად ყლაპავდა დანატოვარს, თვლემა ჯაბნიდა შუადღით და გარეთ გასვლას ვეღარ ახერხებდა.

— თინა, — თქვა ერთ დღეს თემურიმ. — ეს კაცი ძილს თავს ვეღარ ართმევს, ზედმეტ წამლებს ხომ არ აძლევ?

უწყინარი აბებია, თუმცა შეიძლება ზედმეტიც იყოსო, არ დაუმალია ქალმეცნიერებისა ქუჩაში დაკარგვას და დასაბრუნებას, იმ დღეს მანქანამ კინაღამ გაიტანა, ძილი ერჩიოს, ისე თუ გული ძალიან გეწვით, მოდით და მოუარეთო.

—... გადმობრძანდეს შენი კნეინა ხანდახან, არაფერი უჭირს, ჩვენ, ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ. სამსახურს მე თავს ვერ დავანებებ, დიდი დღე არც მიწერია, შვილო, და თქვენ დაგრჩებათ აჭაობრობა, ჩვენ თან ვერ წავიღებთ...

მე არაფერი არ მინდაო. უთხრა თემურიმ, თქვენ თავს მიხედეთ და ერთმანეთს მოუარეთ. დანატოვარზე უარს არ ვიტყვით, ამ სახლსაც ვერ ჩაგატანთ მიწაში, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, მაგრამ აიყვანეთ მომვლელი და გადაუფორმეთ მთელი სახლი, თუ გინდათო.

— მე გიშვითით მაგნაირ ადამიანს, ჩაწერეთ, გამოიყენეთ, კუთხე მიეცით, მოგივლით და მერე როგორც ხდება...

— აჰ, არა, არა, უცხო ადამიანს როგორ შემოვუშვებ ბინაში... — აწუწუნდა ქალი, თუმცა ნათქვამი დაიმახსოვრა და, თუ გულწრფელად მელაპარაკება, რატომ ეცინებაო, შეეკვეთა.

—... ჩამოვა თანაც ჩიტორელიძე ამ ერთ კვირაში, დაიწვენს, მოუვლის, მანამდე გავიჭირვოთ რამენაირად...

მართალი ხარო, დაეთანხმა ქალი, წამლების მიცემა კი არ შეუწუხებია. უტოვებდა ყოველდღე საძილე აბებს, უტოვებდა იმაზე მეტს, ვიდრე საჭირო იყო და დროზე ადრე ბრუნდებოდა სამსახურიდან, მაინც სახლში მოიჩქაროდა შეშინებული და ერთ მშვენიერ დღეს ქმარი ატირებული დაინახა. ტახტზე იჯდა მარტოდმარტო დარჩენილი თაბორიძე და თავჩაქინდრული ტიროდა.

— რა გატირებს, გიორგი?

— სახლში წამიყვანეთ!

— სახლში ხარ, გიორგი...

— ჩემი სახლი მინდა!

რეზო ჭეიშვილი
ვაჟიშე, რემო ჭეიშვილი

— შენი სახლია, გიორგი...

— ხის იყო ჩემი სახლი!

იმ დღის შემდეგ დროდადრო, ხშირად სრულიად უადგილოდ გაახსენდებოდა ბარჯგებ-ბოკონებზე შემდგარი ხის გრძელაივნიანი სახლი, ცრემლად იღვრებოდა და, წამიყვანეთო, იხვეწებოდა გულამომჯდარი. რა ვქნათო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ დაბნეული დისწულები.

ჩამოვიდნენ დებიც. ერთს ფეხები ჰქონდა დასიებული და სიარული უჭირდა. საწოლზე ჯდებოდა ყოველ წუთს და მუხლებგაჩხრული წუწუნებდა, რა მეშველება ჩემი შვილების პატრონს, მიმხედავი არა მყავსო. შენ თუ მიმხედავი არა გყავს, აღარ ყოფილა საშველიო, იღმიჭებოდა მეორე და, აბა მე რა ვქნაო.

●

— საავადმყოფოში რომ გადავიყვანოთ? — ფრთხილად შეეკითხა მეზობელ ნევროპათოლოგს თემური.

— რა აზრი აქვს! — უპასუხა სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ექიმმა.

— რა ვიცი, მაინც ვითომ...

— რა აზრი აქვს, ღერო იხურება უკვე... — ხელში მაჯა ეჭირა, პულსს ითვლიდა დ თანაც ისე ათვალიერებდა, თითქოს პირველად ხედავდა იქაუროობას.

რა ღერო იხურებაო, უნდოდა ეკითხა თემურის, მაგრამ თავი შეიკავა, ამ შეკითხვის უადგილობა იგრძნო. რაღაც რომ სასიკეთოდ არ იხურებოდა და არ ირაზებოდა, თავადაც ხედავდა და ექიმიც აღარ თვლიდა ზედმეტ ლაპარაკს საჭიროდ. რა მივცე, რა გავუკეთოო, მარჩიელობდა გუნებაში და როგორა ხარ, გიორგი ბიძიაო, ეკითხებოდა ამქვეყნად არმყოფს.

— გამოვიძახოთ აბა ისევ სასწრაფო!

სასწრაფო დახმარების წასვლის შემდეგ ჩაძინებისავით. ჩქარა სუნთქავდა, მაგრამ არ ბორგავდა და მოსვენებულად ჩათვალეს. რამდენიმე საათის შემდეგ კიდევ უფრო აუჩქარდა სუნთქვა და ხრიალი დაეწყო. ისევ დაუძახეს კარის მეზობელ ექიმს, რომელიც უკვე საგარეოდ გამოწყობილიყო და ცოლთან ერთად მიდიოდა სტუმრად. ამ იდიოტს რომ არ შევეგვანებინეო, ცოლს გადახედა, სამშვიდობოს ვიქნებოდი გასულიო, გაიფიქრა და ხმა არ გაუღია, თუმცა სახეზე დაეწერა ყველაფერი.

— მიდიოდით სადღაც... — თანაგრძნობით უთხრა თემურიმ ოთახში შესვლისას.

— რა მოხდა მერე, შე კაი კაცო.. — მოქაშინე ავადმყოფის საწოლთან მიიწია რბილი სკამი და ისე მოკალთდა, თითქოს თქვა: მე კი ვიქნები აქ, თუ ჩემი ყოფნით რამე გაკეთდებაო. მაღალ ქუსლებზე შემდგარი ცოლიც შემოვიდა ცოტა ხანში, ახალი ნაპკურები სუნანმოსა და ნელსაცხებლის სურნელება შემოიტანა ჰაერგაწამლიანებულ ოთახში.

— როგორ არი? — ჩურჩულით ჰკითხა მაყვალას.

— ცუდად... დაბრძანდით!

მორიდებით დაჯდა კუთხეში, მსუქან მუხლებზე გადაიქაჩა ვიწრო კაბა და მორჩილი ჩანთა დაიდო ბარძაყებზე, ქმარს მიაჩერდა, რომ მაჩქარებდი და ახლა თავად შენ რომ მაგვიანებ, რატომ აღარაფერს ამბობო, უთხრა თვალებით და მაყვალასთან გაება ხმადაბალი ლაპარაკი.

— რამდენი აქვს სიცხე, თუ გაუზომეთ? — იკითხა ექიმმა.

—სიცხე ორმოცდაერთი...—სწრაფად უპასუხა მაყვალამ, ექიმის ცოლს უსმენდა, მაგრამ გულისყური ექიმისაკენ ჰქონია.

— ორმოცდაერთი... — გაიმეორა ექიმმა. ცოლმა ტუჩები მომუშა და გამობერა გაოცების ნიშნად.

— ხომ არ გამოვიძახოთ ისევ სასწრაფო, საავადმყოფოში ხომ არ გადავიყვანოთ? — იკითხა თემურიმ.

— რა აზრი აქვს?.. ისე, რა ვიცი,

თქვენ როგორც გინდათ, მე თუ მკითხავთ, აღარავითარი აზრი აღარა აქვს... კარგი, ვთქვათ... რა აზრი აქვს?.. პირამიდონის ნემსიც ვცადოთ, კარგი, შენ უნდა წაბრიდე ახლავე და უნდა იშოვნო პირამიდონის ხსნარი. მე კი ვთხოვე სასწრაფოს ექიმებს, თუ გაქვთ დამატოვეთ-მეთქი, მაგრამ არ ქონდათ. შეიძლება აფთიაქებშიც არ აღმოჩნდეს, ხან არი, ხან არა, ამიტომ ითხოვე და გაახსნევინე აბები, ერთი საათი დაჭირდება სულ ცოტა გამოხარშვას, დაელოდე და წამოიღე, წვეთოვანს ჩავუდგამ ვენაში, იქნებ სიცხე მაინც დავუგდოთ, სხვა ვარიანტი არაა...

თემურის ბევრი აღარ დაუხანებია, მანქანაში ჩაჯდა და ამჟრამდე გუნებაში გაიმეორა კიდეც დანაბარები. ორ უახლოეს აფთიაქში პირამიდონის ამპულა არ აღმოჩნდა. მესამე აფთიაქის მმართველს უთხრა, ასეა და ასე ჩემი საქმე და აბები უნდა გამიხსნათ, გადადეღეებას დელოდებით. დალოდებით კი დაელოდებით, მმართველმა უპასუხა, მაგრამ მაგაში არაა საქმეო, მხოლოდ და მხოლოდ უხსნადი პირამიდონი გვაქვს და გახსნას ვერ გავბედავ, თქვენ თავად მოგეხსენებათ, საშიშიაო. და მოსულს, რომელიც რატომღაც ექიმი ეგონა, უახლოესი აფთიაქი მიასწავლა. უახლოეს აფთიაქში იგივე გაიმეორეს: სიტყვა-სიტყვით. ერთი აფთიაქი ეგულებოდა გაბადაძისა და ყანჩელის ქუჩის გადაკვეთაზე და იქ მივიდა. მანქანა რომ გააჩერა, დგელმღებარეობა ვერ დაიმხრო. სხვაგან ხომ არ მოვხვდიო, გაიფიქრა და აფთიაქიც დაინახა. შეეკითხებინათ, გაეფართოებ-გაელამაზებინათ, ძველი შუშაბანდი შეეცვალათ ახლით და მაგნოლიის ყვავილისფერი ფარდები ჩამოეშვათ მაღალ შუშებზე. მაგრამ თეთრად ქთქათებდა ყველაფერი. არც აქ იქნებაო, გაიფიქრა და დახლთან გაჩერდა. სამჯერ თუ ოთხჯერ გაუმეორა პროვიზორს ერთი და იგივე. ყოველ შეკითხვაზე უწევდა ხმას, რადგან პროვიზორი სმენაკლული ეგონა.

— მესმის, გენაცვალე, — მოუტრიალდა ხანში შესული, ლამაზი ქალი, — ყრუ ხომ არ გგონივართ, ჯერ ამათ ვხედავ, ათად ხომ არ გავიპრები?!

თეთრხალათიანმა, ტანსრულმა ახალგაზრდა კაცმა გამოაღო კაბინეტის კარი და შეწუხებულ კლიენტს მიაჩერდა. თემური ხომ არა ხარო, ჰკითხა შემდეგ საკმაოდ ხმამაღლა. თანაკლასელი აღმოჩნდა. შენ წარმოგიდგენია, ამბობდა გაკვირვებული თანაკლასელი, სკოლის დამთავრების შემდეგ აღარ გვინახავს ერთმანეთი და მაინც გიცანიო.

— ნინა, არ გვაქვს ხომ ჩვენ პირამიდონი ამპულებში?

— არა, გიორგიევიჩ, აღარა გვაქვს! — უპასუხა ნინამ, რეცეპტებსა და წამლის კოლოფებს რომ უდარებდა ერთმანეთს.

— არადა გვქონდა, ერთი კვირის წინ გვქონდა ზუსტად...

„ვინ გიორგიევიჩია, ნეტავი?"

კაბინეტში იდგნენ, დაჯეჭეო, თავაზობდა სკამს. თემური არ ჯდებოდა.

— გახსნით კი გაგხსნით, მაგ არაა პრობლემა, ვის სჭირდება?

— ბიძაა, დედის ძმა!

— რას მეუბნები!.. — შეფიქრიანდა თანაკლასელი. — პირამიდონის მეტი რა მაქვს, მაგრამ გახსნა სახიფათოა, ვინ მომცემს გარანტიას, რომ სუფთა პირამიდონია, ვენაში უპირებთ გაკეთებას და პატარა მინარევიც მოუღებს ბოლოს, შარია... რა ვქნათ, იცი!.. ათაბაგის ქუჩაზე მიდი, ჩემი მეგობარია მმართველი, ყრუაშვილი იკითხე, ელგუჯამ გამომაგზავნაო!ქვა, უთხარი.

„ელგუჯა... სადღაც მგონი, მართლა ერთად ვსწავლობდით, მხოლოდ სად? აჰ, იქ? ათასი სკოლა მაქვს მოვლილი!"

— სხვა ხომ არაფერი გინდა?!

— სხვა არაფერი,• მადლობა, დიდი მადლობა!

— აბა ელგუჯა? — იკითხა გამხდარმა, შავმა კაცმა, გატკაცინებული ხა-

ლათის ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა რომ ჩამოხედა შუშის შორიდან.

— ყანჩელის ქუჩიდან, გიორგიევიჩმა...

— აჰა, — თქვა მაღალმა, ჯიბეებიდან ხელები ამოიღო, მაგრამ დიდი აღფრთოვანება არ დატყობია გიორგიევიჩის ხსენებაზე, პირამდონის გახსნაზე კი სასტიკი უარი განაცხადა, საშიშიაო.

— რაც არი, არი, გახსენი!

— არ შეიძლება, ჩემო ძმაო, არ შეიძლება, კი არ მენანება, ეს ოხერი, არ შეიძლება, რომ ვამბობ, მე მეცხვარე კი არა ვარ ჯერ ერთი, არც იხსნება და მეორე — მოუხდება ვიცი, რო?!

მეცხვარემ და სახის სიშავემ შეაეჭვა და უკაცრავად, თქვენ ყრუაშვილი ბრძანდებითო, ჰკითხა.

— ყრუაშვილი ათამაგის შესახვევში...

ყრუაშვილმაც იგივე გაიმეორა სამწუხაროდ. უნდა გამიგოთო, თხოვა.

— ...გიორგიევიჩს შემოვეკლე მე, მაგაზე უარს რავა ვეტყვი, მარა ფიზიკურად არა მაქვს ამპულებში... აგერ ფარმაკოწარმოების ტაბლეტები, ჩემო ბატონო, და თუ მომიტანთ ლაბორატორიიდან ოფიციალურ ცნობას, რომ აქ სუფთა პირამდონია. ჩემი თავი თქვენ შემოგეწევლოთ!..

●

მხოლოდ ერთხელ მოვიდა გონს. თვალი გაახილა, დები იცნო, მაგრამ სად იყო, ვერ მიხვდა. რამდენჯერმე განათდა და ჩაბნელდა ოთახი. ხან ბინდი ედებოდა ფანჯრებს, ხან ნათელი ეფინებოდა. შინ იყო და საკუთარი ოთახის სამ ფანჯარას უყურებდა გარედან. იწვა შინ და გარეთ დარჩენილ ოთახს ხედავდა. ვინ გაიტანა ოთახი გარეთ? რატომ იწვა ეზოში და სიცარიელეში? დანისლული გორები და ფესვებაფშვილი, თავდაღმა დარგული ხეები ჩანდა დედის სამარიდან. რატომ ჩამოდგნენ ხეებს უკუღმა — ტოტებით მიწაში, ფესვებით მაღლა?.. ქომმ მით, გეენ ვირ, ქომმ მით, ტაპორიძე, ვო ბისტ დუ დენ, ტაპორიძე, ქომმ მით, ქომმ მით!.. ჩურჩულით მოყვებოდა ნიავს უკუღმართი ტყიდან ეს ხმა. რა უნდოდათ, საით უხმობდნენ, სად მოყავდათ?.. არ წამოვალ, არ წამოვალ... ტიროდა მთვარის ნათელით მობლონდღილი ყვითელი მზესუმზირას ძირას შავ მიწაზე დამხობილი. ნელა და შეუმჩნევლად ტრიალებდნენ გორები, სახლები, ხეები. ოდის აივნის ხიწვებამოყრილ პოლის ფიცარზე თუნგი იდო, წყალი უნდოდა და სპილენძის ჩალიქისფერებულ, ძველთაძველ თუნგში არ იყო წყალი. დაჰნათოდა მზე და იგი მარტოდმარტო იწვა ფოთოლგაცვენილი, წითელი ნაყოფით დახუნძლული ხურმის ქვეშ. ბნელდებოდა, ვარსკვლავებად სხდებოდნენ, ბაუტავდნენ და ქრებოდნენ წითელი ხურმები შავად მოხავერდებულ ცაზე.

●

...როგორ გინდა დააჯერო ახლა ესენი, რომ ამხელა კაცმა, ამხელა ჭალაკში გაწყალებული პირამდონი ვერ ვიშოვნე, ეღიმებოდა ეზოში შემოსულ შეფიქრიანებულ თემურის, მაგრამ პირამდონი აღარავის ახსოვდა.

სამსართულიანი სახლის შუანა სართულზე ყბებს უკრავდნენ უკვე მიცვალებულს. მეზობელი დურგალი უსკვნიდა ხელსახოცს ნიკაპთან. ზედა ოთახიდან დისწულებსა და კულონბეგიშვილის ქალიშვილებს ავეჯი გამოჰქონდათ, უხმოდ მუშაობდნენ და წვრილ-წვრილ ნივთებს ფეზისალაგთან ალაგებდნენ დროებით. ქვევიდან ზედა, ზევიდან პირველი, ეზოდან მეორე, ჭუჩიდან მესამე სართულის დიდი ოთახი, სადაც გიორგი თამბორიძე უნდა დაესვენებინათ, ნელ-ნელა ცარიელდებოდა და პატარავდებოდა.

ალექსანდრე ტაბატაძე

პოეტ ალექსანდრე ტაბატაძეს 50 წელი შეუსრულდა, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

გალადა ომის ინვალიდზე

არც მზეს ეფიცება, არც ყვავილებს ჰყიდის,
ომის ინვალიდი შეხვედრაზე მიდის.
ცალი ფეხით მიდის ომის ინვალიდი,
შემხვდურები უხმოდ გზას უთმობენ რიდით.
ჩია ტანის კაცი, სულით დიდზე დიდი,
ჩვენი გადამრჩენი, ჩვენი მეხამრიდი,
ცეცხლის არდამრიდი, ლეგენდა თუ მითი
გულზე ორდენებით შეხვედრაზე მიდის.
და იხსენებს: მაშინ იყო ოცდაშვიდის,
აღმერთებდა მამულს, სიმართლეს და სინდისს,
წელში გამართული, როგორც სახრე შინდის
ჰქროდა ბრძოლის ველზე, ფიქრობს: ჰაი გიდი!
...ყავარჯნების ბაკუნს ისმენს არე-მარე,
„შევისვენო? არა, ხიდს გადვივლი ბარემ!“
აგერ ისიც, მტკვარზე გადებული ხიდი,
ომის ინვალიდი უკვე ხიდზე მიდის.
„ხიდი... ხიდზე“... ფიქრმა გაიტაცა კაცი,
მუწლი მოეკვეთა მოხუცს ღონეგაცლილს,
წამოვიდა სეტყვა ტყვიისა და რკინის,
გზა გაეხსნა იმ ძველ ჯრილობას და ტკივილს...
ათას ტყვიას მხოლოდ გადაურჩა გული,
გდია ხიდზე კაცი გრძნობადაკარგული.
...ტრიბუნასთან მიჰყავთ ომის ინვალიდი,
ჩია ტანის კაცი, სულით დიდზე დიდი
და იხსენებს, ფერფლად როგორ იქცა ხიდი,
როგორ გადაურჩა ცეცხლის არდამრიდი
ყუმბარების თავსხმას და უეჭველ სიკვდილს
ერთხელ, როცა იყო ზუსტად ოცდაშვიდის.

ანათემა

ვინც იუდას ამხნევებდა
და მის გზა-კვალს ანათებდა,
ვინც კაცს კლავდა არხეინად
მე ვუგზავნი ანათემას.

ვინც ღალატით არსებობდა,
შვილებს ზრდიდა ჯალათებად,
ლაჩარ იყო — არსენობდა, —
მე ვუგზავნი ანათემას.

ვინც მამულის წმინდა მიწას
არიგებდა კამათლებად
და საფლავში მშვიდად მიწვა —
მე ვუგზავნი ანათემას.

ვინც მეგობრებს ამტყუნებდა
და უღირსებს ამართლებდა,
ვინც ქვრივ-ობლებს ატყავებდა
ყველას, ყველას — ანათემა!

ძმის სიკეთით თვალებდათხრილს,
შურით ღამეგანათევარს,
გახარებულს მისი მარცხით —
მე ვუგზავნი ანათემას!

ვედრება

ლექსის წერის დროს
როგორც გინდა, ღმერთო, მაწვალე,
ოღონდ ცრუ ლექსებს
ნურასოდეს ნუ დამაძალებ.
სიყვარულისთვის
როგორც გინდა, ისე მაწვალე,
ოღონდ ნამდვილი
სიყვარული მეც შემასწავლე.
სადაც სხვა, მეც იქ —
ხან მახარე, ხანაც მაწვალე,
გავუძლებ, თუ კი
არ ამიხდენ ყველა საწადელს,
ხან სიხარულით
ამავსე და ხანაც დამცალე,
ოღონდ ბედნიერ
წუთს ნურასდროს ნუ ჩამამწარებ.

როცა გინდა და
როგორც გინდა, ისე მაწვალე,
ოღონდ კარდაკარ
ნურასოდეს ნუ მაწანწალებ.
დღესაც და ხვალაც
ნუ დამზოგავ, ღმერთო, მაწვალე,
ნუ მათქმევინებ
ოღონდ მტრისთვის: „შენ გენაცვალე“.
არა მიშავს რა,
სიბერეშიც ზოგჯერ მაწვალე,
ოღონდ სხვა ვინმეს
უმიზეზოდ ნუ მანაცვალებ.
შენი ნებაა,
როცა გინდა, მაშინ მაწვალე,
სიკვდილის წინ კი
ნუ მაწვალებ, ცოტა მაცალე!

შუა საუკუნეების საქართველო

რუისი და რუსთავი და
ოლთისი და ორბისი...
ჩვენს ერდოზე იმთავიდან
გამარჯვების ორბი ზის.
თორთომი და თუხარისი,
თბილისი და თმოგვი,
საქართველოს უხარის და
მოთქრიალებს ბორგვით.
სამშვილდე და სამთავისი,
არმაზი და არეში...
მტერს — პასუხი საკადრისი,
ალაგმული თარეში.
კლდეკარი და კვირიკეთი,
შატბერდი და შაჰი,
ფარცხისი და ფანასკერტი, —
ჯერ არსად ჩანს შაჰი.
კუმურდო და კაწარეთი,
ბიჭვინთა და ბედია...
ეს სიმღიდრე აწვალებდა
ყველა გიჟს და ფეთიანს.
აწყური და არტანუჯი,
ხახული და ხანძთა,
მიწა ბევრჯერ გადარუჯეს,
გული კი არ გაცვდა.
რუისი და რუსთავი და
ოლთისი და ორბისი...
ჩვენს ერდოზე იმთავიდან
გამარჯვების ორბი ზის...

არ გატყდე ციხევ!

არ გატყდე ციხევ, არ გატყდე ხმალო,
არ გატყდე გულო, არ გატყდე ცელო!—
იძახდა ხალხი...
მიწამ როგორ დაგიფარა მხარი,
მარჯვენა მოკვეთილო, გაუტეხელო
ფალავანო, —
არსენა ოძელაშვილო!
ან შენ, ბიჭო არსენ, — მეკოკიშვილო!
ან შენ, — ყველა დროის გმირო
ფალავანო,
ან შენ!.. —
მიწამ როგორ დაგიფარათ სახე...
არ გატყდეო, არ გატყდეო!
ბევრი გვინახავს გამტყდარი ციხე,
გამტყდარი ხმალი, გამტყდარი ცელი,
მაგრამ გული კი,
გაუტეხელი რჩებოდეს უნდა!..

●

ვეღარ იპოვი, ვეღარ იპოვი,
ამაოდ ელტვი ზღვისპირის მხარეს
სად სანაპიროს გაშლილი ზოლი,
ჰფენს მოჩვენებას და სიმწუხარეს.

...ვეღარ იპოვი, —
დევნილი ქარი
ჰყვებოდა შენთვის უცნაურ იგავს,
მზე სწვავდა ხმელეთს და გლოვის
ზარი,
ტალღის ხმაურში ისმოდა დიდხანს.

შორს გადაცურეს წლებმა მხარულით,
ზღვისპირი მოჩანს უცხო ზმანებად,
და წარსული კი, თვით სიყვარულის
მზის ჩასვენებად და აღსარებად...

აღარც მშველელი, არც განმკითხველი,
იყავ ბოლომდე ბედის მოდავე,
შენში ცოცხლობდა გრძნობა პირველი,
ვით მარტოობის სისაცოდავე...

რატომ მოგაქვთ შემოდგომა სახლში...

რატომ მოგაქვთ შემოდგომა სახლში,
ხეებიდან ჩამოტეხილი რტოებით,
ეკალბარდიდან მოპრილი ასკილის
ტოტით,
ის მიდის, — შემოდგომა მიდის,
და თქვენ იტოვებთ მას, როგორც
ნუგეშს,
მერე დიდი ხნით მოელით გაზაფხულს,
რათა ყაყაჩოები დაკრიფოთ მინდვრად
და სახლში მიიტანოთ,
ის კი, მენაგვეს გაატანოთ...
დატოვეთ შემოდგომა თავისთვის,
მას თავისი მწუხარებაც ეყოფა...

როცა მოვა ქარი...

როცა მოვა ბინდი,
როცა მოვა სნება,
ის ასევე სულმაღალი
კვდება...
როცა მოვა ქარი,
და ოცნების ჯარი,
სისხლად ჩამოწვება,
ის, მაშინაც მეომარი კვდება...
ნელიად თუ, ჩქარა,
ან დღეს, ანდა ხვალა,
ბოლოს მაინც, ყველაფერი
ქრება...
როცა ძმაც გაგირბის,
ერთგულება დასაცინი ხდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ძაღლივით მეგობარი
რჩება...
სჯობს რომ ისევ ისე,
როგორც წესით ხდება,
რაც გწამდა, ის გწამდეს,
რომ სულს მისცე შვება...
ყველაფერი ბოლოს,
ყველაფერი კრება,
ის კი, ასე სულმაღალი,
რწმენის მონა კვდება!..

ნოდარ ნარსია

სალამი შენდა ახალგაზრდობავ!

დღეს სიყვარულში ნუღარ დამზოგავ,
ერთად ვიმღეროთ,
როგორ დავმუნჯდე...
სალამი შენდა ახალგაზრდობავ,
— ჩემი მამულის დიდო საუნჯევ.
აქედან წარსულს როცა გავხედავ,
ჩემთვის აწმყოსთან განზავებულა...
მტერს და მოყვარეს
უნდა დაბვედრა,
ოღონდ ორთავეს განსხვავებულად.
როცა მოგიწევთ სადარბაზოდა,
ყელი ლერწამად უნდა გავთალო...
სალამი შენდა! ახალგაზრდობავ,
— ჩვენი მომავლის ოქროს თავთავო.
მინდა, გვერდიდან არ მოგაშოროთ,
ცოტნე,
რომელიც ჩემი შვილია...
მას იმნაირად უყვარს სამშობლო,
— მისი კაცობის არ მეშინია.
თქვენთვის სინათლე განა მებევრა,
დაე, მეტიც ჰქმნას
ცამ დამოუთქველმა...
თუ რამ ვერ გითხრათ
ციხემ ბებერმა,
— უნდა მიუხვდეთ სიტყვის უთქმელად.
თქვენს გზას
იმედის თვალით გავცქერი,
ამ ნათელ გზაზე მომყავს შვილებიც...
თქვენ უნდა იყოთ ერისკაცები,
რა ლამაზად ჟღერს კომკავშირელი.
მთები გელიან,
ზღვები გელიან,
დიდი გზები და დიდი არხები...
არ გაუცივოთ მამულს კერია,
არ დაიგიწყოთ ძველთა ნახმევი.
სამშობლოს დროშა,
თქვენი კვნესამე,
მორთეთ,
მოხატეთ,
მოაფრიადეთ...
აგერ, შავთვალა,
ჩემი კესანე,
მოდის და ალამს მოაფრიალებს.
თავზე გევლებათ ფიქრი მამათა,
ისინი დღე-ღამ თქვენზე ფიქრობენ...
გულ-მკერდგაშლილებს გევლოთ ამაყად,
ამოყვავილდით,
ენთეთ, იქროლეთ.
ფიქრი წარმართეთ მამულისაკენ,
ახალგაზრდობავ!
უნდა იგრგვინო...
სალამი, შენდა! მომავლის სარკევ,
ჩვენი კაცობის ოქროს გვირგვინო.
თქვენი მარჯვენა უნდა დაეტყოს,
ამ ტყეს და მინდორს,
ზვარს და ახოსა...
და თუ ბოლომდე სუნთქვა არ გეყოთ,
მომიშველიეთ,
აქვე ახლოს გარ.
მომავალს უნდა დღე გაუთენოთ,
ახალგაზრდობის ჰე, სიხარულო...
სიცოცხლე რაა,
ქვეყნად,
უთქვენოდ,
და მინდა გკოცნოთ, გესიყვარულოთ.
...ქვეყნის წინსვლისთვის
ნუღარ დამზოგავ,
კვლავაც გაგიმხელთ, რასაც ვინატრებ...
სალამი შენდა,
ახალგაზრდობავ,
— ჩემი სამშობლოს მკვიდრო სინათლევ.

შემოზრუნება

რომანი

ჯონდო ნოღაეთის ტრამალზე იდგა. ეხეე ნოღაეთი... თვალუწვდენელი სივრცე... ჭარების ქვეყანა, მარილწყარიანი მიწა. ოდესღაც ულუქცულ წყალთა საუფლო. უწყლობის, გამოფიტვის, ერთი შეხედვით, უსიცოცხლო ხმელეთის ხაკვედრი... აქ თუ არ იცხოვრე, ვერასოდეს გაიგებ, რომ ტრამალი არ არის უდაბნო, კუდიანი ჭარების, ქვეშის კორიანტელის, ღრიანკალების, გადაკრული ბალახისა და უსიცოცხლო ყოფიერების დედა-ბუდე... ჯონდო ერთი ხანობა შეეცადა მწყემსი კაცის ცხოვრებაზე დაფიქრებულიყო, მაგრამ მისი აზრი სად ქცაზე ასხლეტილ რანაობავით გაეღრიალდა უკან. კორუბეთისკენ გამობრუნდა. ჯუჩებში არაფინ ჩანდა. ატკომანჭანები დაქრომდნენ უმეტესად... ერთგან, სოფელში გამავალი ერთადერთი გზატკეცილი გაგანირდა. მაღალ ბეთი ერთ რიგად ჩაემწკრივებინათ. ზოგიერთზე ქართული წარწერები ამოეკითხა. ჯუჩის კუთხეში. ფარდულთან, ლუდის მოყვარულთა რიგი იდგა, ხალხი ნელა მიიწევდა წინ. ხახედაგრძელებული, ნაკვთებმორღვეული, თვალებჩასისხლიანებული მამაკაცების უმრავლესობა სიგარეტს აბრჩოლებდა... ლუდის მოსურნე კაცი რომ სიგარეტის კოლოფს ხსნის, მისთვის ხომ უველაფერი არარაობაა, იგი მთლიანად, თავისი შინაარსით, ყოფიერებით, ორგანიზმით, ნერვებით, ფსიქოლოგიით, გაწყვეთილ, კოლოფთანაა, შიგ ეკსოვება იმ კვამლივით, რომელიც მისმა ფილტვებმა უნდა შთანთქან, სისხლის მიმოქცევა აფრ-დაფრიოს და სულ ამოღრიოს... ცახცახა თითები ნელა, გულმოდგინედ მიცოცავენ კლოსოში, სიგარეტს ეძებენ, მოხდენილად (ჩვეულებისამებრ) ირჭობენ ტუჩის რომელიმე კუთხეში, ან შუაში (თუ მამაკაცი ახის მოხდენილად ასრულებს. ჭალების ერთი კატეგორია იბიძლება) და თუ ახანთი არ გაიჩინა, სხვა მამაკაცსა (რომელსაც ახანთი მოეძებნება) და მის შორის უცაბედი კავშირი მყარდება... პირველი ნაფაზის შემდეგ, თვალები რაგაში მდგომებს ითვლიან... ულვაშებგაბადრებული მამაკაცი, ლუდს რომ მყიდულა, სიგარეტს არ ეწეოდა. მისთვის არ არსებობდა ღვინის სმისაგან გაბრუებულ მამაკაცებს შორის დაწყრებული (უნებლიე) კავშირი. იგი დინჯად ავხედა კაოხებს, ფულს ითვლიდა, აბურდავებდა, ისევ ავხედა და ითვლიდა და ითვლიდა... ლუდის კახრთან ბიჭუნა (გამყიდველის შვილი) ბზრიალებდა, მაძას ეხმარებოდა... გამყიდველს ხელის დიდი მტევნები და ეკბიანი ცხვირი ჰქონდა, ამაყად უმზერდა მკერდჩავარდნილ მამაკაცებს, რომლებიც დიდი გულისყურითა და სიფაქიზით უბერავდნენ ლუდის ქაფს... რაგში მდგომმა კაცებმა უცებ კისრები დაიგრძელეს, ხმას აუწიეს: როგორ, ურიგოდ უნდა ლუდი? იმ ვიღაცას, ლუდის ურიგოდ მირთმევა რომ სურდა, ფული დააკლდა. დანარჩენებმა კისრები დაიმოკლეს (მხრებში ჩარგეს, ჩაიძვრინეს...) და უანყობატოში მოიკეთეს სიხარულით შეჩეკული სიცილით: „წადი, მიბარუნდი, კნეინას გამოარეი!“ „რას მოსჩანთავს... ვიცნობ, ჩვენთან რომ პავლეა, სადღესაც საამქროს გვერდით, იმისი ძმაკაცია. პიანინოსავით განიერი ცოლი პყავს, გაუკულტავს, დაამტვრევს, დალეწავს, ჰი, ჰი, ჰი, ჰი!..“ გამყიდველმა ფულნაკლულს მაინც დაუხსა ლუდი, ფული საერთოდ დაუბრუნა უკან და სიხარულით აეყავებულ კაცებს გაუხეხა... რიგში შეხედა ულვაშას და მიეუჩდა. მალე რიგს ვიღაც მაღალი კაცი შეემატა. იგი ულვაშზე მაღალი იყო. ამან სულ დაამუნჯა ხალხი, თითები უფრო აუცახცახდათ და სიგარეტი გაახმილს... მაღალ კაცი ნაწყენი იყო ვიღაც გამყიდველზე და იგინებოდა. ულვაშამ რამდენჯერმე გახედა ცერად, თითქოს მოზომა კიდეც ახმაში და შუბლი მოჭმუხნა... კახრში აღარ დარჩა ლუდი. ამან მთელი რიგი გააღიზიანა. მსხვილკისერა ახმაში. გინებას მოაყოლა: „რა ბედი აქვს, ამათი დედა... ადი წლით არაფრის გულისთვის მოაუურეს... სადაც არ წავა,

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 4.

ARCHIVE
http://Archivebeta.Sakdigi.ge

ყველანაირ მაშინ უნდებათო, უჭ, ამათი უველაფერი!.." ულვაშა ირიბად უცქერდა.. რიგი სულმდა. რიგი ქანაობდა. რიგი სიგარეტს ეწეოდა. რიგი ხრჩოლავდა, ახველებდა, იწვოდა, ხურდა.. რიგს სწყურიდა... ულვაშა სავსე ქასრის პოსაგორებლად შებრუნდა. ამბამს დედა შეაგინა.. რიგი გაითანგა. რიგი აცახცახდა.. დაბლიდან პატარა ბიჭმა ამოყო თავი, მუქარით შეხედა ამბამს, რომელმაც იგრძნო მაშინ ალბათელი სიძულვილი და, ცინცხალანო, ხელი გაუქნია. ბიჭი გაუჩინარდა. მამისკენ გაემართა... რამდენიმე კაცი გამოკლდა რიგს, დანარჩენებმა — ვინ სიგარეტი გააბოლა, ვინ გადაადგილა... ყველა იომენდა... ამბამიც იომენდა, მაგრამ ვერც ითმენდა: „რა ბგონია ამ მამაძაღლს, საკუთარი კანტორასა თუ რა არის? როგორ გახუქებენ, ხალხს სისხლს სწოვენ, ბანქოებზე იუფრებიან, აჭაც არ გვახვენებენ, გვატყუებენ, ნახევარ ჭიჭა ლუდზე მანეთს გვახდევინებენ... უხ, მე ამათი... დასცხე, მე ამისა!.." არავის არ ჰპუა, წინამძღოლობა არ გამოუდგა... ფარდულის მიდმიდან ყრუდ ისმოდა საუბარი... რიგმა იცნო გამყიდველის რობრობა ხმა. ულვაშა კალს ეცადმაუბრდა: „რამდენჯერ უნდა გითხრა, კალო, არ შეიძლება - ვაჭრობაში ჩემი მოშაობა, ბუთჯერ ვთქვენ და ისიც რისთვის? ზუბასთვის!". „აცა, ერთი ყურიდან შეუშვი...". „აარა, მე არა ვარ ვაჭრობის კაცი, გამაგებენ თავი!". „ეჰ,ეს შვილს მოყვა არ უნდა?". „ციხეში ჩაჭდომა ალარ მინდა, გამეცალეთ, შენი!.." ულვაშა უკანასკნელ გამოჩნდა... ამბამი დაბლს მიუახლოვდა: „აჭ რა, კერძო დუქანი გაქვს? ცოლთან კავშირი ხალქში, საღაზოთისთ უნდა!.." ულვაშას თვალები გადმოეკრქლა, ჯერ იქით გაიხედა, სათაც ცოლი ეგულებოდა, მერე შვილს დაბედა და ტუჩები მოკუმა... რიგმა იგრძნო — ულვაშა შეურაცხყოფის მონელებას ცდილობდა.. რიგმა ამოიხვნეშა. ამოისუნთქა, რიგს თვალები გაუბრწყინდა, რიგმა ხმა ამოიღო და კანკალი თითებმა სიგარეტის კილოფები მოიძრა. ულვაშას მოთმინებამ დაამცარა ამბამი, დაბლს ჩამოეყრდნო და ულვაშას დაუწყო თვალიერება. ულვაშა მოთოკა მიხმა მზერამ და ხელები აუცახცახდა. ბეჭებზეც კი ემჩნეოდა ის დელილი, რომელიც ხელის მტევნებიდან შეუძყრა სხეულში... პატარა ბიჭი (რომელმაც კარგად იცოდა მამის ხასიათი) მომცრო მაგიდასთან ჩაშოდა, ხელის მტევნები მაგიდაზე დააწყო, ნიკაპი ჩაშოდო ზედ და მამას მიაშტერდა... ულვაშამ იმ იყო დაბლს მოუსვა ჩვარი, რომ ცოლმა დაუძახა... ულვაშა გავიდა... ამბამმა შეაგინა, პატარა ბიჭი წამოდგა, შეუბღვირა და დედ-მამისკენ გაეშურა... რიგი გაითანგა. ულვაშა მალე გამოჩნდა, რიგს გადაავლო თვალი და ძალისძალად დათოფლული ხმით გამოაცხადა: „ეგ ერთხელ გაბძოლა, დაიშალა და განზე გადგა... ამბამი დარჩა... როცა ულვაშამ დარაკა დაკეტა, კიდევ შეაგინა, მერე განეგზავნა ვაჭრებისაკენ, ხმაც კი შეიცვალა... ულვაშა და პატარა ბიჭი მალე გამოჩნდნენ... ამბამი ჭინ გადაღვდათ:

— გაობიბრთ?

— რა გინდა ძმობილო? — ნაძალადევი, ისეე იტი დაშაკრული ხმით ჰკითხა ულვაშამ და გაღიმება ცდაა,

— შენი ძმისაც და შენი დედაც! — ხმადაბლა გამოსცრა ამბრებულმა, მისწყვდა, პერანგზე მოაყალო ხელი, დაითრია, ხაკინტე მთლიანად ამოაფხრიწა... ბიჭი აბრძა და ულვრილი აბერხა — მამას კლავენო... ულვაშა გაოგნებული იდგა, უეცერურად იღიმებოდა (ტატობა, ასეთ სიტუაციებში ძველად სულ სხვანაირად იქცეოდა) ხელებს შლიდა და ხალხს ეძებდა, რომ ეთქვა — ხედავთ, რა მიქნა, რას მერჩიოდაო... ამბამი მიხვდა — კაცი დაკაბნა და მისნაირების უმრავლესობის ჩვეულებისამებრ თითი გაუქნია ცხვირწინ:

— თავს გაგიღიდათ, მე თქვენი! ხალხს ღლეკავთ, ხალხი არ ვეცოდებათ! „თუ კიდევ გნახე ამ ფარდულში, მოგვედი, შენ ნაბიჭვარო!

ვაჭრებული წაიქცია ულვაშას შუშაგა, ჯარბებშუა რომ მოხვდა. ბიჭმა უმაგი ტირილს... ულვაშა ზედ შეგდა წყალეულს, გაუარ-გამოუარა ტრადიციულად (მამაპაპურად), შვილს ხელი წაავლო, აიწიალა და წვედა... მამა-შვილი ჩუმად მიდიოდა. ჯინდო შორაბერო მისდევდა და არ უკვირდა თუ რატომ მისდევდა. ულვაშა მბრუნს ათამაშებდა. ხელის ფართოდ აქნევდა და წამდაუწუმ ულვაშებს იგრებდა. ბიჭს ისევ ასლოკინებდა — ზლუკუნის ხარჩენები ამოჭრნდა ხორხიდან... ხალოს შეშობას რომ მიუახლოვდნენ, ულვაშა შეჩერდა, შენობას ახედ-დახედა და უცებად ისეთი წასცხო შვილს, პირკვე წაამხო... ბიჭი სწრაფად წამოხტა და ბღავილით გაიქცა. მამა გამოუდგა... სახლთან მეზობლები გადაუდგნენ წინ, დაიჯირეს, დაბოკეს... ულვაშა არ ცხრებოდა, — როგორ, მამა კისაკენ მოუცლის და ხელი არ გაანძრია. იმიტომ ზრდის? რად უნდა ასეთი შვილი? ვისი იმედი უნდა მჭონდეს?! არაფერში ბედი არა მაქვს... სულ იმას ვამბობ, ჩემი ვაჭრობა არ იქნებაო და არავინ მიჯერებს, ციხე უკვე ხუთჯერ ვხენე. სახლში მყვანან მტრები... შვილი რა არის, ისიც კი... ეს კვეცინებიხ!. კარგით რა, ხალხი არა ხართ, კაცო!? — ულვაშა კარგა ხანს იქნევდა მუშტებს...

ჯინდო ისევ ბაზრისკენ დაადგა გზას. აქეთ-იქით ჩაწკრიალებულ, წვივი შეღესილ-დაბურულ ხახლებზე მწვანე ბალახს ამოეყო თავი... თითქმის ყოველ ათ ნაბიჯზე ერთი-ორი კაცი, შვიდიოდე ძაღლი და ამდენივე ცხვარი ხვდებოდა... ბაზარში ხალხი ხორხორებდა. უმეტესად ნასვამები იუვნენ. ჯერელხილებანდონი დედაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცება მუხლებზე იცემდნენ ხელს, წიოკით ჰყვებოდნენ რამდენიმე წუთის წინ მომხდარი ჩხუბის ამბავს... ამბები მხრებს იჩეჩდა, ხალხს უუარებდა, ხელებს შლიდა:

— ხალხო, მაშველებთან არ უნდა გაგეშვათ ეგ არაზედაო, ხულიგანია, კინაღამ მომკლა კაცი!..

ვიღაცა აწუწარებდა:

— ნუ გეშინია... ვინ გაუშვებს, სად წავა... ისე კი არ არის საჭმე! თავ-პირი დაგალეწა, თავი მიწას გიბანაო, გაგიარ-გამოგიარა, ცხვირ-პირი ჩაგალეწა, ფერები ჩაგმეტყრია, ქბილები ამოგინაყა, სულ მთლად დაგამახინჯა — თავი გამოგთხარა, თავი მოგაგლიჯა, უცხები მოგტება, მკლავები მოგწყვიტა და იმდენად გათავხედდა, მკლავებით გცემა, გაგაუბედურა, მოგკლა და მოგხსო... უნდა ჩასვან, დაიჯირონ, აწამონ, ხორცი დაუხერონ, მარილი...

ხალხი ფუთფუთებდა, ნაწილებიდან და ცალკეულ, — ამოჩქოლებულ ჭაუფებად იკრიბებოდა... კამათობდენ, იმუქრებოდნენ, ასამართლებდნენ, ელოდნენ... ჯონდო ბაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ.. სარტყელებად იყოფოდა ხალხი — ვინც შორს იყო — იქ სიკვდილზე, სროლაზე, ხიხსნელ ლაპარაკობდნენ, უფრო ახლოს მდგომნი კი ცემა-ტყეპაზე...

— ბაზრიდან მოვდიოდი, ხალხით ვხედავ და რახა ვხედავ — ფარდულთან მტვრის ბუღი ავარდა, მაღაზია სულ დაილეწა... ულვაში მხეცმა დახლიდან ისკუპა და მარჯვენაბაბრმამან საწყაოსი კაცი გააბერთვაო... ანდა როგორაც ჩხუბობდნენ — სულ დახახხლიანებულები იყვნენ, ნაწილავებს ძირს მიითრევდნენ... არადა, ბაზრიდან მოვდიოდი, სანოვაგე მომქონდა. ერთი კილო კომბოსტო — როგორ გაგიარდა, სამი კილო კარტოფილი — შაკარივით ტკბილია, რამდენიმე კონა ქინძი ლობიოსთვის — მამახისხლად მყოდიან, ერთი კილო ვაშლი — სულ ჭიანია, თუმცა ამ ნავაჭრის დარდი ვილას ჰქონდა, როცა ადამიანს ახრჩობდნენ. ჩემი ჩანთები გვერდზე მიგაყარე, ეს ვთქვი: კაცი ძირსა გდია და ჭაუჭაუა სისხლი თეროსთან გასდის თავ-პირიდან. ხმა ვერ ამოვიღე, ენინტი ვერ დავძარი, ანდა რა უნდა მექნა? — დედაკაცი ვარ მანდილოსანი...

ჯონდომ უფრო წინ, ფარდულისკენ წაიწია... ჯონდრისკაცი ჩუმად ქირქილებდა, სიგარეტს ბოლოებდა, მომხდარი ამბავი ახარებდა და ღიმილით ამბობდა:

— ვინ ძა იცის... ყველაფერი ხდება... ულვაშა ჩასვამენ... იქნება ვინმეს ეგონოს — ან ჩასვამენო? მმ, ჩასვამენ, ნაღდად ჩააუდებენ... ეტვი ეპარებათ? არ სჯერათ? მაშ მისი ნაცნობი რომ ჩააუდებს, რაზე ჩააუდებს?! კაცი ბუთი წელი უშუშევარი დადიოდა, ლოთობდა და იმიტომ... მერე, როგორც იყო ერთი დაილეწილი „კოლბიდა" მისცეს... ხმაბ თავი გაანება, ერთ წელიწადში „აკრიფა", ამას წინათ რესპუბ მანქანას ბორბალი გამოსძერა, გაგორდა, გაგორდა, ბოცი წლის დედაბერს დეჯარა და მოკლა... ყველას გვეგონა — არ ჩასვამენო, მაგრამ ჩასვეს... ის ჩასვეს და ულვაშას არ ჩასვამენ? ვინ რა იცის... არც მივიწველე... რაკიმ არ მივიწველე? ერთხელ ვიღაცას წავეწველე, მოვაბუდეთ და პასუხად, მაღლობის მაგივად ისეთი წყმცხეს ქეჩოში, კინაღამ გავიხუდრე... ხომ უთქვამთ „წუთთანას თავში კეტი". თუმცა მეტისმეტი ჭკნა ამ ულვაშას, — ხაწყალ კაცს ტანისამოსი დაახია, საქვეყნოდ შეარცხვინა, ჯერ ფარდულში შეითრია, დაჰ ჩაარტყა... ესეც არ ამოუფინა — ჩაბუსტა, ჩაიგზა, ჩააჩოქა, ჩაზილა, ჩაათახირა, ჩაკეცა, ჩალეწა, მერე ხასეიროდ გარეთ გამოაბურთავა, ზედ შესდგა და კაცი გაუბედურა... სულ რომ არაფერი, შარვალი მაინც...

ჯონდრისკაცს ვიღაცა მოსეირეც შეაწუვეტინა:

— როგორაო? ვითომ რატომ არ უნდა მიველებიყავი? არა გრცხვენია? აქამდე უნდა მიგეშვა? — ნეკნები ჩაუმტვრევია, თორემ ელენე ამოუგლეჯია, ლაბ-პირი დაუხევია, დაუნავალებია... კაცი კაცადაც აღარ გამოდგება... არადა, ჭაუაზე მყოფი ამას როგორ იზამდა? ის ხულიგანი, მეტად გამოცდილი ხულიგანი ჩანს... თანაც ყოველ მაზეს გარეშე ავადმყოფია... ავადმყოფი არაგზნაცა კი ხაშიშია... ასეთს, მართლა მილიცია ვერ უშველის — ფსიქიატრიულში და ჰაიდა!.. ერთი მეზობელიც ახე გამისულელდა: ხამსახურში წყვიდა და უცბად, უმიზეზოდ, მოულოდნელად ამდერდა ჩარხთან... ახლაც იქ წევს... ჯერ არამგელა ულვაშები ჰქონდა, თმა სულ გაბცვენია, ტატუა მორფინისტია... ანდა როგორ გადაურჩა ეს უბედური, როგორაც ცოცხალი, სისხლისგან დაცლილა, უურები აღარ აქვს, ჯოჩორიც მთლად გაუგლეჯია... ნაცემი უცვე თვითონაც გაოგნებული იდგა, — ერთი მოზრდილი კოპი აჭდა წარხებზე, ტანსაცმელზე კი ღილიც არა ჰქონდა ალესკილი... უმალ მიხედა — ახლა კი დრო, ასეთი არევ-დარევა გამოვიყენოო, პერანგი შემოიგლიჯა, ხელები სახეში შემოირტყა, შარვალი ჩაიხია, ახლავლდა და მილიციას დაუახეთო, აყვირდა. ჯონდო მიუახლოდა ახმახს. გუთის ცემა აუჭერებია... არ გაკვირვებია, რომ გაბრაზდა, თავის ჭალაში მკბენარა ერთხელ მსგავსად გაეშალა სისხლი, ახმახთან მივიდა, ბხარში ჩაავლო ხელი, მეორე ხელი ნიკაპში ამოკრა და ისეთი დაუყვირა — არამზადაო! — ხალხიც კი გაიხუხა...

ჯონდო და ახმახი რომ მილიციაში მიიყვანეს, უულვაშა უკვე იყო... ჯონდოს მას შემდეგ მიმართეს თქვენობით, როცა მისი ვინაობა

შეიტყვეს... ჩვენება ჩამოართვეს, ეს კაცი (ულვაშა) თქვენი სამშობლოს დაქვემდებარებულ ცეკავშირის განყოფილებას ეკუთვნისო და გამოაცილეს...

ალარა და ალარ დაეძინა ჯონდოს. მიზეზზე არცა დარღობდა, რადგან იგი (მიზეზი) მილიციის განყოფილებაში ეგულებოდა. შეიძლება ამისი (უძილობის) ბრალი იყო, რომ ჭოხაბუულას ზღაპარში მოექცა. ერთი რამ ვერ გაეგო მზოლოდ, — ამ ზღაპრის მიღმიდან რატომ აეცილებინა გამშარტება (ორი სიტყვისაგან შედგენილი წინადადება) — „ისტორიული რომანი". ვერა და ვერ მოიშორა აკვიატებული სიტყვები, გადაზიანდა და ძლეულები შეიქნა ამ პარალელზე (ისტორიულ რომანზე) ეფიქრა (რომლის გვერდით, მეორეხარისხოვან პარალელად დარჩა ჭოხაბუულას ზღაპარი). ისტორიული რომანების მთელი წყება წარმოიდგინა — სათითაოდ გაარჩია, ავტორების ვინაობა გაიხსენა, მათი გარეგნობის აღდგენა სცადა და ბიოგრაფიამაც დაინტერესა. იმდენი იფიქრა, სანამ დონ-კიხოტი არ გამოუტყვრა. განცვიფრდა — როგორ, დონ-კიხოტს ისტორიულ რომანებში რა უნდაო. დარწმუნდა, რომ რადღაცნი შეცდა... საკუთარ აზრებს თავი და ბოლო ვეღარ გაუგო, რადგან მათ (აზრების) ჩინებია ასეთი იყო: ჭოხაბუულას ზღაპარი, ჭოხაბუული, ისტორიული რომანი, მრავალი წიგნი, ავტორი, სახელი და გვარი, ვინაობა, უფიქრობინა, აბჯარასხმული მეომრები, ომი, გამარჯვება, დამარცხება, სიყვარული, ქალები, კაცები, ბრწყინვალე ნადიმები, აღლუმები, ძლევამოსილი მეფე, მეფის ფუქსავატი ძმა, ბოროტი დედოფალი, ინტრიგანი ვეზირი, ჯარი, ხარდალი და ისევ ჭოხაბუულას... სარკმლიდან აკცივების უკვალოდ შემოჭრილნი სურნელებას. კოჩუტეის უკვე ეძინა. ქარი სისინებდა. როცა საბევრთო მწყაზარმ ჩაიბრიგინა და სანთლითი ამოავსო სარკმელი, აკაციების სურნელება გაჭრა, თან გაიყოლა ყველა დანარჩენი და ჯონდოს უცებად გამოუბერტყა ჭოხაბუულეთბითა და ისტორიული რომანებით გამოტენილი თავი... ძალიან გაიხარა. სხვა ამბებმა გაიტაცა — საკუთარ თავს სასაჩაროდ მოეწყო ერთი ალრინდელი მოქმედების გამო... ჯონდო და ვალიკო ერთად მუშაობდნენ მომარაგების განყოფილებაში. ჯონდო მარტის თვეს მიიღეს სამსახურში, ვალიკო — აპრილში. დამეგობრდნენ, თითო ბოთლი არაყი დალიეს პირველი ხელფასების გამო და იმელერეს კიდეც... ვალიკომ მალე სახლში დაპატრეა, მეუღლე გაიცნო და იმის შემდეგ ყველი დღესასწაული (დაბადების დღეს, აღდგომას, პირველ მაისს, რაღაის, მეთევზის, მეწყლეურის, მებადურის დღეს...) სულ მის ოჯახში ეგებებოდნენ... ამას (რომ ვალიკოსთან ეგებებოდნენ ღირსახსოვარ თარიღებს) ერთი მიზეზიც ჰქონდა — ჯონდო ერთ ცოცქნა ფაქირავებულ ოთახში ცხოვრობდა (რომელსაც ვალიკომ სამტრედე შეარქვა)... მაგრამ დაძმაკაცდნენ. ბოლოს ისე გადაებნენ ერთმანეთის ურთიერთობითიდ პურს ალარა სჭამდნენ და ერთ (ალბათ არამზადების) დღეს ცოლმ იეჭვიანა — გინდა თუ არა, ვალიკოს ცოლს (რაიხას) ჰყვარობდა. არაო, ჯონდომ იუარა. ცოლმ კარ დაუხურა და (არადემონსტრაციულად) დატოვა სუფრა, რომელიც ვალიკოს ოჯახში იყო გაწყობილი. რაიხა გაშრა. ვალიკო კინაღამ სიცილით გაიგუდა. ჯონდო დაიბოღმა და სმა გააგრძელეს... თურმე ცოლ არსაფიც არ წასულა, კარამან იდგა და უსმენდა. მერე დააკაკუნა, ისევ მაგიდას მიუდგა და ქეიფსაც მეტი ეშხი შეემატა... ჯონდოს ღვინო რომ მოეკადა, ამოიჩემა — თქვენს (ვალიკოსა და რაისას) ბედნიერებას ერთი შვილი აკლიაო, მაგრამ ვალიკო და რაისა ყურს არ უგდებდნენ. ჯონდოს ვალიკოს ძმაკაცობაში ეჭვი პირველად შვიდ ნოემბერს აღერძა — მათი დაწესებულება (ისევე როგორც ყველა) საშვიდნოემბრო ზეიმზე გამოვიდა. ჯონდოსა და ვალიკოს დროშები მიჰქონდათ, სულ წინ იდგნენ და წარმოუდგენლად ეამაყებოდათ... ტრიბუნებს რომ ჩაუარეს და გასცდნენ, დროშები თავიანთ დაწესებულების მანქანაზე დააწყვეს და კიდეში (რომელსაც „ოჯოხის ხაა" ერქვა) შევიდნენ — თითო ჭიქა დავლიოთო. დინჯად შეეკცნენ საქმელს. ის იყო თითო ჭიქა დალიეს, რომ ერთი ენაჭა ბიჭი მიადგა მათ სუფრას და ჯონდოს მკლავს ხაიდან ხარო. უკახუა — თბილისიდანო. ენაჭას გაეხარდა, დაუკითხავად ჩამოჯდა სკამზე, ახლოს მიიწია და მოჰყვა — საქართველოში ვმსახურობდი საბჭოთა არმიის რიგებში „კატო", „ჯენცვალე", „მე შენი დედა..." ვიცით... ჯონდო გაამხიარულა ენაჭამ, კიდევ ერთი ბოთლი არაყი მოაკანონა და გაცნობა-მეგობრობის თქვეს. მშვენიერი (ბრწყინვალე, ნათელი, დინჯი, პრისტოკრატიული, მაგრამ არატრადიციული) პურმარილი გაიმართა. ის იყო ბაცნობის სადღეგრძელო თქვეს ხელახლა, რომ ერთი ბიჭიანება, მხრებგანიერი, ლამაზი ბიჭი მიიდგათ ზედ, ენაჭას დახჭვდა, სკამიდან აიორია, შეაგინა, ლაწირაკი, ბრიყვი, ნაბიჭვარი ურწყდა და ახლავე წაამთერიე კედელო, — უბრძანა. ენაჭამ — არაო, არ წამოხვალო, და — შენი დედაც აქ, ამათი კიდევ ჭკო, — შეიგინა ბაჩაჩუკამ და შებრუნდა... ჯონდო ზედ კართან მოეწია, მოატრიალა და დარბაისლურად ჰკითხა — ჩვენგან რაღა გინდოდა, დედა რაზე შეგვაგინეო. ლამაზმა ბაჩაჩუკამ არც აცია, არც აცხელა, თავური დაჰკრა ჯონდოს, სახე დაუხისხლიანა, მოაცურა, ვიღაცებს მაგიდა გადაატრიალებინა, ცხელი ჩაი გადაეცხო ზედ და კინაღამ გაიფუფქა... მაინც წუნარად (თავმდაბლურად) წამოდგა, სისხლი მოიწმინდა (თავი სულ მოიისპუნა, მოიშკდარუნა) და ამაყად მდგომ ლამაზმან მიეყდა — რას მერჩიო, რატომ დამარტყიო. როცა ლამაზი საბოლოოდ

დარწმუნდა — ეს კაცი ლამარია, დავიბარაეთო, გაელიმა, ხელი ასწია, თითი გაუქნია — ჰქედან მომწყდი, თუ კიდევ არ გინდა, მაგიდებში გაგჩხრეო. კონდო უფრო მოიკუნტა, საცოდავად გაილიმა, მთლად მოდუნდა, მხრები ჩამოყარა... როგორც კი ლამაზმა ზიზღით შეხედა (და კონდო დარწმუნდა, გამარჯვებული ხიხარულით მოდუნდაო), კონდომ უცბად წაიყარა, დაიბნია, თავი ალარ აიღიბნა, დაკუნტა, უანჯრატოში ამოსცხო, აბრიალა, წამოჰკივლა, ვიღაცეების მაგიდიდან ცხელი კერძით სავსე მთლად აიღო, ლამაზს შარვალში ჩააცხა და თავის სუფრას დაუბრუნდა. ქნაქამ და უცნობმა ბიჭმა ააყენეს ლამაზი, რომელიც ბღაოდა — ხალხო, ხომ დაინახეთ, ხახეში როგორ გამკრა ფეხი, ნაღდად ხპორტსმენია (სამბიხტია) და მაგას კაცის ცემის უფლება ნამდვილად არ ექნებაო..

●

ქარი ჩადგა, ხარკმელთან ძალლებს მოუვიდათ ჩხუბი. კონდო ღრენაზე მიხედა, რამდენიმე ძალლი წაეცა ერთს. წამოიწია, მაგრამ ჩემი საქმე არააო, — გაიფიქრა. დაკბენილი ძალლი დიდხანს წკმუტუნებდა... კონდო ხიჩუმეს უსმენდა. ხიჩუმე ხავსე იყო უცოშარი ხმებით... ახტრახანიდან მომავალი მატარებლის ხმა შეესმა...

●

ვაგონში საკმაოდ ხუნი განათდა. უნაპირო წყალს ხიერილემაც ვეღარ უშველა კონდოს. ხუნთქვა შეეკრა, წამოდგა და ვაგონის ბოლოში გავიდა, ხადაც ხაზრდოს ხუნი იდგა, ვაგონის ბრიალი კულმინაციამდე აღწევდა და მოსვენებაზე ფიქრის დრო აღარ რჩებოდა... ერთი კითხვა აეკვიატა — რატომ უკრავს უხახრულოდ გიტარას ვალო და რა ამბერებს? ამ კითხვის მეორე ნაწილმა კი მართლა აღარ მოახვენა — რატომ მღერის ვალო და, საერთოდ, რატომ კოცნიან ადამიანები ერთმანეთს? ამ უცნაური კითხვების ხაწუხნი ღვინის ხმაში ჩაიკარგა და დაახკენა, რომ ადამიანის ყველა ჩვეულება (ჭამა, ხმა, ცეკვა, კოცნა, ხიყვარული, მწუხარება და ა. შ.) რაღაცას ემსახურება, თანაც მონურად ემსახურება და ადამიანებმა ეს არ იციან... ვაგონის გამცილებელი გამოჩნდა, ჰქანდაზით ნახშირი შეყარა ღუმელში, კონდო ეკვის თვალით შეათვალიერა... ეტყობა, იფიქრა, — ამ ხიცივეში ჰქ რატომ უნდა იდგეს ჭკუაზე მყოფი კაციო. კონდოს დაიხარა, კონდომ მისი ფეხები მამკაცისას მიამსგავსა და ვაგონში შევბრდა, ხადაც ლუდისა და კვერცხის ხუნი იდგა... გოგონები ნაღვლიანად ისხდნენ... ერთი თელქადა. მეორე ზღვას გასცქეროდა.

ჭერათმიანი გოგონა მაღლა იწვა. შავთვალა კუთხეში მომჯდარიყო და ჰჭსოვდა. იგი ხშირად ანებებდა თავს ხელხაქმეს და ზღვას გასცქეროდა. ხაქმელის ხუნიც წონადებურად იდგა... ყოველნაირად, რასაც ახლა კონდო უწყვრდა, ხანი რამ დაიხახელა — შავთვალა გოგონას ნაღვლიანი ხახე, ხორაგი და ხასმელი (არუნია და ღვინის ბოთლები)... შავთვალა გოგონას ნაღველს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ღვინოსთან და ხორაგთან, მაგრამ ამ ორ, მეტად ანალიტიკურ ხაგანზე (ხორაგზე და ღვინოზე, ანუ ჭამა-ხმაზე) ფიქრი ვერა და ვერ მოიშორა... ესე იგი, ადამიანს ყოველ მიზეზს გარეშე ხვირთები ხამი რამ: ხაქმელი, წყალი და ჰაერი... (უამათოდ არ შეიძლება, რადგან ამოუწყვდებით)... ეს ნაღდად სჯერა, რადგან, როცა რაიმეს წერს — ნახაუზმეზეს, ნახადილევს და ნახვიშვეს ჭარხვანებად მოედინება აზრი. ერთხელ გააანალიზა ეს... ეტყობა, დანაყრებისას, იმ ძალებს, რომლებიც აზროვნებას ამღერევენ, ხაქმე ეძლევათ და გონებას ათავიხუფლებენ... ნამუშრევზე კი ლექსის ხტრიქონები მოკენაობენ მახხოვრობის ხიერშეებიდან... ერთი ხანობა ეჭვიც კი შეეპარა, — ღვინოს ვინც არა ხვამს, ნეტავ როგორ წერს ლექხებსო...

კატლეტი და შჩი ჩამოატარა თეთრხალათიანმა ქალმა. შავთვალა გოგონამ ჩხირები დააწყო. ორ-ორი ულუფა იყოდა და მეგობარი გოგონა გააღიძა, ვჰამოთო. მან იუარა. შავთვალა მარტოდ შეექცა. კონდომ შეატყო, ნაღვლი ბაუქა გოგონას და ვაიფიქრა — ადამიანები იმაზე მეტხა ხვამენ, ვიდრე მათ ორგანიზმს ხჭირებთოო... თითქოს ვიღაცას ეჭიბრებიან... თითქოს ვიღაცაზე შურს ძიობენ... გოგონა რიდით ჭამდა და კონდომ ხარკმლისკენ მიიხედა. ზღვა ისევ ისე ღასლაპებდა. დაიინტერესა ერთმა ამბავმა — ნეტავ ზოგიერთი მწერალი როგორ ახერხებს ისეთი რთანის დაწერას, ხაცნობიერი ძლეს რომ აშოვებაო... მერე ხინანული შეეპარა, მე ვერახოდეს დავწერ ახეთ რთანსო და გაუკვირდა, როცა მისი ხინანული შეესატყვისა შავთვალა გოგონას ნაღველს... გოგონა ახლა გემრიელად ჭამდა... ზუტად ახეთი ჭამა უყვარდა მისი მეგობრის (მწერლის) ცოლსაც... მეგობრის ხამზარეულო ოთახი წარმოიდგინა, ხადაც უკანასკნელად იატრმარილა. უყეერფრის მიზეზი კედლის გალესვა იყო... რამდენიმე ბოთლი ღვინო დალიეს, იმღერეს, მრავალჟამიერი თქვეს, გული გაიხარეს, დაახახლისა დაღლეს, თავი ატკივეს და წვეიდ-წამოვიდნენ... კონდომ გადაწყვიტა, არავის აღარ მივეხმარები კედლის გალესვაში, აღარავის მოვაბეზრებ თავს, ჩემთვის ვიქნები და უფრო კარგადაც ვიქნებიო...

ჯემალ დავლიანიძე
შემოგრაწერება

ახალი წლის წინა დღეს მეგობარს ესტუმრა. მისთვის სადა ჰქონდათ დრო, — ხახლს ახუფთავებდნენ, გეგმას ადგენდნენ, რამდენი რა ეყოფათ, ვინ დაესტუმრებათ (ერთი თუ ორი კაცი სამჯერ წაშალეს და ისევ ჩაწერეს შინასატანტესტე სიაში)... სწორედ მაინც ნახევარ კონდო, მათი გეგმები არივ-დარია, მეგობარს ფსიქოლოგიაზე ესაუბრა... ალბათ არც უნდა მისულიყო...

როცა ვაგონში კარგად ჩაცმული რამდენიმე ბიჭი შემოვიდა, ყველა გამოცოცხლდა. ვალერამ იგრძნო, ახალი მსმენელები გამოჩნდნენ, გიტარას ჩამოაკრა... გიტარის დანახვაზე ბიჭებმა შეჰყვირეს... უცბად გაიცნეს ერთმანეთი: ვალერ ჰქვია? ხად მიდის? იქით როგორი ამინდები. ბევრია გოგონები? არა? რატომ არა? შეეხუნებით მოდის? ეეჰ! ის მოხელეა? მოხელეები? არა? მაშ შეიდსიმაინზე უკრავს!.. ექვსიანზე რომ დადგაწყონ გიტარა, ხომ არ ეწყინება? ერთ კარგ სიმღერასაც ასწვალიან... კარგი? ჰო? შენ გენავალე! თან თითო-თითოც გადავკრათ, ერთმანეთი გავიცნოთ, გავიხაროთ, მისამართები გავცვალოთ, მეტი რა შეგვრჩება; არა, აბა მაშ თქვი, გვითხუნე,— მეტი რა შეგვრჩება? არადერი? შენც ასე ფიქრობ, არა? კაცი ყოფილხარ კაცური... ვალო გქვია? მე სურენა, იმას გივია, მალხაზი, ახტუნგი, თბილისელები ვართ! ჭიობე შენი! აბა გიტარა, თუ შეიძლება!

შავთვალა გოგონამ სწრაფად მოასუფთავა მაგიდა, ჭიქალდის პარკუჭანაში ჩააწყო ნარჩენები, იდავეებით ჩამოეყრდნო მაგიდას და ნაზი (უფაქიზესი) გამომეტყველებით მიაჩერდა ბიჭებს, რომლებმაც მთელი ვაგონის ყურადღება მიიპყრეს და ჩაახშეს ვიღაცა მგზავრის ხელში აღელებული რადიო „ტურისტი“, სადაც ვალხის წარმოშობისა და არსის ახსნას ცდილობდენ...

სურენამ ყველა მოაჯადოვა. რამდენიმე ენაზე მღეროდა. გივიას მშვენიერი მეორე ჰქონდა. მალხაზი ოხრავდა. ახტუნგა თამადობდა...

ჯონდო ვერ ხედავდა ვალის, მაგრამ იცოდა, ცუდ ხასიათზე იქნებოდა, რადგან სურენა მართლა კარგად უკრავდა გიტარას... ვალო ყველას დაავიწყდათ და ამან ერთი ტელესპექტაკლი წარმოუხახა ჯონდოს — მახწავლებელი არიგებდა მოსწავლეს (რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა): ჩვენ მოვალენი ვართ დონკიხოტობა ავიკნინ დავგუწამოთ. დონ-კიხოტებს უნდა ვებრძოლოთ, ხალხთად მოვსპოთო. ამან გააბრაზა ჯონდო, ისე დაიბოდა, იმ პედაგოგს ერთ ლაზათიანსაც წასცხებდა ჭერშიო აქ რომ ყოფილიყო. მერე გადაიფიქრა, — რატომ უნდა სცოდნოდა პედაგოგს, ვინ იყო დონ-კიხოტი? ანდა, ხერვანტესის ქმნილება, რატომ უნდა შეეცნო პედაგოგს? განა ეს ძალიან აღვილია?.. ჯონდოს თავისი თავისა შერცხვა და იგრძნო, როგორ გაიყინა მისი ხშირი... ამაზე ადრეც უფიქრია — საერთოდ, თავისი თავის ვერცხვინება? ადამიანი ამბობს: ჩემ თავზე მრცხვენიაო... ჯონდომ ამას წინათ იმდენი იფიქრა ამაზე, რომ რადიაც მყოფიც, შუშის ანარეკლი გამოეყო სწორედ და მესამე სართულიდან დაიდგა... რახან მსჯელობის ხმა არ შეეწყო, ირწმუნა: მომეჩვენაო, მაგრამ ამჟამადაც ზუსტად ისე განმეორდა... შუშის ორეული შავთვალა გოგონას მიუჯდა გვერდით, მოუალერსა, მერე მეზობლების გაშლილი სუფრა ააყირავა, გამცილებელ გოგონას რაღაც უჩურჩულა, გაავწითლა, სურენას გიტარა გამოსტაცა, არხაოსმენილი მანგები აამღერა, ვალოს მხარზე დაჯარა ხელი, სარკმელში გაჰვრა, ლამპადა წყალში გაცურდა და გაჭრა... ერთადერთი გამოსავალიღა დარჩა — არასოდეს აღარ უნდა წამოსცდეს სიტყვები — „ჩემი ტანი“, „ჩემი გონება“, „ჩემი თავი“, „ჩემი სული“, თორემ ის გამჭვირვალე ორეული ადგება და...

ჯონდო დადარდიანდა. ვაგონი ხრიალებდა. მეზობლები იცინოდნენ, სურენა კვნესოდა. ვალო იცრემლებოდა. შავთვალა გოგო ოცნებობდა. ახტუნგა ილოცებოდა. ჭერათმიანი გოგონა ხვრინავდა... ჯონდო წამოდგა, — რუტორნისკენ დაიპრა წასვლა, რომ ახტუნგა აეტუზა წინ — თქვენს გოგონახთან თუ შეიძლება ცეკვა, ჩვენს კამპანიის მანდილოსნები აკლიანო... ჯონდომ ხმა არ გასცა და რეცტორნისკენ გასწია... მეხამე ვაგონში ექსტრასისტოლია (გულის ამოვარდნა) დაემართა — მთელი მკერდი ჭვეშით ჩაუცურდა... ტკბილ შამპანურს დააბარათ და მამისეული ჰპუის არაყი ინატრა...

რესტორანი ისვენებდა (დაკეტილი იყო). ჯონდო არ შეუშვეს, როცა დაინტერესდა, როდის გააღებთო, ლოთად მოხალეს, კინალამ სველი ტილოთი გაუგრილეს თვალები და უკან გააბრუნეს... მატარებლიდან ჩასვლა მოუნდა. სხვაგვარად ვერ შეძლო პრობლემის გამობაკვა. მაგრამ რიღათი წასულიყო? თვითმფრინავში ვერ ჩაჯდებოდა... ბოლოს ამ აზრმა დააწუხა — სადარიც, გაჯერვებას მოგაჯვებენ, მერე რაც ადრევე აუცილებლად უნდა ყოფილიყო და გკონიუო, გაპოვნინებენ და იქით რჩება მადლობელიო...

გივია და შავთვალა გოგო შალახის ცეკვავდნენ. მგზავრები ტაშს უკრავდნენ, ბავშვები ბღაოდნენ. გამცილებელი იცინოდა. ჭერათმიანი გოგონა სარკმელთან იჯდა, ზღვას გაყურებდა და ნაღვლობდა (რაღაცას იხსენებდა).

ჯონდომ თავი ჩაღუნა, თვალები დახუჭა და იმ ნაცნობ, დამაწუხარებელ სიბნელეში მოექცა, რომელიც ერთადერთ, სახოლოო გამოსავალად გააჩნია ადამიანს...

მატარებელი გვირაბში შევიდა. დგანდგარი დიდხანს გაგრძელდა. ვაგონში ჩამიბნელდა. ახლა კონდო ორმაგ სიბნელეში იყო, რომელთაგანაც ერთი შას ეკუთვნოდა, მეორე — მიწას,

და ამან გაახარა. გუნება შეეცვალა, გვირაბი დასრულდა თუ არა, თითით ჭვარი დასვა სარკმლის მინაზე და ჭვეშ თავისი სახელი მიაწერა. წერაწერა არ ჩანდა, რადგან მინა არ იყო დათოვლილი და ეს უფრო ამხიარულებდა..

გიგია, შავთვალა და ჭერაძისანი იცინოდნენ, ბიჭი თავის წერასულს უყვებოდა გოგონებს... თურმე, როგორც იქნა ცოლთან განკრიზულა. სამაჩი მყოლია, რომელსაც ჭაჭა პყვარებია ძალიან... ერთხელ, პირველ იანვარს, დილიდანვე დაუწყიათ სმა. სიღედრი გამოჩნებულა — პირი არაფრისთვის არ დაუკარებია. დამხმარან ღვინო თვითონ, ცოლსა და სამამრს ოთხი ბოთლი არაყი დაუცლიათ. მერე მეზობლად მცხოვრებ ნათესავებს გადაუვლიათ — ხუთი იანვრის მაგიერ პირველ იანვარს იხდიდნენ დაბადების დღეს — უფრო შეღავთაილიათ და პერის ჭამა გაუგრძელებიათ. მწვენიერი სუფრა ყოფილა: ნაირგვარი სალათა: კიტრისა, ხოკოსი, კომპოსტოსი, ჭარხლისა, ვაშლისა (რას არ მოიგონებს სალხინო), მწნილი, ზუთხი, ვირთევზა, კობრი, საკონლის ხორცი და ყაურმის მსგავსი რადაცა, მეტად გემრიელი კერძი... ყველაზე საინტერესო კი მაინც ხორცის ხაკეში გატარებული და კარაქით აზელილი უფრო თევზი აღმოჩნდა, სულ მთელ-მთელი უყლაპია, — ისე მოსწონებია. როცა არაყი შემოჭკლებიათ, მისი (გიგიას) ცოლი და ცოლის ბიძაშვილი (ვანინკა) არაყზე წასულან. ორჯ საათი გასულა, ჩაულაპარაკნიათ და მერე ვიღაცას უხსენებია: ხომ არსად... გიგია წამომხტარა, პალტო ჩაუცვამს და ცოლის ბიძაშვილის სახლისკენ გაქცენილა. მიუხედნია და ხედავს — ვიღაც ბიჭი, მისი ცოლი და ვანინკა არაყსა სვამენ... გიგიამ ხმას დაუწია, ოდნავი ხევდა შეეპარა კილოში და გოგონებს გაანდო — არ მეგონა თუ ამდენი თავშეკავება შეგნებდა, დანა არ ამოეღე და არავინ გვაფუსუფო (დაჭერილო)... გიგია უკან გამოკვეთილი ტარილით. სიდედრ-სიმამრთან მოუხვიხენია, შვილი აუყვანია ხელში, ყველაფერი აუხსნია მათთვის, დამხმარან სამივენი, თითო ჭიქა დაულევიათ კიდევ და ერთხმად უტარიათ... როდესაც გიგიას ცოლი მოსულა — ჯერ დედას უცემია შვილი, მერე მამას... ბოლოს პირღებინება დამრთნია ცოლს, მშობლებსა და ქმარს (გიგიას) შესცოდებიათ და შერიგებულან... გიგიამ დაამთავრა, ჭამიდგა, ძმაკაცებისკენ წავიდა...

მოსაღამოვდა და ვაგონში ვახშამი ჩამოატარეს... ბიჭები დათრგუნენ და წევიდნენ. ვალიც გამოიბრუნა და დაიძინა. მატარებელი დიდ სადგურში შეჩერდა. ვაგონები ცვლავ ჩაიცვლა, ხალხი ბუფეტებს მიაღწა... ისევ გაიშალა სუფრები, ღღონე საჭმელი შეიცვალა თევზით, მთაწმიული ყვერცხით, მთაწმიული კარტოფილით, კიტრისა და პამიდვრის მწნილით...

გოგონებმაც ამოალაგეს საჭმელი. შავთვალამ ორი მანდარინი დადო ჯონდოს წინ და გაიცინა — მთელი დღეა არაფერი გიგამიათ, კაცო, სამივე ავიწუვთო, — უთხრა... ჯონდოს გაეღიმება უნდოდა, მაგრამ გიტარა აეღარუნდა ისევ. — ეიდევ გიდვიძა და მაშ ას უნდა ეჭმა, არ ეწყინა? ეის ჯობ ან არის, რაშა...

გოგონებმა ჭამის შემდეგ კარტი მოიკითხეს, მაგრამ არავის აღმოაჩნდა. ამიტომ, ჭერაძეთაი მალლითა სწორედ ავდრა. შავთვალამ მოიწყინა. მერე ნაძალადევი, შეურაცხმყოფელი (იმიტომ, რომ გოგონას ეგონა, ჯონდოს უურადღება ვერაფერით მიიპყრო) ტონით ვალი გაჰკრა, ხაზინჩიკად მდერისო... თანაც უფრო დაიღადრა და, ძალზე ნატანჯი ვარო, — თქვა... ქმარი ცისუნი მიზის უკვე მეორედ... პირველად, გოგო გაუპატიურა, მეორედ — კაცი დაჭრაო... შავთვალა თურმე თორმეტი წლისა მოიტაცეს. მაშინ არც სიყვარულის იცოდა რაც ეი არც მამაკაცის... ერთი წელი პყავს — ბებია უზრდის. თვითონ ვაჭრობს, იაფად ყიდულობს, — ძვირად პყიდის. მუშაობაც სცადა — სახადილოში მიეწყო მზარეულად, ითხმოციოდე მანეთი ხელფასი და დღეში თუმანი განადღებული ჰქონდა. მერე ჯერ ათი კვერცხი გააყოლა ხელს, შემდეგ ოცი, ორმოცი, ოთხმოცი და ასზე დაჭერეს... მეტი რა გზა ჰქონდა? ახლა ვაჭრობს და იცის სიყვარული, მაგრამ... ქმარი მოკლავს თუ გათხოვდა... არადა, რამდენი კარგი ბიჭი დასტრიალებს ვაგონს. მშვიდი, ოჯახური ცხოვრება მოეწატა. ერთმა უკვე თავი მოიკლა მისი გულისხათვის. კინაღამ გადაპყვა დარიდ. რა ბიჭი იყო — შავთმიანი, მაღალი, ბუჯრპყელი! ღონიერი!.. კინოსთან დახვდა, შინ გაცილება შესთავაზა. უარი უთხრა. ბიჭი კი... წაედო, აბაზანაში ჩაჭვა, ვენები გადაჭრა და... ახლა რაღა ქნას? ცხოვრება უნდა... კინო, რესტორანი, ცეკვა, ზაფხულში — ზღვა, ზამთარში — თბილამოვები, ჩაცმა-დახურვა...

ჯონდო უსმენდა. მერე ჰკითხა, გიგია თუ მოგეწონო. ჰოო, — უთხრა და ოცნებით დაულმა თვალები... თურმე გიგიასა და მას მისამართები გაუცვლიათ, ზაფხულში ხოსტაში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს...

მატარებელი იმდენ ხანს იდგა სადგურში, რომ ყველას გული გაუწყალდა. უკვე ბნელოდა. სარკმლიდან ახლად ჩათოვლილი გორაკები და ერთი პატარა სოფელი მოჩანდა. იქითკენ მიმავალ ერთადერთ ბილიკზე კაცები ნაძვის ხეებს მიარბენინებდნენ... ახლა, დიდი ქალაქების ყველა ფოსტა სავსე ხალხით, გახარებულად არიქვენ (მათი აზრით) ყველაზე ლამაზ ფოტოსურათს, სკამებზე სხდებიან, ცდილობენ რამდენიმე წუთში, რამდენიმე წინადადებაში ის ვებერთელა გრძნობები ჩასტიონ, რაც ახალი

ჯემალ დავლიანიძე
შემოკრებილა

წლის დედაომას მოაკვს მათთვის და ბოლოს, როცა საფოსტო ყუთში ჩაუშვებენ ბარათს — შვებით ამოისუნთქავენ... ფოსტის კედლებზე კი ვრელი ზიზღილები ბკდია, ხარკლის მინებს მგელზე ამხელილები კურსდელი და ხურჯინაში თოფის პატრონის პატარა... ახალი წელს მოლდინს ადამიანებისათვის ბევრი ისეთი რამ მოაკვს, მათთვე მოგონილ ზღაპრებსაც კი (მაგალითად მგლისა და კურდღლისა) შინაარსს რომ უცვლის...

ბავშვი აბერის და ჯონდრის ფეჩობის ფოსტამტებიდან აფთიაქებისაკენ გადაინაცვლა, იქაც (ისევე როგორც ფოსტამტებში) ახალი წლის დამლევს აურაზე ხალხი დგას რიგში და საყოველშემთხვევითოდ იმარაგებს ვალიდოლს, ნიტროგლიცერინს, ნოშპას, კატაპლასმას ნაყენს, კორვალოლს, სხვადასხვა „მიკანებს" (მით უფრო, რომ, ახალი წლის პერიოდში გრიპების ეპიდემია მძვინვარებს ხოლმე)...

მატარებელი დაიძრა. ხალხმა ლოგინები გაშალა და დალაგდა. გამცილებელმა ცარიელი ბოთლები ააგროვა და გაუჩინარდა. ბავშვი დადუმდა. მამაკაცებმა ხერხება ამოუშვეს...

ჯონდო ვულალება ცდილობდა: „სული განუტევა!" — ეს სიტყვები აშკარად ჩაესმა. თვალები დაახუჭა. გოგონების ეძინათ. მამაკაცი ხერხავდა. მატარებელი დუდდუნებდა. ბავშვი ბრაილებდა. ჯონდო დაეძებდა — „სული განუტევა" აშკარად ვიღაცამ თქვა მასზე. მიიხედ-მოიხედა. უცნაად უშვილებელი ქარხნის დირექტორად წარმოიდგინა თავი და ამ დროს საზარელი ყვირილიც ჩაესმა. სანამ გამოერკვეოდა, ეგონა — მაშინაი გამოთქვამდნენ უკმაყოფილებასო, მაგრამ, როცა ბავშვში სხვებმაც გაიღიმეს და აფუსფუსდნენ, ჯონდოც წამოდგა... მეზობელმა ქალმა უთხრა, ზემო საწოლიდან მთვრალი კაცი ჩამოვარდაო... რომ, მაშ უარესის ღირსი არ არის? და ბუღუთიური უზის ტანში, რით ვერ ამოიყორა ეგ მუცელგასაბეზერი, რომ მთელი დღე ხვამს? კიდევ კარგი, გადარჩა, მხოლოდ სახე წვიავალი, ეს არაფერი, მაგრამ იმას რაღას ერჩოდა, ვისაც ზედ დაეცა? ან ქალი ფეხმძიმედ რომ ყოფილიყო?!

ჯონდო იმ ბიჭზე ფიქრობდა, შავთვალა გოგონას გამო თავი რომ მოიკლა. ბისი სიკვდილის მიზეზზის გაგება მოუნდა. მაინც რა მოხდა მის ცხოვრებაში, რა წონასწორობა დაირღვა? ან ქალობა ბიჭი ამაღლდა თვითმკვლელობით თუ დადაბლდა? ესე იგი, მას (ქალობას) უყვარდა გოგო, რომელსაც ამ წუთში ჯონდოს გადასწვრივ მჯდიდა სძინავს. ქალის რამდენიმე ხანტყვამ აიძულა ადამიანი იმ ქვეყანაში წასულიყო... ანა, ეს ისეთი პაწაწკინტელა მიზეზია, რომ არ შეიძლებოდა საუკუნოვანი სიწორის წონასწორობა დაერღვია და აებრუნებინა. ტყუილა, სულ სხვა რაღაცა მოხდა. ამოუხსნელმა მძინარემ გაიღვიძა. მოლიანობის ერთი მხარე უცბად გაიზარდა, აფუვდა, ნაპირებს გადასცდა, გადაკარგვის, საითკენღაც გაქცევის ინსტინქტი აღეძრა და აისპრალა კიდეც... ჯონდომ ამის ახახსნელად სცადა, კატასტროფისათვის კარგად ცნობილი ცოდნა გამოეყენებინა... მაშასადამე, კაცში ორი უმთავრესი რამაა — სულიერი და ხორციელი. მათ შორის უდიდესი მარმონიაა, რომელიც მეტ-ნაკლებად (არასწორი, შეცდომებით ცხოვრების გამო) დარღვეულიაა... ადამიანები ჯორწინდებიან, მხიარულობენ, იცინიან, ქმეიობენ (ეს ერთი მხარეა — ოღონდაც არასულიერი) ავადმყოფობენ, წამდებს სვამენ, ტირიან, იტანჯებიან (ესეც მეორე მხარეა, მაგრამ სულიერი არა)... თუნდაც ასე იყოს — ჰარმონია დაირღვა, სული აღზვავდა ხორცზე. შეხდგება თავისი სამყოფელი, თავისიე ბელით დაკქცია (დროებითი) სახლი და განლატვი შორეულ სივრცეებისაკენ. ამაში ახალი არაფერია, ყოველთვის დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ხანტერესოა იმ ჰარმონიის ნგრევისა და ხელინის მიზეზი — რას შეუძლია დაარღვიოს ყოფიერების უმტკიცესი კავშირი? ჯონდოს ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ იმ ბიჭის სიკვდილით რაღაც ძალას (სხვანაირად კანონზომიერებას) დაეჩარჩილა. ეს აუცილებლად ახე უნდა მომხდარიყო, რადგან შეცდომა არ არსებობს სივრცეში. ეხე იგი, შეცდომებული ბიჭის სიცოცხლე ისეთივე კანონზომიერება იყო როგორიც მისი დაბადება (არც ამაზია რაიმე სიახლე), მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რა მიზეზი კაცი სიკვდილის წინ, აჭამდე ჩაბნელებული რომელი დერეფანი განათდა?.. ჯონდოს სჯეროდა, რომ სიბერით გარდაცვალება რაღაც უდიდესი ნეტარების ნატეხია... მაგრამ... ნეტავ იმ ბიჭსაც იგრძნო მარადიული ქარვის საუფლოსაკენ მიმავალი გზის უსახრულობაზე თვით ჯონდო საკუთარ ნაფიქრს არ თვლიდა „ტკბილ ჯულეტად", რადგან არავინაა დაზღვეული, რომ ის სასჯრობი მოულოდნელად მოეშალოს...

ზავთალა გოგონას ხელი ჩამოუვარდა. ლამაზი მტკვნარი ჰქონია, ამიტომ ჯონდოს შეზების სურვილი აღეძრა, მაგრამ გოგონამ უცბად გაახელა თვალები, ჯონდოს ჩააცქერდა შეშინებული და ჩკითხა, რაკომ არ ვძინავსო? ჯონდომ მოუთხრო თავისი საფიქრალი. გოგონას ცრემლი მოერია, თავი წამოსწია და უთხრა, რა კარგი ლაპარაკი იცი. არადა, გოგონას მხოლოდ რადღაც მოგონდა, ხოლო მისივე სურვილი — ჯონდოსთან ყოფილიყო, ის გოგონების გერადღა დარჩა. ეს მხოლოდ ჯონდომ იცოდა. გოგონას კი ეგონა, ჯონდოსთან მხოლ ყოფნით...

გოგონამ ვეღარ დაიძინა. ჯონდომ თავი მოიმძინარა. გოგონა წამოჯდა, ლიმინათი დალია, ჩაბნელებულ სარკმელში გაიჭვრიტა... დათოვლილმა ტყამალებმა უფრო დაადარდიანა, წამოდგა და გასახვლელს ეძებდა...

ჯონდოს ერთი ძველი ნაცნობი მოაგონდა —

ნოდარა, რომელიც ახლა (ჯონდოს ადგილზე რომ ყოფილიყო) წამოდგებოდა, უკან გაჰყვებოდა, მომწონხარო, — ეტყოდა, მუხლჩოჩქა დაუდგებოდა, სიყვარულს აუხსნიდა, იტირებდა...

შავთვალა გოგონა კბილების კაწკაწით ჩაწვა ლოგინში. თვალდახუჭულ ჯონდოსკენ ქურდულად გაიხედა... ჯონდო კი ისევ ნოდარზე ფიქრობდა, იგი ამწუთში უთუოდ ხელს დაუბერტყა ქალს და ხაჭიაზე ჩამოსხვამდა...

მატარებელი უანყალებდა, ჭრიალებდა, მოსახვევში მიაჭირდა. მემანქანეების ბედმა შეაწუხა ჯონდო — ნეტავ რაზე ფიქრობენო? მერე გადაწყვიტა, ახალი წელი კარზეა მომდგარი, ცოლები ფუნსა და ჩანთებს გამოატანდნენ — ამა და ამ ჭალაჭი ესა და ეს პროდუქტი თავისუფლად იყიდება, ამდენი და ამდენი წამიღეთო... ნაძვის ხეს თვითონ დედაკაცები იწოვნიდნენ. ხორცსაც იყიდიდნენ... როცა ქმრები დაბრუნდებოდნენ (ძებით, ხილითა და სხვა ნუგბარით), ნაძვის ხეს მორთავდნენ, შამპანურს დაახაპუნებდნენ, ახალ წელს სიმღერით შეხვდებოდნენ და ეს შეხვედრა, ახალი წელი, სიმღერა, ცეკვა და სხვა) მათთვის არ იქნებოდა მოჩვენება...

მატარებელი დაიძრა. შემხვედრი მატარებლიდან, სიჩქარის გამო, დაკეპილი სინათლის ხმაური ამცეკვნენ ვაგონში. მერე ჩაბნელდა. ჯონდომ სარკმელში ფანტელები დაინახა და ცივნათელებს მიამსგავსა... ცივნათელებისა პატარაობიდანვე ეშინოდა, რადგან ერთხელ ვიღაცისაგან გაიგო — ცივნათლები ალეხისა და კუდიანების სინთლებიაო... პაპის ნათქვამიც გაახსენდა: ვინც ცივნათლებს გაჰყვება, კუდიანების სოფელში მიიყვანენო... ჯონდოს თავის სოფელი მოენატრა — ივნისის საღამო, ცივნათელებით გაჩირაღდნებული ირღოებები და წისქვილებთან ჩაბუდებული მოჩვენებების შიში. ერთხელ შურდულებით წვიდნენ სანადიროდ წყერნაანთ წყაროსკენ, რომელიც ნაძრახ ადგილად ითვლებოდა. მზიანი დღე იყო, თანაც იცოდნენ, დამზადების ხანი ძროხა იქით და გაბედულად გაეშურნენ... წყაროს რომ მიუახლოვდნენ, ვერც ნახირი დაინახეს, ვერც მწყემსი და შეეშინდათ... არადა, მართლა უცნაური ადგილი კი არის — ქვეშოთა მხრიდან ხევი ჩასდევს, რომლის გადადმა ორი დიდი სახაფლაოა. ზემოთ კი ნაძრახი მინდვრები — ორგორა, ხვლაფის წყარო და ნაგაკეთია. აქ სოფლელებს მოლაპარაკე თხები და ძაღლებიც კი უნახავთ... ბიბეებმა ერთმანეთს გადახედეს (სამნი იყვნენ), მაგრამ იხტიბანი არ გაიტეხეს, შურდულები მოიმარჯვეს, ფრთხილად გაეშურნენ წყაროსკენ და ადგილზეც გაშეშდნენ, წყლიდან ხბოსთავა მაჭლაჭუნამ ამოჰყო თავი... ერთი კი დაიყვირეს, შემობრუნდნენ, თავქვე დაეშვნენ და ბოლოებამდე სულ (სამწვიდობომდე) თავ-ყის ლეწვით გარბოდნენ.

მოჩვენებაა იყო? და, რატომ მოეჩვენა სამივეს ერთნაირად?

●

ჯონდოს გაეღვიძა, თავის ტკივილი შეეგრძნო... სარკე მოიძია, — როგორც ყოველთვის, მარცხენა თვალი წკაცრად გამოეყურებოდა... სარკმელთან მივიდა და გამოიღო. ბიბეები... თმამოშვებული ბიჭი დილადილობიან, წელზე-მოთ ტიტველი გამოსულიყო ჭუჭანი, გოტარას უკრავდა და წამდაუწუმ იმეორებდა „ტვინსტი გე, ტვინსტი გე!“ ჯონდოს გაეცინა. ნელა დაიყო ჩაცმაა. გრაფინში მწვანე წყალი იდგა, რომლის ფსკერზე ქვიშა დალექილიყო... პირსახეში ერთ ლურსმანზე ეკიდა. წყალი ცოტად აცილებდა სახოს. სარკეში კიდევ ერთხელ ჩაიხედა — ჯინსი უკვე საკმაოდ დაძველებოდა, მაგრამ მეტი არაფერი ჰქონდა წამოსაცმელი. იცოდა, ამგვარად ჩაცმულ კაცს ისეთ დასაწლებაში, როგორიც კორუმპია, არავინ დაუჯერებდა მწერლობას. ეს გაეხარდა...

გარეთ ცხელოდა, აკაციის ყვავილების სუნში აზელილი ხორცის სუნი იდგა. აქვე სასადილო იყო... ყიზმარის ზამთრის საძოვრების სამართველოსკენ გაემართა. ეზოში რამდენიმე კაცი დაინახა. კუთხეში, ჭიშკრის მარცხენა მხარეს გამართულ მაგიდასთან სახედლურჯებული ახმახი და ორი კაცი იჯდა. ახმახი სიგარეტს წეწიდა და ხმადაბლა ლაპარაკობდა. ჯონდომ სისუსტე იგრძნო ფეხებში, გაუკვირდა და იმთავენ წვადა. ნაპირისკენ ჩამოჯდა. ახმახი თავის მართლებით ესაუბრებოდა ახალგაზრდას, რომელსაც ყელიანი, სქელი ნაქსოვი ჯემპრი ეცვა და გაბრაზებული შესცქეროდა.

— თამაზ ხემითნიჩ, — უხსნიდა ახმახი, — ტყეულუბრალოდ მცემა... მე რა, პირველი და უკანასკნელი კი არა ვარ... ერთი და ორი კი არ უცემია მაგ ულვაშას...

თამაზი, რომელიც ეტყობა, ახმახის უფროსი იყო, ღიმილით შემოუბრუნდა:

— კაცო, ნალჩიკი გავაგზავნე და სათადარიგო ნაწილების ნაცვლად, ვიღაცა დირექტორის შვილი ჩამომიყვანე, ხუთი დღე აქეთეც, მითლინება გამაგრძელებინე, ისევ ნალჩიკში წაბედი, სულ ჩაიფლასე... ეკლეზნოვოდსკის გამოსაფხიზლებელში აღმოჩნდი, ნეფტეკუმსკში წაბედი და თავგადაბოტრილი ჩამოხვედი... თუ ძმა ხარ, თავი გამანებე... ვერ გამიგია, — რა ნამუსით უჩიე ულვაშს, მამიშენის ხნის კაცს, ექვსი შვილის მარჩენალს...

თამაზმა ხელი ჩაიქნია, სიგარეტი მოიძია, ვერ იპოვა და ჭიშკართან მდგომ კაცს გახძახა — გივი, სიგარეტი მომაწევინეო.

ჯემალ დავლიანიძე
შემოგრუნება

ჯონდრმ იცნო გივი, ზურაშვილით რომ იყო აყუდებული ალაყაფზე.

გივი სწრაფად წამოვიდა, თამაზს საგარეჯო გაუწოდა, ჯონდრის გაუღიმა როგორ ბრძანდებით, — ჩაეთხა, შერე თამაზი გააცნო, ყიზლარის ზამთრის სამოვრებზე არხებიან მშენებლობას ხელმძღვანელობსო, უთხრა...

საწოთლემდე მზით გარუჯული თამაზი დიმილით შეხვდა ნაცემ ამხანაგს. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ახითხითდა...

გივიც აყყა და როცა ოდნავ დაწუნარდნენ, რა გაცინებსო, — ჩაეთხა.

თამაზმა ხელები გაშალა, ახმახზე ანიშნა:

— ნოდაეთის პირველი რომანტიკოსი... ულვაშას ჭკუის სწავლება მოინდომა...

— მერე?

— პოლონს ვუცდით...

— ულვაშა სად არის?

— მილიციაში...

გივი უცბად გაწყრა:

— ძაა მაკარის ეგდა უნდოდა?..

ეზოში შემოსულმა „კოლხზნეიმა" შეაწუვეტინა საუბარი. საქესთან ცხვირკბიანი, ოდნავ შეჭაღარავებული ახალგაზრდა იჯდა. იგი სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან, მაგიდასთან მხსნელმთ მიუახლოვდა, მიესალმა და გივის მიმართა:

— გივი ბაგონი, გავიგე მწერალი ჩამობულა ჩვენთან და შენ დახვედრიხარ... სად გადაკრგე ის კაცი? მთელი დღეა გეძებთ...

გივის ბაღცეში და ჯონდრე ანიშნა, ესეც შენი მწერალიო.

ჯონდო წამოდგა:

— ჯონდო...

— პოლონი, ყიზლარის ზამთრის საძოვრების სამმართველოს პარტკომი...

პოლონმა ხელი მოხვია ჯონდოს, თამაზს ანიშნა, წამომყევითო და თავის კაბინეტში შეუძღვა...

— ბატონო ჯონდო, როგორ მოეწყვეთო, სად ცხოვრობთ, რა პირობებში, რა მიხიარ ჩამობრძანდით, რას აპირებთ?

ჯონდოს ეუხერხულა. ჯამდე, სად აღარ ყოფილა, სად არ უმუშავია, ვის არ შეხვედრია, მაგრამ... იგი მუდამ გაურბოდა ასეთ შეხვედრებს, სადაც თქვენობით ელაპარაკებოდნენ და „ბატონ მწერალს" ეძახდნენ. თავის სიცოცხლის მანძილზე იგი მიეჩვია მუშობას, უბრალოებას. იყო მუშა, ცეცხლფარეში, მანქანების მრეცხავი, ზეინკალი, ანეინერ-ხაჭონელმცოდნე, მტკიცთავი... მუდამ ჰყავდა ვღაცა უფროსი, რომელიც მუდამღიე შენიშვნებს აძლევდა: „ჩაჭრა იგვიანებ სამსახურში?", „წვერს რატომ არ იპარსავ?", ჯონდოს შეხვედრია უამრავი თალლითი, ხულიგანი, მოქოხბორა, კომბინატორა... ყველასთან შეეძლო გამოენახა საერთო ენა, მაგრამ ახლა...

პოლონი კი უცბად მიუხვდა ჯონდოს:

— ჯონდო, რამდენი წლისა ხარ?

— ჯონდომ ამოისუნთქა:

— ოცდათერთმეტის...

— რომელი უნდელი ხარ? —

— „ნახალოვკელი"...

პოლონს გაეღიმა:

— მე პლებანოვზე გავიზარდე, თამაზი ვერილია...

ჯონდო დაწუნარდა:

— მაგარი გაძლება გინდათ...

პოლონი წამოდგა:

— აჭ, ამ ტრამალებში, დაღესტნის მიწაზე, სადაც უხსოვარი დროიდან დაბიჯებს ქართველი კაცი, დიდი სამუშაოებია გაშლილი... ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ შრომა შევუმსუბუქოთ მწყემს კაცს... აგერ, ჩვენს გვერდით მჭდომი თამაზი საძოვრების გასასარწყვეტელად არხებს ავებს, მშენებლები დაბა „ივერიას" აშენებენ... მთელი ჩვენი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა ჩვენთან.... როგორც გითხარი: დაიწყო დაბა „ივერიის" მშენებლობა, უკვე აშენდა ადმინისტრაციული და კავშირგაბმულობის შენობა, ორი თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი ხორცის გადამამუშავებელი კომბინატი, ოცდათორმეტადგილიანი სასტუმრო, საავარო და საყოფაცხოვრები ცენტრი, ბანაო, მუშათა სასადილო, სპეციალისტებისათვის განკუთვნილი სახლები... გარდა ამისა, ქართველი მწყემსის ბინაში აინთო გაზქურა. დიდი სამუშაოებია გაშლილი მწყემსთა საცხოვრებელი სადგომების ელექტროფიკაციისათვის, დამყარდა სატელეფონო კავშირი ხუთივე რაიონის სადგომთან, მუშაობს მოძრავი ბიბლიოთეკა, საჭმელ-სასმელით დატვირთული ავტოფარდულებია. ყიზლარის ზამოვრების ისტორიაში ცხვარმა პირველად მიიღო ადგილობრივი რესურსებით დამზადებული სილოსი და სენაჟი, ყიზლარის ზამორის საძოვრების უკეთესი გაჯირვებულ ადგილზე, — ბირუზიაკის მასივზე, მიმდინარეობს სარწყავი არხების მშენებლობა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სულ მალე ყიზლარის ზამორის საძოვრებიკენ რესპუბლიკიდან აღარ გამოიგზავნება უხეში საკვები, ჩამოუალებებული საკვებმომზადებელი გაერთიანებები, რომლებიც, როგორც ადგილობრივად, ახევე ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონში ამზადებენ საკვებს, აზვირებული გამაკვანძიებელი სადგომი დაცემული ცხვრისათვის...

პოლონი გაჩუმდა. თამაზს უცბად გაეცინა.

— რა იყო, რა გაცინებს?..

სახელები

მე მერქვა შვილი, შვილიშვილი —
კარგი სახელები მერქვა
რამდენი სახელი მაჩუქა
და მერე, წამართვა ღმერთმა.

მე მერქვა შენი სიყვარული,
შენი მეგობარი მერქვა...

რამდენი სახელი მებადა...
სულყველა დავკარგე ერთად.

სხვა სახელები მომემატა
მამა, მეუღლე...
სიმარტოვე...
ძველი სახელები მომენატრა.
კარგმა სახელებმა მიმატოვეს.

პირველი თოვლი

გადაათეთრა თოვლმა მიდამო,
შემობაკუნდა ქალაქში კრავი
რა უმიდოდ და სამუდამოდ
დამამახსოვრა ზამთარმა თავი.

ეს თეთრი დილაც. ვიცი, მრავალჯერ
მოვა — ვერაფრით დავემალები:
პირველი თოვლი დედის საფლავზე
და თოვლზე დების ნატერფალები...

●

ჩემი ნატვრის დარბაზებში
ჭაღი აღარ ბრდღვიალებს.
მხოლოდ სევდა სიბნელეში
უხმოდ გაისრიალებს.

და ამდენი მითქმა-მოთქმის
გმირი ისე დატოვეს,
როგორც ტოვებს ქარავანი
სნეულ მეუდაბნოეს.

რა ბრმა არის ეს ქვეყანა
რამდენი აქვს გესლი:
ჩაიფერფლა დაგესლილი
სიყვარულის ცეცხლი.

იქ ვარ, სადაც ყველაფერი
საქილიკოდ გაიქვთ.
ვერას იზამ... ეს ქვეყანა
ბრმა იყო და ბრმაა.

●

დადგა საღამო ლამაზი,
როდესაც ჩადგა ქარი,
თელემდა ბებერი არმაზი,
ფეხს ულოკავდა მტკვარი.

დარდები ჩუმად გაჭარდა
საკუთარი და სხვისი.

მცხეთას მირაჟი აყვავდა —
სიმშვიდის ოაზისი.

დავიჩემებდი ნირვანას,
მაგრამ გულისთქმა მიშლის,
ამ ღამის გამო კი არა,
ხვალინდელი დღის შიშით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცას შერჩა მარტო, როგორც სიმართლე
მყინვართა შორის პირველთაგანი
და წამოვიდა ცრემლი მდინარედ
ყივჩაღის ცხენმა დაღრღნა ლაგამი.

და იმის მერე მოდის და მოდის,
შავად და თეთრად მოდის ცხოვრება...
როგორც უდაბნო წვიმების ლოდინს,
ცაც მიეჩვია მიწის გოდებას.

ცასა და მიწას შუა გაჩრილი
ფიქრობს პოეტი, ნაკლებ საჩინო:
დიდი წინაპრის ვცოცხლობ აჩრდილით
და არ ღირს ყოფნა უამაჩრდილოდ.

უგანდეგილოდ, უხევისბეროდ,
არ მოიკება ჩვენი ყანები.
იყვირე თერგო, არ მოისვენო,
დარიალს ღია დარჩა კარები.

...ჩემო უნდინავ და ჩემო ვახტანგ,
დღე რომ დაგვიდეს გამორჩეული,
გოლგოთას, როგორც გერგეთის
აღმართს,
ავივლით სამი თერგდალეული.

ჯაბა ასათიანი

სტუმარი

მეგობარი მეწვია წუხელ,
რომელიც არსად არ შემხვედრია.

აივანზე ჰყვაოდა ბალბა,
შრებოდა თოკზე
გადაფენილი თეთრი პერანგი,
ის კი იჯდა და
მაწვნის ქილაში იფშხვნიდა შავ პურს.

გაიცრიცა ზეცის სუდარა,
გამოიკვეთა სკამი, მაგიდა...
და ვით ნახანძრალს,
ამოაცოცდა ფანჯარას კვამლი.

წავიფარე თავზე საბანი.
...ვტიროდი ჩემს თავს
თუ იმ მეგობარს,
რომელიც არსად არ შემხვედრია.

დაუვიწყარი

ო, გულუბრყვილო დღეთა მდინარე —
ლაღი მინდორი შენი ბავშვობის...
აღარად ბჟუტავს იმ დღეთა სხივი.
დაასაფლავე ძმები და დედა,
ახლა სარკეში სულ სხვა კაცს ხვდები.
...თვალწათლივ ხედავ ბოლო საფეხურს,
ბოლოს წინას კი — აყრია ფერფლი.

თეთრ ხაზზე ვცხოვრობ

მე კი ისევე თეთრ ხაზზე ვცხოვრობ.
...და როცა წვიმა აიკრეფს კალთებს,
ხეებს ტოვებენ სველი ჩიტები.

ღამის ნაპირებს აწყდება ზვირთი
და მუქ-ლურჯ წყალში ჭანაობს თოკი.

მე კი ისევე თეთრ ხაზზე ვცხოვრობ.
...თუ კაცი მართლა რამეს გაურბის —
საკუთარ სულში გადახსნილ უფსკრულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდარი ფოთოლი

მზე მიმოჭარგავს მალე ჰორიზონტს
და ტოტებს შორის იკივლებს ქარი —
ცივი საყვირი მომავალ დღეთა.

სოველ მიწაზე — ფოთოლი მკვდარი...
დამშვიდებულა, დამცხრალა ისე,
ვით გადაღლილი მალემსრბოლი.

მდუმარე თოვლი

ქალაქს მოადგა მდუმარე თოვლი,
დამცხრალა ქარი.
მიმოფანტული წვრილი ფოთლები,
თოვლს მკერდზე თაფლის წვეთებად
შვენის...

თითქოს ამ დილით,
მეფუტკრეს ფიჭით ჩაევლოს ქუჩა.
...როგორც ბავშვის ხმა უძეო ოჯახს,
თავს მოგვანატრებს თბილი ზაფხული.

ფიჭრი

იქნებ დღეს მაინც მივადგე იმ სახლს,
სად არ სწყევლიან ბედსა და გამჩენს...
თუ ვით სიკვდილი
ჩავლილ ცხოვრებას,

ღამე ამ დღესაც ფეხჭვეშ გაიგებს?
დარჩენილ წლებს კი გავცცლი ოთახში,
იმ უშფოთველი სახლის ოთახში...
დაჯდება შვილი — ჩუმად იტირებს.

ხვედრი

ბალახში გდია უყურო სათლი,
არ ჩანს ბილიკი, დაშლილა კბეცც,
ქარის ადგილას — მუქ-ლურჯი სივრცე,
მხოლოდ კედლები...

დღე გაიცრება,
მერე მთვარეც ჩამოდგამს კიბეს
და ნაფუძარის დაღვრემილ ეზოს,
ცეკვით დაიკლის ღამის ნიავი.

შუაღამე

ვით მეგობარი უსათუთესი,
უბეს გაგითბობს თამბაქოს კვამლი.
არც ღრუბელი ჩანს
და აღარც სევდა...
ზიხარ კიბეზე,

გრძელია ღამე.
...გარინდულ ჭიშკარს,
განთიადისას,
შეაღებს ლანდი სუდარისფერი.

დაბადების დღე

სწორედ ამ ღამით
ვეთხოვები მშობლიურ ქალაქს.
ქაღალდი მომცა სახლმართველმა:
„ამოეწერა“.

ბაქანზე ვდგავარ,
ვეთხოვები მშობლიურ ქალაქს.

წარსულიც მიმაქვს, ბატონებო,
იყავით მშვიდად.

სატევარივით
ელავს ბნელში თეთრი რელსები...
...მეზობელ კაცებს ალბათ ახლა
უშლიან ლოგინს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ქორიძე

ი მ ე დ ი

მოთხრობა

საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე, ხელით გათხრილ ვიწრო არხში წყალი მიედინებოდა. ხანდახან, როცა მოღიდებოდა ნამდვილი ნაკადულივით რაკრაკსაც კი იწუხებდა, მაშინ განსაკუთრებით გვიყვარდა და გვიხარდა მის სიახლოვეს ყოფნა. ეს ნაკადული ყინულოვანი მთის მწვერვალიდან როდი იბადებოდა, მისი სათავე, უბრალოდ, წყლის ონკანიდან იწუხებოდა სამზარეულოდ წოდებულ ბარაკში, სადაც ბალანდის მოსახარში დიდი ქვაბი იდგა. ბანაკის ტერიტორიაზე ნაკადული ჩვენსავით ტყვე იყო, მავთულხლართების გარეთ კი თავისუფლებდა და ლაღად მიედინებოდა.

მე და ოთარ ასათიანი საგანგებოდ მოვედით საყვარელ ნაკადულთან. ეს გადაწყვეტილება ბარაკში გატარებული გრძელი, მშიერი დღეების, გაწამებული ღამეებისა და დიდი დავის შედეგი გახლდათ. ინიციატივა ოთარს ეკუთვნოდა.

— კარგად დაუკვირდი და მერე მითხარი, თუ სწორი არ ვარ, — დაიწყო ოთარმა...

ორივენი წუალს ჩაეწერებოდით, რომელსაც კარტოფილის ნარჩენები მოჰქონდა.

— სასირცხო აქ არაფერია, განაგრძო ოთარმა. — ხომ არავის არაფერს ვპარავთ, არც ვარჩიენთ. თავმოყვარეობა კი... რა მოსატანია აქ თავმოყვარეობა. არ გახსოვს, რას ზვრებოდა ამას წინათ ის კაცი?

...„იმ კაცს" ყველანი კარგად ვიცნობდით. საქვეყნოდ ცნობილი გეოლოგი იყო. ფრონტზე იბრძოდა, ჩვენსავით ქერჩში ჩავარდნილიყო ტყვედ. ჰოდა, ეს ცნობილი გეოლოგი ამას წინათ ნაგვის გროვასთან იჯდა, ცხენის გადაყრილ, გაშვებულ ძვლებს ქვით ამსხვრევდა და ალბათ უკვე დამპალ ტკინს წუწნიდა...

ტყვედ ჩავარდნიდან ნახევარ წელზე მეტი იყო გასული. გარე სამყაროს მოწყვეტილებმა როგორღაც მაინც შევიტყვეთ, რომ ფრონტზე ცვლილება მომხდარიყო. სტალინგრადის ეპოპეა ჩვენამდეც მოაღწია, მაგრამ რა მასშტაბებისა იყო ეს ცვლილება, ჩვენთვის არავინ იცოდა.

ძალიან ცივდა. ნათბობარი ფარჩაკით გამოვედი და ამიტომ გარეთ დიდხანს დაყოვნება არ შემეძლო. ბარაკში დავბრუნდით, იქ უნდა გაგვეგრძელებინა საუბარი.

რამდენიმე დღის წინ ბანაკში ორი ვაგონი თითქმის მთლიანად დამშალეს, გაყინული და ნახშირივით შავი კარტოფილი შემოყარეს. იმ დღეებში ჩვენს ბარაკში სულ ამაზე იყო ლაპარაკი. ნახმეველები ამტკიცებდნენ, კარტოფილს ისეთი სუნი ასდის, გროვასთან ახლოს მისვლა გაგიჭირდებაო. ჩვენს შორის ყველა სპეციალობის ადამიანები იყვნენ: ბიოლოგები, აგრონომები, ქიმიკოსები, ფიზიოლოგები, ექიმები, ისტორიკოსები... ჰოდა, ვინ რას ამბობდა, ვინ რას... მყვებოდნენ როგორ აღმოაჩინა ადამიანმა კარტოფილი პერველად, როდის და რომელ ქვეყანაში, მსჯელობდნენ მის ყოფაიანობაზე, მისგან დამზადებულ კერძებზე, ბოლოს, იმაზეც, თუ რა მავნე გავლენას ახდენს ორგანიზმზე კარტოფილის ლპობის შედეგად გამოყოფილი მომწამლავი ნივთიერებები.

ოთარი მთელი მონდომებით ამტკიცებდა, რომ წყლიდან კარტოფილის საკმაო ნარჩენს თუ ამოყრეფდით, გავასუფდავებდით და მოვხარშავდით, შეგვეძლო რაღაც პიურეს მსგავსი კერძი მიგვეღო. მე ამის არაფერი მჯეროდა. ჭერ ერთი, კარტოფილის ნარჩენების ძიება-დაგროვებას დიდი დრო დასჭირდებოდა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ბანაკის დაცვას ან პოლიციელებს, რომლებიც ისედაც ეძებდნენ მიზეზს, როგორმე ტყვიის კერძი გვებადებეთ, მთავარი კი ის იყო, რომ დამპალი კარტოფილის ნარჩენებისაგან პიურეს დამზადება თეორიულად შეუძლებელად მომაჩნდა.

ჩუმად ვლაპარაკობდით, ვერიდებოდით ჩვენი ჩანაფიქრის გახმაურებას. პირველ რიგში იმისა გვეშინოდა, მოელი ბანაკის სამასხარაო არ გავმხდარიყავით ამ „გამოგონებისათვის".

— კაცო, ხომ ბედავ, რა დღეში ვართ, — ჯიუტობდა ოთარი. — ერთმანეთს თვალი შევაჩვიეთ და ვერ ვამჩნევთ, რომ სინამდვილეში ჩვენგან მხოლოდ ჩონჩხია დარჩენილი. სად გაჭვს,

ბებო, ბორცი? ხახეზე მარტო თვალის ფოსოები, კბილები და ცხვირის ძვლებიღა დაგრჩენია. ჩვენისთანა გამხვრჩვალი კაცი წინათ რომ გენახა, მოჩვენება გეგონებოდა, ნუთუ ვერ ამჩნევ, როგორ იბოცებიან შიშველთან? ავად არ ხდებიან, სიცხეს არ აძლევენ... ორგანიზში ეფიტებათ, ინიციენენ და დილით აღარ ელვიძებათ... აი, ახლაც ხომ ორივეს ვიცით, ვინ არის ჩვენს ბარაკში სანიკვდილოდ განწირული?

...ოთარი მართალი იყო. ჩვენ ნამდვილად წინასწარ ვატყობდით, ვინ უნდა მომკვდარიყო... განწირულები თვითონაც გრძნობდა ამას, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნია. მოკუნტული იჯდა თავის ნარზე, ან წევდა. არ ცნესუობდა, არც ზველას ითხოვდა, გაფაშოებულ, ცრემლიან თვალებს უცნაურად აცეცებდა. ცდილობდა ახლოს მეოფთათვის თვალებში ჩაეხედა. ალბათ, სურდა ამოეკითხა, სხვებივე ხვდებოდნენ თუ არა მისი აღსასრულის მოახლოება. არა, რა თქმა უნდა, უფრო მეტი სურდა: თანაგრძნობა, დახმარება სჭირდებოდა, სიცოცხლე ეწყდა. დიახ, დატყვევებული, დამცირებული, გამკლავებული ადამიანი მაინც სიცოცხლეს ეძღაბუნება, რადგან ბავშვულწლობიდან იქით სივრცე ცისფერებით დ და. რაც უფრო შორს გადიოდა მწვანე მინდვრის ზოლი, მით უფრო საოცნები და ცხოველმყოფელი იყო იგი.

ჰო, იმედი გასულდგმულებდა, იმედი იმისა, რომ შენ ახეთი რამ არ შეგემთხვეოდა. ეს იმ იდუმალ იმედს ჰგავდა, ფრონტის ხაზზე, ტყვეების სეტყვაში რომ ეუფლება ადამიანს...

დღით ვგებულობდით, ვინც მომკვდარიყო. ჩვენ თვითონ გაგვკრძალა ბარაკიდან. ვიღაც ვინაობას და დაღუპვის თარიღს ეწერდა უბის წიგნაკში. სხვა, გადამტებულად გულჩვილი თუ ნერვებგაცვეთილი, ჩუმად იწვენდდა ცრემლს, უმრავლესობა კი მდუმარედ, მკაცრად აცილებდა კიდევ ერთ უკვალოდ დაკარგულ თანამებრძოლს...

მე და ოთარი კარგა ხანს ვისხუდით ერთმანეთის გვერდით. ბანაობა გამალებით მუშაობდა, მილიონჯერ გაფიქრებული: „რაიმე მაინც გვქონდეს უბის ჯიბეში გადასაცვლელი“, კიდევ ერთხელ მიაწყდა ჩიხს და უკან დაბრუნდა, ტანთ თოჭების ალარაფერი გვეცვა. ახლა ფიქრი სიშვებისაგან ერთთან ბასად ქცეულ კარტოფილის გროვას დახტიალებდა. „იქნებ მიწიანია ეს კარტოფილი და იმიტომაა შავი!“ — ამბობდა იმედი, მაგრამ აქ ულოსავა ილვიძებდა და შეუბრალებლად ამბობდა: „არა, უკარგისია“, და ისევ იწუებდა თავიდან: ბანაობა მკაცრად, მიედგომოდა, უკანასკნელ გრამამდე იხსენებდა ბანაკის რაციონს: დღედაშეში სამას-ოთხას გრამამდე პურის მაგვარი მასა და დღეში ერთხელ კერძი, რომელიც უფრო ხშირად ცერცვისაგან მზადდებოდა. ყოველ მარცვალში ერთი ან ორი მატლი მაინც იყრა, — ღია მოყვითალო ფერის, მხუჭანი მატლები. იმასაც ვამჩნევდით, წერტილისოდენა შავი თვალები რომ ჰქონდათ. დუღილის დროს მატლები იხოცებოდნენ და წყალში დატივტივებდნენ. მაგრამ ჭაჭებრით იღებდნენ და ყრიდნენ, მაგრამ წყლის ზედაპირზე მაინც დატივტივებდა მათი ნახარშის კვალი. სხვა რა გზა გვქონდა, დამშალი, გადამწვარი ყავისა და მატლებიანი კერძის მიღებაზე უარის თქმა მაინც არ შეგვეძლო, ეს უკვე სიკვდილის უდრიდა.

პურის მიღებიდან ერთი საათის შემდეგ კერძის რიგში უნდა დავმდგარიყავით. ეზოში რამდენიმე ქვაბი იდგა. ყოველ ქვაბთან შეიარაღებული ჯარისკაცი ან პოლიციელი დაეუენებინათ, რათა ვინმე შიშშილისაგან წონასწორობადაკარგული, ქვაბს არ დასცხრომოდა თავისი კარდალით. კერძის მიღებამდე ულუფა პურის შენახვას დიდი ტანჯვა-წამებით ახერხებდნენ.

ერთხელ, კერძის დარიგების დროს აღმოჩნდა, რომ ქვაბი მატლებით იყო სავსე, მზარეულს დაეწუწნდა თუ დაზარებოდა მათი გდაყრა. კერძი თითქმის არავინ აიღო. ეს ხუჭუიერად მოხდა, წინასწარი შეთანხმებისა თუ ორგანიზების გარეშე, წინა რიგში მდგომებმა უარი თქვეს საჭმელზე და მათი შემხედვარე, სხვებიც ასევე მოიქცნენ. მეორე დილითვე ბანაკში ოთხი ოფიცერი გაჩნდა. ჩაცმულობაზე ეტყობოდათ, დამსჯელი უწყებიდან იყვნენ, თან შეიარაღებული ოცეულიც ახლდათ. წინა ღამით უკვე მიღებული გვქონდა ჩვენი საიდუმლო ხელმძღვანელის მითითება: საჭმელი ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე მიგვეღო. მტრის ღრმა ზურგში ფაშიზებისაგან სამართლიანობის და პუმანურობის მოთხოვნა უაზრობა იქნებოდა. ამჟამად, მოთმინების გარდა, სხვა გამოსავალი არ გვქონდა. არც ერთი საბჭოთა ადამიანი არ უნდა გამხდარიყო პროვოკაციის მსხვერპლი.

ისინი დილით მოვიდნენ, როცა უკვე მწყობრში ვიდექით. საუბარი, ჩვენი დათვლის შემდეგ რომ შედგა, მოკლე იყო, ერთ-ერთმა ჩამოსულმა ოფიცერმა დამტკრეული რუსულით გამოგვიცხადა:

— ალბათ, დაგავიწყდათ, რომ ტყვეები ხართ, თქვენს მიერ საკვების მიღებაზე უარის თქმას განვიხილავთ როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, ჩაღენილს ომის პერიოდში. საჭიროდ არ ვთვლით დრო დავკარგოთ წამქეზებლების ძებნაში. თუ ჯოტბიას განაგრძობთ, დავალებული მაქვს გაგეცე ბრძანება, მწყობრიდან ყოველი მესამე გამოიყვანონ და დახვრიტონ. ეს მოხდება ახლავე, აწყობაში, თუ...

ბოლოს ოფიცერი შეგვკეთხა, ჩემი განცხადების საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთო. ეს იყავ მეუარა, დაცინვა იყო. ჩვენ სიჩუმით ვუპასუხეთ. მაშინვე ეზოში ჩვეულებრივი სალაფავით სავსე ქვაბები გაჩნდა. გვბრძანეს, დავშლილიყავით და ბარაკიდან კარდალები გამოგვეტანა.

დავით ქორქია

ახლა ოთარმა ეს შემთხვევაც მომაგონა, ყველა წვრილმანი გაიხსენა, ცდილობდა დავერწმუნებინე მისი წინადადების სისწორეში.

— ჩვენ ბავშვები არა ვართ, ცხოვრებისათვის საჭირო განათლებაც გვაქვს და გამოცდილებაც, — არ იშლიდა ეგი.

— მერე?

— მერე ის, რომ დაფიქრდი, წყლიდან ამოკრეფილ ნაჭრებს და ნაფსკვნებს ხომ ენკნებ შერჩენილი სახამებელი? აქვე გაითვალისწინე, ჩემო ბატონო, ისიც, რომ სამზარეულოში მაინც-დამაინც არ მოიცლის თავს, ამ დამპალი კარტოფილის გასარჩევად და რაღაც, სულ ცოტა, მაინც გაჰყვება...

— ალბათ!

— შეგვიძლია თუ არა ჩვენ, ორ კაცს, ბლომად დავგაროვოთ ასეთი ნარჩენები, ვთქვათ, ხუთი კარდალა?...

— ვთქვათ, შევძელით, მაგრამ...

— მოიცა, კაცო, ყური დამიგდე, ხუთი კარდალა, მოხარშვის შემდეგ, ერთი კარდალა მაინც არ დაგვრჩება?

— ჯერ ერთი, ხადა გაქვს ეს ხუთი კარდალა?

— რატომ არა, ბიჭები გვათხოვებენ, კარდალა მაინც ხომ ყველას აქვს?

— რას ეტყვი ბიჭებს, იმას ხომ არა, რომ პიურეს გაკეთებას აპირებ?

— არა, მაგას როგორ გავამხელ, სხვა რაიმეს მოვიმიზეზებ, ვიტყვი, საცლელი უნდა გამოვხარშოთ-მეთქი...

— კარგი, მაგრამ, საცლელი რომ არა გვაქვს, ეს ხომ კარგად იციან?

— შენ, ძმაო, სულ რაღაც მიზეზებს ეძებ. დამიცადე, ბოლოს და ბოლოს სულაც არ დავახასიათებ კონკრეტულად, ვიტყვი ისე მჭირდება-მეთქი.

— კარგი, ვთქვათ, დაგიჯერეს და გათხოვეს. სად აპირებ ხუთი კარდალა გაყინული და გაჭვარტებული კარტოფილის მოხარშვას, — შუა ცეცხლზე, ბუხარში, ნავთის, გაზის, თუ ელექტრონის ქურაზე?

— ოღონდ მოსახარში იყოს, თორემ მოხარშვის საშუალება გამონახება, ხელად, რამდენი ნაგავი ყრია ირგვლივ: ნაფოტები, ხის ტოტები, ფოთლები, გადაყრილი ჩვრები და ტყავის ნაგლეჯები. ყველაფერ ამას ხომ ეკიდება ცეცხლი? მე რამდენიმე დღეა, გამოდმებით ვფიქრობ ამაზე და ვიცი, რა ვქნა და როგორ. ჩვენი ბარაკის უკან ხომ დიდ ქვას დავდებთ ერთმანეთის გვერდით, ზედ ორი კარდალა მაინც ჩამოიდგმება...

— კი მაგრამ, რატომ ხარ დარწმუნებული, მთელიც ჩვენი ფართოფურთი შეუმჩნეველი რომ დარჩება ხხვებისთვის?

— ცხადია, შეგვამჩნევენ, მაგრამ ხელს არავინ შეგვიშლის. მე ამაზეც ვიფიქრე, ან რატომ: ახლა, ძმაო, ზამთარია და ტყვეები თითქმის მუდმივად ბარაკში იმყოფებიან, იშვიათად გამოდიან საპირფარეშოში, მაგრამ სიცივისგან მობუზული ტყვე, რომელიც თავის საქმეზე მიდის, ვერაფერს შეამჩნევს და კარდლებს დაუწყებს ჩხრეკას? ან, ვაი-ერთიც, რა უფლება აქვს მოვიდეს და შეგვამოწმოს? რაც შეეხება ჯარისკაცებს, ისინი კი დაგვინახავენ, მაგრამ ხმას არ ამოიღებენ, იმიტომ, რომ ეს მოხდება დღისით, საამქაროდ. რას წარმოიდგენენ, რომ ჩვენ კარტოფილის პიურეს ვაკეთებთ? შეიძლება უფროო ის იფიქრონ, საცვლებს ხარშავენო. თუმცა კიდევ რომ გაიგონ, რომ კარტოფილს ვხარშავთ, რატომ უნდა შეგვიშალონ ხელი? ჩემის აზრით, ეს ხნიერი რუმინელი ჯარისკაცები სულაც არ არიან ფაშისტები.

კითხვები არ მელეოდა, ყოველ მათგანს საფუძვლიანი ახსნა და დაზუსტება სჭირდებოდა.

— ჰო, კარგი, არ არიან ფაშისტები, მაგრამ, — ვუოფშინაზდი, ვერ ვხედავდი ლოგიკას: — დავუშვათ, გაიგეს ჯარისკაცებმა ჩვენი ფართოფურთის სამშვიდობო მიზანი, არც განვაში ატეხეს და არც სრულა. მაინც როგორ გინდა გამოიყვანო პიურე სახამებლის მიკროსკოპული ნაწილაკებისაგან? ამასაც რომ თავი დავანებოთ, ხომ შეზეურად გავიყინებით, სანამ ასეთი მოხარშული ნამცეცებით ორლტრიან კარდალას გავავსებთ?

ოთარი მოიღუშა, შეჩერდა. თავმაღუნული, სუნთქვაშეკრული იჯდა კარგა ხანს, შემდეგ თვალებში შემომხედა, ტატუობოდა, ძალიან ეწყინა, ახე, ხელის ერთი მოსმით რომ მოვუჭერი გზა. დაღლილი სახე ჰქონდა, ღაწვები შეწითლებული, გამხმარი, აჭრელილი ტუჩები. დამწაზვიდ ვიგრძენი თავი, გავიღიმე, ხელი მოვხვიე და გაფითრებულ სახეზე ვკოცე. რამდენიმე წამი ვიყავი ასე, მერე რაღაც ჩავიბურტყუნე ბოდიშის ნიშნად და ისევ შევხედე. გაბუტული იყო. ახლა იგი იმ მეცნიერს ჰგავდა, რომელიც დიდ საბჭოზე თავის უნიკალურია აღმოჩენის უარისტყობას ამტკიცებდა... ეს წუეული ომი რომ არა, ოთარი ფართოდ დადგებოდა ნამდვილი საბჭოს წინ!.. ამის გაფიქრებაზე მწარედ გამეცინა.

— გადავირიე კაცი, საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს, შენ კი იცინი. იმ ქვეყნისად რომ ჩაგვოვლიან, მერე ვეღარაფერი გვშველის. მაინც ტუსლად ვყოფილართ ამ დასაწყვ ნარზე, ვცადოთ, გავაძრიოთ ხელი, რა მოხდება? რატომ მეკამთები? მე ინვენერი ვარ, გამომგონებელი, ტექნიკურ საკითხებში უკეთ ვერკვევი და ამიტომაც უნდა დამიჯერო.

— კარგი, განაგრძე, ბარემ მიდი იქამდე, როცა ორივეს კოეზები გვეჭირება ხელში.

ნარზე გავსწორდით და გავთარჯნენ.

— როცა კარდალებში დუღილი დაიწყება, — დინჯად დაიწყო ოთარმა, — ტემპერატურა და მექანიკური ძალის მოქმედება კარტოფილის ნარჩენებს სახამებელს ჩამოაცილებს. ჩვენ უფარგის მასას გადავყრით, სახამებელს კი ხელახლა წამოვადუღებთ, ამდენ დუღილში იგი გახქელდება, სუნიც დაეკარგება და თუ სადმე რაიმე

ბაჭერთი დარჩა, ამასაც მოიშორებს. მარილს სამზარეულოშიც მოგვცემენ... მერე სადმე, მოფარებულში დაესხმებიან... მაინც, პირველად მოლად ნუ შეეჯახო, ხომ იცი, კუჭი უნდა შეეჩვიოს, თუ გაგეკვირვოს, გამეორებაც შეიძლება, მერე ხმელებსაც ვასხვედით, ოღონდ კი ერთხელ გავძლეთ და...

ოთარმა დაამთავრა მოხსენება თავისი „სადილგრძელობით ნაშრომის“ არაგვივე, რომლის ოპონენტიც, მსმენელიც და შემფასებელიც მარტო მე ვიყავი. ლაპარაკობდა მთელი მონდომებით, ზომაზომენტით, ისე დამაჯერებლად, რომ ერთი წუთით წარმოვიდგინე, ვითომ კარტოფილის პიურეთი სავსე კარდაფა წინ გვედგა, ორშქლიც სხდომაა, ხუნაც ვკრძნობდი. ნერწყვი მომადგა.

ეზოდან საყვირის ხმა მოისმა. დაძინების დრო იყო. ამის შემდეგ ბარაკში სრული სიჩუმე უნდა ყოფილიყო, ეზოში გასვლა არ შეიძლებოდა. ოთარი ნარიდან ძარს ჩავიდა, ჩემკენ შემობრუნდა და შემომხედა.

— კარგი, ოთარ, ვიფიქრებ, დილამდე დიდი დროა, — ვუთხარი და შევეცადე ნაძვაწიახეთის თანმხრობის კილო მომეცა.

დანაშაული ადგილი ნარზე სხვებივით მეც მჭირდა მონაწილეობა, მაგრამ ორიენტირი კედელში ჩაქედილ ლურსმანზე ჩამოკიდებული ჩემი კარდალი გახლდათ. თავს ზუსტად მის გასწვრივ ვდებდი. ბალიშის მაგივრობას შემორჩენილი „ყალიჩაც“ მიწევდა, რომელიც კედლისა და ნარის კუთხეში ალმაცერად მაქედებული ფიცარზე იდო. ლოგინის გაშლისთვის თავის შეწუხება, ბერ სხვასავით, არც მე მიხდებოდა, რადგან ლოგინი არ გვქონდა. ისეთი ბედნიერიც კი, ვისაც შეეძლო საბნის და ლეიბის მაგივრად ფარაჯა გამოეყენებინა, ცოტა იყო. ბევრჯერ მიდეკნებია თვალი, რა მოხდილნილად ახერხებდნენ მის ქვემოდან ამოგებასაც და ზემოდან გადახურვასაც. ჩვენ კი, ვისაც ფარაჯა არ გვქონდა, პირადმა წოლას გვირჩევდნენ, — ახე თურმე ნაკლებად იყო მოსალოდნელი გაცივება.

ფიქრს მივყევი. მართალია, გაძლომა ყველას ოცნებად გვქონდა გადაქცეული, მაგრამ, დარწმუნებული ვიყავით, რომ ტუყეობაში ამას ვერ მოვესწრებოდით, ახლა ოთარის ჯიუტმა მტკიცებამ და საოცარმა რწმენამ თავისი გაიტანა, მეც დამიყოლია. წინადადება იმიტომაც უნდა მიმეღო, რომ ნაწყენი არ დარჩენილიყო ჩემზე, მშობლად არ ჩავეთვალე. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა მომხდარიყო?— თუ ჩანგიქრა მცდარი აღმოჩნდებოდა, ეს ხომ დასაწყობებაზე უნდა გარკვეულიყო.

გარედან ჭარხალკაცების შეძახილები ისმოდა. თავიანთი საგუშაგოებიდან აფხაზლებდნენ და ამხნევებდნენ ერთმანეთს, ხომ ჩვენ გვაცნობდნენ, არ გვძინავსო, — ეშინოდათ ჩვენი. სადღაც ძაღლები ყეფდნენ, შორიდან ძლივს ისმოდა მათი ხმა. ძაღლები ბავშვობაში ძალიან მიყვარდა, მაგრამ ესენი სხვანაირი ძაღლები, გერმანული ნაგაზები იყვნენ.

ბარაკში ზოგიერთს უკვე დაძინებოდა. ზეროვნები შეიმეცნა. ჩვენ ხმაზე ვცნობდით ხოლმე ეს ვის ჩერიავდა, მაგრამ ახლა ვეღარ გავარკვიე. ალბათ, გონება ძალიან გადაეშვალა ნელენელა ბნელებოდა. ვგრძნობდი, თანდათან ვრებოდა სანათლე. ისე როგორც ომიდეი, თბილისში, თბერის თეატრში მინახავს. აქ რატომ უნდა ხდებოდეს-მეთქი ახე, — გაოცებული ვიყავი... ნაკადული მეშმანა, რატომ მესიზმრება-მეთქი, კი გამაკვირვა ძილში. ფეხსარეფით მიეუახლოვდი ნაკადულს. თვალი მოვკარე ჭიაურობას. ირგვლივ სრული სიმშვიდე სუფევდა, არავინ ჩანდა. ბნელოდა, მაგრამ ნაკადული დღესავით იყო განათებული, ვერცხლის წყალს ჰგავდა. მოდიდებულიც იყო, მღინარესავით ხმიანობდა. ჩავხედე და დავინახე ნამდვილი, თეთრი, მთელი კარტოფილები მოჩქონდა, მოცურავდნენ, კოკრიალით კი არა, ნელა — ჭანაობით. სათვისტომ გადაყოლე თვალი. ბარაკთან თეთრხალათიანი მზარეული დაინახე. ჩემკენ იყურებოდა, მიღიმოდა. გაეცოცდა, რატომ ეცვა დღეს თეთრი ხალათი, ან რატომ მიღიმოდა? ჰო, მივხედი, განგაში ყრიდა ჭყვილში კარგ კარტოფილებს ჩემთვის. ხახეღრიები დავეკაპიწე... ჰო, ტანზე ახალი სანიდაო ფორმა მეცვა, სულაც აღარ მცივდა... წყვიროქე, ვაგროვებ, ვაგროვებ თეთრ კარტოფილებს, უკვე მთელი გორაა, ას კარდალას გაიტსებს, ალბათ მთელ ბარაკს გასწყდება. როგორ გაიბარდებით? ყველა ჩემი მადლიერი იქნებას!.. მზარეული თვალს არ მაშორებს. მეც, მაღლობის ნიშნად, ვუღიმი, მიხარია და ვჩქარობ, — ერთ ცალსაც არ ვატან წყალს.

მაგრამ ეს რა ხდება?! გერმანული ნაგაზები დაოთხილნი მორბიან ჩემკენ. კი არ ყეფენ, მგლებივით შეშხარავად ყმუიან. უკან ფაშას-ტიბიც მოჰყვებიან. უკვე მიახლოვებიან ნაგაზები, გაქცევა ვიღაქრე. გაუხედე და ჩვენი ბარაკი ძლიერ დავინახე, — ძაღლან ზორს ჩანდა. ვერაფერი მოვახერხე... აი, პირდაპირებული ძაღლები უკვე მომადგნენ, ნამდვილად შემჭამენ, რა ვქნა? უნებლიეთ ორივე ხელი მაღლა შევმართე, დავიჭნიე და...

უცებ მიწას მოვეწიე, მაღლა წავედი ფრენით, ძაღლები ამოხტნენ, მაგრამ ვერ შემომწვდნენ. ცაში ვარ, ბარაკებს ზემოდან მოვექეცი. მავთულსართების ცალდება... მომაგონდა, ბავშვობისას სიზმარში მიფრენია, მაგრამ ეს სიზმარი არ იყო, ყველაფერი ნაღლად ხდებოდა. გარკვეული. მეც მინდოდა სიზმარი არ ყოფილიყო, დავირწმუნე თავი, ყველაფერი ცხად-

დავით კრირიძე
იქიდი

ლივ ხდება-მეთქი. სულ მაღლა-მაღლა მივიწევ. ბანაკის ტერატორიაზე საყვირი განგაშს უკრავს. ვხედავ, როგორ დარბიან უწესრიგოდ ჯარისკაცები. მესვრიან, მაგრამ არადერი მეკარები, ორივე მკალთან ფრთებივით ვიწევ და ვიფრინავ. ცას კიდეთან სანათლე გამოკრთის, მაგნიტივით მიმიდგას ის, სხვა ყველა მხარე ჩაბნელებულია. აგერ, ფრონტის ხაზიც გამოჩნდა. ორივე ხელში ბომბი მიპრახუს, მოვუყევი მარცხნიდან და დავფაცურე ეგრმანელებს. ბომბები ზუსტად მათ სანგრებში ჩაცვივდა. სროლა დამიწყეს, მაგრამ მე ძალიან მალე ვიყავი და ძალიან სწრაფად მივქროდი... ჭორვები ჩემს ქვეშაც და უკან სცდებოდა...

ფრონტის ზადილში თოვლიანი კავკასიონი გამოჩნდა. სულმა წამძლია და იჭით გავემართე. აი, ჩემი საქართველო. თბილისიც იქვე, სულ ახლოს. აგერ ნაძალადევი, ლენინის ობიონი, დინამოს სტადიონი, რკინიგზაზე გადასხვლელი ხიდი, ჩემი სახლიც. არაფერი შეცვლილა ვიფიქრე, ჩავალ, ცოტა ხნით მივალ-მეთქი სახლში, მაგრამ რა მოხვედრა? ერთი შეტრიალა ვერ დავიწიე ძირს, რაღაც მიშლიდა ხელს. ბევრი ვიტრიალე და, როგორც იქნა, მამადგითის პლატოზე დავეშვი. ბიედნიერი წუთი მეფიქრა — ჩემს ბიჭზე დავდგი ფეხი. თავისუფალი ვიყავი, მაგრამ შიში ვერაფერი მოეუხერხებე. — მაინც მეშინოდა...

წინ ვიღაცები შემომეგებნენ. ათიმდე კაცი იქნებოდა. ნაცნობი სახეები ჭკონდათ, თუმცა ვერ გავიხსენე, ვინ იყვნენ. მილიმოდნენ, თან რაღაც უცნაური თვალებით მიყურებდნენ, — ვერ გავერკვე ეკოლად იყვნენ თუ არა განწყობილნი ჩემს მიმართ. გარს შემომეხვივნენ, არ მაშვებდნენ. სადღაც მეპატიჟებოდნენ: წამო, ჩვენთან იპურმარილეო. ძალიან მშიოდა მაგრამ უარი ვუთხარი, "ნინ მიჩქარება-მეთქი, ძალადობაზე გადავიდნენ, ხელები გამიკავეს, გამომარიეს... მწვანეზე მართლა იყო გაშლილი სუფრა, გვერდზე წყარო ჩამოდიოდა, ისეთი, როგორც ტყეეთა ხანაშია, — ეს არ მესიამოვნა. ვეხვეწები: გამიშვით, ერთი წუთით მივალ სახლში, ჩვენებს დავხედავ, მზოლოდ ერთხელ, შეტად არა, არც კი დავეთხოვარეები და დავბრუნდები, რამდენი ხანია ვიღებობ ამაზე, ახლა საშუალება მომეცა, ნუ დამიშლით, ძალიან გთხოვთ-მეთქი.

შენც არ მომიკვდე, არ მაშვებენ...

სუფრაზე ჩვენებური საჭმელები დავინახე: თონის პური, შეშწვარი წიწილები, მწვადი, მჟაოები, საცივი, ღვინის დოქი, ბრილის ჭაშნა თოვლივით თეთრი მთბარშული დიდრონი კარტოფილები აწყვია და ორძენი ახდის, რა უნდოდა აქ კარტოფილს? — თვალი მაინც დამრჩა. წავიხედე, მაგრამ ახლოს არ მიმპარებს, გაოცებული ვიყავი, — რაღას მეპატიჟებოდნენ-მეთქი. დავაკვირდი მათ ცა, რას ვხედავ, — ნამდვილი ფაშისტები არიან, ფორმიანები, ეროვნული ეროვნი და ჯარისკაცები. ხელები გადამეგრიხეს, წელებით მცემენ და მაგინებენ, სადღაც მიმათრევენ. ირგვლივ ხალხი თავშეყრილა. — ჩვენები, ახალისელები, ვყვრი: ხომ ხედავი, მატყვრელები არიან, ძაღლები, „სვაბოტაჟები" აჭვთ მკლავებზე. ალბათ, შემოპარვენ, რა უნდათ აქ, მოდით ჩვენა მიშველეთ, დავაკვთით-მეთქი...

ისინი კი უფრთვად დგანან, ხმას არ იღებენ. ბოროტი თვალებით მიყურებენ... მივხედე, „ალბათ იმიტომ არ მეკარებიან, რომ ამხანაგები მივატოვე და მარტოდ ჩამოვედი, ეგება გამცემიც ვყოფილვარ ამათ... არა, ხალხნო, მოდალატე არ ვარ, არც მშიშარა. ისე, ჩემს უნებურად მოხდა, აქ მოვფრინდი, ამხანაგებისთვის არ მიღალატნია", — ვყვარობ... ძალა გამომელია, ხმაც წამერთვა. ვხვევ, ხმა არ ამომდის... უცებ ხალხიც გაქრა. მარტო დავრჩი ჯალათების ხელში. ჩემს სახლს ვხედავ გარკვევით, იგი უველაზე ძალიანად გაკაშკაშებულა. ვნახობ, რატომ ჩავუვარდი-მეთქი ხელში ამ ობრებს. უცებ ისევ დაბნელდა, უცუნვითოდ, ვერაფერს ვხედავ. ვყრძნობ, სადღაც ქვეშით მიმათრევენ, ალბათ გესტაპოს ჯურღმულში, გოხნება დავხვდე, გავიხსენე სიშმარი რომ ვფიქრობდი, როგორ მინდა სიშმარი იყოს, ღმერთო, ნეტავი სიშმარი იყოს, სიშმარი, მერე, გადვიღებისას, საკინემატოგრაფო ბანაკში ეკ არა, თუნდ ჯოკრებეში აღმოვჩნდე, ოღონდ ასი ხელი არა. მაგრამ, სამწუხაროდ არაფერია. თავი გაკავებული მაქვს, ვერ ვამოძრავებ, ცხადად ვგრძნობ, როგორ მეწვის ლოყა, გაქრა სიშმარის იმედი. თვალის გახელისა მეშინია, ყოველწამიერად მოველი, რაღაც საშინელ, მომაკვდინებელ ტკივილს შევეგებე და თვალებაზუსტული ველით... წინააღმდეგობას ალარ ვუწევ, დავნებდი. არაფრის თავი ალარ მაქვს, თითქოს ვონებაც მეკარგება... ისინი ისევ მაგინებენ და რაღაცას მედავებიან...

სადღაც მაინც გაჩათდა გონებაში. ერთის ხმა ნაცნობი ჩანდა, მივაყურადე — ირაკლი ხაინდრავას ხმას ჰგავდა. უფრო დავაძაბე და მკაფიოდ გავიგონე მისი სიტყვები: „ბიჭო, რა მოგდის, აქეთ მოიხედე, (ჩვენ ვართ..."

ნელ-ნელა შემოიპარა თვალში სინათლე... პირკვე ვიწექი ნარზე. ნამდვილად ჩემი ნარი იყო. მისი ფიცრის ყოველ ბაზს ვცნობდი. თავს ძალა დავატყე და ზურგზე გადავბრუნდი. ვიღაც დამეხმარა. ირაკლი ხაინდრავას ხელი მჭონია ამოდებული შუბლკვეშ — თავიც ამიტომ მჭონდა გაკაფებული. ცრემლები ხელით მოვიწმინდე. საშინლად დაღლილი, დაოხებული ვიყავი. წამოდგომა არ მიცდია, თვალი მოვავლე იქაურობას. ყველა ირგვლივ მეხვია: ირაკლი, ოთარი, ზალიკო, თბილისელი ჯორა კალი-

ნინი და შურა გეფორკოვი, ისმაილ ალიევი. ყველანი ზანიტყვიდ, გაკვირვებული, შეშინებული თვალებით შემომყურებდნენ. შევწინწინე, სხვა ხაზებიდანაც იცქირებოდნენ ჩემკენ. ცოტა ხნის შემდეგ ყველანი დაიშალნენ. არაკლი რვეული ძირს და თაქერულებში ნარის ვასწერდე და ვწერ სანიმუშოდ.

— ალბათ, ბიზმარში იყავი, მაგრამ რა ნაზე ასეთი? ებრძოდი ვინმეს? — მკითხა ოთარმა.

დაბნეზავებული ვიჯექი ნარზე. სურნელივე რომ მჭირდა, იმწუთში, ბიზმარში ნანახისა და განცდილის გადმოცემას მაინც ვერ შევძლებდი. დილის საყვირის ხმა მოისმა. ყველა გარეთ გასასვლელად მოემზადა. ანგარიშიუცქლად, ფიცხელი ქალი ეს ისევ თბილისში ვიყავი, მამადავითის პლატოზე, ჩემი სახლი მედგა თვალწინ, პროფესტორებით გაჭიანებული. გული მწოდა დამძიმებული, ბოლმა მახრჩობდა: ერთხელ მაინც დავნახვებინა ამ ოხერ სიზმარს ჩვენები, დედა, ცოლი, პატარა შვილები...

ყველა რომ დავლიეთ, მე და ოთარი ეზოში გავედით ჩვენი კარდალების ხელში. ასე ვიყავით შეთანხმებული.

ჩვენი ნაკადული, ბანაკის ეზოდან გასვლამდე, ერთ-ერთ ბარაკს უყლიდა უკანა მხრიდან. ზამთარში იქ თითქმის არავინ დადიოდა. ამიტომ ავირჩიეთ ეს ადგილი...

საქმე თავიდან კარგად წარიმართა: წყალში დაჭერილ კარტოფილის ნარჩენებს ხელით ვწურავდით და კარდალში ვტენიდით. ცინცხალ ხელები დაგვილურჯდა, მაგრამ ტკივილს ვერ ვგრძნობდით, სად იყო ამის დრო, ვჩქარობდით, ოთარს გავხედე, სიხარულისაგან სახე გაბრწყინებოდა. უკვე მეორე კარდალს ვავსებდით და საზრუნავი ისღა გვრჩებოდა, სად დაგვედასა ისინი სხვა კარდალების გავხებამდე. ალბათ, ამავე ბარაკის უკან... ცეცხლსაც აქ დავანთებდით...

იქვე მავთულებს გადაღმა მდგომმა რუმინელმა ჯარისკაცმა კარგად დაინახა, რასაც ვაკეთებდით, მაგრამ არაფერი უთქვამს. როგორც ჩანდა, პიურეს გაკეთებაშიც არ შეგვიშლიდა ხელს...

ბარაკის კუთხესთან ორი პოლიციელი გამოჩნდა. ისე, ჩვენელებივე შემოვლაზე იყვნენ და ჩვენსკენ წამოსულას არც იფიქრებდნენ, რომ ჩვენ ინსტინქტურად არ წამოვმბატარაყავით და, საქციელზამხდრები, კარდალების წინ, ერთმანეთის გვერდით არ ავტუზულიყავით.

სურათი, ალბათ, შთამბეჭდავი იყო, — მთ მაშინვე მიმართულება შეიცვალეს და ჩვენკენ წამოვიდნენ. ზორბები იყვნენ, ჩასუკებულნი, ორივეს ჯიბი ეჭირა ხელში. მოზომილად, აუჩქარებლად მოაბიჯებდნენ. ვგრძნობდი, ცუდად დამთავრდებოდა ეს შეხვედრა. წყარზე, ჭიანჭველები აირია, უხიამოდ ერუანტელმა მთელ ტანში დამიარა და გკრა, გონება გამალებით ამუშავდა. მგრის ფორმაში ჩაცმული, ვლასოველებად წოდებული მოლალატენი. ჩვენთვის ფაშისტებზე უარესნი იყვნენ. ისინი ხომ ხასტიკად უნდა მოგვესყორბიდნენ, რომ თავი გამეტრნიათ გერმანელებთან. უბრალო შეკამათებაც კი ძალიან ძვირად, ზოგჯერ სიცოცხლის ფასად გვიჯდებოდა. მათ პირისპირ არ უნდა შეჩერებოდი, თორემ თავს წაგებდი, და, აი, ჩვენ მოვახერხეთ მათთან პირისპირ შეხვედრა...

— აქ რას საქმიანობთ, პატივცემულო სამუროთა ოფიცრებო, რატომ ბარაკში არ ბრძანდებით? — იკითხა ერთმა დამცინავი ღიმილით და ფარანჯის კალთა ჯიბით ამიწია, აქაოდა, ხომ არ დაგავიწყდა, თითქმის შიშველი რომ ხარო.

გვერდზედა გადავდეკი და ხელით მივუთითე კარდალებზე. ოთარი ადგილიდან დაუძვრებლად დაიკუზა და თავისი კარდალი ხელში ისე დაიჭირა, თითქოს უნდოდა ეთქვა, არ მომეკაროო, ცოცხალი თავით არავის მივცემო. ამაზე ორივეს გაეცინა, მაგრამ ჩვეულებრივად, ადამიანურად. ამან ძალიან გამაკვირვა, ეს ვლასოველის, პოლიციელის საქციელს არ ჰგავდა.

— კი მაგრამ, ვანაგრძო ახლა მეორემ: — აკი კომუნისტები ხართ, სტალინური შეგარდნები, პატრონსები, სხვისას არაფერს ხელს არ ახლებთ, რატომ ქურდობთ, არა გრცხვენიათ?

— ეს ქურდობა კი არის, გადაყრილ ნარჩენებს ვაგროვებთ, — წყნარათ, შეძლებისდაგვარად აუღელვებლად ჩავლაპარაკე.

— მაინც, ბრძანეთ, ბატონებო, რას უპირებთ დამპალ ნაფცქვნებს, რატომ იწუხებთ თავს ამ საცივეში?

— ისე, უბრალოდ, მოვხარშავთ და შევჭამთ. არსებობა გვინდა, — ისევ წყნარად ვუპასუხე.

— ამ, არსებობა გინდათ! დამპალი კარტოფილით?! მაგრამ სად არის თქვენი თავმოყვარეობა, სიცოცხლე მაინდღე უნდა შეგეწყვიტათ, ვიღრე მტერს ჩაბარდებოდით, რატომ დაზოგეთ უკანასკნელი ტყვია?

ეს გამოწვევა იყო, მაგრამ მაინც უცნაური, იმიტომ, რომ ძალიან ბევრს გველაპარაკებოდნენ, ასე მათ არ ჩვეოდათ, ეტყობა, რაღაც შეიცვალა... წამით დავიბენი, შევყოყნენი, თუმცა მთლად ბაღიებაც არ შეიძლებოდა.

—კარგად მოგეხსენებათ, არ ჩავბარებულვართ, ბრძოლის დროს დაჭრილნი ან გონებადაკარგულები დაგვატყვევებს, თავის მოკვლა კი იმათ უნდა იფიქრონ, ვინც ბრძოლაში თავისიანებს უღალატა, მტრის მხარეზე გადავიდა და ახლა მისი ნასუფრალით ცხოვრობს.

ვიცოდი, რაც ვთქვი და თავდასაცავად მო

დავით ქორიძე

იმედი

ვემზადე, ახლოს ქვა შევთვალიერე. ჩვენი მათთან შებრძოლება, უკეთესს შემთხვევაში, სახალისო სანახაობა იქნებოდა, მაგრამ...

— კარგად ვიცით, სტალინგრადით ხართ გათამამებულები, მაგრამ ახიც უნდა გესმოდეთ რომ ეს ყველაფერს არ ნიშნავს, ბრძოლა გრძელდება! გერმანია უძლეველია, მას მთელი ევროპა უდგას მხარში, გერმანია მაინც გაიმარჯვებს!..

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ჩემს სავსე კარდალას მთელი ღონით გავკრა ფეხი და არხში ამოაყირავა, მერე ერთი შეგინა და უცებ თვალი ჩკიდა ოთარის კრტოფილით სავსე კარდალას, რომელსაც ეს უბედური გაძვალტყავებულ ხელს უმწეოდ აფარებდა. ჯობის ჭახანი გაისმა და ხელიდან ხისხლმა იფეთქა. სიწრით დაგროვილი კარტოფილის ნაფცქვენება მიმოფანტა. ვისკუპე და ოთარს წელში ვწვდი, ორივე ხელი შემოვხვიე და გავირინდე.

ის წამი უსასრულოდ გაგრძელდა, მაგრამ ჯობი არ მომხვედრია. ოთარი მთელი ტანით ცახცახებდა. თავი მოვაბრუნე. ვლახოველები ბრაზიანი გინებით გაგვშორდნენ და მალე ორივენი ბარაკის კუთხეს მიეფარნენ.

— გტკივა? — ვკითხე ანგარიშმოუცემლად. — ძალიან გტკივა? მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ოთარი სულ არ ფიქრობდა იმ დროს ტკივილზე...

...მრავალმხრივად დავზარალდით. ჩვენს პიურეს მოხარშვის გეგმა, ოთარს ხელი დაუზიანდა, ხოლო ჩემი კარდალა, რომელიც მაერივით მჭირდებოდა, ალარაფრად ვარგოდა.

და მაინც ხასწაულებრივად გადავრჩით. პოლიციელებს შეეძლოთ ურჩობისთვის ადგილზევე გაგვსწორებოდნენ, ან გესტაპოს განყოფილებაში წავეყვანეთ. მათ არც ერთ ამ ზომას არ მიმართეს და, რაც მთავარია, არა იმტომ, რომ შეეცოდეთ,.. მაშ, რა მოხდა?

— მა, მიხვდი, რა მოხდა? გაიგე, ბიჭო?!

— მო, მო, მეც მაგაზე ვფიქრობდი, ნუთუ მართალია? — სტალინგრადი! ჩვენები წინ მოდიან!..

კუდები რომ გვქონოდა, უთუოდ ცაში ავისროდით, „ვაშას“ ყვირილს დავიწყებდით...

მავთულხლართების ღობეს რუმინელი ჯარისკაცი მოსდგომოდა და რაღაცას გვეყვიროდა. ახლა მას გავხედეთ შიშით, მაგრამ იგი გვიცინოდა და გვანიშნებდა, ისევ ამოკრიფეთ კარტოფილის ნაფცქვენებიო. თუმცა პიურე ვიღას ახსოვდა.

გაოცებული მოხუცი რუმინელი ჯარისკაცის თვალწინ თავქუდმოგლეჯილნი გამოვრბოდით ბარაკისკენ, რათა ამხანაგებისთვის შეგვეტყობინებინა მტრისგან უნებლიეთ გათქმული ამბის სანდოობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუმრუდ გოდერძიშვილი

ასე ნაზი და ასე ცისფერი,
ცრემლი, რომელიც ეცემა ფოთოლს,
გაიყინება ცოტახნის მერე
და სიფრიფანა ფანტელად მოთოვს
სევდა ჩემს ცრემლებს.
მერე კი მერე
გაელვიძებათ ნელი სუნთქვით
გამომშრალ ველებს
და გაზაფხული როს იფეთქებს ატმის
ყვირტებად
ყინული რტოებს
კვლავ ცრემლებად დაეკიდება.

ქვეყნად არავინ, არავინ იცის
როდის თენდება, ანდა როდის ამოდის
მთვარე
აქ, ჩემს ფანჯრებთან,
რვასართულიანი სახლის
მეცხრე სართულზე.
ჩემს მეზობლად არავინ ცხოვრობს,
მე ცის ქვეშა ვარ და ჩემს ეზოში,
ღრუბლების ხეივანში
ზოგჯერ მთვარე დახეტიალობს.
ქარიც მწვევია, მაგრამ ცოტახნით,
მხოლოდ მე ვიცდი აქ
და არავინ იცის,
როდის თენდება,
ანდა როდის ამოდის მთვარე
აქ, ჩემს ფანჯრებთან
რვასართულიანი სახლის მეცხრე
სართულზე.

სალამი ჩემი სიმშვიდის დილავ,
შენს ნათელ ხილვას, შენს სუფთა ცას
ჩემი სალამი,
როგორ გიხმობდი, როგორ მსურდი
ყველაფრის წილად,
რა მძიმე იყო გუშინდელი,
ჩემთვის საღამო.

მაინც გათენდა.
ისევ დაბრუნდა ლურჯი ფერი და
სიკამკამე,
როგორ მაწვიმდა უმკაცრესი
სევდის ლაქებად,
რა მძიმე იყო გუშინდელი ჩემთვის
საღამო.

სალამი ჩემი სიმშვიდის დილავ,
შენი სხივებით დავედევნე
ღამის აჩრდილებს,
შენ კიდევ ერთხელ,
კიდევ ერთხელ გადამარჩინე.

ზერა რომანაძე

მითხარი, ცაო, მითხარი,
რა დღე მოელის ყვითელ ფარვანას?
ფერფლად შერჩება მისი ცხოვრების
მოლიპულ შარას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გადაისვრის მიმწუხრებულ
შემოგარენში.
რომ უკანასკნელ აკვლებამდე
ებღაუჭოს
მის პირჭუშ კედლებს
და უნეტარეს ტკბობით შეიგრძნოს
აბორგებული სულის ტკივილი?!
სთქვი!
თუნდ ერთი წამით,
ამონათდება იგი ციურ ვარსკვლავად
მერმისის უცნობ გალაქტიკაზე
თუ შთაინთქმება ულიმღამოდ
მარადისობის ქაოსურ რიტმში?
მითხარი ცაო,
რა დღე მოელის ყვითელ ფარვანას?..

●

აჰა, სადგური, ესე,
ოკრობოკრო ბილიკებში ჩახვეული,
წყალობა ღვთისა.
შიში და ღალატი, ბოროტება
ჩასაფრებული.
სიკეთე, ცრემლის დენამდე დასული,
ბინდის მჩქმალავი.
აჰა, სადგური ესე...
დასტოვე რამე სამსჯავროზე გასატანად,
რამეთუ ძალგიძს მოისმინო
ობობას ქსელში გაბმული ბუზანკლის
კვნესა.
აჰა, სადგური ესე...
შეუდგი მკერდი სისხლის დაშრობამდე,
რამეთუ ხვედრია იგი შენი,
შენი გზის ბოლომდე გასატანი.
და არ თქვა, რაგინდ გაგიჭირდეს:
მოვედ, რაისთვის?

მთვრალი დღეები

ჩამოქცეული ფიქრების ჭერხო
სულის სიმებზე მადებს ბორკილებს.
ვერ მივაწვდინე ჩემი ხმის ექო
მთვრალი დღეების გიჟურ ორგიებს.
ახლა მინდოდა სიგიჟე ლექსის,
ახლა ვუყეფდი აშარა ნისლებს,
ვერცრა ცრემლებით, ვერცა რა კვნესით
ო, ეს დღეები ვერ მოვაფხიზლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტვრიან ქაოსში ხეტებ-ხეტებით
მიბორიალობთ ნელი-ნელიად...
სად მიბარბაცობთ, საით დღეებო,
ნავთსაყუდლები საით გელიან!
მითხარით, საით მიეშურებით?
მეც გამოვყვები მტირალა ფოთლებს;
მეც გამოვყვები და გამოგიშრობთ
ღრუბლის ნაჟურით გაპოხილ ნოტებს.
ქარი გაჰკივის, მიაქვს მაჟორი...
ეს მარტი როდის ჩაივლის ნეტავ!
ვინ, ვინ დღეებო, ვინ აგვაშორებს
ამდენ სიყვარულს, ამხელა სევდას?...
ჩამოქცეული ფიქრების ჭერხო
სულის სიმებზე მადებს ბორკილებს
ვერ მივაწვდინე ჩემი ხმის ექო
მთვრალი დღეების გიჟურ ორგიებს.

●

— შენ რაღას მეტყვი ალვის ჩეროვ,
სევდა მიილია
თუ გადამედო მთვარის იდილია?
— არ დაიჯერო, არ დაიჯერო,
არ დაიჯერო,
ესეც ტკივილია!

ისევ ბურუსშია შენი საწუთრო,
ისევ ქარია და
ისევ კივილია!..
— ჰოი, მაცდურო, ჰოი მაცდურო,
ჰოი, მაცდურო,
მთვარის იდილიავ!..

გიორგი მინდიკაური

ფალავანი ფრეში

ვინ თქვა,
უკვე ჩადგნენო ჭაბუკური ქარები,
განა სული დაბერდა და ხორცი გაიცვითა?
ვინ თქვა, მწვერვალებიდან უფსკრულს მივეჭანებით,
ან გული ვის გაულღვა, ვინ დაიჭრა ეჭვითა.
იყოს მარად ხსენება, ვინც ყანა დააპურა,
ვისაც ერის წყლულებით მშვიდად არ ეძინება.
ხმლის ვადასაც ვენდობით ისევ მამა-პაპურად,
ძარღვში თერგისებური არის სისხლის დინება.
ფალავნურად ტრიალებს წრეში ჭაბუკითა
ჩემი ქვეყნის სახელი, ცისკართან რომ ინთება.
მძიმე ტვირთს, სასახელოს,
აღთქმულ ზღვართან მივიტანთ,
გვწამს ბრძოლები აწმყოსი
და მომავლის დიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმით ნატირალის ჰანგზე

ჩემს ბაღჩა-ბოსტანს ჰქონდა
ღრეობაი:
დიდი ხნის ნაგვალ-დაშაშრულსა
მიწას ძლივს ელირსა დასველება.
ცელქობით, ჩხრიალით და სიმღერითა
წყალმა დამსკდარ მიწას მიაშურა.
როგორც მთიბველი თიბვაშია,
მოწყურებული და დაქანცული
დაეწაფება წყაროს წყალსა,
მიწა იმგვარი სიხარბითა
წყურვილს იკლავდა ნაოცნებარს.
ვაშლები, შენებ დარგულები,

ყვითელ ტანსაცმლით შემოსილან —
სიყვითლე მათი ძაძებია.
მათთვის აღარ აქვს მნიშვნელობა
არც წყალს, არც მზესა და აღარც სიოს.
მათი გული ჰიებს დაუფქვია,
გაზაფხული ვეღარ გააცინებს.
შუაღამე უკვე გაფერმკრთალდა.
მარტომდგომს თეთრი პეპელაი
რახანია თავზე დამტრიალებს;
მე ვიცი, ოჯახდანატრული
შენი სულია, მამაჩემო.

იწამე ჩემი

მე ვაშენებდი ამ შენობას,
შენ რომ შედიხარ
სასოებით და მოკრძალებით.
მხოლოდ სანთლების ჩურჩულია
გამეფებული
და აქ საკმევლის მათრობელი სუნი
ტრიალებს.
მოდი, ილოცე, ძე ცთომილო,
იწამე ჩემი.

ეს გზა, იცოდე, ერთადერთია,
რომელიც გვიხმობს,
ვით ზარები სამრეკლოების.
ო, აქ რამდენი ღამე არის ჩაბუდებული
უძილო, მკრთალი,
როგორც სახე მორწმუნეების.
მობრძანდი მალე, აი სანთელი,
მოდი, ილოცე, ძე ცთომილო,
იწამე ჩემი.

დღევანდელი და ხვალინდელი...

ცნობილია, როგორ დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ცალკეული რაიონების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების აღმავლობის პრობლემებს. მიღებულია მთელი რიგი დადგენილებებისა, რათა პრაქტიკულად ყოველგვარი პირობა შეიქმნას ამ აღმავლობისათვის. ცხადია, ჩვენი ქვეყნის წინსვლა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იცხოვრებს და იშრომებს პერიფერიაში ქართველი კაცი, ექნება თუ არა მას ნორმალური პირობები, დავაკმაყოფილებთ თუ არა მის სულიერ მოთხოვნილებებს რაიონის კულტურული ცხოვრების ფორმებით, რა ძალას იქნება მატერიალური დაინტერესების პრინციპი, რა საშუალებებით გავუძლიერებთ მამა-პაპური ფუძის სიყვარულს და ერთგულებას. ყოველივე ამას განუსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი რესპუბლიკის აწმყოსა და მომავლისათვის. ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რაოდენ სისხლხორცეულია ყოველი რაიონის, თვით ყოველი სოფლის სიხარულიცა და საწუხარიც მთლიანად საქართველოსათვის. ყოველ რაიონს საქართველოში საკუთარი პრობლემები აქვს, ძნელად გადასაწყვეტი პრობლემები! თავისებურად ულხინს და უჭირს! თავისი დიდი წვლილი შეაქვს საერთო-სახალხო აღმშენებლობით საქმეში. ამიტომ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია, უფრო ახლოს გაიცნოს თითოეული რაიონი, მათ წინაშე მდგარი პრობლემები, გააცნოს მკითხველებს. დღევანდელი საქართველოს შრომისა და ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები, რადგან ეჭვი არ გვეპარება, ის რაც ახარებს ან აღონებს ვთქვათ ასპინძის რაიონს, განურჩეველი იყოს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ქართველი კაცისათვის. შარშან „ცისკრის“ რედაქციამ მკითხველებს გააცნო ასპინძის რაიონში აჭარელი ქართველების ჩასახლების დიდი ფაქტი, ამ ღონისძიების ყოველმხრივ სასარგებლო შედეგები, გონივრული გამოზნულობა, რაიონის ეკონომიური პოტენციალის გაძლიერებისათვის მიმართული მასშტაბური პროცესი. ეს დიდი ფაქტი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული საქართველოს დემოგრაფიულ ინტერესებთან. სხვა კუთხით იქნა გაშუქებული ერთ-ერთი სისხლსავსე ქართველი ოჯახის ცხოვრება ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევში. წითელწყაროს რაიონზე მკითხველებს ესაუბრა ვანო ჩხიკვაძე. რაჭის მტკივნეულ საკითხებს მიეძღვნა ბადრი ჯოხონელიძის ნარკვევი. მაგრამ ეს ნამდვილად არ არის საკმარისი. „ცისკარი“ მოვალედ თვლის თავის თავს უფრო ინტენსიურად, უფრო მეტი სიღრმით განიხილოს რაიონის, საერთოდ პერიფერიების ცხოვრება. ამ მიზნით ჩვენი სპეციალური კორეს-პონდენტი ეწვია მაიაკოვსკის (იგივე ბაღდათი) რაიონული კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ **გაიოზ ნოზაძეს** და სთხოვა ესაუბრა საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის აწმყოსა, წარსულსა და მომავალზე.

1. — ბატონო გაიოზ! თქვენ ხელძღვანელობთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას. სანამ მაიაკოვსკის (ისტორიული ბაღდათის) წარსულს გადავავლებდეთ თვალს და მის წარსულთან დამოკიდებულების საკითხებს შევეხებოდეთ, ანუ სანამ ვილაპარაკებდეთ ამ კუთხის დიდი წარსულის შესწავლისა და გამომზეურებასთან საქმიო ღონისძიებებზე, მანამ ალბათ, უფრო მთავარს — რაიონის დღევანდელ ცხოვრებას შევეხოთ. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ რაიონი მიკრო ქვეყანაა, რომელზეც რესპუბლიკის ყველა სასიცოცხლო ძარღვი გადის, იგი ერთი ორგანიზმია და მის სიჯანსაღეზე დიდად არის დამოკიდებული საერთოდ ქვეყნის კარგად ყოფნა. ალბათ უნდა დავიწყოთ უპირველესით — რაიონის ეკონომიური პოტენციალით. „ცისკრის“ მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ დაწვრილებით დავუხასიათებთ რაიონის ეკონომიური ცხოვრების ფორმებს, თუ ვეტყვით ძირითადად რა კულტურული მეცნიერება გავრცელებული რაიონში, რა ფართობი უჭირავთ მათ, რა ჯიშის ვენახია ძირითადი, ხარობს თუ არა იშვიათი ჯიშის ყურძენი, როგორ ვითარდება მესაქონლეობა, როგორ შესრულდა შარშანდელი წლის სახელმწიფო გეგმა და რა სიძნელეები გხვდებათ გეგმის შესრულების გზაზე, რა სახის სამრეწველო პუნქტებია თქვენს რაიონში და როგორია მათი წარმოდგინა. რამდენად უწყობენ ისინი ხელს სოფლად მოსახლეობის დაბადებას.

1. — მაიაკოვსკის რაიონის სახალხო მეურნეობის, მისი ეკონომიური და სოციალური განვითარების ძირითად დარგს სოფლის მეურნეობა, ხოლო სოფლის მეურნეობიდან მევენახეობა წარმოადგენს.

მევენახეობის დარგიდან მიღებული შემოსავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის 27,2 პროცენტს შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ დარგის შემდგომ განვითარებას შეუძლია დადებითი ზეგავლენა მოახდინოს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების რენტაბელურ მუშაობაზე.

მევენახეობის განვითარების საქმეში რაიონს გააჩნია გარკვეული დადებითი ტრადიციები, ბოლო სამი წლის მანძილზე ყურძნის სახელმწიფოზე მიყიდვის გეგმა წარმატება ,, შესრულდა (1981 და 1983 წლები).

რაიონში გვყავს ისეთი კოლმეურნეობები და ბრიგადები, რომლებიც ყურძნის სარეკორდო მოსავალს იღებენ. საკრაულას ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერ ყურძენს დებულობენ, რაც რაიონის საშუალო მაჩვენებელს 88 ცენტნერით აღემატება. მაიაკოვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადამ 1983 წელს მეექვსეზე 75 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ამავე კოლმეურნეობის მევენახემ დ. ახალაძემ კი ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით 200 ცენტნერი ყურძენი მოიწია.

მევენახეობა როგორც რესპუბლიკისათვის, ისევე ჩვენი რაიონისათვის ისტორიული დარგია. ამიტომ ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს უფრო ჯეროვანი გახდეს მასკომპეტენტური საშუალებები.

რაიონში განვითარებულია აგრეთვე მეხილეობა, მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა და მეცხოველეობა. კულტურული მცენარეებიდან რაიონში გავრცელებულია, როგორც აღვნიშნე — ვაზი, ხილი — (ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ტყემალი), დაფნა, თუთა. ვენახს უჭირავს (მოსახლეობის ჩათვლით) 3.500 ჰექტარი, ხილს — 224 ჰექტარი, თუთას — 210 ჰექტარი, დაფნას — 25 ჰექტარი.

მევენახეობაში გავრცელებულია ისეთი ჯიშები როგორიცაა: „ცოლეკაური“, „ცოცქა“, „ფელშავი“ და „ჩხაველა“. გარდა აღნიშნულისა რაიონში ხარობს ოშვიათი ყურძნის ჯიშები „ალადასტური“ და „კრახუნა“.

მესაქონლეობა რაიონში ინტენსიურად ვითარდება. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ თუ რა დიდი სტიმული მოგვცა რაიონის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში ღირსახსოვარმა პოველნამ, 1981 წლის აგვისტოს თვეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მაიაკოვსკის რაიონში სტუმრობამ, რაიონის მშრომელებთან, აქტივთან მისმა შეხვედრებმა და გამოსვლებმა. განსაკუთრებით მოითხოვსენი იქნა იმ ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების შესახებ, რაც მეცხოველეობის დარგში გაგვაჩნია. აღნიშნულმა მითითებებმა ახახვა ჰპოვეს რაიონის პლენუმის და ბიუროს არაერთ დადგენილებაში, რომლებიც სახელმძღვანელო პროგრამად იყო დარჩენა, რაიონში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში. გაწეული მუშაობის შედეგიცაა ის, რომ რაიონი ბოლო პერიოდში გარკვეულ წარმატებებს აღწევს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის საქმეში. მეათე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით რაიონში 1.621 თავით გაზრდილა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და 1.914 თავით ღორის სულადობა. მეთერთმეტე ხუთწლედის სამ წელიწადში ყველა კატეგორიის მეურნეობიდან სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 2246,2 ტონა, ნაცვლად გეგმიური 1995,6 ტონისა, რძე 4735 ტონა, ნაცვლად 4627 ტონისა. მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისა-

თვის, საქმარისია ითქვას, რომ ბოლო სამ წელიწადში თივის წარმოება გადიდდა 324 ტონით, სილოსის 491,5 ტონით, ჩალისა — 771 ტონით, ერთი პირობითი ხუთი პირუტყვის საკვებ ერთეულებით უზრუნველყოფა გაზარდა 2,5 ცენტნერით.

მეცხოველეობის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ გაგვაჩნია სიძნელეები. უპირველეს ყოვლისა ეს არის მეცხოველეობის დაუმყოფილებლობა საკუთარი საკვები ბაზით. უკანასკნელ სამ წელიწადში რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ რაიონის გარედან შეძენილი იქნა 1045 ტონა უხეში საკვები. საკვებწარმოების საქმეში ჩამორჩენის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს საკვები კულტურების დაბალი მოსავლიანობაც. მაგალითად: საკვები კულტურების ნათესების თითოეულ ჰექტარზე ჩვენ ვიღებთ საშუალოდ 120 ცენტნერ სასილოსს მასას, თივას — 40 ცენტნერს, ძირხვენებს — 35 ცენტნერს, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება რესპუბლიკურ მონაცემებს. აი ძირითადად მესაქონლეობაში არსებული სიძნელეები, რომლებიც რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს.

ბოლო წლების მანძილზე ჩვენს კვეუანაში ფართოდ გავრცელდა მრეწველობასთან ხასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დამხმარე წარმოებათა კოოპერაცია. ორი წამყვანი დარგის ასეთი თანამშრომლობის მაღალი ეფექტიანობა დამაჯერებლად ცხადყო მაიაკოვსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დამხმარე წარმოების სამრეწველო საწარმოსთან საწარმოო კოოპერაციის გამოცდილებამ.

დღესასოვის ჩვენი რაიონის აღნიშნულ საწარმოებში მეპაიეთა ხახით გაერთიანებულია შვიდი კოლმეურნეობა და ერთი საბჭოთა მეურნეობა.

1979-1982 წლებში საწარმოების მიერ გამოშვებული იქნა 2 მილიონ 11 ათას შვიდასი მანეთის პროდუქცია, საიდანაც მიიღო მოგება 722,8 ათასი მანეთი. მეპაიე მეურნეობებს გაუნაწილდათ მოგება 529,8 ათასი მანეთის ოდენობით, მატერიალური წახალისების ფონდიდან 1980-1982 წლებში საწარმოების მუშაობამხასახურეებზე გაცემული იქნა პრემია 57.437 მანეთი. საწარმოებში დღესასოვის მუშაობს 266 კაცი, მათი ძირითადი ასაკი შეადგენს 25-26 წელს. საწარმო კომკავშრომულ-ახალგაზრდულია და წარმოადგენს შესანიშნავ ბაზას სოფლად მოსახლეობის დამაგრებისათვის.

გარკვეული პერსპექტივებია აღნიშნული საწარმოებში განვითარებისათვის 1984-1985 წლებში. პროდუქციის გამოშვების მოცულობა ხუთწლიდის დამლევისათვის გადიდდება 2,0 მილიონ მანეთამდე, გაიზრდება მუშათა რიცხვი და 1985 წლისათვის აქ იმუშავებს 400 კაცამდე კაცი.

2. — იქნებ აქვე გვეთქვა რამდენი სოფლისაგან შედგება მაიაკოვსკის რაიონი, როგორია მათი გეოგრაფიული მდებარეობა და რა სახისაა ის სირთულეები თითოეული სოფლისათვის, რომელიც სწორედ გეოგრაფიული მდებარეობის გამო წამოიჭრება. ალბათ მიმიხვდით, მთის სოფლების საყოფაცხოვრებო პირობებს ვგულისხმობ უპირველეს ყოვლისა.

2. — მთის სოფლების პრობლემების გადაწყვეტა, შეიძლება ითქვას, ჩვენი ყოველდღიური მუშაობის საგანს შეადგენს.

მაიაკოვსკის რაიონში 23 სოფელია, რომლებიც 12 სასოფლო საბჭოშია გაერთიანებული. ცამეტი სოფელი მთის ზონაშია განლაგებული. ყველა მთის სოფელთან გვაქვს კარგი მისასვლელი გზა და სატელეფონო კავშირი, ყველგან მუშაობს საექიმო ამბულატორია, მთის სოფლებში: საკრაულაში, ქვედა და ზედა ზეგანში არის კეთილმოწყობილი სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. სოფლები მთლიანად ელექტროფიცირებულია. სოფელი საკრაული ღებულების სატელევიზიო გადაცემებს და აქ მუშაობს 50 ნომრიანი ატენი.

ამ ბოლო პერიოდში კარგი პერსპექტივები გამოიკვეთა რაიონის ყველაზე მაღალ მთიან სოფელის ხანის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრისათვის. აქ დავიწყეთ და მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში დაასრულდება ტაპიური სკოლის შენებლობა 264 მოსწავლისათვის. პრაქტიკულად გადაწყვეტილია აღნიშნულ სოფელში ადმინისტრაციული სახლის, კლუბის და საექიმო ამბულატორიის აგება და სხვა.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე კვლავ გარკვეული ხასიათის პრობლემაა გადასაწყვეტი მთის სოფლების საყოფაცხოვრები პირობების გაუმჯობესების მიზნით. კეთილმოსაწყობია სუფნო გზები, სოფლები კვედა და ზედა ზეგანი, ხანი ვერ ღებულობს ტელეგადაცემებს. სოფელი ზეგანი რადიოფიცირების გარეშეა დარჩენილი, რადიკალურ გაუმჯობესებას მოითხოვს სავაჭრო და განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს საქმიანობა, არც ერთ მთის სოფლის სკოლაში არა გვაქვს სპორტული დარბაზი, სოფელ ხანში კლუბის ავარიული მდგომარეობის გამო არ არსებობენ კინოფილმები.

პარტიის რაიონულ კომიტეტს ყველა აღნიშნულ საკითხებზე შემოსავიდით აქვს კონკრეტული ღონისძიებანი და იგი რესპუბლიკის სამინისტროების მხარდაჭერით უახლოეს მომავალში დადებითად გადაწყდება.

3. — თავისთავად მივდექით რაიონის დემოგრაფიულ მდგომარეობასაც.

რას გვეუბნება სტატისტიკა? მცირდება თუ იზრდება რაიონის მოსახლეობა, თუ იზრდება, როგორი პერსპექტივები ჩანს შემდგომი ზრდისათვის, თუ მცირდება, რა ღონისძიებები გესახებათ გონივრულად, რომ ჩარხი სასიკეთოდ შეამტკიცოს. კარგი იქნებოდა თუ აქვე გვეტყოდით მთის სოფლების მდგომარეობაზეც მატება-დაკლების თვალსაზრისით. ცნობილია, ოდითგანვე განთქმული იყო ბაღდათის მთის სოფლები მოსახლეობის სიმრავლით, რა ვითარებაა ამჟამად?

3. — ამ საკითხებზე ჯერჯერობით მსჯელობა იყო რესპუბლიკის 1983 წლის ნოემბრის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, სადაც განხილული იქნა საკითხი "სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითებების შესაბამისად რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ".

მაიაკოვსკის რაიონში მოსახლეობა მკვეთრად არა, მაგრამ მაინც მცირდება. ბუნებრივი ნამატის მიხედვითაც ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ რესპუბლიკაში. აღნიშნულ ფაქტებს თავისი ობიექტური და სუბიექტური ახსნა აქვთ. თავი და თავი იმაა, რომ რაიონი მდებარეობს არ უშსხვილეს სამრეწველო ცენტრს —ქუთაისსა და ზესტაფონს შორის, რაც ახალგაზრდობის დიდ მიგრაციას იწვევს.

ბარტო რაიონის ტერიტორიაზე არსებული ქალაქის № 69 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სასაწავლებელს წარმოადგენს, ყოველწლიურად უშვებს და რაიონს გარეთ აგზავნის 200-230 კვალიფიციურ მუშას. ეს პრობლემა მარტო ჩვენი რაიონისათვის არ არის დამახასიათებელი.

ძალზე დამაფიქრებელია ქორწინებისა და განქორწინების საკითხი. 1983 წელს 1982 წელთან შედარებით 70 ერთეულით შემცირდა ქორწინების რაოდენობა რაიონში. აღზრდა კომპლექსური პროცესია და მისი სძირკველი ოჯახია. ბოლო პერიოდში ჩვენი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უურადღება აქცენტირებულია ამ უბნისაკენ. მაგრამ როგორც ჩანს ეს საქმე უველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მიერ ერთნაირად მტკივნეულად არ გაიაზრებული. ზერელე მუშაობა კი შედეგს ვერ მოგვცემს. მარტო 1983 წელს რაიონში 16 განქორწინება მოხდა. ეს კი უდავოდ ოჯახური აღზრდაში დაშვებული შეცდომების ანარეკლია. გამომდინარე აქედან ჩვენი მუშაობის მთავარი ამოცანა არსებითად გარდავქმნათ აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია მშობლებთან. შრომითი კოლექტივების თითოეულ წევრთან მათი შვილების ზნეობრივ-პოლიტიკური ჩამოყალიბების საქმეში პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

...,,მთიანი სოფლებიდან ხანდახან, საკრაულადან და ზეგნიდან ხდება''- შემდეგ გაგრძელდეს. მარტო ამ სოფლებში მოსახლეობა დღეისათვის 1980 წელთან შედარებით 181 კაცით შემცირდა.

ახალგაზრდობის მიგრაციის მიზეზად მიგვაჩნია აგრეთვე ადგილებზე შრომის ანაზღაურების და პირობების, კულტურული მომსახურების დაბალი დონე, რის აღმოსაფხვრელად პარტიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი რადიკალურ ღონისძიებებს ახორციელებს.

ჩვენის აზრით კარგი იქნებოდა თუ ქალაქის სამრეწველო საწარმოები თავიანთ ფილიალებს ან საწარმოო უბნებს გახსნიან რაიონებში, ამით ორგვარი პრობლემა გადაიჭრება — შემცირდება ახალგაზრდობის მიგრაცია ქალაქში და მოგვარდება ქალაქის პრობლემებიც (დგუილსხმება საცხოვრებელი ბინებით მოსახლეობის დაკმაყოფილება, სკოლების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ქალაქში გადატვირთვის პრობლემა). როგორც ზემოთ აღვნიშნე რაიონს ამ ფორმის გამოუენების კარგი გამოცდილება აქვს. მაგრამ როგორც ვხედავთ ეს საკმარისი არ არის.

ახალგაზრდა სპეციალისტების რაიონში მოზიდვისა და დამაგრების მიზნით საქმიანი კონტაქტები დავამყარეთ რესპუბლიკის უველა უმაღლეს სასწავლებელთან, რომლებშიც ჩვენი რაიონის მკვიდრი 250-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს. ყოველწლიურად ვაწყობთ მათთან საქმიან შეხვედრებს და საინტერესო ღონისძიებებს.

რაიონებიდან ახალგაზრდობის მიგრაცია უმეტესწილად მთიანი სოფლებიდან ხანიდან, საკრაულადან და ზეგნიდან ხდება. მარტო ამ სოფლებში მოსახლეობა დღეისათვის 1980 წელთან შედარებით 181 კაცით შემცირდა. სოფლები

თანდათან მოხუცდა; განიცდის ახალგაზრდა მუშახელის ნაკლებობას. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ რეალურ გზად მთის სოფლების მცხოვრებთა სოციალური და ეკონომიური ამოცანათა დროული გადაწყვეტა საჭირო. ზემოთ აღნიშნულ დავუმატებთ იმას, რომ სოფელ ხაწში მიმდინარე წელს დაიწყება სარცხი ფხვნილების (რომლის საკმაო მარაგია ამ სოფელში) დამამზადებელი საამქროს მშენებლობა, ასევე სოფელ საკაოლაში 1984 წელს დაიწყება ტუფის ქვის დამამუშავებელი საამქროს მშენებლობა და მრავალი სხვა.

4. — ხომ ამ არის რაიმე მნიშვნელოვანი ძვრა მოსალოდნელი რაიონის ეკონომიური პოტენციალის გაზრდის მხრივი. რა მასშტაბებია საშემთვეო გეგმები. ხომ არ არის მოსალოდნელი დარღვევა იმ სასურველი პროპორციის, რაც მაიაკოვსკის სოფლის მეურნეობასა და თანამედროვე, თუ გნებავთ ხვალინდელ მრეწველობას შორის უნდა არსებობდეს?

4. — რაიონის ეკონომიური პოტენციალის გაზრდა დიდი მასშტაბებით უახლოეს პერსპექტივაში მოსალოდნელი არ არის. ეს პირველ რიგში აიხსნება იმით, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდა პირველ რიგში დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდაზე, რადგან რაიონის მრეწველობა ძირითადად (87%) სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოთოა წარმოდგენილი.

რაიონის სასურსათო პროგრამით 1990 წლისათვის ყურძნის დამზადებამ უნდა გადააჭარბოს 28.000 ტონას, სხვა სამრეწველო საწარმოების გაფართოების და საწარმოთა სიმძლავრეების მაქსიმალური ათვისებით, ამასთან ადგილობრივი რესურსების ბაზაზე წარმოების გადიდებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1990 წლამდე გაიზრდება 70 მილიონ მანეთამდე (1983 წლის 53.800,0 ათასის ნაცვლად).

ამრიგად მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობის დარგსა და მრეწველობას შორის პროპორციის მნიშვნელოვანი დარღვევა უახლოეს დროისათვის მოსალოდნელი არ არის. რაიონის ძირითად დარგად კვლავ დარჩება სოფლის მეურნეობა მევენახეობისა და მეცხოველეობის უპირატესი განვითარებით.

5. — რაიონის ერთ-ერთი სიამაყეა კურორტი საირმე.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი, როგორც იტყვიან, საქვეყნოდ ცნობილი. ზემეტი იქნება ლაპარაკი საირმის წყლის სამკურნალო თვისებებზე. საირმის როგორც უმნიშვნელოვანესი კურორტის კეთილმოწყობის მიზნით ზოგი რამ გაკეთდა. მაგრამ ფაქტია, რომ კურორტი უკეთ მოწყობილი უნდა იყოს, დიდია ალბათ მისი კეთილმოწყობის პერსპექტივები. რისი გაკეთებაა კონკრეტულად განზრახული და როგორი პირი უჭირს სამქმეს?

5. — ხვანთან ს წორია, კურორტი საირმე მართლაც დიდი პოპულარობით სარგებლობს და მის სამკურნალო თვისებებზე ზედმეტია საუბარი. მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება იმ ფაქტის მოხსენიება, რომ გაფართოდა კურორტის პროფილი. მინერალური წყლების საუკეთესო სამკურნალო თვისებებს დამატა თერმობალნეოლოგიური ღირებულებაც. საირმიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით აშენდა და 1988 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა კეთილმოწყობილი საბანაო.

კურორტ საირმის კეთილმოწყობის თვალსაზრისით ბევრი რამ გაკეთდა. ამას უპირველეს-ყოვლისა ხელი შეუწყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 20 აპრილის ერთობლივმა დადგენილებამ „კურორტ საირმეში მკურნალობისა და დასვენებისათვის საჭირო პირობების შექმნის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დებული იქნა 200 საწოლიანი ამორტიზებული ხის შენობები. 1983 წელს კურორტმა პირველად მიიღო ტალეგადაცემები, არაორგანიზებული წესით ჩამოსულ დამსვენებელთათვის მოეწყო სახაზულო წყალგაუმტარი კარვების გასაქირავებელი პუნქტი, კურორტ საირმის საკურორტო კომპლექსის სრულწლიური ექსპლოატაციის უზრუნველყოფის მიზნით გრძელდება საირმის გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

დიდი პერსპექტივებია დასახული კურორტ საირმის შემდგომი განვითარების მიზნით. უნდა შეიქმნას ერთიანი საკურორტო კომპლექსი საირმე-უდაბნო-მამანეთი. მშენებლობის პროცესშია და მიმდინარე წელს დამთავრდება 160 ადგილიანი პანსიონატი უდაბნოში. კურორტ საირმის ტერიტორიაზე უნდა აშენდეს 150 ადგილიანი პანსიონატი, კინო-თეატრი და სასადილო (300 ადგილიანი თითოეული). მოგიენის სახლი, მომსახურე პერსონალისათვის საცხოვრებელი სახლები, ავტოსადგომი 200-250 ავტომანქანისათვის, საირმე-მამანეთში გათვალისწი-

ნებულია უფლებოს საკონსტრუქციო კომპლექსის სატვირთო-სამგზავრო კიდული ბაგირგზების მშენებლობა, მამანეული ბაგირგზის სანაბატორიუმის (250 ადგილი) და 30 ადგილიანი პანსიონატის მშენებლობა. დასახული ღონისძიებები წყალმომარაგების, კანალიზაციის, თბომომარაგების, კავშირგაბმულობათა საშუალებების და სხვა სანინაო ნაგებობათა ახალი კომპლექსური სისტემის შესაქმნელად.

6. — ბაღდათი დღეს დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელს ატარებს. აქ დაიარწმა მისი აკვანი, ჩვენ დიახაც ყველას გვეამაყება ეს ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი. რევოლუციური ეპოქის უდიდესი პოეტის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით ბევრი რამ გაკეთდა. რაიონის ხელმძღვანელობამ სწორად შეაფასა ამ თარიღის მნიშვნელობა და ყველაფერი იღონა იმისათვის, რათა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ფინანსური, მოსალური და იდეური დახმარება სრულად გამოეყენებინა რაიონის კეთილმოწყობის მიზნით. გარეშე თვალიც კი ადვილად შეამჩნევს, რომ ბევრი რამ შეიცვალა. მაგრამ საჭიროა, ალბათ მკითხველი უფრო ღრმად ჩავახედოთ ამ სასიხარულო ფაქტებში, ამიტომ ჩვენი თხოვნაა ვრცლად შეეხერხედეთ როგორც გაკეთებულის შინაარსსა და ხარისხზე ასევე სამომავლოდ განზრახულ გეგმებზეც.

6. — მართლაც, უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე ვიდექით სოციალისტური პოეზიის უკვდავი კლასიკოსის ვლადიმერ ვლადიმრის ძე მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავის მზადების პერიოდში. ეს ამიტომ, რომ პოეტის იუბილეს მასშტაბები არა რაიონისა და რესპუბლიკის, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებსაც სცილდებოდა.

თუ რა ენთუზიაზმით ვხვდებოდით ვ. ვ. მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავს, ამაზე კარგად მეტყველებს რაიონის ყველა მშრომელის და შრომითი კოლექტივის ერთსულოვანი დარაზმულობა, რათა დამკვრელურ სამუშაოდ გამოცხადებინათ ვ. ვ. მაიაკოვსკის იუბილისათვის გათვალისწინებული ყველა ობიექტი.

დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებამ შესანიშნავი შედეგები გამოიღო — რეკორდულად, ძალზე მოკლე დროში, ოთხ თვეში ათკმ და ხაქჭასლოატაციოდ გადაეცა ლამაზი არქიტექტურული ნაგებობა — ვ. ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ხაქჭასობაციო დარბაზი, რესტავრაცია ჩატარდა თვით სახლმუზეუმ. დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა სახლმუზეუმის ეზოს გალამაზებისა და თავდაპირველი იერსახის დაბრუნებისათვის, გაკეთდა იმიტომი ხის გადაბურული პიშკარი, ეზო მთლიანად შემოღობილი იქნა „ხიმით“. ცენტრალურ ეზოში კიდევ უფრო გალამაზდა ყვავილნარები, მოედნები, ხეტიები, ბილიკი. მაიაკოვსკიდან ჭუთათსში მრავალი გზატკეცილი დააშენეს ქართულ ეროვნულ სტილში გადაწყვეტილმა არქიტექტურულ-დეკორატიულმა მგზავრთა მოსაცდელებმა. სრული რეკონსტრუქციის შემდეგ მნიშვნელოვნად დაშენებულ ცენტრალური სტადიონი. ქალაქიდან მუზეუმისაკენ მომავალ ჭეჩას გაუკეთდა ტროტუარები, ქალაქის შემოსასვლელში მოეწყო მხატვრული მემორიალი, მიზნებითი სამუშაოები ჩატარდათ ვ. ქაშაკაშვილის სახელობის სამუხეო სკოლასა და კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს. კაპიტალურად შეკეთდა სახლტიმო და მრავალი და მრავალი სხვა.

სასიხარულოა ისიც, რომ ვ. ვ. მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავის მზადების დღეებში საფუძველი ჩაეყარა ძმურ მეგობრობას უკრაინის სსრ ხარკოვის ოლქის შევჩენკოსა და ლენინის სსრ შირვინტის რაიონების მშრომელებთან. დამკვიდრებული ტრადიციისამებრ რაიონში ყოველწლიურად გაიმართება ვ. ვ. მაიაკოვსკის პოეზიის საკვირაო დღეები. რაიონის ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ამერიგად ამ პატარა და ლამაზ რაიონში ჩამოსულ ხტუმრად დავაკვიდროთ სითბო და სიყვარული, გავმართოთ ბაღდათის კრიალა ცის ქვეშ პოეტური სიტყვისა და ლექსის ნამდვილი ხახალხო ზეიმი.

სოციალისტური პოეზიის უკვდავი კლასიკოსის ვ. ვ. მაიაკოვსკის სახლმუზეუმში ჩვენს რაიონში ხალხთა მეგობრობის ისტორიის პრობლემისა და მშრომელთა პროლეტარული და ინტერნაციონალური აღზრდის საუკეთესო კერადაა ქცეული. მაიაკოვსკის პოეზიის დღესასწაულზე პოეტის სამშობლოში ჩამოდიან გამოჩენილი პოეტები, ხაზოგადო მოღვაწეები, მომძე რესპუბლიკებიდან, უცხოეთიდან, ამრთება მიტინგები, შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები. ეს არის ნამდვილი ზეიმი ხალხთა მეგობრობის და ძმობის, სსრ კავშირის უველა ერისა და ეროვნების კიდევ უფრო დაახლოების საუკეთესო მაგალითი. მუზეუმში გარკვეული ცვლილებები ეკეთება ცხოვრების სოციალისტური წესის პროპაგანდის საკითხებს. აქ სისტემატურად ეწყობა შეხვედრები პარტიის, შრომისა და დიდი სამამული ომის ვეტერანებთან. ხდება კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციის რიგებში მოსწავლე ახალგაზრდობის მიღება. სულ ახლახან აქ გაიხსნა კინო-სალექციო დარბაზი, რომელიც სათანადო პირობებს შეუქმნის ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების შესწავლისათვის დაინტერესებულ სპეციალისტებს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ

თვით სახლმუზეუმის დირექტორის ნ. კუჭუხიძის შესახებ, რომელიც ორ ათეულ წელზე მეტია უდიდესი პასუხისმგებლობით გრძნობით და სიყვარულით ასრულებს ამ კეთილშობილურ საქმეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ვ. მაიაკოვსკის სახლმუზეუმის დირექტორს ნ. კუჭუხიძეს კულტურის მუშაკებს შორის ერთ-ერთ პირველთაგანს მიენება საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებული პროპაგანდისტის წოდება.

7. — მაიაკოვსკის დღეები ჭეშმარიტად სოციალური ავსების რაიონის მშრომელების ცხოვრებას. მაგრამ იგი ვერ შეავსებს, ფაქტია, იმ დარჩენილი 364 დღეს წელიწადში! დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რაიონისა და სოფლის მოსახლეობის სულიერ მოთხოვნილებათა სათანადო დონეზე დაკმაყოფილებას. უკვე აღარავის არ აკმაყოფილებს ის ფორმებიც, ოცდაათი, ორმოცი წლის წინათ რომ ბატონობდნენ. რაიონის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებასა და სიერთო დონის ამაღლებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მატყოოდენ მატერიალური დანიშნულებითა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით ვერ დავამაგრებთ ალბათ ახალგაზრდობას. მამა-პაპეული კერაზე. სწორედ ადგილზე, თავის რაიონსა და სოფელში უნდა მიიღოს მან ის სულიერი საზრდო, რასაც ესწრაფვის. ეს მეტისმეტად მტკივნეული და რთული საკითხია, ცხადია ვიცით, რომ რაიონის კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა უფრო მიმზიდველი გახადონ მშრომელთა სულიერი ცხოვრება. მაგრამ ალბათ უფრო მეტია გასაკეთებელი. ალბათ უფრო უნდა გაღრმავდეს ცნობილი მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა კონტაქტი რაიონებთან, ალბათ ადგილზეც სხვა ფორმებია მოსაძებნი, რათა პირიფერიებში ჭეშმარიტი კულტურული ცხოვრება დუღდეს, ალბათ მეტი დახმარებაც არის საჭირო სათანადო ზემდგომი ორგანოებიდან, იქნებ რესპუბლიკის მასშტაბის პრობლემაც იყოს იგი და ერთგვარ რეფორმასაც ითხოვდეს რაიონული კულტურული ცხოვრების აწ დამკვიდრებული, საგრძნობლად მოდუნებული ფორმები..

7. — შეიძლება, რომ უკანასკნელ პერიოდში რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები ბევრად უკეთესად წყვეტენ მშრომელთა სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხებს. კარგი, რომ ამ საქმეში განსაკუთრებით კი მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში, სისტემატურმა და პრინციპულმა მოთხოვნებმა გარკვეული შედეგები გამოიღო. რაიონში შეიქმნა ახალი შემოქმედებითი კოლექტივები, ჯოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „იმერეთი“ და „ნაიერწყალი“, ჯაფა ჯოკალური ტრიო და მრავალი სხვა. მათი ძალებით ამართება საშეფო ფასიანი კონცერტები. ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა სარაიონო კულტურის სახლთან არსებული სიმღერის სახალხო ანსამბლი „საირმის“ მიღწევები, ანსამბლი 1981 წელს მიწვეული იქნა ქ. მოსკოვში, და საკავშირო ტელევიზიამ 85 წუთიანი გადაცემა მოაწყო ანსამბლის საქმიანობის შესახებ.

გარკვეული უურადღება ექცევა ახალი სახვითური ფოტის ამხანგელი დღესასწაულების დამკვიდრების საქმეს. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ შრომის ზეიმი (ძეძღნები რაიონის მევენახეთა შრომით წარმატებებს), აგრეთვე ჭიქის დღესასწაული (ძეძღნება სახელგანქმული ქორფაჯის, პროფესორ ნიკოლოზ ცაბაიანის ხსოვნას), მეცხოველის დღე (ძეძღნება სოფელ ხანის მეცხოველეთა შრომითს წარმატებებს) და სხვა. საანტერესო კონტაქტები გვაქვს დამყარებული ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელმწიფო თეატრთან, რომლის შემოქმედებითი კოლექტივი ხშირად მართავს წარმოდგენებს რაიონის მშრომელებისათვის. ვაწყობთ შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან, ხელოვნების მუშაკებთან, 1988 წელს შეხვედრა მოუწყეთ პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს და კინორეჟისორ რევაზ თაბუკაშვილს.

მაგრამ ყოველივე აღნიშნული, ადამიანის სულიერი და კულტურული აღზრდისათვის რა თქმა უნდა საკმარისი არ არის. პირველყოვლისა უნდა ითქვას, რომ ცნობილ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს სასოფლო რაიონებთან ხუსტი კონტაქტები აქვთ. ამასთან რესპუბლიკის თეატრალური კოლექტივები და ჭგუფები რაიონში გასტროლებს აწყობენ მხოლოდ ივლისსა და აგვისტოში და თან არაჭმაყვანი მსახიობების მონაწილეობით. ამ საქმეს რესპუბლიკური მასშტაბით უნდა მოვკვარება.

ჩრაიონის კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებაზე უარყოფითად მოქმედებს ის ფაქტიც, რომ გარკვეული ხარვეზებია თვით კლუბებისა და კულტურის სახლების მუშაობაში.

კლუბებისა და კულტურის სახლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების მიზეზები სიღრმისეულია და გაცილებით ძნელად მოსაგვარებელია. აქ ძირითადი სიძნელე გახლავთ კულტურის სახლების და კლუბების სათანადო კადრებით დაუკომპლექტებლობის საკითხი, დღეისათვის რაიონის 24 საკლუბო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე მყოფ ამხანაგთაგან უმაღლესი პროფესიული განათლება აქვს მხოლოდ 2-ს, დანარჩენი საშუალო სპეციალური და საშუალო განათლებითაა. ჩვენს აზრით აუცილებელია ჭ. ქუთაისში შეიქმნას სათანადო ბაზა უმაღლესი განათლების მქონე კულტსაგანმანათლებლო კადრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაშზადებლად. ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა, არა მარტო მაიაკოვსკის, არამედ დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების კულტურის სფეროს შესაფერისი კადრებით, დაკომპლექტების საქმის მოგვარებისათვის.

ამასთან დროულად უნდა შეიცვალოს მუშაობის ისეთი პრაქტიკა, როცა კულტურული საჭმანმანლებლო დაწესებულებების საქმიანობა ფასდება ეკრიტიკულად სავალდებულო ნორმების შესრულებით.

ზნეუნა საბჭოთა ადამიანის სულიერ და კულტურული ზრდისთვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა, შემოქმედებითი საქმეა, რომელიც ვერ ითმენს შაბლონსა და ფორმალიზმს.

8. — რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად გამოყენებულ ეფექტურ ღონისძიებებს დიდი მნიშვნელობა აქვს. მშრომელი ქალი, ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ, უნდა გრძნობდეს რაიონის ხელმძღვანელობის მზრუნველობას, მხარში დგომას, სამართლიან დამოკიდებულებას. ცნობილია, მხოლოდ იმ ხელმძღვანელებს მოუხვევიათ ხალხს ნდობა და სიყვარული, ვინც ამ ჯუმარიტებას არ ივიწყებს, ვინც შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება და ცხოვრებას უადვილებს გლეხკაცს, მუშას, ინტელიგენტს. ხალხმა უსაზღვრო სიყვარულით და ერთგულებით იცის ვალის გადახდა ის, რაც გაკეთდა, კეთდება და გაკეთდება მაიაკოვსკის რაიონში მშრომელთა პირობების გაუმჯობესების მიზნით, ნამდვილად ღირს იმად, რომ მასზე მკითხველს მოვუთხროთ.

8. — უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო სამ წელიწადში რაიონში გარკვეული მუშაობა აქნა გაწეული მშრომელთა პირობების გაუმჯობესების მიზნით, გაიზარდა კასტკლორი დაბანდებანი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას.

გატარებული ღონისძიებების შედეგად რაიონში 1981-1983 წლებში მუშაობრში ჩადგა ორი ხუთსართულიანი ოცდათხმიანიანი საცხოვრებელი სახლი, რომის სამუალო სკოლის ახალი კორპუსი 471 მოსწავლეზე, დიმის სამ ბავშვთა ბაგა-ბაღი 140 ბავშვ-ადგილზე. ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი 90 ბავშვ-ადგილზე. ავეჯისა და სამეურნეო საქონლის მაღაზია 415 კვადრატულ მეტრ ფართით, ავტოგასამართი სადგური, ბუნებრივი გაზის მაგიტრალი და ქალაქის ქსელის რამდენიმე განშტოება, კაპიტალურად შეკეთდა დიმის, წითელწყაროსა და ობჩის სასოფლო კულტურის სახლები, რაიონული საავადმყოფო, დიმის საქვიმო ამბულატორია, ახალ კეთილმოწყობილ ბინაში გადავიდა სტომატოლოგიური განყოფილება... [illegible] მრავალი სხვა. სულ რაიონში 1981-1983 წლებში ექსპლოატაციაში გადაეცა 8.206 კვადრატული მეტრის საერთო ფონდი.

დღეისათვის რაიონში მიმდინარეობს 70-ზე მეტი ობიექტის მშენებლობა, რაზედაც უნდა დაიხარჯოს 7670,0 ათასი მანეთი, რომელიც უტოლდება მეათე ხუთწლედში მთლიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობას. მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს პურკომბინატისა და უალკოჰოლო სასმელების ჩამომსხმელი ქარხნის მშენებლობა, ვარციხის ღვინის ქარხნის დახახლებაში შილაოგრაფიული ფილების ქარხანა, საქართველოსმშრომელთა ბიბლიოთეკის საკლუბიო მეურნეობა (წელიწადში 21 ტონა), ბიგიეინის სახლი, სპორტსკოლის შენობა, ხანის სამუალო სკოლა 264 ბავშვზე, წითელზეევის რვაწლიანი სკოლა 144 ბავშვზე, ვარციხის ღვინის ქარხნის დახახლების სბავშვო ბაღი 50 ბავშვ-ადგილზე, ფერსათის სტალინის, ობჩის ლენინისა და რიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობების სბავშვო ბაღები თითოეული ორმოცდაათ ბავშვზე. მიმაკოსკის ქალაქის № 69 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო და საწარმოო კორპუსები, სოფელ როკითის სლუბი, საკოლმეურნეო ბაზარი, ავტოსადგური, ერთი ოცდახუთბინიანი სახლი...

9. — საქართველოს ყველა რაიონი მეტ-ნაკლებად გამორჩეულია თავისი ისტორიული წარსულით. თუნდაც ის ფაქტი, რომ ზეკარის უღელტეხილი ისტორიულ ბაღდათს და მთელ დასავლეთ საქართველოს სამცხე-საათაბაგოსთან აკავშირებდა საუკუნეების მანძილზე, თავისთავად მეტყველებს უმდიდრეს წარსულზე. იგი ფრიადმნიშვნელოვანი ფურცელია საქართველოს ისტორიისა. რადა ღირს თუნდაც არქეოლოგიის მიერ მიკვლეული უძველესი დაბა-ქალაქის დიმნის (იგივე დიმის) არსებობა. ცნობილია, რომ დიმნას ციხე 2300 წლის წინათ ააგო იმდროინდელი საქართველოს გამაერთიანებელმა დიდმა ფარნავაზ მეფემ (მანვე ააგო შორაპანის ციხეც). როდესაც არქეოლოგია და ისტორიული მეცნიერება იკვლევს და სწავლობს ამა თუ იმ კუთხის წარსულს მთლიანი საქართველოს წარსულის დაუსრულებლად, მეორეა, როდესაც ადგილზე ვსწავლობთ, თვალ ვუყურით, ვებინავებთ და ვეცნიერ იმ წარსულის ნაშთს. არა მგონია აქ აუცილებელი იყოს მტკიცება ისტორიული ბადღთის წარსულის მნიშვნელობაზე. იგი ისეთი აუწის უბრალებელი ნაწილია, უძველეს საქართველოდ რომ იცნობს მეცნიერება. ალბათ საგრძნობია აუცილებლობა მხარეთმცოდ-

ნეობის მუზეუმისა, ვიცი სურვილი ყველას დიდი გვაქვს, ენთუზიასტებსაც, რაიონში რომ მოღვაწეობენ, რაიონის ხელმძღვანელობასაც და ყოველ ქართველს და პრაქტიკულად ეს საქმე რომ გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული ეს ესე ცნობილია! და მაინც შეუძლებელი არ უნდა იყოს რაღაც ფორმის მიგნება, რათა დიდი მნიშვნელობის საქმე გავაკეთეთ. მთელი სისრულით გვაგრძნობინებს იგი რაიონის ისტორიული წყაროების სიმდიდრეს, სეროიულ სამსახურს გაუწევს როგორც მეცნიერებას, ასევე რაიონის ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს! დღეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა განუზომელ ყურადღებას უთმობს ისტორიული ძეგლების გამოვლინება-მოვლის საშვილიშვილო საქმეს. ჩვენი ღრმა რწმენით ამ შესანიშნავი ამინდის კარგად გამოყენება გვმართებს. მაშინ მაიაკოვსკის რაიონის ცხოვრება ყოველმხრივ სისხლსავსე, გამოჩნდება ისტორიითაც, დღევანდელობითაც, მომავლის პერსპექტივებითაც. რას გვეტყვით ამაზე?

9. — თქვენი კითხვიდან მკითხველმა ნაწილობრივ შეიტყო ჩვენი რაიონის ისტორიული წარსულის შესახებ. მაგრამ ეს რა თქმა უნდა მხოლოდ ზოგად წარმოდგენას იძლევა.

„ბაღდადის ქვეყანა“ ისტორიულად და გეოგრაფიულად ვარციხით იწყება. თავდაპირველად მისი სახელი ვარციხეა — „ვარდის ციხე“. ამიტომაც უწოდეს მას ძველმა ბერძნებმა ბერძნული თარგმანით „როდოპოლის“ — „ვარდის ქალაქი“. „ვარციხე... ყოფილ არს ციხე დიდი და დიდშენობა“ (ვახუშტი), მართლაც მეექვსე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპიოს კესარიელი როდოპოლის ლაზიკის (მაშინდელი დასავლეთ საქართველო) უპირველეს ქალაქთა შორის მოიხსენიებს.

ანტიკური ხანის — 2.500 წლის წინანდელი ფენა შეინიშნება ვარციხის აღმშენებლობაში. ვარციხეზე გადიოდა დიდი სავაჭრო გზა...

რაიონის ისტორიულ და ხუროთმოძღვრულ ძეგლთან აგრეთვე აღსანიშნავია დეიმეტის ეკლესია სოფელ წიონელებში (X—XI ს. ს.) ობჩის წვ. გიორგის ეკლესია (შუა საუკ.) მაცხოვრის ეკლესია სოფელ როკითში (შუა საუკ.) სოფელ წყალთაშუას ეკლესია (შუა საუკ.) და სხვა.

რაიონში დღეისათვის საკმაო რაოდენობით არის ჩვენი ისტორიის ამსახველი დოკუმენტები, ნივთიერი წყაროები და სხვა მასალები. აქედან გამომდინარე კარგა ხანია რაიონის ხალხგადოებრიობა აყენებს საკითხს რაიონში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნისათვის. ეს უეჭველია გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მთავარია მონდომება და ენთუზიაზმი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით განზრახული გვაქვს მუზეუმი გავხსნათ საკუთრივ ისტორიული ბადდადის ციხის. გალავანში, სადაც ამჟამად მაიაკოვსკის ს. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ძველი კაბინეტები შენობაა. ეს მართლაც საშური საქმეა და როგორც თქვენ გეყუბნებით აქ ჩვენი რაიონის ცხოვრება გამოიხატება ისტორიითაც, დღევანდელობითაც და მომავლის პერსპექტივებითაც.

მაიაკოვსკის რაიონში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნა შესახურებელი სამუშაოების მიხედვით, უახლოესი წლების პერსპექტივად გვესახება. მიმდინარე ეტაპზე კი გათვალისწინებული გვაქვს ვ. ვ. მაიაკოვსკის სახლმუზეუმში ენთოგრაფიული კუთხის მოწყობა.

რაიონში გარკვეული ყურადღება ეთმობა ისტორიისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეს. ჩვენი ძალებით მთლიანად შეუფუძველეთ სახუროვი სოფელ წყალთაშუას ეკლესიას. კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საბჭოს დახმარებით გადაახურა სოფელ როკითის ეკლესია.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ მაიაკოვსკის რაიონი არქეოლოგიურად (ლმობე ეს სხვა ქალაქებსა და რაიონებსაც ეზუებს) შეუსწავლელია: მაგალითად: დღემდე ჩვენთვის უცნობია გაორება მერჩხულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღნიშნული დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი თაბოლაინი ტეხლის — ფერჩხათის მთის კალთაზე გაშენებული დედათა მონასტრის ადგილსამყოფელი.

10. დღეს „ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების ისპარეზზე იღწვის არაერთი თვალსაჩინო ადამიანი, რომელთა სახელით სამართლიანად ამაყობს რაიონი..

რას უნდა გაახაროს მშობლების გული უფრო, თუ არა მისი ძისა და ნაშიერის წვნისვლამ. რაოდენ ბედნიერია ამ მხრივ დღეს მაიაკოვსკის რაიონი?

რამდენი მეცნიერი, სამხედრო პირი, ლიტერატორი და ხელოვანი მისცა ჭვეულებას ამ მოცულობით პატარა რაიონმა. მათ მშობლებისა და მშობლიური მიწა-წყლის სახელი ცამდე ამაღლეს.

ალბათ, რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს და ყველა მშრომელს გაუგონია პროფესორების: იუსტინე ახულაძის, ნიკოლოზ კახიანის, გიორგი ალხაზიშვილის, საქვეყნოდ აღიარებული კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის, გენერალ-პოლკოვნიკის გიორგი ქუთათელაძის, მწერალი— დია ჩიანელის, საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ გუდალაძის სახელები, რომლებიც მაიაკოვსკის რაიონში დაიბადნენ და აღიზარდნენ.

დღეს ყოველი მაიაკოვსკელი ამაყობს ამ რაიონის მკვიდრი სახელოვანი ადამიანებით.

აკადემიკოსებით—ალბერტი და დავით თავხელიძეები, მეცნიერების დოქტორებით ზაზა და საულ კახიანები, ვახტანგ მოსიძით, ნოდარ ჭუთათელაძით, ანდრო კიკნაველიძით, რობერტ გოგსაძით, პლატონ თავხელიძით, გიორგი მაჩიტაძით, არჩილ ჩხეიძით, ზინა გეგეშიძით, ლევან ებანოიძით, გიორგი მშვილდაძით, სსრ კავშირის სახალხო არტისტი რევაზ ჩხეიძით, ცნობილი დირიჟორით ჯანსულ კახიძით და მრავალი და მრავალი სხვით.

დღეს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებში შრომობს და ღვწის მაიაკოვსკის რაიონის მკვიდრი ორი აკადემიკოსი, 14 მეცნიერების დოქტორი და 66-ზე მეტი მეცნიერების კანდიდატი.

რაიონი ამაყობს მისი სახელოვანი მშრომელი ადამიანებით, სოციალისტური შრომის გმირებით: მარიამ მაშანეიშვილით, ვალერიან გარუჩავათი, ვალერიან ბახტაძით, შალვა ჭუმბურიძით, ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლაურა მახხარაშვილით, ლენინის ორი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერით ანდრო კიკნაველიძით, სამგზის ნიშნისა და წითელი დროშის ორდენების კავალერით ლილი მაჩიტაძით და მრავალი სხვით. დღეისათვის რაიონს ყავს 12 სოციალისტური შრომის გმირი, 65-ზე მეტი ორდენოსანი, 17 რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, 6 დამსახურებული ექიმი და სამი დამსახურებული ბიბლიოთეკარია, 2 რესპუბლიკის დამსახურებული პრაპაგანდისტია, რომლებიც პარტიის ოქმის ფონდს წარმოადგენენ.

უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ რაიონში გვყავს ადამიანები, რომლების სამიდო დარაჯად დგანან ჩვენი ფასდაუდებელი ძიმდიდრის ტყეების მოვლასა და დაცვის სამსახურში. რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორი ე. ფოროჩხიძე, ამავე სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის ინჟინერი ნ. მაშანაიშვილი და სხვები ერთგულად აგრძელებენ დიდი პოეტის მამის ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკის ტრადიციებს და საქმიანობას, რომლის შესახებ ძალზე საინტერესოდ წერდა "ეურნალი ოგონიოკის 1982 წლის სექტემბრის №39-ში ვოლგა მოროზოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელი სახე

გამოუსვლელად შინ ჯდომა თავს მხოლოდ მას შემდეგ მიუსაჯა, როდესაც სხვის დაუხმარებლად ქუჩაში გავლა უკვე აღარ შეეძლო. უბედურებას დიდხანს მალავდა, უმალავდა თავის უახლოეს მეგობრებს და ოჯახის წევრებსაც კი, რომ თვალთ კატასტროფიულად დააკლდა, თითქმის ეეღარაფერს ხედავდა. ექიმების ყველა ცდამ და მოწადინებამ-ამაოდ ჩაიარა. სიმონს სამუდამოდ ჩაერთვა თვალის ჩინი. ბედს მაინც არ ემდუროდა. არავის მოუსმენია მისგან ჩივილი, რომ რაიმე უჭირდა, თუმცა სხვისი გაჭირვება უმალ გულთან მიჰქონდა და მზად იყო შეუძლებელი გაეკეთებინა.

იმისათვის, რომ კაცზე კეთილი სიტყვა თქვა, სრულებითაც არ არის საჭირო სხვა ყველაფერს ჩრდილი მიაყენო, მუქი ფერებით დახატო, სამყაროს ერთადერთ ნათელ წერტილად მავანი და მავანი წარმოადგინო, მაგრამ უკანასკნელ ათწლეულებში ძნელია დაასახელო მეორე ისეთი ადამიანი, მოღვაწე, პოეტი, რომელიც ისე დაჰკლებოდეს ცოცხალ ლიტერატურულ პროცესს, როგორც სიმონ ჩიქოვანი. ის სხვა ბედის ადამიანი იყო, სხვა ვარსკვლავზე დაიბადა. მას არა მარტო თავისი ლექსები უნდა ეწერა, არა მარტო პირადად უნდა ეწია საუკუნის ერთ-ერთი დიდი და ორიგინალური პოეტის ჯაბანი, არამედ მთელი ეროვნული ლიტერატურის პატრონობა უნდა ეკისრა და ყოველი ახალი დაბადებული ტალანტი, ფრთები ძირშივე რომ არ მიჰყინვოდა, თავისი მამობრივი სუნთქვით გაეთბო.

ის დრო, როდესაც სიმონ ჩიქოვანი ცხოვრობდა და ქმნიდა, ბრწყინვალე პერიოდია უახლესი ქართული მწერლობის ისტორიაში. ერთმანეთის გვერდით მოღვაწეობდნენ გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი და ლეო ქიაჩელი, კოლაუ ნადირაძე და დემნა შენგელაია, გიორგი ლეონიძე და გერონტი ქიქოძე, პოლიკარპე კაკაბაძე და შალვა დადიანი, სერგო კლდიაშვილი და ალექსანდრე აბაშელი... აქეთ აღარ წამოვალ, უფრო ახალგაზრდებს, ლიტერატურაში მოგვიანებით მოსულთ აღარ დავასახელებ.

დიდი თანავარსკვლავედია! რომელიც გნებავთ განათლებული და დაწინაურებული ერი იამაყებდა ამ სახელებით.

ხომ ასე იყო, სიმონ ჩიქოვანს მაინც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ის ყოველთვის იქ იდგა, საიდანაც მშობლიური მწერლობის ანკარა წყაროსთვალი მოედინებოდა და მე ღრმად მწამს, რომ, მიუხედავად გარდაცვალებისა, ჩვენგან ფიზიკურად წასვლისა, ისტორიისაგან მინიჭებული წმიდა ადგილიდან მას ფეხი მაინც არ მოუცვლია.

მზის ქვეშ ექვსი ათეული წელიწადი მეც ვიცხოვრე, მრავალ სხვადასხვანაირი ზნისა და სულიერი აგებულების ადამიანს შევხვედი, ბევრ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ფაქტსა და მოვლენას შევესწარი, მაგრამ მე არ მინახავს მეორე ადამიანი, ვინც სიმონ ჩიქოვანის მსგავსად ცხოვრობდა თავისი ერის ყოველდღიური სულიერი ცხოვრებით, მის მომავალზე აქტიური ფიქ-

რით, თავისი მშობლიური ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობაზე ფიქრით, ლჩაუხრელი ზრუნვით, ვინც ასე ღრმად იყო შეპრილი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებში, რომელთა ორგანული შესისხლხორცების გარეშე ეროვნული სულის აღმავლობა სრულიად უპერსპექტივო საქმედ მიაჩნდა.

უსინათლო პოეტის წინაშე ჩვენც, მის მოწაფეებსა და უმცროს მეგობრებს, თავი ისე გვეჭირა, თითქოს ვერ ვამჩნევდით, რა საზარელი ტრაგედიის წინაშე ვიდექით. ამის საშუალებას თვით ხალისიანი, სიცოცხლეზე, მზეზე, ხვალინდელ დღეზე შეყვარებული მასპინძელი არ იძლეოდა. აქეთ გვამხნევებდა, რწმენასა და სიძნელეებთან წარბშეუხრელი ჰიდილის სურვილს გვინერგავდა. კითხვა უკვე აღარ შეეძლო, მაგრამ ჩვენ მაინც ძველებურად მიგვქონდა მასთან ჩვენი ახალი, ჯერ კიდევ მელანშეუშმრალი ნაწარმოებები, ვუკითხავდით და მსჯავრს გულისფანცქალით ველოდით. რამდენჯერ თავზე დაგვგონებია! სიმონი შენი სულის მოზიარე იყო, ის შენთან ერთად იქრებოდა შენი ნაწარმოების ლაბირინთებში, ყველა გზასა და ბილიკს გამოცდილი დიდი ოსტატის შეუმცდარი ალღოთი სინჯავდა და შენს თვალწინ, შენი მონაწილეობით, მხატვრული აღმოჩენების სასწაულებს ახდენდა.

სიმონისათვის უცხო იყო წვრილმანი ფიქრები, ყოფით არარაობად დახურდავებული გრძნობები, ამაო ფუსფუსი, პატივმოყვარეობა, ვისიმე წინაშე ქედის მოხრი მოხრა. ის ღირსებით შემკული ამაყი კაცი გახლდათ, მაგრამ ეს სიამაყე ამპარტავნობაში, სხვათა ღვაწლის დაუფასებლობაში, საკუთარი როლისა და დამსახურების გაზვიადებაში არასოდეს არ გადადიოდა. სიმონ ჩიქოვანმა ყველა თანამოღვაწის ფასი იცოდა, მათ შორის იმათიც, ვისაც იგი რატომღაც არ უყვარდა, და პირში თუ პირსუკან მათ დამსახურებისამებრ მიაგებდა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მე შემეძლო აქ ბევრი მაგალითი მომეყვანა, მაგრამ ვგონებ დღეს ეს საჭირო არ უნდა იყოს.

ჩვენ, ადამიანებს, ვიდრე ცოცხალნი ვართ და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მდგომარეობა გვიკავია, ზშირად გვავიწყდება, რომ ზეგარდმო ნიჭით მომადლებულ ეროვნულ მოღვაწეებს არა მარტო მაშინ ჭირდებათ უანგარო პატივის მიგება, როდესაც ისინი საქაო ქვეყანას ტოვებენ, არამედ მაშინაც, როცა ისინი ჩვენს გვერდით არიან და ჩვენთან ერთად თელავენ ამ მადლიან მიწას.

მე მახსოვს სიმონის გათავისუფლება ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორის პოსტიდან. „მნათობის“ რედაქტორობა ხომ სიმონისათვის მარტოოდენ თანამდებობა არ იყო, ეს იყო კიდევ ერთი და უკანასკნელი საშუალება ცოცხალ ლიტერატურულ პროცესთან შეხებისა, ამ პროცესზე კეთილისმყოფელი გავლენის მოხდენისა. უამისოდ რომ ცხოვრება შესაძლებოდა, სიმონ ჩიქოვანი ხომ სიმონ ჩიქოვანი აღარ იქნებოდა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ საგანს მეორე მხარეც ჰქონდა: არც ლიტერატურულ პროცესს შეეძლო უსიმონობა, ის ბევრ რამეს დაკარგავდა, შესაძრნებად გაღარიბდებოდა სიმონის შთაგონებული მონაწილეობის გარეშე!

მოხდა გამოუსწორებელი შეცდომა, მე ვიტყოდი — დანაშაული, სიმონი აიძულეს „მნათობიდან“ წასულიყო. აღარავინ შეხედა იმას, რომ „მნათობიდან“ სიმონის წასვლით ქართულ ლიტერატურას აუნაზღაურებელი ზარალი მოსდიოდა, უპატრონოდ რჩებოდა ნაწარმოებები, მაშინ რომ იწერებოდა და ასე საჭიროებდა სიმონის ქუჩაში გავლას. აღარას ვამბობ პიროვნულ ტრავმაზე, ამ მაშვრალ კაცს რომ მიაყენეს და სწორედ მაშინ, როდესაც მისმა დიდმა ნიჭმა და შემოქმედებითმა გამოცდილებამ, უფროსს და უმცროსს უშურვე-

ლად რომ გვირიგებდა, გაფურჩქვნას მიაღწია, საყვარელ საქმეს ჩამოაშორებს.

მეგობრებს, რასაკვირველია, არ მიგვიტოვებია. არ მიგვიტოვებია არა მარტო იმიტომ, რომ სიმონს ჩვენი თანადგომა ჭირდებოდა, არამედ იმიტომაც, რომ სიმონთან შემოქმედებითი ურთიერთობის გარეშე ჩვენი ლიტერატურული მოღვაწეობა, ლიტერატურაში რაიმე ახლის შექმნა ვერ წარმოგვედგინა.

თერთმეტსართულიანი სახლის მეექვსე სართულზე, სადაც სიმონი ცხოვრობდა, კვლავაც ენთო ცეცხლი და პოეზიის მირონი იხარშებოდა. ამ მირონისკენ მოისწრაფვოდა არა მარტო ყველა ნიჭიერი ქართველი შემოქმედი, მწერალი იქნებოდა ის თუ მხატვარი, კომპოზიტორი თუ თეატრალი ან კინომოღვაწე, არამედ ბევრი შთაგონებული ოსტატი, მხატვრული სიტყვისა, სხვა ერების შვილები, ვისაც ერთხელ მაინც რგებოდა ბედნიერება სიმონის სტუმართმოყვარე ჰერქვეშ პური გაეტეხა და მასპინძლის განუმეორებელი იმპროვიზაციების მოწმე და მონაწილე გამხდარიყო. მოდიოდნენ მოსკოვიდან და კიევიდან, ლენინგრადიდან და ერევნიდან, შუა აზიიდან და ბალტიისპირეთიდან, ბაქოდან და მინსკიდან, ვენიდან, ბერლინიდან, ბუქარესტიდან, ვარშავიდან. არ ჩამოვთვლი იმ დიდ სახელებს. არ მინდა ვინმემ გაიოცჭროს, თითქოს სიმონის სახელის სათანადოდ წარმოჩენას ვისიმე ავტორიტეტის დამოწმება ჭირდებოდეს.

დღეს სიმონის კიდევ ერთი ხსენების დღეა და სათქმელს რა გამოლევს. სიმონის გარშემო ლაპარაკი თითქოს აცოცხლებს მის გვერდით ყოფნის განუმეორებელ წუთებს. ამ წუთებზე უფრო სამახსოვროსა და ამაღელვებელს მე ვერაფერს მოვიგონებ. მაგრამ სიმონის სული მარტო იქ კი არ ტრიალებს, სადაც პოეტის შემოქმედებაზეა ლაპარაკი. სიმონი ცოცხლობს და თავისი ჭკვიანი თვალების ღიმილით გვათბობს იქაც, სადაც სხვა, სიმონის მიერ ხელდასხმული მწერლის შემოქმედებით გამარჯვებას აღენიშნავთ. სიმონის ღვაწლი მათს დავაჟკაცებაში, საკუთარი თავის პოვნაში, ლიტერატურის დიდ გზაზე გამოსვლაში განუზომელია.

მარად ხატად ენთოს საქართველოს ცაზე სიმონ ჩიქოვანის ნათელი სახე!

რევაზ ჯაშარიძე

„ხალისიანი ქვეყნიერების მომღერალი“

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება ფართოდ არის ცნობილი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სიმონ ჩიქოვანის ნაწარმოებების უმეტესი ნაწილი თარგმნილია რუსულ ენაზე. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა რუს პოეტებს შორის. სიმონ ჩიქოვანის ლექსებს თარგმნიდნენ ბ. პასტერნაკი, ნ. ტიხონოვი, პ. ანტოკოლსკი, ა. პეტრენკო, ა. მეჟიროვი, ა. ტარკოვსკი, ბ. ახმადულინა, ე. ევტუშენკო და სხვები.

ცნობილი რუსი პოეტი და მთარგმნელი პ. ანტოკოლსკი 30-იანი წლების დასაწყისიდან თარგმნიდა ქართველი პოეტის ლექსებს.

ა. ანტოკოლსკის მოსაზრებებს სიმონ ჩიქოვანის პოეზიის შესახებ ვეცნობით მის წერილებში, მოგონებებში... ამ წერილებიდან შეიძლება გამოვყოთ „საქართველოს ნიჭიერი პოეტები“ (1947), „პოეზის წმინდა წყარო“ (1963),

„პოეტისა და მეგობრის ნათელ ხსოვნას“ (1973). ეს წერილები მეტწილად ეპისტოლარული ხასიათისაა, მაგრამ, ამავე დროს, მათში სიმონ ჩიქოვანის პოეზიის ანალიზია მოცემული.

„ნუთუ ასე უნდა მომხდარიყო ყოველივე — ესაა ცხოვრების დაწყველილი ირონია! — ცხრარედ ის პოეტი, ყოველისმხედველი და ყველაზე შორსმჭვრეტელი სპეზოთია პოეტებიდან, თანდათან კარგავდა მხედველობას, სანამ სრულიად არ დაბრმავდა.

ოთხმოცი წლის გოეთემ შექმნა თავისი „მარიენბადის ელეგია“, თითქოსდა თვრამეტი წლის ყმაწვილი იყო, სრულიად ნორჩი არსება შეუყვარდა. მაგრამ შემთხვევით ხომ არ უწოდა მან ამ მიმართვას „ელეგია“! მართლაც, იგი უიმედოდ სევდიანია: მოხუცს ესმოდა, რომ მისი დრო წასული იყო. ელეგია კი ბედნიერებაზე უარის თქმის თავისებური მანიფესტია.

ჩვენი შესანიშნავი თანამედროვე (ს. ჩიქოვანი — ზ. დ.) განსხვავებულია, მისთვის საკმარისია წარსულის ხსოვნა. მისი რჩეული მუდამ ახალგაზრდა დარჩა... მისი ლექსი აღსავსეა ცხოვრების სიყვარულით. პოეტი გარდაქმნის სიბერეს ახალგაზრდობად, სიბრმავეს — მხედველობად, წარსულს — აწმყოდ, ყოველივე ეს ერთად აღებული პოეზიაა!..“

ს. ჩიქოვანის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით წერილში „პოეზიის წმინდა წყარო“ პ. ანტოკოლსკი წერდა: „როდესაც ვფიქრობ პოეტზე და მეგობარზე, მასთან ერთად გატარებულ წლებზე, მაგონდება არაერთხელ ციტირებული სიტყვები: „კარგად აღზრდილ ადამიანს წლები ემატება, მაგრამ არასდროს არ ბერდება“. ეს გამოთქმა ეხება სიმონ ჩიქოვანს, იგი დამახასიათებელია მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის. ჭაღარა, თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი კაცი ჯერ კიდევ ძალზედ ახალგაზრდაა!“

სიმონ ჩიქოვანთან ჭეშმარიტი მეგობრობა აკავშირებდა ნ. ტიხონოვს. სიმონ ჩიქოვანის პოეზია სულიერად ახლო იყო ნიკოლოზ ტიხონოვთან, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა მათ შემდგომ მეგობრულ ურთიერთობაზე.

ი. პოსტუპალსკის, მოსკოველ პოეტსა და მთარგმნელს, 20-იანი წლების შუა ხანებიდან მჭიდრო მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ტიხონოვთან. მის „მოგონებებში ნ. ტიხონოვის შესახებ“ (ხელნაწერი) ვკითხულობთ:

„იმ საღამოს ნიკოლოზ სიმონის ძე ბევრს საუბრობდა გარდაცვლილებზე. ჯერ გაიხსენა მარო შანშიაშვილი — მე შევნიშნე, როგორ მოიცილა კურცხალი ნიკოლოზ სიმონის ძემ. — შემდეგ მან ჩამოაგდო საუბარი სიმონ ჩიქოვანზე, რომელსაც მე პირადად შევხვედრივარ მოსკოვში, ომისწინა წლებში.

— კარგად იცნობდით სიმონს? — შემეკითხა ნიკოლოზ სიმონის-ძე, — მიუხედავად მოჩვენებითი თავშეკავებულობისა, რა გულღია ადამიანი და შესანიშნავი პოეტი იყო! მარტო მის გამო ღირდა ქართული პოეზიით დაინტერესება.

ნიკოლოზ სიმონის ძე დაწვრილებით ყვებოდა, როგორ მოტეხა ავადმყოფობამ ჩიქოვანი, როგორ დაკარგა პოეტმა მხედველობა, საუბარი კი დაამთავრა შემდეგი სიტყვებით:

— მარიკას სიკვდილის შემდეგ ეს იყო ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაკარგი“.

ტიხონოვის სხვადასხვა კრიტიკულ სტატიებსა და წერილებში ხშირად იხსენიება სიმონ ჩიქოვანი. ამის გარდა, ნ. ტიხონოვმა დატოვა ვრცელი კრიტიკული შენიშვნები ქართველი ლირიკოსის შემოქმედებაზე.

ესაა, პირველ რიგში, სტატია „დიდი სიხარულის სამყაროში", რომელიც 1963 წელს გამოქვეყნდა „ლიტერატურნაია გაზეტაში". ამ სტატიაში ტიხონოვი გვაძლევს ქართველი პოეტის შემოქმედების ლიტერატურულ ანალიზს.

„და მაშინ მე ვიფიქრე, რომ სიმონ ჩიქოვანის პოეზია — ეს არის დიდი სიხარულის სამყარო, ასეთივე ბუნებრივი, როგორც ეს პოეტური, ქვიანი მიწა, ჩაღრმებული მთები, სამუშაოდან დაბრუნებული ადამიანები, მაღალი, ნათელი ცა, ტალღისებური ღრუბლებითა და ღაჟღაჟა ახალი მთვარით.

...სიმონ ჩიქოვანის პოეზია აღსავსეა გაბედული და ძლიერი სახეებით... მისი პოეზია თითქოს განბანილია გაზაფხულის ახალი ნიაღვრებით, მასში ისმის ხმა განგაშისა, ძიებისა, სასიხარულო მისწრაფებისა, გულის ღელვისა, სიცოცხლის დამკვიდრებისა..."

ზემოთ ნახსენებ ი. პოსტუპალსკის მოგონებებში ვხვდებით ცნობას, რომ ნ. ტიხონოვი აქებდა ვლადიმერ დერჟავინის მიერ თარგმნილ პოემას „ლექსი დავით გურამიშვილზე", და პირიქით, იწუნებდა ზოგიერთ თარგმანს, რომლებიც ს. ჩიქოვანის წიგნში „Тени платанов" შევიდა.

„ყოველად დაუშვებელია მთარგმნელის თვითნებობა!" — ამბობდა ტიხონოვი, — არ მესმის, როგორ ვერ გაითვალისწინა სიმონმა ეს კრებულზე მუშაობის პროცესში. როგორ დათანხმდა ავტორიზაციაზე!".

1973 წელს ნ. ტიხონოვი წერილში „ხალისიანი ქვეყნიერების მომღერალი" აღნიშნავს: „სიმონ ჩიქოვანი თანამედროვეობის თვალსაჩინო ლირიკოსი პოეტია. ლირიკოსმა, სიმონ ჩიქოვანში რომ ცოცხლობდა, განვითარების სრული თავისუფლება ჰპოვა. პოეტის შემოქმედებამ შეიძინა არა მარტო პოეტურ ნაწარმოებთა რეალისტური ხასიათი და ახალი ხატოვანება, არამედ თემებისა და ხმების მრავალფეროვნებაც".

1943 წლის დეკემბრის თვეში შედგა სიმონ ჩიქოვანისა და არსენი ტარკოვსკის გაცნობა. „ლიტერატურულ საქართველოში" ახლახან გამოქვეყნებულ წერილში „მე შემოდგომის შრიალი მესმის..." არსენი ტარკოვსკი წერდა:

„სიმონ ჩიქოვანი კეთილი გახლდათ, ბრძენი, და არ მეგულება ქვეყნად კაცი, ვინც მას უპატივცემულოდ მოიხსენიებს". „სიმონ ჩიქოვანის ესთეტიკის მთავარი თვისებაა ამქვეყნიური სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარული და თავშეკავებული სევდა, რომელიც წარმავლობის გრძნობითაა ნაკარნახევი..."

„მახსოვს, ყველაფრის ლექსად ქცევის სურვილი დამებადა, როცა თოვაში ანტოკოლსკიმ პირველად გამაცნო ჩიქოვანი... — იგონებს ბ. ახმადულინა, — „მაშინვე დამიპყრო მე მისმა პოეზიამ, პირველთაგანთაგან ვამბობ... ადამიანის ნიჭიერებაზე უფრო დიდი სიხარული არ არსებობს ამ ქვეყნად". „ჯერ არავის ლექსები არ მითარგმნია ასეთი ჭეშმარიტი ნეტარებით..."

ბ. ახმადულინამ თარგმნა სიმონ ჩიქოვანის „არმაზის" ციკლის თითქმის ყველა ლექსი. „მე ვერ წარმომიდგენია ეს ლექსები შენი თარგმანის გარეშე" — წერდა ს. ჩიქოვანი ბ. ახმადულინას.

ს. ჩიქოვანის დაბადების 70 წელთან დაკავშირებით „ლიტერატურნაია გაზეტაში" გამოქვეყნდა ბ. ახმადულინას წერილი. სიმონის ლექსებზე რომ ლაპარაკობს, იგი აღნიშნავს ქართველი პოეტის ლექსის სისადავეს და დასძენს:

„ამ სისადავის საიდუმლოება იოლად ამოიცნობა. საგანი, რომელიც მას მხედველობაში აქვს, და ამ საგნის განმსაზღვრელი სიტყვა ზუსტად შეესაბამებიან ერთმანეთს, მათ შორის არ არის სიცარიელე, უფსკრული..."

ცნობილი რუსი მწერლების შენიშვნები და გამონათქვამები ახალი კუთხით წარმოგვიდგენენ სიმონ ჩიქოვანს — პოეტსა და პიროვნებას.

ზურაბ დარასველიძე

ᲐᲚᲔᲥᲝ ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐ

„ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲘᲥᲠᲘ“

პირველ იყო სიტყვა და მერე საქმე,
ორშაბათს იყო წარღვნა და იშუა მთვარე
ორშაბათი წარღვნის დღეა და მთვარე
ჯოროფლიანი ვაჟია მისი...
ორშაბათი სავსეა შიშით:
არ შეიძლება არცა ცელის,
არცა ცულის,
არცა ბეჭის ჩამარება მაშინ,
არცა მგზავრობა...
მხოლოდ ფიქრი შეიძლება თავისთვის,
ფრთხილად...
(„უკმი“).

კობა არაბულის ამ ლექსში უკვე არის მინიშნება იმისა, რომ ორშაბათი არის არა მოქმედების, არა მოძრაობის, არამედ დუმილის, ფიქრის, თავისთავში ჩაძირვის დღე, რომლითაც იწყება სიტყვის დაბადება.

საინტერესოა თვით პოეტის სიტყვებიც: „მე ორშაბათს დავბადე, ჩემი დაბადების დღეა ორშაბათი“. აქაც ხელოვანის, შემოქმედის დაბადების ფაქტად მინიშნებაზეა აქცენტი გამახვილებული.

„პირველლისგან იყო სიტყვა და ყოველივე მის მიერ შეიქმნა“ — ახე დასრულდა შემოქმედი სიტყვის იდეის გაგება ქრისტიანულ მოძღვრებაში. ადრეც, ამ მოძღვრებამდეც, სიტყვა გაიგებოდა საგნის არა როგორც უბრალო გამოსახატველად, ბგერათა არა უბრალო მეჯანიური წყობად, არამედ მასში ემთავითვე იდო შემოქმედებითი უნარი. (იხ. ზ. კიკნაძე „შუამდინარული მითოლოგია“). ხოლო სიტყვიდან საქმემდე, წარმოსახვიდან ფაქტიურ ქმედებამდე არის რაღაც გადანახული, მომავალი დრო და სივრცე, როცა ხელოვანი ახდენს მიგრაციას დროში და, ამდენად, პიროვნებას აწყობ, დროის მდუმარება მუდმივი მომავლის გაცნობიერებულ მოქმედებაში პოულობს დახასრულს:

...რადგან სიტყვა არის უფალი...
და მისი ძალით:
ისევ ჰკვავიან დეკები თეთრად
კარატის ჯვარის თოვლიან თხემზე...
ბრწყინავს ცისკარი!.. და გიხაროდენ,
თუ ერთხანს კიდევ იბრწყინებს ასე!
(„უკმრები“)

მაგრამ... ყველაზე ძნელი და რთული — გრძნობათა სიტყვებით უცქერებაა მაინც. იქნებ კლავენ, იქნებ აღატკბენენ სატყვები პიროველგანცდის, პიროველხილვის, პირველქმნილის მშვენიერების სიდიადეს? ყოველთვის რიდი ვარო დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეა. ამ ორ იმ სიტყვის მოხმობა ყოველ მოცემულ მომენტში.

ლოგიკის ყოველი გზა ცალმხრივი მიმართულების საშიშროებას მოიცავს, პიროვნება კი მარტო homo sapiens-ი არაა. ხოლო შემოქმედებითი აქტი, სუბიექტის შინაგანი და გარესამყაროს უკიდურესობის იმპულსურ შეჯახებათა რომელიღაც ერთი, ახალი მოლეობის პრაგმატული ქაოსიდან უნდა წარმოიშვებოდეს. ალბათ შემოქმედებითი აქტის ახეთმა გაგებამ ათქმევინა ელიოტს: — „ლექსი არავერის უნდა ნიშნავდეს, ის უნდა იყოს“. ამ შემთხვევაში რთულია პოეტის გრძნობა-განცდათა ადეკვატურ ფიქსაციაზე საუბარი და უფრო უცნაური — ერთხელ ფიქსირებულის ხელახალ ფიქსირებაზე ისაუბრო. აქ შეცდომის გაორმაგების საშიშროებასთანაც გვაქვს საქმე.

ყოველი ხელოვანი აუცილებლად საკუთარსა და გამოგონილ სამყაროს ავებს, მაგრამ ყველაფრის პალიატივად აღიარება არასწორი იქნებოდა.

რაში მდგომარეობს კობა არაბულის როგორც პოეტის სიძლიერე? — სინამდვილეშია სინამდვილე როგორიც არის, ობიექტური და არა წარმოსახვებით, ილუზიებით ნაკვები. ამბობდა გასაგებია ის სევდა, ის ტკივილები და მელანქოლია, რომელიც მის შემოქმედებას ახასიათებს:

და მთვარის სიბერის ჟამს იმსხვრევა
ყოველივე ჩემს სულში
და ილექება ნაღვლიან მიწაზე...

(„ორშაბათი“)

მარტოობის სკეპტიკოს სინამდვილე, უცნაური სინამდვილე, კობა არაბულის მთელ შემოქმედებას ახე რომ გასდევს, შეუძლებელია არ განვიცადოთ. ეულობის განცდა, როგორც ეს ბევრ ხელოვან ახასიათებს, პოეტის სინამდვილიდან გაქცევით როდია განპირობებული. ძალზე საურადღებოა ის ფაქტი რომ კ. არაბულის შემოქმედებით სინამდვილეში დომინირებს დაცლილი სოფელი და გარდაცვლილთა საუფლო. თითქოს დრო შეჩერდა, თითქოს ყველაფერი მარადიულ წარსულში დარჩა:

რა სოფელია ეს სოფელი, მხოლოდ
მკვდრები რომ სდარაჯობენ?
რად უღალატეს ცოცხლებმა და სად
გაიხეთქნენ?
აქ გარეული ძალები ჰყეფენ ახი-არეზე,
ფრთადაცვეთილი არწივები მისდევენ
ღრუბლებს.

და თითქოს იერემიას გოდებას მოჰგავს შემდეგი სტრიქონები:

რა მომეხალა,
წუხელის რომ ვტიროდი მარტო —
ჩემს ნასოფლართან...

(„უხორცო მეომრები“)

დღეს, როცა დემოგრაფიის პრობლემა ასე საგანგაშოა ერისათვის, ყველასათვის გასაგებია თუ რას ნიშნავს მთების სოფლების დაცარიელება და აყრა. როდესაც ერის სულიერ-ბიოლოგიურ ენერგიაზე მიდის საუბარი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთის ენერგიის გამოცალკევებული ერთეული ენერგიის თვითმყოფელობას უდრის.

საამოო ჟამი გამოუხწილების თუ ნაადრევად არა ვართო გაგვიძებელი. არა გვაქვს უფლება ამ ნაადრევი გაღვიძებისთვის ვინმეზე საყვედური დაგვცდეს. არა გვაქვს უფლება მშვიდად, უდრტვინველად შევხედოთ ამ სინამდვილეს ანდა ლეთარგია ვამჯობინოთ გამოუხწილებას:

როდესაც მოვედი და გადვიხედე
და შევდგი ფეხი ჩემსა მამულში —
იქ გულსატკენი სიმარტოვე სუფევდა:
ყველაფერი ჟამგადასული, გათელილი
და მტრებისაგან ნამუსახდილი იყო...
. . . . .
„სად ვიყავი და რად მოვედი ამის
სახლეულად?!“—
ესა ვთქვი ჩემს გულში
და თავი ბალაზში ჩავრგე...
... მაგრამ შენახული ჰქონდა ჩემთვის
მშობლიურ მიწას, ქვეშსა და ქაცვებსაც კი
ტკბილი ნაყოფი —
მომართვა იგი და მომაწოდა —

. . . . .
ახლა სულ აქ ვიქნები შენს კალთაში,
ვიტირებ და ვიღოცებ შენთვის —
შენ ხარ ტკბარი საოხად სულისა ჩვენისა,
აგებული უფლისა მიერ! —
არსად წავალ და აღარასოდეს,
არასოდეს დავიგვიანებ!!!

(„დაბრუნება“)

არის ასეთი სენტენცია: სადაც ხარ, იქაური ქუდი ეებურადრო. ეს წინააღმდეგობრივი უეცარი დროისა და სიტუაციის მიმართ. არაფერს ვამბობ ამ აზრის სიბრძნეზე, მაგრამ იგი, უეჭველია, მონათა ფილოსოფიაზე და მათ ზნეობრივ კრიტერიუმებზე ლაპარაკობს. უნდა გავითვითცნობიერით, რომ „ჩემი კერიის ერთი წამი საუკუნეს მირჩევნია სხვათა მხარეში“.

თუ ჭაობში ერთი ბაყაყი აყიყინდეს
და სხვები სდუმდნენ — ჭაობი გადავარდეს;
თუ ხალხში ერთი კაცი ხმას იღებდეს
და სხვანი სდუმდნენ — ყოველი
ჭაობად იქცეს,

(„ოქვა ტოლხამ არაკი — კაფია“)

წარმოუდგენელია არ შევთრთოლდეთ და შევძრწოლდეთ ყოველივე ამის მიმართ. და ლოგიკურად, თვით პოეტის სულსაც შიშისა და უმწეობის ბადაბუდა ედება:

... უეცრად შეკრთი და შევძრწოლდი,
ჩვენი მწუხარე ისტორიისა
და გაუგებარი ბედისწერის საზღვარზე
მდგარი,
თითქოს წყლის სველმა და დამღლელმა
დინებამ
გამრიყა და ვგრძნობდი, რომ, რაც დრო
გადიოდა,
თანდათან ქვებზე დარჩენილი თევზივით
ვლუპებოდი.

კობა არაბულის ყოველი ლექსი მამულის მწუხარება და ტკივილია, იმ მამულის, რომლის ფიქრი ულრან ტყეში ამოსულ იას მიმსგავსებია, მაგრამ ბედისწერის ზღვარზე მდგარ პოეტს უაზრობად რიდი მიაჩნია ზნეობრივი და სულიერი ჯანყი თვით ბედისწერის წინააღმდეგ.

ახლა ხომ ხედავთ გატეხილი ჯაჭის კარზე
გამოსულ მოხუცს,
რომელსაც ძველი წყლულები სტკივა
და წინ ბალღამის ტაბლა უდგას.
დაუკარით...
დაუკარით მისთვის ფანდურები, —
აქ ჭირი უნდა გატყდეს და სული განათდეს!
არ ვარგა დიდხანს დაბუდებული
მწუხარება: —
იგი ავად აჭკნობს სიცოცხლის ყვავილებს
და შესაძლოა ეუცუნა წვიმებმაც ვერ
გაანეღლონ!..

(„ფანდურები“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანტიკისა და ეგზოტიკის წიაღიდან — სოფლიდან ქალაქში გაბიზვნა, სიმბოლურად გრძნობადიდან გონებრივში გადახვეწას ნიშნავს, ხოლო, რაც უფრო ინტენსიური გონის შეღწევა სამყაროში, რაც უფრო ძალუმია სამყაროს შეცვლა გონში, მით უფრო ვშორდებით საკუთარ საწყისს, საკუთარ სინამდვილეს, ბუნებრივობას. აქ იწყება საბედისწერო გათიშულობა სუბიექტსა და ობიექტს შორის, პიროვნების შინაგან სამყაროსა და გარე სინამდვილეს შორის. ამ საფეხურზე გაქცევა საკუთარი შინაგანობის მსხვერპლის მომასწავებელია. არა გაქცევა მიწიდან, არამედ შერწყმა:

ულოსავით ხელები —
რომელთაც წელზე შემოაჭდობ ქერის
ძნასავით მწიფე ქალს
და ბეშერ ხავსიან ხეებს,
შეერწყმი ბუნებას, და ველარ გაგარჩევენ —
ქერის ძნებისაგან, სეროსაგან, ღვიის
ბუჩქისაგან...
ვიდრე არ გაინძრევი და ხმამღლა არ
დაიყვირებ:
„ეს მე ვარ, მე! სიზმარი არ გეგონოთ, —
ყოველივე ცხადია და ჭერ კიდევ
ცოცხალი ვარ,
ცოცხალი!“

ეს არის აუხსნელი ყიჟინა ყოფიერების სახარულის, მისი ტკივილებით, მისი განცდებით, ენებათა სამუმებით, ხორცისა და სისხლის აღტკინებით, რადგან ადამიანი მხოლოდ **Homo saniens**-ი აღარაა, რადგან თვით მიწა არ არის სტატიკური სუბსტრატი, არამედ დინამიური, ცოცხალი, ძალუმი ენერგიაა მოქმედების — ნგრევისა და შენების. ამ სიტუაციაში არ არის გამორიცხული მარტოობის სკეფსისი და წარმავლობის სევდით შეპყრობა, მაგრამ:

თუ არ მოგწყინდება ეგრე ყოფნა
და იქნები სულ ეგეთი მშვიდი და
კეთილშობილი —
ბარაქალა შენს კაცობას;
მაღლი შენს მიწას... და ჰაერს —
რომელიც იმოძრავებს შენი სახლის
ირგვლივ...

და ადგილის დედას,
რომელიც დაიფარავს შენს მარტოობას
და გაიაზრებს შენს ეფემერულ აღტაცებას
და წარმავლობის სევდას...
(„ლექსი — პასტორალი“)

და...

მაინც ლამაზია კობა არაბულის შემოქმედებითი სამყარო. მისი რეალობა, უნაზესი სევდითა და კაეშანით, სავსებით ინარჩუნებს მშვენიერების კდემას. და ვგრძნობ რომ სალამაზე მარტო ჰარმონიაში არ დევს, იავარქმნაშიც არის მშვენიერების დიადება და „უჩვეულო“, უბრალო თბრობით ვგრძნობთ იმ ლირიკული ნაკადის სავსეობას, რაც ასე ნიშანდობლივია კ. არაბულის პოეზიისათვის.

ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ისტორიიდან

ტაბარის ერთი ცნობის ინტერპრეტაცია

მუჰამედის გარდაცვალებისთანავე (632 წ.) ახლადშექმნილი არაბთა სახელმწიფოს მეთაურები ცდილობდნენ, არცთუ მრავალრიცხოვანი რაზმებით წარმატებით იწყებენ მოსაზღვრე ქვეყნებში შეჭრას. ირანსა და ბიზანტიამ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ახალბედა მეომრებს და VII ს. 30-50 წწ. არაბებმა მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწიეს სირიაში, ერაყში, პალესტინაში, ეგვიპტეში, ირანში გამართულ ცალკეულ ბრძოლებში. არაბები გავიდნენ მდ. ამუ-დარიაზე, ინდოეთის საზღვრებთან.

VII ს. 40-იანი წლების დასაწყისში არაბთა ცალკეულმა რაზმებმა ამიერკავკასიაც დალაშქრეს. მანამდე კი, ნებისყოფიდან ბრძოლაში საბოლოო მპრობელი, სომეხთა ლაშქრის სარდალი და სიგნეთის მთავარი პირველად შეხვდნენ არაბების ბრძოლის ველზე; ეს ბრძოლაც არაბთა გამარჯვებით დასრულდა.

არაბული, სომხური, ბერძნული წყაროების ურთიერთშეჯერებით არკვევა ამიერკავკასიაში არაბთა რაზმების მოქმედების მიმართულებანი, ხასიათი, თარიღები, შედეგები.

ბიზანტიის იმპერიის და არაბების ინტერესები ამიერკავკასიაზე დაუპარისპირდნენ ერთმანეთს. შექმნილმა ვითარებამ ადგილობრივ მმართველ ძალებს პოლიტიკური ორიენტაციის ახალი არჩევანი მისცა. ის კი, ისტორიული გამოცდილებიდან და პერსპექტივის გათვალისწინების გარეშე, ზოგჯერ მცდარი აღმოჩნდებოდა ხოლმე.

აზერბაიჯანსა და სომხეთში არაბთა რაზმების მოქმედება უფრო ინტენსიურიც იყო და შედეგიანიც. მათ ოქ შეღარებით მტკიცედ მოიკიდეს ფეხი და მმართველი ძალების ნაწილთან კავშირიც გაბაეს.

სხვა ვითარება იყო ქართლში. ის, როგორც ბიზანტიის მოკავშირე ანტიარაბულ პოლიტიკას ახორციელებდა, ვიდრე ბიზანტიის მარცხმა არ აიძულა ზავი შეეკრა არაბებთან.

ისევე როგორც სხვაგან, ამიერკავკასიაშიც არაბები ყოველთვის წარმატებით როდი იბრძოდნენ, მარცხდებოდნენ, კიდეც და, შექმნილი ვითარების შესაბამისად, ურთიერთობის გამწვავებას ზავს და მატერიალურ შემოსავალს ამჯობინებდნენ. ამას მათ ხშირად საკუთარ სახელმწიფოში შექმნილი ვითარებაც აიძულებდა. 659 წ. ვასპურაკანში (სომხეთში) 600 მხედრის არაბთა სამთასიანი რაზმი დაამარცხა (სებეოსის ცნობა). ოთხი ათასი არაბი ძალუფლა ბაზარებთან ბრძოლაში; ხოლო დარუბანდის მმართველმა თავად წაუყენა არაბებს ზავის პირობები — დაგემორჩილებით, თუ ჩემი ქვეშევრდომნი სულად გადასახადს არ გადაიბდიანო (ტაბარი). ეს არ იყო გამონაკლისი. ხშირად დაზავების ინიციატივა და პირობები არაბთა მოწინააღმდეგე მხარეს ეკუთვნოდა. ზოგჯერ არც არაბთა მუქარა ჭრიდა. 658 წ. დასაწყისში ქ. დვინში დაბანაკებულმა არაბთა სარდალმა ქართველებს შეუთვალა: „„დამემორჩილეთ, ან არა და თქვენი მწყემსი დახტოვეთ“. ქართველები არ დათანხმდნენ და საომრად მოემზადნენ, გადმოგვცემს სებეოსი. 642-48 წლებში, აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, არაბთა რაზმი ბაბიბ იბნ მასლამას სარდლობით თბილისისაკენ გაგზავნეს. მაგრამ მან „„არ დაუპყრია... ის მხარე“ (ტაბარი). მაშასადამე, ხაქართველოში ბაბიბ იბნ მასლამას პირველი ლაშქრობა არაბთათვის წარუმატებლად დამთავრებულა.

ქართლის სამეფოსა და არაბებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოკიდებულება განსაზღვრა საზავო ხელშეკრულებამ, ეგრეთ წოდებულმა „დაცვის სიგელმა“. მნიშვნელობას იძენს იმის გარკვევა, თუ სად მომდინარეობდა ეს ტ. მილაჯაპაკაება.

ბალაზურის ცნობით, სომხეთიდან ქართლის დასამორჩილებლად დაძრულ ბაბიბ იბნ მასლამას რაზმს გზაში, შესვენების დროს, როდესაც ლაგამაყრილი ცხენები ძოვდნენ, თავს დასხმიან „ადგილობრივი მკვიდრნი“ (ჯავშენ მინ-ალ-უფუჯი), გაუმარჯვიათ და ნადავლად წაუღიათ ცხენები და ლაგმები „რამდენიც შეძლეს“. ხელახალ შეტაკებაში არაბებმა გაიმარჯვეს და დაიბრუნეს ცხენებიც და ლაგმებიც. „და ეწოდა ამ ადგილს ზაბ ალ-ლუჯუმი („ლაგმების ადგილი“).“ უშუალოდ ამის შემდეგ ბალაზური მოგვითხრობს

იბეკლების შემოსულებით.

ქართველებსა და არაბებს შორის საზავო მოლაპარაკების შესახებ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზათ ალ-ლუჯუმი არის თბილისის ამემისავლეთით მდებარე ლოჭინი (ე. სიხარულიძე, იხ. მოამზე, 1961, № 1, გვ. 188-91; შდრ. ბ. სილაგაძე, იხ. მაცნე, ისტ. სერ. 1971, № 1, გვ. 81).

თუ ზათ ალ-ლუჯუმი მართლაც ლოჭინია, მაშინ გამოდის, რომ არაბთა რაზმი თბილისს ზედ მისდგომია, მათთან ბრძოლა გაუმართავს არა სამეფო ლაშქარს, არამედ სოფლის მცხოვრებლებს, ამის შემდეგ მიდის არაბთა სარდალთან ქართლის წარმომადგენელი, მიმდინარეობს მოლაპარაკება და ეწერება „დაცვის საგელი“.

ზათ ალ-ლუჯუმი, ბალაზურის ცნობით დასტურდება, რომ მდებარეობდა დვინის მიდამოებში (იხ. გ. წერეთელი, არან. ქრესტ. თბ., 1975, გვ. 55-56; შდრ. ბ. სილაგაძე, გვ. 80-81). ამასვე ადნიშნავს გ. წერეთელი თავის არაბულ-ქართულ ლექსიკონში (გვ. 78): „ზათ ალ-ლუჯუმი, ადგილის სახელი არმენიაში“. იაყუთი თითქოს სანინააღმდეგოს ამტკიცებს: „ზათ ალ-ლუჯუმი ცნობილი ადგილია ჯურზანში, თბილისის ახლოსში (ნავაში) (ჲაყუთის ცნობები..., ე. სიხარულიძის გამ., გვ. 81). ნაყაი ფართო მნიშვნელობის ტერმინია და გულისხმობს მხარეს, კიდეს, მიდამოს, სანაპიროს. იაყუთი კი არ ანსხვავებს ტერმინების მნიშვნელობებს; მაგალითისთვის, ერთ მრავალთავან — „კარსი... ქალაქი არმენიაში, თბილისის მხარეში (ნავაში)“ (ჲაყუთის ცნობები..., გვ. 76). „ცნობილი ადგილი“ კი ზათ ალ-ლუჯუმი, ჩვენი აზრით, მხოლოდ იმიტომ არის, რომ იქ მოხდა ბალაზურის მიერ აღწერილი ამბავი, რომელსაც იაყუთი განსხვავებულს არაფერს უმატებს. პირველი რომ მეორეს თხზულებას ეყრდნობოდა და მისი ცნობებით სარგებლობდა, ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც დასტურდება.

აღწერილ ამბავს ბალაზური უშუალოდ მოაყოლებს შემდეგს: „ამბობენ მოვიდა ბაბობთან ჯურზანის (ქარლის) პატრიკიოსის და მისი მოსახლეობის მოციქული (სათაკენაც) იგი (ბაბობი) მიიწვია ფიროსთან“ (იხ. ე. სიხარულიძე, იქვე, გვ. 188). შევადაროთ იაყუთთან: „გიგმართა ბაბობ იბნ ზახლამა არმინიისაკენ... და როდესაც მიაღწია მის შუაგულს, მივიდა მასთან ჯურზანის პატრიკიოსის მოციქული. ბაბობს გადაწყვეტილი ჰქონია ჯურზანისაკენ წასვლა, როდესაც მას შეხვედრია (მოციქული)“ (ჲაყუთის ცნობები..., გვ. 39. ბაზა ჩვენია; ა. თ.). თუ არაბები ლოჭინში იდგნენ, გაუგებარი ხდება „ჯურზანისკენ სწრაფვა“, რადგანაც იგი შუაგულ ჯურზანში (ქარლში) მდებარეობს.

მაშასადამე, ქართლის სამეფოს ელჩობა თბილისის მახლობლად, ლოჭინში არ შეხვედრია ბაბობ იბნ ზახლამას.

საერთოდ, არაბული წყაროების ცნობების ანალიზით ირკვევა, რომ ამირკაჯაბანში არაბთა პირველი ლაშქრობების დროს მათსა და ქართველებს შორის დიდი ბრძოლები არ მომხდარა და ის მორჩილება, არაბ მემატიანეთა თანახმად, საქართველოს ცალკეულმა დაბა-ქალაქებმა თუ ოლქებმა რომ აღიარეს, არაბ-ქართველთა შორის საზავო მოლაპარაკების შედეგი („ზავით დაპყრობილი“) იყო ცხოლდ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბაბობ იბნ ზახლამას მიერ თბილისისადმი გაცემული „დაცვის საგელის“ თარიღად მიჩნეულია 654-55 წწ; თუმცა, ივ. ჯავახიშვილი (ქართ. ერის ისტ., II, თბ., 1965, გვ. 73) 648-645 წლებს ვარაუდობდა, ბ. სილაგაძე (იქვე, გვ. 84) — 645 წ. ზაფხულს.

საზავო მოლაპარაკება და საგელის ტექსტი შემოგვინახა არაბულმა წყაროებმა. საგულისხმოა მოლაპარაკების მიმდინარეობა.

ქართლის სამეფოს ელჩობის მეთაურის არაბულად დაწერილი სახელის დადგენა ჭირს. ივ. ჯავახიშვილს და ს. ჯანაშიას, მომდევნო თაობის ქართველ მკვლევართაგან განსხვავებით, მისი აღდგენა არ უცდიათ.

შესაძლებელი ხდება მოლაპარაკების მიმდინარეობის გაპრება. ირკვევა, რომ ქართველთა ელჩი სამეფოს დავალებით და მისი სახელით მოჭრეფდება; რა თქმა უნდა, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ტაბარი გადმოგვცემს:

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწუალობლისა, ზაბობ იბნ ზახლამასაგან არმაზის ჭვენის ჯურზანის თბილისის მცხოვრებთ, მშვიდობა თქვენდა). თქვენს წინაშე ვადიდებ ალაჰს, თვინიერ რომლისა სხვა ღვთება არ არსებობს. ვმშმარტად, ჩვენთან მოვიდა თქვენი ელჩი თქლი და გადმოგვცა თქვენგან (resp. თქვენი ნათქვამი) და ჩაგვაბარა ის რაც თქვენ გამოგზავნეთ თქლი-ი გვიბმო თქვენაგან (resp. თქვენი ნათქვამი), რომ ჩვენ არ ვყოფილვართ (ის) ერი, როგორიც თქვენ გიგაჩნიათ. ამგვარად ვიუპოთ ჩვენ ვიდრე ალაჰი, ძლიერმეტ არს იგი და დიდებული, არ წარგვიძეცა ჩვენ (ბეშმარიტი გზით ანუ ისლამით) მუსმიდის მეშვეობით, ალაჰიც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს, და გაგვაძლიერა ისლამით შემდგომად დაქნინებისა, დამცირებისა და უცილობის (წარმართობისა). თქლი-ი თქვა, რომ თქვენ გსურთ ჩვენთან ზავი, მე და იმ მორწმუნეთ, რომლებიც ჩემთან ერთად არიან მოგვწონს (ეგ). მე გამოგიგზავნეთ თქვენ ამდ ალ-რაჰმან იბნ ჯულალ-ხილმი. იგი არის ჩვენს შორის ღვთის მეტყველთა და ყურანის მცოდნეთა შორის ყველაზე დიდი მეცნიერი და მას გამოვაკანე ჩემი წიგნი თქვენი ამნითორო. თუ თქვენ მოისურვებთ, იგი გადმოგცემთ მას თქვენ და თუ არ მოისურვებთ — იგი გამოგიცხადებთ თქვენ ომს

თანაბრად სამართლიანობისა. ჭეშმარიტად ალაჰს არ უყვარს შეცთომანი" (ტაბარი, ტ. III, კაირო, 1939, გვ. 241. თ. მარგველაშვილის თარგმანი. ხაზი ჩვენია — ვ. თ.).

ყურადღებას იპყრობს ხაზგასმული ფრაზა (დედანში: „ბა ზაძარა ოტლი ბნწშ ანა ლაჰ ნაჰნ შმაჰსაყ ტიმა თაჰსბშეს); მას სხვა არაბი მემატიანენი განსხვავებულად გადმოგვცემენ.

აბუ უბაიდი (ო. ცქიტიშვილის თარგმანი): „თუტილამ... თქვენი სახელით თქვა: ჩვენ ვართ ხალხი, რომელსაც ალაჰმა მიანიჭა სიცოცხლე და განადიდა. ამგვარად მოგვპყრო ჩვენ ალაჰი სიბერემდის, სიმცირისა და უმეცრების შემდეგ... თქვენი სახელით თუტილამ თქვა: ალაჰმა დახცა ჩვენს მტერს შიშის ზარი ჩვენგან და ჩვენ არ გვაქვს არც ძალა არც ღონე, თუ არა ალაჰით" (მაცნე, ისტ. სერ., 1976, № 2, გვ. 192-95)

ბალაზური (ე. ხიბარულიძის თარგმანი): „...ნიკოლა (მ)... მოგვახსენა თქვენი სახელით, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც განადიდა ალაჰმა და აღმაებებულ ჰყო..." (იხ. თსუ შრ., ტ. 73, 1959, გვ. 169-70).

იაკუთი: „...მოგვახსენა თქვენი სახელით, რომ თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც განადიდა ალლაჰმა და აღმაებებულჰყო" (ბაკუთის ცნობები..., გვ. 38-40).

სამივე — აბუ უბაიდი, ბალაზური, იაკუთი — სრულ ჭეშმარიტებას ალაპარებენ, როდესაც აღნიშნავენ მუსამედისა და ისლამის მნიშვნელობას არაბთა საზოგადოებრივ განვითარებაში. მოულოდნელი ის არის, რომ ყველაფერს ამას ქართველთა ელჩი ამბობს. გამოდის, რომ მან ზუსტად და ამომწურავად შეიფასა მუსამედის და ისლამის მნიშვნელობა და თავისი თვიც — ქართველის სამეფოსთან ერთად — არაბთაგან ზარდაცემულთა რიცხვში ჩათვალა (იხ. აბუ უბაიდი).

ჩვენი აზრით, სინამდვილესთან ახლოს არის ტაბარი, რადგანაც ის პირუთვნელად გადმოგვცემს ელჩის სიტყვებს და ბაბიის პასუხის მოკლე, ძირითად შინაარსს, რომელიც ზედმიწევნით ასახავს ისტორიულ ვითარებას.

სხვებისგან განსხვავებით აბუ უბაიდი ქართველთა ძლევის თუ საუკუნოსაც განსაზღვრავს: „...შევაფასეთ იგი, მისი საქონელი და ნაღდი ფულია ასი დინარი". უნებურად გვახსენდება ერთი გვიანდელი მოტანილი ერთი შავი მელიის ბეწვის ასი დინარი ღირდა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ ბალაზური იცნობდა აბუ უბაიდის, ხოლო იაკუთი — ორივეს თხზულებას (რაც ადვილი შესაძლებელია), მაშინ გასაგები ხდება სამივე ავტორთან პაპაეის ძირითადად ერთნაირი შინაარსით გადმოცემა. ასეთი დასკვნა არც საწინააღმდეგო შემთხვევაში იქნებოდა გამორიცხული, თუმცა ვითვალისწინებთ არაბული სინამდვილისადმი გარკვეულ ტენდენციურ მიდგომას, რომელიც უცხო არ იყო არაბული ისტორიოგრაფიისთვის;ეს ტენდენციურობა, სავარაუდოა, იმაში გამომჟღავნდა, რომ ფრაზა, ტაბარისაგან განსხვავებით, თავისი შეხედულებისამებრ რედაქტირებული გადმოგვცეს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ VII ს. მეორე მეოთხედში მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა, ჯერეობითაც არაბთა სახელმწიფო. ეს შემდეგ მოხდა, როდესაც არაბული ენამ, რელიგიამ, მეცნიერებამ სახალიფოს პოლიტიკური ძლევამოსილების შედეგად, გაბატონებული ადგილი დაიჭირა იმდროინდელი მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში და არაბულენოვანი ისტორიოგრაფიაც, რასაკვირველია, ხარკს უხდიდა სინამდვილეს. სამივე ავტორი აშკარად გამოხატავს იმ ტენდენციას, რომელიც არაბთა ხაზგადაღებრივ განვითარებაში მომხდარ ისტორიულ გარდატეხას მხოლოდ ისლამს და მის ფუძემდებელს, მუსამედს მიაწერდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით საეჭვო ხდება, რომ მუსამედის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ორი ათეული წლის შემდეგ ქართველებს ხოტბა შეესხათ არაბებისათვის და ამათანავე, ახალფუძდგმული სარწმუნოების აღიარება და მისი მნიშვნელობის შეფასებაც მოეცათ.

საგულისხმოა, აგრეთვე, ჩვენი ავტორების ბიოგრაფიის და მეცნიერული მეთოდის დამახასიათებელი ზოგიერთი დეტალი.

აბუ უბაიდის (770-839) მამა, არაბული ტომის „ხიზანი" (მავალი), ბიზანტიური წარმოშობის იყო. მისი ძირითადი ნაშრომები ფილოლოგიური ხასიათის არის, ხოლო „წიგნი ქონების შესახებ", რომელშიც მოთავსებულია „დაცვის სიგელი", იურიდიული შინაარსისაა, მაგრამ ისიც არაბი გრამატიკოსებისთვის დამახასიათებელი ჩვეულებით არის კომენტირებული. ის ადრიანების, ერთმანეთში ალრევეს (საკუთარი ფილოლოგიური შენიშვნების დართვით) ხაზავ მოლაპარაკების და სიგელის ტექსტს. გარდა ამისა, ავტორი წერს, რომ მოელი ეს ამბავი მას მოუხსონ არმინის ერთ-ერთმა მცხოვრებთაგანმა, რომელმაც, თურმე, თქვა: „წავიკითხე პაპის იბნ მასლამას სიგელი, ანდა წაკითხულ იქნა და მე ვუუურებდი მას" (sic!). ჯერარ გადმოცემას კი, ცხადია, ვერ მოვთხოვთ ზედმიწევნით, დეტალების სრული დაცვით გადმოგვცეს ისტორიული ფაქტი.

არსებობს სუსტი ვარაუდი, რომ ბალაზურის (გარდაიცვალა 892 წ.) წინაპარი სპარსელი იყო, მაგრამ უკვე მისი პაპა მდივნად მუშაობდა ეგვიპტეში ერთ-ერთი დიდებულის კარზე. თავად ბალაზური, ხალიფების კარზე მიღებული და გავლენიანი პირი, ხალიფას მემკვიდრის აღმზრდელიც კი იყო. ს. ყუნე აღნიშნავს, რომ შე-

საძლებელია სწორედ ხალიფას მემკვიდრისთვის დაწერა მან, შემოკლებული სახელმძღვანელოს ფორმით, თავისი ნაშრომი. როგორც ისტორიკოსი, ის საკმაოდ დიდი სახელით სარგებლობს. ამას იმითაც ასაბუთებენ, რომ ბალაზური არ იყოო მხოლოდ კომპილატორი, არამედ კრიტიკულად დაგებედოო თავის უხვ, მრავალ ქვეყანაში მოპოვებულ მასალას და ხშირად საკუთარი დასკვნებიც გამოუკვნიაო. ასეთი მიდგომა კი ხალას შინაარსს და მნიშვნელობას აცლის ფაქტს და თანამედროვე ისტორიკოსს გარკვეული სიძნელეების წინაშე აყენებს.

იაკუთი (1178/9-1229), სავარაუდოა, მცირეაზიელი ბერძენი, მცირეწლოვანი იყოდა სირიელმა ვაჭარმა, რომლის ხელშეწყობით მან კარგი განათლება მიიღო. ის თავის ცნობილ „გეოგრაფიულ ლექსიკონში“ თბილისთან დაკავშირებით ბალაზურის თხზულებაზე დაყრდნობით იმოწმებს ის „დაცვის სიგელს“.

ტაბარი (839-923) ეთნოგრაფად სპარსელი, წარმოშობით ტაბარისტანიდან იყო. ეს კუთხე ყოველთვის ცნობილი იყო ეთნიკური და პოლიტიკური თავისთავადობით, დამოუკიდებლობით, ირანული ტრადიციებით. ტაბარის ღირსეულად უჭირავს სასტატო ადგილი მუსლიმურ ისტორიოგრაფიაში. მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია მისი ნაშრომის წყაროები. მას ზოგჯერ საყვედურობენ, რომ ზედმეად ანალიზის და კრიტიკის გარეშე იმოწმებს მასალას, არცთუ იშვიათად ურთიერთსაწინააღმდეგოს, და ვეშმაკტების დადგენას თავს არიდებს, ცნობილი ფრაზის — „ალაჰმა უკეთ იცის“ — მოშველიებით. პირიქით, სწორედ ამ მეთოდის გამო შემოგვინახა ჩვენ მრავალი დოკუმენტი ტაბარის „მსოფლიო ისტორიამ“, რომელიც გადაუჭარბებელად სარგებლობს სანდო წყაროს სახელით. „დაცვის სიგელთან“ დაკავშირებული ერთი დეტალიც გვარწმუნებს, რომ ტაბარი უფრო ახლოს დგას ისტორიულ სინამდვილესთან, ვიდრე ამ უბადლო, ბალაზური და იაკუთი. ამჟამად ვრცლად ვერ განვიხილავთ ამ დეტალს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ტაბარისთან დაცული სიგელის აღრესატის სახელი (...ᲔᲚᲐ ᲐᲚᲔ ᲗᲐᲑᲐᲢᲔᲚᲘ ᲛᲘᲜ ᲯᲣᲐᲠᲨᲔᲜᲘ ᲐᲠᲓᲔ.ᲚᲐᲰᲛᲔ „არმაზის ჭვეულის ჯუარზანის თბილისის მცხოვრებთან“) გაცილებით უფრო სწორად არის გადმოცემული, ვიდრე დანარჩენ სამთან.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ის ვვინაობ ვთქვათ, რომ საზავო მოლაპარაკების დროს გამართული დიალოგი, შემდეგ რომელიც წყაროში რომ აღინუსხა, შესაძლებელია. ტაბარის ისე მკვეთრად არ მოხვედროდა თვალში, როგორც სხვებს.

ჩვენთვის უცნობია, რა ტერმინი იხმარა აღნიშნულ ფრაზაში ქართველთა ელჩმა, ვიცით მხოლოდ, რომ არაბულად ის ითარგმნა როგორც **შმმა**. მაშასადამე, არაბის ცნობიერებაში ამ ტერმინს შინაარსით და მნიშვნელობით მიესადაგა **შმმა**. აქედან გამომდინარე, **შმმას** მნიშვნელობის გარკვევით ნათელი გახდება ა) თუ რომელი ქართული ტერმინით ვთარგმნით **შმმა** და ბ) რა შინაარსობრივი დატვირთვა ეძლევა ფრაზას.

არაბულ ენაში **შმმას** მრავალ მნიშვნელობათაგან, პასუხის კონტექსტთან დაკავშირებით, საგულისხმოა შემდეგი: „ჯვარი, ჯიში, თაობა, რასა, ტომი, თემი, ერი, ხალხი, სარწმუნოება, სარწმუნოებრივი თემი“. აქედან ორი („სარწმუნოებრივი თემი“ და „ერი“) მჭიდროდ უკავშირდება მუჰამედის მოლაყეობას, ისლამის აღმოცენებას, ერთიანი არაბული სახელმწიფოს წარმოქმნას.

ამ საკითხებში გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ წინასისლამური და ისლამის აღმოცენების დროინდელი არაბეთის საზოგადოებრივი განვითარების ცოდნის საფუძველზე.

ყურანში ზოგადშიც და დეტალებშიც ნათლად აისახა აღნიშნული დროის არაბეთის ვითარება და, რადგანაც მას პირველწყაროს ღირებულება ენიჭება, ამიტომ შევისწავლეთ ყველა ის ტერმინი (გამოწვლილით **შმმა**, **ნას**, **აბმმ**), რომლებიც ყურანში ადამიანთა ერთობლიობას, კრებითობას აღნიშნავენ; მათი ხმარების ხიხშირეც გარკვეულ დასკვნას გვაძლევს.

ზოგადი დასკვნა ასეთია: **ნას** („ხალხი, „люди“, „people“; დამოწმებულია 249 შემთხვევაში) აღნიშნავს საერთოდ „ხალხს“, „ადამიანთა ჯგუფს, კრებულს“. **აბმმ** („ხალხი“, „ერი“, „ტომი“; გვხვდება 291 შემთხვევაში) უმეტესად კონკრეტულ ფუნქციას ასრულებს. როდესაც კონტექსტი გულისხმობს გარკვეულ ერს — დედანში **ნას** **აბმმ** (ი. კრაჩკოვსკი ჩვეულებრივ თარგმნის — „народ“. **შმმა**, ყველა თავისი მნიშვნელობით, მხოლოდ ორმოცდაჩვიდმეტჯერ არის დამოწმებული. ყურანში **შმმას** თარგმნილ შემდეგი ტერმინებით: „ხალხი“, „община“, „народ“, „people“, „nation“. საყურადღებოა, რომ კრაჩკოვსკი თარგმნის მხოლოდ „община“-თი და „народ“-თი. მაშასადამე, არაბეთის სინამდვილის გათვალისწინებით, ყურანში **შმმასთან** დაკავშირებით „община“ და „народ“ (და არა „люди“) მისთვის ერთი და იგივეა.

რომელი ქართული ტერმინით ვთარგმნოთ **შმმა**, ანუ რა სიტყვა იხმარა ქართველთა ელჩმა ხალიფა მოლაპარაკების დროს? **შმმას** მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, — ტერმინით „ერი“, ივ. ჯავახიშვილის მსგავსად, და არა „ხალხი“-თ, როგორც თარგმნილ მომდევნო თაობის ქართველი მკვლევრები. შევნიშნავთ, რომ ბალაზურის თხზულების ფ. ჰიტისეულ თარგმანში აღნიშნული ფრაზის **შმმა**

თარგმნილია როგორც „nation“ და არა, ვთქვათ, როგორც „people“.

„ერი“ გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე „ხალხი“. ამას დასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის კარტოთეკა. ძველ ქართულ ტექსტებში მას აქვს ეთნიკური, სოციალური, რელიგიური მნიშვნელობა. ისტორიულ ჭრილში, საზოგადოებრივი განვითარების ესა თუ ის დონე „ერის“ მნიშვნელობაში თავის შესატერის შინაარსს ათავსებდა.

ცნობაა, VII საუკუნის ქართველს „ერი“ ეხმოდა თავისი დროის შესაბამისი მნიშვნელობით. ასევე უნდა გავიგოთ და ვიხმაროთ ის ჩვენც, XX საუკუნის ქართველებმა, და არ უნდა დავგაბრკოლოს ტერმინის დღევანდელმა მნიშვნელობამ. ხოლო, ამ უკანასკნელის გამო „ერის“ ნაცვლად „ხალხის“ ხმარება (ესე იგი: ერად ჩამოყალიბებამდე — „ქართველი ხალხი“, ხოლო ერად ჩამოყალიბების შემდეგ — „ქართველი ერი“) არ არის გამართლებული; თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებოდით ნებისმიერი ეთნიკურ-პოლიტიკური გაერთიანებისთვის, მისი საზოგადოებრივი განვითარების ყოველ განსაზღვრულ დონეზე მხოლოდ ამ დონის შესაბამისი ტერმინი გამოგვეძებნა და გვეწოდებინა.

განვიხილოთ ფრაზის — **ანა ლაშ ნაძუნ შემაძამან ტიმა თაასაბუნა** — თარგმანის, ე. ი. მისი შინაარსის გაგების საკითხი. საკითხი, რომელიც უშუალოდ პასუხობს წერილის ბათაფის.

ივ. ჯავახიშვილმა (იქვე, გვ. 74) ფრაზის მხოლოდ ნაწილი თარგმნა: „თქვენ ერი არ ხართ“; მისი არაბული დედანი კი სრულად არის დამოწმებული ვ. ლაზარიანის ნაშრომში, რომელსაც ეყრდნობა ალ. უთოთეს ჯავახიშვილი. თვით ლაზარიანი ასე თარგმნის: „Wir seien gar kein folk“ („ჩვენ სრულებითაც არ ვყოფილვართ ერი“); ე. სიხარულიძე — „ჩვენ არ ვყოფილვართ ხალხი, როგორიც თქვენ გეგონათ“ (იხ. თსუ შრ., ტ. 73, გვ. 169).

უმთავრესი ის არის, რომ ფრაზა ყოველ ეტაპზე გარეშე გვაძლევს შედარებით ხარისხს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ხარისხის გაკვეთა. ეს კი ფრაზის შინაარსის დადგენაზეა დამოკიდებული, რასაც ანძელებს მეორე ნაწილი ...**შემაძამან ტიმა თაასაბუნა**. ფრაზა ასე უნდა გავიგოთ: „...ჩვენ არ ვყოფილვართ (ისეთი) ერი, რასაც თქვენ (ერად) თვლით“. და შემდეგ, სრული ლოგიკური შეთანხმებით, ტექსტის გაგრძელება ტაბარისთან: „ამგვარად ვიყავით ჩვენ ვიღრე ალაჰი... არ წერგვიძღვა... და გაგვაღოთ ისლამთ შემდგომად დაყენებისა, დამცირებისა და უვიცობისა“.

თუ დავშვებთ, რომ ფრაზა ტაბარისთანაც დანარჩენ სამ ავტორთან დამოწმებული შინაარსის მსგავსი უნდა იყოს, მაშინ უსაფუძვლოდ მასთან ფრაზის გაგრძელება. ხოლო, თუ მხედველობაში ჩავთვლით მცდარად, ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: როგორ გაჩნდა იგი ტაბარისთან? თვითონ შეთხზა?

იცნობდნენ თუ არა საქართველოში არაბებს? არაბეთის ნახევარკუნძულს უკვე ბიბლია იცნობს. 914-918 წწ. დაწერილ „გობრონის წიგნებში“ ვკითხულობთ: „...შორის უდაბნოთა ვრცელთა... დამკვიდრებულ არიან კაცნი მკვლისა ბუნებისანი, მტაცებელნი, რომელთა სახლი არს და ცხოვრება აჭლემისა ზურგი, ნათესავნი ურიცხუნი...“. როგორც არ უნდა გაგვიხლოთ ცნობის თარიღი, იგი აშკარად მეტყველებს, რომ საქართველოში ზრდილობა ჰქონიათ არაბთა საზოგადოებრივი წყობისა და მათი განვითარების დონის შესახებ.

საქართველოს ეკლესიის არსებობის დღედანვე ცნობილია ქართველ მოღვაწეთა სწრაფვა სირია-პალესტინისაკენ და იქ მათი მოღვაწეობის ცხოველი ხასიათი. V ს. მოყოლებული იბერიელები და ლაზები იქ აშენებენ ეკლესიებს (ნ. მარი). ტატუარი ცნობები ადასტურებენ საქართველო-სომხეთის საეკლესიო არქიტექტურის კავშირს წითელი ზღვის რაიონთან, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკასთან. არქეოლოგიური ძიებამ ქართული ხუროთმოძღვრების არა ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი გამოავლინა სირია-პალესტინა-ეგვიპტეში, „რომლებიც მეტყველებენ ქართველი ხალხის კულტურულ-შემოქმედებითის მოღვაწეობაზე იმდროინდელ „წმინდა ადგილებში“ ადრინდელ საუკუნეებში... პეტრე იბერისა და სხვა პალესტინელი ქართველი მოღვაწეების დამსახურების შესახებაც, რომ ქართველებმა უკვე VI საუკუნის დამდეგისათვის... ისეთს მდგომარეობას მიაღწიეს, რომ უფლება მოიპოვეს პალესტინის უდიდეს ლავრაში, სადაც ბერძნები იყვნენ გაბატონებული, წარმქვან ჟამსა და სამხრისაც, წარყოფნოს საკაციჟული სახარება თავიანთ დედაენაზე“ (გ. ტორელი).

V საუკუნიდან აღინიშნება ქართული მწერლობის ურთიერთობა სირიელებთან, არაბებთან, კოპტებთან (ქ. კეკელიძე).

ეფრემ მცირის ცნობით, ქართლსა და ანტიოქიას შორის IV ს. მჭიდრო ეკონომიკურ-ფინანსური კავშირ-ურთიერთობა დასტურდება.

სპარსელთა მიერ იერუსალიმის აღების (614 წ.) შედეგად დანგრეული „წმიდა საფლავის“ აღდგენაში მონაწილეობა მიუღიათ ქართველებსაც, რადგანაც, კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით, „იბერებს, ჰერაკლე კეისარს (610-614) რომ ახლდნენ ლაშქრობებში, ჭერ კიდევ სპარსელთა თავდასხმამდე წესად ჰქონდათ წმიდა საფლავის მობილვა და წმიდა ადგილებისათვის ფულის გაგზავნა მათი საჭიროებებისთვის; ამასვე აკეთებდნენ ისინი მუსლიმთა დაპყრო-

ბების შემდეგაც" (ანტიოხ სტრატიგ..., ნ. მარის გამ., სპბ., 1909, გვ. 4).

ბიზანტია-არაბის ურთიერთობაში ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ არაბთა ლაშქრობების და ღალანიანთა სამეფოები. ამავე ურთიერთობაში ასევე მონაწილეობდნენ ქართლისა და ლაზეთის სამეფოები.

ბიზანტია-არაბს და სირია-პალესტინას რომ მრავალმხრივი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ არაბულ სამყაროსთან, ეს კარგად არის ცნობილი.

და ბოლოს, ერთი ცნობაც, კონკრეტულად რომ ადასტურებს არაბ-ქართველთა ურთიერთობას VII ს. პირველ ნახევარში, უშუალოდ ქართველში არაბთა შემოსვლის წინ.

ჰერაკლე კეისარმა კიროს ფაზისელი, დიდად განთვალსწორიის პატრიარქად დანიშნა. ის არსებითად ეგვიპტის სრულუფლებიანი გამგებელი იყო. მუჰამედმა სწორედ მას, არაბული წყაროებით, მუკავკასს, გაუგზავნა, — ისევე როგორც შაჰ ხოსროე ფარვიზს და სხვა დიდ, თუ მცირე მმართველებს, — წერილი და ისლამის აღიარება შესთავაზა (იხ. ალრ. მ. კობიშჩანოვ, სვეტო-ცოსტრიანაა ალრიკა..., მ., 1980, გვ. 138-41). კიროს ალექსანდრიელის დროს შეიჭრა 641 წ. ნოემბერში არაბთა რაზმი ეგვიპტეში და ალექსანდრია ალყაში მოიმწყვდია. კიროსმა არაბებთან ზავი შეკრა. ეს ხანიჯი კონსტანტინოპოლში მოხუც პატრიარქს ღალატად ჩაუთვალეს და მას არაბთა მეშვეობით იმპერიისგან ეგვიპტის ჩამოშორების გუმანი დასწამეს. კიროსი 642 წ. 21 მარტს გარდაიცვალა.

კიროს ეგრისის მიტროპოლიტი და კიროს ალექსანდრიელი (ფაზისელი, მუკაუკასი) ერთი და იგივე პიროვნებაა. უფრო მეტიც, ვარაუდობენ, რომ იგივე პიროვნება უნდა იყოს კიროსი ქართლის კათალიკოსი. ამ ვარაუდს საკმაოდ დამჯერებელი საბუთები უჭერენ ზხარს (იხ. ეპისკოპოსთა წოვნი ზ. ალქსიძის გამ., თბ., 1968, გვ. 244-72).

თუ როგორ აფსებდნენ საქართველოში VII ს. პირველ ნახევარში არაბეთში მიმდინარე მოვლენებს, არ ვიცით. მაგრამ ვიცით, რა თვალსაზრისის იყვნენ საზოგადოების გარკვეულ წრეებში მუჰამედის მოღაწეობის შესახებ არაბეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში. ეს თვალსაზრისი მუჰამედისა და ისლამის სახარგებლოდ არაფრის შეიცავდა. ჭ. კესარიის ერთი მოქალაქის წერილში ვკითხულობთ: „სარკინოზთა შორის გამოჩნდა ცრუ წინასწარმეტყველი... იგი მატყუარაა, რადგანაც წინასწარმეტყველნი არ მოგვეელინებიან მახვილით და საბრძოლო ეტლით... ვერაფერს ჭეშმარიტს ვერ ისვიი ამ ეგრეთ წოდებულ მოციქულში; არის მხოლოდ დაღვრილი სისხლი ადამიანის მოდგმისა; რამეთუ ის ქადაგებს, რომ მას აქვს სამოთხის გასაღები, რასაც ვერ ერწმუნებით" (ანტიოხ ბერძენ., ის ოტნოშენიაზხ..., ხრისტიანსკაია ვოსტოკ, ტ. III, ნაწ., II, 1914, გვ. 192-93). ასევე მკვეთრად გამოსჭვივის ათვალწუნება და ქედმაღლობა ბალაზურთან დაცულ ერთ ლექსში, რომელსაც მავანი ებრაელი გაიმღერიოდა: „გადაეცით ჩემს წინაშე ისლაიიმ მოზრახებმე გაბუტრძგნულ ბედუინს, რომ გავათე მთელი დამე მის ცოლთან" (ბალაზური, ფუზის გამ., გვ. 26).

გასაგებია, როგორ უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ოფიციალური დამოკიდებულება ისლამის მიმართ. „კონსტანტინეპოლთან და რომთან ჰიდღაში ისლამი მეტიჩარა იყო. მას არ ჰქონდა წყასული, არ ჰქონდა ისტორიული ტრადიცია" (გ. გრუნებაუმი).

ჰქონდათ თუ არა ქართლის სამეფოს მესვეურთ საფუძველი, რომ თავიანთი უპირატესობა აღეწერნათ?

საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების დონე ახეთ საფუძველს უეჭველად ქმნიდა, ქრისტიანობა საქართველოში უკვე IV ს. პირველი ნახევრიდან ოფიციალურ სარწმუნეობას წარმოადგენდა და ხელს უწყობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლას. თუ პოლიტიკურად საქართველოს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო გაერთიანება „ქრისტიანობის შემოღების დროიდან სხვათა შორის ეკლესიისა და ლიტერატურული ენის საფუძველზეც ის ერთიან ნაციონალურ-კულტურულ ერთეულს წარმოადგენდა" (ნ. მარი). ნიშანდობლივია, რომ VII ს. პირველ ნახევარში შეინიშნება მისწრაფება ქვეყნის გაერთიანებისაკენ; რაც, თავის მხრივ, ეროვნულ კონსოლიდაციასაც უკავშირდება. ეს პრიცესი ნათლად ახასხა კირიონ ქართლის კათალიკოსის, მოღაწეობაში.

ქართველთა ეროვნულ თვითშემეცნების აწრთობდა და სწრო გზაზე აყენებდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ კარტებლებში მონაწილეობაც. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში კარგად ესმოდათ, რომ ბიზანტია-ირანის შეურიგებელ წინააღმდეგობათა ერთ-ერთ მიზეზს თვითონაც წარმოადგენდნენ და სწრო პოლიტიკურ ალღოს მიყოლილნი საკუთარ ინტერესებს იცავდნენ. არაბთა გამორჩენა ამ სამკუთხედის მხოლოდ ერთ წვეროზე ცვლიდა მოქმედ ძალას, თორემ სხვა მხრივ ურთიერთობათა შინაარსი უცვლელი რჩებოდა; განსხვავება ის იყო, რომ შედარებით განვითარებული და კულტურული ირანის ადგილს ცივილიზაციის გზაზე ახლახან შემდგარი არაბული სახელმწიფო იჭერდა.

ტაბარის განხილული ცნობაც აშკარად მიგვანიშნებს, რომ VII ს. პირველ ნახევარშიც მძლავრად აქვს ფესვი გადგმული ქართველთა ეროვნულ თვითშემეცნებას, ასე ძალუძდა რომ გამომძღვანდა მომდევნო საუკუნეების საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიად გამსახურდია

გოეტეს მსოფლმხედველობა ანთროპოსოფიური თვალსაზრისით

თანამედროვე დასავლეთში გავრცელებული ანთროპოსოფიური მიმდინარეობა გოეტეანობას თავის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილად და წყაროდ მიიჩნევს.

(იხ. R. Steiner, გოეტეს საბუნებისმეტყველო შრომები, შტუტგარტი, 1982, ბერეთვე: „გოეტეს მსოფლმხედველობის შემეცნების თეორია", შტუტგარტი, 1924, ბერეთვე: „გოეტეს მსოფლმხედველობა", შტუტგარტი, 1926 წ.).

ჩვენი მიზანია ხსენებულ ნაშრომებში განვითარებული მეთოდის საფუძველზე განვიხილოთ გოეტეს მსოფლმხედველობის ზოგიერთი არსებითი მომენტისა. ამის გამო გადავწყვიტეთ, განვიხილოთ გოეტესეული გაგება სამყაროსი და ადამიანისა, შემეცნების მისეული თეორიისა და პრაქტიკის სპეციფიკა, როგორც ეს მოცემულია ხსენებულ შრომებში, დასავლური აზროვნების განვითარების ხსენებისხვა ეტაპების გაშუქების ფონზე, რაც საშუალებას მოგვცემს გოეტეს, როგორც მოაზროვნის ზოგიერთი თავისებურების განსაზღვრისას.

გოეტეს პიროვნების, მის თანამედროვეთა შორის, ყველაზე უკეთ გაუგო ფრიდრიხ შილლერმა. მიუხედავად ამ დიდი განსხვავებისა, რომელიც არსებობდა ამ ორი პოეტის მსოფლმხედველობასა და შემოქმედებით მეთოდს შორის, მათ შორის იყო ღრმა სულიერი მეგობრობა და ურთიერთგაგება. თავის წერილებში „ადამიანის ესთეტიური აღზრდის შესახებ" შილლერმა მოგვცა ხელოვნის იდეალი გოეტეს სახით, ვინაიდან ჭეშმარიტი შემოქმედება მას გოეტეს პოეზიის სახით წარმოედგინა. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ შილლერისათვის იდეალი იყო არა მხოლოდ გოეტე-ხელოვანი, არამედ ᲒᲝᲔᲢᲔ-ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ: „ეს პოეტი ერთადერთი ჭეშმარიტი ადამიანია", ამბობდა იგი, ვინაიდან მისთვის გოეტე სრულყოფილი გამოხატულება იყო ᲩᲝ-ᲒᲐᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐ, მას არ აკლდა არც ერთი ელემენტი, რომელიც აუცილებელია ზოგადადამიანურობის გამოსახატავად**. თან ამავე დროს ეს ელემენტები მასში ერთ ჰარმონიულ მთლიანობას ჰქმნიდნენ და მოჭრილებებნენ რაღაც მთლიანობა (და არა ცალცალკე).

როგორც უნდა გავიგოთ ზოგადი ადამიანურობა? წარმოვიდგინოთ ყველა ის თვისება თუ უნარი, რომელიც ახასიათებს ადამიანობას, ადამიანის გვარს, სახეობას როგორც ასეთს. ეს თვისებები და უნარები გამოუცლელია მთელს კაცობრიობას თავისი ისტორიის მანძილზე მეტ-ნაკლები სრულყოფილებით, ამ თვისებებს და უნარების კონკრეტული წარმოდგენა შეიძლება შემდეგნაირად: ზნეობრივი ქმედების უნარი, აზროვნების უნარი, მხატვრული შემოქმედების უნარი, შემეცნების უნარი რაც ვლინდება მეცნიერებაში, მოჭალებრივი შეგნება და ა. შ. ეს ყოველივე ვლინდებოდა და ვლინდება მთელს კაცობრიობაში და პოტენციალურად მოცდინარეობს ᲔᲛᲘ ზოგადი, იდეალური ადამიანიდან, რომელიც განასაზღვრებს მთელს კაცობრიობას. ამრიგად მთელი კაცობრიობა დღიდან თავის არსებობისა, როგორც წარსულში ისე მომავალი განვითარების პერსპექტივაში, უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ᲔᲛᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ამრიგად მივიღეთ გაგების ზოგადი ადამიანისას, ჩაყრა ანთროპოსისას, Homo generalis. კაცობრიობის ცალკეული წარმომადგენელნი მეტნაკლები ცალმხრივობით ავლენენ ზოგად ადამიანურ თვისებებს. ამ თვისებათა ჰომოგენურობისადა მიუხედავად, ისინი ნაირგვარი სახით წარმოგვიდგებიან ინდივიდუალურ და სოციალურ კონკრეტულობაში. თანაც უნდა აღინიშნოს რომ გარე სამყარო როგორც ასეთი, ერთის მხრივ ხელშეწყობია მათთვის თავისი ჰარმონიული ასპექტით, ხოლო მეორეს მხრივ, უპირისპირებება მათ, ვინაიდან სამყაროში მუდმივი დაპირისპირებაა მე-ს და არამეს ძალებს შორის, ჰარმონიასა და ქაოსს შორის.

---

* იხეულება შემოკლებით.

** იხ. გოეტეს მსოფლმხედველობის შემეცნების თეორია, გვ. 9.

ამიტომ პიროვნების სრული თვითგამოვლენა ამ დინამიურ პროტესტსაზე დამოკიდებული, როშელიც მასში თავდაბლება ჩაგებული.

დიდი ადამიანები, გენიოსები, მეტი სრულყოფილებით აცვლენენ ზოგადადამიანურ თვისებებს, რაც გამო ინდივიდუალური პიროვნების ატრიბუტს სრულ თვითგამოვლენას, მხოლოდ ამით განსხვავდებიან ისინი ე. წ. ჩვეულებრივი ადამიანებისაგან, რომლებშიაც მართალია პიროვნული პროტესტაციაც მოცემულია ზოგადადამიანურობისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება, მაგრამ მათ არ ჰყოფნით სულიერი ძალები ამ თვისებათა რეალიზაციისათვის, გამოვლენისათვის. ამრიგად პიროვნულობად, იდეალური პერსპექტივის თვალსაზრისით, ყველა ადამიანი თანასწორია, მაგრამ არა ფაქტიურად. აქედან გამომდინარე დიდი ადამიანების მისიაც დანარჩენ კაცობრიობაში გამოვლენ ლატენტური ძალებისა, რომელნიც დაუახლოვებენ მას ჭეშმარიტ ადამიანურ ყოფას. გოეტეს მაგალითზე შეიძლება გამოვლინდეს კონკრეტულ ადამიანში ზემოხსენებული ზოგადადამიანური საწყისი, ამიტომაც უწოდა მას „ერთადერთი ჭეშმარიტი ადამიანი". ასეც უწოდებდა მას ნაპოლეონიც. „ჰო, ეს თქვენს ხართ ადამიანი?" ასე მიმართა მან გოეტეს პირველ შეხვედრისას. ყოველგვარი არასრულყოფილება, გაუკუღმართება, ცალმხრივობა ადამიანურ ყოფაში ზოგადადამიანური ელემენტის ნაკლებობის, გამოუყოფელობის შედეგია. ეს შეეხება როგორც სოციალურ-პოლიტიკურ ყოფას, ასევე პროგრესის, შემეცნების სფეროს და მხატვრული მოღვაწეობის სფეროს. კაცობრიობის ისტორიაც სწორედ ამგვარი გზაპრესეულია, ცალმხრივობათა და არასრულყოფილებათა ჯიღლაკი, რომლის შედეგადაც იშვის სრულყოფილება და ჭეშმარიტი ჭეშმარიტებისა, რომლისკენაც მიილტვის ადამიანური მოდგმა.

ამჯერად ჩვენი მიზანია განსაზღვრა გოეტესი, როგორც მოაზროვნისა. ჩვენ გვსურს განვიხილოთ, თუ როგორ გამოვლინდა ზოგადადამიანური ჰარმონია გოეტეს აზროვნებაში და მხოლოდ ამ მხრივ ვეცდებით დავინახოთ, თუ რაოდენ სრულყოფილად შეიძლება გამოვლინდეს კონკრეტულ ადამიანში ზემოხსენებული ზოგადადამიანური საწყისი. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ეს ნაშრომი ხელს შეუწყობს ხელი შევუწყოთ ამ ნაშრომის ავტორის ლტოლვილობაში ჩაკარგულ ნაშრომებში ერთ-ერთის აღდგენას.

ეს ნაშრომი ეხება ფილოსოფიურ ნაშრომს „ფაუსტის" ავტორის ფილოსოფიურ შეხედულებებზე. ეს ნაშრომი ეხება ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომელიც ასახულია „ფაუსტის" ავტორის ნაწარმოებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცახადა, სახელებზე დაიყვანა საგანთა იდეალური შესატყვისები და ემპირიზმი, რომელმაც რაციონალიზმის საპირისპიროდ ვერძნობად ცდას მისცა წამყვანი როლი, რაც ნაშრომად ხალხური მატერიალური ბუნების ერთადერთ ჭეშმარიტ რეალობად გამოცხადებას.

რენესანსის დროს დაწყული რეაქცია ჭრისტიანულ-პლატონური მეტაფიზიკური დუალიზმზე. სოციალური და კულტურულ-ცივილიზაციური ყოფის ცალმხრივ განვითარებას კი კვლავ დაუპირისპირდა ბუნებისმეტრი ადამიანი როგორც იდეალი. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს გამოვლინდა გვიან, რუსოს მსოფლმხედველობაში. (აღსანიშნავია, რომ რუსოს ამ იდეას თავისი პარალელები აქვს ანტიკურ ფილოსოფიაში. მაგ. სტოიკოსების თვალსაზრისით, ბუნების მიხედვით ცხოვრება იყო იგივე, რაც მორალური ცხოვრება). მართალია რუსო თეორიულად აღიარებდა ღვთის არსებობას და სულის უკვდავებას, მაგრამ მასთან მაინც ვერ მოხდა მეტაფიზიკური დუალიზმის დაძლევა, რადგან მოხდა სულიერ-კულტურული ფაქტორის როლის დამცირება ფიზიკურ-მატერიალური ბუნების წინა პლანზე დაყენებით. ხსენებული თვალსაზრისის უკიდურესობაა ფრანგული მატერიალიზმი. მსგავსი თვალსაზრისიც გვხვდება ანტიკურობაში კინიკოსთა სკოლაში, რომელთა აზრით ზნეობა ბუნების კეთილისება იყო, სიბრძნე გამომკვეთი იგი ადამიანურ გონებას, ხოლო ყოველივე ის, რაც იქმნებოდა ისტორიულად, ხელოვნება და კულტურული მოღვაწეობა, სამწუხაროდ, თემი და ა. შ. ითვლებოდა მეორად, პირობით ამბებად. (ყოველივე ამას ენათესავება ბაზისისა და ზედნაშენის იდეა). XIX საუკუნის სოციალისტებიც საზოგადოების აგებას მოითხოვს უფრო ბუნებასთან დაახლოებულ საწყისებზე.

გოეტეს თანადროული გერმანელი აზროვნებანი შემდეგი სურათია ამ თვალსაზრისით. ლესინგი და ჰერდერი გარკვეულ გავლენას განიცდიდნენ ბუნებისმეტრი ადამიანის იდეისას, მაგრამ ისინი, ფრანგი მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, უფრო მეტად აღიარებდნენ გონიერი საწყისის მოქმედებას ისტორიაში და კულტურის პირველად მნიშვნელობას. პლატონურ-ჭრისტიანული მეტაფიზიკური დუალიზმი გერმანიაში კანტიანელობით დაგვირგვინდა და გამოიხატა სუბიექტისა და ობიექტის გათიშვაში. ფიხტეს თვალსაზრისით ბუნება წმინდა „მე"-ს ზნეობრივი მოღვაწეობის უარყოფითი საზღვარია, შელლინგთან კი ბუნება იგივე სულია, იგი მხოლოდ ობიექტური მხარეა იმავე აბსოლუტური საწყისისა, რომლის სუბიექტური მხარეა სული. მეგელთან ბუნება „გარეყოფიერებაა" აბსოლუტური იდეისაგან მოწყვეტილი, რომელშიაც სული კვლავ თავისთავს უნდა დაუბრუნდეს.

გოეტეს ცდები უწინარეს ყოვლისა მიმართული იყო ზემოხსენებული მეტაფიზიკური დუალიზმის დაძლევისაკენ. გოეტესათვის უცნო იყო წარმოდგენა ისეთ იდეათა სამყაროზე, რომელიც მოწყვეტილია ბუნების სამყაროსგან, ცდისმიერ რეალობას. მისთვის ეს ორი რამ განუყოფელი ერთიანობა იყო. მაგალითად, მცენარის იდეაზე გოეტე ვერ იტყოდა ცალმხრივ პლატონისტურად, რომ იგი არ არსებობს ემპირიულ სინამდვილეში, არამედ მხოლოდ იდეათა სფეროში, ვერც ცალმხრივ — ბეკონიანურად, ან ნომინალურად, რომ ეს იდეა თავის რეალობაში არ არსებობს, იგი მხოლოდადამხოლოდ გამოყვანილია კერძო მცენარიდან, როგორც აბსტრაქტული ცნება, როგორც სახელი. სულიერი თვალით, რომელიც მისთვის ისეთივე რეალობა იყო, როგორც ფიზიკური თვალი, იგი ისევე რეალურად ხედავდა პირველმცენარეს, იდეას მცენარისას, როგორც ფიზიკური თვალით ხედავდა კერძო მცენარეს, რომელიმე კონკრეტულ სახეობას. თან ეს ორივე მცენარე მისთვის განუყოფელი ერთიანობა და ურთიერთგაპირობებული სინამდვილე იყო.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მისი საუბარი შილლერთან იქნის ბუნებისმკვლევართა საზოგადოებაში. ამ საუბარში გოეტემ დაუსაბუთა შილლერს სიმბოლური მცენარე მრავალი დამახასიათებელი შტრიხებით. ეს მცენარე გადმოსცემდა არსს მცენარისას, როგორც ასეთისას, რომელიც ყველიდება ადრეთვე ცალკეულ მცენარეებში და ღებულობს უსასრულოდ ნაირგვარ ფორმებს. აქ ახახული იყო ურთიერთგანპირობებულობა მცენარის ცალკეულ ნაწილებს შორის. ერთი ნაწილის მეორედან გამომავლობა და ურთიერთკავშირი. ეს იყო პლასტიურ-იდეალური ფორმა მცენარისა, პირველდედანი ყოველგვარი შესაძლებელი მცენარისა, რომელიც იხსნება სულიერი ხედვისათვის.

შილლერმა შენიშნა: „ჰო, მაგრამ ეს ხომ ცდისმიერი სინამდვილე არ არის, ეს იდეაა".

გოეტემ კი მოუგო: „მაშ თუ ასეა, მე ამ იდეას თვალით ვხედავ".

შილლერი მაინც ვერ ჩაწვდა თუ რას გულისხმობდა გოეტე და მოუგო: „როგორ შეიძლება არსებობდეს ცდა (Erfahrung), რომელიც შეესატყვისება იდეას, გვაა იდეის თავისებურება სწორედ ის არ არის, რომ იგი ვერასოდეს ვერ ჰპოოლობს ცდასთან შესაბამისობას?".

შილლერს ჯერაც არ ჰქონდა დაძლეული ცალმხრივი პლატონიზმიდან აღმოცენებული კანტიანური ელფერის მეტაფიზიკური დუალიზმი, მისთვის წარმოუდგენელი იყო იდეის და ცდის ასეთი ერთიანობა. გოეტესთვის კი ობიექტური რეალობა იყო პირველმეცნიერე, იგი მისთვის ცდისეული სინამდვილე იყო და არა ცარიელი სპეკულაციის შედეგი. მისი აზრით ადამიანი იყო „Zum sehen geboren, zum

schauen bestellt“ (ბედისთვის შობილი, ხილვისთვის მოწოდებული). არსებობს ცდები გოეტეს სპინოზიანელად გამოცხადებისა. მართალია გოეტეს ბევრი რამ მოსწონდა სპინოზას ფილოსოფიაში, მაგალითად ის, რომ სპინოზასთან სამყაროს დუალებრივი ერთიანობიდან, ნივთიერებიდან, ატრიბუტების ძალიან გამოყვანილი ყოველივე კერძო, ცალკეული, მაგრამ იგი ამავე დროს ამბობდა:

„არავის ეგონოს, რომ მე მის ნაწარმოებებს ხელს მოვაწერი და სიტყვით-სიტყვით გავიმეორებდი“. გოეტეს სპინოზაში განიზიდავდა ის, რომ სპინოზა მხოლოდ ლოგიკურ შემეცნებას იცნობს (ისიც გეომეტრიულად ლოგიკურს), რომელიც მოწყვეტილია ცდისმიერ სინამდვილეს (კარტეზიანულ ყაიდაზე), ვინაიდან გოეტეს სული გამოცდილების, ცდის გზით მიდიოდა იდეის ფენომენთან, როგორც ზემოთ დავინახეთ. იგი ამბობდა, რომ ჩქვეულებრივ „იდეალური რეალურისგე უნდა ამოიცნოს“. ამაზია გოეტეს კონკრეტული იდეალიზმი.

გარდა ამისა პანთეიზმი თავის ამოცანით რაციონალიზმს ემთხვევა, გოეტეს რაციონალიზმზე კი შეუძლებელია საუბარი, თუნდაც იმის გამო, რომ გარეშეა და განსჯის კიდეგან გოეტე ადამიანში აღიარებდა ირრაციონალურ დემონიურ საწყისს, რომელიც მისივე თქმით სცილდება გონებისა და განსჯის ყველა ფარგლებს, და რომლის როლი განუზომელია შემოქმედებასა და შემეცნებაში. როდესაც გოეტე ამბობდა: „როგორც პანენთეიზმებულველი, მე პანთეისტი ვარ“, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მთელი მისი მსოფლმხედველობა პანთეიზმს ემთხვევა. იგი ღვთის შოქმედებას ბუნებაში ეძებდა. ეს იყო მისი პანთეიზმი. ასეთივე „პანთეისტია“ პავლე მოციქულიც, როგორც ზემოთ დავინახეთ: „ღმერთი ყოველი ყოველსა შინა არს“. თანმიმდევრულ პანთეიზმზე კი გოეტესთან ლაპარაკიც შეიძლება. გოეტე ასევე ამბობდა, როგორც ხელოვანი მე პოლითეისტი ვარო, მაგრამ ცხადია აქ არ იგულისხმება ნამდვილი პოლითეიზმი, წარმართული რელიგიის გაგებით.

გოეტეს აზრით, კანტის ძირითადი შეცდომაც ის იყო, რომ იგი „სუბიექტურ შემეცნებით პროცესს ობიექტურად სთვლის, ხოლო ხინამდვილეში სუბიექტურსა და ობიექტურს თითქმის უმორეციოლოდ“. მისი თვალსაზრისით კანტი და კანტიანელები ვერ ხედავენ, რომ გონებისმიერ იდეებში უშუალოდ ცხადდება სამყარო თავისთავად.

გოეტესეულ გაგებას სულისა და ბუნების ერთიანობასთან პარალელი აქვს შელლინგის ფილოსოფიაში. შელლინგი ერთის მხრივ ცდილობდა თეოლოგიისა და ფილოსოფიის შერწყმას, მეორე მხრივ კი ფიხტეს ახსოლუტურ მე-ს აერთებდა სპინოზასეულ სუბსტანციასთან, ვინაიდან ფიხტესთან იყო საფრთხე სულისა და ბუნების გათიშვისა. ამით შელლინგი ცდილობდა ბუნებისმიერ პროცესებში სულისმიერ პროცესების აღმოჩენას, ამის გამო დაიწყო მან ლაპარაკი შესწავლა ელექტრობისა და გალვანიზმისა, რათა სპირტუალისტური თვალთახედვით ეხსნა ეს მოვლენები. შელლინგმა გადაწყვიტა სამყაროს სინამდვილისაგან მოწყვეტილი იდეალიზმის ხაპირისპიროდ თავისი სისტემა დაეფუძნებინა მეცნიერების ყველა სფეროს შესწავლაზე. ეს ტენდენცია გამოვლინდა მის წიგნში „Ideen zu einer Philosophie der Natur“[1] 1797 წ. რომლის ძირითადი დებულებაა: „ბუნება ხილული სულია, ხოლო სული უხილავი ბუნებაა“ თავის ნაწარმოებში Von der Weltseele[2] შელლინგი ამტკიცებს, რომ ბუნებაში ყოველივე მიზიდულობასა და განზიდვის პრინციპებს ემყარება, და რომ ეს სხვა არაფერია თუ არა სულიდან მომდინარე პრინციპები.

ყოველივე ეს ზეგავლენას ახდენს გოეტეზე და თვალსაჩინოა მის რომანში Wahlverwandschaften. „არჩევითი ნათესაობა“ ამით შელლინგი და გოეტე ითვლებიან ბუნების მითოლოგიური განხილვის დამწყებად, რადგან ახსოლეტურებენ ბუნებას. ეს არის მოწყენება ბუნების იდუმალი ძალების წინაშე. თვით ქიმიური პროცესებიც განსილეტებულია, მათ შორისაც არის სიყვარულით მიზიდვა და სიძულვილით განზიდვა, ანუ ერთგვარი ნეიტრალობა (ეს არის ერთგვარი პოეტური ქიმია).

რასაკვირველია ყოველივე ამას ეწინააღმდეგება რაციონალიზმი და დარვინიზმი, რომლის მიხედვითაც ტვინი ყველაზე გვიან განვითარებული ფორმაციაა ბუნებაში და ამიტომ ვითომდაც უშედეგოა ბუნებაში ძიება სულიერ-გონიერი პროცესებისა.

Wahlverwandschaften ხასიათ ტელეპატიური, ნათელხილვითი ფენომენებით, აგრეთვე სიზმარეული ყოფის რეალური განხილვით. უშიშ თანი მიწაზე ეცემა და არ ტყდება, ხდება ნაწინს ხასწაულებრივი გამოკანისაღება და ა. შ., აქვე მთვარის მოქცევის გავლენა ცხოველებზე და მცენარეებზე და ა. შ.

ამრიგად ახეთი განხილვა ბუნებისა დიამეტრალურად უპირისპირდება ფრანგი განმანათლებლების რაციონალიზმს, მოლბახის „ბუნების სისტემას“. ნიუტონის ფიზიკას და ა. შ. „გამოცხადების ფილოსოფიის“ ავტორი შელლინგი კი გრძნობდა ღრმა სულიერ ნათესაობას გოეტესთან. ამიტომ იყო, რომ გოეტეს გარდაცვალება მან შემდეგნაირად ანუწყა თავის ავდიტორიას: „ბატონნო! გოეტე გარდაიცვალა, ჩვენ მარტონი დავრჩით“.

ახლა ვნახოთ, როგორ მოთხოვნილებებს უყენებდა გოეტე მეცნიერებას, როგორი იყო მისი შემეცნების თეორია, ცდასთან და აზროვნე-

1 იდეები ბუნების ფილოსოფიისათვის.

2 მსოფლიო სულისათვის.

ბასთან დამოკიდებულება. გოტტეს თქმით „თეორიას მხოლოდ იმდენად მოაქვს თავისთავად სარგებლობა, რამდენადაც გვაძლევს რწმენას მოვლენათა შორის ურთიერთკავშირისას". მეცნიერების მეშვეობით ხდება ურთიერთდაკავშირება ცდის ხასიათ მიცემული დაკვლევებული ფაქტებისა: „ნაკრასფერია ყველა თეორია მწვანედ ბიბინებს ცხოვრების ხე ოქროცურვილი".

აი რა იყო მისი დევიზი.

არაორგანულ ბუნებაში ჩვენ ვხედავთ მიზეზებს და შედეგებს დაკვლევებულად და ვეძებთ მათ შორის კავშირებს შესაბამის მეცნიერებებში. ორგანულ სამყაროში ვაკვირდებით ხასიათებს და გვრანებს ორგანიზმებისას და ვცდილობთ დადგენას მათ შორის ურთიერთკავშირისას. ბოლოს, ისტორიაში ვხედებით ცალკეულ კულტურულ ეპოქებს კაცობრიობის განვითარებისას და ვცდილობთ დავადგინოთ შინაგანი კავშირი და განსხვავება განვითარების ერთი ეტაპისა მეორისაგან. იდეათა სამყარო და რეალური სამყარო, დაპირისპირება იდეახა და სინამდვილეს შორის, აი საგანი მეცნიერებისა.

როგორია წმინდა ცდა? ეს არის ისეთი ფორმა სინამდვილისა, რომელიც ჩვენ წარმოგვედგება, როდესაც ჩვენ მის წინაშე წარვდგებით ჩვენი „მე"-ს სრული გამოთიშვისას. მაგრამ თუ გვსურს აზროვნებით ჩავწვდეთ ამ სამყაროს, აზროვნება თავად უნდა იქცეს ცდად. აზროვნება უნდა ვთქოთ ცდისეიერ ფაქტებში, როგორც ერთი ამ ფაქტორთაგანი. ე. ი. ჩვენ ცდის შიგნითვე ვეძებთ ისეთ ფაქტორს, რომელიც ნათელს ფენს თავისთავსაც და დანარჩენ სინამდვილესაც. მანამდის კი ცდა არის გარკვეული თვმოყრა ფაქტებისა სივრცეში და დროისმიერი მიმდევრობა. ერთობლიობა (აგრეგატი) დაკვალვობილ ცალეულობათა. კანტისეული თვალსაზრისით ცდის ობიექტივენტები მთლიანად სუბიექტური ბუნებისანი არიან, ასე რომ ცდა მხოლოდ ჩვენს სუბიექტში არსებობს და ამდენად არარეალურია. ამიტომაა რომ „ასი ნამდვილი ტალერი უდრის ას წარმოსახვით ტალერს" ამ თვალსაზრისით. გოტტეს და შტაინერის თვალსაზრისით კი ეს არის ცდისთვის წინასწარი თავს მოხვეული აზროვნებითი განსაზღვრებისა (vorurteil), მაშინ როდესაც ცდა ამით უნდა გამოირჩეოდეს რომ მასში არ უნდა ერეოდეს აზროვნება. რაც შეეხება თავად აზროვნებას ეს არის იდეათა სამყაროს კანონზომიერებასა და ცნებათა სამყაროს კანონებს შორის. ცნებათა სამყაროში ვაკვირდებით ხასიათებს და ვცდილობთ დადგენას მათ შორის ურთიერთკავშირისას. ბოლოს, ისტორიაში ვხედებით ცალკეულ კულტურულ ეპოქებს კაცობრიობის განვითარებისას და ვცდილობთ დავადგინოთ შინაგანი კავშირი და განსხვავება განვითარების ერთი ეტაპისა მეორისაგან. იდეათა სამყარო და რეალური სამყარო, დაპირისპირება იდეახა და სინამდვილეს შორის, აი საგანი მეცნიერებისა.

როგორია წმინდა ცდა? ეს არის ისეთი ფორმა სინამდვილისა, რომელიც ჩვენ წარმოგვედგება, როდესაც ჩვენ მის წინაშე წარვდგებით ჩვენი „მე"-ს სრული გამოთიშვისას. მაგრამ თუ გვსურს აზროვნებით ჩავწვდეთ ამ სამყაროს, აზროვნება თავად უნდა იქცეს ცდად. აზროვნება უნდა ვთქოთ ცდისეიერ ფაქტებში, როგორც ერთი ამ ფაქტორთაგანი. ე. ი. ჩვენ ცდის შიგნითვე ვეძებთ ისეთ ფაქტორს, რომელიც ნათელს ფენს თავისთავსაც და დანარჩენ სინამდვილესაც. მანამდის კი ცდა არის გარკვეული თვმოყრა ფაქტებისა სივრცეში და დროისმიერი მიმდევრობა. ერთობლიობა (აგრეგატი) დაკვალვობილ ცალეულობათა. კანტისეული თვალსაზრისით ცდის ობიექტივენტები მთლიანად სუბიექტური ბუნებისანი არიან, ასე რომ ცდა მხოლოდ ჩვენს სუბიექტში არსებობს და ამდენად არარეალურია. ამიტომაა რომ „ასი ნამდვილი ტალერი" ამ თვალსაზრისით. გოტტეს და შტაინერის თვალსაზრისით კი ეს არის ცდისთვის წინასწარი თავს მოხვეული აზროვნებითი განსაზღვრებისა (vorurteil), მაშინ როდესაც ცდა ამით უნდა გამოირჩეოდეს რომ მასში არ უნდა ერეოდეს აზროვნება. რაც შეეხება თავად აზროვნებას ეს არის იდეათა სამყაროს კანონზომიერებასა და ცნებათა სამყაროს კანონებს შორის. ცნებათა სამყაროში ვაკვირდებით ხასიათებს და ვცდილობთ დადგენას მათ შორის ურთიერთკავშირისას. ბოლოს, ისტორიაში ვხედებით ცალკეულ კულტურულ ეპოქებს კაცობრიობის განვითარებისას და ვცდილობთ დავადგინოთ შინაგანი კავშირი და განსხვავება განვითარების ერთი ეტაპისა მეორისაგან. იდეათა სამყარო და რეალური სამყარო, დაპირისპირება იდეახა და სინამდვილეს შორის, აი საგანი მეცნიერებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიად გამსახურდია
გოტტეს მსოფლმხედველობა
ანტროპოსოფიული თვალსაზრისით

კუთვნებოდნენ. ეს არის გონჯის (**Verstand**) მოდგმეფობა. ვინც ამ გზით მიდის, იგი სცილდება სინამდვილის არსს. ეს არის ხელოვნური მრავლობითობა, რომელიც დისჰარმონიაშია ადამიანის გულთან. გონება კი (**Vernunft**) კვლავ სინამდვილის ერთიანობისკენ მიდის. იგი აღრმავებს განსჯისიმერ თვალსაზრისს.

კანტი ასხვავებდა გონებას და განსჯას იმით, რომ გონება, „მისის თქმით არის უნარი იფიქროს აღქმის, განსჯა კი მხოლოდ ცალკეულს სწვდება. აქ უნდა დავდგინდეს აგრეთვე განსხვავება ცნებასა და იდეას შორის. ცნება არის ცალკეული აზრი, მაშინ როდესაც იდეა დაკავშირებაა ცალკეულ აზრთა, ერთობაა მათი, იგი არსებობს მხოლოდ გონებისათვის. იდეა ახორციელებს კვლავ ერთიანობასთან განსჯითი ცნებების მრავალფეროვნებას. ამას ამბობდა კანტი. მაგრამ მისი აზრით ეს აზრობრივი წარმონაქმნები, რომელთაც ჰქმნის გონება, ილუზიებია, რომელთაც ჰქმნის ადამიანის სული, ვინაიდან იგი მარად მიელტვის იმ ერთიანობას ცდისას, რომელიც მას არასდ ეძლევა. კანტის მიხედვით ის ერთიანობანი, რომელთაც შევიმეცნებთ იდეებში, არ არიან დაფუძნებულნი ობიექტურ მიმართებებზე, არ გამომდინარეობენ თავად ობიექტური საგნიდან, არამედ წარმოადგენენ სუბიექტურ ნორმებს, რომელთა მეოხებით ჩვენ შეგვაქვს წესრიგი ჩვენს ცოდნაში. ამიტომ კანტის თქმით, იდეები კონსტატუციური პრინციპები კი არ არიან, თავად საგნის შესაბამისი, არამედ **რეგულატიური პრინციპები, როგორიცაა გაპარიამ აზრი და მსოფლიოს მხოლოდ ჩვენი ცოდნის სისტემატიზაციისათვის.** გოეტეს თვალსაზრისით კი გონების უმაღლეს საფეხურს, **ზეშთა გონებას (Höchste Vernunft)** ანუ ინტუიციას, ძალუძს წვდომა სინამდვილეში განცხადებული იდეებისა ანუ პირველფენომენებისა, რომელნიც წარმოადგენენ თავად ღვთაების გამოცხადებას. „ინტელექტით (ე. ი. განსჯით) ვერ ჩავწვდებით ბუნებას. ადამიანი უნდა ჭელტობდეს ზეშთა გონებამდე აღზევების უნარს, რათა ეზიაროს ღვთაებას, რომელიც ცხადდება პირველფენომენებში".

გოეტე ამბობდა: „როგორც კი ადამიანი ამჩნევს საგნებს თავის გარშემო, იგი განიცდილებას მათ თავისთავად მიმართებაში; ეს მართებულია, ვინაიდან მთელი მისი ბედი დამოკიდებულია იმაზე, მოსწრნს თუ არა მას ეს საგნები, აზიდავენ ისინი მას თუ განიზიდავენ, სარგებლობა მოაქვთ მისთვის თუ ზიანი, ეს სრულიად ბუნებრივი გზაა საგანთა განხილვისა და მათზე მსჯელობისა; იგი იმდენადვე იოლია თითქოს, რამდენადაც აუცილებელი და მაინც, ადამიანი ათასობით შეცდომას უშვებს ამ ამბავთან დაკავშირებით, რომელიც ეგზომ ზნისად აცთუნებს მას და უშხამავს საწუთროებას. გაცილებით უფრო ძნიმე შრომას კისრულობენ ისინი, ვისაც გააჩნია ცოდნისაკენ ცოცხალი მიდრეკილება, ვინც მიელტვის დაკვირვების ბუნებას, მიერი საგნებისას თავისთავად ყოფაში და ურთიერთმიმართებისაში; ვინაიდან ისინი მალე ჰკარგავენ საზომს, რომელიც მათ შველოდათ იმ დროს, როდესაც ისინი განიხილავდნენ საგნებს, როგორც ადამიანები, მხოლოდ თავისთავად მიმართებაში. მათთვის ჰქონია საზომი საამოროობისა და უსიამობისა, მიმზიდველობისა და აბტიპატიისა, სარგებლობისა და ზიანისა; მათ უნდა უარმყონ ამგვარი საზომი, და როგორც მიუკერძოებელმა ადამიანებმა, ან როგორც ერთგვარმა ღვთაებრივმა არსებებმა, ეძიონ და გამოიკვლიონ ის რაც არის და არა ის რაც სასიამოვნოა. ასე რომ, ვეშმარიტ ბოტანიკოსს არ უნდა ეხებოდეს არც სილამაზე მცენარისა, არც მისი სარგებლიანობა, იგი უნდა იკვლევდეს მის აგებულებას, მის მიმართებას დანარჩენ მცენარეულ სამყაროსთან; და როგორც მზე აღმოაცენებს მათ და ნათელს ამცნს, ასეთივე მზეიდი მზერით უნდა მიმოიხილოს და განიხილოს ისინი. საზომი ამგვარი შემეცნებისა და მონაცემების მხსელობისათვის მან უნდა აიღოს არა თავისი თავიდან, არამედ საგანთა იმ წრიდან, რომელსაც იგი აკვირდება".

ამგვარ შემეცნებას არ გააჩნია საზღვრები. საზღვარი მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თავად გარეგანი ცდა რომ გვაბეზღებდეს თავს თავისი არსის კვლევას, თავათ იგი რომ განსაზღვრავდეს იმ საკითხებს, რომელნიც უნდა წამოვჭრათ მის შესახებ. მაგრამ სამე გოეტესთან პირიქითაა. აზროვნება ადამიანის მე-ხი თავათ იღებს ინიციატივას ამ ძიებაში, ამ საკითხების განსაზღვრაში, იგი თავისთავში არსებულ კანონებს სჭვრეტს დანარჩენ სამყაროშიაც.

რაც შეეხება ბეკონისებურ ემპირიზმს, აქ გამორიცხულია იდეათა თვითმყოფადობა და მეტ-ნაკლებ თვითმყოფადობა. აქ ცდაა ყველაფერი, მატერიალური სინამდვილეა მთავარი. ბეკონის ფორმულაა: ბუნებას ჩვენ მაშინ წარვმართავთ, **რომლისაც მას ვეძვემდებარებით.** ეს დოგმატრალურად ეწინააღმდეგება გოეტესეულ მიდგომას, როგორც ამას აღნიშნავდა ემერსონიც. იგი ამბობდა: „ის ვინც არ ენდობა ანალოგიას, და აგროვებს მხოლოდ ფაქტების გროვას, ვიდრე რაიმე თეორიას შეჰქმნიდეს, მოკლებული ყოველგვარ პოეტურ ძალას". გოეტე კი თავისი გენიალური პოეტური ძალის მეშვეობით ანალოგიისა და სინთეზის უზენაესი უნარით იყო დაჯილდოებული, ამიტომაც მიდიოდა ინტუიციის და სინთეზის გზით, თუმც არ ჰკარგავდა ამავე დროს ცდისმიერ სინამდვილესთან კავშირს.

ამრიგად ცალმხრივი პლატონური მიდგომა ისევე, როგორც ცალმხრივი ემპირიზმი გზას უღობავს თავისუფალ თვითმყოფად მე-ს ადამიანისას დამოუკიდებელ შემეცნებაში. პირველი ჰქმნის გამოცხადების დოგმას, ხოლო მეორე ცდის დოგმას. მართალია კანტიანზმი ორივეს

უპირობოდ, რამდენადაც **არტისტულ** მიდგომას ეყენებს წინა პლანზე, მაგრამ თავის მხრივ კანტიანიზმიც ხელისშემშლელი ძალაა, რამდენადაც უარყოფს ადამიანური შემეცნების ობიექტურ კავშირს სინამდვილესთან და შემეცნებითი პესიმიზმი და ნიჰილიზმი ამყავს დოგმის დონემდე და აქედან გამომდინარე ჰქმნის შემეცნების საზღვრებს.

გოეტეს წერილებში შილლერისადმი ხშირად არის საუბარი იმის შესახებ, თუ როგორი იყო მისი თვალსაზრისი ცდის შესახებ. აქ გოეტე მეცნიერულ მეთოდებს ამრიგად ახასიათებს: ერთია, მისი თქმით, ჩვეულებრივი ემპირიზმი, რომელიც ცოდვილია გარეგანი ფენომენებით, გარეგანი შეგრძნებების მონაცემებით. მეორეა რაციონალიზმი, რომელიც ადგის აზროვნებით სიხტემას, მაგრამ არ გააჩნია საკმაო დაკვირვებები სინამდვილეზე და ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ ფაქტები დაალაგოს მათი არსის მიხედვით, ჯერ იგონებს ილაუზორულ ურთიერთმიმართებებს და შემდეგ აქედან გამომდინარე ფანტაზირებით ცდილობს წაკოთხვას ფაქტების სამყაროში ისეთი რამისას, რაც იქ არ არის. ბოლოს არსებობს რაციონალური ემპირიზმი, რომელიც ჩვეულებრივი ცდით არ კმაყოფილდება, არამედ ჰქმნის ისეთ პირობებს (ცხადია აზროვნების საფუძველზე), რომელთა შედეგადაც ცდის ფაქტები ავლენენ თავის არსს. გოეტეს მიდგომას ცდისადმი შეიძლება ეწოდოს რაციონალური ემპირიზმი, ოღონდ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გოეტე რაციონალისტი იყო. სიტყვა „რაციონალური“ აქ ნიშნავს ჭეროვან, აზროვნებისმიერ მიდგომას ცდისადმი. სულის ამგვარი მოღვაწეობის გარეშე მსოფლიოს სურათი არ არის დასრულებული, შემეცნება არის დასრულება, სრულყოფა ამ სურათისა.

არაორგანული ბუნების შემეცნებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კვლევის ცალკეული ფაქტებისას და პროცესებისას. ადამიანმა უნდა აღმოაჩინოს ამ პირველფენომენები, ანუ ძირითადი ფაქტები, რომელნიც წარმოადგენენ აუცილებლობისეულ მახასიათებლებს მოცემული ფაქტებისას. პირველფენომენი არის იდეიდან მომდინარე აუცილებლობა განცხადებული ფაქტის, მოვლენის სახით. ეს არის ბუნების ობიექტური კანონი. მისი პოვნა შეიძლება, როგორც აზროვნებით, ასევე ცდით. ამრიგად, სული გრძნობად ცდაში მოცემულ სინამდვილეს აღაზევებს თავისთავადი და მიელტვის გაგებას არაორგანულისას, როგორც ერთიანი სისტემისას, ანუ კოსმოსისას.

არაორგანულ სამყაროში, ანუ წმინდა გრძნობად სამყაროში, ერთი პროცესი გამოწვეულია და მთლიანად განპირობებულია მეორე პროცესის მიერ, რომელიც ავრეთვე ეკუთვნის მხოლოდ გრძნობად სამყაროს. ამგვარი პროცესის შემეცნებისას ცნება გამოხატავს არა იმას, რაც იდეათა სამყაროს ეკუთვნის, არამედ იმას, რაც გრძნობადშია მოცემული. **ბარსებამპარის გრძნობებით აღქმა და მისი ურთიერთდაკავშირების გადმოცემა ცნებებით არის საფუძველი არაორგანული ბუნების შემეცნებისა.** ამგვარ აზროვნების კანტი უწოდებდა **ღიასურსისულს** და ამბობდა, რომ ადამიანისათვის მხოლოდ იგი არსო მისაწვდომი. ის, რაზე შემეცნებაც ჩვენ გვსურს არის გარეგანად აღქმული, ხოლო ცნება არის მხოლოდ საშუალება ერთიანობის პოვნისა.

ორგანული ბუნების შემეცნებისათვის კი საჭიროა ისეთი უნარი (ძალა) აზროვნებისა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ გრძნობადს, არამედ იდეათა სამყაროსაც გრძნობადისადმი დამოუკიდებლად. ამისათვის კი საჭიროა ცნებები, რომელნიც გრძნობადიდან აბსტრაქციით კი არ მიიღებიან, არამედ აქვთ თავისთავიდან გამომდინარე შინაარსი; მათ შეიძლება ეწოდოთ ინტუიტიური ცნებები, მათი მეშვეობით შემეცნებას კი — ინტუიტური შემეცნება.

აქედან ცხადია, რომ ყოველი ორგანიზმის შემეცნება შეიძლება მხოლოდ ინტუიტურად, ვინაიდან ორგანიზმში ერთი ნაწილი (ასო) კი არ განაპირობებს მეორეს, არამედ მთლიანობა (იდეა) განაპირობებს ცალკეულს — თავისი შინაგანი არსიდან გამომდინარე. იმის, რაც თვისთავიდან გამომდინარე განაპირობებს მთლიანობას, შეიძლება გოეტეს გაგებით ვუწოდოთ „ენტელექია“.

არაორგანული სამყაროს რომელიმე პროცესის გაგება ისე როდი იქნება, როგორც პროტოორგანიზმის ანუ „ტიპის“ გაგება (გოეტეს თვალსაზრისით). პირველი ახასიათებულია გრძნობადი სინამდვილიდან. ხოლო ორგანიზმის იდეა, ანუ ენტელექია, მოქმედებს თავად ორგანიზმში. მაგალითად კრავის ენტელექია სხვაა და მგლისა — სხვა.

არაორგანულ ბუნებაში ჩვენ ჯერ ალვიქვამთ მოვლენათა მრავალფეროვნებას, შემდეგ კი ვეაზრებთ მათ ცნებებში, რომელნიც გვაძლევენ ერთიანობას, რა თქმა უნდა განსჯისშიერს, ე. ი. ეპოის მხრივ არის საგანთა მრავალფეროვნება, რომელსაც ალვიქვამთ (anschauen) და მეორეს მხრივ ერთიანობა, რომელსაც ვიაზრებთ.

ორგანულ ბუნებაში კი რომელიმე არსების მრავალფეროვნებაში ცალკეული ნაწილები არ არიან ისეთ გარეგან ურთიერთმიმართებებში, როგორც არაორგანულში. ერთიანობა მოცემულია თავად ნაირფეროვნებაში და იდენტურია მის აღქმულ ობიექტში. ცნება უკვე რეზიუმირებას კი აღარ ახდენს მხოლოდ ჩვენს განსჯაში

ზვიად გამსახურდია
გოეტეს მსოფლმხედველობა
ანტროპოსოფიური თვალსაზრისით

რაღაც გარეგანად აღქმულისას, თავის ობიექტს გარეთ კი ადარ ეძებს, არამედ იგი იღებტურია თავისი ობიექტებისა, ვითარცა იდეა მისი, ამიტომ გოეტე უწოდებს იმ უნარს, რომლის მეშვეობითაც შეეიმეცნებით ორგანულ ბუნებას, აზროვნების აღქმით უნარს (Anschauende Urteilskraft). ამხსნელი არის ფორმალური ელემენტი შეიმეცნებისა, ანუ ცნება; ახახსნელი — მატერიალური ელემენტი, ანუ აღქმის შინაარსი (anschauung). ამჟამად კი ისინი ᲘᲓᲔᲜᲢᲘᲜᲘ არიან. ამის გამო, რომ არაორგანული ბუნების შესახებ მეცნიერებებში ჩვენ ვსაუბრობთ ბუნების კანონებზე, და მათი მეშვეობით ვხსნით ფაქტებს, ხოლო ორგანულ ბუნებასთან მიმართებაში ვაუბარია ტიპებზე. ეუდგაროული მონიზმი კი ყოველივე ამის წინააღმდეგია და ორგანული ბუნების კანონზომიერებანი სურს დაიყვანოს ფიზიკურ-მექანიურ კატეგორიებზე და ბუნების კანონებზე.

კანტი ამტკიცებდა, რომ ჩვენს განსჯას არ ძალუძს ახსნა ორგანული ბუნების მოვლენებისა, მაგრამ იგი ამით იმას როდი გულისხმობდა, თითქოს იგი ეფუძნება ისეთ მექანიურ კანონზომიერებას, რომელსაც ჩვენ ვერ ვხსნით. განსჯის ეს უძლურება, კანტის აზრით, იმის მიზეზია, რომ განსჯისათვის (Verstand) მისაწვდომია მხოლოდ ფიზიკურ-მექანიური სფერო, და არა ორგანული ბუნების სფერო, რომელიც არ არის ფიზიკურ-მექანიური რამ. ორგანიზმი რომ ფიზიკურ მექანიური რამ ყოფილიყო, მხოლოდ განსჯა შესძლებდა მის შემეცნებას თავისი კატეგორიების მეშვეობით. გოეტეს აზრით კი ადამიანს ძალუძს შეიმეცნება ორგანული ბუნებისა, მაგრამ რა თქმა უნდა, არა განსჯითა კატეგორიებით. მაგ. მიზეზშედეგობრიობა არაორგანულ ბუნებაში უფრო გარეგანად თვალსაჩინოა, ვიდრე ორგანულ ბუნებაში. ორგანიზმში ერთიანობა მუდამ პირველადია და მისგან მოდის ყოველივე. ორგანული არსების გაგება შეიძლება მხოლოდ მის ქმნადობაში (Werden) და განვითარებაში.

ჭვრეტითი ანუ ინტუიტური აზროვნება ძირითადად იმით განირჩევა დისკურსიულისაგან, რომ იგი სჯვრეტს ცნებას ვითარცა იდეას. ორგანული სამყაროს ტიპში იდეალური და რეალური ერთიანობას ჰქმნიან, რომელსაც სწვდება ინტუიცია.

ჩვეულებრივი ბუნებისმეტყველება პროგრესორგანიზმად სთვლის პირველჯერვე, გოეტეს თვალსაზრისით კი ეს არის ენტელეჭიური, ფორმადმქმნელი პრინციპი, რომელიც შეგრძნებათათვის მიუწვდომელია. დარვინი უთქმელად აღიარებს მას თავიდანვე, იგი დარვინისთვის გამოუთქმელ X-ად რჩება, გოეტესათვის კი ეს X-ია ამოსავალი წერტილი.

დარვინისა და ჰექელის მიერ დამტკიცებული ფაქტია, რომ ყოველი ინდივიდუუმი იმეორებს შემოკლებულ ფორმაში ორგანიზმთა განვითარების ყველა სტადიებს, რომელთაც ფალეონტოლოგია. გოეტეს გაგებით ამის ახსნა შეიძლება იმით (ასე ხსნის გოეტეანისტური ბიოლოგია), რომ ყველა ცალკეული ინდივიდუუმი გამოყოფილებაა ერთიანობიდან პირველობისა, რომელიც სხვადასხვა პერიოდებში სხვადასხვაგვარად (შეძლებისდაგვარად) ავლენსა მასში ჩადებულ ფორმადმქმნელ ძალებს. ამით ხდება შეცვება მატერიალისტური ბუნებისმეტყველების თვალსაზრისისა.

ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, რომელნიც ესხდენ დიდი ხნის მანძილზე უპირისპირდებოდნენ ურთიერთს, გოეტესთან ერთ პარმონიულ მთლიანობას ჰქმნიან, ვინაიდან გოეტე განიხილავს ზოგადს, როგორც რაიმე კონკრეტულს, რომელიც თავისთავს ავლენს მოვლენებში. გოეტე ინდუქტიურ მეთოდს სინთეტურს უწოდებდა, დედუქტიურს კი ანალიტურს.

1770 წ. 14 ივლისს გოეტე სწერს გეტცლერუმცროსს: „გვამი არ არის მთლიანი ცხოველი, მას აკლია მისი მთავარი ნაწილი — ესაა ხიცოცხლე", რაც უველაზე ნაკლებად ესმის ჩვეულებრივ ზოოლოგიას.

კანტმა განასხვავა განსჯა გონებისაგან, მაგრამ მისი კრიტიკა მაინც უფრო განსჯას ეხება და იმ სფეროზე რჩება ძალაში, რომელიც საგანია განსჯისმიერი შემეცნებისა, ე. ი. არაორგანული ბუნების სფეროზე. ჭეშმარიტ გონებას და მისი მოქმედების სფეროს კი კანტი ვერ მიუახლოვდა, პირუკუ, მან ეს სფერო გამოაცხადა ადამიანისათვის მიუწვდომელ სფეროდ („ხიუმენოს").

გოეტეს გაგებით აზროვნებას ვერ მივაწერთ, თითქოს მას სინამდვილეში შემოაქვს რაღაც ახალი, თავისი. აზროვნება არის თავათ ორგანო აღქმისა, ისეთივე, როგორც უური და თვალი, ოღონდ იგი აღქვამს იდეებს. შემეცნება კი ნიშნავს გრძნობადი სინამდვილისაციი ცდის შეგნებას სინამდვილის იმ ნაწილით, რომელიც აღქმულია აზროვნებით, რათა ეს სურათი სინამდვილისა სრული ბაზდეს.

კანტისა და კანტიანელების ფილოსოფია, ზოპენჰაუერი, გვიანდელი შელლინგი და საერთოდ მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერული მომართულება სამყაროს არსს ეძებს ტრანსცენდენტურ, ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებულ სინამდვილეში, ამიტომ სუბიექტურ-იდეური სამყაროს არ გააჩნია არავითარი ფასი. ობიექტური სინამდვილის თვალსაზრისით, მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ადამიანური ცნობიერებისათვის. გოეტესათვის კი სამყაროს არსი ცხადდება ადამიანის ცნობიერებაში და მას სჯვრეტს აზროვნება. ინტუიცია არის ხედვითი აზროვნება (ლათ. intueri — ხედვა).

„ჩემი მეთოდი, განვითარებში გამხსნელი,

აღმომჩენი მეთოდია და არა სისტემატიზირების, მოწესრიგების მეთოდი“ — ამბობდა გოეტე. ეს არის პროტოფენომენის უმაღლესი კანონზომიერების აღმოჩენა ჩვეულებრივ ფენომენებში.

გოეტეს აზრით, იდეა მარადიულია და ერთადერთი. ის, რასაც ჩვენ მრავლობითობას ვუწოდებთ, იდეის მანიფესტაციაა მხოლოდ. გოეტეს გაგებით ისევე შეიძლება იდეების მეტამორფოზზე საუბარი, როგორც მცენარეთა მეტამორფოზზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გოეტეს მსოფლმხედველობა მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე მიდის. იგი განიხილავს სინათლისმიერ და ფერისმიერ მოვლენებს და მიდის ურფენომენებამდე: გრძნობად-ზეგრძნობად პირველმცნარემდე. ურფენომენიდან იგი აღარ ადის უფრო მაღალ პრინციპამდე, ამას იგი უტოვებს ფილოსოფოსს. ფილოსოფოსი რომელიც განიხილავს იდეის მეტამორფოზას, არის ჰეგელი. იგი გამოდის უმარტივესი, უწმინდესი იდეიდან — წმინდა ყოფიერებიდან, რომელშიაც შეიმალულია ჭეშმარიტი სახე მსოფლიო მოვლენებისა ანუ ფენომენებისა. ეს წმინდა ყოფიერება არის აბსტრაქტული საიდანაც გამოყვანილია იდეათა სამყარო. ჰეგელს მოჰყავს იდეის მეტამორფოზა, წმინდა აბსტრაქტული ყოფიერებიდან იმ საფეხურამდე, სადაც მისი გამოცხადება იწყება, ე. ი. ფილოსოფოსამდე. ფილოსოფია ცხოვრებისეულ ფორმებში კი არ განიხილავს იდეებს, არამედ აზრის ფორმებში. გოეტესათვის კი ცნობილია ცოცხალი იდეა, პრა იდეა როგორც აღძა, არამედ ფენომენი ამ იდეისა, რომელიც ეძლევა ადამიანურ დაკვირვებას.

ჰეგელის ფილოსოფია არ არის თავისუფლების ფილოსოფია, ვინაიდან იგი სამყაროს შინაარსს მისი უზენაესი ფორმით არ ეძებს თავისუფალი ადამიანური პიროვნების ნიადაგზე. ამ ნიადაგზე ეს იქნებოდა სრულიად ინდივიდუალური. ჰეგელი ეძებს არა ამ ინდივიდუალურს, არამედ ზოგადს — gattung. ზნეობრივ პიროვნებათაშეხაც იგი ეძებს არა ადამიანურ ინდივიდში, არამედ ადამიანის გარეშე მდებარე სამყაროსეულ წესრიგში, რომელიც შეიცავს ზნეობრივ იდეებს. ადამიანს არა აქვს თავისი საკუთარი ზნეობრივი მიზანი, მან უნდა შეუერთოს თავის თავი ზნეობრივ მსოფლიო წესრიგს. ცალკეული, ინდივიდუალური, მისთვის უარყოფითი რამ არის. მხოლოდ მთლიანს აქვს მისთვის ღირებულება. ასევეა გოეტესთანაც, რომელსაც ჯალია ავრთვე თავისუფლების იდეა, (თუმც გოეტე-მხატვარი ამ იდეას უძღვნის თავის „ფაუსტს“ და გენიოსურად ცხადჭმნის მას). მაქს შტირნერი ყოველივე ამას მიაწერს გოეტეს ბურჟუაზიულ წარმოშობას და ამბობს: „მათი პოეტისთვის — გოეტესთვის, ისევე როგორც მათი ფილოსოფოსის ჰეგელისთვის, სუბიექტი დამოკიდებულია ობიექტზე“. ჰეგელი და გოეტე მოკლებულნი არიან თავისუფლების იდეაზე დაფუძნებულ მსოფლმხედველობას, მათი მსოფლმხედველობა ობიექტურ აზრთა სამყაროს შინაარსიდან გამოდის. ამიტომ არის ჰეგელი ფილოსოფოსი გოეტეს მსოფლმხედველობისა.

1821 წ. 20 თებერვალს ჰეგელი სწერდა გოეტეს: „ოქვენი ურფენომენების სამყარო, ორანთლიანი (zweielichte) სამყარო, სადაც ურთიერთს ესალმება ჩვენი ბუნდოვანი სამყარო და ხალული ყოფა“. გოეტე ცხოვრობს იდეებში და მსჯელობს ამ ცხოვრებით თვის ბუნებისეულ დაკვირვებებს, ხოლო ჰეგელი იაზრებს იდეათა სამყაროს და აგებს ფილოსოფიურ სისტემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურმიშხან ცინცაძე

ქართველი დიპლომატი პოლონეთის სახელმწიფო სამსახურში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა ისტორიკოს გურამ ზედგინიძის წიგნი: „ბოგდან გურჯიცკი დიპლომატიური ასპარეზზე". წიგნის მიზანი ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესს განსაკუთრებით ზრდის ის, რომ მე-17 საუკუნის პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობის მოგვარების თავკაცი, პოლონეთის მეფის სამსახურში მყოფი, ეროვნებით ქართველი, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე ბოგდან გურჯიცკი ყოფილა. ამ მეტად საინტერესო პიროვნების შეფასებებ დღემდე ცნობები კანტა-კუნტად თუ მოგვეპოვებოდა. სარეცენზიო წიგნის ავტორის გ. ზედგინიძის ხანაჯებიდან უნდა ითქვას, რომ მას ჭეშმარიტად საშური, შრომატევადი სამუშაო ჩაუტარებია არქივებში; განსაკუთრებით მოსკოვში, ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში), შეუსწავლია და კრიტიკულად დაუმუშავებია დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, ქართულ, რუსულ, პოლონურ ენებზე, რაც მას საშუალებას აძლევს, საკვლევი საკითხის შესახებ გააკეთოს საინტერესო დასკვნები.

მკითხველისათვის უფრო ნათელი რომ გახდეს ბოგდან გურჯიცკის ვინაობა, მოვიტანთ მოკლე ამონაწერს ავტორისეული ანოტაციიდან: „... ბოგდან გურჯიცკი მრავალი წლის განმავლობაში იმყოფებოდა პოლონეთის მეფეთა სამსახურში. მე-17 საუკუნის 50-იან წლებში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლონეთ-შვედების ხანგრძლივ ომებში, ხოლო 1668 წლიდან მოღვაწეობას იწყებს დიპლომატურ საბიელზე.

ბოგდან გურჯიცკი მთელი 25 წლის განმავლობაში იყო პოლონეთის მეფეთა ელჩი და რეზიდენტი ირანის შაჰთა კარზე, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა და აღმოსავლეთის საქმეებში კარგად გარკვეულმა დიპლომატმა. ბოგდან გურჯიცკი ირანის შაჰთა კარზე ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის, პოლონეთისა და საქართველოს, როგორც პოლიტიკური, ისევე სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების დაცვის საქმეს".

სარეცენზიო წიგნი შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან:

1. პოლონეთ-ირანის ურთიერთობათა განვითარება მე-17 საუკუნის 60-იან წლებამდე.

2. ბოგდან გურჯიცკის ვინაობისათვის.

3. ბოგდან გურჯიცკის ელჩობა ირანში 1668-1675 წლებში.

4. ბოგდან გურჯიცკი პოლონეთის ელჩი და რეზიდენტი ირანის შაჰის კარზე 1676-1699 წლებში.

წიგნს აქვს რეზიუმე რუსულ, ინგლისურ, პოლონურ ენებზე და პირთა სძიებელი. მას თან ერთვის რამდენიმე საინტერესო საარქივო დოკუმენტი, მათ შორის ბოგდან გურჯიცკის „ჩელობატაია" პეტრე I-სადმი, 1700 წლის 3 იანვრისა. „ჩელობატაიას" მეორე მხარეს ბოგდან გურჯიცკის ხელით ქართულად აწერია: ჯ. მე: ბუდღანბეგ: ამ: ჩოლოპატნოა. ყაბული: მაქუს:

ქართველი დიპლომატის პოლონეთის სამეფო კარზე მოხვედრის ისტორია ჯერჯერობით ცნობილი არ არის. არ ვიცით რამ განაპირობა მისი სამშობლოდან გადახვეწა; წიგნის ავტორი 55-ე გვერდზე წერს: „პოლონეთში მოხვედრამდე ბოგდანი ქართლის მეფის როსტომის ქვეშევრდომი იყო და შესაძლოა (ე. ი. სავარაუდოა და არა სარწმუნო — დ. ც.) სწორედ მისი დავალებით აღმოჩნდა იგი მე-17 საუკუნის 50-იან წლებში პოლონეთის მეფის სამსახურში".

ავტორის მიერ აქ მოტანილი სიტყვები პოლონელ ისტორიკოს იან რაიხმან ეკუთვნის, მაგრამ სწორედ ეი ამ დოკუმენტს თუ დოკუმენტებს, რომლებსაც ავტორი ეყრდნობა, მისი საბუთიანობის განსამტკიცებლად, ახლის მოძიება სჭირდება, რომ ეს ვარაუდი ჭეშმარიტებად იქცეს.

სარეცენზიო წიგნის ავტორი მოძიებული მასალებით საუბრებით მართებულად ამტკიცებს, „ბოგდან გურჯიცკი იყო ქართველი ფეოდალი, ქართული ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენელი. ეს რომ ასეა, ამის დასტურად ერთ მეტად ანგარიშგასაწევ საბუთს მოვიტანთ, რო-

მელიც ირანიდან პოლონეთში ბოგდან გურჯიცის ელჩობის დაბრუნებას შეეხება. ელჩობის სრულ სიაში სხვებთან ერთად მოხსენიებულნი არიან ბოგდანის ძმები: ფარსადანი, ნაზარე, (ალბათ უნდა იყოს ლაზარე — დ. ც.) მერაბი და ელჩობის წევრები: როსტომი, ესტატე, გიორგი, სეხნია, პაატა, ლაზარე, ხიზნა, პეტრე, ქრისტესი, დათუნა, ზაქარია, დათიე, ელიზბარ, გოგია, რომლებიც ქართულ ონომასტიკონში დამკვიდრებული სახელებია.

ნაშრომის 46-ე გვერდზე ავტორი წერს: „ჩვენი აზრით, ბოგდან გურჯიცია ქართული გვარის ან სახელის მიახლოებით ან ზუსტ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. ბოგდანი სლავური სიტყვაა და ქართულ ენაზე „ღვთის ბოძებულს“ ნიშნავს. ამ შინაარსის ქართული სახელებიდან შეიძლება ვიგულისხმოთ ღვთისავარი ან ალავერდი, ქართულ გვარებში ამ სახელთაგან არის წარმოებული ალავერდიშვილი, ღვთისავარიშვილი და სხვანი. ასეთი სახელები და გვარები მე-17 საუკუნის საქართველოში საკმაოდ ხშირად გვხვდება“.

ავტორის ვარაუდი ბოგდან გურჯიცის, ალავერდიშვილობა თუ ღვთისავარიშვილობა, ჩვენი აზრით, ჭარბებობით უსაფუძვლო პაპოფობად რჩება. ეს რომ ასეა, ამაში ეჭვი თვით მკვლევარსაც არ ეპარება და წინის 47-ე გვერდზე წერს: „ამ საკითხზე საბოლოო სიტყვის თქმა მხოლოდ მომავალში ახალი მასალის გამოვლენით იქნება შესაძლებელი“. მოვიტანთ მისივე სიტყვებს, რომლებიც ნაშრომის 55-ე გვერდზე დასკვნის სახით აქვს დაწერილი: „ბოგდან გურჯიცის ვინაობის შესახებ შემორჩენილი მასალა, სამწუხაროდ, საშუალებას არ იძლევა ზუსტად იქნეს დადგენილი იმ ქართველი დიპლომატის ნამდვილი გვარი და სახელი, მაგრამ ივიეე წყაროებით ირკვევა, რომ ბოგდან გურჯიცი საქართველოს ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენელი იყო და ქართლის აზნაურთა სოციალურ ფენას ეკუთვნოდა“. თუ ავტორი ამ თავის ნაშრომში ასე დაჯერებულია, მაშინ რა საჭირო იყო მისი თქმით სლავური სიტყვით — „ბოგდანის ქართულ ენაზე შესატყვისი სახელების ღვთისავარის ან ალავერდის, გაალავერდშვილება ან გაღვთისავარიშვილება? ჩვენ გვჯერა, რომ წივნის ავტორი მოწადინებული მიანგნის ბოგდანის ჭეშმარიტ ძირძველ წარმოშვილობას, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, ეს იმ ხელოვნურებული საარქივო მასალების გამოშუერებასა და შესწავლის შემდეგ მოხდება, რომლებიც ამ საინტერესო პიროვნების შესახებ ბლომად იქნება შემორჩენილი პოლონეთის სიძველესაცავებში.

საინტერესო წივნის 45-ე გვერდზე ავტორი წერს: „ჩვენ მივაკვლიეთ აგრეთვე რამდენიმე საბუთს, რომლებშიც მოხსენიებულნი არიან ბოგდან გურჯიცის ძმები: ფარსადანი, ნაზარე, მერაბი და გაბრიელი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს ორი უკანასკნელი ერთი და იგივე პირის სახელებია, რადგან რუსეთში მერაბი გაუგებარი უნდა ყოფილიყო და ამიტომ მას უმეტესად გაბრიელად მოიხსენიებენ“. ჩვენთვის გაუგებარია ავტორისეული დასკვნა და ვარაუდი სახელების — მერაბისა და გაბრიელის გაიგივებაზე. თუ მერაბი რუსეთ ენაზე გაუგებარი წარმოითქმებოდა, რაღა გაბრიელად იქცა და არა ვთქვათ მიხეილად? ან კი რატომ არ შეიძლებოდა ბოგდანის მამას, ივანეს, მრავალშვილიანი ოჯახი ჰყოლოდა და მათ შორის ხუთი ვაჟიშვილი? ვფიქრობთ, აქ საძიებელი და თავსატეხი არაფერი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ავტორს ისეთი დიდი შრომა აქვს გაწეული ამ საყურადღებო წივნის დასაწერად, ასეთ წერილშინაც ყურადღების გამახვილება, დიდი და ღირსეული საკითხების გარკვევასთან ერთად, ცოტა არ იყოს, ზედმეტიც ჩანს.

გურამ ზედგინიძის წივნი „ბოგდან გურჯიცი დიპლომატიურ ახპარეზში“ ისეთი მეცნიერული გამოკვლევა გახლავთ, რომლის შესახებაც კიდევ ბევრი თქმენება და დაწერება.

დარეჯან გოჩალეიშვილი

„ვარდის კვირა“

ყოველი ახალი პოეტური კრებულის გადაშლისას, ჭვეყნიერებაში, სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსების ცალკი ოზიდავს რიგით მკითხველსა თუ კრიტიკოსს.

გენო კალანდიას ლექსების წივნი — „ვარდის კვირა“ — მამულისადმი მიძღვნილი ლექსით იწყება.

შენ ხარ ვენახი,
შვიდი ზეცის შვიდი კარედი,
მზის ანჯამებით,
მგოსნის გულზე დაკიდებული.

აი, ეს ვენახია შემოჭმედთა ყველაზე დიდი კელაპტარი, რომლის შუაზედაც მარადიულად ბრწყინავს ჩვენს უკეთილშობილეს ზრახვათა და ოცნებათა ჭეშტგვანო სამანები, უშრეტ ძალასა და ენერგიას იწოვს. „თქვენ აბრეშუმი ნუ გგონიათ და ივერიის, ან გაზაფხულის ხახასა ვარდ, ეს ჩვენი სული გადაჰიმეს მთებიდან მთებზე" — ამბობს პოეტი და მკითხველიც დანდობილად მიუგდებს ყურს შემოქმედის გულის ძახილს, უხარია მისი სიხარული, სწუხს მისი საწუხარით, რადგანაც — „ჩვენი ნაღველი ჩვენი ძმაა —ის, მამელუკი, გაღმა ნაპირზე რომ დადგომა..." ეს ნაღველი ჩვენეულია, ზოგადადამიანური. სამოღოდ ნათელი ირმახჯებს ბნელზე. აყვავებულია ხე მოღოდინის და წინა პლანზე მაყორილი ინტონაციები მოიწევენ: „ჩვენ სიხარული მოვაგროვეთ არსენას ბეღვებით და დროშასავით გაქოფნილი წინაპრის სული. მწუხარებისთვის აღარ გვცალია". ეს შეუვალი ჭეშმარიტებაა! მწუხარება, ჭმუნვა და ვაი-ვიში დამრცხების დასაყოფია. მხოლოდ ბრძოლაა შვების მომგვრელი, მხოლოდ ბრძოლის ყინია გადარჩენის ერთადერთი იპოსტასი, რადგან სხვა გზა უფსკრულამდე მიგვიყვანს, რადგან სამშობლო „განსაცდელებლად არის მთავარი" (ჩარკვიანი).

პოეტი ზოგჯერ დაეჭვებული წერს:

მე ისიც მჯერა,
დავიწყების
კუბოში ვწევარ...
მხოლოდ შენს გამო,
მხოლოდ შენთვის
ვცოდველობ, შვილო!
რად უნდა დაფნა
ჩემი ნიშის,
სინდისის მწერალს,
როცა ისედაც
სავრთველოს ცა მერგო ჯილდოდ.

ამგვარი თამდაბლობა დიდაც მისასმენია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ნიჭიერ შემოქმედებს თუ ძალუძთ თვითკრიტიკული ალერება.

პოეზიაში ფიქრი იგრძნობა ლექსებში: „სიცოცხლის პოლოგია", „მოღოდნი", „ცრემლ ორბელიანი რიგაში", „ტიციან ტაბიძის პორტრეტისათვის" და სხვ. ცალკე რკალს ქმნიან გ. ლეონიძის, ნ. დუმბაძის, ს. ჩიქოვანის, ლ. ხუნდაძის, მ. მაჭავარიანის და ზ. ლე-ბანიძისადმი მიძღვნილი ლირიკული ჩანახატები.

გენო კალანდია ლირიკული განცდის პოეტია, გაურბის სტერეოტიპებს, ისწრაფვის სიგანის თუ მოვლენის თავისებური გამოსახვისაკენ. მკითხველს ამახსოვრდება მოულოდნელი შედარებანი და სახეები. მაგალითად: „შუადღე იყო... და ქალი მკიდა, ქალს ფიქრიანი თვალები ჰქონდა, და ძველისძველი პატარა კიბე ორივე ხელით ეკიდა ოდას;" ანდა: „ნათელ-მირონი უნთია სოფელს და დგება ირგვლივ ამინები წუნარი... და შემართული, ვით მგრხის თვის თოფი, გლეხის ეზოში ჩანს ოწინარ"; ანდა: „კიდელ და კიდელ საუკუნის უკუნი კიბით მიცოცავს ხავსი — მეცინოსნის ჯიუტი სული..."

ნაზია და ხავერდოვანი კოლხური მელოდიები, ლირიკული და ლერწმისეთი უდრეკია ხალხური ლექსები, რომლებზედაც ეს მელოდიები აღმოცენებული. მრავალ ოსტატს მიუმართავს კოლხური თემატიკისთვის. ეფიქრობთ, ამ თემის ერთ-ერთი საინტერესო და წარმატებული ინტერპრეტაცია მოგვცა გ. კალანდიამ თავის „ოლხურ მოტივებში".

პოეტურ კრებულს ამთავრებს თხუთმეტკარიანი ნაწყვეტი ცოლდან „ფერადი ოფორტი". ლექსების ეს რკალი უთუოდ ავტობიოგრაფიული მოვლენების შემცველია, არსებითად ეს ლექსები ადამიანური ცხოვრების პოეტური ქრონიკაა, რაც შეეხება თავად რკალს ამ ლექსებისას, ჟანრული თავისებურებებით იგი უფრო ლირიკული პოემაა, ვიდრე ციკლი. ჩვენ, ძირითადად, ეურადღება გავამახვილეთ კრებულის კარგ ლექსებზე. მათ კეთილშობილურ იდეებზე და ნათელ მიზანსწრაფვაზე...

შეხედეთ ერთი!
ბალახივით მწვანეა ჯერაც
ჩვენი ქართული
სიზმრების გალა...

აცხადებს ერთ ლექსში გენო კალანდია და ჩვენც, მისი პოეზიის მკითხველებს ღრმად გვჯერა პოეტის ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-80, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 7.03.84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.04.84 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-სად. თაბახი 15.85. შეკვ. № 577. უე 07938 ტირაჟი 58.500

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

№1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ